ქემინისტური ბიბლიოთეკა

სიმონ დე ბოვუარი

ჟამი სულიერების ზეობისა

თბილისი
2014

Collection LIBRAIRIE FEMINISTE

Simone de BEAUVOIR
ANNE, OU QUAND PRIME LE SPIRITUEL

სერია „ფემინისტური ბიბლიოთეკა“

სიმონ დე ბოვუარი
ჟამი სულიერების ზეობისა

Traduction: Giorgi DZNELADZE
თარგმანი: გიორგი ძნელაძე

© Editions GALLIMARD, 1979 and 2006 for the present edition
© **გამომცემლობა გალიმარი, 1979 და 2006 ამ გამოცემისთვის**

Photo de couverture: © Photographie coll. Sylvie Le Bon de Beauvoir/Diffusion Editions Gallimard.
ფოტო ყდაზე: © სილვი ლე ბონ დე ბოვუარის ფოტოკოლექცია/მოწოდებული გამომცემლობა გალიმარის მიერ.

ISBN – 978-9941-0-6906-2
ISSN – 1987-5193

Feminist Library Series © Taso Foundation, 2014
სერია „ფემინისტური ბიბლიოთეკა“ © ფონდი ტასო, 2014

თარგმანის მხარდაჭერა
Soutien de la traduction

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.
Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la publication de I'Institut français.

სარჩევი

მარსელი 7

შანტალი 79

შანტალის დღიურის გაგრძელება 127

ლიზა 156

ანა 188

მარგერიტი 270

მკვლელობის სცენა 352

მთარგმნელისაგან 369

მარსელი

მარსელ დრიუფი ნაადრევად შეღერებული და ძალზე მეოცნებე ქალიშვილი გახლდათ; სულ რაღაც ათიოდე თვის თითისტოლა ჩვილსაც კი ეტყობოდა, რომ ბრძენ ბუნებას მისთვის საოცრად მგრძნობიარე და სათუთი გული მიემადლებინა. „როცა დაეცემოდი და რამეს იტკენდი, საწყალობლად ტიროდი, თუმცა, გაუსაძლის ტკივილს არად აგდებდი! ცრემლად იღვრებოდი და გული გიკვდებოდა, ამ გულცივმა, ვერაგმა და სასტიკმა სამყარომ მუხანათურად რომ გიმუხთლა და დაუნანებლად გაგწირა," – უამბობდა დედა, როცა წამოიზარდა.

მშობლები თავს დაჰკანკალებდნენ ჭკვიან, მშვიდ, თვინიერ, წინდახედულ, თავმდაბალ, გამჭრიახ, სულზე უტკბეს შვილს; ანებივრებდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ და არასოდეს უწყრებოდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ბედის ნებიერამაც სულ მალე იგემა ცრემლის სამსალა; ვაი რომ ამ ვარდივით ნაზმა არსებამ ნაადრევად შესვა სიმწრის ფიალა! საღამოობით, როცა ქუჩებში მწუხრი დაეშვებოდა, მამის საწერი მაგიდის ქვეშ შეძვრებოდა ან მისაღებ ოთახში სქელ, მძიმე ფარდებს შეაფარებდა თავს და გრძნობდა, როგორ შთანთქავდა გულის მომკვლელი სევდა და ღამის თვალშეუვალი წყვდიადი. ფიქრობდა ბედშავ, ღარიბ-ღატაკ, უქონელ ბავშვებსა და სვეგამწარებულ ობლებზე, რომელთა ცხოვრების ამბავიც მოვარაყებულყდიან წიგნებში ამოეკითხა; შიშმორეული გაიფიქრებდა, რომ ოდესმე დადგებოდა ის გარდაუვალი, საზარელი დღე, როცა ბავშვობის საამური ხანა სამუდამოდ დასამარდებოდა და საყვარელი დედა კალთაში აღარ ჩაისვამდა. ამ სიხარულს ვერაფრისდიდებით შეელეოდა! იმაზე ფიქრიც კი ზარავდა, რომ ოდესმე დაქალდებოდა. შეძრწუნებული წარმოიდგენდა, რომ მშობლები დაეღუპნენ და ამ უკიდეგანო და უსულგულო სამყაროში ბედის ანაბარა დარჩა. როცა თავში ასეთი გულშემზარავი აზრები უტრიალებდა, ცრემლი ღვარად სდიოდა და ეჩვენებოდა, რომ მისი უღონო სხეული თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანებოდა თვალუწვდენელ, ბნელ სიცარიელეში.

მთელი გულით უყვარდა ეკლესიაში, ამ ღვთის სავანეში ტირილი; დღესასწაულებზე მადამ დრიუფს ტაძარში დაჰყავდა ხოლმე; გულაჩქროლებული მარსელი ეთაყვანებოდა ცვილისგან რუდუნებით გამოძერწილ ყრმა იესოს, უშფოთველად რომ ეძინა ბაგაში (კათოლიკურ ეკლესიაში შობას დგამენ სიმბოლურ ბაგას,

ახალშობილი მაცხოვრის, მარიამის, იოსების, სამი მოგვისა და ანგელოზის ფიგურებითურთ – მთარგმნ.); მის წინაშე თავს მდაბლად ხრიდა, სასოებითა და კრძალვით აღვსილი შესცქეროდა იდუმალებით მოცულ საკურთხეველს და ხარბად ისუნთქავდა საკმევლის თავბრუდამხვევ სურნელს; ზეციური ნათლით გაცისკროვნებული, მეტად უცნაური ჩრდილი, – ეს არნახული, სხივმოსილი ნისლი სანთელთა ალს ღვთაებრივი შარავანდედით მოსავდა; ამ თვალისმომჭრელ, არაამქვეყნიურ ბრწყინვალებაში შთანთქმული ღვთისმოშიში მარსელი საოცარი ხილვებითა და ზმანებებით ტკბებოდა; იდუმალი, ცხოველმყოფელი მხურვალება გულს ყინულივით ულხობდა და ერთიანად ათრთოლებული, აქვითინებული გოგონა გრძნობდა, რომ მზად იყო, სიცოცხლეც კი სიხარულით მიეტანა ზვარაკად ამ ქერა კულულებით დამშვენებული, არაამქვეყნიური სილამაზით მოსილი პაწაწინა უფლისთვის; უზენაეს მსაჯულს მუხლმოყრით ევედრებოდა, ეს მოკრძალებული ძღვენი მიიღეთო. ერთხელ ის კინოთეატრში გამოეცხადა; საღამოობით, როგორც კი საწოლში ჩაწვებოდა, გულში უმხელდა სათუთად კრძალულ საიდუმლოებებსა და სანუკვარ ოცნებებს, სულთამდგმელ იესოს ძალუმად ჩაეკვრებოდა და ამ მაცოცხლებელ, ღვთაებრივ მხურვალებაში დანთქმული მიეცემოდა ტკბილ და მშვიდ ძილს; ნატრობდა, სულ მალე დამდგარიყო ის საოცნებო დღე, როცა თავისი გრძელი თმით შეუმშრალებდა ღმერთკაცს ნაზ, შიშველ და თოვლივით თეთრ ფეხებს.

მარსელის დიდედა სენ-სულპისის მოედანზე გოროზად წამომართული ბიბლიოთეკის დირექტორი გახლდათ; ამ მოხუც ქალს ყელზე დღემუდამ ბაფთა ეკეთა; მარსელს ყურს სჭრიდა მისი ძალზე უხეში, უსიამო და ჩახლეჩილი ხმა; გოგონას მასთან სტუმრობაზე მეტად არაფერი ახარებდა! როცა მადმუაზელ ოლივიეს ეახლებოდა და წიგნების ჯადოსნურ სამყაროში შეაბიჯებდა, აუწერელ ნეტარებას განიცდიდა და ვერც კი გრძნობდა, როგორ შეუჩერებლად მიქროდა დრო; დილიდან საღამომდე ბიბლიოთეკაში იჯდა და დაუსრულებლად იქექებოდა დამტვერილ წიგნებში; საბავშვო ნაწარმოებებიდან (ასეთი წიგნები კატალოგში „J“ ასოთი იყო აღნიშნული) რამდენიმეს გულდასმით ამოარჩევდა, მიუჯდებოდა პატარა მაგიდას შავყდიანი ნაშრომებით დამშვენებულ სტელაჟებიან ბნელ დერეფანში და სანთლის შუქზე გატაცებით ეწაფებოდა შმიდის ზღაპრებს, რეინ მონლორის რომანებს, მადამ კარეტის ცენზურირებულ მემუარებს და ისტორიულ თხზულებებს;

შავი ყდა შვენოდა ამ საოცარ ნაწარმოებებს, ნეტარების მორევში რომ შთანთქავდნენ გოგონას. მონუსხული მარსელი თვალს ვერ აშორებდა ჯარისკაცებივით შავ უნიფორმაში გამოწყობილ წიგნებს; მკითხველებს ამ ზღაპრულ ალაგას ფეხის დადგმაც კი ეკრძალებოდათ; დღენიადაგ გულდახურულ კაბასა და კორსაჟში გამოწყობილი ბიბლიოთეკარი თაგვივით უჩუმრად შემოძვრებოდა წყვდიადში შთანთქმულ ამ სავანეში, სადაც შლეგი ღრიალითა და გრგვინვით მოჩქეფდა სიამეთა უშრეტი წყარო; ეს თავმდაბალი და უსიტყვო ქალი კრძალვით, ფეხაკრეფით მიიკვლევდა გზას და თაროზე მიდგმულ კიბეზე გაჭირვებით მიბობღავდა; გრძელ ქვედაბოლოში ფეხები ებლანდებოდა და შესაბრალისად ფართხალებდა, ლამპას მიანათებდა უკუნ სიბნელეში ჩაძირულ, ჟამთასვლისაგან გაშავებულ და მორყეულ თაროებს და წიგნს საგულდაგულოდ დაეძებდა. სულგანაბული მარსელი გაიფიქრებდა, დარბაზში კიდევ ერთი მკითხველი შემოვიდა და ტყავგადაკრულ სკამზე უხმაუროდ ჩამოჯდაო; ხარბი ცნობისწადილით ატანილი, დარბაზს ნაჩქარევ მზერას მოავლებდა, მაგრამ, თითქმის ყოველთვის, დედაბრებსა და მღვდლებს ხედავდა. ერთგვარ კათედრაზე შესკუპებული მადმუაზელ ოლივიე მკითხველებს მკაცრ მზერას არ აშორებდა; ამ ულმობელ, მუდამ ფხიზელ დარაჯს თავი ტახტზე დაბრძანებული ხელმწიფე ეგონა; სანამ მკითხველებს წიგნს გაუწვდიდა, უზარმაზარ, შავ, ან მწვანე დავთარს გადაშლიდა და ავტორის სახელს, გვარსა და ნაწარმოების სათაურს მრგვალი ასოებით ჩაიწერდა. რომანების ყდას წითელი ეტიკეტი ამშვენებდა, სერიოზულ, სამეცნიერო ნაშრომებს კი – ყვითელი.

რამდენიმე ერთგული მკითხველი, რომელიც ბიბლიოთეკაში დღე და ღამეს ასწორებდა, მარსელს საოცარ ცნობისმოყვარეობას და ვნებასაც კი აღუძრავდა; ამ მოწიფული, ბრძენი მამაკაცების მეტად მძიმე, მრავლისმეტყველი და გულში ჩამწვდომი მზერა აჯადოებდა; მათი ისედაც ლამაზი და ნატიფი სახეები გამუდმებულ ფიქრს კიდევ უფრო დაეხვეწა და თვალისმომჭრელი მშვენიერებით შეემოსა; ძალზე ელეგანტური პალტოები ეცვათ, მომხიბვლელად შევერცხლილი თმა და ფერმკრთალი ხელები ჰქონდათ; ცხადზე უცხადესი იყო, ეს მოხდენილი და ნატიფი მამაკაცები საოცრად სულგრძელი ადამიანები, დიდი პოეტები ან მწერლები იყვნენ; მარსელს ეს გაცისკროვნებული მშვენიერება სპეტაკი სულისა და აურაცხელი სიმდიდრით აღსავსე შინაგანი სამყაროს ნიშნად ესახებოდა; აღფრთოვანებულ გოგონას ღრმად სწამდა, რომ ისინი ბრწყინვალე მოაზროვნეთა და საარაკო ინტელექტუალთა იმ დიდებულ ელიტას მიეკუთვნებოდნენ, რო-

მელზეც მუსიე დრიუფი მეტად იდუმალი გამომეტყველებით საუბრობდა ხოლმე; გულაჩქროლებული მარსელი ამ მიწიერ ღვთაებებს თავდავიწყებით ეთაყვანებოდა და მათ შარავანდედმოსილ სახეებს კრძალვითა და მოწიწებით შესცქეროდა. მგზნებარებითა და აღტყინებით აღვსილი ოცნებობდა იმ წუთზე, როცა ერთ-ერთი მათგანი გაბრწყინებულ თვალებს მიაპყრობდა და ძალზე ნაზი, ხავერდოვანი ხმით იტყოდა: „რა სერიოზულ წიგნებს კითხულობს ეს ლამაზი და პაწაწინა გოგონა!“ ეს ზეკაცი უამრავ შეკითხვას დაუსვამდა, მარსელის პასუხები აღაფრთოვანებდა, წაიყვანდა წიგნებითა და თვალწარმტაცი ნახატებით სავსე თავის ლამაზ სახლში და განსწავლული ზრდასრულებივით მეტად ღრმაზროვან საუბარს გააბამდნენ; გოგონა ამ დღეს სულმოუთქმელად ელოდა.

ნატრობდა, ბავშვობისა და ყმაწვილქალობის დღეები სწრაფად გალეულიყო; სიბერე ტკბილ და დიდად საშურ ხანად ესახებოდა; ოცნებობდა, ცნობილი მწერალი გამხდარიყო და დამტკბარიყო დიდებულ, მჭევრმეტყველ ადამიანებთან მაღალფარდოვანი საუბრით. ჯოჯოხეთურად იტანჯებოდა, როცა უფროსები აგრძნობინებდნენ, ჯერ კიდევ გულუბრყვილო და უცოდველი ბავშვი ხარო; მისთვის ამაზე საშინელი სასჯელი ქვეყნად არ არსებობდა! როცა მშობლები მეგობრებს მისაღებ ოთახში უმასპინძლდებოდნენ, გულანთებული მარსელი მათ გვერდიდან არ შორდებოდა და ამ საოცარ არსებებს სულგანაბული უგდებდა ყურს; მოწიფული მამაკაცებისა და ქალების ცქერაც კი სიხარულით უვსებდა გულს; ძალიან მოსწონდა მათი მოკრძალებული ღიმილი, თავაზიანი და ფრთხილი ჟესტები, დინჯი და სერიოზული ხმა. მარსელი უმცროსი ძმის, პასკალისთვის პაწაწინა რომანებსა და ლექსებსაც კი წერდა. როცა ბატონი დრიუფი სტუმრებს ხმამაღლა უკითხავდა შვილის შეთხზულ ქმნილებებს, დაბნეული გოგონა ირცხვენდა და საშინლად წითლდებოდა კიდეც, მაგრამ გული უსაზღვრო ბედნიერებითა და სიამაყით ევსებოდა. მხოლოდ მაშინ ცელქობდა, როცა ბავშვებს ეთამაშებოდა; ეს თავმდაბალი გოგონა თავს უფლებას აძლევდა, ველურივით ერბინა და ცოტათი მაინც დაეხარჯა დაგროვილი სასიცოცხლო ენერგია, აქოჩრილ ტალღასავით რომ გრგვინავდა და ბობოქრობდა; მიუხედავად ამისა, თანატოლების უხეში სიცილი, გამაყრუებელი კივილი და სულელური, აღვირახსნილი თამაშები მთელი გულით სძაგდა; ეს კეთილგონიერი არსება უწესობის, თავგასულობისა და უმსგავსობის დაუძინებელი მტერი გახლდათ. მადამ დრიუფს უნდოდა, შვილი რომელიმე სასწავლებელში შეეყვანა, მაგრამ ბავშვი იმდენად მგრძნობიარე იყო, მისი წყენინება ვერ

გაბედა; აბა, საფიცარ გოგონას გულს ხომ არ მოუკლავდა და პაწაწინა ბარტყს თბილი ბუდიდან გულცივად ხომ არ მოისვრიდა?! მასწავლებლად ერთი შინაბერა მიუჩინეს; ლიტერატურის ჯადოსნურ სამყაროში მარსელის მეგზურობა გრამატიკოსმა მუსიე დრიუფმა ითავა, რადგან მთელი გულით ეწადა, სანუკვარი ქალიშვილი ამ უდიდესი საიდუმლოსთვის ეზიარებინა. სტილისტურად უსწორებდა საშინაო დავალებებს და საღამოობით ხმამაღლა უკითხავდა ბუმბერაზი კლასიკოსების, კაცობრიობის სულიერ საგანძურში დავანებული ბრწყინვალე მწერლების ქმნილებებს.

მადამ დრიუფს თავისი პირმშო ხშირად დაჰყავდა ტიულრისა და ლუქსემბურგის ბაღებში. „ჩემ გვერდით ნუ დაჯდები. წადი, შენს საყვარელ პატარა მეგობრებთან ერთად გაერთე!“ – შესძახებდა მბრძანებლური ტონით. ეს ლმობიერი ქალი მხოლოდ ბაღებში იჩენდა არნახულ სიმკაცრეს, ქედუხრელობას და შეურიგებლობას. გოგონა დედას უდრტვინველად ემორჩილებოდა, მაგრამ ბავშვებთან ერთად სირბილი, მუჯლუგუნების კვრა და გაუთავებელი ღლაბუცი ქვეყნად ყველაზე სულელურ გასართობად მიაჩნდა; მოქნილი და მკვირცხლი სულაც არ გახლდათ; გულმოშხამული, ფეხათრევით გაუყვებოდა ხოლმე ჭკუათხელი მეგობრებისაკენ მიმავალ გზას და სახეზე ისეთი საშინელი ზიზღი ეხატებოდა, თითქოს, ძალზე მძიმე და მტანჯველი მოვალეობის შესასრულებლად გაეგზავნოთ.

ბავშვობის ლამაზი ხანაც დამთავრდა; გული სინაზით ევსებოდა და ჟრუანტელი უვლიდა, როცა იგონებდა მუდამ ფიქრში ჩაძირული იმ გოგონას ხატებას, ახალი წლის ღამეს ფანჯრის რაფის ქვეშ სულგანაბული რომ მოიკუნტებოდა; ბრჭყვიალა სათამაშოებით დახუნძლული, ნათურებით ნაირფრად აელვარებული ნაძვის ხეები კი თვალისმომჭრელად ციმციმებდა, გაჩახჩახებულ სასტუმრო ოთახებში ფარანდოლას (პროვანსალური ცეკვა – მთარგმნ.) ცეკვავდნენ და დიდი სადღესასწაულო ალიაქოთი იდგა; ღორმუცელა ბავშვებს, ქაღალდის ქუდები თვალებამდე რომ ჩამოეფხატათ, ჭამის მეტი არაფერი ახსოვდათ, შოკოლადიან ეკლერებს ღორებივით ნთქავდნენ და მარსელის ბედი სულ არ ადარდებდათ; სულგრძელ გოგონას ამგვარი გაცვეთილი და საზიზღარი სანახაობა გულს ურევდა; გაექცეოდა პირუტყვული სიამით სამარცხვინოდ აჭარხლებულ მათ სახეებს, ანთებულ თვალებს, ყურთასმენის წამღებ სიცილს და ლტოლვილივით შეაფარებდა თავს წარმოსახვით სამყაროს, – ამ ნეტარ სავანეს.

მადმუაზელ ოლივიეს საგულდაგულოდ შეედგინა ყმაწვილთათვის განკუთვნილ წიგნთა ნუსხა. საბრალო ქალს, ალბათ, თავ-

ზარი დაეცემოდა, რომ შეეტყო, რა ავხორცი ოცნებებითა და ბილწი სურვილებით ავსებდა მარსელის უცოდველ გულს ეს უმანკო ზღაპრები და სანიმუშო მწერლის, შმიდის ბრწყინვალე მოთხრობები! ქალიშვილისთვის ეს უბიწო წიგნები ნაირფერ ფანტაზიათა და ზმანებათა უშრეტ წყაროდ ქცეულიყო. გატაცებით ეწაფებოდა სასტიკი ლურჯწვერას ამბავს; სულმოუთქმელად კითხულობდა, როგორ ულმობლად სჯიდა და ჯოჯოხეთურად აწამებდა ნაზ და სათნო გრიზელიდისს გულფიცხი, მკაცრი და ვერაგი ქმარი; აღაფრთოვანებდა დედიშობილა, თითქმის წელამდე თმაჩამოშლილი, ბედკრული ჟენევიევისა და ჰერცოგ ბრაბანის პირველი შეხვედრა... მოსვენება დაკარგა; ხშირად, მთელ სხეულში დაუვლიდა სიამოვნების თავაწყვეტილი, შლეგი ტალღა და ფოთოლივით აათრთოლებდა; მონუსხული, დაუღალავად კითხულობდა ერთ საოცარ ამბავს: გულზვიადი, ქედმაღალი, მკაცრი და პირმშვენიერი ბატონი წლების მანძილზე უმოწყალოდ აწამებდა, ამცირებდა და ფეხით დაუნანებლად თელავდა თავის მხევალს, მაგრამ ამ ტანჯულ-გვემულმა, ბედკრულმა ქალმა უსიტყვო მორჩილების, მონური ქედმოხრილობისა და უსაზღვრო სიყვარულის წყალობით დაიპყრო თავისი მწვალებლის, ამ დღემუდამ პირქუში, მრისხანე უზენაესი მსაჯულის გული. მარსელი გრძნობდა, რომ ამ პერსონაჟ ქალს ძალიან ჰგავდა; თითქოს შეისისხლხორცა მარტვილის როლი და მასში განსხეულდა; ზოგჯერ ფიქრობდა, რომ უბიწო და უცოდველი იყო, მაგრამ სასტიკი მბრძანებელი მის უსიტყვო მორჩილებასა და სიყვარულს სათანადოდ ვერ აფასებდა; ხშირად, ავხორცი გულისწადილით ატანილი გოგონა წარმოიდგენდა, რომ რაღაც საზარელი და მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა... ნეტარების მორევში იძირებოდა, როცა ათრთოლებული და ცრემლმორეული დაიჩოქებდა ამ მშვენიერი, სპეტაკი, მაგრამ საშინლად გულქვა მამაკაცის წინაშე, რომელსაც საოცრად სუფთა და ნათელი სახე ჰქონდა, მის ფერხთით განერთხმებოდა და ცოდვას მოინანიებდა. უზენაეს მსაჯულს, რომელსაც ხელთ ეპყრა მისი ბედი, შეეძლო, ხელაღებით მოეკლა სათუთი ქალიშვილი ან მარადიული სიცოცხლე ებოძებინა მისთვის. მარსელი თავმდაბლად მიმართავდა: „ჩემო ბატონო“, „უფალო“... მბრძანებელი უხეშად შემოაძარცვავდა მხევალს სამოსს, სულ მთლად გააშიშვლებდა და დააჩოქებდა. როცა მდიდრულად შეკაზმულ, ძვირფასი ჩულით დამშვენებულ ცხენზე ამხედრებას დააპირებდა, ქედმოხრილი მარსელის აცახცახებულ სხეულს მთელი ძალით, ულმობლად დააბიჯებდა ფეხს. მონას უხაროდა, რომ წარბშეჭმუხვნილი, დაუნდობელი ხელმწიფის

ტახტის საფეხურად, ამ პირსისხლიანი და უსულგულო ტირანის ნივთად, მისი დიდებული ფეხსაცმლის საწმენდ ჩვრად ქცეულიყო. ბილწი სურვილით ვნებიანად ათრთოლებული მხევალი, მდაბლად თავდახრილი, უტყვი თაყვანისცემით, აღტყინებითა და უსაზღვრო მორჩილებით გულაღვსებული მარადიული ტყვე ოცნებობდა, როგორმე გაეხანგრძლივებინა ეს წუთიერი ნეტარება და გახელებით დაეკოცნა მბრძანებლის ჩექმა; ამ მიწიერ ღვთაებას თავდავიწყებით განადიდებდა; მზად იყო, მისთვის თავიც კი გაეწირა; თავისივე ნებით, სიხარულითაც კი ემორჩილებოდა და ამ ცისქვეშეთში არაფერი იყო ამ სამარადჟამო მონობაზე საამური! გრძნობდა, როგორ უკაწრავდა ჩექმის უხეში დეზი ზურგს და ფიქრობდა, რომ ასეთი ზეციური ნეტარება არასოდეს განეცადა. უსასრულო, მაგრამ ძალზე სასიამოვნო ტანჯვა-წამების შემდეგ მარსელი უმოწყალო მსაჯულს დაარწმუნებდა, რომ ამქვეყნად მის გარდა არავინ უყვარდა. დესპოტს, საშინლად მკაცრი მზერა რომ შვენოდა, გული მოულბებოდა და შეწყალების ნიშნად მონას თავზე ხელს დაადებდა; სიბრალულის ყოვლისმომცველი ძალის წინაშე ეს გულქვა არსებაც კი უძლური იყო! ღონემიხდილი მარსელი მის მუხლებს თავდავიწყებით ეამბორებოდა, სიამის აბობოქრებულ ტალღებში ინთქმებოდა და ეჩვენებოდა, რომ მოზღვავებული სიხარულისა და სიამოვნებისაგან გული მისდიოდა.

ცამეტიოდე წლის იქნებოდა, როცა მისი მზერა ანაზდად წააწყდა საპირფარეშოს კედელზე გაკრულ ფელეტონს „პატარა პარიზელიდან“ (ფრანგული გაზეთი, რომელიც 1876-დან 1944 წლამდე გამოდიოდა. – მთარგმნ.); გულაძგერებულმა ამოიკითხა, რომ მამაკაცი ხარბი ტუჩებით მგზნებარედ უკოცნიდა ქალს თოვლივით თეთრ მკერდს; აეკვიატა ამ აკრძალულ ალერსზე ფიქრი; მონუსხულს, ეს ბილწი ხატება მთელი დღე თვალწინ ედგა; ვერა და ვერ განდევნა ეს სანეტარო, თუმცა სამარცხვინო ზმანება; საღამოს, საწოლში მწოლი, ოფლად იღვრებოდა, სახეზე ალმური ედებოდა და ამ ავხორცი ოცნებით ზღვარდაუდებლად, ურცხვად ტკბებოდა; ვნებით გახელებულმა, თავი განუცდელ სიამეს მისცა და მარსელი ხორციელი წადილის ყოვლისდამნაცრავ ძალას უდრტვინველად დამორჩილდა; თეთრეულის სიმხურვალეში შთანთქმული გახევებული გოგონა, რომელსაც მთელი სხეული სასიამოვნოდ დაჰბუჟებოდა, ყოველღამ უთმობდა თავის მკერდს ხორციელ ნეტარებას მოწყურებულ მსუნაგ ბაგეს; ისიც სიხარულით იღებდა ამ სანუკვარ ძღვენს; უცნობი მამაკაცის ხელები მბრძანებლურად, მაგრამ უსაზღვრო სინაზითა და სისათუთით ეალერსებოდა მის კანს; მარსელი გრძნობდა, როგორ

ეხებოდა მისი ძლიერი, გავარვარებული სხეული. დილით, როცა თვალს გაახელდა, რცხვენოდა კიდეც, ესოდენ ტკბილი ნექტარი რომ იგემა, მაგრამ შებინდებისთანავე სულმოუთქმელად ელოდა იმ ჯადოსნურ წამს, როცა მის თვალწინ აელვარდებოდა სანატრელი, ვნებიანი და მხურვალე ალერსის გულდამწველი ხატება; ძილი გაუკრთა, მოსვენება დაკარგა, ალიონამდე ციებიანივით ბორგავდა საწოლში. ვინ იცის, რამდენჯერ დაათენდა თავს! ცისკრის ვარსკვლავი ისე ამობწყინდებოდა, თვალს წამითაც კი ვერ მოხუჭავდა. თითქოს, ზეწარი, საბანი და ბალიში ცეცხლის ალში გახვეულიყო. ყოვლისწამლეკავი სურვილი ისედაც გავარვარებულ ტუჩებსა და ყელს კიდევ უფრო მტკივნეულად უშრობდა და ჯოჯოხეთურ ტანჯვას განაცდევინებდა; გოგონას ნაწამები ალისფერი ბაგე გვალვისგან გამხმარ, დახეთქილ მიწას დამსგავსებოდა; ხანდახან ცახცახი აიტანდა, მხურვალე სხეული ფოთოლივით აუთრთოლდებოდა და ცივი ოფლი ღვარად სდიოდა; მის ტანჯვას ერთ წელიწადში მოეღო ბოლო და ოდინდელი სიმშვიდე დაიბრუნა; ღამღამობით ისე ტკბილად ეძინა, როგორც – ბავშვობაში; მართალია, ეს ვნებიანი ზმანებები ტალღასავით საამოდ არწევდა და გულს სიხარულით უვსებდა, მაგრამ გადაწყვიტა, ფუჭი ოცნებებისთვის თავი ენებებინა, ლამაზი ილუზიებისა და აუხდენელი სურვილების უშრეტ წყაროს აღარ დასწაფებოდა და ქიმერებს აღარ დადევნებოდა და გამოსტირებოდა. სულგანაბული და შიშმორეული ელოდა თავის ბედისწერას.

ახლობლები სიყვარულით ავსებდნენ, მაგრამ მომთხოვნი ქალიშვილის მეტად მგზნებარე და ამაყ გულს ვერასოდეს გააბედნიერებდა ეს გაცვეთილი და უსიცოცხლო გრძნობა; მადამ დრიუფს ნებიერა ქალიშვილი თავს ერჩივნა, დღემუდამ მასზე ზრუნავდა და ცით მოვლენილ ღვთაებასავით ეთაყვანებოდა, მაგრამ მარსელი ხვდებოდა, რომ ეს პატივცემული ქალი არც განათლებით ბრწყინავდა და არც საარაკო ნიჭით; ცხადია, დედას აღმერთებდა, მაგრამ როცა მის გვერდით იყო, მარტოობისა და მიუსაფრობის შეგრძნება არ ასვენებდა; ისე გაცოფდებოდა ხოლმე, მშობელს უკმეხ შეპასუხებასაც კი შეჰკადრებდა; მოთმინებადაკარგული გოგონას ბაგეს თითქოს უნებურად სწყდებოდა გულის მომკვლელი, საზარელი მრისხანებით აღვსილი სიტყვები. იმაზე ფიქრიღა ანუგეშებდა, რომ მალე გაიზრდებოდა, გახდებოდა მამის უახლოესი მეგობარი და მისი გულის მესაიდუმლე, მაგრამ სამწუხაროდ, მუსიე დრიუფი მარსელს, პასკალსა (რომელიც ლათინურ ენას სწავლობდა) და პატარა მარგერიტს ერთმანეთისაგან არ არჩევდა. ეს ღირსეული ბატონი

სამივე შვილს თანაბრად უნაწილებდა სითბოსა და სიყვარულს. მარსელს სტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ მამის რჩეული არ იყო; ხშირად, მუსიე დრიუფი შვილს ხუმრობით ეტყოდა, ასეთი მორცხვი ნუ ხარო. ზოგჯერ, დასცინოდა კიდეც, უზარმაზარი ხელები გაქვსო. მამის ამაზრზენი ქილიკით გულმოკლულმა მარსელმა აღარ იცოდა, სად დაემალა თავისი საძულველი ხელები. მწარე იმედგაცრუება და ტკივილი ტანჯავდა. „ვინ შეიყვარებს ჩემისთანა საბრალო გოგონას?“ – ჩურჩულებდა სასოწარკვეთილი და გაწბილებული. ერთხელ, დილის წვეულებაზე დაპატიჟეს, მაგრამ საუბედუროდ, საცეკვაოდ არავინ გაიწვია. ამ საშინელ მასკარადს ბოლო აღარ უჩანდა. როცა საღამოხანს შინ დაბრუნდა, მამამ უსაყვედურა, ასეთი დაღვრემილი, პირქუში და წარბშეკრული რატომ ხარო. უეცრად მარსელს ცრემლი წასკდა, გიჟივით შევარდა თავის ოთახში და კარი საგულდაგულოდ გადარაზა. მადამ დრიუფმა რამდენჯერმე კრძალვით მიუკაკუნა, მაგრამ გულგამეხებულმა ქალიშვილმა მშობელი დედაც კი არ შეუშვა თავის სამფლობელოში; უკუნ სიბნელეში საწოლზე გაშოტილიყო, გახევებული დაჟინებით შესცქეროდა ჭერს, რომელზეც წამით აციმ-ციმდებოდა ქუჩაში ხმაურით ჩავლილი ტრამვაის შუქი და კვლავ წყვდიადი ისადგურებდა; თავი ძალიან ებრალებოდა. აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ვერასოდეს შეიცვლებოდა. მთელი სამყარო მუხლს იდრეკდა ჩერჩეტი, თავქარიანი და ჭკუათ-ხელი ქალიშვილების წინაშე; მიუხედავად ამისა, ეს დიდებული ქმნილება მათ თავის დღეში არ დაემსგავსებოდა! სამარის კარამდე არავის მისცემდა ულევი სიმდიდრით აღსავსე თავისი ამაღლებული სულის ჩაკვლისა და შინაგანი სიწმინდის შებღალვის უფლებას!

„მე სხვებს არ ვგავარ!“ – გაიფიქრა აღტყინებულმა, საწოლიდან წამოდგა, დარაბები გამოაღო და აივანზე გავიდა; პარიზს სათოვლიების მდელოსავით იისფერი ზეცა დაჰყურებდა; ისეთი ნაზი, საამური და მშვენიერი ღამე იყო, მარსელს გული ძალუმად აუძგერდა. ფიქრობდა მადამ დე სტალზე, ჯორჯ ელიოტზე, გრაფინია დე ნოაიზე... სწორედ მაშინ, იმ ჯადოსნურ წამს მოხდა უდიდესი სასწაული და მის ბედისწერას იდუმალების საბურველი შემოეძარცვა; თითქოს, თვალი აეხილა, საოცარი ხილვა ეზმანა, გონება გაუნათდა და მომავალი ცხადად იხილა. „გენიოსი მამაკაცის ცხოვრების მეგზური ვიქნები,“ – დაიჩურჩულა გულაჩქროლებულმა და არაამქვეყნიური აღმაფრენა დაეუფლა.

საზარელი ომიც დაიწყო; სისხლის ამაზრზენი სუნით გაჟღენთილი ზამთრის ერთ სუსხიან დღეს მარსელმა გაიფიქრა, მგონი, როგორც იქნა, ის ვიპოვეო; „ის“ დიდებული ლეიტენანტი აღმოჩნდა და

სანგარში ეპიქტეტეს „საუბრებს“ კითხულობდა. ქალიშვილს სურდა, ამ ბრწყინვალე მამაკაცის ღირსი გამხდარიყო და მისი სიყვარული და კეთილგანწყობა მოეპოვებინა; სამწუხაროდ, ძალზე ახალგაზრდა იყო და მოწყალების დად არ ამუშავებდნენ; ძველი ქვედაბოლოები დაუნანებლად დაფლითა და ნაძენძებით „ყურებიანი“ ქუდების ქსოვას შეუდგა; დღე-ღამეს შრომაში ასწორებდა, თლილი თითები არც კი ეღლებოდა, მისი მგზნებარება არა და არ ცხრებოდა; შანზ-ელიზეზე წითელი ჯვრისთვის მოწყალებას ითხოვდა და ისე შესაბრალისად გოდებდა, მისი სულისშემძვრელი მუდარა ცას სწვდებოდა. მადამ დრიუფს ქალიშვილის ნაღვლიანმა სახემ საფიქრალი გაუჩინა და გადაწყვიტა, მისთვის ყოველ საღამოს ფორთოხლის ყვავილის ნაყენი დაელევინებინა, რათა, საშინელ ზმანებებს არ გაეწამებინა, ტკბილ ძილს მისცემოდა და მთელი ღამე საბრალო დაჭრილები და ჩრდილოეთიდან გამოხიზნული ბავშვები არ დასიზმრებოდა; როგორც იქნა, მარსელმა სისხლითა და ცხედრებით სავსე ეპოქაში სახეზე ცოტაოდენი პუდრის წასმა გაბედა. ამ საშინელმა ომმა იმდენი ცრემლი ადინა, დღედაღამ ისე საწყალობლად ქვითინებდა, შეშინდა, ცხვირი არ გამისივდეს და თვალები არ დამიწითლდესო. რწმენა დაკარგა; უსამართლობის, განუკითხაობის, ადამიანთა დაუამებელი ტკივილის, გაუსაძლისი ტანჯვა-წამებისა და სულის მოუშუშებელი იარების შემხედვარე ქალიშვილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არავითარი ღვთიური განგება არ არსებობდა.

საშინელი წლები დაუდგა. მის ტანჯვას ბოლო არ უჩანდა. როცა ეკალ-ბარდიანი გზა განვლო, გაუკვირდა კიდეც, ამ გოლგოთას რომ გაუძლო და მწვავე სულიერმა კრიზისმა არ დასცა. ღმერთმა დაუნანებლად მიატოვა და მისი ვედრება არ შეისმინა, ადამის ვერაგმა და უნდობარმა მოდგმამ კი სულმდაბლურად უმუხთლა. ხშირად ენატრებოდა ზეცაში დავანებული შარავანდედმოსილი ღმერთკაცი. გმირული სულისკვეთებით აღსავსე ახალგაზრდა ლეიტენანტმა (რომელიც თავისი ბედისწერა ეგონა) მარსელის ბიძაშვილი შეირთო. განქარდა და სამარადისოდ დასამარდა ომის ქარ-ცეცხლში, სანგრებში, ტალახსა და სისხლის მორევში ეპიქტეტეს მკითხველი საარაკო მებრძოლის ბრწყინვალე ხატება. თითქოს, სამყარო დღითიდღე უფრო მრისხანედ იკრავდა წარბს და მარსელს ცივად და მტრულად უმზერდა. სულმოკლე და თვალთმაქცმა ადამიანებმა გააწბილეს და გული ატკინეს. ნატრობდა, სადღაც შორს, ძალიან შორს გადახვეწილიყო და თავი საოცნებო სავანისათვის შეეფარებინა. ერთხანს, იმასაც კი ფიქრობდა, მადაგასკარში გავემგზავრები და

ჩემი ცხოვრების უსიხარულო დღეებს კეთროვანებზე ზრუნვაში გავლევო, მაგრამ შეეშინდა, დედა ასე მოულოდნელად რომ მივატოვო, თავზარი დაეცემაო. მშობლის უსაზღვრო სიყვარულმა და ოდინდელმა კრძალვამ დიდსულოვან განზრახვაზე ხელი ააღებინა. დილიდან საღამომდე ქუჩებში დაეხეტებოდა, კილომეტრებს გაივლიდა ხოლმე, მაგრამ სულ არ იღლებოდა. ბულონის ტყეში ხეებს ეალერსებოდა, კოცნიდა და სიყვარულით უსვამდა ლოყას ამ ცოცხალი არსებების ხორკლიან, უხეშ ქერქს. ეს მწვანედ შემოსილი არსებები საამოდ ჩასჩურჩულებდნენ: „შეგვიყვარე!“ ამ უნაზეს ტრფობას, ამ ნექტარივით ტკბილ გრძნობას მისთვის ტკივილი და იმედგაცრუება როდი მოჰქონდა! ბუნება უშურველად, გულუხვად ჩუქნიდა მასულდგმულებელ სითბოს, სიყვარულსა და სისათუთეს, ადამიანები კი გულს უკლავდნენ.

ომი დასრულდა თუ არა, მუსიე დრიუფი გარდაიცვალა. მარსელი ოციოდე წლის გახლდათ, პასკალი საბაკალავრო გამოცდებისთვის ემზადებოდა, მარგერიტი კი სადაც იყო, მეხუთე კლასში გადავიდოდა. ძეხორციელი ვერ მიხვდა, როგორ ჩაიგდო ხელში ჩალის ფასად მადამ დრიუფმა მადმუაზელ ოლივიეს ბიბლიოთეკა; ამ გაქნილმა ქალმა მიზანს მიაღწია და გვარიანი შემოსავალიც გაიჩინა. მარსელს მის კმაყოფაზე ცხოვრება არ უნდოდა. იმაზე ფიქრიც კი ზარავდა, რომ მშობელ დედას მძიმე ტვირთად დააწვებოდა. არა, ასეთ საძრახის უღირსობას ვერ იკადრებდა! ქალიშვილი ცხოვრების აზრის პოვნას ლამობდა. სამსახურის მოძებნა გადაწყვიტა. არ უნდოდა, უფერული, მოსაწყენი სამუშაოს მძიმე უღელში შებმულიყო და საქმე უგულოდ ეკეთებინა. მხოლოდ თავისი გულის ხმისთვის უნდა დაეგდო ყური და მისი საამური ბრძანებები უსიტყვოდ, წარბშეუხრელად შეესრულებინა. შეუმცდარი და ბრძენი გული ეტყოდა, რა გზას დასდგომოდა. მხოლოდ ეს სანუკვარი საუნჯე გაუმხელდა ჭეშმარიტებას! უნდოდა, საქმეში სული და გული ჩაექსოვა. ორ წელიწადს გულმოდგინედ ემზადებოდა ახალი, სულ სხვაგვარი ცხოვრების ზვირთებში დასანთქმელად. როგორც იქნა, მენილმონტანის ქუჩაზე მისთვის ერთი დინსპანსერის კარი გაიღო.

დაწესებულების დირექტორი ორმოციოდე წლის ქალი გახლდათ; ამ მეტისმეტად ნაზ, სათნო და მგრძნობიარე არსებას მრავალი ტანჯვა-ვაებისა და ქარტეხილისთვის გაეძლო; მისი სათუთი გული ამ უსამართლო ცხოვრებას და მსახვრალ ბედისწერას უმოწყალოდ ეწამებინა; რაწამს თვალი შეავლო მარსელს, მისმა ახალგაზრდულმა სილამაზემ, სინორჩემ, სინატიფემ, მთრთოლვარე ხმამ და მგზნებარე

მზერამ დაატყვევა. გვემულ ჟერმენ მასონს, ამ ბალზაკის ასაკს მიტანებულ ქალს, თვალებანთებული ქალიშვილი გატაცებით შეუყვარდა. მარსელი ჭეშმარიტი მეგობრობის სიამეს ეზიარა. ჟერმენი ღრუბელივით ფაფუკ ყელსახვევებს უქსოვდა და თითქმის ყოველ კვირადღეს ვახშმად ეპატიჟებოდა. როცა ეახლებოდა, მარსელი ბავშვობას იგონებდა, ამ კეთილშობილ ქალს საიდუმლოებებს, გულში სათუთად შენახულ ოცნებებს, სანუკვარ მისწრაფებებს უმხელდა და მწარე იმედგაცრუებაზეც კი გულახდილად ესაუბრებოდა; ერთხელ უთხრა, მეტად უჩვეულო და უცნაური ხასიათის ქალიშვილი ვარო; ჟერმენი ქალღმერთივით ეთაყვანებოდა და მისი სიდიადის წინაშე ქედს იხრიდა; ქალის უმოწყალოდ განაწამები გული მონური სიყვარულითა და თავდადებით აღივსო; მზად იყო, მისი გულისთვის თავი დაუფიქრებლად გაეწირა და ამ საოცარი არსებისთვის კუბოს კარამდე ეერთგულა. საუბედუროდ, მარსელს ახალმა ცხოვრებამაც გაუცრუა იმედი; ამაოდ ფიქრობდა, რომ შრომაში ნუგეშს ჰპოვებდა; დაწესებულება მხოლოდ მიწიერი საზრდოთი აპურებდა უბნის ღარიბ-ღატაკებს, მცონარა ახალგაზრდებს სამუშაოს აძლევდა და ლუკმა-პურსა და თბილ ტანსაცმელს უწყალობებდა ობოლ, ბედკრულ გოგო-ბიჭებს, რომელთაც არ დასცალდათ ბავშვობის საამური, უზრუნველი და განუმეორებელი დღეებით ტკბობა; მარსელი უანგაროდ ზრუნავდა ავადმყოფებზე, დისპანსერის კართან მომდგარ უიმედო სნეულებს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევდა და ზოგჯერ, შინაც კი აკითხავდა. ექთნები თავდადებული და მეტად სერიოზული ქალები ჩანდნენ, მაგრამ ქალიშვილი მალევე მიხვდა, რომ ისინი საქმეში სულაც არ აქსოვდნენ სულსა და გულს, ამ წმიდათაწმიდა დაწესებულების წყალობით მოიპოვებდნენ სარჩო-საბადებელს, ამაზრზენი სიბილწით გასვრილ ფულს და მხოლოდ მდაბალი მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ლამობდნენ. მარსელს დღედაღამ ავადმყოფობაზე, ხორციელ სატანჯველზე, შიმშილზე, გაჭირვებასა და სიღატაკეზე ელაპარაკებოდნენ. სხეულს, – ამ უწმინდურ ურჩხულს, ამ ღვთისმგმობელს, სამუდამოდ ჩაეკლა ადამიანში სული და მთელს ქვეყანაზე თავისი საზარელი მეუფება გაევრცელებინა. ცოდვილ მიწაზე, ამაოებისა და ქაოსის ამ მორევში სპეტაკი ქალიშვილი არასოდეს შეხვედროდა ამაღლებულ სულს!

საღამოობით, როცა შინისაკენ მიმავალ გზას დაადგებოდა და ხალხით გაძეძგილ მეტროს ვაგონში შეაბიჯებდა, სევდამორეული ფიქრობდა, ნუთუ, ჩემი გულის სიცარიელეს ვერასოდეს ვერავინ შეავსებსო. სასოწარკვეთილი უმზერდა მამაკაცების დაკოჟრილ

ხელებსა და ქალების ლამის მიწისფერ სახეებს... მათ უმეტყველო თვალებში სამარადჟამოდ ჩამქრალიყო ადამის მოდგმის მაცოცხლებელი დიადი იდეალების საამო ნათება და უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა; ამ შესაბრალის მარტვილებს მთელი დღე გაელიათ მომქანცველ, მტანჯველ შრომაში; მალე შიმშილით ულმობლად განაწამებ სხეულებს საჭმლით ამოიყორავდნენ, საწოლს თავს შეაფარებდნენ და ძილს მიეცემოდნენ; აი, რა იყო მათი დიადი იდეალი – მიწიერი საზრდო; მუცელღმერთებს ლუკმა-პურის მოპოვების გარდა არაფერი ადარდებდათ, ეს უსახური არსებები ნეტარი მოგონებებით არ ტკბებოდნენ, მათ გულებში იმედის სუსტი სხივიც კი არ კიაფობდა, მათ შინაგან სამყაროში ყურთასმენის დამტკბობი ლექსების ჯადოსნური სამყარო არ ცოცხლობდა, დარდის გაქარვება და ჯოჯოხეთური ტკივილის ცოტა ხნით დაამებაც კი არ ძალუძდათ. პოეზიის აზვირთებული ტალღები ჭირვეული ბავშვივით ვერ დაარწევდა მათ დამაშვრალ სხეულებს და უკიდეგანო ოკეანეში საუკუნოდ დავანებულ შემოქმედთა მომნუსხველ ჩურჩულს ვერასოდეს დაუგდებდნენ ყურს! მიწის უკუნ გულისგულში სამუდამოდ დამარხული მათი უსიხარულო და უღიმღამო ცხოვრება ქალიშვილს იმ გვირაბებივით ბნელი და ცივი ეჩვენებოდა, რომლებშიც მატარებლები აუტანელი გრუხუნითა და ქშენით მიქროდნენ. გულისამრევ ვაგონებში სული ეხუთებოდათ. მარსელს გული სიბრალულით ევსებოდა, ყელში ბურთი ეჩრებოდა, თითქოს, კაცობრიობის სევდა და გაუსაძლისი ტანჯვა უღონო მხრებზე მძიმე ტვირთად აწვებოდა და სადაც იყო, უმოწყალოდ გასრესდა; გრძნობდა, რომ ამ ჯვარს ვეღარ ზიდავდა და სადაც იყო, ძალ-ღონე გამოლეული, გოლგოთას შუაგზაზე დაეცემოდა; უნდოდა, ამ ბედშავებს სილამაზეზე, სიყვარულსა და ტანჯვის სიდიადეზე გულდადინჯებით, დამაჯერებლად და ერთობ მაღალფარდოვნად დალაპარაკებოდა და მათი ცხოვრება სამუდამოდ შეეცვალა, მაგრამ საუბედუროდ, მათი დახმარება არ შეეძლო; ო, რა ამაოდ ივსებოდა გულმოწყალებით! ეს ურგები კეთილშობილება ისედაც გულს უკლავდა, მაგრამ ცხვირ-პირში ოფლის საზიზღარი სუნი რომ ეცემოდა, თავბრუ ეხვეოდა და გაიფიქრებდა, სადაცაა, გული წამივაო; რაწამს ვიღაცის საშინლად უხეში და ტლანქი სხეული შეეხებოდა, გულს ისე აზიდებდა, იძულებული ხდებოდა, ვაგონიდან გიჟივით გავარდნილიყო და დარჩენილი მანძილი ფეხით გაევლო; შინ დაბრუნებული, სარკეში არეკლილ თავის სახეს მხურვალე ამბორს უძღვნიდა; მეტყველი თვალები და ძალზე ღრმა, გულში ჩამწვდომი

მზერა ჰქონდა, მაგრამ გამუდმებულ ტანჯვას მისთვის სამარადჟამო დაღი დაესვა; უპეები ნაოჭებით დაჰღარვოდა, თითქოს, ლანდიც კი გასდიოდა და კანი ფუტკარას ყვავილივით მოწითალო ლაქებით დაწინკლოდა. ეს პათეტიკური ქალიშვილი ნამდვილად იყო იმის ღირსი, რომ მისი სიყვარულით ანთებულიყო საარაკო გმირის გული და თავბრუდამხვევი, დაუვიწყარი, ზღვარგადასული და უგონო მიჯნურობის ბანგი ეგემნა. „ო, ჩემო სატრფოვ,“ – ჩურჩულებდა გულმოკლული.

***

მარსელი ერთ წელიწადს მუხლჩაუხრელად შრომობდა მენილ-მონტანის ქუჩაზე; როგორც იქნა, გაუთენდა ის ნანატრი დღე, როცა იგრძნო, რომ სულ მალე დახარჯავდა იმ უშრეტ სასიცოცხლო ენერგიას, რომელიც ასე გრგვინავდა და ბობოქრობდა მასში; ბოლოს და ბოლოს მთელ სამყაროს უშურველად და უხვად მოჰფენდა გულმოწყალებას, სიკეთესა და აურაცხელ შინაგან სიმდიდრეს – ამ ხელუხლებელ, საგულდაგულოდ გადამალულ სანუკვარ საუნჯეს, რომლითაც აქამდე ძეხორციელი ვერ დამტკბარიყო.

აპრილის მშვენიერი დილა იდგა; მარსელი თავის კაბინეტში იჯდა, ციფრებით აჭრელებულ ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა, და-წესებულების ხარჯებს ითვლიდა და ჩურჩულებდა: „ძალიან ძლი-ერი და შეუპოვარი ვარ, მაგრამ ამ საზიზღარ, ბნელ სოროში სან-თელივით ვიღვენთები! ეს ამაზრზენი და ბინძური სამუშაო მთელ ჩემს სასიცოცხლო ძალასა და მგზნებარებას არარად აქცევს. ო, რა ფუჭად ჩაივლის ჩემი საარაკო თავდადება და გულმოდგინება!“ ანაზდად, კაკუნი შემოესმა. წამოდგა და კარი გააღო. კონსიერჟმა ორი მოსაწვევი გაუწოდა. „მორის პერდრიერი – „ერთ მუშტად შეკრული საზოგადოების“ დირექტორი“, „პოლ დეროში – ხიდებისა და გზატ-კეცილების ინჟინერი,“ – ამოიკითხა სრულიად უცხო ადამიანთა სახელები და თვალის დახამხამებაში ოცდახუთიოდე წლის ყმაწვი-ლებს შორის აღმოჩნდა. მის ცხოვრებაში უცაბედად შემოჭრილ სანდომიან ახალგაზრდებს მეტად ბრძნული გამომეტყველება ჰქონდათ, თვალები მხიარულად უციმციმებდათ, შინაურულად და არხეინად მასლაათობდნენ და ერთმანეთს წყლის ორი წვეთივით ჰგავდნენ. იფიქრებდით, ძმები, ნათესავები, ან უახლოესი მეგობრები არიანო. მარსელს ძალიან ესიამოვნა, რომ მათ უყოყმანოდ, თამა-მად, ცოტათი მკაცრად და უკმეხადაც კი, თუმცა დამაჯერებლად უთხრეს, თქვენთან თანამშრომლობა გვსურსო. ამ გამბედავმა და

უშიშარმა ყმაწვილკაცებმა მისი ნდობა და კეთილგანწყობა თვალის დახამხამებაში მოიპოვეს!

„ერთ მუშტად შეკრული საზოგადოების“ დაარსება მეგობრებმა ომის ქარცეცხლში, სისხლისა და სიკვდილის გულისამრევი სუნით გაჟღენთილ წლებში გადაწყვიტეს; სწორედ ამ საზარელმა ხანამ შვა ასეთი დიადი აზრი! მილიონობით ადამიანის სისხლით მორწყულ უნაყოფო მიწაში ჩასახულმა ამ თესლმა გაიხარა და კეთილსურნელოვანი ნაყოფი გამოიღო! განუყრელმა მეგობრებმა, პერდრიერმა და დეროშმა ერთი წელი დაჰყვეს ფრონტის ხაზზე, იმ ჯოჯოხეთში; სხვები იქ მხოლოდ გულშემზარავ სიბინძურეს, ტალახსა და სისხლის გუბეებს ხედავდნენ, მათ კი აღმოაჩინეს სასწაულებრივი, ადამის მოდგმის მასულდგმულებელი მეგობრობა და ერთობა! 1919 წელს ომს ბოლო მოეღო, ამ პირსისხლიან, განგმირულ ურჩხულს უკანასკნელი ამოსუნთქვა აღმოხდა, ყმაწვილები კვლავ წიგნებისა და სწავლულების ჯადოსნურ სამყაროს დაუბრუნდნენ, მაგრამ ეულად შთენილებმა მალევე იგრძნეს, რომ აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ; თავგზაარეულ და სასოწარკვეთილ ძმადნაფიცებს მარტოობა, მიუსაფრობა, უმწეობა და საზიზღარი ეჭვი ცოფიანი მხეცივით უფლეთდა გულს; ოდესღაც, წმინდათაწმინდა გონებრივი შრომა სრულყოფილების საამო შეგრძნებით აღავსებდათ, მაგრამ ეს ნეტარების წყაროც კი დამშრალიყო; ცხოვრება სამუდამოდ შეცვლილიყო; უსაზღვროდ ენატრებოდათ ის ფასდაუდებელი და შეუდრეკელი მეგობრობა, რომელმაც ისინი ომის დროს სამუდამოდ შეაკავშირა; ნატრობდნენ, კვლავ დასწაფებოდნენ ამ ტკბილ ნექტარს; ნოსტალგიით აღვსილმა ძმადშეფიცულმა ახალგაზრდებმა მტრული ბანაკების შერიგება განიზრახეს; თუკი სამუდამოდ გაანადგურებდნენ საზიზღარ კლასობრივ შეგნებას, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის გადაულახავ კედლად რომ აღმართულიყო, ძველ ქიშპობას ბოლო მოეღებოდა, მოსისხლე მტრებსაც კი ისეთივე ღრმა, წრფელი და სუფთა გრძნობით შეუყვარდებოდათ ერთმანეთი, როგორითაც – ამ საარაკო თანამებრძოლებს; ბინძურ სანგრებში, ქვემეხების ქუხილში, ცხედრების ზღვასა და ჭუჭყში შობილი მეგობრობის სხივმოსილი ხატებისთვის სასიცოცხლო სუნთქვა უნდა შთაებერათ. როგორც იქნა, საწადელს მიაღწიეს! მათმა უშრეტმა ენთუზიაზმმა და კეთილმა ნებამ ყოველგვარი დაბრკოლება დაძლია და მგზნებარე ახალგაზრდების გული მოიგო. დაწესებულებაში პატარ-პატარა ჯგუფები ჩამოაყალიბეს. საღამოობით გარეუბნებში დადიოდნენ, ნორჩ შეგირდებსა და ახალგაზრდა, საბრალო შავ

მუშებს ლექციებს უკითხავდნენ... სურდათ მათთან დამეგობრება და მათი კეთილგანწყობის მოპოვება. ეს ახალშობილი მოძრაობა არცერთ პოლიტიკურ პარტიას თუ იდეოლოგიას არ ემხრობოდა. მხოლოდ წმიდათაწმიდა, ქრისტიანული თავდადებითა და ზეციური შთაგონებით აღასრულებდნენ ამ დიად მოვალეობას, მაგრამ მათთვის სრულიად უცხო გახლდათ რელიგიური პროზელიტიზმი და ფანატიზმი; ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევას არავის აიძულებდნენ; ხალხს უანგაროდ უწვდიდნენ დახმარების ხელს, განათლებული სტუდენტები ახალგაზრდა მუშებს სთავაზობდნენ იმ მარადიული ღირებულების მქონე მაცოცხლებელ სულიერ საზრდოს, რომელიც ადამიანს განუზომელ შინაგან ღირსებას ანიჭებს; თავის მხრივ, ეს ღარიბ-ღატაკი, უსწავლელი გოგო-ბიჭებიც უზიარებდნენ თავიანთ შინაგან სიმდიდრეს და მეგზურობდნენ სწავლულთათვის სრულიად უცხო მხარეში, უბრალო, გულმართალი ხალხის სამყაროში; მტვერწაყრილი წიგნების სავანეში გამოკეტილი ინტელექტუალების გულებს სასიცოცხლო მგზნებარებით აღავსებდა სულგრძელობის, თავაზიანობის, ხელგაშლილობის, სიკეთის, სიმამაცისა და კეთილგანწყობის ცხოველმყოფელი ცეცხლი, რომელიც ამ უწიგნური ადამიანების სულში გიზგიზებდა.

„არავინ ელოდა, რომ ასეთ წარმატებას მოვიპოვებდით. ახლა მხოლოდ მატერიალური პრობლემები გვიშლის ხელს. ცარიელი შენობები გვჭირდება; ხშირად, ბისტროებშიც კი ვხვდებით ერთმანეთს, – ღიმილით უთხრა პერდრიერმა მარსელს და დასძინა: – იქაც მშვენივრად ვგრძნობთ თავს, მაგრამ სამწუხაროდ, უამრავი ფული გვეხარჯება; მიუხედავად ყველაფრისა, იქ, თითქოს, ხელფეხშეკრულნი ვართ, მაინც უცხო ადგილია და ოჯახურ სითბოს ვერასოდეს ვიგრძნობთ. თუ ხელს გაგვიმართავთ და პატარა თავშესაფარს მოგვცემთ, სამარის კარამდე თქვენი მადლიერი ვიქნებით! ეს უბრალო ადგილი კი არა, ჩვენი ნავსაყუდელი იქნება! თქვენი ვალიდან ვერასოდეს ამოვალთ!“

მარსელს ნიკაპი ხელისგულზე ჩამოედო და ენაწყლიანი პერდრიერისთვის ცნობისმოყვარეობით ანთებული მზერა მიეპყრო; ისინი ნამდვილად ყველასგან გამორჩეული, სულკურთხეული ახალგაზრდები იყვნენ!

„ხალხის გასაჭირი გულთან მიმაქვს. თქვენს განკარგულებაში მიგულეთ. ნურაფრის თხოვნა ნუ მოგერიდებათ. ყოველთვის სიხარულით გამოგიწვდით დახმარების ხელს. ამ დაწესებულებაში ადამიანებს მხოლოდ ხორციელ ტკივილს ვუამებთ, მაგრამ განა

სხეულზე ზრუნვა საკმარისია?! რა ხანია, ამაზე ფიქრი მაწამებს... ჩვენ, ღვთის ქმნილებები, მარტოოდენ ლუკმა-პურით როდი ვსულ-დგმულობთ! სულიერი საზრდოც ხომ გვჭირდება?! – მიუგო აღ-ფრთოვანებულმა მარსელმა.

–თქვენი წყალობით არნახულ წარმატებას მივაღწევთ! ამ უბანს შესანიშნავად იცნობთ, იცით, რა შეუძლია ამ ხალხს, რა უჭირს, რა ულხინს... ამ ჯგუფის ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელ წვლილს შეიტანთ! – შესძახა ახალგაზრდამ. დიდსულოვანი მარსელი სიხა-რულით დასთანხმდა ენთუზიაზმით აღვსილ, გულანთებულ მეგობრებს და ისიც ახარა, ზეგ ვახშმად მეწვიეთ და ამ საკითხზე გულდასმით ვისაუბროთო. მათ კარი გაიხურეს; ქალიშვილი მარ-ტოდმარტო დარჩა; საოცარი სიხარული დაეუფლა; სხეულში აღტყი-ნების ტალღამ დაუარა; სულ მალე დადგებოდა ის ნანატრი დღე, როცა თავს საარაკო გმირობით ისახლებდა, თავის შესაძლებლობებს სრულად გამოავლენდა და მთელ ქვეყანას დაუმტკიცებდა, რომ სუსტი, მხდალი და უღონო კი არა, ჭკვიანი, მიზანდასახული, შეუპოვარი, ქედმოუდრეკელი და ძლიერი ქალიშვილი იყო! ფანჯარა გამოაღო, რაფას დაეყრდნო და ბაღს გადახედა; პაწაწინა, დანამულ, ოდნავ წებოვან, მთრთოლვარე, ნორჩ ფოთოლთა ოკეანეს მზის ცელქი სხივები დასთამაშებდა და ნაირფრად აელვარებდა; პეპელასავით ნარნარად მოფარფატე ეს მშვენიერება ქალიშვილს აღაფრთოვანებდა; მის სულშიაც იღვიძებდა თვალწარმტაცი გაზაფხული; იღვიძებდა ყურთასმენის დამტკბობი გუგუნით, ზათქითა და ზრიალითა; ეს მისი სულის გაზაფხული გახლდათ; სიცოცხლის ჭეშმარიტი ზე-იმი; ყოველივე აყვავებულიყო, ყოველივე ხარობდა. ყველასთვის გულუხვად უნდა ეწყალობებინა ის აურაცხელი შინაგანი სიმდიდრე, რომლითაც მისი სული აღივსო მარტოობით, ვაებით, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამებით, ურვითა და გულსიმომკვლელი გოდებით სავსე საზარელ წლებში; მიუსაფრობაში, ტკივილსა და უიმედობაში ჩასახული თესლისგან თვალგასახარი, საარაკო სილამაზის ყვავილი უნდა აღმოცენებულიყო, ალისფერი ფურცლები კეკლუცად გაეშალა და ქვეყნიერებისთვის საამო სურნელი მოეფინა; ამ ფასდაუდებელი საგანძურის წყალობით საგმირო საქმეებს ჩაიდენდა; ყურს უგდებდა თავის გულს, რომელიც, თითქოს, სასიამოვნოდ ეჩურჩულებოდა, მოქმედების დრო დადგაო. არაამქვეყნიური აღტყინება ეუფლებო-და და გრძნობდა, რომ მისი ტანჯული გული კვლავ სასიცოცხლო ძალითა და ცხოველმყოფელი სიხარულით ივსებოდა და გამალებით ფეთქავდა; ისეთი აღფრთოვანებით შეეგება ხელახლა შობილ

თავის გულს, – ამ ერთადერთ საუნჯეს, თითქოს, უფალს სამყარო ხელმეორედ შეექმნას, ზეციურ ნათელს წყვდიადი გაეფანტოს და სიცოცხლის თვალწარმტაცი გარიჟრაჟი დამდგარიყოს.

ახალგაზრდებმა დისპანსერის სასადილო ოთახში ივახშმეს; სამწუხაროდ, ჟერმენმა მოსვლა ვერ შეძლო; მარსელმა გემრიელი, მდიდრული კერძები შეუკვეთა და მაგიდას დედამისის დიდი რუდუნებით მოქსოვილი მოსირმული სუფრა გადააფარა. პერდიერი და დეროში ცხვირწინ დახვავებულ საჭმელს ზედაც არ უყურებდნენ; ამ სულგრძელი ახალგაზრდებისათვის მუცელღმერთობა სრულიად უცხო იყო! გულანთებულნი სულმოუბრუნებლად, გაცხოველებით საუბრობდნენ ხალხის გასაჭირზე, წმინდა პოეზიასა და ადამიანთა ხვედრზე. მიწიერი სიმდაბლით გულმოკლული მარსელის ყურთასმენას ასეთი მაღალფარდოვანი და ნატიფი სიტყვები არასოდეს მისწვდომოდა. მასში ცნობისმოყვარეობის ცეცხლი აგიზგიზდა. მეგობრები ამბობდნენ, ცოდნა კი არ უნდა დავამდაბლოთ და მისი ცხოველმყოფელი სხივი ხალხის ჭუჭყითა და ლაფით წავბილწოთ, არამედ – ადამიანებს განათლების ფრთები უნდა შევასხათ, რათა სულიერად ამაღლდნენ და ნისლში ჩაკარგული მწვერვალები დაიპყრონო. პერდრიერმა თქვა, ერთ ახალგაზრდა ასოთამწყობს ვიცნობ, რომელსაც პოლ ვალერის ნაწარმოებები სორბონელ პროფესორებზე ბევრად უკეთ ესმისო. მარსელმა მათ დესერტად ბენედიქტინი (ბენედიქტელთა სააბატოში დამზადებული ლიქიორი. მთარგმნ.) მიართვა და ორიოდე ყლუპი თავადაც დალია. გადაწყვიტეს, რომ პერდრიერი მოწაფეებს ხუთშაბათობით წაუკითხავდა ლექციებს, დეროში და კიდევ ერთი თანამშრომელი კი ინგლისურს, ანგარიშსა და ფრანგულს შეასწავლიდნენ სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებს. „მხოლოდ მომავალ თაობას ვაზიარებთ უდიდეს ცოდნას, რამეთუ სწორედ მათ უნდა შეცვალონ სამყარო!“ – შესძახა პერდრიერმა. შეგირდების მშობელთა გულის მოგებაც უნოდათ. ერთხმად თქვეს, თვეში ერთხელ მათი ოჯახის წევრები და მეგობრები ყველასთვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ სადღესასწაულო დარბაზში მოვიწვიოთო. პერდრიერმა დასძინა, კარგი იქნება, თუ ერთად ხშირად ვისეირნებთო. ღრმად სწამდა, რომ თუ მწვანედ აბიბინებულ მოლზე ისადილებდნენ, არხეინად ისეირნებდნენ და გუნდურ სიმღერებს შემოსძახებდნენ, უზენაეს ზნეობრივ პრინციპებს შეისისხლხორცებდნენ და საბოლოოდ დარწმუნდებოდნენ, რომ სულიერება კაცობრიობის ერთადერთი სანუკვარი საუნჯე იყო. მარსელმა მიუგო, ცუდია, რომ პანსიონი ექვს

საათზე იხურება, ჩვენი სტუმართმოყვარე დაწესებულების კარი ყველასათვის დღედაღამ ღია უნდა იყოს, საღამოს რვამდე აქედან ფეხს არ მოვიცვლი და წიგნების, სხვადასხვა გამოცემებისა და საბილიარდო მაგიდის შოვნასაც ვითავებო.

გულაჩქროლებული ყმაწვილები მისმა სიტყვებმა კიდევ უფრო გაახარა. მახვილგონიერი, ოცნებამორეული, ენაწყლიანი, საოცარი შთაგონებით აღვსილი დეროში ჩურჩულებდა, თქვენი დიადი იდეების წყალობით მენილმონტანის ქუჩის ჯგუფი წარმატების მწვერვალებს დაიპყრობსო. როცა ამ ღმერთკაცის ბაგეთაგან ასეთი მომაჯადოებელი სიტყვები იღვრებოდა, მარსელმა მისი ტუჩის კუთხეში პატარა ნაიარევი შენიშნა; ისიც შეამჩნია, რომ წვივსაკრავები არ ეკეთა და რაწამს ფეხს ფეხზე გადაიდებდა, კოჭები მოუჩანდა; ამ წარმტაცმა სილამაზემ გული აუჩუყა. ისინი თუმცა უსახურ ბრბოზე ამაღლებული, გამორჩეული, სულმნათი ზეციური ქმნილებები იყვნენ, მაგრამ მაინც სისხლსავსე, ტლანქი, მოუქნელი დიდი ბავშვები გახლდნენ. ღვთის მსგავსად და ხატად შექმნილი ადამიანის შინაგან სამყაროში ხომ ასე საოცრად იყო შერწყმული ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავებული ეს თვისებები?! მარსელს გაუსაძლისი სურვილი მოეძალა, დაელაგებინა მათი ყმაწვილკაცურად არეულ-დარეული ოთახები, ჰალსტუხები გაესწორებინა და აწყვეტილი ღილები დაეკერებინა განუყრელი მეგობრებისთვის... სულზე უტკბეს ძმას, პასკალს ხომ მუდამ ასე დაჰკანკალებდა თავს?! ქალიშვილი ამ განკაცებულ ღვთაებებს ეთაყვანებოდა და გრძნობდა, რომ ამ უგონო თაყვანისცემას სპეტაკი დედური სიყვარული, უანგარო თავგანწირვა და მზრუნველობა შერეოდა; ნატრობდა, ეს უსუსური ბავშვები გულში ძალუმად ჩაეკრა, მათი სუსტი სხეულისათვის წყალობის კალთა გადაეფარებინა და დაეცვა გულცივი, მტრული სამყაროსაგან.

კარგა ხანი იყო, თავსაც კი არ უტყდებოდა, რომ მძიმე ტვირთად დასწოლოდა მეტისმეტად მომთხოვნი ჟერმენის შემოდგომის სევდიან დღესავით უღიმღამო, დუნე და უსიცოცხლო სიყვარული და სინაზე; ქალს მთელი გულით უნდოდა, დაეჯერებინა, რომ მარსელი მასავით ახირებული და მეტად უჩვეულო ხასიათისა გახლდათ და მსახვრალი ბედისწერა ულევ სატანჯველს უმზადებდა; როცა ქალიშვილის ცხოვრებას უცქერდა, ფიქრობდა, უსამართლო განგებამ მეც არ მომაკლო ტანჯვა-ვაებაო; მომაბეზრებელი, გაუთავებელი შეკითხვებით აწამებდა, მთელ მის თავისუფალ დროს შთანთქავდა და უნდოდა, მუდამ მის გვერდით ყოფილიყო; ეს ფხიზელი დარაჯი წამითაც კი არ აშორებდა თვალს; გაუმაძღარი

დედაბერი სისხლმოწყურებული ვამპირივით ხარბად სწოვდა მის ყმაწვილქალურ მგზნებარებას, სიცხოველეს, სინორჩესა და უშრეტ ძალას; ეს უსახური არსება მარსელს ძალიან თრგუნავდა; რაწამს მის სახეს თვალს მოჰკრავდა, ძალ-ღონე ერთბაშად ეცლებოდა და სასოწარკვეთა იპყრობდა, მეგობარ მამაკაცებთან საუბარი კი ურ-ყევი ნებისყოფით, სიმამაცით, შეუპოვრობითა და მგზნებარებით აღავსებდა და მის სულში მინავლულ ცეცხლს საოცარი ძალით აგიზგიზებდა; ძლიერი სქესი უხეში, თუმცა, მეტად გულწრფელი, პირნათელი და ალალ-მართალი გახლდათ, მამაკაცების სულში შურის, ბოროტების, ღვარძლისა და უკეთური ზრახვების მორევი არ ტრიალებდა, ქალის გული კი საიდუმლოებების უძირო ოკეანე იყო.

„ძალიან ქალური ვარ, მაგრამ ქალებისა საერთოდ არ მესმის, მამაკაცებთან კი შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს," – უთხრა ერთ დღეს მარსელმა დეროშს.

ჟერმენს იშვიათად ხვდებოდა და თავს არიდებდა; ერთ კვირადღეს ამ დამქანცველ ქალს დაურეკა და უთხრა, თქვენთან მოსვლას ვერ შევძლებო. ორშაბათს მის თვალებში, თითქოს, უტყვი საყვედური ამოიკითხა. მტანჯველი, უიმედო სიყვარულით გულდამწვარი ქალის გაუმხელელ, ჯოჯოხეთურ წამებას ბოლო არ უჩანდა. სიამაყით აღვსილმა მარსელმა იგრძნო, რომ დაუმორჩილებელი, ჟინიანი და მო-უხელთებელი ქალიშვილი იყო, გულგანგმირული ჟერმენის სათუთი ტრფობის, ამ ძალმოსილი ქალღმერთის წინაშე, ქედს არასოდეს მოიხრიდა და მონობის უღელში არაფრისდიდებით არ შეებმებოდა!

მთელ თავისუფალ დროს „ერთ მუშტად შეკრულ საზოგადოებას" უძღვნიდა და დღე და ღამეს მუხლჩაუხრელ შრომაში ასწორებდა. მათ დაწესებულებაში მრავალი ყმაწვილი გაწევრდა, მაგრამ მხო-ლოდ რამდენიმე მათგანს წვავდა ჭეშმარიტი განათლების მიღე-ბისა და უდიდეს საიდულოსთან ზიარების სურვილი. მარსელი ლამაზი ილუზიებით არ ტკბებოდა და თავს არ იტყუებდა; კარგად იცოდა, რატომ შემოაღეს მათ ამ პატივსაცემი დაწესებულების კარი. ახალგაზრდების საიდუმლოებები ხომ თეთრი ძაფით იყო ნაკერი?! აქ მხოლოდ მეგობრების სანახავად მოდიოდნენ, რადგან ცხადზე უცხადესი იყო, ეს ჯიბეგამოფხეკილი ყმაწვილები საღამოობით კაფეში წასვლასაც კი ვერ შეძლებდნენ; აქ კი მათ არაფერს სთხოვდნენ და ეს უქნარებიც მცონარობით ტკბებოდნენ; ზოგი ფიქრობდა, დაწესებულების თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა უნდა მქონდეს, ავად რომ გავხდე, ან მუშაობის დაწყება დამჭირდეს, მათ გარდა არავინ დამეხმარებაო. „ერთ მუშტად შეკრული საზოგადოების"

თანამშრომლებს მთელი უბანი მეტად ძლიერ და გავლენიან ადამიანებად მიიჩნევდა; მშობლები შვილებს აგულიანებდნენ, იქ ხშირად იარეთ, რა იცით, როდის გამოგიწვდიან დახმარების ხელს, ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა აღსავსეო. გულდარდიანი, ბედკრული, ურწმუნო და უნდობი ჟერმენი გამუდმებით გაიძახოდა, ამ სულხარბ ახალგაზრდებს მხოლოდ მომხვეჭელობის ჟინი კლავთო; მარსელი მეგობარს არ ეთანხმებოდა და ფიქრობდა, ძალიან კარგია, ასეთ მშვენიერ ადამიანებს რომ გავუღეთ კარიო. გაცხოველებული პროპაგანდაც კი წამოიწყო; ბიჭებსა და პატივსაცემ ოჯახებს ხშირად სტუმრობდა (ზოგი დისპანსერში გაეცნო, ზოგიც – დასაქმებისა და დაბინავების ბიუროში) და თავიანთ დაწესებულებას ხოტბას ასხამდა. პარიზელებს ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი გაუღვივეს და მენილმონტანის ქუჩაზე ზღვა ხალხი მოიზიდეს.

უზარმაზარ დარბაზში იკრიბებოდნენ; მარსელი მოკრძალებულად ჩამოჯდებოდა ბოლო რიგში და თავს მოიკატუნებდა, თითქოს, სამუშაოში ჩაფლული, ვერაფერს და ვერავის ამჩნევდა; ახალგაზრდები ბილიარდსა და ბანქოს თამაშობდნენ, გაზეთებს კითხულობდნენ და ბაასობდნენ. მარსელი ლამის მუხლმოყრით შეევედრა ცნობილი სახალხო ბიბლიოთეკის დირექტორს, ნება მომეცით, თქვენი წიგნები ჩემს დაწესებულებაში წავიღო, მინდა, ახალგაზრდები დიდებულ რომანებს დაეწაფონო; ისიც სიხარულით დათანხმდა; როცა ყმაწვილები რომელიმე წიგნს შინ წაიღებდნენ ან უკან დაუბრუნებდნენ და ჰკითხავდნენ, რის წაკითხვას გვირჩევთო, ის დროს იხელთებდა და სწავლამოწყურებულ შეგირდებს საუბარს გაუბამდა. გაუთავებლად მასლაათობდნენ უკანასკნელ გაკვეთილებზე, მომავალ საჯარო ლექციებსა და ხშირად, პირად ცხოვრებაზეც კი. მარსელი ფიქრობდა, თუ ამ ბავშვების უახლოეს მეგობრად და გულის მესაიდუმლედ არ ვიქცევი, მათზე გავლენას ვერ მოვიპოვებ და სწორ გზაზე ვერ დავეყენებო. გულარხეინად, თითქმის შინაურულადაც კი ელაზღანდარავებოდა, მხარზე ხელს ჩამოადებდა, დაიხრებოდა და გულმოდგინედ დააკვირდებოდა მათ წიგნებს; ძალიან აინტერესებდა, რას კითხულობდნენ ეს ყმაწვილები; როდესაც ელაპარაკებოდა, უცერემონიოდ, მოურიდებლად, თითქმის თავხედურადაც კი ჩამოჯდებოდა მაგიდაზე; ხშირად, მათი საუბარი ინტიმურ ელფერსაც კი იღებდა; გულთბილი, თავაზიანი და გულახდილი ახალგაზრდები ძალიან მოსწონდა; ამ სასიამოვნო გარემოში თავს შესანიშნავად გრძნობდა; როდესაც ტანდაბალ მექანიკოსსა და ნოქარს ეხუმრებოდა, თითქოს, ცხადად ხედავდა, როგორ აღმართულიყო

გადაულახავ კედლად მტრულ კლასებს შორის მხოლოდ სიძულვილი და საზარელი ცრურწმენები, რომელიც მალე ნაცარტუტად უნდა ექცია; თითქოს, ყოველივე ის, რაც უწინ წყვდიადით იყო მოცული, ჯადოსნურად კაშკაშებდა; გამჭრიახი ქალიშვილი როდი ფიქრობდა, ეს ბედშავი ადამიანები ასე მოკრძალებულად და თავმდაბლად იმიტომ მელაპარაკებიან, რომ სხვადასხვა ფენას ვეკუთვნითო! თუმცა, ამგვარი პატივისცემა, კრძალვა და მოწიწება მის თავმოყვარეობას საამოდ ელამუნებოდა. მათი მოძრაობის წევრთა უმრავლესობა ზრდილი, დახვეწილი, პატივსაცემი ოჯახიშვილი გახლდათ და დიადი მიზნებით, სერიოზული მისწრაფებებითა და მეტად ნატიფი გემოვნებით იწონებდა თავს, მაგრამ სამწუხაროდ, როცა მათ ზღვა ხალხი შეუერთდა, მრავალმა საეჭვო ადამიანმაც გადმოაბიჯა ამ მშვიდი და უმწიკვლო დაწესებულების ზღურბლს; კომუნისტები და ხელიდან წასული, ზნედაცემული ფრანკისტები (ფრანკიზმი – ფრანგული ფაშისტური მოძრაობა, რომელიც მარსელ ბიუკარმა დააარსა. მთარგმნ.) ნათელ ზეცას საავდრო ღრუბლად შემოსჯარვოდნენ. მარსელს სურდა, ეს გზასაცდენილი კრავები სულის წაწყმედისაგან ეხსნა და მათ უსაზღვრო სინაზით ეპყრობოდა. გადაწყვიტა, მათთვის დიდი ხნის წინ დავიწყებული ზნეობრივი პრინციპები შეეხსენებინა, საღათას ძილს მიცემული მათი სინდისი გაეღვიძებინა და ეს ცოდვილი სულები სიბილწისა და გარყვნილების წუმპედან ამოეთრია; კიდევ ერთხელ გმირულად იტვირთა ეს მძიმე ჯვარი და თავისივე ნებით დაადგა ეკალ-ბარდით მოსილ გოლგოთას; როცა თბილი საღამოები იდგა, პერანგისამარა ახალგაზრდები ღია ფანჯრების რაფებზე შესკუპდებოდნენ და მშვენიერ ცხოველებს ემსგავსებოდნენ, სასოწარკვეთილ ქალიშვილს კი სუნთქვა ეკვროდა და გაუსაძლისი სურვილი ეძალებოდა, ეს საბრალო არსებები დედასავით მთელი ძალით ჩაეკრა გულში და პატარა თავებზე ნაზად მოჰფერებოდა; იცოდა, ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა და მისი შესაბრალისი გმინვა ცას სწვდებოდა.

ერთი ჭაბუკი გულში ჩაუვარდა; ნატრობდა, ეს პირმშვენიერი აპოლონი მკლავებში მოემწყვდია და კუბოს კარამდე დაეცვა ავი, სასტიკი ადამიანებისგან, მტრული, უსულგულო საყაროსა და ამქვეყნიური განსაცდელისგან. ამ ეფემერულ ქმნილებას ფრადენი ერქვა; უსწორმასწორო ნაკვთები, ალერსიანი, კეკლუცი მზერა და ბავშვური, თუმცა, ავხორცი ტუჩები ჰქონდა; ურცხვად გადაღეღილი პერანგიდან ზღაპრულად ოქროსფერი მკერდი მოუჩანდა და ღვარად ჩამოდენილი ოფლის წვეთებიც კი პიტნის სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა;

ბოროტი ენები ამბობდნენ, ნამდვილი ალფონსიაო. მარსელს ვერ დაეჯერებინა, რომ ასეთი მშვენიერი არსება საყვარელი ქალების კმაყოფაზე ცხოვრობდა და მათი ოფლით მოპოვებულ პურს ჭამდა! ხშირად სთხოვდა, ყველანი შინ რომ წავლენ, დავრჩეთ და ოთახი დავალაგოთო; ბიჭი თანხმობის ნიშნად თავაზიანად დაუქნევდა თავს და საქმეს შეუდგებოდნენ. მიუხედავად ამისა, ცნობისწადილით შეპყრობილმა ქალიშვილმა სიტყვაძვირ ყმაწვილს ვერაფერი დააცდენინა; ო, რა ამაოდ ლამობდა მისი ნდობის მოპოვებას! ფრადენმა გულში შენახული საიდუმლოებები არასდიდებით არ გაუმხილა! რაწამს დამღლელ საქმეს მორჩებოდა, კეპს თვალებზე ჩამოიფხატავდა და თავხედურად ეტყოდა: „ღამე მშვიდობისა!“

შიშმორეული მარსელი ხედავდა, რომ ვაჟი ზღვარდაუდებელ ხორციელ სიამეს ეძლეოდა და გულამგერებით მიიჩქაროდა საიდუმლო პაემნებზე... ალბათ, სულ მალე შეაბიჯებდა სტვირისა და აკორდეონის გამაყრუებელი გუგუნითა და ბოჰემური მხურვალებით გაჟღენთილ მეჯლისზე, ფერუმარილით სახემოთხუპნული გოგონები ტკიპასავით მიეწებებოდნენ, მის ნატიფ სხეულსა და თოვლივით თეთრ კანს ათრთოლებული თითებით შეეხებოდნენ, პერანგის საყელოზე თავს მიადებდნენ და მისი თავბრუდამხვევი სურნელით დატკბებოდნენ; რომელიმე ქალიშვილი კალთაშიც კი ჩაუჯდებოდა, თმასა და კეფაზე მიუალერსებდა და საყელოში ხელს ნაზად ჩაუცურებდა. დაღონებულ მარსელს ასეთი საზარელი ზმანებები გულში ხანჯლად ესობოდა; ეჩვენებოდა, რომ ხელისგულით ეხებოდა საოცნებო ყმაწვილის ბავშვურად სათუთ, ატლასივით ნაზ, მხურვალე კანს და თითქმის ავადმყოფურად ცახცახებდა. როგორ უნდა ექცია ეს ახალგაზრდები იმ უმწიკვლო, სულმნათ ქმნილებებად, რომლებიც სამუდამოდ, ძირფესვიანად ამოიგლეჯდნენ გულიდან ავხორც სურვილებს? როგორ ეხსნა მათი ცოდვილი სულები? იმაზე ფიქრიც კი ზარავდა, რომ ფრადენის სხეულსა და სულს საშინელი საფრთხე ემუქრებოდა. უმანკო და სულსპეტაკ ქალიშვილს კარგა ხნის წინათ ენახა მრავალსახოვანი სიბილწე, ამ უნდობარმა ცხოვრებამ უმოწყალოდ, გამეტებით შეახეთქა მწარე სინამდვილის ყრუ კედელს, მაგრამ „გარყვნილება“, „ათაშანგი“, „ვენერიული სნეულებანი“ და სხვა ამგვარი უხამსი სიტყვები ზიზღსა და შიშს ჰგვრიდა.

გულდათუთქული და ავი წინათგრძნობით ატანილი, ცარიელ ოთახში წუთით გაირინდებოდა; ისეთ მდუმარებას დაესადგურებინა, თითქოს, გულიც კი აღარ უძგერდა; მოკრძალებული, პატივსაცემი, ღირსეული, თავაზიანი თუ გულგრილი ადამიანები ში-

ნისაკენ გაეშურებოდნენ და ქალიშვილს მარტო ტოვებდნენ, სულ მარტო, თავისი სამაგალითო უმწიკვლოებისა და მარტოსულობის ამარა. მიუსაფრობის მტანჯველი შეგრძნება არ ასვენებდა. შუქს ჩააქრობდა, დაწესებულების კარს საგულდაგულოდ გადარაზავდა, მენილმონტანის მეტროსადგურისაკენ გაეშურებოდა და გულში იმეორებდა ალფრედ დე ვინის „მოსეს“ და „ქრისტე ზეთისხილის ბაღში“. „ყოველივეს უშურველად გავცემ, შინაგან სიმდიდრეს ყველას მუდამ გულუხვად ვუწყალობებ, მაგრამ ამ სანუკვარ ძღვენს არავინ არაფრად აგდებს. ნუთუ ჩემთვის არავინ არაფერს გამოიმეტებს?! ნუთუ ასეთ თავდადებას სათანადოდ არ დააფასებენ?! ნუთუ ამ სიკეთეს ნაცვალგება არ უწერია?!“ – ჩურჩულებდა სასომიხდილი, როცა ღია მწვანე ჟუით (ტილოები, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნეში შეკერა გერმანელმა მწარმოებელმა კრისტოფ-ფილიპ ობერკამფმა თავის საწარმოში, საფრანგეთში, ჟუი-ან-ჟოზას დეპარტამენტში. ტილოებზე გამოსახულია სხვადასხვა პერსონაჟები, ფრინველები, ცხოველები და პეიზაჟები. მთარგმნ.) მორთულ თავის ოთახში შევიდოდა; მის მაგიდას მუდამ ამშვენებდა ყვავილებით სავსე ლარნაკი; გულდადარდიანებული დაიხრეზოდა და ბაგით სევ-დიანად შეეხებოდა ნორჩ და ლამაზ ფურცლებს, საამო სურნელს რომ აფრქვევდნენ. მონუსხული ესაუბრებოდა უსულო საგნებს, ათრთოლებული ეალერსებოდა ამ უტყვ მშვენიერებას... ისინი ხომ მისგან არაფერს ითხოვდნენ და თავიანთ ჭეშმარიტ სახეს ნიღბით არასოდეს მალავდნენ?! ვარდები თავბრუდამხვევ სურნელებას უხვად აფრქვევდნენ, მაგრამ ეს მათრობელა ბანგი მის გამეხებულ გულს ვერ სწვდებოდა და ლამპის მკრთალ შუქში გახვეული გოგონა გულმდუღარედ ქვითინებდა.

***

პერდრიერსა და დეროშს აზრად არც მოუვიდოდათ, რომ მათი მეგობარი ყოველ საღამოს ცრემლად იღვრებოდა. ისინი ხომ მამაკაცები იყვნენ?! გულწრფელად სწამდათ, რომ დიად იდეებს შეეძლო სამყაროს შეცვლა; მათმა სოციალურმა თეორიებმა მარსელს ცნობისმოყვარეობა გაუღვივა, მაგრამ მალევე იგრძნო, რომ საშინლად დაღლილიყო; როცა ამ განსწავლულ, გონებანათელ და გამჭრიახ ახალგაზრდებს უცქერდა, გრძნობდა, როგორ შთანთქავდა ტალღასავით მთელ მის არსებას იდუმალებით მოცული, უხილავი, შეუცნობელი ქალური საწყისი, – ეს სანუკვარი განძი, მაგრამ მარ-ტოობა კიდევ უფრო უმოწყალოდ ასობდა ბასრ კლანჭებს. ეს ზეკაცები

პატივს სცემდნენ ჭკვიან, სასიცოცხლო ენერგიითა და ზეციური სიმშვიდით აღსავსე ქალიშვილს, მაგრამ ნუთუ ქვეყნად ვერავინ შეძლებდა მისი იდუმალი ბუნების შეცნობას? ნუთუ მამაკაცი არასოდეს შეიყვარებდა მის ქალურ სისუსტეს? ნუთუ, არავის გული არ აენთებოდა ამ მშვენიერი ქალიშვილის სიყვარულით? „ძლიერთა გულში ჩამწვდომი სისუსტე," – ჩაწერა დღიურში და დაიფიცა, რომ ოდესმე უცილობლად შეთხზავდა მშვენიერ ლექსს, რომელსაც ამ მაღალფარდოვანი სიტყვებით დაასრულებდა.

მარსელს დეროშთან მეტად გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა; ახალგაზრდებს ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმოდათ, ქალიშვილსა და პერდრიერს შორის კი თითქოს რკინის უტყვ ფარდად აღმართულიყო თავდაჭერილობა და მოკრძალება; დეროშს უფრო მდიდარი შინაგანი სამყარო ჰქონდა, წამიერ შეგრძნებებსა და მსწრაფლწარმავალ შთაბეჭდილებებს უღრმავდებოდა, საოცრად გულმოდგინე, დინჯი, მიხვედრილი, შემწყნარებელი, გულისხმიერი და კეთილშობილი გახლდათ. ზოგჯერ სიტლანქესა და უგერგილობასაც კი იჩენდა, დახვეწილი საუბრით თავს არ იწონებდა, განათლებით არ ბრწყინავდა, მისი გონების ბერწი ნიადაგიდან ცოდნის თვალგასახარი ხე ვერასოდეს აღმოცენდებოდა, მაგრამ ბავშვივით მგრძნობიარე და სათუთი იყო; ხშირად, გულისმომკვლელი სევდა იპყრობდა, მელანქოლიის აზვირთებულ ოკეანეში იძირებოდა, საოცარი სინაზით ივსებოდა და თავის ნაჭუჭში იკეტებოდა. ასეთ საზარელ დღეებში თავისი შინაგანი სამყაროს გარდა არაფერი ადარდებდა; ამ ამაო, მუხანათ საწუთროს დაუტევებდა და ადამის მოდგმისთვის უხილავ, მყუდრო, მშვიდ ნაპირებს შეაფარებდა თავს; ამ დიდებულმა ყმაწვილმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა სულიერების ზეობა და ფასდაუდებელი, შეუცვლელი, სანუკვარი შინაგანი ცხოვრება. მარსელი შიშობდა, თუკი დეროში კაბინეტში ხშირად ესტუმრებოდა, გულღვარძლიანი და ავყია ხალხი დაუნდობლად გაკიცხავდა და მათს ეჭვშეუვალ ღირსებას სულმდაბლად შებღალავდა; ბინძური, უბირი და უკეთური ხალხის ყბაში ჩავარდნას სიკვდილი ერჩივნა. იძულებული გახდა, ძვირფასი მეგობრისთვის ეთქვა, დაწესებულებაში აღარ მოხვიდეთ, უმჯობესია, საღამოობით ქალაქში შევხვდეთო. როგორც კი საქმეს მორჩებოდა, კარს გაიხურავდა და გულაძგერებული გაეშურებოდა მასთან შესახვედრად. დადიოდნენ საჯარო ლექციებსა და კონცერტებზე, საკონდიტროში ჩაის სვამდნენ... მარსელი სულაც არ ეკეკლუცებოდა. არშიყობა სულმდაბლურ, სამარცხვინო, ავხორც თამაშად და საძრახის უზნეობად მიაჩნდა. ამ ახალგაზრდას რომ ეფიქრა, ეს რა ბილწი,

ქარაფშუტა, ფუქსავატი, უსულგულო და ჭკუათხელი ქალიშვილიაო, საბრალო მარსელს დღე დაუბნელდებოდა! ოცნებობდა, ვაჟისთვის თავისი ჭეშმარიტი სახე ეჩვენებინა და ეს ჭირვეული ბავშვი დაერწმუნებინა, რომ გულმართალი და სათნო არსება იყო, თუმცა, საუბედუროდ, დეროშს მისი გულის საწყალობელი კვნესა არ ესმოდა; ის ხომ გამჭრიახობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა?! იძულებული გახდა, თავისი უცნაური ხასიათი კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოეჩინა, რათა ყმაწვილს მისი იდუმალი ბუნება შეეცნო. ერთხელ ძალზე სერიოზული გამომეტყველებით, თითქმის დაღვრემილი შეეგება და ღარიბ-ღატაკთა მძიმე ხვედრზე ისე ესაუბრა, მის ბაგეს ისეთი გულში ჩამწვდომი და ამაღელვებელი სიტყვები მოსწყდა, სანუკვარ მეგობარს გული მოუკვდა; ცრემლმორეულმა დეროშმა პირი იბრუნა და ფეხარეული გაუყვა შინისკენ მიმავალ გზას; მეორე დღეს კი ვაჟს მოეჩვენა, რომ უქონელთა ბედზე მწარედ მტირალი, გულდათუთქული მარსელი თავქარიან, გულქვა, საშინლად ზედაპირულ, ცივსისხლიან ქალად ქცეულიყო და მაღალფარდოვან, ნატიფ სიტყვებს ამაზრზენად დასცინოდა; დეროში თავზარდაცემული შესცქეროდა ამ უცხოდ ქცეულ ადამიანს! ერთხელ მეგობრებმა ძალზე უბრალო, სამოყვარულო ლექციაზე მიიწვიეს; აღტყინებული, ხმაათრთოლებული და გულაფანცქალებული მომხსენებელი ისეთი ამაღელვებელი სიტყვებით ასხამდა ხოტბას პოლ კლოდელს, დეროშს გული აუჩუყდა, თუმცა მარსელი აღფრთოვანებული სულაც არ ჩანდა! დიდებული პოეტის ახოვან, ჩაფსკვნილ სხეულსა და დიდ, სქელ სათვალეებს ენაწყლიანად აქილიკებდა! დეროში ისეთი გაოგნებული ჩანდა, ქალიშვილს სიცილი წასკდა.

„მრავალსახოვანი ქნილება ვარ. ჩემში ერთმანეთისაგან ცა და მიწასავით განსხვავებული რამდენიმე ქალი ცოცხლობს," – უთხრა მარსელმა.

დეროში „ერთ მუშტად შეკრულ საზოგადოებაზე", ელიტის უმთავრეს მოვალეობასა და რელიგიაზე გაუთავებლად ლაქლაქებდა, მეგობარს უხსნიდა, რა თვალით უნდა შეეხედა ქრისტიანს ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებისთვის. ის გულმხურვალე კათოლიკე გახლდათ, ქალიშვილს კი დიად იდეებზე მეტად ადამიანი აინტერესებდა. აღტყინებული შესძახებდა ხოლმე: „განა, მეგობრებმა ერთმანეთს მხოლოდ აზრები უნდა გაუზიარონ და ფუჭი ლაყბობით შეიქციონ თავი?!" მეგობრობა ესახებოდა სულთა წმიდათაწმიდა, იდუმალ ერთობად და იმ ღრმა, უსიტყვო, უტვ, თუმცა მრავლისმეტყველ შინაგან დიალოგად, რომელსაც მსახვრალი დრო

ვერასოდეს მოსპობდა; მარსელმა სთხოვა, შენს ბავშვობაზე მომიყე-ვიო და რამდენიმე სანუკვარი საიდუმლო თავადაც გაუმხილა. კიდევ უფრო დაახლოვდნენ. გულმოცემული და ფრთაშესხმული დეროში იმდენად გათამამდა, უმწიკვლო ქალწულს იების თაიგულის ჩუქებაც კი შეჰბედა; ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა ჯადოსნური ელფერი დაჰკრავდა სულზე უტკბესი მეგობრის ლამაზ თმას; ნატრობდა, ამ არნახული მშვენიერებისთვის იდუმალების საბურველი შემოეძარცვა.

„თქვენ მარტოოდენ დიდსულოვანი, უსახურ ბრბოზე ამაღლე-ბული ქალი როდი ხართ! თქვენ... თქვენ ჭეშმარიტი ქალი ხართ! – შესძახა აღტყინებულმა დეროშმა გულში ჩამწვდომი ხმით.

– დიახ, ქალი... – მიუგო მინაზებულმა მარსელმა.“

მიუხედავად ყველაფრისა, დეროშის შინაგანი სამყარო დიდად არ ხიბლავდა; ამ მგზნებარე ახალგაზრდამ სიყვარულის საპყრობილეში მისი დატყვევება ვერა და ვერ შეძლო, მაგრამ მარსელის დაკოდილ, უმოწყალოდ დაფლეთილ გულს მალამოდ ედებოდა იმაზე ფიქრი, რომ ვიღაცას მისი უსიტყვოდ ესმოდა და საკადრის პატივს მიაგებდა. როცა ყმაწვილმა ხელი სთხოვა, უყოყმანოდ დასთანხმდა. დეროში სულ იმას ირწმუნებოდა, სანამ საჭირო შემოსავალი არ მექნება, ცოლს არ შევირთავო; არ უნდოდა, საყვარელი მარსელი შრომით წელში გამწყდარიყო; სანუკვარ თანამეცხედრეს ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამებისთვის ხომ ვერ გაიმეტებდა?! გათხოვილ ქალს მუშაობაზე ხელი უნდა აეღო, დღედაღამ ქმარ-შვილზე ეზრუნა, – ამ ფასდაუდებელ განძს თვალის ჩინივით გაფრთხილებოდა და მშვიდი ცხოვრებით დამტკბარიყო... საუბედუროდ, ავყია და გესლიანი ადამიანები ისე ჭორავდნენ და აქილიკებდნენ, უმწიკვლო მიჯნურები იძულებულნი გახდნენ, დაუყოვნებლივ დანიშნულიყვნენ; დაწესებულებაში მშვენიერი წვეულება გამართეს და კარგადაც მოილხინეს; პერდრიერი წამდაუწუმ მაღალფარდოვან სიტყვებს აფრქვევდა და გაუთავებლად წარმოთქვამდა საოცარ სადღეგრძელოებს; სტუმრებმა ენაწყლიანი ახალგაზრდა მქუხარე ტაშითაც დააჯილდოვეს.

სულ მალე მარსელი დედასთან ერთად ერთი თვით სოფლად გაემგზავრა; მშვიდ სავანეში თავისუფლებითა და ბედნიერებით ზღვარდაუდებლად ტკბებოდა; დღეები მცონარობაში ილეოდა; მის თვალწინ ნეტარების უკიდეგანო ოკეანე გადაშლილიყო; დეროშსა და ჟერმენს სულთამდგმელი სიხარულით გასხივოსნებული წერილები მისწერა; ყოველი მისი სიტყვა მარადუშრეტ, მჩქეფარე წყაროსავით მოედინებოდა; მელნის ზღვით აღსავსე ფურცლებზე სიცოცხლის სიყვარული და სილაღე ბობოქარ ტალღებად მოჩქეფდა. „დილიდან

საღამომდე მდელოზე ვნებივრობ... მზის მაცოცხლებელი სხივები ახალფეხადგმულ პაწაწინა არსებასავით მახვევს თავბრუს. ამ ტკბილი ბანგით მთვრალი, უსასრულოდ დავეხეტები ამ თვალწარტმაც ველ-მინდვრებსა და ტყეებში... საზარელი, მძიმე, უსიყვარულო, უსიხარულო წლები და განცდილი ტანჯვა-ვაება სულ აღარ მაღელვებს; უწინ, ჩემს უფერულ და პირქუშ დღეებს თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით არ აცისკროვნებდა ცხოველმყოფელი სიყვარული; ეულად შთენილს, ქვეყნად აღარაფერი მახარებდა, ჩემს გულში იმედის მკრთალი სხივიც კი არ კიაფობდა, მაგრამ იმაზე ფიქრი მასულდგმულებდა, რომ ოდესმე კვლავ განვიცდიდი კარგა ხნის წინ დავიწყებულ და ტანჯვის მორევში დანთქმულ სიხარულს; სულაც არ ვნანობ, ასეთი წამება რომ გადავიტანე. პირიქით! ცრემლის ზღვა რომ არ დამეღვარა და ეს გოლგოთა არ გამევლო, გადაღლილი ჩემი გული ასეთი უსაზღვრო ბედნიერებით ვერ აღივსებოდა! რა საოცარია, ჟერმენ! რა გულგამეხებული ვიყავი! ჩემში ხომ ტრფობის ცეცხლი არ გიზგიზებდა?! თითქოს საშინელ, მძიმე ლოდად დამწოლოდა უსიყვარულო, მარტოსული და მიუსაფარი ჩემი გული. ეს მძიმე ჯვარი ძალიან დიდხანს ვზიდე, ახლა კი თავდავიწყებით გადავეშვი სიყვარულის ზღვაში; ნეტარებით აღვსილი, თითქმის გონმიხდილი ვნებდები ნექტარივით ტკბილ, საამოდ მოჩურჩულე ამ გრძნობას! მის სუნთქვას გაფაციცებით ვუგდებ ყურს და მისი სურნელება სათუთად მელამუნება," – მისწერა მეგობარს.

მარსელი იმ სულმდაბალ ქალებს არ ჰგავდა, რომელთაც ბედნიერება საზიზღარ ეგოისტებად აქცევს; როგორც კი პარიზში დაბრუნდა, დაწესებულებაში ქალთა წრე ჩამოაყალიბა და ლექციების წაკითხვა ითავა. შაბათობით, მონუსხულ მსმენელებს გატაცებით ესაუბრებოდა პოლ კლოდელსა და პეგიზე (შარლ პეგი – ფრანგი მწერალი და პოეტი. მთარგმნ.), ქალის საზოგადოებრივ მოვალეობებზე, ტკივილისა და ტანჯვა-წამების სიდიადეზე... მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა მთელ საფრანგეთს შეეტყო, რომ მათი მოძრაობა დიდების მწვერვალებს იპყრობდა; აქტიური პროპაგანდაც კი წამოიწყო; ჟერმენს სთხოვა, თვეში ერთხელ მეჯლისი გავმართოთ, ჩვენი საყვარელი ახალგაზრდები ასეთ მეგობრულ, ოჯახურ და მხიარულ გარემოში ყმაწვილურ ნეტარებას მისცემენ თავსო. პირველი წვეულება შესანიშნავი გამოდგა. ჯადოსნური საღამო თვალის დახამხამებაში დასრულდა. მარსელი დეროშს, ფრადენსა და ლინიერს ეცეკვა; რაწამს ეს მორცხვი და თავმდაბალი ყმაწვილები წელზე კრძალვით შემოხვევდნენ ხელს, მთელი არსებით შეიგრძნობდა ამ სანუკვარი, მარადიული

მეგობრობის წარმტაც მშვენიერებას და გული ძალუმად უძგერდა. მეჯლისი დასრულდა, მაგრამ მეტისმეტად აღტყინებულ ქალიშვილს სულ არ ეძინებოდა; დეროშს უთხრა, ცოტა ხანს გავისეინოთ და მერე სახლამდე მიმაცილეთო; ვაჟი დაუფიქრებლად დათანხმდა და ორივენი სიხარულით გაუყვნენ უკაცრიელ ქუჩებს.

„ამ წვეულებაზე, სწორედ ამ დიდებულ საღამოს ვიგრძენი, რომ მტრული კლასების შერიგება მხოლოდ და მხოლოდ კეთილ ნებას შეუძლია!“ – მგზნებარედ შესძახა დეროშმა. მარსელმა მიუგო, სავსებით გეთანხმებითო, მაგრამ უეცრად მოაგონდა, რომ ძალზე ცოტა ადამიანს ამოძრავებდა ეს საარაკო კეთილი ნება, დადარდიანდა და აკანკალებული გულში ჩაეკრა სატრფოს. მანაც მკლავები შემოჰხვია და წუთით გაირინდნენ, თითქოს, ერთმანეთს შეერწყნენ; ქვეყნად არაფერი იყო ამ უტყვ ერთობაზე საამური; მარსელმა თვალები დახუჭა; მიჯნურის მხურვალე ხელმა ჯოჯოხეთურად მტანჯველი, ცეცხლივით მწველი, მაგრამ მაინც საამური შანთით დაუდაღა მხარი; ქალიშვილმა ვაჟს სახე თვალებთან მიუტანა.

დეროში წუთით შეყოყმანდა, მერე კი მარსელმა იგრძნო, როგორ შეეხო მის გაყინულ ტუჩებს სატრფოს თბილი ბაგე; მოზღვავებულ აღტყინებასა და სინაზეს ვეღარ გაუმკლავდა, გრძნობამ აიტანა, თავდავიწყების მორევში გადაეშვა და ტრფობის ცეცხლით გულანთებულ მამაკაცს ვნებიანი ამბორი უძღვნა; მამაკაცი შეკრთა, ტუჩები ნაზად მოაშორა, უკან დაიხია და გზა განაგრძო, მაგრამ მარსელს ხელი აღარ მოჰხვია. თავგზააბნეული ჩანდა. მარსელმა ხმის ამოღებაც კი ვერ შეძლო. მთელი მისი სიხარული თვალის დახამხამებაში განქარდა; წუთის წინ ოცნების ფრთებით კამარა შეჰკრა და მაღლა ცაში აფრინდა, მაგრამ კვლავ მიწას დაენარცხა; მეჯლისზე ბავშვივით იხალისა, ყველას დაუნანებლად და გულუხვად უწყალობა თავისი აურაცხელი შინაგანი სიმდიდრე, მაგრამ თითქოს უეცრად უდიდეს საიდუმლოს ფარდა აეხადა და მიხვდა, რომ ყოველგვარი გარჯა მარტოოდენ უნაყოფო და ფუჭი ფუსფუსი იყო, სიყვარული კი – ამაო გრძნობა. სულგამწარებული იმასაც კი ფიქრობდა, ამაღლებულ სულთათვის ბედნიერებაც კი მეტად უმნიშვნელო და უბრალო რამაო.

ამ საზარელი ამბის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა; დადარდიანებული და გაღიზიანებული მარსელი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა; ნატრობდა, ისევ ღვთის რწმენით გულსავსე პაწაწინა გოგონა ყოფილიყო, ეკლესიაში, ჯვარცმის წინ მუხლი მოედრიკა და გულამოსკვნით ეტირა; წარსულის უდაბნოში სამარადისოდ დავანებული ბავშვობის მოგონებები ეძალებოდა; ოდესღაც რწმენით

სულდგმულობდა, ახლა კი... უნდოდა, იესოს კვლავ დაევანებინა მის გულში და რწმენით ფრთაშესხმული, ზეცად ამაღლებულიყო, რადგან მიწიერი სიმდაბლის სენით შეპყრობილი, უზნეო, ხარბი ხალხი არაამქვეყნიურ ნეტარებას ვერ განაცდევინებდა; ადამის მოდგმის სიბილწე და სულმდაბლობა მთელი არსებით სძულდა; ოცნებობდა, უშრეტ წყაროს გახელებით დასწაფებოდა, მაგრამ ამ ცოდვილ მიწაზე ვერასოდეს მოიკლავდა შლეგ წყურვილს, უმოწყალოდ რომ უფლეთდა მთელ სხეულს; ამ მარადიულ დევნილს ხსნა ზეცაში უნდა ეპოვა, მაგრამ ვაი რომ მისი სული ურწმუნოების სასიკვდილო სამსალით მოწამლულიყო! ეგონა, სიყვარული სრულქმნილების საამო შეგრძნებით აღავსებდა. უცილობლად უნდა ზიარებოდა ამ თავბრუდამხვევ გრძნობას, მაგრამ ფიცხი, მოუსვენარი და დაუდეგარი ქალიშვილის ბობოქარი გული ცისქვეშეთში ნეტარ სიმშვიდეს ვერასოდეს ჰპოვებდა. როცა დეროშისაგან შორს იყო, მის გამოჩენას გულამგერებული ნატრობდა, სასოწარკვეთილს, ყელი უშრებოდა, ტუჩები ნაკვერჩხალივით უვარვარებდა და საშინელი ტკივილი აწამებდა, მაგრამ რაწამს სატრფოს მოჰკრავდა თვალს, სული ეხუთებოდა და მოუთმენლად ელოდა, როდის დადგებოდა განშორების წუთი. დეროში გამუდმებით უყვებოდა უამრავ ამბავს, იდეებს უზიარებდა და ბაგეზე დღემუდამ ნეტარი ღიმილი გადაჰ-ფენოდა; როცა ლაპარაკობდა, სასომოხდილი მარსელი დაჟინებით უმზერდა მის უცნობ, იდუმალებით მოცულ სხეულს, რომლის ბნელ საპყრობილეშიც ამაღლებული, ფასდაუდებელი, სანუკვარი, უხილავი და უხამს ადამიანთათვის მიუწვდომელი სული გამომწყვდეულიყო; ეს მოუხეშავი ხორციელი საბურველი აშორებდა სულკურთხეული საქმროსაგან, ნებას არ აძლევდა, მის შინაგან სამყაროში შეეღწია და არნახული სულიერი სიმდიდრით დამტკბარიყო. გრძნობდა, რომ საკუთარ თავს დაეღალა; გულმოყირჭებულსა და თავგაბეზრებულს, ისღა უნდოდა, თავისი სხეული დაეტევებინა, დეროშის არსებაში სამარადისოდ შთანთქმულიყო და თავი მყუდრო საუფლოსთვის შეეფარებინა, მაგრამ გრძნობდა, რომ გვერდიგვერდ ჩამომსხდარ, უგონო სიყვარულით თავბრუდახვეულ მიჯნურებს შორისაც კი უჩი-ნარი, გადაულახავი კედელი აღმართულიყო და საარაკო ტრფიალსაც კი არ ძალუძდა მიუსაფრობის ამ მტანჯველი შეგრძნების მოსპობა; მარსელი კიდევ უფრო ეფლობოდა მარტოობისა და უიმედობის უძირო მორევში; საუბედუროდ, დეროში ვერც კი გრძნობდა, რომ ქალი უსაშველოდ იტანჯებოდა და მის სულში საზარელი ქარიშ-ხალი მძვინვარებდა. გულისსწორებიც კი მარტოობისთვის იყვნენ

განწირულნი, მაგრამ მამაკაცის გულს არ შეეძლო ამ უდიდესი ტრაგედიის განცდა! ერთ სევდიან კვირას, ნაშუადღევს, საცოლე ისეთი მოწყენილი, გულდამძიმებული და დაღვრემილი დაუხვდა, რომ თავზარი დაეცა; ღია მწვანე შპალერით დამშვენებულ ოთახში, დივანზე წამოწოლილი მარსელი ნაძალადევად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ეპასუხებოდა, თითქოს, სიტყვა ყელში ეჩხირებოდა; ეჩვენებოდა, რუხ ნისლს დაებინდა ის მშვენიერი ხალიჩები და კედლები, ასე სათუთად, ნატიფად და ჰარმონიულად რომ ერწყმოდნენ ერთმანეთს; ამ თვალგასახარი სილამაზის ოდინდელი ბრწყინვალება უკვალოდ გამქრალიყო; საგნები, თითქოს, ბამბასავით ფაფუკი გამხდარიყო; უფერული და უღიმღამო დღე გულისგამაწვრილებლად ნელა ილეოდა; გახევებული, ტყვიასავით დამძიმებული სხეული საშინლად სტკიოდა.

„რა ხდება თქვენს თავს, ჩემო ძვირფასო?“ – ჰკითხა შეშფოთებულმა დეროშმა და მისკენ მზრუნველ დედასავით დაიხარა.

მარსელს ბაგე სევდიანმა და უღონო ღიმილმა გაუპო; აღარც კი იცოდა, უმოწყალოდ დაკოდილი გულის რომელი იარა უნდა მოეშუშებინა დეროშს! ამ გულჩვილი ქმნილების სულში ისეთი ბნელი მორევი ტრიალებდა, სატრფოც კი ვერ შეძლებდა მისი დარდის გაქარვებას, ტკივილის სულ ცოტა ხნით დაამებას და ნუგეშისცემას. „მომიახლოვდით,“ – სთხოვა მარსელმა. ის მორჩილად ჩამოჯდა და დაძაბულმა ქალიშვილს ხელი მოხვია; მან თავი მხარზე ჩამოადო და ცრემლმორეულმა შესძახა: „ო, რა სასტიკია სამყარო!“ მამაკაცმა მკლავები მარწუხებივით შემოაჭდო და გულში მთელი ძალით ჩაიკრა. „არ გამიშვათ. ასე გავირინდოთ, გთხოვთ... რა საოცარ ნეტარებას განვიცდით ახლა...“ – ჩურჩულით შეევედრა ქალიშვილი. ლოყა მის უხეშ ქურთუკზე მიედო და ამ ახოვანი სხეულის ცხოველმყოფელი მხურვალებით იჟღინთებოდა. დეროშს მისთვის ძლიერი ხელები ისე შემოეხვია, თითქოს, ეშინოდა, ეს განძი არავის წაერთმია. მარსელს სულ დაავიწყდა, რომ მსწრაფლწარმავალი ბედნიერებაც კი ვერ აღავსებდა ადამიანს სრულყოფილების სასიამოვნო შეგრძნებით. ეს წუთი ისეთი საამური მელანქოლიითა და სევდიანი სინაზით იყო აღსავსე, ხმის ამოღებაც კი არ შეეძლოთ; დიადმა კაეშანმა მიჯნურები ანაზდად დაადუმა; ადამიანთა მოუხეშავი სიტყვები და ღარიბი ენა უძლური იყო, გადმოეცა ამგვარი სილამაზე, სამარადისო ერთობა, სისათუთე და დარდი. დეროში მხოლოდ ნაზი ამბორისა და ალერსის წყალობით შეძლებდა მარსელის ძღვნად მიტანილი, უკვე სამუდამოდ დამორჩილებული სულის საუკუნოდ დასაკუთრებას და მისი სიყვა-რულის, – ამ საარაკო სილამაზის ვარდის მოწყვეტას; ქალიშვილი

ნაზად უხმობდა და გულის კარს უღებდა, მაგრამ თავმდაბალმა ახალგაზრდამ სულსპეტაკ მიჯნურს კოცნა ვერ შეჰკადრა; თმაზე მოეფერა, წამოდგა და წავიდა. ღონემიხდილი, გახევებული, გულ-ჩაწყვეტილი მარსელი კარგა ხანს უძრავად გაშოტილიყო საწოლზე; მასში აღარ ბობოქრობდა უშრეტი სასიცოცხლო ძალა, სანუკვარი ოცნებები და მწველი სურვილები; მის გულში უსახური სიცარიელე გამეფებულიყო; ნატრობდა, ელვის უსწრაფესად დაელია სული, შთანთქმულიყო არარას ავად ხახადაფჩენილ უფსკრულში, აღგვილიყო პირისაგან მიწისა და სამარადჟამოდ დასამარებულიყო მისი ხსენება; გულგამეხებულს, სიკვდილი საოცარ ნეტარებასა და სიხარულს განაცდევინებდა! როცა საზარლად მტკივნეულმა გარინდებამ გადაუარა და გახევებული, ტყვიასავით დამძიმებული, ერთიანად დაბუჟებული, თითქმის დადამბლავებული სხეული საწოლის კლანჭებს გაჭირვებით გამოჰგლიჯა, სული შეეხუთა. საკუთარ თავთან მარტოდმარტო ვეღარ დარჩებოდა! ო, ამ ტანჯვას ვეღარ გაუძლებდა! კარი სწრაფად გამოაღო და ხმაურიან ქალაქში დაინთქა. ორ საათს ალალბედზე დაეხეტებოდა ქუჩებში; ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ ერეოდა ცრემლი, რად ათრთოლებდა მოძალებული ქვითინი შლეგი ქარით ატაცებული ფოთოლივით; ხანდახან ისე დაეხვეოდა თავბრუ, კედელს მიეყრდნობოდა და შიშმორეულს გაუელვებდა, საცაა, გული წამივაო.

რამდენიმე დღის შემდეგ მან და დეროშმა დიდხანს და ძალიან სერიოზულად ისაუბრეს; გახელებულმა სატრფომ უთხრა, ვნატრობ, გულში ჩაგიკრა და მოგიალერსო, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს, ჩემს ტანჯვა-ვაებას ბოლო არ უჩანს, ამ სასტიკი აკრძალვებით თავს უმოწყალოდ ვიწამებ, მწველ სურვილსა და შლეგ ვნებას ძლივს ვუმკლავდებიო, მაგრამ დასძინა, სანამ დედაეკლესია ქორწინების წმიდათაწმიდა საიდუმლოს წყალობით თანამეცხედრეებად არ აქცევთ, ქრისტიანმა მიჯნურებმა ხორციელ სიამეს თავი არ უნდა მისცენო. ამ გულმხურვალე კათოლიკეს ავხორცი გულისწადილის ასასრულებლად ღვთის კურთხევა სჭირდებოდა; მისი აზრით, მორწმუნე, ზნეკეთილი ცოლ-ქმარი ჯვრისწერის შემდეგაც კი უამრავ მორალურ დაბრკოლებას აწყდებოდა, გზააბნეულ კრავებს ვეღარ გაეგოთ, რის ნებას რთავდა მათ უფალი და რას უკრძალავდა. იქნებ, ცოლქმრულ სარეცელშიაც კი არ უნდა დამტკბარიყვნენ ამ საძრახისი ხორციელი ნეტარებით?!

„ქორწინების საიდუმლო როდი განადიდებს ადამიანის ბილწ სხეულს! ის, უბრალოდ, აღიარებს ცოდვილი ადამის მოდგმის პი-

რუტყვულ ავხორცობას, სიბინძურესა და სიმდაბლეს. ეკლესია გვიბრძანებს, რომ არასოდეს დავკარგოთ კეთილგონიერება, აღვივსოთ ურყევი ნებისყოფითა და სიმტკიცით და არ ჩავიძიროთ გარყვნილებისა და აღვირახსნილობის უძირო ჭაობში; ღვთის რწმენით გულანთებულმა ადამიანმა ცხოვრება ამქვეყნიურ სიამეს არ უნდა მიუძღვნას! ის საიდუმლო რიტუალი, რომელსაც ცოლ-ქმარი ღამღამობით წმინდა სარეცელზე აღასრულებენ, მძიმე ტვირთად და მტანჯველ მოვალეობად უნდა გვესახებოდეს. თუკი ხორციელ ლტოლვას, ამ მბრძანებლობამოწყურებულ ქალღმერთს დავნებდებით, წამიერ ვნებას ავყვებით და ეშმაკის საცდური დაგვძლევს, სამუდამოდ დავკარგავთ იმ ადამიანურ ღირსებას, რომელიც უფალმა ასე გულუხვად მოგვმადლა“ – უთხრა დეროშმა.

მარსელი ამ ენამჭევრ ახალგაზრდას სრულიად ეთანხმებოდა; ფიქრობდა, რომ ადამიანს მდაბალი, უხეში, ბილწი, სამარცხვინო ცხოველური ჟინი არ უნდა მოეკლა წმიდათაწმიდა, ღვთივკურთხეულ ცოლქმრულ სარეცელზე; ინტიმური აქტი უნდა გაჟღენთილიყო უსაზღვრო სიყვარულითა და სისათუთით, პირუტყვული სიბინძურისაგან გათავისუფლებულიყო და ვნებიანი წადილით თვალებანთებულ ქალსა და კაცს ქედი უნდა მოეხარათ სულიერების ზეობის წინაშე! უფლის ნებით სამარადისოდ ერთარსებად ქცეულ თანამეცხედრეებს თანაბრად უნდა ჰქონოდათ სიამოვნების განცდის სურვილი და ეს დიდებული ცერემონია ყოვლგვარი ძალდატანების გარეშე აღესრულებინათ. შლეგი სურვილი მათი საოცარი სინაზის, თავდაჭერილობისა და საარაკოდ მტკიცე ნებისყოფის წყალობით განიწმინდებოდა, მათზე ღვთის ცხოველმყოფელი მადლი გადმოვიდოდა, უხორცო არსებებად იქცეოდნენ და უფალსა და მარადისობასთან წილნაყარნი, სულიერებითა და ზეციური ნეტარებით ფრთაშესხმულნი, ზეცად ამაღლდებოდნენ. „ერთიმეორეს ვეალერსებით და ვეამბორებით, მაგრამ ბილწი სიამის განცდა როდი გვსურს! ამგვარი სიმდაბლე ჩვენთვის სრულიად უცხოა! გაცვეთილ, მოუხეშავ სიტყვებს სიყვარულით გულაღვსებულ მიჯნურთა ერთარსებად ქცევა არ ძალუძთ. მათი სულების შეყრა და სამუდამოდ შედუღაბება მხოლოდ ხორციელი ნეტარების, – ამ უტყვი ენის, ამ მდუმარე დიალოგის მეოხებითაა შესაძლებელი,“ – აღმოხდა მარსელს.

გამწყრალმა დეროშმა გაცხარებით შესძახა, აზრს ვერ შემაცვლევინებო და დასძინა, სანამ ცოლ-ქმრულ უღელში არ შევებმებით, ხორციელი სიამით დატკბობის უფლება არა გვაქვს, ეს მეტად ამაღელვებელი, საზეიმო და დიდებული წუთი ქორწინების პირველ

ღამეს უნდა დაგვიდგეს, ეს ზეციური ბრწყინვალება არ უნდა ჩაქრეს, დღედაღამ ფხიზლად ვიყოთ, ერთმანეთისგან თავი შორს დავიჭიროთ, მგზნებარე სურვილებს, – ამ ურჩ ბედაურებს ლაგამი ამოვდოთ, რათა ალერსსმოწყურებულმა ჩვენმა სხეულებმა არ შესცოდონ, უბიწო ამბორს ვეღარ მოგიძღვნი და გულშიც კი ვეღარ ჩაგიკრავო.

მარსელს უხაროდა, რომ თვალთმაქცური და ფარისევლური უმწიკვლობის გარეშე საუბრობდნენ ასეთ საჩოთირო საკითხზე. აღფრთოვანებულმა, დეროშს უთხრა, დიდ პატივს გცემ, ძალიან დახვეწილი, ნატიფი, მგრძნობიარე, უმანკო, თავმდაბალი და მშვიდი ხარო, თუმცა, გულის სიღრმეში საშინლად იტანჯებოდა, რადგან დეროში უბიწობის აღთქმას არასოდეს დაარღვევდა, ამ უმკაცრეს აკრძალვას უდრტვინველად ემორჩილებოდა და გულდამშვიდებით ელოდებოდა ქორწინების დღეს. შლეგი წადილით ატანილი ვაჟი მისკენ არ მიილტვოდა! წარბშეუხრელად დათმო ქალიშვილის ალერსი, ნატიფი სხეული... ამ ნეტარებაზე სიხარულითაც კი თქვა უარი! ვნებიანი და დაუდგრომელი სულაც არ გახლდათ. მხოლოდ იმას ნატრობდა, უფერულ დღეთა მშვიდი დინებისათვის ეცქირა და უღრუბლო ბედნიერებით დამტკბარიყო, მარსელს კი სისხლსავსე, ბობოქარი ცხოვრება ეწადა. მისი დაუდგრომელი გული სიმშვიდეს ვერასოდეს ჰპოვებდა! საუბედუროდ ამ ყმაწვილში არ გიზგიზებდა ის ყოვლისდამნაცრავი ცეცხლი, რომელსაც მარსელი ასე დაუღალავად დაეძებდა.

„მას ვერაფერს ვუსაყვედურებ, თუმცა, ვაღიარებ – ზეკაცზე ვოცნებობდი, მაგრამ ხელთ ჩვეულებრივი მამაკაცი შემრჩა. ისეთი ჯიუტი ვარ, იმის დაჯერებაც კი არ მინდა, რომ ზეკაცები არ არსებობენ და ამ ცოდვილ მიწაზე ამაღლებულ სულს ვერასოდეს შევხვდები," – სევდიანად უთხრა ერთხელ ჟერმენს.

როცა „ერთ მუშტად შეკრულ საზოგადოებაში" მუშაობდა, საშინელი იმედგაცრუება და გულისტკივილი სტანჯავდა. პერდრიერი სტატიებსა და საჯარო ლექციებში გატაცებით ირწმუნებოდა, გაუნათლებელი ადამიანები სწავლულებზე მეტად ტკბებიან კაცობრიობის სანუკვარ სულიერ საგანძურში სამარადისოდ დავანებული უკვდავი შედევრებით და მათი ხელშეუხები, მოუხეშავი, თითქოსდა უნაყოფო სულიერი ნიადაგიდან აურაცხელი დოვლათი ამობრწყინდებაო, მაგრამ საუბედუროდ, ფუქსავატ ბურჟუა გოგონებსა და დაწესებულების თანამშრომელ ქალებს რასინისა და ბოდლერის შემოქმედება სულ არ აინტერესებდათ; მათ დაუღალავად უმეორებდნენ, გათხოვილმა ქალმა მუშაობაზე ხელი უნდა აიღოს, კუბოს კარამდე ქმარ-შვილზე იზრუნოს და წმიდათაწმიდა ოჯახური

კერის დაცვას თავი შესწიროსო, მაგრამ ჯიუტ, უკმეხ, უგვან, ურცხვ და უტიფარ ქალიშვილებს ვერაფერი შეასმინეს; ურცხვად გაიძახოდნენ, ეგ ღვთივკურთხეული ქორწინება დრომოჭმული, ამაზრზენი და ყავლგასული ტრადიციაა, რომელიც ქალს საშინლად ჩაგრავს, აკნინებს და მამაკაცის ყურმოჭრილ მონად აქცევსო; მარსელი მაღალფარდოვანი სიტყვებით, გაუთავებლად ესაუბრებოდა ქალთა მორჩილებაზე, მონურ ქედმოხრილობაზე, თავდადებასა და თავის მსხვერპლად მიტანაზე, მაგრამ ვერაფერს გახდა; ამ უგრძნობ არსებებს ვერ შეეგნოთ, რატომ უნდა აღესრულებინათ ეს დიადი მსხვერპლშეწირვა. ქალიშვილს ეს ლამაზი, თუმცა, უნაყოფო და ფუჭი ქადაგება ძალღონეს აცლიდა. ის ხომ მარგალიტს ღორებს უყრიდა?! სანთელივით იღვენთებოდა და სულ ამაოდ უღებდა გულისკარს ამ უმაქნის, გონჯ და ღვთისპირიდან გავარდნილ ადამიანებს! გაზაფხულზე თანამშრომელ ქალებს საშინლად ეჩხუბა; თურმე, ის გოგო-ბიჭები, რომლებიც დისპანსერში მეჯლისებზე ცეკვით ირთობდნენ თავს, პარიზის ბნელ ქუჩებში უჩუმრად ხვდებოდნენ ერთმანეთს; მარსელი ამ სამარცხვინო ამბავმა აღაშფოთა; ვერ მიმხვდარიყო, რატომ მიჰყვეს ხელი ასეთ გაუგონარ უზნეობას. მშობლებს ურცხვად ატყუებდნენ კვირაობით მარსელსა და პერდრიერთან ერთად ვსეირნობთო, სინამდვილეში კი ზედამხედვლების გარეშე ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდნენ! როდესაც ეს თეთრი ძაფით ნაკერი სიცრუე გამოაშკარავდა, მოწმენდილი ზეცა საავდრო ღრუბელმა დაფარა და უმწიკვლო უბანში არნახული სკანდალის გულისამრევი სუნი დატრიალდა; მარსელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა მეჯლისები; სპეტაკი თანამშრომლები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა აღეკვეთათ ამგვარი უმსგავსობა, ძირფესვიანად ამოეძირკვათ მათ წმინდა დაწესებულებაში უტიფრად აბიბინებული სიბილწისა და უზნეობის სარეველა, რათა ცოდვილი ახალგაზრდები ერთიმეორეს აღარასოდეს შეხვედროდნენ და საპირისპირო სქესს არ გაეღვიძებინა ღვთის რწმენით, წმინდა წერილითა და სულიერების ზეობის წყალობით ჩახშობილი, ძალისძალად მოთოკილი და ოჩანი ცხენივით დაურვებული მათი ხორციელი ლტოლვა.

მარსელს ეს დაწესებულება, დისპანსერი და მენილმონტანის ქუჩა ჭირის დღესავით შესძულდა; მოძრაობის წევრები, მათი მშობლები და მეგობრები ნოტიო ხის სურნელით გაჟღენთილ დიდ ქოხში შექუჩდებოდნენ და საჯარო ლექციებს უსმენდნენ, მარსელს კი ასეთ საშინელ და დამთრგუნველ გარემოში სული ეხუთებოდა და სასოწარკვეთილს, ჟრუანტელი უვლიდა; ქალიშვილები წამდაუწუმ ბრიყვულად ქირქილებდნენ, მათი დედები კი მარსელს გამქირდავ,

უნდო და მტრულ მზერასაც კი სტყორცნიდნენ; სტუდენტები, ერუდიტები და სწავლულები შარლ პეგიზე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პირველყოფილებზე საუბრობდნენ, თუმცა, ამ საშინლად უბრალო, არაფრით გამორჩეული და უნიჭო ქმნილებების გაუთავებელი ლაყბობა გულს უკლავდა; გაწბილებულმა ქალიშვილმა აღარ იცოდა, რა ეღონა; ქოხში თავმოყრილი ბრბოს რუხი, გულშემზარავი მასის ცქერით დაღლილი, თავს ასწევდა, თვალს მიაპყრობდა ჩამსხვრეულ ფანჯრებზე აფარებულ გაქონილ ქაღალდებს და სევდამორეული გაიფიქრებდა, ახალგაზრდობის მშვენიერ და განუმეორებელ წლებს ფუჭად ვფლანგავ, სასიცოცხლო ძალასა და ყმაწვილქალურ მგზნებარებას ქარს ვატან და ამ გულის ამრევ, ცივ, ბნელ სოროში სანთელივით ვიღვენთებიო. ო, მართლაც რა ამაოდ ირჯებოდა! როგორ თავდაუზოგავად შრომობდა! ერთ საღამოს, პერდრიერმა დენის შარვალი გააცნო; ამ უცნაურმა ახალგაზრდამ სასიამოვნოდ გააოცა; ეს ელეგანტური, ლაღი, თამამი და დაუდგრომელი მამაკაცი სხვა მომხსენებლებს არ ჰგავდა; კეკლუცად ჩამოყრილი, ურჩი შავი კულულები უფარავდა მაღალ შუბლს.

„თქვენი მეგობარია?“ – ჰკითხა მარსელმა პერდრიერს, როცა დენის შარვალი მწვანე სუფრით დამშვენებულ მაგიდას მიუჯდა.

„ჩემი მეგობრის ძმის მეგობარია. ამბობენ, შესანიშნავი ლექსები გამოაქვეყნაო. დღეს რემბოზე ისაუბრებს. როგორ ფიქრობთ, ეს შედეგს გამოიღებს?“ – მიუგო პერდრიერმა; – რატომაც არა?!“ – კითხვითვე უპასუხა მან და ახალგაზრდა მომხსენებელს დაჟინებული მზერა მიაპყრო; ამ უცნაურ ყმაწვილს მწვანე თვალები ისე უბრწყინავდა, ცხადი იყო, ბავშვივით გულუბრყვილო, მაგრამ ძალზე ჭირვეული, ქედუხრელი და ახირებული პოეტი გახლდათ და ოკეანესავით ღრმა, მდიდარი სული ჰქონდა; მარსელს ეჩვენებოდა, რომ რემბოზე მოლაპარაკე ენაწყლიანი ჭაბუკი გულის კარს უღებდა, საიდუმლოებებს უმხელდა, თავის ნამდვილ სახეს უჩვენებდა და ულევი სიამით სავსე შინაგან სამყაროში იწვევდა.

აღელვებული დენის შარვალი გულში ჩამწვდომ სიტყვებს აფრქვევდა. ყოველ მის ოსტატურად გამოქანდაკებულ ფრაზაში საოცარი ემოცია გამოსჭვიოდა. მონუსხულმა მსმენელებმა იგრძნეს, რომ ეს ახალგაზრდა ფლობდა მჭევრმეტყველების ხელოვნებას. რემბო ჟიანიან ყმაწვილად წარმოაჩინა, იმ დაუდრომელ ჭაბუკად, რომელმაც არავის მისცა უფლება, ჩაეკლა მის სულში მარადისობის წყურვილი – ეს გულდამწველი წადილი, ეს შლეგი ლტოლვა; მან ხელაღებით უარყო ის მდაბალი, ფუჭი, მიწიერი სიკეთეები, რომელთა

წყალობითაც სხვა თვალხილული ბრმები სულდგმულობენ და თავს იტყუებენ; ამ დიდსულოვანმა არსებამ დაუნანებლად დათმო ოჯახი, დიდება, უკვდავების შარავანდედით მოსილი თავისი დიადი სახელი, სინაზე, სიყვარული და თავისი გენიაც კი, რადგან არ სურდა, თვითონაც სიცრუის ამ საამური ბანგით გაბრუებულიყო! დიახ, თავის სხეულში მოგიზგიზე გენიის ცეცხლიც კი წარბშეუხრელად ჩააქრო! ამ განუმეორებელი, დიდებული მსხვერპლშეწირვის გასაოცარ მშვენიერებაზე დენისი ისეთი მშვიდი, თუმცა სევდიანი და სულისშემძვრელი ხმით საუბრობდა, მარსელს მოეჩვენა, რომ ამ ისედაც ზეციურ, ეფემერულ ქმნილებას ხორციელი საბურველი სულ შემოეძარცვა, მისი სპეტაკი სული ცხადად დაინახა, თვალთუხილავი მშვენიერებით აღსავსე მის შინაგან სამყაროში შეაღწია და უდიდეს საიდუმლოს ეზიარა. ხმაათრთოლებულმა მგოსანმა დიდებულად დააგვირგვინა თავისი სიტყვა: „რემბოს იმიტომ ვაღმერთებთ, რომ მან განუმეორებლად ჰარმონიული, სმენის დამატკბობელი ლექსები და პროზა გვისახსოვრა; გვიყვარს გულითადი მეგობარივით, საზიზღარი დემონივით და სულკურთხეული, სხივმოსილი, თუმცა მაინც შემზარავი ანგელოზივით, რადგან მან უარყო თავისი ღვთაებრივი სილამაზე, რომელიც ასე გვაჯადოებს; ვეთაყვანებით ყოველი იმ ნატიფი და მაღალფარდოვანი სიტყვისთვის, რომელიც არასოდეს დაუწერია!“

მაშინვე მქუხარე ტაში გაისმა; დამწუხრებული პერდრიერი მარსელისკენ გადაიხარა და სევდიანი ხმით ჩასჩურჩულა: „მგონი, მწარედ შევცდით.“ მან მხრების აჩეჩვით უპასუხა: „ცხადია, ბრწყინვალე რემბო ამ უსახური ბრბოსთვის სამაგალითო ადამიანად ვერ იქცევა!“ აღტყინებულმა მარსელმა სკამი უკან მისწია, წამოდგა, შარვალისაკენ გულაჩქროლებული გაემართა, მთელი დაწესებულების სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა და უთხრა, თქვენმა ჯადოსნურმა სიტყვებმა აღმაფრთოვანაო. დარცხვენილმა და ლოყებშეფაკლულმა შარვალმა მიუგო, ასეთ ქება-დიდებას არ ვიმსახურებო და თაყვანისმცემელი ქალიშვილი, პერდრიერი და დეროში ჭიქა ღვინოზე მიიპატიჟა. უმანკო მარსელს თავის დღეში ფეხი არ მიედგა ღამეული მხურვალებით სავსე კაფეში; როდესაც მონპარნასის ბულვარზე, ერთ-ერთი დიდი ლუდხანის კარი შეაღო, მოეჩვენა, რომ მისი გაცვეთილი, უსიხარულო და მოყირჭებული ყოველდღიური ცხოვრება უკვალოდ გაქრა, მოვარდნილმა ღვარცოფმა წალეკა და საამური ოცნებებისა და ფერადი ფანტაზიების ზღაპრულ სამყაროში გადაისროლა; ტაქსის მრიცხველი ოც ფრანკს უჩვენებდა; ქაშმირის თეთრი ყელსახვევი, დენის შარვალის მუქ პალტოს თვა-

ლისმომჭრელად რომ აელვარებდა, ალბათ, ას ფრანკზე მეტიც კი ეღირებოდა; ამ კაცის არნახული სიმდიდრე, ხელგაშლილობა, გულუხვობა, ბრწყინვალე სამოსი და დიდკაცური ცხოვრება აჯადოებდა და რატომღაც, თავზარსაც სცემდა; მოუნდა ამ ნიჭიერი პოეტის უკეთ გაცნობა; პატარა ფრადენს ჰგავდა, მასავით ნატიფი ბაგე ამშვენებდა და ტუჩის კუთხეში პატარა ნაოჭი ემჩნეოდა; ადამიანი ამ პაწაწინა დაღს თვალს თუ მოჰკრავდა, მყისვე მიხვდებოდა, რომ ეს მგოსანი ლამაზი ილუზიებით არ სულდგმულობდა, სიცრუის საამურ და მაცდურ ნექტარს არ ეწაფებოდა და სიმართლეს გულუშიშრად უსწორებდა თვალს; გულგატეხილ ახალგაზრდას კარგა ხნის წინ დაესამარებინა ყმაწვილური ოცნებები და სიმწრის ფიალა ერთი ამოსუნთქვით დაეცალა; მარსელი მას და დეროშს შეჰყურებდა, პოეტის მშვენიერ სახეს და თავისი სატრფოს ულაზათო, უსახურ და ულამაზო ნაკვთებს ადარებდა და ხვდებოდა, რომ ახალგაზრდა დენისი შეუცნობელ ბედისწერას ულმობლად ეწამებინა, გამუდმებულ ტანჯვა-ვაებას და ცხოვრების ქარტეხილებს გამოებრძმედა.

უინტერესო და მოსაწყენი საუბარი უსაშველოდ გაიწელა; პერდრიერი გაუთავებლად ლაქლაქებდა ხალხსა და განათლებაზე; გაცხარებულმა მარსელმა გაიფიქრა, შარვალი თვალის დახამხამებაში გაქრება ჩემი ცხოვრებიდან, ვერც კი მიხვდება, როგორი ადამიანი ვარ, ჩემს სათანადოდ დაფასებას და შეყვარებას ვერ მოასწრებსო. „რა ხელაღებით სწირავს ცხოვრება ადამიანებს მარტოობისათვის! როგორ დაუნანებლად გამოგვიტანს ხოლმე ეს უზენაესი მსაჯული ესოდენ მკაცრ განაჩენს! მის სულმდაბალ თანამზრახველებად არ უნდა ვიქცეთ! გააფრთებით უნდა შევებრძოლოთ და ფარ-ხმალი დავაყრევინოთ, რათა ეს საზარელი შურისძიება არ აღასრულოს!“ – გაიფიქრა მან და შარვალს უთხრა, მთელი გულით მსურს თქვენი ლექსების წაკითხვა, უმორჩილესად გთხოვთ, მომავალ კვირას ვახშმად მესტუმრეთო.

ო, რა საოცარი იყო მათი პირველი პაემანი! რაწამს ერთმანეთს მიესალმნენ, მარსელმა რემბოზე შეყვარებულ პოეტს პირად ცხოვრებაზე გაუბა ბაასი და ანაზდად იგრძნო, რომ საუბარმა ძალზე ინტიმური ელფერი მიიღო; ქალიშვილმა უთხრა, ვაღიარებ, ოდესღაც მწამდა, რომ ადამიანს შრომის წყალობით სამყაროს შეცვლა ძალუძდა, მაგრამ მწარე იმედგაცრუება ვიგემე და ახლა ყოველგვარი საქმე ამაო ფუსფუსად მეჩვენებაო; შარვალმაც გაუმხილა, მე კი ამის არასოდეს მჯეროდაო; რა საოცარი იყო! არც ერთს არ სწამდა მეგობრობის – ამ ძალმოსილი ქალღმერთის! მარსელმა უთხრა, ჩემს ერთადერთ

თავშესაფრად ის ოცნებები, ლექსები და ესეები მესახება, რომელთაც დროდადრო ვანდობ დღიურს, ჩემი ტანჯული გულის ამ ერთადერთ მესაიდუმლესო. ვაჟმა ამოიგმინა, ხანდახან პოეზიაც კი ამაო, უსახურ გართობად და უდიდეს სიცრუედ მეჩვენებაო; ქალიშვილს მისმა სიტყვებმა თავზარი დასცა; დენისს ქვეყნად სასიხარულო აღარაფერი ეიმედებოდა; მხოლოდ იმ სანუკვარი შთაბეჭდილებებისა და წამიერი, წმიდათაწმიდა, მიწიერი სიმდაბლისგან სამუდამოდ დაცლილი შეგრძნებებისთვის ცოცხლობდა, რომლის გადმოცემაც შეუძლებელი იყო მწირი ადამიანური ენით; როცა ამ მასულდგმულებელ გრძნობათა სიტყვათა უხეშ ქსოვილში გამომწყვდევას ლამობდა, ეჩვენებოდა, რომ ამ სათუთ საუნჯეს საზარლად ამახინჯებდა და ამ ერთადერთ გულისსწორს სულმდაბლურად და ვერაგულად ღალატობდა. აღშფოთებული მარსელი არ დაეთანხმა; ხმაათრთოლებული ესაუბრებოდა პოეტის უდიდეს მოვალეობაზე და დაუღალავად შეაგონებდა, ეჭვის ჭიამ გული არ დაგიღრღნათ, არ შედრკეთ, შიშმა არ შეგიპყროთ და თავდაჯერება და სიმტკიცე არასოდეს დაკარგოთო. სურდა, მისი ლამაზი თავი ხელებში მოემწყვდია, მშვენიერ, სევდიან სახეზე ათრთოლებული თითებით მოფერებოდა და მისთვის გულუხვად ეწყალობებინა თავისი ურყევი რწმენა და სასიცოცხლო მგზნებარება! გამუდმებულ დარდს, ჭმუნვა-ურვასა და სიმწარეს ამ კაცის სახეზე სამარადჟამო დაღი დაესვა.

მეტისმეტად ახალგაზრდა და მორცხვი შარვალი მარსელს იმის თხოვნასაც ვერ შეჰბედავდა, დავმეგობრდეთო. ამიტომაც, გულკეთილმა, თავაზიანმა და სულგრძელმა ქალიშვილმა გადაწყვიტა, პოეტის ლანდად ქცეულიყო, გვერდიდან წამითაც არ მოშორებოდა და მისი კეთილგანწყობა და ნდობა მოეპოვებინა; იცოდა, რომ ამ სევდიანი, გულმოწყლული და დაღვრემილი ბავშვის გულში დიდი ადგილი უნდა დაეჭირა და მისი ცხოვრების წარმტაც სპექტაკლში უმნიშვნელოვანესი როლი შეესრულებინა; „ვიე-კოლომბიეს“ თეატრში ახალი სპექტაკლი ნახეს, პიკასოს გამოფენასა და კინოთეატრ „ურსულინებსაც“ ესტუმრნენ; ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ. შარვალი ბევრს ეკითხებოდა მის საქმიანობაზე, დაწესებულებასა და ოჯახზე; აღტყინებული უყვებოდა იმ დამატყვევებელ, მომნუსხველ მელანქოლიაზე, რომელიც საღამოობით ბობოქარ ტალღებად მოჩქეფდა სიგარეტის კვამლით სავსე ბარებიდან და ბოჰემური მხურვალებით გაჟღენთილი გასართობი ადგილებიდან; დაუსრულებლად ენამზეობდა თანამედროვე ესთეტიკაზე, ცხოვრების აბსურდულობასა და ამქვეყნიურ ამაოებაზე; მარსელს მისი

მეგობრების გაცნობა ოცნებად ექცა; რამდენჯერმე კაფეშიც კი წაჰყვა ამ ქარიზმატულ პოეტს, რომელიც დადაიზმზე, კუბიზმზე, ჟან კოქტოს უკანასკნელ ლექსებსა და მეოთხე განზომილებაზე ებაასებოდა აჭრელებული, მყვირალა ფერის კოსტიუმებსა და ფაფუკ პერანგებში გამოწყობილ მწერლებსა და პოეტებს; თავგზააბნეული და მოჯადოებული ქალიშვილი ყურს უგდებდა მათ კამათს, მაგრამ ხმის ამოღებასაც კი ვერ ბედავდა, რადგან უამრავ რამეზე მასლაათობდნენ, საუბრის თემას წამდაუწუმ ცვლიდნენ და ხან რას მიედ-მოედებოდნენ და ხან – რას; ხშირად ისეთ ხუმრობებსა და ნართაულ სიტყვებს წამოისროდნენ, რომელთა მნიშვნელობაც არავის ესმოდა გარდა ამ უდიდეს საიდუმლოს ზიარებული ზეკაცებისა; მათი მჭევრმეტყველების უსასრულო ლაბირინთში გზა-კვალარეულ მარსელს ნუსხავდა და თრიაქივით აბრუებდა იმაზე ფიქრი, რომ ბოლოს და ბოლოს, საოცნებო სამყაროში აღმოჩნდა; ო, როგორ ნატრობდა ოდესღაც, უშიშრად შეეღო ამ ჯადოსნური საუფლოს კარიბჭე და სამარადისოდ დაევანებინა იქ! ვარდივით გაიფურჩქნებოდა უცნაური, მეტად დახვეწილი, გენიის ცეცხლით თვალებანთებული ახალგაზრდების უკიდეგანო, შარავანდედმოსილ სამკვიდროში; მარტოობასა და ტანჯვა-ვაებაში ჩასახული თესლიდან, მიუსაფრობის ყინვით დამზრალი, ცრემლით დალტობილი მიწიდან აღმოცენდებოდა თვალწარმტაცი, საარაკო სილამაზის ყვავილი და ქვეყნიერებას ტკბილსურნელებას მოჰფენდა; დენისი ბოჰემური თავყრილობის სული და გული იყო, მთელ ამ ელიტაში გამორჩეული, არამიწიერი მშვენიერებით ბრწყინავდა და ყველაზე ლამაზი, მოხდენილი, ნატიფი, ელეგანტური და ახალგაზრდაც გახლდათ; მასავით ალერსიანი ხმა და მეოცნებე მზერა არავის ჰქონდა, არავის! მარსელს ასეთი ამაღელვებელი და გულში ჩამწვდომი დაპირებები სხვა ადამიანთა მზერაში არასოდეს ამოეკითხა! თითქოს, ეს ცით მოვლენილი ღვთაება რაღაცას საზეიმოდ აღუთქვამდა. ხშირად გამაოგნებელ, ურთიერთგამომრიცხავ აზრებს გამოთქვამდა, მაგრამ ქალიშვილი თავაზიანი, შემწყნარებლური იერით უგდებდა ყურს და ამ გულფიცხ ბავშვს უნებლიე შეცდომას სულგრძელად ჰპატიობდა. თუ ამ გიჟმაჟ პოეტზე გავლენას მოიპოვებდა, უფრო ნათელ, მშვიდ, სწორხაზოვან აზროვნებას მიაჩვევდა; მაგრამ გულის სიღრმეში ძალიანაც მოსწონდა მისი დაუდევარი, ახირებული, ბუნდოვანი, თუმცაღა საამო მეტყველება.

თითქმის სამი კვირა გასულიყო მათი პირველი შეხვედრიდან, როცა დენისმა უთხრა, მარნას პირას (მარნა – მდინარე საფრანგეთში)

ხომ არ ვივახშმოთო; ზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა, მარსელს დიდი ჩალის ქუდი ეხურა და ფარფაშა სახელოებით დამშვენებული, მოჩითული მწვანე კაბა ემოსა; თვალი ფერმიხდილი ზეცისაკენ აღაპყრო, მერე კი შარვალის ბავშვურად გლუვ ლოყებს დააცქერდა; არ იცოდა, რა პასუხი მიეცა მისთვის, რადგან სამწუხაროდ, იმ საღამოს დეროში დრიუფეს ვახშმად უნდა სწვეოდა. ერთი კვირის წინ საქმროს საშინლად ეჩხუბა და უსაყვედურა, მეტისმეტად ფრთხილი, წინდახედული, მოკრძალებული, მხდალი, გულქვა, უგრძნობი და მიუხვედრელი ხარ, ჩემი საერთოდ არ გესმის, შენმა დაუღალავმა გულარხეინობამ ძალ-ღონე სულ გამომაცალა, ჩემზე დედასავით ზრუნავ და დღედაღამ კარგ გუნებაზე ხარო; მისმა სასტიკმა სიტყვებმა დეროშს გული მოუკლა; ოდესღაც სიყვარულით გულსავსე მიჯნურები ახლა უმძრახად იყვნენ; ისე დაძაბულნი და თვალებანთებულნი უყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს, მალე ქარიშხალი უნდა ამოვარდნილიყო და სიმწრით შეკოწიწებული მათი ტრფობის ოაზისი თვალის დახამხამებაში ნაცარტუტად ექცია; მარსელი ნაწყენი იყო, მაგრამ არ უნდოდა, ავხორც გულისთქმას აჰყოლოდა, ეშმაკის საცდურს დაეძლია, მიუტევებელი ცოდვა ჩაედინა, სულმდაბლურად ეღალატა იმისთვის, ვინც სულ მალე თანამეცხედრედ მოევლინებოდა. ეს სპეტაკი ადამიანი ამ გამოუსწორებელ შეცდომას არაფრისდიდებით არ დაუშვებდა!

„დაურეკეთ დედათქვენს და უთხარით, რომ ამ საღამოს შინ ვერ დაბრუნდებით. რამე მოიმიზეზეთ!“ – მბრძანებლური ტონით შესძახა განაწყენებულმა შარვალმა და ისე მოიღუშა, თითქოს, თუ ამ სურვილს არ აუსრულებდა, სიკვდილამდე ხმას არ გასცემდა; მარსელს გაეღიმა; უცნაურ სიამოვნებას განიცდიდა, როცა ემორჩილებოდა ამ ბუზღუნა, ჭირვეული, სახემოღუშული და ბუტია ბავშვის ახირებებს; ამ დიდსულოვან პოეტთან უბრად ყოფნას სიკვდილი ერჩია! „თქვენ წინაშე ყველაზე გულქვა და ცივსისხლიანი ადამიანიც კი ფარ-ხმალს დაყრის! უარს ვერ შეგკადრებთ, შარვალ! გულს ვერ დაგწყვეტთ!“ – უთხრა მან.

ღია ცისქვეშ შემწვარი კარტოფილი და გველთევზას მატლოტი მიირთვეს (წითელი ღვინის სოუსით შეზავებული კერძ.მთარგმნ.); მარსელს ღვინო არ უყვარდა, მაგრამ თითქმის ნახევარი ბოთლი დალია. ნავახშმევს, მდინარის ნაპირას, მწვანედ აბიბინებულ მოლზე წამოწვნენ; პარიზი უსაზღვროდ შორს დარჩა; მენილმონტანის ქუჩა, „ერთ მუშტად შეკრული საზოგადოება“ და დეროში, თითქოს, მათ სხეულთა სიმხურვალეში უკვალოდ გაქრა და აღიგავა პირისაგან

მიწისა; მარსელს ეჩვენებოდა, რომ მარიონეტივით უდრტვინველად ემორჩილებოდა ვიღაც უხილავი მბრძანებლის ძლიერ ხელს; შეუცნობელი ბედისწერა უეცრად მოვარდნილი შლეგი ღვარცოფივით თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქანებდა სადღაც. არაქათგამოცლილ ქალიშვილს თავის დახსნის ძალაც კი აღარ შერჩენოდა, მაგრამ უხაროდა კიდეც, ასეთი უმწეო რომ იყო. ლამის გონმიხდილი და თვალმილულული, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ გული ძალუმად უძგერდა, სისხლის აბობოქრებული ტალღები დგაფუნით აწყდებოდა მისი სხეულის ნაპირებს და დენისის თბილი სუნთქვა სახეზე საამოდ ელამუნებოდა; გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა; მთელი სამყარო დიადი, არნახული მოვლენის მოლოდინში გარინდულიყო; რაღაც უცილობლად მოხდებოდა და მარსელი ამ უძლეველ, უხილავ ძალას წინ ვერ აღუდგებოდა; სულგანაბული, ღონემიხდილი, მორჩილად დაელოდებოდა გარდაუვალი ბედისწერის ეჭვშეუვალ განაჩენს; მრავალი წელი ეცხოვრა ძლიერი, მაგრამ მაინც ნაზი, სათნო, გულჯავრიანი და მზრუნველი ქალის ნიღბით, ახლა კი მთელი გულით ეწადა, წუთით მაინც დაესამარებინა თავისი ცრუ ხატება, ხატება სურვილჩამკვდარი და გულგამომშრალი ქალისა, რომელიც ფიქრით თავს არ იტკიებდა და არასოდეს არაფერზე ოცნებობდა; ნატრობდა, თამამად ეთქვა, რომ სისხლსავსე, მგრძნობიარე, დაუდგრომელი ახალგაზრდა ქალი იყო, ბედნიერება სწყუროდა, მასში მწველი სურვილები და ვნებები ბობოქრობდა და ძალზე ხშირად, ოცნებებში თავდავიწყებით დანთქმულს, თავს დასთენებია.

ნაჩქარევმა კოცნამ თავსხმა წვიმასავით დაფარა მისი თვალები და ტუჩის კუთხეები; იგრძნო, როგორ შეეხო მისი გავარვარებული სხეული; პოეტმა მგზნებარე, ხანგრძლივი ამბორი უძღვნა მის ბაგეს; მარსელი გრძნობამ აიტანა და ნეტარების მორევში გადაეშვა; მიწიერი საზრუნავი, გულისმომკვლელი სევდა და მძიმე მოვალეობები თვალის დახამხამებაში გაქრა, ძალ-ღონე სულ გამოეცალა და აუწერელი განცხრომითა და უმწეობის სასიამოვნო შეგრძნებითღა ტკბებოდა; დენისის მკლავებში მომწყვდეულმა, განუცდელი ნეტარება იგემა – თითქოს, მისი სუსტი სხეული უეცრად წარიხოცა, არარას შეერწყა, სიკვდილისა და სამარადჟამო განადგურების გულზვიად ქალღმერთს თვალი გაუსწორა და მის იდუმალ ჩურჩულს ყური მიუგდო; თურმე, რა სმენადახშული ყოფილა! ეს ტკბილი ხმა აქამდე როგორ არ მისწვდა მის ყურთასმენას?!

უეცრად, ელდანაცემივით შეკრთა; მთელი სხეული საზარელმა შიშმა დაუშანთა, კუნთები კრუნჩხვამორეულივით შეეკუმშა და ორივე

ხელი გამეტებით ჰკრა დენისს, გულზე მძიმედ რომ დასწოლოდა. ზნედაცემული მოძალადეები ხომ სწორედ ასეთი მაცდური და ვნებიანი ალერსით შეიტყუებენ ხოლმე უბიწო ქალწულებს უკაცრიელ სოფელში და ნამუსს ხდიან?! „შეჩერდით! თავს ნუ დაკარგავთ!“ – უთხრა ხმაშეცვლილმა მარსელმა.

შარვალი მაშინვე მოშორდა და ამოილუღლუღა: „მაპატიეთ. გრძნობამ ამიტანა...“ მარსელი წამოდგა; ვაჟმა მხარზე ხელი მოხვია და განაგრძო: „ვიფიქრე, კოცნით უფრო გაგანდობდით გულისნადებს, ვიდრე – გაცვეთილი სიტყვებით; ნუ გამიჯავრდებით, მარსელ. როცა გიმზერთ, ბავშვივით მორცხვი ვხდები.“ შარვალს დამწუხრებული, მაგრამ მაინც ლამაზი და საოცრად მიმზიდველი სახე ჰქონდა. „მიყვარხართ, ჩემო უცნაურო!“ დენისმა ხელები გაშალა და კვლავ გულში ჩაიკრა. ქალიშვილმა იგრძნო, რომ საზარელი საფრთხე აღარ ემუქრებოდა და რომ პირმშვენიერი ახალგაზრდა მის ღირსებას ასე სულმდაბლად არასოდეს შებღალავდა; ო, რა სულელი ყოფილა! როგორ იფიქრა, რომ რემბოს მოტრფიალე ეს ეფემერული ქმნილება ამგვარ უხამსობას იკადრებდა?! სურვილმორეულმა მარსელმა ფარ-ხმალი წარბშეუხრელად დაყარა და საბოლოოდ, სიხარულითაც კი დაემორჩილა მის მხურვალე, მბრძანებელ ხელებს, რომლებიც კეფასა და მკერდზე შლეგივით ეალერსებოდნენ.

თითქმის შუაღამემდე დასეირნობდნენ ამ ლამაზი მდინარის პირას. შეძრწუნებული მარსელი ფიქრობდა, დენისს შემზარავი მომავალი ელისო; იგი, ალბათ, ვერ იცოცხლებდა, თუკი უგონო სიყვარულით გულანთებული ქალი თავდადებით არ იზრუნებდა მასზე და მთელ ცხოვრებას არ მიუძღვნიდა ამ ურწმუნო, იმედ-გაცრუებულ, გულნატკენ და ჯოჯოხეთურად განაწამებ ახალგაზრდა პოეტს; მას ხომ გულს უღრღნიდა ეჭვის ჭია?! ამ სვეგამწარებულმა, ცხოვრებისგან უმოწყალოდ გათელილმა ბავშვმა ხომ კარგა ხნის წინ გაუსწორა თვალი სიმართლეს და ოცნებებითა და გულგასახარი ილუზიებით ტკბობას თავი ანება?! თუ გონიერი ქალი ხელს მაგრად არ ჩასჭიდებდა, ეს მუზათა მსახური თავის სანუკვარ ნიჭს ქარს გაატანდა, სულელურად მარტივ, უსახურ ლექსებს დაწერდა და ალბათ, ბიწიერების მორევშიც ჩაეფლობოდა. ქვეყნად არავის შეეძლო მისი ხსნა მარსელის გარდა; ეს ნაზი ქალიშვილი ხომ დღემუდამ იმაზე ოცნებობდა, გენიოსი, მაგრამ ბავშვივით სუსტი მამაკაცის შთაგონების წყარო და ცხოვრების მეგზური ყოფილიყო?! აი, ასეთი იყო მისი ბედისწერა! ამაზე მშვენიერი ხვედრი როგორ უნდა ენატრა?! დენისს თავის სალოცავ ხატად აქცევდა! დეროში მის გარეშეც უშიშრად

გაუყვებოდა ცხოვრების გრძელ, ნისლიან ბილიკებს; მარსელი მის ძლიერ ფრთებს – ამ მშვიდ სავანეს, დამაშვრალი ლტოლვილივით აფარებდა თავს; თავადაც ვერ მიმხვდარიყო, როგორ გამოიჩინა ასეთი საზიზღარი და სამარცხვინო სიმხდალე! იმისთვის როდი მოვლენოდა ქვეყნიერებას, რომ სხვისგან წყალობა თავმდაბლად მიეღო! პირიქით: ადამიანებზე დაუღალავად უნდა ეზრუნა, თავი უანგარო სიკეთით ესახელებინა და შინაგანი სიმდიდრე ისე გულუხვად გაეცა, ნაცვალგების იმედიც კი არ ჰქონოდა! თითქოს, გული საამოდ ეჩურჩულებოდა: „გაეცი, ყოველივე დაუნანებლად გაეცი!“ შინ დაბრუნებულმა დეროშს გამოსათხოვარი წერილი მისწერა.

მადამ დრიუფსა და პასკალსაც გაუმხილა, საქმროს დავშორდიო; მათ ერთი საყვედურიც კი არ დასცდენიათ; მარსელის გადაწყვეტილებებს ყოველთვის უსიტყვოდ, წარბშეუხრელად ეთანხმებოდნენ, გულგატეხილს კი – ანუგეშებდნენ; ჟერმენი ძალ-ღონეს არ იშურებდა, მეგობარს არ შეემჩნია, რომ დანიშნულთა მოულოდნელმა განშორებამ ასე გააოგნა; მარსელმა ექთნებს განუცხადა, მე და დენის შარვალი სულ მალე შევუღლდებითო. დიდხანს თვალმოუშორებლად შესცქეროდა სულმოკლე და გულღვარძლიანი არსებების თავზარდაცემულ, მტრულ სახეებს, მათ საშინლად ავ მზერას და საოცარი სიამაყით ივსებოდა. სულ აღარ ადარდებდა, რას იტყოდა ხალხი. რამდენიმე დღეში დაქორწინდებოდნენ. კვლავ რატომ უნდა გაწამებულიყო უსაშველო ლოდინით?! წარსულის უდაბნოში სამუდამოდ დამარხავდა ტკივილს, დარდს და იმედგაცრუებას! არა და არ ეღირსა დეროშის ცოლობა, მაგრამ სამაგიეროდ, თვალის დახამხამებაში ამ დიადი პოეტის თანამეცხედრე გახდებოდა. სულმოუთქმელად ელოდა ამ ოცნების ახდენას. შარვალს არც დიდძალი ქონება ჰქონდა და არც – გასამრჯელო. სანამ სამსახურს გამოძებნიდა, ცოლეურს იცხოვრებდა. სატრფომ მარსელს უთხრა, აქამდე მშობლებისა და და-ძმების ოფლით მოპოვებული სარჩოს წყალობით მედგა პირში სულიო; ო, ალბათ, როგორ უმძიმდა ამ სულმნათ მგოსანს სხვის კმაყოფაზე ცხოვრება! ალბათ, სულ არ ახარებდათ, დენისს ცოლის შერთვა რომ განეზრახა; შეიძლება, შემოსწყრნენ კიდეც, რადგან ახალდანიშნულებს არ ესტუმრნენ და მისალოცი წერილიც კი არ აღირსეს.

მადამ დრიუფს ძალიან უნდოდა, მარსელი თოვლივით თეთრი საპატარძლო კაბით შებმულიყო მძიმე ცოლქმრულ უღელში. ამგვარი ოფიციალური, გაცვეთილი და ყავლგასული ცერემონიები მარსელს ჭირის დღესავით სძულდა, მაგრამ გადაწყვიტა, დედისთვის ეს სანუკვარი ოცნება აესრულებინა. აბა, საყვარელ მშობელს გულს ხომ

არ დასწყვეტდა?! ნაცნობ მკერავს მეტად უბრალო კაბის შეკერვა დაავალა და გაიფიქრა, როცა ამ დღესასწაულის ბრწყინვალება ჩაქრება, საღამოს კაბად გადავიკეთებო. ყველამ ერთხმად აღიარა, ტიულის პირბადით დამშვენებული პატარძალი ღვთისმშობელს ჰგავსო. მეტად მოკრძალებულ ქორწილს მხოლოდ ახლო ნათესავები და მეგობრები დაესწრნენ. მარგერიტს ნაირფრად მოელვარე თავთის კაბა სულ არ უხდებოდა, მუქ კოსტიუმში გამოწყობილი პასკალი კი გამორჩეულად ლამაზი გახლდათ; საშინლად აღელვებული ჩანდა, როცა საფიცარი და საკურთხევლისკენ მიჰყავდა. საკურთხეველთან მდგარი ჟერმენი გულმდუღრად აქვითინდა და ურწმუნო მარსელის თვალსაც კი მოწყდა ორიოდ წვეთი ცრემლი. ჯვრისწერის შემდეგ მადამ დრიუფმა სტუმრები მოკრძალებულ სუფრასთან მიიწვია. საჭმელ-სასმელი თავზე საყრელად არ ჰქონდათ, მაგრამ ჩინებულად მოილხინეს; ცხადი იყო, ასეთი მხიარული და სასიამოვნო საღამო სიკვდილამდე არ დაავიწყდებოდათ; დენისი საოცარ თავაზიანობას იჩენდა. თურმე, უშრეტ წყაროდ ჩქეფდა მასში სიკეთე და გულწფელობა! ყველას უხვად ჩუქნიდა თავის შინაგან სიმდიდრეს, ამ სანუკვარ განძს! აღფრთოვანებულმა თანამეინახეებმა აღიარეს, რომ ეს პოეტი საოცრად მომხიბვლელი და მაცდური ახალგაზრდა ყოფილაო.

ახალჯვარდაწერილებმა გადაწყვიტეს, ორიოდე დღეში ბრეტანს გამგზავრებულიყვნენ. დენისმა მძღოლს ცერემონიულად, ერთობ საზეიმო ტონით განუცხადა, მონპარნასის სადგურში წაგვიყვანეთო და გზად იმ სასტუმროს მისამართიც მისცა, სადაც ღამე უნდა გაეთიათ. მათთვის ოთახი და საქორწინო სარეცელი უკვე მოემზადებინათ. სულ მალე მათი პირველი ღამე დადგებოდა! მათი პირველი ღამე! ბულვარში, ერთ დიდ კაფეში, პორტო დალიეს, მერე კი დენისმა ცოლი „ვებერში“ ბრწყინვალე ვახშამზე (რესტორანი პარიზში. მთარგმნ.) მიიწვია. მარსელი გაოცდა კიდეც, მისი თანამეცხედრე დიდი მუცელღმერთა რომ აღმოჩნდა; თვითონ ისეთი აღელვებული იყო, ყელში ლუკმა არ გადასდიოდა; კრიჭაშეკრული დიდებულ ვახშამს პირს ვერ აკარებდა, ნერვიული კანკალი უვლიდა და გულაძგერებული ელოდა, როდის შემოაბიჯებდა ღამე უკიდეგანო პარიზში; შიშნარევი აღტყინება ეუფლებოდა; სხვებისგან სმენოდა, რომ მისი თანატოლები სანუკვარ უბიწობას უმტკივნეულოდ კარგავდნენ, მაგრამ ამაზე ფიქრი ვერ ამშვიდებდა.

როცა სასტუმროს კიბეებს მიუყვებოდა, მუხლი ეკვეთებოდა; უნდოდა, დენისს გვერდით მიჯდომოდა, მის მხურვალე ხელებს თითებათრთოლებული შეხებოდა, მისი ლამაზი სახე ნაზად დაეკოცნა

და სერიოზული, ცოტათი მედიდური იერითაც კი ელაპარაკა იმ საზეიმო, დიდებულ, წმიდათაწმიდა რიტუალზე, რომელსაც მალე საქორწინო სარეცელში აღასრულებდნენ; ხორციელი სიამის ჟამს მათი დიადი სულები ამაოდ შეეცდებოდნენ ერთარსებად ქცევას, რადგან ეს შემზარავი მანკიერება, ეს სამარცხვინო პირუტყვული ჟინი მათ შორის გადაულახავ კედლად აღიმართებოდა და ახალშეუღლებულებს ნებას არ მისცემდა სრულქმნილების, სამარადისო ერთობისა და თანაზიარების ნეტარი შეგრძნებით დამტკბარიყვნენ; მარსელი გულისსწორს გულში ჩაეკვრებოდა, მის თბილ მკლავებს თავს შეაფარებდა და მწარედ აქვითინდებოდა; გულჩვილ ქალიშვილს ამ საარაკო გმირობის გულში ჩამწვდომი და პათეტიკური სიდიადე ცრემლსაც კი მოჰგვრიდა, მერე დამშვიდდებოდა, ცრემლს ნაზად შეიშრობდა და ალერსის უეცრად მოვარდნილი ტალღა წალეკავდა.

საუბედუროდ, დენისი ვერ ხვდებოდა, რომ მას მეტად მძიმე, მაგრამ დიდებული წუთი დასდგომოდა. მისი მამაკაცური გული ვერ გრძნობდა, რად ღელავდა ასე ეს უბიწო ქალწული?! ძალზე მშვიდი, თითქმის გულგრილი ხმით თქვა, ზეზეურად მძინავს, სადაცაა, დავეცემიო და ტანსაცმლის გასახდელად აბაზანაში შევიდა. მარსელი საწოლში იწვა, როცა კაკუნი შემოესმა; მაქმანებით დამშვენებული, ღია მწვანე ღამის პერანგი გადაეცვა და გული გამალებით უცემდა.

დენისი გვერდით მიუწვა, ნებიერა ბავშვივით გაიშხლართა და ერთხანს უსაგნო ლაპარაკით შეიქცია თავი, მერე კი ძალიან ნელა, სათუთად დაუკოცნა სახე. მგზნებარე ამბორმა ალერსსმოწყურებულ მარსელს განუცდელი სიამე მოჰგვარა; გრძნობდა, როგორ ბობოქრობდა ტალღასავით მისი მხურვალე სისხლი და ველური ღრიალით აწყდებოდა მისი სხეულის ნაპირებს, სახეს, საფეთქლებს, ბაგეს, მკერდს... თითქოს, თხემით ტერფამდე ცეცხლის ალში გახვეულიყო; ტუჩები და მკერდი გაუმკვრივდა. „ახლა შუქს ჩააქრობს და... ნუთუ ძალიან მეტკინება?!“ – გაიფიქრა შეძრწუნებულმა.

თვალებანთებულმა დენისმა ღია მწვანე ღამის პერანგი გახადა, მაგრამ შუქი არ ჩააქრო; შლეგი ვნებით გახელებულმა, ნაკვერჩხალივით გავარვარებული ტუჩებით ქალწულის მკერდი და მუცელი მწველი, ხარბი კოცნით დაფარა; მარსელს სურვილმორეული თვალები მიელულა და აკანკალდა; თხემით ტერფამდე ფოთოლივით თრთოდა, რადგან გრძნობდა, რომ ეს მსუნაგი მამაკაცი ვერ ძღებოდა მისი შიშველი სხეულის ცქერითა და ალერსით; სირცხვილით იწვოდა, მაგრამ სახელის შებღალვის, ნამუსის ახდისა და საქვეყნოდ შერცხვენის გავარვარებული შანთით დადაღვა ყველაზე სათუთ და ნეტარ ალერსზე საამოც კი იყო.

დენისმა მთელი ძალით ჩაიკრა გულში; თვალმიბნედილმა ქალიშვილმა მისი ნაზი, მოქნილი, სხარტი და შიშველი სხეულის სიმხურვალე იგრძნო; მამაკაცს მისთვის მკლავები მარწუხებივით შემოეჭდო; ქალწულის მუცელს იდუმალებით მოცული, მთრთოლვარე, თუმცა, მაინც შეუვალი და მკვრივი კანი შეეხო; მარსელმა თავი დაჰკარგა; ამ პირუტყვულ, დასაძრახ ჟინზე მეტად ის მოქნილი და თლილი თითები ახვევდა თავბრუს, შეუჩერებლად რომ ეალერსებოდნენ; ამ გამოცდილი ოსტატის ხელები მხოლოდ საამოდ როდი ელამუნებოდა მის კანს! შეუცნობელ განგებას მათთვის სასიცოცხლო სუნთქვა შთაებერა, სხეულის ამ ნაწილისთვის ცნობიერება, უკვდავი სული, მწველი სურვილები და ურყევი ნებისყოფა ეწყალობებინა; თავხედი, უტიფარი თითები თითქოს უბრძანებდნენ, განეცადა დაუვიწყარი ნეტარება; ეს მარადიული მონობა და დენისის ნატიფ ხელთა ტირანია სიბილწისა და ავხორცობის ზღვაში ძირავდა; ეგონა, სადაც იყო, გული წაუვიდოდა.

ქუთუთოები საშინლად დამძიმებოდა; თვალი გაჭირვებით გაახილა; დენისი ვეღარც კი იცნო, თითქოს, სულ სხვა ადამიანად ქცეულიყო; შლეგი, გულდამწველი სურვილით სახეშეშლილი, თითქმის გონდაკარგული მამაკაცი ისე ხარბად დასჩერებოდა, თითქოს, სადაც იყო, სილა უნდა გაეწნა და ულმობელი მტარვალივით ეწამებინა; მისმა მზერამ ისეთი მძაფრი სიამოვნება განაცდევინა, რომ ურცხვი კვნესა აღმოხდა. „მხოლოდ მას ვემორჩილები, მხოლოდ მას!“ – გაიფიქრა გრძნობამორეულმა და იმ უძირო, ბნელ ჯურღმულში გადაეშვა, სადაც სირცხვილი, საზარელი შიში და სიხარული ერთმანეთს ერწყმის. აღტყინებული ქალის ბაგეს ისეთი ხმამაღალი და ბილწი კვნესა აღმოხდა, დენისმა პირზე ხელი ააფარა; გახელებულმა მარსელმა გიჟივით დაუკოცნა ძლიერი თითები, მარწუხებივით რომ შემოჭდობოდა და სულს უხუთავდა; უნდოდა, ეკივლა: „სამუდამოდ შენს ნივთად, შენს მონად ვიქეცი!“ სიხარულის ცრემლი ღვარად სდიოდა. დენისი უეცრად შეიჭრა მის სხეულში, ქალი სამუდამოდ დაისაკუთრა და დაატყვევა; მარსელმა სიამოვნება ვერ განიცადა, მაგრამ ამგვარი ნამუსის ახდა, იდუმალებით მოცული, ქალწულებრივად სპეტაკი, აქამდე ხელშეუხები სხეულის ასე წაბილწვა და შერყვნა მადლიერებით, მონური თავმდაბლობითა და კრძალვით აღავსებდა და სულს უხუთავდა; გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა; ბედნიერებისგან ქვითინებდა; მისი მადლობელი იყო, მადლობელი იყო, რადგან ამ მბრძანებელმა მისი სიამაყე ერთხელ და სამუდამოდ მოდრიკა, ქედი მოახრევინა და

მასზე გაბატონდა! ჟინმორეული, გახელებული დენისი გულზე მძიმედ დასწოლოდა და შეუჩერებლად ირხეოდა; ვნებით ანთებული, თვალმიბნედილი მარსელი მორჩილად იტანდა მტკივნეულ დარტყმებს; ეს მწვავე, გულდამდაღავი ტკივილი და ჯოჯოხეთური წამება უსაზღვრო სიამოვნებას განაცდევინებდა; ნატრობდა, ამ სასტიკ ტირანს შეეპყრო, სუსტ ხელებზე მძიმე ბორკილები დაედო და შეუვალ საპყრობილეში გამოემწყვდია; სირცხვილი სულ დაკარგა; დენისი სამარადჟამოდ თავის ბატონად რომ ექცია და ამ დესპოტს კიდევ მეტად დამონებოდა, თავის ოდესღაც მარადფხიზელი სინდის-ნამუსი უსარგებლო ნივთივით დაუნანებლად მოისროლა თვალშეუვალი ღამისა და გარყვნილების მორევში. ეს ნეტარი გარინდებაც უკვალოდ გაქრა; მარსელმა გახევებული, თითქმის დადამბლავებული ხელები უმწეოდ აასავსავა; გაგიჟებული დენისი დამშვიდდა, ჩვეული იერი დაუბრუნდა და ბაგე ღიმილმა გაუპო; ქალმა იცნო მისი გაბრწყინებული სახე, დარცხვენილმა საბანს ხელი დაავლო და ნიკაპზე აიფარა. რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სიტყვა ყელში ეჩხირებოდა. „ბედნიერი ხარ?“ – ჩურჩულით ჰკითხა დენისმა. „რა თქმა უნდა!“ – მიუგო მან და ხმადაბლა გაეცინა. ახლა ეს მამაკაცი მთელი გულით სძულდა; ბრაზი ახრჩობდა, რადგან ამ შემზარავი სიბილწით გაჟღენთილ წუთებზე ფიქრობდა. მას ხომ დენისის მკვლავებში ავხორცი კვნესა აღმოხდა?! დენისი მიხვდა, რაოდენ აფორიაქებული, თავგზაარეული და შეშინებული იყო უმანკო ქალიშვილი! სირცხვილით იწვოდა! რამდენიმე წუთის წინაც დაიდაღა სირცხვილის სასიკვდილო შანთით, მაგრამ სამაგიეროდ, ზეციური ნეტარება განიცადა, ახლა კი გრძნობდა, რომ ეს თავბრუდამხვევი სიამე უკვალოდ გამქრალიყო და შეცბუნებულსა და ლაფდასხმულს, ამაო, უნაყოფო სირცხვილი და ნამუსის ახდაღა სტანჯავდა.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა; ცოლ-ქმარი დაძაბული ჩანდა; „რა უცნაურია! პარიზში ვართ და ამ სასტუმროში ვწევართ; ამ თვალწარმტაც ქალაქს ხუთი თითივით რომ არ ვიცნობდეთ, საქორწინო მოგზაურობასა და თაფლობის თვეს აქ გავატარებდით, უსაზღვროდ დავტკბებოდით უცნობი, ლამაზი, იდუმალებით მოცული ქუჩებით, სათუთი სიყვარულით, ალერსითა და უღრუბლო ბედნიერებით და ამ სხივმოსილ დღეთა მოგონება უნაზესი ტრფობით ანთებულ ჩვენს გულებში სამარადჟამოდ დაივანებდა... რას იტყვით, დენის?“ – უშუალო და თითქმის გულწრფელი იერითაც კი ჰკითხა მან.

ქმარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა; მასაც უსაზღვროდ უყვარდა პარიზი; იმასაც კი ფიქრობდა, ამქვეყნად მხოლოდ ამ ქა-

ლაქში ღირს ცხოვრებაო; საუბედუროდ, სოფლის ბუნებით ტკბობის უნარი არ გააჩნდა; შიშმორეულმა მარსელმა გაიფიქრა, ამ ფასდაუდებელ საგანძურს სათანადოდ ვერ აფასებსო და საოცარი აღტყინებით, სათითაოდ ჩამოუთვალა ქალაქის აუტანელი გუგუნისაგან, საზიზღარი ჭუჭყისგან, ქაოსისა და ამაოებისაგან განდგომილი ამ მშვიდი სავანის მშვენიერებანი! მისი მგზნებარების ცელქი ცეცხლი არა და არ ქრებოდა; უთხრა, ძალიან ბედნიერი ვარ, მალე ქვიშით დაფარულ მონ სენ-მიშელსა (კომუნა საფრანგეთში, ერთგვარი კლდოვანი კუნძული, სადაც ცნობილი სენ-მიშელის სააბატოა. მთარგმნ.) და ბრეტონულ ლანდებს ჩემი თვალით რომ ვიხილავ, ეს მომნუსხველი პეიზაჟები ჩემს შინაგან სამყაროს მაგონებს, თითქოს, ამ წარმტაც სილამაზეს ჩემს სულში დაუვანებიაო. დენისი ერთხანს თავაზიანი იერით უგდებდა ყურს, მერე კი სიტყვა შეაწყვეტინა და გულში მაგრად ჩაიკრა; ეს ჟინმორეული ნორჩი პოეტი შლეგივით დაეძებდა მის ტუჩებს.

მის მკლავებში მომწყვდეული მარსელი გახევდა; სხეული სიმივით დაეჭიმა; სისხლის ტალღები ყრუ გუგუნით მოასკდა მისი ბაგეების ნაპირებს, მაგრამ ახლა იცოდა... იცოდა, რომ ცხოველური ჟინითა და მოუთოკავი ვნებით გავარვარებული მბრძანებლური ხელები, – ეს ცივსისხლიანი მტარვალები, უზნეობის, გარყვნილების, ამაზრზენი სიბინძურისა და ავხორცობის თვალუწვდენელ უფსკრულში გადაჩეხვას უქადდნენ; ანაზდად, დენისი სრულიად უცხო მამაკაცად იქცა, სასტიკ, უმოწყალო მტრად, რომელიც ხარობდა მისი სამარადისო დაცემითა და სახელის შებღალვით, თავის ფერხთით განრთხმულ უმწეო მსხვერპლს, სისხლით მორწყულ სამსხვერპლოზე თავდადებულ მხევალს ქედმაღლურად დასცქეროდა და ამაზრზენად ქირქილებდა; მარსელმა მთელი არსებით განიცადა ამ არნახული დაკნინების, ღირსების შელახვისა და არაადამიანური დამცირების საშინელება და მოძალებულმა ურჩმა სურვილმა კვლავ ფოთოლივით აათრთოლა; ვნებამორეულმა და თითქმის ცნობამიხდილმა, დენისს მხარზე უკბინა. მას გააჟრჟოლა, ელდანაცემივით შეხტა, თითები ავადმყოფურად მოეკრუნჩხა, საბოლოოდ დამორჩილებულ, ლაგამ-ამოდებულ და აცახცახებულ ქალის სხეულს ხელები კიდევ უფრო მაგრად, ულმობლად მოხვია და მის სათუთ, მთრთოლვარე კანს ბასრი, თოვლივით თეთრი და მყარი კბილები გამეტებით ჩაასო; აღვირახსნილი ვნებით რეტდასხმული, გრძნობამოჭარბებული მარსელი მიიბნიდა და ქმარს კიდევ უფრო მაგრად ჩაეხუტა; სირცხვილით იწვოდა, მაგრამ მის არსებაში, სადღაც, შორს, გულის

უკიდეგანო ოკეანის ფსკერზე, ყურთასმენის დამტკბობი ჩურჩული გაისმა: „მისი ნივთი ვარ, მისი მონა!“ გულაჩქროლებულმა და აქოშინებულმა შეჰყვირა: „გაღმერთებ!“ უეცრად დენისმა მკლავებში მომწყვდეულ თანამეცხედრეს ხელი დაავლო, მუცელზე დააწვინა, მერე კი წამოაჩოქა და ჩურჩულით უბრძანა: „გაჩერდი! ასე უფრო გესიამოვნება!“ მარსელი აკანკალდა; ეს მამაკაცი, რომლისთვისაც ღმერთს ესოდენ ნათელი გონება მიემადლებინა, აიძულებდა, მის სულმდაბალ, ზნედაცემულ თანამზრახველად ქცეულიყო და სიბილწის შემზარავ ჭაობში ჩაფლულიყო; ქალს ამგვარი სიბინძურე გააფთრებით სძულდა; ქმარმა ხელი გაბედულად მოჰკიდა, წელში მოხარა, განგებ დააყენა ასეთ სასაცილო, საშინლად დამამცირებელ პოზაში და ამ დასაძრახი ავხორცობითა და სიმდაბლით ტკბობას მისცა თავი; გარყვნილების ამ თავბრუდამხვევ ბანგს გულისგადამლევად ნელა სვამდა, თითოეული წვეთით ხარობდა და პირუტყვულ სიამოვნებას ისე იხანგრძლივებდა, თითქოს სურდა, ეს ნეტარება არასოდეს დასრულებულიყო. „ცხოველივით ოთხზე შემდგარი...“ – გაიფიქრა თავზარდაცემულმა მარსელმა; აუტანლად იტანჯებოდა; ყველა კუნთს ჭიმავდა, რათა არ დაცემულიყო. საბრალო, ასე ჯერ არავის დაემცირებინა! ისედაც ჯოჯოხეთურად ნაწამებ მსხვერპლს უსულგულო ჯალათი ცეკვას აიძულებდა და მათრახს უმოწყალოდ უჭერდა. „საოცარ ნეტარებას განვაცდევინებ... საოცარ ნეტარებას განვაცდევინებ...“ – გაიფიქრა აღგზნებულმა; ეჩვენებოდა, რომ გონგადასული სიამოვნებისა და ავხორცობის მწვერვალი დაიპყრო; როდესაც გახელებულმა დენისმა ხელი გაუშვა, აქოშინებული, კრუნჩხვამოძალებული, ერთიანად აკანკალებული და თითქმის გულწასული ქალი საწოლს მოცელილივით დაეცა.

ესმოდა, როგორ სცემდა დენისი ბოლთას; ცოტა ხანში ახალგაზრდა პოეტი თანამეცხედრეს გვერდით მიუწვა, მაგრამ მარსელს თვალი არ გაუხელია; მთელი გულით ეწადა, სამუდამოდ დანთქმულიყო გარინდების ტალღებში, იქ, სადაც სირცხვილი თავბრუდამხვევ სიამოვნებად და ნეტარებად იქცეოდა, თვალი აღარასოდეს, აღარასოდეს გაეხილა და საღათას ძილს მისცემოდა; დენისს თვალს ვეღარ გაუსწორებდა, ვეღარ გაუძლებდა მის ნაზ, თუმცა, დამცინავ მზერას; გონების ჩვეული სიცხადით და გულდამშვიდებით ვეღარასოდეს მოიგონებდა განცდილ სიამეს, ვნებიან ალერსს; მის გულს საზარელი შიში შეჰპარვოდა; გრძნობდა, რომ ეს ნეტარი, ზეციური სიმშვიდის მომგვრელი ნისლი ნელ-ნელა უცილობლად გაიფანტებოდა და მკაცრი სინამდვილე და მოსაწყენი

ყოველდღიურობა აუტანელი გუგუნით შემოიჭრებოდა მის არსებაში; უნდოდა, სადღაც შორს, ძალიან, შორს გაქცეულიყო, მაგრამ იცოდა, რომ ეს ავბედითი წუთი უცილობლად დადგებოდა; ისე იყო დაძაბული, მთელი სხეული ისე დასჭიმვოდა, რომ ნერვიული კანკალი კბილს კბილზე აცემინებდა.

ყრუ წკარუნი ჩაესმოდა; თვალი რომ გაეხილა, ეს ავადმყოფური თრთოლა უკვალოდ გაქრებოდა, მაგრამ გახევებულიყო და ქუთუთოები ისე საშინლად დამძიმებოდა, თითქოს ზედ რაღაც უხილავი, უძლეველი ძალა დასწოლოდა; მისი კბილები გამაყრუებელი რაკარუკით ეხლებოდა ერთიმეორეს; გრძნობდა, თავში როგორ გუგუნებდა ამ გამაყრუებელი ხმაურის ზვირთები და რატომღაც, შვებას განიცდიდა. ეს ხმაური შთანთქავდა მის გონებას, სინდის-ნამუსს, ცნობიერებას, ფიქრებს, თითქოს, თალხ საბურველში ხვევდა და საზარელი მოგონებებისაგან იცავდა. მოძალებულმა ქვითინმა ისევ აათრთოლა. მის გვემულ სხეულში აზვირთებული ცრემლი ღრიალით აწყდებოდა ნაპირებს და ხორციელი საბურველიდან ამოხეთქვას ლამობდა; მხრები უცახცახებდა; დროდადრო პირს მთელი ძალით კუმავდა, მაგრამ ძალ-ღონე სულ ეცლებოდა და კვლავ საშინელი კანკალი უვარდებოდა; თავი დაეკარგა; გრძნობდა, თუ ამ მისნის, ამ ძალმოსილი გრძნეულის ბაგეთაგან გადმოღვრილ იდუმალ შელოცვას აღარ იწამებდა, ეს ჯადო საავდრო ღრუბელივით გაიფანტებოდა, მაგრამ უსაზღვრო სიამოვნებას გვრიდა იმაზე ფიქრი, რომ რაღაც შეუცნობელ, უძლეველ ძალას ემორჩილებოდა. რა ამაოდ ჭიმავდა კუნთებს სიმივით! ეს ველური მხეცები ვერა და ვერ მოეგერიებინა! თავს ვეღარ ერეოდა; ცრემლი ღვარად სდიოდა; დენისი თმაზე ეალერსებოდა და აღელვებული, ოდნავ გაღიზიანებული ხმითაც კი ელაპარაკებოდა. „ნერვიული ტირილი ამივარდა. თავი დამანებეთ, მეძინება,“ – ამოილუღლუღა საწყალობლად. ამ კაცის გვერდით ყოფნას ვეღარ იტანდა. ო, მისი დანახვაც კი გულს ურევდა! საბანში გაეხვია და პირი კედლისკენ იბრუნა.

მათი დაუვიწყარი საქორწინო მოგზაურობა და თაფლობის თვე მეორე დღესვე დაიწყო; მარსელს მონ-სენ-მიშელმა იმედი გაუცრუა; კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ ეს სასტიკი ცხოვრება და ნაირფერი ოცნებები ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავდებოდა. ამქვეყნიური სინამდვილის მსახვრალი ხელი ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდა სათუთად ნაგებ ლამაზ ოაზისებს. შატობრიანის საფლავი ისეთივე დიდებული აღმოჩნდა, როგორიც წარმოედგინა, მაგრამ ამ ბრწყინვალე შემოქმედს ბავშვობაში აღმერთებდა, ახლა

მის გულში ოდინდელი ტრფიალების ცეცხლი მინავლულიყო; ყმაწვილქალობის ულევი სიამით აღსავსე ბილიკები უკვალოდ გამქრალიყო; კეთილმოსაგონარი წარსული სამარადჟამოდ დასამარებულიყო; მარსელმა გულიანად გადაიკისკისა კიდეც, როცა დენისმა რომანტიკოს მწერლებსა და პოეტებს დასცინა და კაცობრიობის ფასდაუდებელ სულიერ საგანძურში სამარადისოდ დავანებული ეს ბუმბერაზები აუგად მოიხსენია! ამტკიცებდა, ფრანგებმა სრულიად ახალი ესთეტიკა უნდა შეისისხლხორცონო; ამ საკითხზე მარსელს ხშირად ესაუბრებოდა, ქალს კი უნდოდა, ბავშვობის ნეტარი დღეები, მასულდგმულებელი სითბოთი აღსავსე ეს ოქროს ხანა მოეგონებინა, მაგრამ შიშობდა, ქმარს უსაგნო ლაყბობით თავი არ შევაწყინოო. ახალგაზრდა პოეტს სულ არ აინტერესებდა, რა სიმდიდრეს დაევანებინა მის სულში; ზოგჯერ, მათი უსიცოცხლო და დამღლელი საუბარი უსაშველოდ იწელებოდა. დენისი ხვდებოდა, რომ ლაქლაქს დუმილი სჯობდა, მეუღლეს კეფაზე ჰკოცნიდა და მკერდზე ეფერებოდა. მარსელს ასეთი ხანმოკლე ალერსი საშინლად სძულდა; როცა დენისი ოდნავ შეეხებოდა და ბაგეებით საამოდ მოელამუნებოდა, მისი ალმოდებული სხეული თავდავიწყების უკიდეგანო, თავაწყვეტილ ჩანჩქერში გადასაშვებად ემზადებოდა, ქმარი კი თვალის დახამხამებაში უგრძნობლად მოშორდებოდა! მარსელი იძულებული ხდებოდა, თავი ხელში აეყვანა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა; საღამომდე საშინლად გაღიზიანებული სცემდა ბოლთას და მოუთმენლად ელოდა ღამეს; მწველ სურვილებს ვეღარ იოკებდა. ო, რა ამაოდ ცდილობდა, ლაგამი ამოედო ამ შლეგი ვნებისთვის! ხშირად გული ბოღმით ევსებოდა და ქმარი ეჯავრებოდა კიდეც.

კვირის მიწურულს დენისმა შესთავაზა, პარიზში დავბრუნდეთო; მარსელს იმედი ჰქონდა, რომ ორკვირიან შვებულებას ბრეტანში გაატარებდა, მაგრამ მის ნებას დაემორჩილა და ეს მშვენიერი დღეები საყვარელ მეუღლეს სიხარულითაც კი შესწირა მსხვერპლად. ქმარმა ასეთი სულგრძელობა და გმირული თავგანწირვა სათანადოდ დაუფასა და როცა ახალდაქორწინებულებს მატარებელი დედაქალაქისკენ მიაქროლებდა, მადლიერებით გულავსებული ქარიზმატული მგოსანი ძვირფას თანამეცხედრეზე მოსიყვარულე მამასავით ზრუნავდა. გატაცებით საუბრობდნენ თავიანთ სვე-ბედზე; მთელი გულით სურდათ, გაეგოთ, როგორი ცხოვრება ელოდათ პარიზში, რას მოუტანდათ ხვალინდელი დღე... დენისმა აღიარა, ძალიან ვიტანჯები, შენს კმაყოფაზე რომ ვცხოვრობო. დრიუფები ბატონკაცურად ცხოვრობდნენ და საფიცარი სიძის რჩენა სულ არ უჭირდათ. ამ

ღვთის საჩუქარს დღედაღამ თავს დაჰკანკალებდნენ, გულს არა-ფერზე სწყვეტდნენ და ლუკმა-პურს არ აყვედრიდნენ! შარტრის სკოლადამთავრებულმა პასკალმა მკვლევარის სტიპენდია მოიპოვა, საოცნებო ლიტერატურულ წრეებში შეაღწია და მისი წყალობით სულ მალე მზის სინათლეს იხილავდა შუასაუკუნეებისდროინდელი, ჟამთასვლისაგან გაყვითლებული და მტვერწაყრილი ტექსტები; მწერლებსა და პოეტებთან ბრწყინვალე ურთიერთობა ჰქონდა და დენისსაც სიხარულით გაუწვდიდა დახმარების ხელს. მარსელმა და პასკალმა გადაწყვიტეს, ამ ახალფეხადგმული, ნორჩი მწერლისთვის უამრავი თავისუფალი დრო მიეცათ. მას ხომ შეგირდობის ეკალ-ბარდიანი გზა უნდა გაევლო?!

„დამიჯერე, სწრაფად გაითქვამ სახელს და დიდების უკვდავ-მყოფელი შარავანდედით შეიმოსები!“ – მგზნებარედ შესძახა მარსელმა. აღელვებულმა და გულაჩვილებულმა დენისმა სულზე უტკბეს ცოლს ხელები გახელებით დაუკოცნა და დაჰპირდა, ოდესმე დაგიმტკიცებ, რომ ვიმსახურებ შენს ასეთ თავგანწირვასო, მაგრამ ეჭვის ჭია გულს უღრღნიდა და საკუთარი თავის რწმენა დაჰკარგვოდა. „ცხოვრებას არ ვიცნობ. მოუქნელი და გამოუცდელი ვარ. მკაცრ სინამდვილეს ვერ ვეგუები, ჩემო საბრალო პატარავ!“ – უთხრა მარსელს, მზერა ჩაუქრა, თითქოს უეცრად, თვალს ნისლის თალხი საბურველი გადაეფარა და დასძინა: „საყვარელი ადამიანებისთვის მარტოოდენ ტკივილი და უბედურება მომაქვს“. ქალს ცრემლი მოადგა და აღტაცებით შესძახა, ღრმად მწამს, წარმატების მწვერვალებს დაიპყრობო. „დარ-წმუნებით რომ არ მცოდნოდა, ყველასგან გამორჩეული და დიადი ადამიანი რომ იყავი, ცოლად არ გამოგყვებოდი!“ – უთხრა მან და ღიმილით განაგრძო: – „ახლაც მახსოვს ის ჯადოსნური საღამო, როცა უდიდესი სასწაული მოხდა და ჩემს ბედისწერას თითქოს იდუმალების საბურველი შემოეძარცვა; თვალი ამეხილა, საოცარი ხილვა მეზმანა და მომავალი თვალნათლივ დავინახე. მშვენიერი საღამო იდგა, პარიზს იისფერი ზეცა დაჰყურებდა და მთელ ქალაქს ჯადოსნურად აელვარებდა... დიდხანს მწარედ ვტიროდი, რადგან ამ მდაბალი ზრახვებით შეპყრობილი ადამიანების გვერდით, უფერულ, უსულგულო და უსახურ სამყაროში ცხოვრება მიწევდა. სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ უეცრად გონება გამინათდა და მივხვდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ცხოვრებაში შენ გამოჩნდებოდი.“ დენისს ხელი ჩაეკიდებინა ცოლისთვის და მომნუსხველ სიტყვებს სულგანაბული უგდებდა ყურს. ჯადოსნურად ოქროსფერ მის თვალებში გენიის ცეცხლი გიზგიზებდა; ეს არნახული ბრწყინვალება ნუსხავდა ქალს.

„მუდამ შენ გელოდი... გელოდი... დაუსრულებლად გელოდი...“ – ჩურჩულებდა მარსელი.

ახალდაქორწინებულები მადამ დრიუფთან დაბინავდნენ, გრძელი დერეფნის ბოლოს, მიკარგულ ოთახში. უგონო სიყვარულით თავბრუდახვეულნი და მზერადაბინდულნი, თითქოს განშორებოდნენ ამ ამაო ქვეყნიერებას და ვეღარავის და ვეღარაფერს ამჩნევდნენ. მარსელმა თავი მცონარობას მისცა; თავქარიანი და დაუდევარი გახდა; რაწამს დისპანსერში სამუშაოდ დაბრუნდა, მძიმე მოვალეობები დაეკისრა, მაგრამ ყოველ საღამოს დენისთან ერთად სეირნობდა; თეატრში, კინოში, „Lapin Agile“-სა (სიტყვა სიტყვით, „მკვირცხლი კურდღელი“. ცნობილი კაბარე პარიზში, მონმარტრზე. მთარგმნ.) და „ნოქტამბულში“ (ძველი კაბარე პარიზში, რომელიც ფრანგმა შანსონიემ, მარტიალ ბუაიემ 1894 წელს დააარსა, 1933 წელს კი პიერ ლუიმ და ჟან კლოდმა თეატრად გადააკეთეს. მთარგმნ.) დაიარებოდნენ; ზოგჯერ, მონპარნასსა და მონმარტრზე ვახშმობდნენ. კვირადღეს, შუადღემდე საწოლში ნებივრობდნენ. მარსელმა საბოლოოდ აიცრუა გული „ერთ მუშტად შეკრულ საზოგადოებაზე“.

„რწმენა დავკარგე. აღარ მჯერა, რომ მარტოსული ადამიანი შრომის წყალობით სამყაროს შეცვლას შეძლებს. ხალხზე წარუშლელი კვალის დატოვება უფრო ბრწყინვალე გმირობად მესახება, მაგრამ უმჯობესია, მთელი ცხოვრება დაუნანებლად მივუძღვნათ იმ ერთადერთ, შეუცვლელ და განუმეორებელ ადამიანს, რომელიც ასეთ თავგანწირვასა და სამაგალითო ერთგულებას იმსახურებს. აი, ესაა ყველაზე სასარგებლო და ნაყოფიერი საქმე!“ – სიამაყით განუცხადა ჟერმენს.

მეგობარი მას სრულიად ეთანხმებოდა; მშვენივრად ხვდებოდა, რომ სულგრძელი და უანგარო მარსელი უშურველად ზრუნავდა ადამიანებზე, დაწესებულებაში დღე და ღამეს ასწორებდა, თავდაუზოგავად შრომობდა, საქმეში გულს და სულს აქსოვდა, თავის შინაგან სიმდიდრეს ყველას გულუხვად უწყალობებდა, მაგრამ ეს საარაკო თავდადება და დიადი მსხვერპლშეწირვა უმადურმა და სულხარბმა ადამიანებმა სათანადოდ არ დაუფასეს; ცხადზე უცხადესი იყო, რომ ეს სულსპეტაკი ქალი ამ მდაბალი არსებებისგან ამაოდ ელოდა ნაცვალგებას; „ძალიან ვიტანჯებოდი; ვგრძნობდი, რაოდენ შორს იყვნენ ჩემგან ეს საბრალოები; მათზე ვზრუნავდი, მათთვის სულს არ ვიშურებდი, მტლად ვედებოდი... საღამოობით ჩემს ოთახში სასოწარკვეთილი შევაბიჯებდი და მწარედ ვტიროდი,“ – გულში შენახული აღსარება აღმოხდა ამ ხელგაშლილ ახალგაზრდა ქალს. როდესაც საუბარი დაამთავრეს, მარსელმა გაიფიქრა, მგონი,

ჟერმენს უსამართლოდ და უხეშად ვექცეოდიო; გადაწყვიტა, მიეტევებინა მისთვის ბავშვური, უწყინარი გამოხდომები; ჟერმენი, ეს შუა ხნის ქალი, გულით ხარობდა, რომ მარსელი რჩევა-დარიგებას ეკითხებოდა და რომ დაუბრუნდათ ოდინდელი საამური სიახლოვე; მათი მეგობრობა, რომელიც სამუდამოდ დასამარებული ეგონა, მკვდრეთით აღდგა და მის გულს ცხოველმყოფელი სხივები მოჰფინა.

ბალზაკის ასაკს მიტანებულმა ჟერმენმა ახალგაზრდა მეგობარს დიდძალი ფული აჩუქა. ასეთი დიდებული საქორწინო საჩუქარი არავისგან მიუღია! მოკრძალებულ ცხოვრებას მიჩვეულ მარსელს ცრემლიც კი მოჰგვარა ასეთმა გულუხვობამ. უსიამოვნოდ გაოცდა, როცა აღმოაჩინა, რომ პარიზში დაბრუნებიდან სულ ცოტა ხანში ფულის თითქმის ნახევარი ქარისათვის გაეტანებინა.

„მეჩვენება, რომ საზარელი გრიგალი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმაქანებს სადღაც," – დაიჩურჩულა ერთხელ.

დენისს აუცილებლად უნდა დალაპარაკებოდა; დიდი ხნით ადრე შეამჩნია, რომ მან ფულის ყადრი არ იცოდა. უყოყმანოდ ყიდულობდა აბრეშუმის პერანგებს, ნებივრობდა თეატრის პარტერთა ძვირადღირებულ, მდიდრულ სავარძლებში და დრიუფების მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით შეკოწიწებულ ქონებას არხეინად ანიავებდა; კაცთა შორის რჩეული ეს ამაღლებული სული, თითქოს მდაბალ ქვეყნიერებასა და უხამს, გაცვეთილ ყოველდღიურ სინამდვილეს ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებული ზეციდან დაჰყურებდა. მარსელი დიდხანს ინახავდა გულში სათქმელს; ამ დიად შემოქმედს ვერ შეჰკადრა ვაჭრული მომხვეჭელობითა და სიხარბით აღსავსე სიტყვების თქმა! არ უნდოდა, მისთვის ლუკმა დაეყვედრებინა და ამ ქარიზმატულ პოეტს ეფიქრა, ბედმა ცოლად წუწურაქი ქალი მარგუნაო. ერთ საღამოს „დანსინგზე" მარსელმა თვალისმომჭრელი სიცხადით დაინახა, რა გზას უნდა დადგომოდა. კარგა ხნის წინ მიხვდა, რა ფასად დაუჯდებოდა ამგვარი თავაშვებული ღრეობები; სულ აღარ მოსწონდა კაფეებში დაუსრულებლად ხეტიალი; ამ ბოჰემურ ადგილთა პოეტური ბრწყინვალება უკვალოდ გამქრალიყო, მაგრამ ვერ ბედავდა დენისის წყენინებას და სიტყვის უთქმელად, ბავშვივით თავდახრილი დაჰყვებოდა ყველგან; იმ საღამოს, მარსელი გაჯიქდა და საყვარელ თანამეცხედრეს ახვეწნინა წაჰყოლოდა; როგორც იქნა, გადაიცვა ის სადა საპატარძლო კაბა, რომელიც ერთმა ახალგაზრდა, მეტად თავაზიანმა მკერავმა ქალმა შეუკერა და ქორწილის შემდეგ საღამოს კაბად გადაუკეთა, ვარდისფერი პომადა წაისვა და დედისეული ესპანური მოსახვევი

კეკლუცად მოიხურა. დენისმა უცნაური მზერა შეავლო და როცა შერი გობლერსით (სასმელი. მთარგმნ.) დამშვენებულ მაგიდას შემოუსხდნენ, ჰკითხა, თმას რატომ არ იჭრიო. მის ხმაში საშინელი ღვარძლი და კარგა ხნის ჩაკლული ბოღმა გამოსჭვიოდა. მარსელმა მშრალად მიუგო, ეს შავი, ბზინვარე თმა ჩემი განუყოფელი ნაწილია და მის სილამაზეს ყველა უპირობოდ აღიარებსო. დენისი აღარ ჩააცივდა; როგორც ჩანდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ჯაზის უხეში ჰანგების მოსმენა და პარიკით თავდამშვენებული ქალების ცქერა. ისინი ერთნაირად, სასიამოვნოდ და თავაზიანად იცინოდნენ, მაგრამ მამაკაცებს ურცხვად ეხახუნებოდნენ! რა საზარელი სანახაობა იყო! მარსელს ზიზღისგან გააჟრჟოლა და შალი მხრებზე მოისხა; ბავშვობის დღეთა მოგონება მოეძალა და დანაღვლიანდა; სინანულით გაიხსენა წარსულის თვალუწვდენელ უდაბნოში გადაკარგული ის მეოცნებე გოგონა, მეჯლისთა ყალბ ბრწყინვალებას, ახალი წლის ღამის დამქანცველ ღრიანცელსა და მოციმციმე ნაძვის ხეებს რომ გაურბოდა; მოაგონდა, რომ ყმაწვილქალობაში თანატოლებისგან სიმკაცრით, მოკრძალებულობით და თავმდაბალობით გამოირჩეოდა, აუტანელი ტანჯვა-წამება სიამაყითა და ამპარტავნებით ავსებდა; მოაგონდა განცდილი ვაება, ცხოვრების ქარტეხილები, თავისი მდიდარი სულიერი სამყარო, შინაგანი ცხოვრება, – ეს ფასდაუდებელი განძი. როგორმე თავი უნდა დაეღწია მცონარობის, ჭკუამხიარულებისა და ფუქსავატობის თავაწყვეტილი ღვარცოფისთვის, თორემ მალე ავად ხახადაფჩენილ უფსკრულში გადაიჩეხებოდა; მისი ვალი იყო, დენისისთვის ესწავლებინა, რას ნიშნავდა დიდებული, სევდანარევი სიხარულით, დამქანცველი შრომითა და დიადი აზრებით სავსე ცხოვრება. პირი მისკენ იბრუნა და უთხრა:

„ვერ გამიგია, რა გვესაქმება აქ.“

დენისმა ბუტია ბავშვივით ჯიქურ შეხედა და მიუგო:

„მშვენიერი დანსინგია.“

მარსელმა ამოიოხრა; ქმარი ზოგჯერ თავგზას ურევდა; ის ხომ ძალიან შეგნებული, მიხვედრილი და მგრძნობიარე იყო, თანაც ასეთი სათუთი გულის პატრონი სამყაროს პოეტის თვალით უყურებდა! მაშ, რატომღა სწყდებოდა მის ნატიფ, ალისფერ ბაგეს ასეთი უხეში, დამცინავი და გულსაკლავი სიტყვები? რატომ მოსწონდა ასეთი ამაზრზენი გასართობები?! მარსელს იძულებული უნდა გაეხადა დენისი, ეს გზასაცდენილი კრავი, რომ ეღიარებინებინა, ეს „მხიარული“ ადგილები, ეს ზღაპრულად ძვირი გართობა სინამდვილეში დამთრგუნავი ქიმერა და ამაო დროის ფლანგვა იყო.

„საცდურმა დაგვძლია. ბედნიერების მაცდურ, ვერაგ და გულ-დამწველ წადილს ბრმად დავემონეთ. დაუფიქრებლად შევსვით ეს ტკბილი, სამსალაშერეული ნექტარი, რომელმაც თავბრუდამხვევი სურნელების წყალობით მიგვიზიდა! ეს საამური ბანგი სულის წაწყმედას გვიქადის! ღმერთმა იცის, გავუძლებთ თუ არა ამ განსაც-დელს!“ – გაიფიქრა ოცნებამორეულმა მარსელმა და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დალაპარაკებოდა დენისს. „რა ზნეობრივ სარგებელს ვნახავთ ამ საღამოს, დენის? განა, შიშველი, პირუტყვული ვნებით გაჟღენთილი ეს უსახური ადგილი სულიერი სიმდიდრით აგვავსებს? აქ სულიერებას ტახტრევანი არ დაუდგამს. მას შემდეგ, რაც პარიზში დავბრუნდით, იაფფასიანი სანახაობებით, გაცვეთილი, ვულგარული სპექტაკლებითა და იმ უგემოვნო, მეტად მარტივი და ზედაპირული მუსიკით ვიქცევთ თავს, რომელიც ჩვენი სულის სიმებს ვერ ეხება. ველარაფერს ვქმნით. თითქოს, შინაგანად დავცარიელდით და სულ გამოვიფიტეთ. თავბრუდამხვევი ბედნიერების საამოდ მოჩურჩულე ტალღებზე ნარნარად ვირწევით. გასაგებიცაა, ამ მაცოცხლებელი ნეტარებით ასე რომ ვტკბებით, მაგრამ საუბედუროდ, ბედნიერება და სიამოვნება ერთიმეორისაგან ვერ გაგვირჩევია!“ – უთხრა მან.

დენისი ყურადღებით უსმენდა და დაჟინებულ, თუმცა, დამცინავ მზერას არ აშორებდა.

„მე კი ვფიქრობ, რომ ამაზე მშვენიერ ცხოვრებას ვერც კი ვინატ-რებდით,“ – მიუგო მან. როგორც ჩანდა, თანამეცხედრის სიტყვებს არად აგდებდა და მისი გულისტკივილი სულაც არ ადარდებდა.

„ყოველ შემთხვევაში, ასე ცხოვრებას ვეღარ განვაგრძობთ. ამის საშუალება აღარ გვაქვს,“ – მიახალა მარსელმა მშრალად.

დენისს წუთის წინ ღიმილით გასხივოსნებული სახე მოეღრუბლა, წარბი შეიკრა და მკაცრი გამომეტყველებით შესძახა: „ფული სულ შემოგვეხარჯა? რატომ თავიდანვე არ მითხარი?!“

მოთმინებადაკარგულმა მარსელმა მხრები ნერვიულად აიჩეჩა და უთხრა:

„მთავარი ფული არაა, დენის. აბა, დაფიქრდი, როგორი ცხოვრება გაქვს ახლა. მცონარობის მორევში ჩაიძირე და შენს ძვირფას, განუ-მეორებელ ნიჭს ქარს ატან! წერა უნდა განაგრძო. არ იდარდო, კვირაში ერთხელ ან ორჯერ მაინც გავისეირნებთ ქალაქში და გავერთობით.“

– კვირაში ერთხელ, შაბათს! – მიუგო დენისმა, უსიამოვნო ღი-მილმა გადაურბინა და დაუდევრად განაგრძო: „მიუხედავად ყველაფ-რისა, მგონია, რომ მართალი ხარ; პასკალს დავპირდი, ლოტრეამონზე სტატიას დავწერ-მეთქი, მაგრამ კალამი ხელში ვერ ავიღე. ნუ ღელავ. ხვალვე შევუდგები მუშაობას და ცოტაოდენ ფულს მაინც ვიშოვი.

– დენის! – შესძახა მარსელმა და ყურებამდე გაწითლდა; მის ხმაში საყვედური იკითხებოდა; ქმრის სიტყვებმა გული ატკინა, თითქოს სულ აღარ ახსოვდა, რომ ცოლის თავდაუზოგავი შრომის წყალობით მოპოვებულ ფულს ატანდა ასე არხეინად ქარს! მარსელს რომ ეთქვა, ჩემს ქონებას ფლანგავო, საშინლად წუწურაქ და სულმოკლე ქალად ჩათვლიდა. ო, რა საშინელება იყო! ცოლი ძალიან გაღიზიანდა.

ამ უსიამოვნო საუბრის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა; დენისი დაღვრემილი ჩანდა; ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა დაიძაბა; თითქოს ოჯახში მალე საშინელი ქარიშხალი უნდა ამოვარდნილიყო და ყოველივე აღეგავა პირისაგან მიწისა; პასკალი საოცრად თავდა-ჭერილი და კეთილგონიერი ადამიანი გახლდათ და დენისს საყვე-დურს არ შეჰკადრებდა, მადამ დრიუფს კი სულ აღარ უყვარდა თავისი თავქარიანი, ბედოვლათი და დაუდევარი სიძე, რომელიც ხშირად კადნიერადაც კი ეპყრობოდა ოდესღაც საყვარელ სიდედრს; ზოგჯერ, ცხარედ კამათობდნენ; მარგერიტი დენისს აღმერთებდა და თავგამოდებით იცავდა, მაგრამ მარსელის უმცროსი დის ასეთი მგზნებარება, შეურიგებლობა და უტიფრობა მათ უთანხმოებას კიდევ უფრო ამწვავებდა. დენისი ძალიან შეიცვალა; მარსელს ძველებურად გულთბილად აღარ ექცეოდა და მათი ოდინდელი სიახლოვე სა-მუდამოდ გაქრა. თავაზიანად ელაპარაკებოდა, მაგრამ ძალიან გაუწონასწორებელი, გულფიცხი და ნერვიული გახდა და თითქოს, სერიოზულ საუბარს თავს არიდებდა. მხოლოდ ღამღამობით, როცა პოეტი მკლავებში მოიმწყვდევდა, გულმოკლულ ქალს ქმრის ნდობა და მისი დაკარგული სიყვარულის რწმენა უბრუნდებოდა, დედასავით ზრუნავდა მასზე; რაწამს ირიჟრაჟებდა, თავზარი ეცემოდა, რადგან ხედავდა, რომ ეს უცოდველი და სათნო ბავშვი ჭირვეულ ახალგაზრდა მამაკაცად, სასტიკ მბრძანებლად ქცეულიყო; მარსელი სიამოვნებით ემორჩილებოდა მის ყმაწვილკაცურ ახირებებს; ნეტარების მორევში იძირებოდა, როცა მის წინაშე ქედს მოიხრიდა; რაწამს საწოლში ჩაწვებოდნენ, დენისს ძილი ერეოდა, ავხორცი ჟინით ულმობლად განწამები ქალის დაღლილ-დაქანცული, გახევებული სხეული კი ჩუმად უხმობდა ძვირფას კაცს; სასოწარკვეთილი მიილტვოდა მისკენ, სწყუროდა მისი ალერსი, მწველი შეხება, მხურვალე ტუჩები, გავარვარებული სხეული, მოქნილი, თლილი თითები... მაგრამ მას არ ესმოდა ცოლის უტყვი ვედრება. გულმოკლული მარსელი დიდხანს დაჰყურებდა მძინარე ქმრის მშვიდ, მშვენიერ პირ-სახეს, თვალწარმტაც ნაკვთებს. „ვერასოდეს გამომიყვან წყობიდან. კუბოს კარამდე მორჩილად დაგელოდები. ყოველგვარ ტანჯვა-წამებას

უსიტყვოდ ავიტან. არასოდეს დავიღლები, არასოდეს!“ – ჩურჩულით ჰპირდებოდა სიყვარულით აღსავსე ქალი ქმარს და მისი საუკუნო აღთქმა ცას სწვდებოდა. ალბათ, მართლაც საშინლად დაიტანჯებოდა, მაგრამ მის ბაგეს ჩუმი კვნესაც კი არასოდეს აღმოხდებოდა! პირიქით: ეს ჯოჯოხეთური წამება უსაზღვრო სიხარულსაც კი მოუტანდა! ოდესმე, ეს ანჩხლი და ურჩი ბავშვი გაიზრდებოდა, ვაებაში ჩასახული თესლიდან ტკბილი ნაყოფი აღმოცენდებოდა, ეს საარაკო სილამაზის ვარდი გაიფურჩქნებოდა, ქარიზმატული, ფიცხი, უკვდავმყოფელი შარავანდედით შემოსილი რემბოს მოტრფიალე პოეტი დიდების მწვერვალებს დაიპყრობდა, წარსულს მოიგონებდა, მარსელის თავდადებას საკადრის პატივს მიაგებდა და უცილობლად შეიგნებდა ამ უდიდესი მსხვერპლშეწირვის მნიშვნელობას!

სამწუხაროდ, დენისი არა და არ დაადგა ამ საარაკო დიდების გზას. მარსელი შიშმა შეიპყრო. ზოგჯერ, როცა მის ოთახში მოულოდნელად შევიდოდა, ხედავდა, რომ პოეტი, რომლის სახელიც მალე შარავანდედით უნდა გაბრწყინებულიყო, საწოლზე ნებივრად გაშხლართულიყო, მშვიდად ეწეოდა სიგარეტს და გატაცებით კითხულობდა დეტექტივს; რამდენჯერმე ისიც კი გაიფიქრა, ვალდებული ვარ, დავამუნათოო. როგორც იქნა, მის ბაგეს გაჭირვებით მოსწყდა გულის მომკვლელი სიტყვები! მხოლოდ იმას ნატრობდა, მიწა გასკდომოდა და მის შემზარავ, ბნელ გულისგულში სამუდამოდ შთანთქმულიყო! ო, როგორ არ უნდოდა, ერთი საყვედურიც კი ეთქვა მისთვის! დენისი გაცოფდა. „ლექსს დისერტაციასავით ვერ დაწერ!“ – უთხრა გამწყრალმა; პასკალმა შესთავაზა, თუკი რამდენიმე სტატიას დაწერთ, მე გამოგიქვეყნებთო, მაგრამ ამ მცონარა კაცმა ვერც ეს შეძლო. თქვა, ჩემი კალმით და ნააზრევით შობილი ჩანაწერების წყალობით ვაჭრობას და გამდიდრებას არ ვაპირებ, ამგვარი მეშჩანურ-ბურჟუაზიული სულმდაბლობა და სიხარბე ჩემთვის სრულიად უცხოა, ბინძური ფული და დიადი ხელოვნება ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და მიწაო. მის ხმაში ისეთი ზიზღი და სიძულვილი გამოსჭვიოდა, მარსელი ცხარე ცრემლით ატირდა; ოდესღაც, ქალწულობაში, აღშფოთებით ფიქრობდა, უსახურ ბრბოზე ამაღლებულ ზეკაცებს ოჯახის წევრები სულ ვერ უგებენ, რა საშინელებაა, ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი არად აგდებენ მათ გამორჩეულ ნიჭსო; ეგონა, რომელიმე სულმნათი პოეტის, დიადი მგოსნის საოცნებო ცხოვრების მეგზური იქნებოდა! ოცნებობდა, თავისი სუსტი მხრებით ეს მძიმე ჯვარი ეზიდა, მაგრამ საუბედუროდ, როცა მის ცხოვრებაში გენიის ცეცხლით თვალებანთებული მამაკაცი

შემოიჭრა, თავგზა აებნა; საზარელმა შიშმა გულზე ულმობლად შემოუჭირა ყინულივით ცივი თითები; შეძრწუნებული ფიქრობდა, რომ დენისისს ვულგარული, საშინლად უხამსი ოჯახური სცენა გაუმართა, ამ ბრწყინვალე პოეტის ღირსება შებღალა, პოეზია – ეს სანუკვარი საუნჯე სათანადოდ ვერ დააფასა და ვერ შეიგნო, დიად შემოქმედს განუსაზღვრელი უფლებები რომ ჰქონდა. ღამე თეთრად გაათენა; ფიქრით თავს იმტვრევდა; თავზარდაცემულს, ვეღარ გაეგო, რა ეღონა. ქვეყნად ხომ არსებობდნენ ღვთისაგან ნიჭით გულუხვად დაჯილდოებული ბავშვები, რომლებსაც ხელი მოეცარათ, შედევრები ვერ შექმნეს, თავი დაიღუპეს და ვერ შეძლეს იმ დიადი მისიის აღსრულება, რომელიც მათ შემოქმედმა თუ შეუცნობელმა ბედისწერამ დააკისრა?! განა, ამ ცოდვილ მიწაზე არასოდეს შობილან გამოუსწორებელი მეოცნებეები, რომლებმაც მხოლოდ მეგობრებისა და ოჯახის წევრების თანადგომით და იძულებით დაწერეს უკვდავი წიგნები?! მხოლოდ ამგვარ უანგარო სიყვარულსა და თავდადებას ძალუძს, მცონარობის პირსისხლიან ნადირს კლანჭებიდან გამოჰგლიჯოს ამ გენიოსთა ბრწყინვალე ნაზრევი! შეგნებული, კეთილგონიერი, უსაზღვროდ გულმოწყალე და შემწყნარებელი ქალი აღიარებდა, რომ განგებამ დიად ადამიანებს გენიის საზღაურად მოუვლინა მრავალი სისუსტე, ბიწიერება და უნებისყოფობა – ეს ერთგვარი მარადიული ხარკი; ეს ზეკაცები ბრძენი ბუნების ვალიდან ვერასოდეს ამოვიდოდნენ, რამეთუ არნახულ წყალობასა და სიხარულს საპირწონედ უბედურება, კაეშანი, ურვა და ტანჯვა მოჰყვება, მაგრამ მარსელი ფარ-ხმლის დაყრას როდი აპირებდა! ამ მანკიერებას მუდამ დაუღალავად და მედგრად შეებრძოლებოდა! გულმამაცი მარსელი უსიტყვოდ შეეგუა ბედს და დასჯერდა იმ მოკრძალებულ, მეორეხარისხოვან, ამაო როლს, რომელიც განგებამ ცხოვრების ამ დიდ სპექტაკლში არგუნა: დენისს მხოლოდ იმას სთხოვდა, საღამოობით მაჩვენე ყოველივე, რასაც დღისით დაწერო. ცოლის ძლიერმა ხელმა ახალგაზრდა პოეტი მცონარობის ჭაობიდან ამოათრია. მარსელი ქმრის ახირებებსა და ცუდ გუნება-განწყობას ითმენდა და მის მოღუშულ სახეს თვალს არიდებდა; ღრმად სწამდა, რომ ოდესმე, სინანულით გულმოკლული და სინდისის ქენჯნით უმოწყალოდ განაწამები დენისი თვალებს დაუკოცნიდა, მდაბლად შესწირავდა მადლობას, მის წინაშე მუხლს მოიყრიდა და ხმაათრთოლებული შესთხოვდა პატიებას, მას კი ნეტარი ღიმილი გაუნათებდა სახეს და ეტყოდა: „ყოველდღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს უსაზღვრო ბედნიერებას მანიჭებდი. შენი ბავშვური ჭირვეულობაც კი გულს

სიხარულით მივსებდა. თავს ვიტანჯავდი, რადგან მიხაროდა, მსხვერპლად რომ გეწირებოდი.“

ასეთი ფიქრები ერთხანს მხნეობას ჰმატებდა; ღამით დენისს თმაზე ეალერსებოდა და სინაზით აღსავსე ფიქრობდა ამ დიად მსხვერპლშეწირვაზე, რომელიც დაუნანებლად აღასრულა. თვალს ცრემლი ადგებოდა, როცა გრძნობდა, რომ მზად იყო, ქმრისთვის კიდევ უამრავი რამ შეეწირა და ამ გოროზი ღვთაების შემზარავ სამსხვერპლოზე ზვარაკად მიეტანა ყოველივე, რაც კი ებადა, მაგრამ საუბედუროდ, ასეთი საამური წუთები ხშირად როდი უდგებოდა! დენისს ცოტაოდენ ჯიბის ფულს აძლევდა და ყოველ გროშს გულდაგულ უთვლიდა, მაგრამ ის მთელ დღეებს კაფე-ბარებში ატარებდა და საღამოობით მის გარეშე დაეხეტებოდა ქალაქში; შუაღამისას შემოვიდოდა ოთახში და ცოლქმრულ სარეცელზე გაიშხლართებოდა, თუმცა მარსელს ვერც კი ამჩნევდა, გულგრილად ხვდებოდა ცოლის სათუთ ამბორს, პირს კედლისკენ იბრუნებდა, საბანში გაეხვეოდა და იძინებდა. ქალი იძულებული გახდა, უკმეხად დალაპარაკებოდა და დაემუნათებინა; დენისს მიახალა, უკვე ცხოვრების საზარელ ჭაობში ჩაიძირე და იცოდე, შენი ვალების გასტუმრებას აღარ ვაპირებო; ო, რა ულმობლად დასცინა დენისმა მის ბურჟუაზიულ წინდახედულებას, კეთილგონიერებასა და ხელმომჭირნეობას! უთხრა, დღემდე რაღაც უცნაურ იდეალზე ოცნებით სულდგმულობ, გინდა, გახელებული მწყურვალივით დაეწაფო ამ ნეტარების წყაროს და ეს აკვიატებული, შლეგი ლტოლვა დღემდე გტანჯავსო. მისი უსამართლო და სასტიკი სიტყვები მარსელს გულში ხანჯლად ესობოდა; მრავალი ღამე თეთრად გაათენა, დენისს კი ტკბილად ეძინა. მარსელი თვალს ვერ ხუჭავდა, მის გვერდით იწვა და გაუთავებლად იმეორებდა ქმრის საზარელ სიტყვებს, აუტანლად რომ უგუგუნებდა თავში; მათ სხეულებს შორის გადაულახავი კედელი აღმართულიყო; როცა ოდინდელ ვნებიან ღამეებს, სათუთ ალერსსა და სამარადისოდ გამქრალ სინაზეს იგონებდა, ზიზღისა და სურვილისაგან აჟრჟოლებდა; ოდესღაც ეს პოეტი გულში თავდავიწყებით იკრავდა, ახლა კი... ძალიან ნერვიული გახდა; რაწამს ქალთა წესი დაეწყებოდა და ტკივილი გააფთრებით ჩაასობდა ბასრ კლანჭებს, თავს სულ კარგავდა! განრისხებული ქალის ბაგეებს უნებურად სწყდებოდა დამამცირებელი სიტყვები; დენისის წყენინება არ უნდოდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. ეს კაცი საშინლად ქედმაღალი, მოურიდებელი და უტიფარი გახდა; მადამ დრიუფსა და პასკალს მეტად უხეშად ეპყრობოდა; დრიუფების წმინდა ოჯახი

მის ასეთ კადნიერებას ვეღარ იტანდა. ეს გულზვიადი ახალგაზრდა წყალობის თვალით მხოლოდ მარგერიტს უყურებდა. მარსელის უმცროსი და თავის უგვან და უბირ სიძეს მუდამ მხარს უჭერდა და გულუბრყვილო, ბავშვური აღფრთოვანებით შესციცინებდა. მადამ დრიუფი დენისს საყვედურობდა, მარგერიტს სამუდამო დაღი დაასვი, ჩემს ღვთისმოსავ ნაბოლარას შენი მავნე გავლენა სულის წაწყმედას უქადისო; დედა-შვილი საშინლად ჩხუბობდა; საზარელ ოჯახურ სცენებს ბოლო არ უჩანდა.

ერთხელ, ვახშმობისას, მარგერიტმა დენისს ჰკითხა, გასაგებად ხომ ვერ ამიხსნით, ამერიკული ბარი რას ნიშნავსო; მანაც სიხარულით აღუწერა ეს ბოჰემური მხურვალებით გაჟღენთილი ადგილი და უთხრა: „თუ გინდათ, ამ საღამოსვე წაგიყვანთ ამ საოცრების სანახავად.

– იმ ბინძურ ბარში პატიოსან ქალიშვილს არაფერი ესაქმება, – მიუგო მადამ დრიუფმა მშრალად. მარგერიტმა მხრები აიჩეჩა და შეუტია: „პატიოსან ქალიშვილს არაფერი ესაქმება?! რა სისულელეა! შენი აზრით, რა მომივა, თუ იმ „ბინძურ“ ადგილას წავალ?

– არ მინდა, ღამღამობით ქუჩა-ქუჩა ეხეტებოდე! – მოუჭრა მან.

– რატომ? რა მნიშვნელობა აქვს, დღისით გავისეირნებ თუ საღამოს? – არ დანებდა მარგერიტი.

– გთხოვთ, ნუღარ იკამათებთ! უბრალოდ, არ უნდა, რომ წახვიდე. ხომ შეგიძლია, ზოგჯერ მაინც დაემორჩილო დედას, მარგერიტ?!“ – ჰკითხა მარსელმა და გამქირდავი მზერა სტყორცნა.

მარგერიტს მრისხანებისგან ტუჩები უცახცახებდა.

„მე კი გადაჭრით ვამბობ, რომ ამ საღამოს დენისთან ერთად გავისეირნებ!“ – მიუგო მან მოგუდული ხმით. ისეთი გაცოფებული იყო, სიტყვა ყელში ეჩრებოდა.

დენისს სიცილი წასკდა და მარგერიტს ანიშნა, ჯობია, გაჩუმდე, ნუღარ ჩააცივდებიო. ყავა მდუმარედ დალიეს. მარსელის თანამეცხედრემ ფინჯანი სწრაფად გამოცალა, წამოდგა და ცოლის დას მშვიდად ჰკითხა:

„წამოხვალთ, მარგერიტ?

– ხომ ხედავ, რომ დედა ქუჩაში გასვლასაც კი უკრძალავს? უსირცხვილოდ ნუ იქცევი!“ – შეუტია გააფთრებულმა მარსელმა.

მარგერიტი წამით შემოყმანდა, მერე წამოდგა და კარისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა.

„სასტიკად გიკრძალავ წასვლას!“ – შესძახა ალეწილმა მადამ დრიუფმა.

„ღამე მშვიდობისა ყველას!“ – შესძახა დენისმა, მარგერიტს მხარზე

ხელი დაავლო, კარისკენ უბიძგა და კიბე გიჟური სიცილ-ხარხარითა და თავპირისმტვრევით ჩაირბინეს. მარგერიტი ასე არასოდეს მოქცეულა! მშობელ დედასაც კი შეჰკადრა ურჩობა! უეცრად, ყველამ იგრძნო, რომ გოგონა აღარავის დაემორჩილებოდა და საბოლოოდ წავიდოდა ხელიდან. მადამ დრიუფი ცრემლად დაიღვარა. პასკალსა და მარსელს მოეჩვენათ, რომ სადაც იყო, გულყრა დაეწყებოდა. აღელვებული ქალი ძლივს დაამშვიდეს და უთხრეს, უმჯობესია, დაიძინოო. მარსელმა გადაწყვიტა, თავის ზნედაცემულ ქმარსა და დას დალოდებოდა; კიდევ ერთხელ იტვირთა ეს მძიმე ჯვარი.

ორიოდე წუთს პასკალს ესაუბრა, მერე კი თავის ოთახში შევიდა; იმას როდი დარდობდა, ასეთი სევდიანი ცხოვრება რომ ჰქონდა! გული იმიტომ სტკიოდა, რომ ღმერთმა უსამართლო ხვედრი არგუნა. ყოველთვის გრძნობდა, რომ ეს სასტიკი ცხოვრება მრავალ სატანჯველს უმზადებდა, რადგან მან ამქვეყნიურ, სულელურ გასართობებსა და მდაბალ სიამეს გმირული სულისკვეთება და თვალწარმტაცი სულიერი სილამაზე ანაცვალა! ეს დიადი მსხვეპლშეწირვა აღასრულა და საზარელი სასჯელიც დაიმსახურა. დიდსულოვან ადამიანებს ხომ ყოველთვის ჯვარს აცვამდნენ?! ვინც კი მიწიერი ნეტარება წარბშეუხრელად დათმო, უსამართლობის ნიაღვარი დაატყდა თავს. მიუხედავად ამისა, მარსელს ყოველთვის ღრმად სწამდა, რომ თუ ამ უსახურ, გაცვეთილ ბედნიერებაზე უარს იტყოდა, ოდესმე აუცილებლად მიეახლებოდა იმ უდიდეს, სულთამდგმელ სიხარულს, რომელიც ამაღლებულ, სპეტაკ სულთათვის ჯოჯოხეთური ტანჯვის საზღაურია და მალამოდ ედება იარებით დაღარულ, უმოწყალოდ დაკოდილ მათ გულებს; ქალიშვილს იოლად მოსაპოვებელი განძი არასოდეს ხიბლავდა; სულის ჩამდგმელი ბედნიერება უსაშველო ტკივილის, ჭმუნვა-ურვისა და კვნესა-გოდების ფასად უნდა მოეხვეჭა; ოდესღაც ღრმად სწამდა, რომ ამ წყალობის, ამ უდიდესი ნაცვალგების ღირსი შეიქნებოდა, მის გულს ეჭვის ჭია ერთხელაც კი არ გაჰკარებია, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ რწმენა შერყეოდა. ალბათ, ეს ცოდვილი სამყარო გახრწნილი თესლიდან აღმოცენდა; ადამის მოდგმას ეს გულშემზარავი სიბინძურე და სიბილწე ძვალ-რბილში გასჯდომოდა და ეს ცოდვით დაცემის ჟამინდელი სასიკვდილო სენი სამარადისო მოშთობას უქადდა; ო, რა ამაოდ დაეძებდა ეს დამაშვრალი დევნილი აღთქმულ მიწას! იგი არ არსებობდა, არა! რა ამაოდ შემოუნახავს თავისი სულიერი სიმდიდრე ზეციური ცხოვრებისათვის!

გულისგადამლევ ლოდინს ვეღარ უძლებდა; დროის მოკვლას ლამობდა; თვალი მოჰკრა თაროზე შემოდებულ წიგნს, ხელი და-

ავლო და გადაშალა, მაგრამ წაკითხვა ვერ შეძლო. ქუჩის ხმაური კარგა ხნის წინ მიმწყდარიყო; ეს სამარისებური მდუმარება გულზე მძიმედ დასწოლოდა; უკუნი ღამისაც ისე ეშინოდა, როგორც ზეცაში სამარადისოდ დავანებული მამა ღმერთისა; ეს წმიდათაწმიდა გრძნობა გულიდან ვერა და ვერ ამოეგლიჯა; თავზარს სცემდა ქუჩებში შავი ფარდის დაშვება; როგორც კი ყურთასმენას უცნაური შარიშური მისწვდებოდა, თხემით ტერფამდე ათრთოლდებოდა. ერთხანს ოთახში ბოლთას სცემდა, მერე კი დენისის მაგიდას მიუჯდა და მიმოფანტულ ფურცლებს თვალი გადაავლო; ორი-სამი გვერდი დიდი ჭაპანწყვეტით დაუწერია, მაგრამ ისიც კი გადაუჩხაპნია! მარსელს ეგონა, მისი ქმარი დიდების მწვერვალებს დაიპყრობდა, დოღზე გამოყვანილი ეს ჩინებული რაში არც ერთ მეტოქეს ტოლს არ დაუდებდა, მაგრამ საუბედუროდ, შუაგულ მინდორში სამარცხვინოდ დაეცა და ქალს ხელი მოეცარა. რა ტყუილად ჰქონია მისი იმედი! რა ამაოდ გაუხდია ეს უღირსი კაცი სალოცავ ხატად!

გაწბილებულმა და გულმოკლულმა ერთ-ერთი უჯრა მექანიკურად გამოაღო; თვალი მოჰკრა უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ თორმეტიოდე წერილს; ავმა წინათგრძნობამ აიტანა, ხელებაკანკალებული ბარათებს დასწვდა და წინ დაიწყო. რამდენიმე უმნიშვნელო წერილი წაიკითხა. დენისს მეგობრები ეპატიჟებოდნენ, ფულს სთხოვდნენ... უეცრად, ერთ წერილს წააწყდა: „ერთხელ მითხარი, რომ შენთვის თავისუფლება ყველა იმ ოქროს თასზე სანუკვარია, რომელიც ზოგჯერ, თულეს მეფის დარად, ზღვაში უნდა მოვისროლოთ, რათა მოგვენატროს ეს ფასდაუდებელი განძი, მწარედ ავქვითინდეთ და მთელი არსებით შევიგრძნოთ სინანული... – მოუწერია ვინმე ანდრეს, როცა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა ცოლი შეირთო და მძიმე ოჯახურ უღელში შეება – მაგრამ ერთხელ მაინც თუ გიფიქრია, რომ გული მომიკვდება, როცა სევდიანად დააცქერდები, როგორ შეიკრავს პირს გაპობილი ტალღები?! რა მომივა, როცა შენს ტანჯვას დავინახავ?! მე ხომ მეცოდინება, რომ აბობოქრებულ ზვირთებს გაატანე შენი ოქროს თასი?! ნუთუ, უშენოდაც დავტკბებით ამ თამამი და სახიფათო თამაშით, ამ უდიდესი საიდუმლოთი, რომელსაც შენ გვაზიარე? ცხოვრება შენ მასწავლე. მეშინია, ძალიან მეშინია. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ. არა, არა! ამ ტანჯვას ვერ გავუძლებ! სულ დამავიწყდება ის საიდუმლო, შენ რომ გამიმხილე. ცხოვრების ეკალ-ბარდით მოსილ გზას მარტოდმარტო ვერ გავუყვები“, – წერდა ანდრე. მარსელმა ანდრეს ერთი ლექსის წაკითხვაც დააპირა, მაგრამ უეცრად, მისი ყურადღება ერთმა ლურჯმა კონვერტმა მიიპყრო; ეს

წერილი ვიღაც ქალს ორი დღის წინ გამოეგზავნა დენისისათვის; ფურცლის თავში მისამართი მუქი ლურჯი ასოებით ეწერა: „დიუ რანელას ქუჩის 12.“ წერილის დასასრულს ვინმე მარი-ანჟის ხელ-მოწერა ჩანდა; მარსელმა თვალისმომჭრელი სიმართლე დაინახა: ეს ქალი მისი ქმრის საყვარელი იყო. ოდესღაც ამ პოეტის ნივთებს კრძალვით ეხებოდა, ახლა კი გაცოფებულმა გადაქექა მთელი ოთახი; მისი ქურთუკის ჯიბეში იპოვა კიდევ ერთი, სამი თვის წინ მუქლურჯი კონვერტით გამოგზავნილი წერილი, რომელზეც ეს საზარელი სახელი ეწერა: „მ.ა. ლამბლენი“; მოუწერია, ვახშმად გეპატიჟებით, საინტერესო ადამიანები უნდა გაგაცნოთო. როგორც ჩანდა, მაშინ ჯერ კიდევ „თქვენობით“ მიმართავდა. მარსელმა ამაოდ გადააქოთა უჯრები; სხვა წერილები არსად ჩანდა; ალბათ, დენისს საგულდაგულოდ გადაემალა, ან სადმე ჩაეკეტა.

„გამასულელა... თავს ლაფი დამასხა,“ – ფიქრობდა ქალი. ამ უმადურმა მამაკაცმა, რომელსაც ყველაფერი დაუნანებლად შესწირა, ასე სულმდაბლად უღალატა! თურმე, მარსელი იმიტომ შეირთო, რომ მის კმაყოფაზე ეცხოვრა! ანგარებით სავსე ეს სულმოკლე, მცონარა, ბედოვლათი კაცი, რომელზეც მარსელს მზე და მთვარე ამოსდიოდა, რომელსაც გახვრეტილი გროშიც არ ებადა და შრომა მთელი გულით ეზიზღებოდა, ძალიან მდიდარი ქალის საყვარელი ყოფილა და ცოლს უხეშადაც კი ეპყრობოდა. არაქათგამოცლილი მარსელი ორ საათს გახევებული იჯდა; ხელის განძრევაც კი არ შეეძლო; მწარედ მისტიროდა უშურველი თავგანწირვისა და ცრემლის მორევში შთანთქმულ, სამარადისოდ დაკარგულ ახალ-გაზრდობის დღეებს; ოდესღაც ფიქრობდა, რომ ამგვარი დიადი მსხვერპლშეწირვა და გულამოსკვნილ ქვითინში თეთრად გათე-ნებული ღამეები ბედნიერებასა და სიხარულს მოუტანდა, ახლა კი ეს ცრემლები ცხოველმყოფელი, სულთამდგმელი ნეტარებისა და ბრწყინვალე მომავლის საწინდრად აღარ ესახებოდა; ნეტარმოსაგონარ წარსულს ვეღარასოდეს დაიბრუნებდა; საამური დაპირებები უკ-ვალოდ გამქრალიყო და მათ ნაცვლად, ცრემლით დალტობილ ამ ალაგას მწარე, ამაო და უნაყოფო იმედგაცრუება, გაწბილება და ბოღმა აღმოცენებულიყო. ყმაწვილქალობის დღენი სამუდამოდ განქარებულიყო; ძალღონეგამოცლილსა და სასომიხდილს, ქვეყნად სასიხარულო აღარაფერი ეიმედებოდა. მთელი ცხოვრება მიუძღვნა ამ უმადურ, უსულგულო არსებას და თავი დაიღუპა. სულ მალე იქცეოდა უსარგებლო ნივთად, მოხუც ქალად, რომელსაც არასოდეს უგემნია ბედნიერების თავბრუდამხვევი სიტკბო. დენისზე რაღაც-

ნაირი მშვიდი სიძულვილით ფიქრობდა, თუმცა გრძნობდა, რომ გული სამუდამოდ გასციებოდა, თითქოს, გააფთრებული ზიზღის ჯოჯოხეთურად გავარვარებული ლავა ყინულად ქცეულიყო, მტანჯველი ტკივილი, რისხვა და ღვარძლი გამქრალიყო და ქალი ერთგვარი გულგრილი სიძულვილით, სიმშვიდითა და სიამაყით აღვსილიყო.

როცა ღამის სამ საათზე საათის გუგუნი ჩაესმა, გახევებამ გაუარა, წამოდგა და წერილები კვლავ უჯრაში შეინახა; თავის მოწესრიგებას შეუდგა; უნდოდა, ეს წუთები უსაშველოდ გაწელილიყო, რადგან ახლა სიმშვიდე მართებდა; სისხლმოწყურებულ ნადირს ჰგავდა; თავი ხელში უნდა აეყვანა და დენისზე შური ეძია; ქედმაღლური სევდითა და სიმშვიდით აღსავსე ღირსეული ქალი თვალნათლივ დაანახებდა ქმარს თავის გამოუსწორებელ შეცდომებს და მიუტევებელ შეცოდებებს, მაგრამ ჩვეულ ღირსებას და სიამაყეს არაფრისდიდებით არ დაკარგავდა, თავს არ დაიმცირებდა და მის წინაშე არ ატირდებოდა; სიძულვილით თვალებანთებული, ფეხს უმოწყალოდ დააჭერდა და ჭიაყელასავით გასრესდა, მაგრამ იმ საზარელ ლურჯ წერილებზე სიტყვასაც არ დაძრავდა.

მარგერიტი და დენისი ღამის ოთხ საათზე დაბრუნდნენ; მარსელი დაჟინებით, მაგრამ მდუმარედ დააცქერდა თითქმის მთვრალ უმცროს დას, პირი ქმრისკენ იბრუნა და უთხრა: „მგონი, დროა, სერიოზულად დავილაპარაკოთ.“

– მართლა ასე ფიქრობ? – ჰკითხა დენისმა, ცოლს ოთახში შეჰყვა, საწოლზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელების გახდას შეუდგა. გულხელდაკრეფილი მარსელი კაცს თვალს არ აშორებდა.

„არ გსაყვედურობ, რომ ჩემდამი იოტისოდენა სიყვარულს და პატივისცემასაც კი აღარ იჩენ. უბრალოდ, მინდა, ვიცოდე, რატომ შემირთე ცოლად, თუკი საერთოდ არ გიყვარდი?!“ – ჰკითხა მან. დენისი წამით შეყოყმანდა და მიუგო: „ალბათ, დიდი შეცდომა დავუშვი; მეგონა, შენ გვერდით ნანატრ სიმშვიდეს ვპოვებდი და უშფოთველი, ბედნიერი ცხოვრებით დავტკბებოდი, მაგრამ ვაი რომ მწარედ მოვტყუვდი! ოჯახური სიმშვიდისთვის სანუკვარი თავისუფლება არ უნდა მენაცვალებინა, თუმცა ახლა სინანული გვიანაა!“

– ანუ აღიარებ, რომ არასოდეს გყვარებივარ? – ჰკითხა მარსელმა.

დენისს გაეღიმა და ჰალტუხის შეხსნას შეუდგა.

„რას ნიშნავს სიყვარული? – ჰკითხა უეცრად.

– ყველაფერი შემოგწირე! – შესძახა ხმაათრთოლებულმა ქალმა.

– ვიცი! შენი ოფლით მოპოვებულ პურს ვჭამ, მაგრამ გარწმუნებ, ეს სიმწრითა და ზიზღით გაჟღენთილი პურია! ეს დაყვედრებული ლუკმა ყელზე მადგას!“ – არ დაუთმო გაცხარებულმა.

მარსელს სუნთქვა შეეკრა და გული გამალებით აუძგერდა:

„ო, ეს უკვე მეტისმეტია! მთელ ოჯახს გვიყენებ და საყვედურსაც ბედავ?!“

დენისმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო; მის თვალებში საშინელი სიძულვილი იხატებოდა; მომეტებული ზიზღისა და მრისხანების ტალღები, სადაც იყო, ნაპირს ღრიალით მოასკდებოდა და ყოველივეს წალეკავდა.

„მართალია! თქვენთვის ხომ ფული ასეთი მნიშვნელოვანია! მაპატიე, მაგრამ ამგვარი ვაჭრული სული ყოველთვის მთელი გულით მძაგდა.“

მარსელი საშინლად გაწითლდა; ქმრის სიტყვები გულში ხანჯლად ჩაესო! ვერც ერთი მკაცრი საყვედური, ვერც ერთი საშინელი შეურაცხყოფა ვერ ატკენდა ასე გულს! მწარედ ინანა, ასეთი ტლანქი და სულმდაბლური სიტყვები რომ მიახალა ქმარს, მაგრამ ვაი რომ გვიანი იყო თითზე კბენანი!

„სულხორციანად შენ გეკუთვნი. მთელი ცხოვრება მოგიძღვენი! – უთხრა მან.

– ვიცი. მეგონა, ასეთი მსხვერპლშეწირვა უსაზღვრო სიამოვნებას განგაცდევინებდა, – უტიფრად მიახალა დენისმა, – მაგრამ თუკი ეს გმირული თავდადება სიხარულითა და ბედნიერებით აღარ გავსებს, შეგვიძლია, ამ საზარელ მდგომარეობას თავი ადვილად დავაღწიოთ. დავშორდეთ, მარსელ. სხვა გზა არა გვაქვს!

– დავშორდეთ?!“ – შესძახა თავზარდაცემულმა მარსელმა; მიტკალივით გაფითრდა და სავარძელში მოცელილივით ჩაეშვა; ავი წინათგრძნობით განაწამებ ქალს კარგა ხნის წინ ეგრძნო, რომ ასეთი საზარელი ხვედრი ელოდა; მზად იყო, დენისის გვერდით კუბოს კარამდე უსიყვარულობითა და უიმედობით გულმოკლულს ეცხოვრა, მაგრამ მის მიტოვებაზე წუთითაც კი არ უფიქრია! ო, არა, არა!

„მე ვერასოდეს შევიცვლები, შენ კი ვერ მიმიღებ ისეთს, როგორიც ვარ და ჩემს ნაკლს ვერ შეეგუები. უმჯობესია, მშვიდად და ღირსეულად დავშორდეთ.“

ეს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მამაკაცი მთელი გულით უყვარდა იმ უცნობ ქალს, ლურჯკონვერტიან წერილებს რომ სწერდა; ალბათ, დენისი ცოლს მიატოვებდა, მასთან ერთად სადღაც შორს, უსაზღვროდ შორს გადაიხვეწებოდა და ნანატრ ბედნიერებას

მოიპოვებდა, სვეგამწარებული მარსელის სიცოცხლის დღენი კი მარტოობაში გაილეოდა. შურისძიების გახელებული წყურვილი თვალის დახამხამებაში უკვალოდ გაქრა; უკვე აღარც ის ადარდებდა, რომ დენისი მის ფულს ფლანგავდა; არ სურდა, დაეჯერებინა, რომ სამარადისო მარტოობისთვის იყო განწირული; ნუთუ ყოველღამ მარტოდმარტო ჩაწვებოდა თავის ცივ საწოლში და ეულად შთენილი, ვეღარასოდეს იგრძნობდა მამაკაცის თავბრუდამხვევ სურნელს? ნუთუ, აღარასოდეს მიუალერსებდა თავისი თლილი, მხურვალე თითებით და მკლავებში აღარ მოიმწყვდევდა?! ო, როგორი სიხარულით ივსებოდა საბრალო ქალი, როცა მისი თბილი და ძლიერი სხეული გულზე მძიმედ აწვა! ნუთუ, ეს ნეტარება უკვალოდ უნდა გამქრალიყო! ო, არა, არა! ამ ჯოჯოხეთს ვერ გაუძლებდა!

„ნუთუ, წარბშეუხრელად დამინგრევ ცხოვრებას?! ნუთუ, სინდისის ქენჯნაც კი არ შეგაწუხებს, ასე რომ მომიკალი გული?! – ჰკითხა სასოწარკვეთილმა მარსელმა.

– მე ხომ ვერ შევძელი შენი გაბედნიერება? ტკივილისა და უბედურების გარდა ხომ ვერაფერი მოგიტანე?“

აკანკალებული მარსელი წამოდგა, დენისს მხრებში ხელი ჩაავლო და თვალებში ჩახედა. „შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, ჯიუტი, გულქვა და სასტიკი ბავშვი. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან მიყვარხარ, დენის! გაღმერთებ! მიყვარხარ და მეყვარები, სანამ პირში სული მიდგას!“ – უთხრა მან აუჩქარებლად.

შეწუხებულმა და შეცბუნებულმა დენისმა გაიბრძოლა და მისი მკლავებიდან თავი დაიხსნა.

– პირუტყვი არა ვარ, მარსელ, – ისეთი უცნაური ტონით მიუგო ქმარმა, რომ საბრალო ქალი კიდევ უფრო საშინელმა ეჭვმა შეიპყრო, – დამიჯერე, ძალიან მიყვარხარ, – გაეღიმა და დასძინა: – მაგრამ ოჯახურმა ცხოვრებამ მონობის ბორკილი დამადო. ალბათ, იმისთვის არ მოვლენივარ ამ ცოდვილ ქვეყნიერებას, რომ კუბოს კარამდე ნეტარი სიმშვიდით დავტკბე. თბილი კერა არასოდეს მეღირსება.

დენისს განშორებაზე სიტყვა აღარ დაუძრავს; მარსელს მისი დაკარგვის ისე ეშინოდა, მზად იყო, მის შესანარჩუნებლად ყოველგვარი დამცირება უსიტყვოდ აეტანა. კიდევ ერთხელ დაადგა გოლგოთას გრძელ და მტანჯველ გზას; კიდევ ერთხელ გაიღო უდიდესი მსხვერპლი. აღარც კი დარდობდა, რომ დენისი გენიოსი არ იყო და დიდების მწვერვალს ვერასოდეს დაიპყრობდა; აღარც ის ანაღვლებდა, სხვა ქალები რომ უყვარდა! ღალატსაც კი მიუტევებდა, ერთი საყვედურიც კი არ დასცდებოდა, ოღონდ არ მიეტოვებინა და კუბოს

კარამდე მის გვერდით ყოფილიყო! „ჭეშმარიტ სიყვარულს უმძიმესი შეცდომების მიტევებაც კი ძალუძს!“ – გაიფიქრა გულმოკლულმა.

მარსელს საშინელი დღეები დაუდგა; მის ტანჯვა-წამებას ბოლო არ უჩანდა; ეგონა, დენისი ასეთ თავგანწირვას საკადრისად დაუფასებდა და ცოლის საარაკო მსხვერპლშეწირვა გულს აუჩუყებდა, მაგრამ ვაი რომ ისევ მწარედ შეცდა! ის უფრო და უფრო მოურიდებელი და კადნიერი გახდა, სასტიკი აკრძალვებით თავს აღარ იტანჯავდა და შუაღამემდე ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა... გულგამეხებულ ქალს ძილი აღარ ეკარებოდა და ქმარს დაუსრულებლად ელოდა; ღამეული აჩრდილი სისხლმოწყურებული ნადირივით უჭამდა გულს; სევდამორეული იგონებდა იმ ნეტარ ხანას, როცა მშვიდი და თავისუფალი გოგონა იყო; ყმაწვილქალობაში მასში პოეზიის უშრეტი წყარო ჩქეფდა, ყურთასმენის დამატკბობელ, ჰარმონიულ ლექსთა თვალწარმტაც ტალღებზე ნარნარად ირწეოდა, ულევი ნეტარებით გაჟღენთილი სტრიქონები ტკივილს უამებდა და სასოწარკვეთის კლანჭებიდან იხსნიდა, უთვალავი ნიჭიერი პოეტი, გულანთებული გმირი და მეგობარი დასტრიალებდა თავს; ეს სანუკვარი ადამიანები ყველა სურვილს უსიტყვოდ უსრულებდნენ, მის გულისხმას გაფაციცებით უგდებდნენ ყურს და უდრტვინველად ემორჩილებოდნენ; ბედნიერებით გულაღვსებულს ეგონა, ოდესმე მშვენიერ წიგნებს დაწერდა; ფიქრობდა განცდილ ნატიფ, წამიერ შეგრძნებებზე, სასიამოვნო შთაბეჭდილებებზე, ბედნიერებაზე, სიკვდილზე, ბედისწერაზე... ახლა კი გრძნობდა, რომ ამგვარი უღრუბლო სიმშვიდე გამქრალიყო და ცხრათვალა მზის ნაირფერი სხივებით აელვარებული ზეცა საავდრო ღრუბლებით დაფარულიყო; თავს ვეღარ შეაფარებდა ნეტარ ფიქრებსა და მასულდგმულებელ მოგონებებს; ლტოლვილი ამ უკანასკნელი სავანიდანაც გამოეძევებინათ. შიშმორეული უგდებდა ყურს ნაბიჯების ხმას, ქუჩიდან რომ მოისმოდა და აღელვებული ელოდა ქმრის გამოჩენას; წარმოიდგენდა, როგორ იკრავდა გულში მისი ქმარი უცნობ ქალს... ეს შემზარავი ხატება, სულ თვალწინ რომ უკრთოდა, უმწეობისა და უნაყოფო მრისხანების უფსკრულში შთანთქავდა; დენისი მთელი გულით სძულდა, მაგრამ მისი ალერსი სწყუროდა... აი, ასეთი მძიმე ხვედრი ხვდა წილად! მისი ცხოვრების ყოველი დღე წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ერთმანეთს. სასომიხდილი ფიქრობდა, სულ ტყუილად მიყვარს დენისი ასე მგზნებარედო; ო, რა ამაოდ იწვოდა არნახული, ჯოჯოხეთურად მწველი ვნების ცეცხლით! სანთელივით დამდნარიყო მისი დიადი, სპეტაკი სული, რომლისთვისაც უფალ

ღმერთს სულ სხვაგვარი, დიადი ხვედრი ერგუნებინა; ქალი შლეგივით დაეძებდა ნუგეშს. ყოველივეს დათმობდა, ოღონდ ეს საშინელი ტკივილი რითიმე დაეამებინა და შვებით ამოესუნთქა!

ერთ შაბათ დღეს, როცა დისპანსერიდან დაბრუნდა და თავისი ოთახის კარი შეაღო, საწოლზე წერილს მოჰკრა თვალი... მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

„არ მინდა, ცუდ მოგონებად დაგრჩე. გთხოვ, ნუ შემიძულებ. ალბათ, შენსავით ველარავის შევიყვარებ და ნანატრ სიმშვიდეს ველარასოდეს ვპოვებ, მაგრამ ჩემო საბრალო და ძვირფასო მარსელ, ამ ცისქვეშეთში არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიყვარულზე უარს ამბობენ და ამ თვალწარმტაც სავანესაც კი დაუნანებლად ანგრევენ; იცი, თულეს ხელმწიფემ თავისი ფასდაუდებელი ოქროს თასი მხოლოდ იმიტომ მოისროლა ზღვაში, რომ სურდა ეგრძნო – როგორ საწყალობლად ამოიკვნესებდა მისი გული, როცა ტალღები პირს შეიკრავდნენ; მხოლოდ იმას ნატრობდა, ატირებულიყო და თავისი განძი მონატრებოდა! უეჭველია, ოდესმე მწარედ ვინანებ, უდიდესი ბედნიერება რომ დავთმე; მწამს, მალე ნუგეშს ჰპოვებ და ბრძენი დრო დარდს გაგიქარვებს... ვერც კი ვბედავ, პატიება შეგთხოვო," – ეწერა გამოსათხოვარ წერილში.

მთელი კარადა, ყველა უჯრა ცარიელი იყო. „ცხადია, იმიტომ მიმატოვა, რომ ჩემზე ბევრად მდიდარი ქალი იპოვა... ო, ის ქალი..." – გაიფიქრა მან. გახევებულ და გულგაქვავებულ მარსელს წვეთი ცრემლიც კი არ დასდენია. „ჩემი ცხოვრება დასრულდა," – დაიჩურჩულა გულსაკლავად.

ქუდი მოიხადა, მანტო დაკიდა, სარკიან კარადას ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და შავი თმა მექანიკურად გაისწორა. უცნაური სიმშვიდე დაეუფლა და რატომღაც, გულგრილად გაიმეორა: „ჩემი ცხოვრება დასრულდა". დენისზე აღარ ფიქრობდა; სარკეში თავის ანარეკლს უყურებდა; თვალმოუშორებლად დააცქერდა ამ შუბლმაღალ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს, ღრმად ჩამჯდარი თვალებით; ცხოვრებისაგან აღარაფერს ელოდა; დივანზე დაეშვა; დერეფნის ბოლოდან ყრუ ხმაური მოისმოდა: კარის ჯახუნი, ნაბიჯების ხმა, ჩანგლების წკარუნი... მადამ დრიუფი მაგიდას მშვიდად შლიდა და ცხადი იყო, არც კი იცოდა, რა საშინელება დატრიალდა მისი ქალიშვილის თავს; პასკალი ფურცლებში დაუსრულებლად იქექებოდა.

„ქვეყნად სულ მარტო ვარ. სულ მარტო. ყველამ ზურგი მაქცია. მხოლოდ ჩემი თავის იმედიღა უნდა მქონდეს." – თქვა მან; თვალები დახუჭა; ეჩვენებოდა, რომ თავი დააღწია ხანგრძლივ, ჯოჯოხეთურ

გადასახლებას, მშობლიურ კერას დაუბრუნდა და საკუთარ თავს, ამ სანუკვარ განძს, ხელახლა მიაგნო; სარკეში თავის ანარეკლს უმზერდა და იხსენებდა, ვინ იყო; ბავშვობის სხივმოსილი მოგონება ეძალებოდა; თვალნათლივ ხედავდა სევდიან და ნაადრევად შეღე-რებულ გოგონას, რომელიც თავს აფარებდა სასტუმრო ოთახის სქელ და მძიმე ფარდებს; მაშინ ეს ნაირფერი ქსოვილი სასტიკი სამყაროსაგან იცავდა; აგონდებოდა, როგორ იმალებოდა წიგნებით დამშვენებულ, ბნელ დერეფანში, აგონდებოდა გარდატეხის ასაკი... როგორი მგზნებარე იყო მაშინ! მისი არავის ესმოდა და ტკივილითა და დარდით განაწამები, ღამღამობით, გულისნადებს ანდობდა იისფერ ზეცას, – ამ ერთადერთ მესაიდუმლეს; საოცარი სიცხადით ხედავდა, როგორი მომთხოვნი, მკაცრი და ამაყი ყმაწვილი ქალი იყო, რა მარტოსული! ეგონა, როცა ამ ეკალ-ბარდით მოსილ, გრძელ გზას ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების ფასად გაივლიდა, საოცნებო ოაზისს დამაშვრალი ლტოლვილივით შეაფარებდა თავს, ნეტარების უშრეტ წყაროს გახელებით დაეწაფებოდა და უღრუბლო სიმშვიდითა და ბედნიერებით დატკბებოდა, მაგრამ ეს წყალობა არ ეღირსა! ისე-დაც ეული ქალიშვილის თვალწინ წარმტაცი ოაზისის ნაცვლად მარტოობისა და მიუსაფრობის უსახური უდაბნო გადაიშალა; საკუთარ თავს აღარასოდეს გაექცეოდა, აღარასოდეს! ამ უკანასკნელ სავანეს არაფრისდიდებით არ დათმობდა! საოცარი აღტყინება დაეუფლა; მგზნებარების თავაწყვეტილმა ტალღამ საწოლიდან წამოაგდო; ფანჯრისკენ გაემართა; ფარდები სწრაფად, თითქმის უხეშად გადასწია. მიხვდა, რომ ოდენ თავის მდიდარ შინაგან სამყაროში, ოკეანესავით ღრმა და სპეტაკ თავის სულში უნდა ეპოვა ცხოვრების არსი; უკვე სამუდამოდ გათავისუფლებულიყო სათუთი სიყვარულისგან, მასულდგმულებელი იმედისა და იმ სულშემხუთავი, იდუმალი, შეუცნობელი არსებისაგან, რომელიც ერთი წლის მანძილზე ხარბად შთანთქავდა მის სასიცოცხლო ძალას და ძვირფას, განუმეორებელ დროს. ყოველივე მშვენიერებით ბრწყინავდა; მთელი სამყარო ჯადოსნური სილამაზით შემოსილიყო.

ფანჯრის ცივ მინას შუბლით მიეყრდნო; იგი ყოველთვის უარს ამბობდა გაცვეთილ სიხარულზე, მიწიერ სიმდაბლეზე, უსახურ სათამაშოებზე, სამშვენისებზე, ბრჭყვიალა სამკაულებზე, სახელის მოხვეჭაზე, მაღალ წრეში ტრიალზე, ამქვეყნიური დიდების მწვერ-ვალებზე, თავქარიან გართობასა და სულელურ, ბილწ არშიყობაზე, რადგან საოცარ, არნახულ ბედნიერებას ელოდა და თავის შინაგან სიმდიდრეს სულ სხვაგვარი, წმიდათაწმიდა ცხოვრებისთვის

ინახავდა, უსამართლო განგებამ კი ბედნიერების ნაცვლად ჯო-ჯოხეთური ტანჯვა არგუნა, მაგრამ, იქნებ, მხოლოდ და მხოლოდ ამ ტანჯვას შეეძლო მისი უმოწყალოდ დაკოდილი გულის იარების მოშუშება და მის სიღრმეში გამეფებული უსახური სიცარიელის ამოვსება?! „ბედნიერებაზე მაღლა!“ – დაიჩურჩულა მან. უსიტყვოდ აიტანდა ამ საშინელ ტანჯვას, რადგან ასეთი იყო მისი ბედისწერა! ამ ცოდვილ მიწაზე მარტვილივით გააწამებდნენ, მაგრამ ერთი კვნესაც კი არ აღმოხდებოდა. სიხარულით დაცლიდა სიმწრის ფიალას, ეს სატანჯველი, ეს უსასრულო გოლგოთა მომნუსხველი სილამაზით შეიმოსებოდა და ბედნიერების მჩქეფარე წყაროდ იქცეოდა; ოდესმე, სრულიად უცხო ადამიანები და მეგობრები შეიცნობდნენ მის იდუმალებით მოცულ დიად, სპეტაკ სულს, რომლისთვისაც სრულიად უცხო გახლდათ ყოველგვარი მიწიერი სიმდაბლე და ბიწიერება; ხორციელი საბურველი სანთელივით ჩამოიღვენთებოდა; ამ ცით მოვლენილი, სულკურთხეული ღვთაების წინაშე ყველანი ქედს მოიდრეკდნენ და სიყვარულით გულავსებულნი ხოტბას შეასხამდნენ. „ბედნიერებაზე მაღლა,“ – დაიჩურჩულა და თვალზე ცრემლი მოადგა; ბედნიერებაზე მაღლა! უკვე გრძნობდა, რა ნაზად თრთოდა მის სულში ნატიფი, საარაკო პოეზიის ვარდისფრად აელვარებული გარიჟრაჟი; ზეცას საამო ნათელი ეფინებოდა; ალიონის ქალღმერთმა ახარა, რომ მისი კალმით უკვდავი ლექსები დაიბადებოდა; მარადიული გაზაფხულისა და სიცოცხლის ყვავილობა დაწყებულიყო.

მეორედ მოხდა უდიდესი სასწაული, მის ბედისწერას იდუმალების საბურველი შემოეძარცვა, თითქოს, თვალი აეხილა, საოცარი ხილვა ეზმანა, გონება გაუნათდა და მომავალი თვალნათლივ დაინახა. „მე გენიოსი ქალი ვარ!“ – თავი დაირწმუნა მარსელმა.

შანტალი
შანტალის დღიური

2 ოქტომბერი

რაწამს ლიცეუმიდან გამოვედი, ეს ქლიავისფერი უბის წიგნაკი შევიძინე. მისი ნაზი და სათუთი ტყავის ყდა საოცრად მაგონებს ფრა-ანჯელიკოს „ხარების“ (იტალიელი მხატვრის, ფრა ანჯელიკოს ნახატი, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ ახარა მთავარანგელოზმა მიქაელმა წმინდა მარიამს, რომ ის გახდებოდა დედა ღვთისა. ტილო შესრულებულია მეთხუთმეტე საუკუნეში და ამჟამად ინახება ესპანეთში, პრადოს მუზეუმში. მთაგმნ.) მოიისფრო ფერებს, ასე რომ აღმაფრთოვანებდა. ამ ქათქათა, თოვლივით თეთრ ფურცელთა ქალწულებრივი სისპეტაკისა და უბიწობის შებღალვა საზარელი მკრეხელობა მგონია! ყოველ ასოს გულდადინჯებით და რუდუნებით ვწერ. იმ ბავშვს ვგავარ, ახალთახალი რვეულის პირველ გვერდს კალმის წვერით კრძალვით რომ ეხება.

ჩემი ოთახის ფანჯარა ღიაა; მორუხო ცის ფონზე სენ-რომანის უზარმაზარი კოშკის დიდებული, მომნუსხველი სილუეტი და კათედრალის გუმბათი იკვეთება; წამახული ქონგურებით დამშვენებული გოთური ტაძრებით სავსე ამ პატარა, მყუდრო, თითქმის მარადმდუმარე ქალაქში ცხოვრების დღეები ისე მშვიდად მიედინება, მეჩვენება, რომ ქარბორბალამ უეცრად შუა საუკუნეებში გადამისროლა; სამარისებური სიჩუმე გამეფებულა; ტაძრების წაწვეტებულ, დაკბილულ ქვებს, თითქოს ცისკენ რომ მიიწევენ, შვენით იდუმალებით მოცული იერი; სახურავებს მშვიდი, მაგრამ მაინც ისეთი მგზნებარე, დაუდგრომელი და ცელქი ჩრდილი ეფინება, გული ძალუმად მიცემს; თითქოს, ჩემში ჩასახლდა საუკუნეთა უკან გარდაცვლილი, ცხოველმყოფელი მადლით ცხებული ახალგაზრდა არისტოკრატი ქალის სული, რომელმაც უხსოვარ დროს დაუტევა საწუთრო და ღვთის სიყვარულითა და სასოებით გულაღვსებულმა საუკუნოდ დაივანა დიდებული მონასტრის აუმღვრეველ სიმშვიდეში; თვალს მჭრის გარდასულ დღეთა სხივმოსილი მშვენიერება.

ჯერ კიდევ გუშინ, პარიზის ქუჩების ყურთასმენის წამღებ გუგუნში ჩაძირული ჟანინი სევდიანად მეუბნებოდა: „პროვინციაში ძალიან მოიწყენთ, ჩემო საბრალო შანტალ!“ მისი ასეთი თანაგრძნობაც კი მძიმედ დამწოლოდა გულზე, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ შევბედე; თურმე, რა ამაოდ შევბრალებივარ! რა ამაოდ შემომცქეროდა

დაღონებული სახით! ამ მშვენიერ ქალაქში სულ არ მომიწყენია! სულ რაღაც ერთ დღეში უთვალავი საამო დაპირებით ავივსე და ვიგრძენი, რომ მალე ნანატრ ბედნიერებას მოვიპოვებდი... ამ საღამოს გონება გამინათდა და მივხვდი, რომ ამ თვალწარმტაც სავანეში უსაზღვროდ დავტკბები იმ აურაცხელი შინაგანი სიმდიდრით, რომელსაც ცხოვრება უხვად მიწყალობებს... როცა ამ ნეტარი ფიქრების ოკეანეში ვიყავი ჩაძირული, გულს მითბობდა მასულდგმულებელი იმედი და სიხარული. იქ, პარიზულ სასწავლებელში იდუმალებით მოცული ცხოვრება მქონდა; გულაჩქროლებული, ხარბად ვტკბებოდი მგზნებარე ვნებით გაჟღენთილი წუთებით, – ამ ხანმოკლე ნეტარებით, ახლა კი მინდა, ბოლოს და ბოლოს, შვებით ამოვისუნთქო და მშვიდად დავეწაფო სულისჩამდგმელი ბედნიერების ნექტარს. გამოცდისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდი და დღედაღამ წიგნებში ვიქექებოდი. თავგადაკლულმა შრომამ ძალღონე გამომაცალა. ჭაპანწყვეტის უკიდეგანო ზღვას გაჭირვებით გამოვგლეჯდი ხოლმე თავისუფლების რამდენიმე წვეთს. ეს საამური, გულის ამაჩუყებელი, თუმცა ძალზე მსწრაფლწარმავალი წუთები აკრძალული ხილის თავბრუდამხვევი სიტკბოთი გაჟღენთილიყო (ო, პარკებსა და მთვარის შუქით მოსილ ხეივნებში დავეხეტებოდი, სენ-კლუს ტყეებში ჩამავალ მზეს ვუცქერდი, ლუსილის ლაღი, წკრიალა და მხიარული სიცილი რუხ, პირქუშ კორიდორებს სიხარულის სხივით აელვარებდა...), მაგრამ ამ მათრობელა ბანგმაც კი ვერ მომიკლა მარტოობისა და თავისუფლების გახელებული წყურვილი. რა ბედნიერებაა! ამ მშვიდ ქალაქში მთელ ჩემს სასიცოცხლო ძალას ერთ დიად ღვთაებას – ცხოვრებას მივუძღვნი და მის მგზნებარებას მთელი არსებით შევიგრძნობ.

გუშინ, როცა ჩემი ოთახის კუთხეში მოვკალათდი, ვიგრძენი, რომ საოცარი შთაბეჭდილებებით, უძლეველი ძალითა და სულიერი სიმშვიდით აღვივსე და ჩემი წარსული დროის თვალუწვდენელ უდაბნოში სამუდამოდ დასამარდა; გარინდებული შევცქეროდი, როგორ დაფარფატებდა ჩემს თვალწინ ახალი ცხოვრების ბინდმოსილი ხატება; ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარიყავი, რა მელოდა წინ; თითქოს, ჩემი მომავლის მხატვრული ტილოს კონტურები ნისლის საბურველში გახვეულიყო. სევრი, პარიზი, – ის სამყარო, სადაც მიცხოვრია, ნელ-ნელა საამურ მოგონებად იქცა. უბრალო უთანხმოება, კაეშანი თუ წვრილმანი საზრუნავი ხშირად გულს მტკენდა; ვნანობდი კიდეც, იტალიაში რომ გავემგზავრე, მაგრამ გუშინ ეს სინანულიც უკვალოდ გაქრა და თითქოს, თვალნათლივ დავინახე სისხლივით წითელი სიენისა და ფლორენციის მოვარაყებულ გუმბათთა საოცრად წმინდა,

სპეტაკი და უზადო ხატება; მომაგონდა, როგორ დასეირნობდა პალატინის ბაღებში ღია ფერის კაბით მოსილი ლუსილი, როგორი წარმტაცი, ნატიფი და იდუმალი სახე ჰქონდა ჟანინს, როცა ვენეციის არხებში გონდოლებით ვსეირნობდით და მაღალფარდოვნად ვსაუბრობდით ესთეტიკაზე.

როცა უცხო ქალაქის ქუჩებში მარტოდმარტო დავრჩი და სადგურის რომელიღაც სასტუმროში ჩემოდნები შევინახე, ანაზდად ძალღონე გამომეცალა; თითქოს, სადაც იყო, გული წამივიდოდა, მაგრამ მალევე დავმშვიდდი. უეცრად, თვალწინ დამიდგა იმ მორცხვი, მოკრძალებული, მოუსვენარი და დაუდგრომელი შანტალის სახე, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დავასამარე! ო, ჭეშმარიტ შანტალს მთელი გულით სძულს იგი! გაცხარებული ვფიქრობდი, ალბათ ახლა ჟანინი და ლუსილი უჩემოდ უსმენენ დებიუსის კვარტეტს ან რაველის კონცერტს და სიბრალულით აღსავსენი საუბრობენ ჩემზე-მეთქი. ახლა მათ გვერდით არა ვარ, ერთმანეთს უფრო ხშირად შეხვდებიან, გულთბილად იმასლაათებენ და ალბათ, ჟანინი ლუსილს მონუსხავს საოცარი ენაწყლიანობისა და მახვილგონიერების წყალობით. ო, როგორ არ მინდა, სიყვარულისა და თაყვანისცემის გაუვალ საპყრობილეში დაატყვევოს და მასზე წარუშლელი კვალი დატოვოს! მომავალი მაშინებდა; არნახული სიცხადით ვიგრძენი, რაოდენ უმწეო და მხდალი ვიყავი. როცა მდინარის ნაპირას ვსეირნობდი, ზღვის სურნელით გაჟღენთილმა ქარმა დაქროლა და თავბრუდამხვევი თავგადასავლების შლეგმა წყურვილმა ტალღასავით შთანმთქა; დიდებული შეგრძნება დამეუფლა; კვლავ მომავლის რწმენით აღვივსე; კაფეში შევედი, სიგარეტს მოვუკიდე და მივხვდი, რომ მარტოდმარტო, გულუშიშრად, ურყევი სიმამაცითა და სიმტკიცით აღვსილი გავუყვებოდი ცხოვრების გრძელ გზას, არ ვეცდებოდი, თავი შემეფარებინა სხვათა ძლიერი ფრთებისთვის, ყველა სანუკვარ ოცნებას მუხლჩაუხრელი ბრძოლის წყალობით ავიხდენდი და სიკვდილამდე აღარავის შევევედრებოდი, დახმარების ხელი გამომიწოდეთ-მეთქი! „ჰანსელისა და გრეთელის“ (ძმები გრიმების ცნობილი ზღაპარი. მთარგმნ.) ჯადოქრის სახლივით გემრიელი იყო ეს საოცარი, თითქოს უზარმაზარი, ტკბილი ნუგით გამოძერწილი კაფე; ხალხი დაჟინებით შემომცქეროდა, მე კი არად ვაგდებდი მათ ვულგარულ, უხამს და შეუხედავ სახეებს; ისიც კი აღარ მადარდებდა, რომ მეგობრებიც დამივიწყებდნენ! აღარც ადამიანთა შემზარავი გულგრილობა და გულმავიწყობა მაღელვებდა. თითქოს, უეცრად, ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვე. ალაფით ხელდამშვენებული,

უცაბედი წარმატებით თავბრუდახვეული და სასიცოცხლო ძალით აღვსილი ისე თავდავიწყებით გადავეშვი მარტოობის მორევში, როგორც ანკარა, ყინულივით ცივ წყალში.

ჩემი მოსწავლეები გაოგნდებოდნენ, რომ გაეგოთ, როგორ გაატარა მათმა ახალმა მასწავლებელმა პირველი საღამო რუჟმონში.

დილით, რაწამს თვალი გავახილე, ბედნიერებით გულაღ-ვსებულმა გავიფიქრე, წიგნების დიადი ეპოქა სამუდამოდ დას-რულდა-მეთქი; როგორც იქნა, მწერლების ეფემერული შუქით გაბრწყინებული სამყარო მივატოვე და სინამდვილის ოკეანეში შევცურე; ადრე რომანებისა და ლექსების სამყაროში ვცხოვრობდი, ახლა კი სასიცოცხლო მაჯისცემას მთელი არსებით ვგრძნობ; სამა-რადჟამოდ განქარდა ილუზიების თავბრუდამხვევი სურნელი, აქამდე თრიაქივით რომ მაბრუებდა; ჩემში გამაყრუებელი გუგუნით შემოიჭრა გარესამყარო და ყოველდღიური რეალობა; კარგი ბინა უნდა ვიპოვო. ვნატრობ, მყუდრო ოთახში შევაბიჯო, სავარძელში მოვკალათდე და ფიქრებში ჩავიძირო ან თავდაუზოგავად ვიკითხო და ვწერო; საზოგადოებაში საკადრისი ადგილი უნდა დავიმკვიდრო, მეგობრები შევიძინო და გადავწყვიტო, როგორი ურთიერთობა მექნება ჩემს მოსწავლეებთან... ამჟამად ეს მძიმე ცხოვრებისეული დაბრკოლებები უნდა გადავლახო.

სასწავლებელში წასვლამდე დალაქს ვესტუმრე. თუ გარეგნუ-ლადაც და შინაგანადაც „სრულქმნილი“ და „უნაკლო“ არ ვიქნები, საქმეს ხელს არაფრისდიდებით არ მოვკიდებ; მშვიდად ვიჯექი ლითონის თმის საშრობქვეშ, ხელები მემანიკიურეს მივუშვირე და ვიგრძენი, სულაც არ ვგავდი ახალგაზრდა მასწავლებელს, დირექ-ტორთან შესახვედრად რომ მიიჩქარის. ალბათ, ხალხს სახიფათო თავგადასავლების მაძიებელი, თამამი და უშიშარი ქალი ვგონივარ, ულმობელი ბრძოლისთვის რომ ემზადება.

მადმუაზელ ბიდუამ ძალიან თავაზიანად მიმიღო; ჩემი ახალი სამსახური და ხელსაყრელი განრიგი ძალიან მომწონს. მან ავეჯით გაწყობილი სახლების მისამართები მომცა. რაწამს კაბინეტიდან გამოვედი, თავშესაფრის ძებნას შევუდექი. ხუთიოდე ისეთი უბრალო, გონჯი, პირქუში და ბნელი ოთახი მოვინახულე, თითქოს ამ სოროებში ძეხორციელს არასოდეს დაედგა ფეხი; ამ უბადრუკ ხუხულებს ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ვერ ვაქცევდი; დაუსრულებელმა ხეტიალმა დამქანცა; თვალის დახამხამებაში მოსაღამოვდა; ბინის პოვნის იმედი გადამეწურა, მაგრამ საბედნიეროდ, მოულოდნელად აღმოვაჩინე ეს ძველთაძველი სავანე, რომლის მძიმე ჭიშკარიც

თითქოს სახლს კი არა, დიად სულთა საუფლოს იცავდა! ჭაღარა, გამორჩეულად მშვენიერმა და დახვეწილმა ქალბატონმა სიხარულით დამათვალიერებინა ბაღი და ოთახები; მომნუსხა მისმა ნატიფმა ჟესტებმა და კეთილგანწყობამ; ჩემი ოთახის კარი ჯერ კიდევ არ შემეღო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ თვალწარმტაცმა სამკვიდრომ ჩემი გული უკვე დაიპყრო. თითქოს, ამ ძველისძველ კედლებში დაევანებინა იმ ამაღელვებელ, იდუმალებით მოცულ, სანუკვარ და აურაცხელ სიმდიდრეს, საფრანგეთის პროვინციებში რომ მიმოფანტულა: ლამაზი, იშვიათი ყდებით დამშვენებული წიგნები, ოდინდელი ავეჯი და ძვირფასი სამშვენისები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა... დრო-ჟამისგან ჟანგმოდებულ ამ ჯადოსნურ ნივთებზე თითქოს სამარადჟამოდ აღბეჭდილიყო იმ ხალხის თვალთა იდუმალი კრთომა, ოდესღაც რომ უჭვრეტდნენ ამ არნახულ მშვენიერებას; მსახვრალმა დრომ დაღი დაასვა ადამისჟამინდელ საგნებს; გული სიხარულით მევსება ამ არქაულ სამყაროში; დილის ნამივით აორთქლებულ, სამუდამოდ გამქრალ, დროის უძირო ოკეანეში ჩაძირულ წარსულს სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული გაუჟღინთავს იმ საამო, ოდინდელი, თუმცა შეურყვნელი და ხელთუქმნელი სურნელით, რომელიც აწმყოს განუმეორებელ წუთებს ძველისძველ ღვინოსავით მძიმე არომატსა და სანუკვარ სიტკბოს ანიჭებს; გარდასულ, სხივმოსილ დღეთა ნარნარად მოფარფატე ამ აჩრდილს ვერავითარი ძალა ვეღარ განდევნის.

ქუჩებში საბოლოოდ დაეშვა მწუხრის რუხი ფარდა; ძვირფასი და განუყრელი მეგობრები, ჩემი ძვირფასი წიგნები (პრუსტის, რილკეს, კეტრინ მანსფიელდის ნაწარმოებები, „მტვერი“, „დიდი მოლნი“ და სხვა რომანები) კარადაში შევინახე... არც კი ვიცი, რომელთან ერთად გავატარო ეს მშვენიერი საღამო. აღტყინებული ველი ხვალინდელ დღეს. მე ხომ მასწავლებელი გავხდები?! სულ მალე დაიწყება ჩემი ახალი ცხოვრება. არნახული, ჯერ კიდევ განუცდელი მგზნებარების მწველი ნიავი საამოდ მელამუნება და მთელი არსებით ვგრძნობ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება ძალზე მშვენერი და საოცარია! გული ასეთი ურყევი რწმენით არასოდეს ამვსებია.

3 ოქტომბერი

ძალიან მიყვარს ეს პირქუში ქალაქი, ძველისძველი გობელენივით გახუნებული და გაცრეცილი ფერები... ეს ფერმიხდილი მშვენიერება გულს მიჩქროლებს; თითქოს, ღრუბელთა საბურველში გახვეულ ლურჯ ცაზე პასტელით დაუხატავთ სახლები; ამ საღამოს ქუჩებში

ნაზი სევდა და სათუთი მელანქოლია ფოთოლივით ნარნარად დაფარფატებდა და ჩემს გულს სასიამოვნოდ ეჩურჩულებოდა. ყველა ქუჩას მომნუსხველი, მრავლისმეტყველი და ლამაზი სახელი ამშვენებს: პრეომარლი (სიტყვა-სიტყვით, ეშმაკის მდელო. მთარგმნ.), პოკასე (გატეხილი ქოთანი), ეკრუელი (სურავანდი)... დილის რვა საათზე ლიცეუმისკენ მიმავალ გზას დავადექი და ისეთი საოცარი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს, ბალზაკის სამყაროში მივაბიჯებდი; მიკვირდა კიდეც, წყვდიადში შთანთქმული, საღათას ძილს მიცემული სახლებიდან გოროზად რომ არ ამოიზვირთნენ ზონრიანი ქუდებით თავდამშვენებული მოხუცი ქალები და ჩაჩიანი ბურჟუა ქალიშვილები. ამ დიდებული მწერლის უკვდავი რომანები ხომ სწორედ ასეთი პერსონაჟებითაა სავსე?! ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ნათლად მოჩანს სენ-რუფიანის კათედრალის ანჟელუსივით (ღვთისმშობლისადმი ლოცვა კათოლიკურ ეკლესიაში. მთარგმნ.) გასხივოსნებული და მთრთოლვარე გუმბათი, რომელიც ამ დილით, თითქოს მიილტვოდა ფერმკრთალი, ლაჟვარდოვანი ცისკენ; მომეჩვენა, რომ ეკლესიის ზარებმა დაჰკრეს, ქვეყნიერებას ამცნეს, ლოცვის დრო დადგა, ღვთისმშობელს თავი შევავედროთო.

ლიცეუმი ძველისძველ, მეთექვსმეტე საუკუნის სასტუმროში განუთავსებიათ; დარწმუნებული ვარ, არცერთ ჩემს ღირსეულ და პატივსაცემ კოლეგას წუთითაც კი არ მოჰგვრის სიამეს შავ-ყვითლად აჭრელებული მისი ნატიფი ფასადის ცქერა; გულგრილად, ჩქარი ნაბიჯით ჩაუვლიან ამ მშვენიერებას, პირქუშ ოთახებში გამოიკეტებიან და ამაო ფუსფუსის ყოველდღიურ მორევში ჩაიძირებიან; სამასწავლებლო დარბაზში თვალი მოვკარი ამ შინაბერა, ცივ, გულგამომშრალ და უგრძნობ ქალებს, რომლებიც, ალბათ, ძალიან ამაყობენ თავიანთი სერიოზული, უმაღლესი, მაგრამ მაინც უსარგებლო და ამაო განათლებით; მათ არასოდეს ჰყოფნიდათ გამბედაობა, სინამდვილისთვის თვალი გაესწორებინათ; სიცრუის ბანგით გაბრუებულნი, ვერ ხედავენ ცხოვრების ჭეშმარიტ სახეს; მათში უშრეტ წყაროსავით არ ჩქეფს სასიცოცხლო მგზნებარება; საბედნიეროდ, ბრძენმა ბუნებამ ერთი უდიდესი ტალანტი მომმადლა: როდესაც ირგვლივ ზღვა ხალხი ირევა, ჩემი ფიქრები სულ სხვაგან დაქრის, ამაო ფუსფუსსა და ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე ამ შემზარავ მასას ვშორდები და ცაში დავფრინავ. ამ ქალების გულის-გამაწვრილებელი ლაქლაქი და ზუზუნი ჩემს ყურთასმენას ვერ სწვდებოდა, თითქოს, მათგან უსაზღვროდ შორს ვიმყოფებოდი; სულგანაბული ვუგდებდი ყურს, როგორ გაისმოდა ჩემს შინაგან

სამყაროში კლავესინის სუსტი და სასიამოვნო ხმა; ეს დროგადასული, ადამისჟამინდელი მელოდია საოცრად ეხმიანებოდა იმ გულგასახარ წამიერ შეგრძნებებსა და მარადგაუხუნარ შთაბეჭდილებებს, დილით რომ დამეუფლა, სეირნობისას. საკლასო ოთახში გულაჩქროლებულმა შევაბიჯე. ვგრძნობდი, რომ მოსწავლეებისთვის აურაცხელი სიმდიდრე უნდა მეჩუქებინა, მაგრამ განა მათ შესწევთ უნარი, მიიღონ ეს ფასდაუდებელი ძღვენი?! ნუთუ ეს გოგონები ააგიზგიზებდნენ ჩემში ცნობისმოყვარეობის ცეცხლს და მათ ისე შევიყვარებდი, როგორც მეწადა?! გულახდილად რომ ვთქვა, მეგონა, პირველი გაკვეთილი მწარე იმედგაცრუებას და ტკივილს მომგვრიდა, მაგრამ საბედნიეროდ, ავი წინათგრძნობა არ ახდა. ეს მომხიბვლელი მოწაფეები მაჯადოებენ, მაგრამ ზოგჯერ, მაცბუნებენ კიდეც, რადგან მრვალსახოვან ქმნილებებად მეჩვენებიან; ვერა და ვერ მივმხვდარვარ, ჯერ კიდევ პატარა გოგონები არიან, თუ მოწიფული ქალიშვილები. მათი ბავშვობის საამური ხანა დიდი ხნის წინ დასრულდა, მაგრამ ჯერ არ დაქალებულან. ყველა შეგირდი ერთნაირად თავაზიანი და სასიამოვნო როდია! აღფრთოვანება მეუფლება, რაწამს უსახური მოსწავლის გვერდით დიდებულად აღმობრწყინდება ჯადოსნური ბრწყინვალებით მოსილი, ყვავილივით გაფურჩქვნილი, შეღერებული ქალიშვილის მაცდური და მომნუსხველი სილუეტი (როგორც იტყოდა ძვირფასი მარსელ პრუსტი).

ამ ქალაქში ცხოვრობს ვიკინგების შთამომავალი, ქერა, ზღვისფერთვალება ქალიშვილი, როზა. როცა ღელავს, სადაფისფერ სახეზე ალმური ედება; ასეთი ალისფერი და მხურვალე სისხლი, – ეს უძვირფასესი განძი უსახსოვრეს წინაპრებმა, პირმშვენიერმა, გულმამაცმა გოლიათებმა; თვალნათლივ წარმოვიდგენ – გრძელ, თოვლივით თეთრ კაბაში გამოწყობილი ეს შემკრთალი ქმნილება მაღალ, დიად ჟღალთმიან მეომრებს წყალგარეულ თაფლს უსხამს და ბაგეზე ნეტარი ღიმილი გადაჰფენია... ტურფა, ტანკენარი ლიდი ჯეირანს ჩამოჰგავს, შვენის შეშინებული სახე და მეოცნებე მზერა და მუდამ ისე ფრთხილად დაიარება, თითქოს, ვიღაცას ეკრძალვოდეს; ალბათ, ბერძენი ბებია ჰყავდა; პრაქსიტელის ქანდაკებებივით პატარა, ნატიფი, თეთრი, უზადო ცხვირი და მთრთოლვარე, გამჭვირვალე ნესტოები აქვს. მონიკი, თავისი განუმეორებელი, თხელი, ჩამოქნილი პროფილითა და დანისლული, იდუმალი მზერით ლიპის (ფრა ფილიპო ლიპი, იტალიელი მხატვარი, რომელიც ადრეული რენესანსის ხანაში მოღვაწეობდა. მთარგმნ.) წმინდა ქალწულს მაგონებს; ალისფერი, ფაქიზად დაპლისული საყელოდან

(რომელიც ბარძიმს უფრო ჰგავს) დიდებულად ამობრწყინებულა მისი მომხიბვლელი, მარმარილოსფერი ყელი. ამ სახემწყაზარ ქალიშვილს, როგორც ჩანს, მოჰყირჭდა მოსწავლის კაბა და წინსაფარი და ეს ლამაზი საყელო კეკლუცად მიუბნევია.

ვაღიარებ, მთელი გულით მსურდა მათი მონუსხვა, თუმცა, არ მიკეკლუცია! მათაც ისე მშვიდად ვუღიმოდი, როგორც ლამაზი ყვავილებით სავსე კალათს გაზაფხულის ერთ წარმტაც დილას; ყმაწვილქალური სინორჩით გაჟღენთილმა მათმა მოგონებამ საამო სურნელი გადააფრქვია ჩემს მარტოსულ საღამოს. ვუცქერდი მათ სხივმოსილ ხატებას და გული სინაზით მევსებოდა. ლიდი აუცილებლად უნდა გავიცნო.

15 ოქტომბერი

უფერული, რუხი და მოსაწყენი დღეა, მაგრამ ზეციური სიმშვიდით აღსავსე ეს წუთები, მოულოდნელ ზავს რომ მაგონებს, ნეტარების მორევში შთანმთქავს; თითქოს, დამქანცველი ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დავაგვირგვინე, ახლა კი თავისუფლებით ვტკბები და ჟამთა დინებას გულდამშვიდებით შევცქერი; თვალს შორეულ ჰორიზონტს მივაპყრობ ხოლმე და ვუმზერ, როგორ კრთის უსაზღვროდ შორს, ნაირფრად აელვარებულ ჰორიზონტზე, ქვეყნიერების დასალიერში, ვარდის სათუთ ფურცლებზე ჩამოღვენთილი ნამივით სამარადისოდ გამქრალი საამური წუთების ხატება; აწმყო ნაზ, მოიისფრო ნისლად იქცევა, წარსულის მოგონებების უხეშ, ისარივით წამახულ კონტურებს ღვთაებრივი შარავანდედით, მაგიური, მომაჯადოებელი სილამაზით მოსავს და საოცარ სისათუთეს ანიჭებს.

დიასახლისმა, მადამ ბორეგარმა (ეს გვარი მეოცნებე და რომანტიკოსი შანტალისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. ფრანგულად „Beau“ მშვენიერს ნიშნავს, „Regard“ კი – მზერას. მთარგმნ.) ვახშმად დამპატიჟა; მუსიკაზე ვისაუბრეთ; მართალია, მეტისმეტად განათლებული არ არის, მაგრამ ამ საოცრად მგრძნობიარე და გულსათუთ ქალს ნატიფი მუსიკალური გემოვნება აქვს; სმენის დამტკბობი ჰანგები მისი სულის სიმებს ნაზად არხევს; მის ქმარზეც ვიმასლაათეთ; მგონი, მისი თანამეცხედრე დახვეწილი დილეტანტი და ხელოვნების დიდი ტრფიალია; ალბათ, მისთანა კაცები ძველთაძველ პროვინციებსღა შემორჩნენ; ამ საოცარმა ადამიანებმა იციან, როგორ აქციონ ჭეშმარიტი განათლება თავიანთი უანგარო ცნობისწადილის მორჩილ მსახურად; მადამ ბორეგარმა ბევრი საინტერესო რამ მიამბო რუჟმონის არქიტექტურაზე და ის

ბროშურაც მათხოვა, რომელიც მისმა ქმარმა სენ-რომანის კოშკს მიუძღვნა. ამ ფასდაუდებელ საგანძურს სიხარულით ვფურცლავდი. ჩვენმა მაღალფარდოვნმა საუბარმა ისე ამაღელვა, მომეჩვენა, რომ სახეგაცისკროვნებული შევყურებდი ანტიკვარებით სავსე მაღაზიას, მერე კი დიკენსის რომანების ჯადოსნურ სამყაროში აღმოვჩნდი... ეს ადამისჟამინდელი, სამუდამოდ დამჭკნარი, თუმცა, სანუკვარი და იდუმალი რამ ვერ შევიცანი, მაგრამ მისმა სიდიადემ ცრემლიც კი მომგვარა; მადამ ბორეგარის ნატიფ ნაკვთებს თვალს ვერ ვწყვეტდი და გული სიხარულით მევსებოდა. ეს პირმრგვალი, ღვთისმშობელივით ლამაზი ქალი დაეჭკნო უნდობარ დროს, თუმცა მისი საბოლოოდ დედაბრად ქცევა დაჰნანებოდა. მადამ ბორეგარი მაგონებდა მარად-ქალწული მარიამის იმ ქანდაკებებს, ჟამთასვლამ დაღი რომ დაასვა, მაგრამ მათი დამცრობა და საბოლოოდ განადგურება მაინც ვერ შეძლო, პირიქით, კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩინა მათი წარმტაცი მშვენიერება! ამ შედევრთა ამჟამინდელი ხინჯის, მათი დახრული, დახავსებული სახეების მიღმა კრთის ძველი, უზადო, წმიდათაწმიდა, მომნუსხველი, სრულქმნილი და თვალისმომჭრელი ხატება; უსაზღვაროდ ვტკბებით მათი ოდინდელი, სხივმოსილი დიდებულებით, გვეჩვენება, რომ ხელს გავიწვდით და შევეხებით არნახულ, სწორუპოვარ მშვენიერებას...

ჟანინს უნდა მივწერო; არ მინდა, იფიქროს, საბრალო შანტალი პროვინციულმა ცხოვრებამ უმოწყალოდ მოწყვეტილი ყვავილივით დააჭკნო, ძველ ქვასავით დაახავსა და გული გამოუშროო; ასეთი ნეტარი სიმშვიდე, სასიცოცხლო ძალთა მოზღვავება და არაამქვეყნიური აღტყინება არასოდეს განმიცდია, არასოდეს!

20 ოქტომბერი

გვერდით დავიდე ლოგიკური ანალიზის სავარჯიშოთა შეკ-ვრა, რომელიც ხვალ დილით მეხუთეკლასელ მოწაფეებს უნდა დავუბრუნო, მაგრამ უძლური ვარ, გონებას მოვუხმო, ყურად-ღება მოვიკრიბო და გულდამშვიდებით გავასწორო მათი საშინაო დავალებები, რადგან შემოდგომის ვარდები ჩემს ოთახს ტკბილ-სურნელებით ავსებენ! ო, როგორ გავუძლო ამ თავბრუდამხვევ ბანგს?! გუშინ მადამ ბორეგარმა მაჩუქა იღლიაში ამოჩრილი ეს საარაკო სილამაზის ყვავილები, პატარა, თმახუჭუჭა ფრანსუაზმა კი, რომელიც საოცრად ჰგავს ბენოციო გოცოლის (იტალიელი მხატვარი. მთარგმნ.) პაჟს, სხივმოსილი სახე შემომანათა და დიდებული, ფასდაუდებელი თაიგული მისახსოვრა. ეს თვალისმომჭრელად ლამაზი და ნაირფრად

აჭრელებული ყვავილები მიბრძანებდნენ, მომესპო მათ გარშემო ყოველგვარი სიმახინჯე და ყოველივე ჯადოსნური მშვენიერებით შემემოსა. მორჩილად, კრძალვით ჩავიცვი ჩემი იაპონური პენუარი და აღმოსავლური, ფერადი ტყავის ფლოსტები. აი, ასე გამოწყობილი ვზივარ ამ ყვავილებით მორთულ ოთახში და უსაქმურ, გულარხეინ ახალგაზრდა ქალს უფრო ვგავარ, ვიდრე – მკაცრ მასწავლებელს.

ლიცეუმში წასვლამდე თმას საგულდაგულოდ ვივარცხნი, ფერუმარილს ვისვამ და იშვიათ ქრიზანთემასავით წითელ კორსაჟს ვიცვამ. რაწამს ჩემი უმწიკვლო თანამშრომლები გამქირდავ მზერას მტყორცნიან, სიხარულით ვივსები; მონუსხული მოსწავლეები ისეთი აღფრთოვანებით შემომცქერიან, მგონი, არაამქვეყნიური, ეფემერული არსება ვგონივარ; ჩემს გულს ბედნიერების ტალღები შთანთქავს, როცა კიბეებს კისრისტეხით ჩავირბენ, განრისხებული და აღშფოთებული მასწავლებლები კი მკაცრ მზერას არ მაშორებენ.

მონიკ ფურნიე უფრო და უფრო მომწონს; ახალგაზრდა ინფანტასავით მედიდურად უჭირავს თავი და გედივით ყელმოღერებული, გოროზი იერით დაიარება. ცხადია, ვუყვარვარ, მაგრამ მის ამგვარ თაყვანისცემას იოტისოდენა, საოცრად მომხიბვლელი კადნიერება და სიამაყე შერევია. ალბათ ღრმადაა დარწმუნებული, რომ მისი ამხანაგები ჩვეულებრივ მოკვდავთა პირმშონი არიან, თავად კი საოცრად ფაქიზი, მაგრამ იშვიათი და გამორჩეული რასის შვილია. ეს მშვენიერება მართლაც რომ უჩვეულო თესლიდან აღმოცენდა! მინდა, ვახშმად მოვიწვიო, მაგრამ ვიცი, თან წამოიყვანს თავის განუყრელ მეგობარს, ანდრე ლაკომბს. ეს გოგონა (მონიკისგან განსხვავებით) გულმოდგინე, სანიმუშო და ბეჯით მოწაფეთა უმადური, მოუქნელი, აუტანელი და უგვანი კასტის წარმომადგენელია; დღემუდამ წიგნებში ჩაურგავს თავი; ცხადია, ოდესმე მამიდამისივით პატივსაცემი პედაგოგი გახდება. ზარმაც, მაგრამ ძალიან მომხიბვლელ მონიკს სკოლაში საშინელი ცრურწმენებით რომ არ უჭედავდნენ თავს და დაუღალავად არ უმეორებდნენ, ანდრესავით უბადლო მოწაფე უნდა იყოო, იმ უბრალო და უსახურ გოგონას თავს არ გაუყადრებდა. ვგონებ, მისი საარაკო წარმატებების თვალისმომჭრელ ბრწყინვალებას მოუნუსხავს.

როცა სათუთ ვარდებს კრძალვით შევეხე, ერთი წითელი ფურცელი მოწყდა და მეგობრებს სამუდამოდ დაემშვიდობა, ჰაერში რამდენიმე წამს პეპელასავით იფარფატა და მერე ხელნაწერების შეკვრას დაეცა; ეს გამჭვირვალე, მეტად ფრივოლური და მსწრაფლწარმავალი სილამაზე იმ ბუმბულივით მსუბუქ სიყვარულსა და სინაზეს მაგონებს, რომლითაც ჩემი საყვარელი მოწაფეები მავსებენ. ვიცი, მათი ეს ფაქიზი

გრძნობა ჩემი ვარდის ეული ფურცელივით დაჭკნება, მაგრამ ამ საოცარ არსებათა ხატება ჩემში სამარადისოდ დამკვიდრდება; სევდამორეული მოვიგონებ მათ ღია მწვანე, ბრწყინვალე, თითქმის ფოსფორისებრ თვალებს, ზიზღიან გრიმასებს, აბზუებულ ტუჩებს, ბავშვურ, ქედმაღალ იერს და ჩემს გულს მელანქოლიის ტალღები შთანთქავს; ეს გულდამწველი მონატრება და გაუსაძლისი ნოსტალგია არასოდეს განელდება, მაგრამ ვაი რომ ამაოდ... ამაოდ! ვიცი, ეს მსწრაფლწარმავალი სიყვარული ჩემი გულის სიცარიელეს ვერ შეავსებს, მაგრამ ვნატრობ, მისი წყალობით მაინც შთავინთქა შექსპირის მშვენიერ, პოეტურ, ჯადოსნურ, ჰაეროვან, მაცდურ და ეფემერეული შუქით გაბრწყინებულ სამყაროში, სადაც ჩემი დაღალული გული აურაცხელი სიმდიდრის, სილამაზის, კეთილი ფერიებით სავსე თვალგასახარი ზღაპრის ცქერითა და წამიერი ბედნიერებით დატკბება და მონუსხულს ნეტარი კვნესა აღმოხდება.

6 ნოემბერი

მონიკი და ანდრე ახლახან წავიდნენ; როცა ჩემი ოთახის ზღურბლს გადმოაბიჯეს, შეშინებულები და დაბნეულები ჩანდნენ, მაგრამ მონიკმა, მოწიფული და თავდაჯერებული ქალივით, რაღაც შეუცნობელი ინსტინქტის წყალობით, თავი ხელში მალევე აიყვანა და ძალზე მშვიდი ხმით ალაპარაკდა. ეს ნატიფი, შარმიანი, გრაციოზული, დახვეწილი, სასიამოვნო და გამჭრიახი გოგონა ყველაზე რთულ ვითარებასაც კი უდრტვინველად, ტანჯვა-წამებისა და ჯოჯოხეთური ჭაპანწყვეტის გარეშე დააღწევს თავს. ვინ მიმადლა ასეთი ბავშვური გულუბრყვილობა, სისადავე და საოცარი, შეუცნობელი ნიჭი, ასე ძალდაუტანებლად და ლაღად რომ იგონებს ათასგვარ საოცრებას?!

ალისფერი კაბა შვენოდა და სილამაზით ბრწყინავდა; მის ყელზე შემოჭდობილი კორდელიერი (კორდელიერთა ორდენი ჩამოაყალიბა ანა ბრეტანელმა 1498 წელს. მისი წევრები ქამრის ნაცვლად ატარებდნენ კორდელიერს, ერთგვარ სამნასკვიან სამაგრს. მთარგმნ.) ძალიან წააგავდა ქამარზე ჩამოსაკიდ ქისას, რომელშიც წირვისას მოწყალებას აგროვებენ. ეს ამაყი ქალიშვილი აღაფრთოვანა მაგიდაზე შემოდგმულმა, ლარნაკში მოხდენილად ჩაწყობილმა ფერმკრთალმა ტიტებმა და შავგულიანმა ფრინტებმა. მონიკს და ყვავილებს ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმით, მაგრამ ამ იდუმალი, უტყვი ერთობის, ამ უსიტყვო დიალოგის შეცნობა მოკვდავთა მწირ გონებას არ ძალუძს. მხიბლავდა მისი ბავშვური სილამაზე და სინატიფე, ვეწაფებოდი ოცნებების მჩქეფარე წყაროს და მახსენდე-

ბოდა ფრენსის ჯეიმსის პერსონაჟი ქალიშვილები; თითქოს, ჩემი ოთახის ადამისჟამინდელმა, პროვინციულმა სურნელმა წარსულის უკიდეგანო ოკეანის ფსკერზე სამარადისოდ დავანებული კლარა დელებეზისა და ალმედ დეტრემონის (ჯეიმსის რომანების მთავარი პერსონაჟები.მთარგმნ.) და ბობოქარი ზვირთებიდან დიდებულად ამოაბრწყინა; მისნის იდუმალმა შელოცვამ გამოიხმო მისი აჩრდილი გარდასულ დღეთა თვალშეუვალი სიღრმეებიდან; ამ დიდებულმა არსებამ ოთახში შემოაბიჯა და უჩუმრად მომიჯდა გვერდით. ლამპის მკრთალ შუქში გახვეულ მონიკს მომაჯადოებლად იისფერი თვალები მაცდური და სამარადისოდ მომნუსხველი მშვენიერებით მოსავდა. ო, არასოდეს მინახავს თვალთა ასეთი იდუმალი კრთომა!

ანდრე მონიკივით დახვეწილი როდია! ეს გოგონა უფრო უხეში თესლიდანაა აღმოცენებული, მაგრამ ჩვენი თვალგასახარი ტილოს ჰარმონიას არ არღვევს; თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებს: თავისი მეგობრის გულის მესაიდუმლეა, ცოტათი ბუზღუნა და ბრაზიანი, ზოგჯერ მეტისმეტად კეთილგონიერი და წინდახედულიც კი, თუმცა, გამოირჩევა დიდი ჭკუა-გონებით, სამაგალითო ერთგულებით და თავდადებით; ალბათ, ბრძენმა განგებამ ასეთი ხვედრი არგუნა; უშნო სულაც არაა, მაგრამ მოკრძალებული და სიტყვაძვირი ნამდვილადაა; მუდამ ჩრდილში დგას, რადგან სწორედ ასეთი მოკრძალება და კდემამოსილება შეშვენის იმ ერთგულ მხევლებს, რომლებიც ფეხდაფეხ, მორჩილად, თავდახრილნი მიჰყვებიან მეფის ასულს თავბრუდამხვევი და საარაკო თავგადასავლების სამყაროში.

მონიკს გაუთავებლად ვებაასებოდი, ანდრეს კი თითქმის ვერ ვამჩნევდი; ამაოდ ვლამობ, სასიცოცხლო ძალით აღსავსე, მეტყველი, მგზნებარე და მომხიბვლელი ჩვენი ფრაზები ლამაზ სურათად ვაქციო, მაგრამ ყოველი მოუხეშავი ჟესტი სიყვარულით ანთებულ ჩვენს გულებში სათუთად კრძალულ სათქმელს ამახინჯებს, ბუმბულივით მსუბუქ საღებავის წვეთებს ტყვიასავით ამძიმებს და მხატვრულ ტილოს ულმობლად თხაპნის შემზარავი ხაზებით; ამ გამჭრიახ და დახვეწილ გოგონას საოცრად ნატიფი იუმორის გრძნობა და ახალგაზრდული, ნორჩი, სრულიად გამორჩეული და უჩვეულო მსოფლმხედველობა აქვს, ყოველ დეტალს დიდ ყურადღებას აქცევს, წამიერ შეგრძნებებს უღრმავდება და გაცხოველებული ცნობისწადილით განახელები, გულდასმით სწავლობს ყოველივე იდუმალს; გულდათუთქული ჟანინი მეუბნებოდა, ძალიან მებრალებით, პროვინციაში მაღალფარდოვანი საუბრებით ვეღარ დატ-

კბებითო, მაგრამ, ვაი რომ მწარედ შემცდარა! მონიკის, ამ საოცარი ბავშვის გვერდით გატარებული ყოველი წუთი ინტელექტუალურ საუბრებზე სანუკვარია! დიად იდეათა გაუთავებელმა, უცოდველმა, წმინდათაწმინდა, ბავშვურმა და ამაო თამაშმა ძალიან დამქანცა. „Primum vivere!...“ – ამბობდნენ ფილოსოფოსები („ცხოვრება უპირველეს ყოვლისა!“ – მთარგმნ.). ეს თხუთმეტი წლის გრაციოზული მოსწავლე თავისი ყმაწვილქალური მშვენიერების, მგზნებარებისა და გულუბრყვილობის წყალობით ცხოვრებას უფრო კარგად იცნობს, ვიდრე მკაცრ, უფერულ, თითქმის ასკეტურ და პურიტანულ ყოფას შეჩვეული პირქუში მოაზროვნეები; ეს ძალოვანი მისანი მთელი არსებით შეიგრძნობს სიცოცხლის ყოვლისმასულდგმულებელ ყვავილობას და სინამდვილის გულისგულში იჭრება; ასეთი სიმამაცით დიდმა სწავლულებმაც კი ვერ ისახელეს თავი! დღეს თვალისმომჭრელი, საოცარი სიცხადით ვიგრძენი ბერგსონის სიტყვების ჭეშმარიტება! როგორც იქნა, ეს ოცნებაც ავიხდინე! დიდი ხნის წინ დავიფიცე, რომ ოდესმე დავიპყრობდი უდიდესი სიბრძნის ამ სავანეს, გოროზად რომ აღმართულიყო სულ ახლოს ჩემს გულთან; მან დაწერა, თუკი სულის უძირო ტბის კლანჭებიდან გაჭირვებით გამოხსნილ, სათუთად ნაალერსებ მსწრაფლწარმავალ შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებს სიტყვათა საპყრობილეში გამოვამწყვდევთ და ცხად, თუმცაღა მშრალ, უნაყოფო ფიქრებად ვაქცევთ, ულმობლად გავანადგურებთ მათ ხელუხლებელ, უჩინარ ბრწყინვალებასა და აურაცხელ, ფასდაუდებელ სიმდიდრესო! მისი ბაგე ჭეშმარიტებას ღაღადებდა! როგორ უნდა გამოვხატოთ უხეში ფრაზებით ის განუმეორებელი შთაბეჭდილებები, დღედაღამ რომ თავს დავკანკალებთ?! ჩვენ ხომ დაუღალავად დავცურავთ ჩვენი გონების ოკეანეში და ცნობისწადილით შეიარაღებულნი, გამალებით დავეძებთ მის გულისგულში დამარხულ ამ განძს?! დიახ, მძაფრი ინსტინქტებით აღსავსე გულწრფელი მონიკივით, ყური უნდა დავუგდოთ იმ იდუმალებით მოცული, შეუცნობელი, დაუდგრომელი, მოუხელთებელი და ცვალებადი ცხოვრების ჩურჩულს, ჩვენს თვალწინ შლეგი ღვარცოფივით რომ მიედინება, ეს სილამაზე დავატყვევოთ და ჩვენი გონების დილეგში გამოვამწყვდიოთ, მარადუბერებელი მგრძნობელობის წყალობით დავტკბეთ გარესამყაროს მარადუჭკნობი ახალგაზრდობით, დავაცქერდეთ ამ მჩქეფარე ცხოვრების მდინარებას, რომელიც ტალღასავით დაუღალავად გვაფრქვევს თავბრუდამხვევ სიახლეებს...

მას შემდეგ, რაც წერას შევუდექი, ფრინტებს გული გაუმუქდათ; ღამეს ახლა სულ სხვაგვარი სურნელი აქვს; ეს მომაჯადოებელი,

ახალშობილი, რამდენიმე წუთის წინ თვალწარმტაცი ვარდივით გაფურჩქვნილი სილამაზე, თითქოს მიბრძანებს, რომ ჩემს ოთახში სინაზე და სისათუთე სუფევდეს. ჩემი ვალია, მისანივით წარმოვთქვა იდუმალი შელოცვა და მეყვსეულად შევმოსო ყოველივე მშვენიერებით, თორემ ეს ვარდი მალე საწყალობლად დაჭკნება... მხოლოდ მისთვის, მხოლოდ მისთვის უნდა აღვასრულო ეს დიადი მაგიური რიტუალი... მის ნება-სურვილს სიხარულით ვემორჩილები. განა შეიძლება, ამ ფაქიზმა ყვავილმა უფერულ, პირქუშ და სულშემხუთავ გარემოში იცოცხლოს?! მინდა, გავიხარო ამ ხანმოკლე ცხოვრებით, თავაწყვეტილი რაშივით რომ მიქრის, დავტკბე ყოველი წუთით, ყოველი წამით... ამ ნადავლს არაფრისდიდებით არ გავუშვებ ხელიდან!

20 ნოემბერი

თითქოს მშვენიერი ღიმილი საოცრად მშვიდ, ბუმბულივით მსუბუქ დღეებს შობს; დრო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქრის, წამი წამს მისდევს, საათის ისრები, ეს ფეხმარდი მხეცები სულის მოსათქმელადაც კი არ ჩერდებიან, მაგრამ სასიამოვნო სხივით გაცისკროვნებულ წუთებს მიღმა პაწაწინა ბედნიერება შხაპუნა წვიმის წვეთებივით იღვრება ყურთასმენის დამტკბობი ჩურჩულით; ბრძენი დრო ზარივით წკრიალა, მთრთოლვარე, ბროლისებრი სიწმინდითა და სისპეტაკით გაჟღენთილ ამქვეყნიურ სიამეთა კრიალოსანს მარცვლავს.

ჟანინის წერილმა დამანაღვლიანა. რამდენიმე დღე მოღუშული დავეხეტებოდი ქალაქის ქუჩებში. არ მსურს, ცხოვრება ჩქეფდეს იქ, სადაც მე არა ვარ და ადამიანები უჩემოდ ტკბებოდნენ მიწიერი მშვენიერებით! რაწამს პარიზიდან წამოვედი, ეს ლამაზი ქალაქი ნაცარტუტად უნდა ქცეულიყო; როცა გარდავიცვლები, ყოველივე უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა; მაღიზიანებს ჟანინის ოდნავ ქედმაღლური ტონი; მისი ფარისევლური თავმდაბლობის მიღმა საზიზღარი გულზვიადობა იმალება; ახლა ისეთი ბედნიერი ცხოვრება არა აქვს, მისი გულწრფელად რომ მშურდეს! ანას პატარა წერილმა საავდრო ღრუბელი გაფანტა, ცხათვალა მზე ამოაბრწყინა და დარდი გამიქარვა. საოცარ ნეტარებას განვიცდი, როცა ვხვდები, რომ ვიღაცას ვენატრები, ჩემი სიტყვები კი მეგობრების ცხოვრებას საამო სურნელს აფრქვევს და მათ იარებს მალამოდ ედება.

ბოდლერის ის ლექსი მაგონდება, რომელსაც ასე ხშირად ვიმეორებდი სევრში ცხოვრების პირველ წელიწადს:

„ტანჯვით გაიფურჩქნა ათასი ყვავილი,
და მათი ტკბილი სურნელი მელამუნება,
ო, საამო იდუმალებავ,
ო, სამარადისო მარტოობაში შობილო სილამაზევ!“

ახლა კი ჩემს სულში პოლ ვალერის შესანიშნავი პასუხი გაისმის:

„დამშვიდდი, დამშვიდდი, დამშვიდდი გულო
და გაუძელ ნაყოფმსხმოიარე პალმის სიმძიმეს“.

საოცარი სითამამით აღვსილმა შევაღე ლიცეუმის კარი. დილით მთავარ ზედამხედველს ველოდებოდით. როცა გაკვეთილი დაიწყო, ძალიან ავღელდი. ვიცოდი, ლ. ჩემდამი კეთილგანწყობილი იყო, რადგან ჟ. ჩემზე ესაუბრა და თუკი კარგ შთაბეჭდილებას დავუტოვებ, დახმარების ხელს გამომიწვდის. არ მინდა, კიდევ მრავალი წელი ამ ბნელ სოროში ვიყო გამომწყვდეული და ცოცხლად დავლპე! ამ პირქუში სასწავლებლის კლანჭებიდან თავი უნდა დავიხსნა! ჩემი ახალგაზრდობის განუმეორებელ დღეებს ამ შემზარავ კედლებში დრო-ჟამის ხავსი მოედება... საბედნიეროდ, პლატონის შემოქმედებაზე ბრწყინვალედ ვილაპარაკე და ლ.-ს ჩემი მოსწავლეები ძალიან მოეწონა; ანდრე ლაკომბმა შესანიშნავად მიპასუხა. ლ. გამეხუმრა, თქვენი ახალგაზრდული მგზნებარება, სიფიცხე და დაუდგრომლობა თავაწყვეტილი ჩანჩქერივით შლეგი ღრიალით მოჩქეფსო. ცხადია, ლ. ჩემმა პირდაპირმა ტონმა, მეტყველმა, ცოცხალმა და მზგნებარე ხმამ აღაფრთოვანა და დაატყვევა. ალბათ, თავის დღეში არ უნახავს ჩემისთანა სიცოცხლით სავსე მასწავლებელი, რომელიც მოწაფეებს ცოდნას უშურველად უწყალობებს. ამ უმნიშვნელო, თითქოსდა სნეულმა წარმატებამ, ამ ხანმოკლე გამარჯვებამ თავდაჯერება შემმატა და მომავლის რწმენით აღმავსო.

საღამოობით რუჟმონის ქუჩებში დავეხეტები, პრუსტის უკვდავი რომანის რამდენიმე გვერდს ვკითხულობ... ეს უბრალო რამ (ერთი შეხედვით) სრულიად საკმარისია ჩემი ბედნიერებისთვის! მეჩვენება, რომ ცხოვრება ვატოს (ანტუან ვატო, ფრანგი მხატვარი, როკოკოს მიმდინარეობის წარმომადგენელი. მთარგმნ.) ნახატივით მარტივი, სადა და მშვენიერია. ამ პროვინციაში თითქოს გავახალგაზრდავდი და უღრუბლო სიხარული განვიცადე... საამური შთაბეჭდილებებით ვსულდგმულობ; ნეტარების მორევში ვინთქმები, როცა სიცოცხლის ცხოველმყოფელი სიო ფოთოლივით მათრთოლებს და მის ჩურ-

ჩულს სულგანაბული ვუგდებ ყურს. ყველაფერს, რასაც ვეხები, თავბრუდამხვევ ნექტრად ვაქცევ, იმ ტკბილ თაფლად, რომელიც ჩემს ცხოვრებასა და შინაგან სამყაროს სასიცოცხლო სუნთქვას შთაბერავს, უძლეველი ძალით აღავსებს, თავის საოცარ ნელსურნელებას გულუხვად აფრქვევს და იარებს მალამოდ ედება.

მგონი, მადამ ფურნიეს ჩემი გაცნობა სურს; ერთხელ დავინახე, როგორ გადმოვიდა ეს ძალზე ელეგანტური ქალი მონიკთან ერთად მდიდრული, საუცხოოდ ლამაზი მანქანიდან; მის ქმარს მთელი რეგიონი ერთ-ერთ ყველაზე ჯიბესქელ მეწარმედ თვლის. ამ მაღალი წრის ადამიანების გაცნობა ნამდვილად საინტერესო იქნება; კარჩაკეტილ არისტოკრატებზე დაკვირვება და მათი ზნე-ჩვეულების გულდასმით შესწავლა ერთობ გამახალისებს.

25 ნოემბერი

რა რუხი და უსიცოცხლო დღეა! მოქურუხებული ზეცა ქალაქს მძიმედ დასწოლია; მგონი, ჟანინს ცოტათი მშრალად და უკმეხად ვუპასუხე; რაწამს წერილის წერას მოვრჩი, ვიგრძენი, რომ ჩემში უსახურმა სიცარიელემ დაისადგურა და საშინლად გავღიზიანდი; მეტისმეტად მგრძნობიარე ვარ; გამუდმებით იმას ვდარდობ, რას იტყვის ჩემზე ხალხი; უფრო ამაყი უნდა გავხდე! ამ საღამოს, თითქოს, ჩემს თავს ჟანინის თვალით ვუყურებ; ვუმზერ იმ მარტოსულ, ცხოვრების ოკეანიდან უსახურ ნაპირზე გამორიყულ, საზიზღარ პრივინციაში დასამარებულ ქალს, რომელიც სიმართლეს თვალს ვერ უსწორებს; ამ ბედკრულმა არსებამ, მასულდგმულებელი სიყვარული რომ არასოდეს განუცდია, პატარა, მიყრუებულ ქალაქს შეაფარა თავი, მაგრამ საუბედუროდ, ბრწყინვალე მომავალი არ ელის, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს და მამაკაცის გულს თავის დღეში ვერ დაიპყრობს... ამ გულშემზარავი ხატების მოშთობას ვლამობ, მაგრამ ამაოდ! ჩემს თვალწინ უდრეკი სიჯიუტით კრთის... რა ზანტად მიიზლაზნება ეს მტანჯველი საღამო... თითქოს, საათის ისრები გაჩერებულა; ბოლო არ უჩანს ამ გულისგადამლევ მოლოდინს; როცა ასეთი დათრგუნული და გულდამძიმებული ვარ, დღიურში სიტყვის ჩაწერასაც კი ვერ ვბედავ; აღარ ვიცი, რა მინდა, რას ველი... მხნეობა დავკარგე; სევდამ ულმობლად ჩამასო ბასრი კლანჭები; მოწყენილობით ვკვდები; პარიზი მომენატრა; ამ პროვინციაში ორ წელიწადს ვერ გავძლებ! ასეთი უსიხარულო ცხოვრება არ მინდა! რა მარტოსული ვარ! ახლა იმასღა ვნატრობ, ღამემ მალე შემოაბიჯოს ამ მდუმარე ქალაქში, თავი შევაფარო საწოლს, ამ მყუდრო სავანეს,

მტანჯველი ფიქრები ცოტა ხნით მაინც განვდევნო და ძილის მორევში უგრძნობლად დავინთქა; თავზარი მეცემა, რადგან იძულებული ვარ, დღე-ღამეში ათი საათი მეძინოს, რათა როგორმე დრო მოვკლა და გულისმომწყვლელი სევდა არ მომერიოს. ო, ასე როგორ დავეცი?! რა საშინელ ფილმებს აყურებინებენ ხალხს ბინძურ კინოთეატრებში! დილაობით აღარც კი ვვარჯიშობ; ამ უსახურ გასართობზე გული ამიცრუვდა; ყოველივე ამაოა, ამაო! ხვალ ისევ ლიცეუმში უნდა წავიდე, მოწაფეების საშინაო დავალებები წითელი კალმისტრით შევასწორო... ო, კიდევ ერთი ჯოჯოხეთური საღამო მელის; ვიცი, ამაოდ შევეცდები დროის მოკვლას... ამ ერთფეროვნებას ბოლო არასოდეს მოეღება; ყოვლისმომცველი მდუმარება და თვალშეუვალი წყვდიადი გამეფებულა; სული მეხუთება; მეჩვენება, რომ ბნელ სამარეში ვწევარ.

***

შანტალი დირექტორის კაბინეტში შევიდა და კუთხეში დაჯდა; სხდომა უკვე დაწყებულიყო; მის გარდა ყველა მასწავლებელი მადმუაზელ ბიდუას მრგვალ მაგიდას მისჯდომოდა; პირსისხლიანი ფურიები ულმობელი სამსჯავროსთვის ემზადებოდნენ; მალე მოწაფეებს სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ; შანტალმა დამცინავი მზერა მოავლო ამ საზიზღარ ნახევარწრეს და გაიფიქრა: „ო, როგორ იბღინძებიან! ნეტავ, ვინ ჰგონიათ თავი?!“ კედელზე დაკიდებულ ტილოზე სამოთრაკიელების გამარჯვება იყო გამოსახული, ლა-მაზი ოფორტი კი საოცარი ბრწყინვალეებით წარმოაჩენდა რუჟ-მონის ძველ ქუჩას... მშვენიერი, ელეგანტური და მომხიბლავი შანტალი საავდრო ღრუბლად მოვლენოდა ცრურწმენებისა და ყავლგასული ადათ-წესების გულისამრევი სურნელით გაჟღენთილ ოთახს, ამ ბნელი ბუნაგის აუმღვრეველ სიმშვიდეს; ჰარმონიული მელოდიის კეთილხმოვნებას თითქოს ერთადერთი, მეტად უცნაური, ყველასაგან გამორჩეული ნოტი არღვევდა; ფეხი ფეხზე გადაიდო და თავმომწონედ დაისვა ხელი თავის მდიდრულ, დახვეწილ შალის კაბაზე; ცხადი იყო, გატაცებით ეტრფოდა საკუთარ თავს. ამ საღამოს კიდევ ერთ მწველ გულისწადილს აიხდენდა: მონიკის დედას, მადამ ფურნიეს, ვახშმად ესტუმრებოდა. მთელი არსებით გრძნობდა, რომ ბრწყინვალე, მრავალფეროვანი და სისხლსავსე ცხოვრება ჰქონდა; პატივსაცემ პედაგოგთა მოსაწყენი კრება მის გულს ვერ ახარებდა; ამგვარი უსახური სანახაობა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ვერასოდეს იქცეოდა, ვერასოდეს!

„მეორე კლასი!“ – შესძახა მადმუაზელ ბიდუამ და იმ მოსწავლეთა გვარების ჩამოთვლას შეუდგა, რომელთაც ფრიადოსანთა დაფაზე მოხვედრის პატივი ხვდათ წილად: „დისციპლინისა და სანიმუშო ყოფა-ქცევის საბჭომ გადაწყვიტა, რომ რენე კანუ, მონიკ ფურნიე, ანდრე ლაკომბი, ლიდი ნევე და რენე პონსე უდრტვინველად ემორჩილებიან სასწავლებლის შინაგანაწესს,“ – თქვა მშრალად, წამით შეყოყმანდა და დასძინა: „ვინ უჭერს მხარს რენე კანუს?“

რამდენიმე მასწავლებელმა ხელი ასწია. შანტალი ორჭოფობდა.

„ძალიან ჭკვიანი არაა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გულდმოდგინედ სწავლობს. ასეთი სიბეჯითე, რატომღაც, შემზარავიც კია...“ – თქვა შანტალმა ღიმილით და გაიფიქრა, პედანტი მასწავლებლების თავყრილობაზე, ამ უმოწყალო სამსჯავროზე ასეთი გაუგონარი და უცნაური საყვედურის წარმოთქმაც კი საარაკო გმირობის ტოლფასიაო. „თუმცა, თანახმა ვარ, ლაურეატთა ნუსხაში მოხვდეს“, – დასძინა მან.

„მონიკ ფურნიეზე რას ფიქრობთ? – იკითხა მადმუაზელ ბიდუამ.

– მხარს ვუჭერ!“ – გაბედულად შესძახა შანტალმა და უმწიკვლო ქალების გულისწყრომაც დაატყდა თავს; ოთახში საშინელი ზუზუნი, ბრაზიანი შეძახილები და გმინვა გაისმა.

„მის უსაქციელობას ბოლო არ უჩანს! გამუდმებით დასცინის ყველას! ამგვარი ქედმაღლობა ნამდვილად დასაძრახია!“ – შესძახა ისტორიის მასწავლებელმა, მადმუაზელ მეტრალმა.

შანტალმა საშინლად დამცინავი მზერა სტყორცნა ნაირფრად მოელვარე ზიზილპიპილებით მორთულ ამ ჩასუქებულ ქალიშვილს, რომელიც ჰგავდა... შანტალი შეყოყმანდა და გაიფიქრა: „იქნებ, ტულუზ ლოტრეკის ნახატს? ან იქნებ, დომიესას?“ ბოლოს კი გადაწყვიტა, უსახურ კარიკატურას მაგონებსო.

„ზოგჯერ საშინაო დავალებებს ბრწყინვალედ ასრულებს, – თქვა მადმუაზელ ლაკომბმა, – მეტად სასიამოვნო ხელწერა და ნატიფი სტილი აქვს. ამ ნიჭიერ ქალიშვილს უფრო კარგად სწავლაც შეუძლია, მაგრამ ძალიან ზარმაცობს.

– რენე კანუზე ბევრად ჭკვიანია! – უპასუხა ზიზღმორეულმა შანტალმა.

– კანუ მონიკივით არ ბრწყინავს ნიჭიერებით, მაგრამ ბევრად უფრო ბეჯითი გახლავთ, – არ დანებდა გესლიანი ქალი.

– ოჰ! თუკი სიბრიყვეს დააჯილდოებთ და დაფნის გვირგვინით შეამკობთ, რა გაეწყობა?!“ – შეუტია გაცხარებულმა შანტალმა.

კამათში დირექტორი ჩაება: „მისი გულმოდგინება საკადრისად

უნდა დავაფასოთ. ასეთ თავგადაკლულ შრომას წყალში ვერ ჩავუყრით," – თქვა მან მშრალად.

ინგლისურის მასწავლებელს, მადმუაზელ ნორმანს, უსიამოდ ჩაეცინა, გულშემზარავმა გრიმასამ კიდევ უფრო დააუშნოვა, სახეზე საშინლად ცივი, თითქმის მტრული გამომეტყველება აღებეჭდა და თქვა: „მონიკი სხვებივით მანჭია, ახირებული და თვალთმაქცია. უმწიკვლო ბავშვს სულაც არა ჰგავს! ამ თითისტოლა გოგონას ასეთი თამამი და უხამსი მანერები არ შეშვენის!"

შანტალს, თითქოს ჭრილობაზე მარილი დააყარეს; ამ გულღვარძლიან არსებას გაშმაგებული მძულვარებით ანთებული მზერა ესროლა და გაიფიქრა: „ის წმინდა ნორმანდიული თესლისგან აღმოცენდა... ტირის პატარა ფიგურას ჰგავს". გაახსენდა, როგორ იცინოდნენ ის და ლუსილი, როცა ტრონის ბაზრობაზე (ერთ-ერთი უძველესი ბაზრობა პარიზში. მთარგმნ.) მუყაოს ნიღბებს შესცქეროდნენ; ამ სასიამოვნო მოგონებამ გული სიხარულით აუვსო; რემბო ისე გატაცებით აღწერდა ბაზრობათა პოეტურ, თვალგასახარ მშვენიერებას, რომ შანტალისთვის მიწიერი სიმდაბლით, ამაოებით, ფულის ჭუჭყითა და ამაზრზენი, ვაჭრული სულით გაჟღენთილი ეს ადგილები ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებულ სავანედ იქცა; დიადი მგოსნის ნატიფმა ლექსებმა თვალი აუხილა და ცხადად დაანახა ამ უფერული მასკარადის გულისგულში დავანებული ჯადოსნური სილამაზე და აურაცხელი სიმდიდრე; მას შემდეგ, რაც ამ უდიდეს საიდუმლოს ეზიარა, წელიწადში ორჯერ სიხარულით სტუმრობდა პოეზიის ცხოველმყოფელი შუქით გასხივოსნებულ ბაზრობებს.

– ერთხელ, მონიკი დერეფანში ჭიაყელასავით დაიგრიხა და შესძახა: „ო, პოლ ბურჟე მეზიზღება! სურდა, ფსიქოლოგი, გულთმისანი და ადამიანთა სულების მკურნალი ყოფილიყო, მაგრამ ხელი მოეცარა. მის პერსონაჟებს აკლია სიღრმე და სინატიფე. ძალიან სასაცილო, ზედაპირული, უგემური და სენტიმენტალური რომანები დაწერა." გესმით, რა სისულელე თქვა?! უნდა გენახათ, როგორ ამაზრზენად ცქმუტავდა! – განაგრძო მადმუაზელ ნორმანმა.

ყველას სიცილი წასკდა.

„ხანდახან ვფიქრობ, პარიკი ხომ არ ახურავს-მეთქი. ო, როგორ მინდა, თმა მოვქაჩო," – თქვა შანტალმა ღიმილით და განაგრძო: „ეს რა მხიარული დღე გამითენდა! თავი სასაცილოდ ავიგდე".

„ქუჩაში რომ შეგვხვდება, თვალს ურცხვად გვარიდებს ხოლმე! მოსალმებასაც კი არ კადრულობს!" – განაგრძო გაწიწმატებულმა მადმუაზელ მეტრალმა.

გაწბილებულმა და გულგატეხილმა მადმუზაელ ლაკომბმა მხრები აიჩეჩა: „ყველანი ასე უტიფრად იქცევიან; მასწავლებლებს სასწავლო წლის დასრულებამდე თავმდაბლად ესალმებიან, მერე კი ისე ჩაუვლიან, ზედაც არ შეხედავენ, თითქოს, არც კი იცნობენ!“

მოთმინებადაკარგული შანტალი ჩანთას გაუთავებლად სრესდა და თითებს ნერვიულად ათამაშებდა. შვიდის ნახევარზე მონიკი და ანდრე მოაკითხავდნენ, მერე კი მადამ ფურნიეს ვახშმად ეწვეოდა; მალე მოსაღამოვდებოდა და ტანსაცმლის გამოცვლასაც კი ვერ მოასწრებდა; თუ ფერუმარილს ოსტატურად არ წაისვამდა და თმას გულმოდგინედ არ დაივარცხნიდა, ეს წვეულება ჩაშხამდებოდა და გული მასულდგმულებელი სიხარულით არ აევსებოდა... არ უნდოდა, მდიდართა საუფლოდან გულდაწყვეტილი და თავჩაქინდრული წამოსულიყო; თუკი ამ მაღალი წრის ადამიანებს თავს მოაწონებდა, საზოგადოებაში გამოიყვანდნენ და წარმატებულ რუჟმონელებს გააცნობდნენ; წვეულებისთვის უნდა მომზადებულიყო და დიდებული სამოსი ჩაეცვა. თანამშრომლებს გაღიზიანებულმა გადახედა და იგრძნო, რომ ამ უსულგულო არსებებს პროფესიული პრობლემების, დიდებული კარიერით ტკბობისა და სახელის მოხვეჭის გარდა ქვეყნად არაფერი ადარდებდათ; როგორც კი ლიცეუმის ზღურბლს გადააბიჯებდნენ და კარს გაიხურავდნენ, მოსაწყენი ყოველდღიურობის ჭაობში ეფლობოდნენ; ამ პირქუში სასწავლებლის კედლებს მიღმა სასიხარულო არაფერი ელოდათ და საუბარს ისე აჭიანურებდნენ, ყოველ სიტყვას ისე გულისგამაწვრილებლად ნელა წარმოთქვამდნენ, თითქოს, კრებაზე კი არა, წვეულებაზე ბრძანდებოდნენ. ეს ბოღმიანი ქალები არნახული გაბოროტებით ლაპარაკობდნენ მონიკ ფურნიეზე; მათ თვალებში მრისხანებისა და სიძულვილის ნაპერწკლები ელავდა; თამამი და ყველასგან გამორჩეული ქალიშვილი პატივცემული, უმანკო და ანჩხლი პედაგოგების ყბაში ჩავარდნილიყო. „ის და მისი და ერთმანეთს წყლის ორი წვეთივით ჰგვანან. მარიეტმა ამ ლიცეუმში ათ წელიწადს ისწავლა, მაგრამ ვერავინ მიხვდა, როგორი ადამიანი იყო; იდუმალებით მოცულ, პირქუშ, მკაცრ და სიტყვაძვირ ქალიშვილს გული თავის დღეში არავისათვის გადაუშლია; როცა გათხოვდა, ქორწილშიც კი არ დაგვპატიჟა! გესმით?! ერთი უბრალო მოსაწვევის ღირსიც კი არ გაგვხადა!“ – შეჰყვირა ბრაზმორეულმა დირექტორმა, წამით გაჩუმდა, სული მოითქვა და დასძინა: – „მონიკს მხარს უჭერთ?

– ცხადია, არა! – ერთხმად შესძახა ფურიეების ხროვამ.

– ახლა კი გიცხადებთ, რომ არ მინდა, რენე კანუ ლაურეატთა

სიაში ვიხილო! – თამამად თქვა შანტალმა: – მონიკ ფურნიეს ბევრად ჩამოუვარდება! ტყავიდან ძვრება, ცდილობს, სიბეჯითით თავი ისახელოს, მაგრამ მასავით ნიჭიერი ვერასოდეს იქნება, ვერასოდეს!

– მონიკსა და რენეს ერთმანეთს ნუ შეადარებთ! ხომ არ დაგავიწყდათ, რამდენიმე წუთის წინ რენე კანუს მხარი რომ დაუჭირეთ?! სიტყვას უკან ვეღარ წაიღებთ," – მიუგო პირგამეხებულმა დირექტორმა.

შანტალს რისხვით თვალები აენთო და სიძულვილით სავსე გრიმასამ სახე დაუმანჭა; როგორ უნდა შეემჩნიათ ჭეშმარიტი ნიჭი და ამაღლებული სული დრომოჭმულ ცრურწმენათა საპყრობილეში სამარადისოდ გამომწყვდეულ ამ ჭკუათხელ, გულგამეხებულ და სასტიკ ჯალათებს?! ბავშვებს ყავლგასული პრინციპებით განსჯიდნენ და სულაც არ აინტერესებდათ მათი სულის იარების მოშუშება; ბრძენ ბუნებას ამ ცივსისხლიანი არსებებისთვის იოტისოდენა ფსიქოლოგიური ანალიზის უნარიც კი არ მიუმადლებია; მხოლოდ შანტალი მიაგებდა საკადრის პატივს მოწაფეებს, ამ ნორჩ და ფაქიზ ყვავილებს, მათი უსიტყვოდ ესმოდა, თითქმის მათსავით აზროვნებდა და სულგანაბული უგდებდა ყურს მათი ყმაწვილქალური, დაუდეგარი და ბობოქარი გულის საამო ხმას.

ანდრე ლაკომბს ყველამ ერთხმად შეასხა ხოტბა. მისი სახელი დიდების შარავანდედით შეიმოსა. „ამ ერთ წელიწადში დიდ წარმატებას მიაღწია," – თქვა დირექტორმა და მადმუაზელ ლაკომბს ყველამ თავაზიანი მზერა მიაპყრო. ანდრე ხომ მისი ძმისწული გახლდათ?!

მოთმინებადაკარგულმა შანტალმა კედლის საათს ახედა; უკვე ექვსის ნახევარი იყო! „დაბანასაც კი ვერ მოვასწრებ! ადამისჟამინდელი გამათბობელი წყალს შუაღამემდე ვერ გააცხელებს," – გაიფიქრა მან. რა ფეთხუმები იყვნენ პროვინციელი ქალები! ეს სიბინძურე გულს ურევდა. მადამ ბორეგარს თავზარი დაეცა, როცა შანტალმა მოსთხოვა, აბაზანაში დახვავებული წიგნები სხვა ოთახში გაეტანა; ამ ბრიყვ არსებას აბაზანა კაბინეტად ექცია! წიგნს რა ესაქმებოდა ნესტით გაჟღენთილ ალაგას?! „მეპატრონემ მითხრა, ყოველი ბანაობის შემდეგ ოთხი ფრანკი გადამიხადეო, მაგრამ ამ წყალობას არაფრისდიდებით არ ვაღირსებ! ძალიან ცდება, თუკი ფიქრობს, რომ ასე დამიბრიყვებს და სულმდაბლურად გამომიყენებს!" – გაიფიქრა გაცეცხლებულმა.

მალე პირველ კლასსა და ფილოსოფიის გაკვეთილებზე საუბრის დროც დადგა. საბედნიეროდ, შანტალი ვალდებული არ იყო, ამ კრებასაც დასწრებოდა და მათი გაუთავებელი ლაქლაქი მოეს-

მინა. დირექტორის კაბინეტიდან ტყვიანაკრავივით გავარდა, ეს საპყრობილე უკანმოუხედავად დატოვა და შინისკენ მოკურცხლა; მის ოთახში აუტანლად ციოდა. „როგორც კი საშობაო არდადეგები დასრულდება, სხვა ბინას ვიქირავებ! ამ სოროში ცხოვრება აღარ შეიძლია!“ – გადაწყვიტა ბრაზმორეულმა; დიასახლისთან ძველებურად კარგი ურთიერთობა აღარ ჰქონდა; ელექტროენერგიის საფასურსა და გათბობაზე დაუსრულებელმა კამათმა მათ მეგობრობას ბოლო მოუღო. როცა ტანსაცმელს იხდიდა და გულმოდგინედ ისვამდა ფერუმარილს, ჟანინის ბინაზე ფიქრობდა. „ძალიან გაუმართლა. თვალის დახამხამებაში არნახულ წარმატებას მიაღწია. ეჭვიც არ მეპარება, რომ დელპიერის საყვარელი იყო. აბა, მის გარეშე რას გახდებოდა? ჟანინი ყველანაირად ცდილობდა, ჩემთვის არ გაეცნო ის ყმაწვილი...“ – გაიფიქრა. შანტალმა თხელი, ნატიფი კოლგოტი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა; მისი სევდა უკვალოდ გაქრა; საავდრო ღრუბელი გაიფანტა და დაღვრემილი სახე ღიმილმა გაუნათა; მწვანე არშიით დამშვენებული შავი კაბა სილაზით ბრწყინავდა, ცხადი იყო, რომ ხელგაწაფულ ოსტატს შეეკერა. ერთ წელიწადს ჟანინთან ერთად გატაცებით კითხულობდა „ვოგს“, „ფემინას“, „თქვენს სილამაზეს“... ამ გამოცემების წყალობით დიდ საიდუმლოს ეზიარნენ: შავი სამოსი მუდამ ელეგანტური გახლდათ, ლამაზი ტანსაცმელი კი კარგი ფეხსაცმლის გარეშე ბრწყინვალეებას კარგავდა. შანტალი სარკეში თავის ანარეკლს უმზერდა, სიხარულით ივსებოდა და ფიქრობდა, ამ საღამოს აზრად არავის მოუვა, მასწავლებელი რომ ვარო. რაწამს თმის ვარცხნას მორჩა, კარზე კაკუნი გაისმა.

„მობრძანდით!“ – შესძახა მან.

ოთახში ალმურმოდებულმა მონიკმა და ანდრემ შემოაბიჯეს. ბიბლიოთეკიდან გამოქცეული და აქოშინებული ქალიშვილები ძალზე აღტყინებულები ჩანდნენ.

„რვა საათზე მამაჩემი მანქანით მოგვაკითხავს. იმედი მაქვს, ეს საღამო მძიმე ტვირთად არ დაგაწვებათ... ვერ წარმოიდგენთ, როგორ არ მინდა, ეს უღიმღამო ვახშამი აუტანელ ტანჯვა-წამებად გექცეთ!

– აბა, რას ამბობთ, მონიკ?! – მიუგო შანტალმა შემწყნარებლური ტონით: – ერთხელ, დედათქვენი სასწავლებლის მისაღებში დავინახე. საოცრად მშვენიერი და საინტერესო ქალია!“

შანტალმა სამი მაღალყელიანი ჭიქა პორტოთი შეავსო და დივანზე თითქმის მოურიდებლად წამოწვა; ალბათ, ეს ბავშვები ეთაყვანებოდნენ და აღფრთოვანებულნი ფიქრობდნენ, ეს უნიჭიერესი ქალი თავისუფლებით, ბედნიერებითა და სისხლსავსე ცხოვრებით

ტკბებაო. იქნებ, მისი შურდათ კიდეც?! თავიდან, ცოტათი მედიდურ, გაბღენძილ და მაღალფარდოვან სიტყვებს აფრქვევდნენ, მაგრამ შანტალმა ქალიშვილებს მალევე აგრძნობინა, რომ მათთან დამეგობრება სურდა და შეეძლოთ, სრულიად თავისუფლად და თამამადაც კი ესაუბრათ. ახალგაზრდა მასწავლებელმა ოქროსფერწვერიანი სიგარეტი გააბოლა.

„მადმუაზელ ლალორის უკანასკნელ დიდებულ „გამონაგონზე“ ჯერ არაფერი გსმენიათ?! ამ „უმწიკვლო“ ქალმა სიუზანს გაკვეთილებზე დასწრება აუკრძალა, რადგან საოცრად მოქარგული შალის წინდები ეცვა; გაანჩხლებულმა შეჰყვირა, ასეთ უმსგავსობას და ბავშვურ ახირებას სასწავლებლის შინაგანაწესი კრძალავს, ყველა მოწაფე სასკოლო უნიფორმაში უნდა გამოეწყოსო. მისმა უგუნურებამ დედა საშინლად გააბრაზა!... – შესძახა მონიკმა.

– არც კი მიკვირს, ასეთი სისულელე რომ წამოაყრანტალა. ალბათ, ჩათვლა, საშინელი წინდები აცვიაო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ძალიან ლამაზი იქნებოდა! – უთხრა შანტალმა.

– ძალიან, ძალიან ლამაზი! რა საზიზღარი და ბინძური სოროა ეს ჩვენი ლიცეუმი! ჩექმების ჩაცმასაც კი გვიკრძალავენ; აბა, წვიმიან დღეებში სხვა რა უნდა ჩავიცვათ?! – განაგრძო გულგამწყრალმა გოგონამ.

– მიუხედავად ამისა, მადმუაზელ ლალორს ხშირად თავად აცვია მეტად თამამი ტანსაცმელი. ოქროცურვილი ვერცხლის საყურეებითა და ხუჭუჭა თმით ბოშა ქალს ჰგავს.

– ჩვენ კი დაუღალავად გვიმეორებენ, რომ ასეთი სამოსი სათნო და უმწიკვლო ქალიშვილს არ შეშვენის! ამ ბოღმიან ქალს არ სურს, „უგვანი“ ჩაცმულობით შევბღალოთ ჩვენი სასწავლებლის უმანკო სახელი და ეჭვშეუვალი ღირსება. ავყია ხალხმა არ უნდა თქვას, თავისუფალი საერო სასწავლებლების აღსაზრდელები ამ გოგონებზე ბევრად უფრო თავმდაბალნი და კდემამოსილნი არიანო. სულ იმას გვიჩიჩინებენ და გვასწავლიან, როგორ უნდა გვეჭიროს თავი საზოგადოებაში, – თქვა ანდრემ.

– ჰო, ის საზიზღარი ქალი დღედაღამ ფხიზელი ჯაშუშივით გვითვალთვალებს; რა ამაზრზენია! იცით, ჩვენს ჩანთებშიც კი იქექება?! როგორც კი მისი მეგობრები ქუჩაში თვალს მოგვკრავენ, ერთგული ფინიებივით კუდის ქიცინით მიცუქცუქდებიან და წვრილად უკაკლავენ, რა გვეცვა... ამ საზარელ მასკარადს ბოლო არ უჩანს! მტრები ფეხდაფეხ დაგვდევენ, – დასძინა გააფთრებულმა მონიკმა.

– რა აბსურდია! ამგვარი სულმდაბლობა მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობას და სულელურ, ფარისევლურ უმანკოებას წარმოშობს! გუშინ, მეოთხეკლასელებს გაკვეთილს ვუკითხავდი და სიტყვა „Femora“ ფრანგულად „ბარძაყად“ ვთარგმნე! ო, რომ იცოდეთ, როგორი შეძრწუნებული მზერა მომაპყრო სიმონ ბუალიმ! – შესძახა ზიზღმორეულმა შანტალმა.

– ღმერთმა იცის, რომ ის... – თქვა მონიკმა და გაჩუმდა.

– გინდათ, თქვათ, რომ ამ საკითხში „კარგად ერკვევა?“...

– ჰო. ეს ყველამ იცის. ჩემი ძვირფასი მამიდა მხოლოდ დეგრანჟის წაკითხვის უფლებას გვაძლევს, მაგრამ მისი წიგნებიდანაც კი უმოწყალოდ გლეჯს მრავალ ფურცელს. საბრალოს, გული გაუსკდება, რომ გაიგოს, რა „ბილწი“ წიგნები გადადის ხელიდან ხელში ამ წმინდა ინტერნატში, – უპასუხა ანდრემ.

– მიმაჩნია, რომ მეექვსე კლასიდანვე, ყოველგვარი თვალთმაქცური უმწიკვლოებისა და სიმორცხვის გარეშე უნდა მისცენ გოგონებსაც და ბიჭებსაც სქესობრივი განათლება. მხოლოდ ცოდნის თვალისმომჭრელი სხივი გაფანტავს უმეცრების წყვდიადს და უკვალოდ გააქრობს მათ არაჯანსაღ, თითქმის ავადმყოფურ ცნობისმოყვარეობას. გული დაუმშვიდდებათ, როცა ნათელს მოჰფენენ იმ იდუმალებით მოცულ საკითხს, რომელზე ფიქრიც მოსვენებას არ აძლევთ, – თქვა შანტალმა.

– დიახ, – ორჭოფულად, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიუგო ანდრემ: – მაგრამ მეტისმეტად თამამი, „უხამსი“, „აღვირახსნილი ლიბერტინული“ გაზეთებით ტკბობასა და მსახიობების სურათების შეგროვებას მაინც არ მოიშლიან; ეს ხომ მათთვის ნეტარების ერთადერთი წყაროა?! ო, რა ამაზრზენია მათი რომანტიზმი!“

შანტალმა თავი გადაიქნია, ჩაფიქრდა და თქვა:

„ცხოვრების ეკალ-ბარდიან გზაზე სიარული სწორედ იმ ქალებმა უნდა გასწავლონ, რომლებიც ცხოვრებას საერთოდ არ იცნობენ... ვერ ვხვდები, რატომ დააკისრეს ამ გამოუცდელ ადამიანებს ესოდენ მძიმე მოვალეობა! განა, ესმით თქვენი ყმაწვილქალური გულებისა?! მათ უმრავლესობას, თითქოს, ახალგაზრდობის ნეტარი ხანა არც კი გამოუვლია! მგონი, მიხრწნილ მოხუცებად იშვნენ!“

აღელვებული შანტალი მათ ბავშვურ სახეებს დააცქერდა; მეგობრები სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს ენამზიან მასწავლებელს; უეცრად მოეჩვენა, რომ გოგონებს სახეზე სევდიანი, ტრაგიკული და თითქმის შემზარავი გამომეტყველება აღბეჭდოდათ. „ახალგზრდობა უდიდესი წყალობაცაა და მძიმე ტვირთიც. ყველას როდი ძალუძს ამ

გოლგოთის გავლა!“ – გაიფიქრა მან და ჭაბუკი რემბო, რეიმონ რადიგე და დიდი მოლნი გაახსენდა...

– ახალგაზრდობა დიდებული და სანუკვარი ძღვენია, – თქვა ოცნებამორეულმა და სიგარეტის კვამლს თვალი გააყოლა, – მაგრამ ზოგჯერ, ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებად იქცევა... ხომ მეთანხმებით?!

ანდრეს თვალები გაუბრწყინდა და აღტყინებულმა შესძახა:

„ო, რასაკვირველია! სიყმაწვილე მართლაც რომ ჯოჯოხეთური ტანჯვაა!“

უეცრად, შანტალს მოეჩვენა, რომ თვალი აეხილა: ანდრესთვის ასეთი იდუმალი და რომანტიკული გამომეტყველება არასოდეს შეუმჩნევია! დიდი ხანი იყო, რაც იცნობდა, თუმცა, თითქოს დაბრმავებული მასწავლებელი აქამდე ვერ მიმხვდარიყო, რა ცეცხლი გიზგიზებდა რომანის ფურცლებიდან დიდებულად ამობრწყინებული ქალიშვილის გულში! ო, რატომ არ მიაგებდა საკადრის პატივს?! რატომ ვერ შეამჩნია მისი მომნუხველი მშვენიერება, რატომ?!

„რატომ ხართ ასეთი უბედური და გულმოკლული, ანდრე? რა შთანთქავს თქვენისთანა დიდებულ გოგონას სასოწარკვეთილების მორევში?“ – ჰკითხა მან ნაზად.

ანდრემ ხელი აიქნია; შანტალი ვერ მიხვდა, რისი თქმა სურდა ამ ბუნდოვანი ჟესტით.

„ეჰ... რატომ?!... იმის უფლებაც არა გვაქვს, ისე მოვიქცეთ, როგორც გვსურს; სანუკვარი ოცნებების ახდენა არ შეგვიძლია და ისიც კი ვერ გაგვიგია, რატომ გვაქვს ასეთი საზარელი ცხოვრება. ჰო, ვერ გაგვიგია...“

მისმა პასუხმა შანტალს გული ატკინა, მაგრამ მაინც განაგრძო:

„თუკი ოდესმე გულახდილი საუბარი ან რჩევა-დარიგება დაგჭირდებათ, ჩემთან მოსვლა არ მოგერიდოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი მეგობარი ვარ და ყოველთვის სიხარულით გამოგიწვდით დახმარების ხელს.“

მძიმე, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მონიკმა რამდენიმე წუთის შემდეგღა გაბედა ამ მდუმარების დარღვევა:

– მთელ სასწავლებელს სძულხართ; ყველაზე მეტად ის აცოფებთ, რომ მოწაფეებს დიდი პატივისცემით ეპყრობით, – უთხრა მან კეკლუცად, თითქმის გამომწვევადაც კი გაუღიმა და დასძინა: – ხომ იცით, ყველას თავს ვერ შეაყვარებთ!

– ცხადია, – მიუგო შანტალმა, სიგარეტს თითი დაჰკრა და ფერფლს გულგრილად გადაუძახა საფერფლეში; ცდილობდა, მონიკს არ შეემჩნია, ნაწყენი რომ იყო; გული შეეკუმშა, ეჭვმა გაკენწლა და

თითქოს უხილავმა ნადირმა ბასრი კლანჭი უმოწყალოდ გაჰკრა. ყოველთვის იმას ნატრობდა, ყველას ჰყვარებოდა. სხვათა თვალებში ამოკითხული ზიზღი თავგზას უბნევდა. – მაინც, რას მსაყვედურობენ? – ჰკითხა ცნობისმოყვარედ.

– ო, ეს სულმდაბალი ქალები ბავშვივით შურიანი და ეჭვიანები არიან, – მიუგო ანდრემ.

– სამაგიეროდ, მეოთხეკლასელების გულებში ტრფობის ცეცხლი ააგიზგიზეთ! ყველა მერხზე თქვენი სახელია ამოტვიფრული! ანდრე, შენც ხომ შეამჩნიე, როცა მადმუაზელ პლატარი დერეფანში ჩაივლის, მონუსხული გოგონები ფინიებივით კუდში დასდევენ?!... დიდ პატივს გცემენ და დარწმუნებული ვარ, ლექსებსაც კი გიძღვნიან! – უთხრა მონიკმა მხიარულად.

„მართალია, – ღიმილით თქვა მან, წამით შეყოყმანდა და განაგრძო: – ეს თაყვანისცემა მომბეზრდა კიდეც. მინდა, რაღაც გიამბოთ... გთხოვთ, პირობა მომეცით, რომ ამ საიდუმლოს კუბოს კარამდე არ გასცემთ!

– ცხადია, მადმუაზელ პლატარ! – შესძახა მონიკმა.

– კარგით! პატარა ჟინეტ კარო ძალიან ავადაა და ლიცეუმში კიდევ კარგა ხანს ვერ მოვა. გუშინ მან საოცარი საჩუქარი გამომიგზავნა: ფოტოსურათი და ძალიან ლამაზი ყელსაბამი, რომელიც დედამისმა დღეობაზე უსახსოვრა... პატარა, მაგრამ მეტად გულისამაჩუყებელი წერილი მომწერა და შემევედრა, ეს მოკრძალებული ძღვენი მიიღეთო. ძალიან დაბნეული ვარ. არ ვიცი, რა ვიღონო.

– გინდათ, უკან დაუბრუნოთ? – ჰკითხა მონიკმა.

– არა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. დედამისი მალე შეამჩნევს, რომ ყელსაბამი უკვალოდ გაქრა; თუ პატარა ჟინეტი ეტყვის, შანტალ პლატარს ვაჩუქეო, ძალიან გაუწყრება (სრულიად სამართლიანადაც). მგონი, უჯობესია, ყელსაბამი მადამ კაროს დავუბრუნო.

– იმ საბრალო პატარა გოგოს დედამისი დატუქსავს. გული საშინლად ეტკინება, როცა მისი მშობლები ყველაფერს შეიტყობენ. ალბათ, არ უნდა, მის ცხოვრებაში სხვებმა ცხვირი ჩაყონ... მას ხომ ასე ძალიან უყვარხართ?! – შესძახა ანდრემ.

– მადამ კაროს ვთხოვ, არ გაუბრაზდეს და მასთან ამ ყელსაბამზე სიტყვაც არ დაძრას.“

ანდრემ თავი გადააქნია, ტუჩი აიბზუა და ისეთი ურწმუნო მზერა მიაპყრო, შანტალმა იგრძნო, რომ თავისი გულანთებული თაყვანისმცემლის დედასთან ვერაფერს გახდებოდა.

„ხომ იცით, როგორები არიან მშობლები?“ – უთხრა ანდრემ.

შანტალი მოიღუშა, წუთის წინ სიხარულის სხივით გაბრწყინებული სახე ჩაუქრა და მშრალად უპასუხა:

„ოჰ! მოიფიქრეთ რამე, გონივრული გადაწყვეტილება!“

ანდრე ხშირად აღიზიანებდა, რადგან ამ თამამ გოგონას მასთან კამათი სიამოვნებდა კიდეც; ალბათ, ასე მოურიდებლად ლაპარაკს თავისი ქედმაღლობა, თავდაჯერება, გულზვიადობა და ოდნავი კადნიერებაც კი აიძულებდა. ან იქნებ, სურდა, მონიკისთვის დაემტკიცებინა, სხვების გავლენას არ განვიცდი, შენი და შანტალის სულაც არ მშურს და მეც ბრწყინვალედ და გამორჩეულად ვაზროვნებო?! ცხადია, შანტალი მას თავის ტოლ-სწორად თვლიდა, მაგრამ მაინც ვერ გაეგო, ანდრე რატომ უტოლებდა თავს და ასე უტიფრად რად უმტკიცებდა, არაფრით ჩამოგივარდებიო. მასწავლებელს თავად უნდა ებოძებინა მისთვის ეს წყალობა! ამ თავხედ და უტაქტო გოგონას მის საუფლოში მოურიდებლად შემოელაჯებინა!

უეცრად, ავტომანქანის საყვირის ხმა გაისმა.

„მამა მოვიდა. წავიდეთ, ქვემოთ გველოდება,“ – წამოიძახა მონიკმა.

მანტოები მოიცვეს. შანტალმა ოთახის კარი დიდი გასაღებით ჩაკეტა და კიბე ღიმილით ჩაიარა. მუსიე ფურნიეს ისედაც ლამაზ პალტოს საპატიო ლეგიონის ორდენი კიდევ უფრო ალამაზებდა; შანტალს მოეჩვენა, რომ ამ ძალზე ენერგიულ კაცს თამამი გამომეტყველება და ნატიფი ნაკვთები ჰქონდა. საუბრის წამოწყება სულ არ გასჭირვებიათ; სიტყვები ძალდაუტანებლად სწყდებოდა მათ ბაგეებს; ადიდებდნენ რუჟმონისა და მისი შემოგარენის წარმტაც სილამაზეს. შანტალს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს, სულ იოლად აეთვისებინა სალონთა ცოცხალი, მკვირცხლი, მაღალფარდოვანი და მსუბუქი ტონი; მაცოცხლებელი იმედითა და რწმენით გულაღვსებულმა გადააბიჯა გაჩახჩახებული ვილის ზღურბლს და არისტოკრატთა საუფლოში აღმოჩნდა. „თუ მთელი გულით მოვინდომებ მათ მოხიბვლას, მიზანს უთუოდ მივაღწევ! ქალური შარმი ნამდვილად არ მაკლია,“ – გაიფიქრა მან. მარგალიტის ყელსაბამი თვალისმომჭრელ ბრწყინვალებას ჰფენდა მადამ ფურნიეს მუქ ლურჯ კაბას, რომელიც მასწავლებელს ვარსკვლავებით მოოჭვილ ზეცას აგონებდა; ამ ლამაზ ქალს ძალზე შთამბეჭდავი და მედიდური იერი ჰქონდა. „რა გამორჩეული სილამაზით შემოსილა ეს მუქი ფერები! ლურჯი კაბა ძალიან მომიხდებოდა,“ – გაიფიქრა შანტალმა. სურვილმორეული, შურითაც კი შესცქეროდა დიდებულ

სახლს, ავეჯს; ამგვარივე სიმდიდრის დასაკუთრებას ნატრობდა; მის მახვილ თვალს უმნიშვნელო დეტალიც კი არ გამოჰპარვია. „ო, როგორ მომაჯადოვა ამ ჭეშმარიტმა ფუფუნებამ! ხელოვნების ცეცხლით გულანთებულ ადამიანებს ვულგარული და იაფფასიანი საგნების გარემოცვაში ცხოვრება არ ძალუძთ; საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჟანინის ბინა მეტად უსახური და ღარიბულიც კია; მდიდრული ნივთები მჭირდება. ო, რა გონივრულად დავხარჯავდი ფულს!“ – ფიქრობდა აღფრთოვანებული; უეცრად, თვალისმომჭრელი სიმართლე დაინახა: კუბოს კარამდე უბრალო მასწავლებელი როდი იქნებოდა! ბრწყინვალე მომავალი ელოდა!

„რუჟმონი მოგწონთ?“ – ჰკითხა მადამ ფურნიემ, როცა სასადილო ოთახში შევიდნენ: „დღემდე ცხადად მახსოვს, როგორ გამიჭირდა ამ სულის შემხუთავ გარემოსთან შეგუება... ამ ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებას რა დამავიწყებს?! პარიზულ ცხოვრებას შეჩვეული ქალიშვილი გახლდით, პროვინციული ადათ-წესები და ამაზრზენი ცრურწმენებით თავგამოჭედილი, ჩამორჩენილი ხალხი საშინლად მაღიზიანებდა. სიმართლე გითხრათ, ასეთი ყავლგასული და ძველმოდური აზროვნება ახლაც მთელი გულით მძულს.

შანტალს გულიც კი ეტკინა, როცა მიხვდა, რომ ფურნიეებს მასა და ანდრეს გარდა ვახშმად არავინ დაეპატიჟებინათ. „ძალიან კარჩაკეტილი ცხოვრება მაქვს; ყველასგან გარიყული ვარ; თითქოს, საწუთროს განვშორებივარ; რუჟმონის საზოგადოების კარიბჭის შეღებას ვერ ვბედავ; ალბათ, აქაურები საშინლად მოსაწყენები არიან.

– ეს ხალხი წარმოუდგენლად გაუნათლებელი და უწიგნურია; მე ბედს არ ვუჩივი, რადგან შესანიშნავი მეგობრები გვყავს, მაგრამ შეგზარავთ წმინდა სისხლის, ძირძველი, შურიანი რუჟმონელების სულმდაბლობა, სიძუნწე და სიხარბე; მიუხედავად ამისა, რამდენიმე ადამიანთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს; როცა მონიკი ლიცეუმისკენ მიმავალ გზას მიუყვება, ხალხი თავზარდაცემული შესცქერის; ფიქრობენ, რომ გოგონა ცოდნას არ უნდა ეზიაროს, – მიუგო მადამ ფურნიემ.

– თუმცა, მას შემდეგ, რაც მადმუაზელ ბიდუა მოკალათდა დირექტორის სავარძელში, გოგონებს სასწავლებლის დანახვაც კი შიშის ზარს სცემთ, რადგან ეს მკაცრი ქალი თამამი ტანსაცმლის ჩაცმის უფლებას არ აძლევს და გამუდმებით აცხადებს, ყველა მოწაფემ მოკრძალებული უნიფორმა უნდა ატაროსო. ეს ნამდვილად შესანიშნავი მწიგნობარი და განსწავლული ქალი ლიცეუმს, – ამ ჭირვეულ ხომალდს, ურყევი სიმტკიცისა და შეუპოვრობის წყალობით

მართავს და გულმოდგინე გონებრივი შრომით ირჩენს თავს,“ – თქვა მუსიე ფურნიემ.

შანტალი აფორიაქრდა, რადგან ანდრე და მონიკი, ეს პატარა და საყვარელი გოგონები დაჟინებით შესცქეროდნენ. „საქმეში სულს და გულს აქსოვს. თავის მეტად მძიმე მოვალეობას პირნათლად ასრულებს, მაგრამ, ვგონებ, ისე დაიქანცა, სიხარულით, სულმოუთქმელადაც კი ელის არდადეგებს! – მიუგო შანტალმა. გაუთავებლად ლიცეუმზე საუბარი სულაც არ უნდოდა.

„შობას რუჟმონში არ შეხვდებით? – ჰკითხა მადამ ფურნიემ.

– არა. ალბათ, მთის რომელიმე კურორტზე გავემგზავრები და ზამთრის სპორტით დავტკბები. ჯერ კიდევ ვერ გადავწყვიტე, ეს არდადეგები შვეიცარიაში გავატარო თუ ტიროლში,“ – მიუგო მან, იგრძნო, რომ ამ სიტყვებმა საოცარი სიამოვნება განაცდევინა და დასძინა: „თხილამურებით სრიალი შარშან ვისწავლე და ეს ჯადოსნური გასართობი დღემდე ძალიან მენატრება. ამ საამურ ნოსტალგიას ვერავითარი ძალა ვერ გააქრობს.“

– როგორ გაგიმართლათ, ახალგაზრდა და თავისუფალი ქალი რომ ხართ! – მიუგო მადამ ფურნიემ თავაზიანი ღიმილით, – თოვლი ძალიან მიყვარს; ვნატრობ, შუაგულ ზამთარში სადმე შორს, ქალწულებრივად თეთრი ზეწრით შემოსილ მთაში წავიდე, ხანმოკლე თავისუფლებით მაინც დავტკბე, დავისვენო, ყველა და ყველაფერი დავივიწყო და შვებით ამოვისუნთქო, მაგრამ ეს სანუკვარი ოცნება ვერ ავიხდინე. წუთით არა მაქვს მოცლა. საოჯახო საქმეებს ბოლო არ უჩანს...

– დაბკოლებების დაძლევა, საზარელი საფრთხე და სრული მარტოობა დიდებული და გასაოცარი შეგრძნებებით გვავსებს! – შესძახა შანტალმა და ოცნებამორეულ მადამ ფურნიეს გულდასმით აღუწერა ციგითა და თხილამურებით სრიალის მომხიბლაობა; მის ხმაში თითქოს ცნობისმოყვარეობისა და აღმაფრენის ცეცხლი გიზგიზებდა.

ვახშამი ისე დასრულდა, ღრმააზროვანი, გამორჩეული, გაუგონარი და მაღალფარდოვანი სიტყვებით თავი არ მოუწონებიათ, მაგრამ შანტალი ნიჭს, – ამ ფასდაუდებელ საგანძურს, არაფრისდიდებით არ დააჯაბნინებდა რომელიმე სხვა ბრწყინვალე თვისებას ან ამქვეყნიურ სიმდიდრეს! ო, არა! ამ გამოუსწორებელ შეცდომას არასოდეს დაუშვებდა! დიდად აფასებდა მომხიბვლელობასა და ქალურ შარმს... თავს პირობა მისცა, გასაოცარი გულმოდგინებით აღვივსები და ამ ოდნავ დილეტანტ ხალხს ხშირად ვესტუმრებიო. მათ ხომ სახლის კარი გაუღეს და ასე თავაზიანად მიიღეს?! რამდენიმე დღის შემდეგ

მადამ ფურნიეს ყვავილები გაუგზავნა და ერთ გამოჩენილ მკერავს მაროკოული ლურჯი კაბა შეაკერინა. მადამ ფურნიემ რამდენჯერმე მიიპატიჟა უცერემონიოდ, მეტად უშუალო ტონით. შანტალი უსაზღვროდ ბედნიერი იყო, ასე ჰარმონიულად რომ უხამებდა ერთიმეორეს კარჩაკეტილ და არისტოკრატიულ ცხოვრებას; ხან განდეგილივით განეშორებოდა ამაო წუთისოფელს, შემზარავ მიწიერ სიმდაბლეს, ტანჯულ-გვემული, დაღალული ლტოლვილივით შეაფარებდა თავს მყუდრო სახლს – ამ მშვიდ სავანეს და მის უშრეტ წყაროს გახელებით დაეწაფებოდა, ხან კი ტკბებოდა მაღალი წრის ბრწყინვალე, მშვენიერი ცხოვრების ულევი სიამეებით; ასეთი ფიქრები, თითქოს, მის გულს მალამოდ ედებოდა, ყოველი სისხლსავსე დღე შინაგანი სიმდიდრით აღავსებდა და იმასაც კი შეგუებოდა, რომ რუჟმონში გადაესახლებინათ და ამ უსახური, სევდიანი და პირქუში პროვინციის უმწეო ტყვედ ექციათ.

***

მადმუაზელ ლაკომბი გახლდათ ქალიშვილთა ლიცეუმის ხორცშესხმული სინდის-ნამუსი. ამ დღედაღამ ფხიზელი, ულმობელი უზენაესი მსაჯულის მახვილ თვალს უზნეობა არ გამოეპარებოდა! პროფკავშირის თავმჯდომარეც სწორედ ის იყო. მეცნიერებათა კანდიდატთა გაერთიანებისა და დისციპლინისა და სანიმუშო ყოფაქცევის საბჭოს კრებებზე სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს მის შიშისმომგვრელ ხმას და უსიტყვოდ ასრულებდნენ მის ბრძანებებს; ამ გულზვიადი, მრისხანე და პირგამეხებული ქალღმერთის სიტყვა ცას და მიწას ძრავდა, თანამშრომლები ყოველ წელს სიამოვნებით ანდობდნენ მოძრავი ბიბლიოთეკის მოწყობის მეტად რთულ საქმეს. რომელიმე თანამშრომლის გარდაცვალების, დაქორწინების ან პენსიაზე გასვლის შემთხვევაში ეს დიდებული ქალი ომახიანად დასჭექდა, ჩვენი დაწესებულების სახელით დიდძალი ფული უნდა გავიღოთო. მისი ძმაც პატივსაცემი მასწავლებელი გახლდათ, დაუღალავად ებრძოდა როსკიპებს, გარყვნილებას, სიძვას და მრუშობას, ამ მომაკვდინებელ სენს; უნდოდა, ლიცეუმელ ყმაწვილთა ლიგაც ჩამოეყალიბებინა და სამარადჟამოდ ამოეძირკვა უმწიკვლო რუჟმონულ ნიადაგში ჩასახული უზნეობისა და ავხორცობის თესლი! „შობადობის ზრდისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების“ წევრიც იყო. მეუღლე ქორწინების ორი წლის თავზე გარდაეცვალა; ამ საზარელი დღის შემდეგ გულმოკლულმა კაცმა იგრძნო, რომ იმ სახლში წუთითაც კი ვეღარ გაძლებდა და საცხოვრებლად თავის დასთან

გადავიდა. მამიდა ძმისწულს თავს ევლებოდა, მასზე თავდადებით ზრუნავდა და იმასღა ნატრობდა, ღირსეულ ქალიშვილად აღეზარდა და მისთვის ბრწყინვალე განათლება მიეცა.

ანდრე ლაკომბი ძალიან მკაცრ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. როგორც კი კითხვა ისწავლა, მუსიე ლაკომბმა თავისი ხელით ჩამოწერა ფურცლებზე საუკეთესო მოაზროვნეთა ზნეობრივი მაქსიმები და შვილის ოთახის კედლები ამ ფასდაუდებელი სიბრძნით დაამშვენა. ანდრე არც კეკლუცი გახლდათ, არც თავქარიანი და არც – ურჩი; მისთვის სრულიად უცხო იყო ჭკუამხიარულობა, ზედაპირულობა, ფუქსავატობა და აღვირახსნილობა! ეს ზრდილი, თავმდაბალი და მოკრძალებული ქალიშვილი მკაცრ შენიშვნებსა და ულმობელ საყვედურებს მორჩილად, თავჩაქინდრული ისმენდა; გაკვეთილებზე თავისი ამხანაგებივით როდი ლაქლაქებდა! ლიცეუმში შესაშური რეპუტაცია ჰქონდა. ბოროტ ენას არასოდეს შეუბღალავს მისი ღირსება. ყოველ ახალ წელს ამხანაგები სთხოვდნენ, ქალბატონი დირექტორისთვის მათი სანუკვარი გულისწადილი მიეტანა. სასწავლებლის ორმოცდამეათე წლისთავზე, მოწაფეების სახელით სწორედ მან გადასცა სახალხო განათლების მინისტრს ზაფრანისფერი ვარდებით სავსე კალათა. ანდრესთვის ეს ერთი შეხედვით დიდებული დღე ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მოგონებად იქცა. კრემისფერი ტიულის კაბა ეცვა, საგანგებოდ დახუჭუჭებული თმა სახეზე ჩამოშლოდა, თავი ყველას მისკენ მიებრუნებინა და დაჟინებით შესცქეროდნენ... როდესაც ამ საზარელ სცენას იხსენებდა, სირცხვილით იწვოდა და თავგზა ებნეოდა. მთელმა სასწავლებელმა იცოდა, რომ მადმუაზელ ლაკომბის ძმისწული გახლდათ; „მადმუაზელ ლაკომბის ძმისწული!“ – ეს საძულველი სიტყვათშეთანხმება საბრალო გოგონას აუტანელ სისინად ჩაესმოდა; უგუნური და უსულგულო ხალხისთვის იგი მხოლოდ მადმუაზელ ლაკომბის ძმისწული იყო; თითქოს, საკუთარი სახელი, საკუთარი „მეც“ კი არა ჰქონოდეს! მასწავლებლები თავაზიანად, მოწიწებით ეპყრობოდნენ, ამხანაგები კი თავს არიდებდნენ, არ ენდობოდნენ და ხშირად მტრულადაც კი უყურებდნენ. მამიდაც და ლიცეუმიც მთელი გულით სძაგდა. ზარმაცი და მცონარა სულაც არ იყო, პირიქით, ცოდნის წყაროს ხარბად ეწაფებოდა, მაგრამ ამ პირქუშ საკლასო ოთახებში საინტერესო საკითხებზე არასოდეს საუბრობდნენ და მუდამდღე გაცვეთილი, ყალბი სიტყვებითა და უსაგნო ლაყბობით იქცევდნენ თავს; მადმუაზელ ლაკომბისა და მისი თანამშრომლების აზრს არად აგდებდა; მათ ხუთი თითივით იცნობდა; მათი ოჯახური

ამბებიც კი ახსოვდა; იცოდა, რომ ამ ქალებს ქმრები გამუდმებით ეჩხუბებოდნენ, ჩაგრავდნენ და ამცირებდნენ; ამ ჯოჯოხეთს ბოლო არ უჩანდა; ხშირად სამარცხვინო ვენერიული დაავადებებიც კი შეჰყრიათ; ამ წმიდათაწმიდა ბურჟუაზიულ კერებში სულაც არ სუფევდა აუმღვრეველი სიმშვიდე და სპეტაკი სიყვარული; ქორწინების ბორკილებით ხელფეხშეკრულ მეუღლეებს ერთმანეთი სძულდათ და ამ სიძულვილის საზარელი ქარიშხალი მათ ბუდეებს მოსვრას უქადდა; იმასღა ნატრობდა, არასოდეს დამსგავსებოდა ამ ღვარძლიან არსებებს, რომელთაც არასოდეს ეგემნათ სიხარულისა და ბედნიერების ტკბილი ბანგი. მუსიე ლაკომბს სურდა, მის შვილს სამეცნიერო ხარისხი მოეპოვებინა. თავზარდაცემული გოგონა ხშირად ფიქრობდა: „ნუთუ, მეც მასწავლებლად ვიმუშავებ რუჟ-მონივით პატარა, მოსაწყენ პროვინციულ ქალაქში?! ნუთუ, ასეთი საზარელი ხვედრი მელის?!“ ერთ უსახურ, რუხ უბანში ცხოვრობდა; ყველა პირქუში ქუჩა კარგად ნაცნობი, უფერული ადგილებისკენ მიემართებოდა; არ ჩანდა ერთი იდუმალი, მიმზიდველი და სასი-ამოვნო მოულოდნელობებით სავსე შესახვევიც კი; თითქოს, ყველა გამვლელის სახე ეცნობოდა; გულდათუთქულს მოჰყირჭებოდა ასეთი ერთფეროვნება; როცა ზნეობრივი მაქსიმებით მოფენილი თავისი ოთახის ზღურბლს გადააბიჯებდა და კარს მიიხურავდა, ხვდებოდა, რომ ამ ქალაქში არაფერი, სრულიად არაფერი და არავინ ელოდა. ქუჩაზე ერთი ხეც კი არ იდგა; მის ტანჯულ გულს მძიმედ დასწოლოდა დღემუდამ მოქურუხებული ზეცა; შემზარავ წყვდიადს სამარადჟამოდ შთაენთქა ხალასი, ნათელი ფერები; რუხ ფერს რუჟმონში ტახტრევანი დაედგა; დროდადრო გამოჩნდებოდა ვარდისფერი, თუმცა უკვე გაცრეცილი და დრო-ჟამისგან ფერგადასული კორსეტების მაღა-ზიები; წვიმისგან გადარეცხილ, გამოხუნებულ და გამოფიტულ ქალაქში საამო სურნელი არ ტრიალებდა; ანდრე უკანმოუხედავად გარბოდა სანაპიროსკენ, რათა ცოტა ხნით სული მოეთქვა, მდინარის ცქერით დამტკბარიყო და საღამოს ნიავი მოლამუნებოდა; „როდის დავაღწევ თავს ამ საპყრობილეს? ნუთუ ქვეყნად სასიხარულო არაფერი ხდება?! ნუთუ ყოველივე ასეთ სამარასებურ მდუმარებასა და გულისმომკვლელ სევდას მოუცავს?! ნუთუ ცხოვრება შლეგ ჩანჩქერად არსად მოჩქეფს?! იქნებ, რაღაც მელის კიდეც? მაგრამ მაინც, რა ან სად?!“ – სასოწარკვეთილი ეკითხებოდა საკუთარ თავს, მაგრამ პასუხი ვერა და ვერ ეპოვა; მომავალი კვლავ ნისლით შემოსილიყო; ხვალინდელი დღე აშინებდა; მონიკი საოცარ წიგნებს აძლევდა; ამ ჯადოსნურ ფურცლებზე სულ სხვაგვარი, საოცრად მიმზიდველი,

სანუკვარი და ცხოველმყოფელი ბედნიერებით გაცისკროვნებული ცხოვრება იყო აღწერილი, მაგრამ გულმოკლულმა გოგონამ იცოდა, რომ ეს წყალობა არასოდეს ეღირსებოდა, ლოტისა და ფარიერის სამყაროში თავის დღეში ვერ შეაბიჯებდა და სულის ამოხდომამდე ამ მოსაწყენ ქალაქში იცხოვრებდა; რომანების ჯადოსნური საუფლო შორს იყო, უსაზღვროდ შორს; შანტალმა მისი გული სწრაფად დაიპყრო; მოეჩვენა, რომ ეს ახალგაზრდა, გამორჩეული ქალი წარმოუდგენლად მდიდარი, მაგრამ მაინც ახლობელი სამყაროს ზვირთებიდან ამობრწყინდა და მის გულში იმედის ნაპერწკალი ააკიაფა; მთელი არსებით ესწრაფვოდა მისი სამყაროს კარიბჭის შეღებას.

გულაჩქროლებული ანდრე სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა ლიცეუმისკენ მიმავალ გზას და ეჩვენებოდა, რომ ოტელდევილის ქუჩა სიხარულის სხივით გაბრწყინებულიყო; მას ხომ მთელი საღამო პლატართან ერთად უნდა გაეტარებინა?! როგორც კი ბიბლიოთეკას მიუახლოვდა, ლიცეუმელი გოგო-ბიჭების შუაგულში მდგარ მონიკს მოჰკრა თვალი; ნაბიჯს აუჩქარა; მწვანე კოსტიუმში გამოწყობილი მისი საუკეთესო მეგობარი სერჟს ებაასებოდა; ნარინჯისფერი შარფი მის თმას თვალისმომჭრელ, ყვითელ ელფერს აძლევდა. „სულ მალე ორი საათი გახდება,“ – უთხრა მონიკს ანდრემ და ამხანაგებს ზიზღით ანთებული მზერა მიაპყრო; სანამ სახლის კარს გამოიხურავდნენ და პაემანზე გამოეშურებოდნენ, ცხვირზე პუდრი ნაჩქარევად წაისვეს და ტუჩები წითელი პომადით შეიღებეს; მათი გაბრწყინებული თვალები, აღტყინებული სიცილი და გამაყრუებელი ხმა, თითქოს დაუნანებლად გასცემდა მათ დიდ საიდუმლოს და მთელ ქვეყანას ურცხვად ამცნობდა, რომ ბილწ და საძრახის სიამოვნებას განიცდიდნენ; მოსაწყენი ყოველდღიურობის ჭაობში ჩაფლულ ყმაწვილებს თვალები ისე წამონთებოდათ, ცხადი იყო, ნეტარებით ტკბობის წყურვილი კლავდათ; ბიჭები გოგონების ასეთ პატივისცემასა და თაყვანისცემას – ამ უდიდეს ძღვენს – ოდნავ მედიდური იერით იღებდნენ. „ახლავე წამოვალ!“ – უთხრა მონიკმა, მაგრამ მის ხელს უმძიმდა სერჟის ხელთან განშორება. დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგნენ ასე გარინდებულნი... ახალგაზრდები, როგორც იქნა, დაიშალნენ; ქალიშვილებმა სკვერი გადაირბინეს; ტუჩებსა და სახეს გამალებით იწმენდდნენ ცხვირსახოცით, რადგან ლიცეუმში პომადისა და ფერუმარილის წასმას სასტიკად კრძალავდნენ; გულამოვარდნილები შეცვივდნენ წინკარში. „ორ საათში შანტალს შევხვდები!“ – გაიფიქრა ანდრემ და გული სიხარულით აევსო; როცა ისტორიის გაკვეთილზე შევიდა, ბედნიერებით ბრწყინავდა.

„მონიკ, ჩამოუშვით კაბის კალთები და აკეცილი წინსაფარი! ისე გამოიყურებით, თითქოს, თეთრეულის რეცხვას აპირებდეთ. რა უმსგავსობაა! გგონიათ, გიხდებათ?! – ღვარძლიანად შეჰყვირა მთავარმა ზედამხედველმა ქალმა.

მონიკმა მაგრად ჩამოიქაჩა ვიშის (ბამბის კუბოკრული ქსოვილი. მთარგმნ.) ვარდისფერი კაბა და გაცხარებულმა შესძახა: „იცი? ერთი შესანიშნავი აზრი მომივიდა! შანტალ პლატარი დანსინგზე დავპატიჟოთ!

– დაპატიჟე“, – კვერი დაუკრა ანდრემ და მის გვერდით, საკლასო ოთახის ბოლოში ჩამოჯდა; ამ საღამოს მონიკს პლატარისთვის სერჟი უნდა გაეცნო; ანდრე სულაც არ ფიქრობდა, რომ მათთან ერთად სასიამოვნო და დაუვიწყარ წუთებს გაატარებდა, რადგან ეს უცნაური სერჟი არ უყვარდა და შანტალთან მარტო დარჩენას ნატრობდა.

„რუაიალში“ ნაცნობები თუ შეგვხვდნენ, მაშინვე ჩემს მშობლებს მიუტანენ ენას! წარმოგიდგენია, რა საშინელება დატრიალდება?! – ჰკითხა მონიკმა.

– მამიდა ჟანა გაცოფდება! ეს სამარცხვინო სკანდალი მის ღირსებას შებღალავს და შეიძლება, საბრალოს, ტვინში სისხლი ჩაექცეს!“ – შესძახა ანდრემ და ნერვიული სიცილი აუვარდა.

„ანდრე ლაკომბ, ცუდი შეფასება მიიღეთ,“ – თქვა მადმუაზელ მეტრალმა. ანდრემ ცნობისმოყვარეობით ანთებული მზერა ესროლა ისტორიის მასწავლებლის შეშუპებულ სახეს; მეტრალს შეგნებული ჰქონდა, რომ მოსწავლეები მას ბევრად ჩამოუვარდებოდნენ და უნდოდა, ეს თვალშისაცემი უპირატესობა ყველას ერთხმად ეღიარებინა; თითქოს, ამ ქალის სიდიადის სხივი თვალისმომჭრელად ანათებდა ბნელ საკლასო ოთახს! ხშირად გაკვეთილზე სიცილით კვდებოდა, როცა გაიფიქრებდა, შეიძლება, რომელიმე თხუთმეტი წლის ქალიშვილმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო ატესტატის აღება და იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების ზუსტი ფართობიც კი არ იცოდესო; ანდრე საოცარი სიცხადით ხედავდა, რომ ამ ქალის აუტანელი ამპარტავნების მიღმა ერთგვარი შიშნარევი სიძულვილი იმალებოდა. როცა მოსწავლეებს ცუდ შეფასებას უწერდა, თითქოს, გულში დიდი ხნის წინ ჩადებულ ბოღმას ანთხევდა; ეს ულმობელი, სისხლმოწყურებული ფურია ზღვარდაუდებლად ტკბებოდა შურისძიებით და ხოცვა-ჟლეტის პირუტყვულ, გახელებულ ჟინს იკლავდა.

„ალბათ, შანტალი მეტყვის, რატომაა ის ასე საზიზღარი,“ – გაიფიქრა ანდრემ. „თქვენს ნიშნებს ხომ ვერ მაჩვენებთ?“ – ჰკითხა მეტრალმა. ანდრე ელდანაცემივით შეკრთა და რვეული უსიტყვოდ გაუწოდა.

„ნულს მიიღებთ, – მშრალად უთხრა მასწავლებელმა.

– რა ბოროტი, ამაზრზენი, ბოღმიანი და აქლემივით გონჯი ქალია!“ – თითქმის შეჰყვირა მონიკმა.

მეტრალმა ჭერს უმეტყველო, ჩამქრალი მზერა მიაპყრო და ლაპარაკი განაგრძო. მისი ღვარძლიანი ხმის ქარბორბალა მალე ყოველივეს აღგვიდა პირისაგან მიწისა. მონიკის დამამცირებელმა ეპითეტებმა დააბნია; ამგვარი შეურაცხყოფა ყოველთვის თავგზას ურევდა და ნატრობდა, ეს საშინელი სიტყვები სულ არ გაეგონა. ანდრეს არც ერთი სხვა მასწავლებელი არ სძულდა ასეთი გააფთრებით! როცა მის შეშუპებულ სახეს დაინახავდა, მოძალებული ზიზღით ენთებოდა თვალები. მეტრალს მუდამ კოჭებამდე კალთებდაშვებული ხავერდის შავი კაბა ემოსა, ბრეტელებიან, თამამად გულამოჭრილ კორსაჟის ქვეშ კი თეთრი ზოლებით აჭრელებული წითელი პულოვერი მოუჩანდა. „ნეტავ, რას ხედავს, როცა სარკეში თავის ანარეკლს შესცქერის?“ – უფიქრია ანდრეს ხშირად. შიშიც კი იპყრობდა, როცა ეჩვენებოდა, რომ მეტრალი თავის თავს სულ სხვა თვალით უყურებდა; გოგონას ზარავდა ამ უცხო ცნობიერებაზე ფიქრი; ამ ქალის ამაზრზენ სიმახინჯეს მხოლოდ ის ხედავდა.

ოთხ საათზე ზარის წკრიალა ხმა გაისმა. ანდრემ მელნით მოთხვრილი ხელები დაიბანა, მონიკს სთხოვა, ცოტაოდენი ბრინჯის პუდრი წამისვიო, მერე კი სამასწავლებლო დარბაზის კარზე დააკაკუნა. არავინ გაუღო. ფრთხილად შეაღო კარი. ოთახი ცარიელი იყო. ზღურბლს გადააბიჯა და რადიატორს მიეყრდნო. ხუთი თითივით იცნობდა ამ დიდ, გრძელ, სევდიან და ბნელ ოთახს. მადმუაზელ ლაკომბი ხომ მუდამ მას გზავნიდა თავის უჯრაში დატოვებული შარფისა და წიგნების მოსატანად?! მთელი გულით ეწადა, თამამად გამოეღო და გადაექექა კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული კარადები, რომლებზე მიკრულ პატარა ბარათებზეც სახელები და გვარები მიეწერათ... ნატრობდა, ეს საარაკო გმირობა ჩაედინა და სხვისი საიდუმლოებები შეეტყო, მაგრამ ვერ გაბედა; შიშმა და კრძალვამ სძლია; მხოლოდ მაგიდაზე დახვავებული გაზეთები – „პოლონეთის მეგობრები“ (ყოველთვიური ფრანგული გამოცემა. მთარგმნ.), „თხუთმეტიოდე მასწავლებელი“ (ფრანგული პედაგოგიური გამოცემა. მთარგმნ.) და პედაგოგიური მეცნიერების კანდიდატთა გაერთიანების ბიულეტენი გადაფურცლა. შემინულ კართან დაკიდებულ ხის ჩარჩოზე ფურცლები ქინძისთავით მიეკრათ: ზოგი დაკვრძალვაზე ეპატიჟებოდა თანამშრომლებს, ზოგი – ქორწილში, ზოგი კი – მოწყალებას ითხოვდა... მოძრავი

ბიბლიოთეკის წიგნთა ნუსხამ, მასწავლებელთა კონგრესის განრიგმა და პროფკავშირების უკანასკნელი კრების შეჯამებამ თვალი აუჭრელა. ანდრე ცივ მინას შუბლით მიეყრდნო. შორს, ძალიან შორს, თითქოს ზეცისკენ მიილტვოდა კათედრალის გუმბათი. ეს ცადაზიდული ტაძარი ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოჩანდა; მისი დაკბილული, უსწორმასწორო ქვები ყოველ წამს უმოწყალოდ, საზარელი სისინით უმეორებდნენ ანდრეს, რომ რუჟმონის – ამ პროვინციული ქალაქის ტყვეობიდან თავის დახსნას ვერასოდეს შეძლებდა და თითქოს, თავიანთ ბასრ, წამახულ წვერს სათუთ სხეულში ულმობლად ასობდნენ. გულმოკლულს, საწყალობელი კვნესა აღმოხდა. ბნელ ჯურღმულში გამოკეტილი სასოწარკვეთილი გოგონა ამაოდ დაეძებდა გასასვლელს. მის გულში იმედის მკრთალი სხივი რომ აკიაფებულიყო და ერთი მიზანი მაინც ჰქონოდა, ამ სულშემხუთავ ცხოვრებასაც კი შეეგუებოდა! შანტალს ძალიან იშვიათად ხვდებოდა; როცა ახსენდებოდა, რომ ამ საოცარ ქალში ცნობისმოყვარეობის ცეცხლი ვერ ააგიზგიზა, სევდა ერეოდა; ვერ გაებედა, შანტალისთვის ენაზე მომდგარი შეკითხვები დაესვა და მისგან სასურველი პასუხები მიეღო. ო, მას ხომ ასე სჭირდებოდა მისი რჩევა-დარიგება?! პლატარმა გულის კარი არ გაუღო და უდიდეს საიდუმლოს არ აზიარა. „დღესაც ჩვეულებრივი საღამო გველის. უსაგნო, მოსაწყენ საუბარს წამოვიწყებთ, მერე კი ერთმანეთს დავემშვიდობებით და შინისკენ გულდაწყვეტილი გავემართები...“ – გაიფიქრა ღონემიხდილმა და სასოწარკვეთილმა ანდრემ. რა ნელა გადიოდა დრო, როგორ უსაშველოდ იწელებოდა ყოველი წამი! ნუთუ, ამ გულისგადამლევ ლოდინს ბოლო არასოდეს მოეღებოდა?!

„მაპატიეთ, ასე რომ დავიგვიანე! ერთ-ერთი მოსწავლის დედას ვესაუბრებოდი. თავისი ქალიშვილის ზნე-ხასიათზე იმდენი ილაქლაქა, მეგონა, აღარასოდეს გაჩუმდებოდა,“ – შესძახა შანტალმა, ოთახში შემოაბიჯა, ხელსაბანთან მივიდა, ონკანი მოუშვა და შუშის ბურთულა დაატრიალა. საშინლად წუწურაქმა ხელსაწყომ ამ დიდებული ქალისთვის ვარდისფერი საპნის ორიოდე წვეთი გაიმეტა; იქვე მიკრულ ქაღალდზე ვიღაცას მიეწერა: „თანამშრომლებო, გთხოვთ, ყვავილებს ხელსაბანში ნუ ჩააწყობთ.“

ანდრემ დარბაზს ნაჩქარევი მზერა მოავლო და შესძახა: „რა საოცარია, მასწავლებელი რომ ხართ!“ შანტალის საამო ღიმილმა წუთის წინ დაკარგული მხნეობა დაუბრუნა; მაცოცხლებელმა იმედმა კვლავ მზესავით გააბრწყინა სევდის ტალღებში ჩაძირული მისი ტანჯული გული; შეეძლო, შანტალსაც ისე თამამად და ლაღად

დალაპარაკებოდა, როგორც – მონიკს და ისიც გულწრფელად, ყოველგვარი თვალთმაქცური სიმორცხვის გარეშე უპასუხებდა! მათ შორის აღმართული მდუმარების გადაულახავი კედელი თვალის დახამხამებაში მტვრად იქცა.

„მადმუაზელ, ნახეთ, როგორ ტანსაცმელში „გამოწყობილიყო“ დღეს მადმუაზელ მეტრალი? – ჰკითხა ანდრემ, როცა ლიცეუმის კარი გაიხურეს და ქუჩაში გავიდნენ.

– დიახ. ნამდვილი საშინელება იყო. აქაურებს ჩაცმა-დახურვა სულ არ ადარდებთ. ძონძებს დაუდევრად გადაიცვამენ და ქალაქში დასეირნობენ.

– დარწმუნებული ვარ, კარგა ხანს ორჭოფობდა, ვერ გადაეწყვიტა, ეყიდა, თუ არა ის კაბა. ალბათ, ჰგონია, რომ ძალიან ლამაზია. ო, თქვენც ხომ შესანიშნავად იცით ეს?“

„ეს ლიცეუმი ჩამორჩენილი და ძველმოდური ადამიანების თავშესაფარია, – ღიმილით თქვა შანტალმა.

– უცნაურია... რატომ ვძულვართ მთელი გულით ჩვენზე ბევრად უფროს ქალებს? მაინც, რატომ ჰგონიათ, რომ მათ ბევრად ჩამოვუვარდებით? რატომ იბღინძებიან? თავი ვინ ჰგონიათ?! რატომ ვძულვართ ასე? რატომ?!“ – ჰკითხა გამწყრალმა ანდრემ.

პლატარმა მხრები აიჩეჩა:

„ანდრე, ხომ იცით, რომ ამ სულმოკლე არსებებს არად ვაგდებ?

– როცა მასწავლებლები ფრიადოსანთა დაფაზე ამაყად გამოსაკრავი სიის შესადგენად დირექტორის კაბინეტში იკრიბებიან, ვნატრობ, მაგიდის ქვეშ დავიმალო და მათ ლაპარაკს ყური დავუგდო! ო, როგორ გამახალისებდა მათი ლაქლაქი! – შესძახა ანდრემ.

– იძულებული ვარ, ასეთ კრებებს დავესწრო, მაგრამ სულ არ მადარდებს, რა ხდება ჩემ გარშემო. ჩემი ფიქრები ამ რუხი კაბინეტიდან ანცი ფრინველებივით გაიჭრებიან და სადღაც შორს ნარნარად დაფარფატებენ. ჩემი თანამშრომლები, თითქოს, არც კი არსებობენ! იმ ღვარძლიან ქალებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ანდრე.

– ეჰ! მე კი საოცარი სიცხადით ვგრძნობ, რომ ისინი არსებობენ. დიახ, არსებობენ და ყმაწვილქალობის ნეტარ დღეებს მიწამლავენ! საუბედუროდ, ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავთ, – ამოიგმინა გოგონამ.

– ამაოდ ნუ დაიტანჯავთ თავს და თქვენს ძვირფას დროს – ამ სანუკვარ საუნჯეს სულმოკლე არსებებზე ფიქრში ნუ დაკარგავთ! ისინი ამ უდიდეს წყალობას არ იმსახურებენ. ფიქრის ყოველმა წამმა თქვენი ცხოვრება აურაცხელი შინაგანი სიმდიდრითა და

თვალწარმტაცი სილამაზით უნდა აღავსოს!“ – უთხრა გულანთებულმა შანტალმა.

ანდრემ თავაზიანად გაუღიმა: „ო, თქვენ ხომ... თქვენ ხომ უამრავ საინტერესო ადამიანს იცნობთ! სულ სხვაგვარი ცხოვრება გაქვთ!... მე კი...

– მართალია, – თქვა ოცნებამორეულმა მასწავლებელმა, – ძალიან გამიმართლა, რომ... რომ მეგობრები შევიძინე... საოცარი მეგობრები.“

პლატარმა საკონდიტროს კარი შეაღო; მწვანედ და ოქროსფრად შეღებილი კედლები და ბროლის ბურთულებით დამშვენებული ჭაღი უზარმაზარ სარკეებში ჯადოსნურ ფერებად ციალებდა; ქალმა ერთ მყუდრო კუთხეში თავისუფალ მაგიდას მოჰკრა თვალი, ორი ფინჯანი ჩაი შეუკვეთა, ტკბილეულის მოსატანად გაეშურა და ცოტა ხანში პატარა თეფშზე დახვავებული ნამცხვრებით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

„ანდრე, მგონი, თქვენი ცხოვრება იმიტომ გეჩვენებათ ასე უსახურად და უნაყოფოდ, რომ სიტყვები: „საოცარი“ და „არნახული“ ერთმანეთისგან ვერ გაგირჩევიათ. ხომ ძალიან მოგეწონათ ის ინგლისური რომანი, „მტვერი“, მე რომ გათხოვეთ? აბა, გაიხსენეთ მთავარი გმირი ქალი! ჯუდის ცხოვრებაში საოცარი და არნახული არაფერი ხდება, თუმცა...“ – თქვა შანტალმა და მისი კოვზი ნაზ, ფუმფულა, სქელ, ძალზე ცხიმიან კრემსა და ნაყინის მოყვითალო ბურთულაში ჩაიძირა.

– რა თქმა უნდა; ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ამ ქალაქში ჯუდის ან ჯენიფერს რომ შევხვედროდი!... – მიუგო ანდრემ და ნიკაპი მეზობელი მაგიდისაკენ გაიშვირა: – შეხედეთ...

– მონიკი ხომ გყავთ? ის ნამდვილად გამორჩეული და იშვიათი ადამიანია, დიახ, იშვიათი! იისფერი თვალები უელავს და თმა თითქოს ოქროთი მოუსირმავს... იმ პატარა პრინცესებს ჰგავს, რომელთა სხივმოსილი ვიტრაჟებიც კათოლიკურ ეკლესიებს ამშვენებს.

ანდრეს სიცილი აუვარდა: „მე კი მეჩვენება, რომ ცისფერი თვალები აქვს; მონიკი ძალიან, ძალიან მიყვარს, მაგრამ ის ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია... ყოველდღიური ცხოვრების...

– დიახ. სამწუხაროდ, ბავშვებივით ზღვარდაუდებლად ვერ ვტკბებით ახალ-ახალი, მარადუჭკნობი შთაბეჭდილებებით და გვეჩვენება, რომ ამქვეყნად სასიხარულო აღარაფერი ხდება... მონიკს იმდენად კარგად იცნობთ, თითქოს, ვეღარც კი ამჩნევთ,“ – უთხრა შანტალმა.

ანდრემ ჩაი მოსვა; კოვზების რაწკარუწკი, გამაყრუებელი ხმაური, ხალხის ზუზუნი, ღრიანცელი და აუტანელი სიცხე ყურადღების მოკრების საშუალებას არ აძლევდა; სიტყვა ყელში ეჩხირებოდა. მონიკის ცქერით ტკბობა და მასთან საუბარი ძალიან უყვარდა; ფიქრობდა, რომ ერთმანეთის კარგად ესმოდათ. მონიკი (მისგან განსხვავებით) მაღალ წრეში ტრიალებდა და არისტოკრატიის მაჯისცემას მთელი არსებით გრძნობდა, მაგრამ მასაც ანდრესავით ეხუთებოდა სული ამ საზიზღარ და უსახურ პროვინციაში; სასოწარკვეთილი თავს აფარებდა ნაირფერ ილუზიებსა და ოცნებებს და ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, რომ თავისუფლებითა და სისხლსავსე ცხოვრებით ხარობდა; კაფეებში დაეხეტებოდა და სერჟს ეარშიყებოდა, რადგან სურდა, ცოტა ხნით მაინც გაქცეოდა საზარელ ოჯახს, ავყია ხალხს, კუშტ, ღვარძლიან მასწავლებლებსა და მკაცრ ლიცეუმს; მართალია, ხანდახან მოუქნელობას და სიტლანქესაც კი იჩენდა, მაგრამ ნამდვილად გაბედული, უშიშარი, დიდსულოვანი და გულმოწყალე გახლდათ და ბედნიერების მოსაპოვებლად ძალღონეს არ იშურებდა; ანდრე ცდილობდა, ძველებურად უსაზღვრო სინაზით ეფიქრა და წარმოედგინა მეგობრის ხატება, მაგრამ ამაოდ; ეს გოგონა მის გულს სიყვარულის სიმძაფრით ვეღარ ატყვევებდა; მისი ბრწყინვალებაც კი ჩამქრალიყო; ანდრე ვეღარ განიცდიდა ოდინდელ აღფრთოვანებას, თუმცაღა, მთელი გულით უნდოდა, მისი მშვენიერებითა და სიდიადით კვლავ მონუსხულიყო.

„მინდა, ვიცოდე, რა ფასდაუდებელი საუნჯე იპოვეთ მონიკის შინაგან სამყაროში," – ჰკითხა შანტალს.

პლატარმა ინგლისურ, ოქროსფერ სიგარეტს მოუკიდა და უპასუხა:

„მისთანა სათუთი, უსახურ ბრბოზე ამაღლებული არსებები მკაცრ სინამდვილეს ვერ ეგუებიან და ცდილობენ, მიწიერ სიმდაბლეს როგორმე დააღწიონ თავი; ადამიანური ყოფა საზარელ სატანჯველად, ყოველი ბავშვის დაბადება კი უდიდეს ტრაგედიად ესახებათ. მათ მხოლოდ იმიტომ უნდა ვუთანაგრძნოთ, რომ უმოწყალოდ მოსწყვიტეს დედის თბილ წიაღს და ცივად გადმოისროლეს ამ უსამართლო და უსულგულო სამყაროში."

ანდრემ ოდნავ ნაძალადევად გაიღიმა. თავს უხერხულად გრძნობდა. შემცბარიც კი ჩანდა; საუბარი ვერა და ვერ დაიწყეს; თითქოს, სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ; ხვდებოდა, რომ ძალზე ბავშვური აზრები უტრიალებდა ამ პატარა თავში, მეტისმეტად ბავშვური დარდი აწამებდა და შანტალს ცნობისმოყვარეობას ვერასოდეს აღუძრავდა. იმასღა ნატრობდა, პლატარის ყოველი

სიტყვის მნიშვნელობას ძალდაუტანებლად ჩასწვდომოდა, მაგრამ ამაოდ; არაფერი გამოსდიოდა; თავგზააბნეული იყო.

„ლურჯი წიწილადან“ გამოვიდნენ, კათედრალის მოედანი გადაიარეს და მრგვალი ქვებით მოკირწყლულ ქუჩას გაუყვნენ. მონაზვნის ანაფორასავით სუფთა, რუხი და პირქუში სახლების უსასრულო მწკრივი თვალუწვდენელ სიშორეში იკარგებოდა. „გრძნობთ ამ ადგილის სილამაზეს?! ნუთუ, არ დაგატყვევათ ამ მაგიურმა შარმმა?!“ – ჰკითხა პლატარმა. გულგამწყრალ ანდრეს უნდოდა, მასწავლებელი დაემუნათებინა, მაგრამ თავი შეიკავა; ენაზე მომდგარი საყვედური ნაკვერჩხალივით უდაღავდა მთელ სხეულს; ის ხომ უამრავჯერ ყოფილა თავის მამიდასთან ერთად ამ უფერულ უბანში?! რამდენჯერ სწვევია სტუმრად ამ კუშტ და ჯმუხ ხალხს?! როცა ზარის ქვეშ მიკრულ სპილენძის პატარა ფირფიტებზე ამოტვიფრულ გვარებს კითხულობდა, გულს აზიდებდა. ერთფეროვანი ცხოვრებით განაწამები ქალიშვილი მოძალებულ ზიზღს ვეღარ უმკლავდებოდა. ანდრემ პირქუშ სახლებს გახედა; ჯუჯისებური კაუჭებით ჩარაზულ დარაბებზე გულები ამოეტვიფრათ; „ბავშვობაში ეს ბურჟუა კაცუნები ძალიან მიყვარდა“, – თავაზიანად თქვა და ხელი პატარა და ლამაზი ფიგურებისკენ გაიშვირა.

„აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე ამ ქუჩის მომაჯადოებელი მშვენიერება?! თავი ბალზაკის რომანში მგონია! თქვენ რას იტყვით, ანდრე?!“ – შესძახა აღტაცებულმა შანტალმა.

– მართალი ხართ, – დაბეჯითებით მიუგო ანდრემ, შეყოყმანდა და განაგრძო – მეგონა, რუჟმონი გეზიზღებოდათ.

– ო, მე პროვინციელთა ბრიყვული ცრურწმენები და ამაზრზენი ადათ-წესები მძულს! მაგრამ თუკი ცნობისმოყვარეობით აღვივსებით და ამ ქალაქს გულდამშვიდებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ყველა ქუჩა, ქვაფენილი, სახლი, ეზო, ტაძარი, ვიწრო შესახვევი და საერთოდ, ყველაფერი, გამორჩეული, არნახული სილამაზით ბრწყინავს. ადამიანის თვალი ასეთ მშვენიერებას პროვინციის გარდა ვერსად იხილავს!“ ანდრეს მზერაში უამრავი შეკითხვა იხატებოდა და შანტალმა გაიფიქრა, უმჯობესია, საუბარი განვაგრძოო: „თქვენ მითხარით, რომ რომანის ყველაზე ვულგარული, უსახური, ბილწი, უხამსი და საძულველი პერსონაჟიც კი უმწიკვლო გმირივით გვნუსხავს, გვატყვევებს და ჩვენს გულებში ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალს აღვივებს! რატომ არ შეგვიძლია, ეს უდიდესი მისტიკური რიტუალი სინამდვილეშიც აღვასრულოთ, ძალმოსილ მისნებად ვიქცეთ, ჩვენი მოსაწყენი ცხოვრება ცხოველმყოფელი სიხარულით

ნაირფრად ავაელვაროთ, მოქურუხებულ ცაზე ცხრათვალა ცისარტყელა ამოვაბრწყინოთ და უბადლო მწერლების დარად, უსახური ადამიანებიც კი საოცარი თვისებებით შევამკოთ?! ამ გამაოგნებელი ესთეტიკური სახეცვლილების საიდუმლოს გასაღები მხოლოდ მწერლებს როდი უპყრიათ ხელთ! თუკი სულ სხვა თვალით შევხედავთ მოხუც მათხოვარს, დღედაღამ ლიცეუმთან რომ დგას და თასმებსა და სომხურ ქაღალდს ჰყიდის, მისი გულშემზარავი, აუტანელი, შესაზიზღარი სიგონჯე უკვალოდ გაქრება და უეცრად განსხეულდება იმ საარაკო და დიად ჯუჯაში, რომელიც გოიამ ოდესღაც დახატა.

– ილუზიების მათრობელა ნექტარს თუ შევსვამთ, მთელი სამყარო და კაცობრიობა ლამაზი, კეთილშობილი და კარგი მოგვეჩვენება. ვიცი, ხელგაწაფული მწერალი ჩემს გამორჩეულ და დახვეწილ მამიდას ადვილად აქცევს რომანის პერსონაჟად, მაგრამ ამაზე ფიქრი სულ არ მანუგეშებს," – ურწმუნოდ მიუგო ანდრემ.

გრძნობამოჭარბებული პლატარი მჭევრმეტყველებას მოჰყვა; ამ ენამზე ქალის მაღალფაროვანი სიტყვები ანდრეს ყოველთვის აოცებდა, მეტადრე სასწავლებელში.

„წინა საუკუნეში ცხოვრობდნენ ადამიანები (მაგალითად, რასკინი), რომლებმაც ადამის მოდგმა დაარწმუნეს, რომ სილამაზის უკიდეგანო ოაზისში ცხოვრებაა ის ერთადერთი ზნეობრივი მოვალეობა, რომელსაც ადამიანმა კუბოს კარამდე პირუთვნელად უნდა უერთგულოს; მათ სიტყვებში იყო ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ სილამაზეზე მეტად მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ, რადგან მომწყვდეულნი იყვნენ ძველთაძველი ცრურწმენების, ადამისჟამინდელი ადათწესებისა და დრომოჭმული ზნე-ჩვეულებების მარწუხებში; ამგვარმა ზედაპირულმა, შაბლონურმა და დილეტანტურმა აზოვნებამ მათ სიმართლის შეცნობის უნარი დაუკარგა; ცოტა ხნის წინ მითხარით, ყოველივე მშვენივრად გეჩვენებათო, მაგრამ სამწუხაროდ, შეცდით. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ადამიანებს უნდა შეგვეძლოს უბრალო საგნებისა და მოსაწყენი ყოველდღიურობის უსახურ უდაბნოში ჩაკარგული სილამაზის – ამ ფარული განძის აღმოჩენა; ძვირფასო ანდრე, ჩვენ, მოკვდავნი, ვერც კი ვამჩნევთ, რომ ყოველივე მომნუსხველი მშვენიერებით შემოსილა! მხატვრობაც ამ თვალსაზრისს იზიარებს. ჩვენს ეპოქაში ყველა აღიარებს, რომ ნახატის მოტივი და სიუჟეტი კი არაა მთავარი, არამედ ის, თუ რა თვალით შევხედავთ მას.

„ცხოვრება და მხატვრობა ხომ ცა და მიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან?!" – შესძახა ანდრემ. თითქოს, ეს ბავშვური სიტყვები მის ბაგეს უნებურად მოსწყდა.

„მაინც, რატომ? რა მხრივ?“ – ჰკითხა შანტალმა ღიმილით.

ანდრე ყურებამდე გაწითლდა და შეცბუნებულმა აღიარა: „არ ვიცი.“ ო, როგორ უნდოდა, პლატარი აზრების გამოთქმაში დახმარებოდა! სამწუხაროდ, მასწავლებელს სულ არ ანაღვლებდა, ანდრე რომ ეურჩებოდა და გაცხარებით ეკამათებოდა; ყურსაც კი არიდებდა, რადგან სურდა, ქალიშვილს წარბშეუხრელად ეღიარებინა მისი სიტყვების ჭეშმარიტება. სევდამორეულმა ანდრემ გაჩუმება არჩია.

პირქუშმა და უფერულმა ქუჩამ თითქოს სახე იცვალა; ბურჟუაზიული სახლები უკვალოდ გაქრა და მინგრეულ-მონგრეული, გაპარტახებული ხუხულები გამოჩნდა; ხელმარცხნივ, ტროტუარს იქით, მდინარე მიედინებოდა. როგორც კი ზვირთი აიქოჩრებოდა, ბნელი, ავად ხახადაფჩენილი ღრმული გაჩნდებოდა და ანდრე და შანტალი თვალნათლივ ხედავდნენ საზიზღარი ჭუჭყით წაბილწულ დაგუბებულ წყალს. გოგონამ თვალი გააყოლა ძონძებში გამოხვეულ ორ მამაკაცს, შემწვარი კარტოფილის პატარა ჯიხურისკენ რომ მიბარბაცებდნენ; ვერა და ვერ ხვდებოდა, როგორი იყო მათი ცხოვრება, რა ფიქრები უტრიალებდათ თავში... ამას მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა, თუკი ყოველ საღამოს მათთან ერთად მიუჯდებოდა ჯიხურის ხის მაგიდას და ხარბად შეექცეოდა პირთამდე სავსე, დიდ ჯამში უხვად ჩაყრილ თეთრ ლობიოსა და ხელოვნური მარმარილოს დახლზე დაუდევრად დახვავებულ შემწვარ თევზს; ამ მდაბიური ღრეობის წყალობით იმ ბედშავებსაც კარგად გაიცნობდა და მათ საიდუმლოებებსაც ეზიარებოდა. ო, როგორ დატკბებოდა ამ ვახშმით! როგორ გაიხარებდა მისი დაღლილ-დაქანცული გული!

„ვიწრო ქუჩებში იმ სევდიანი პოეზიის სურნელი ტრიალებს, რომელსაც ასე გატაცებით ვეტრფი; მეტად უცნაურ, თითქოს, არაამქვეყნიურ არსებებსაც კი ვხედავ; ყველას ზეციური იერი აქვს. მეჩვენება, რომ ამ პროვინციაში წარმოუდგენელი და დაუჯერებელი ამბებიც კი მოხდება... თქვენ რას იტყვით?“ – ჰკითხა პლატარმა.

ანდრემ თავი დაუქნია და ძალიან გაუხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ქალს დაეთანხმა.

„ოჯახის გულშემზარავი საპყრობილიდან თავი რომ დამეხსნა და ნანატრი თავისუფლება მომეპოვებინა, აი, იქ ვიცხოვრებდი,“ – ამოიკვნესა მან და ხელი გაიშვირა სასტუმროს ლურჯი ფასადისკენ, რომლის კედლებსაც მდინარის ტალღები ელამუნებოდა. ქუჩებში ბავშვები კლასობანას თამაშობდნენ; სარეცხ თოკებზე ჩამოკიდებული თეთრეული ფრიალებდა და ფანჯრებს გამეტებით ეხლებოდა; შანტალსა და ანდრეს თითქმის დავიწყებოდათ, რომ ამ სულშემხუთავ

პროვინციაში იყვნენ გამომწყვდეულნი.

„იმ სასტუმროში ბაღლინჯოები ცოცხლად შეგჭამდნენ," – მიუგო შანტალმა და გულიანად გადაიკისკისა.

– მით უარესი! წამლებსა და სადეზინფექციო ხსნარებს ვიყიდდი და იმ საზიზღრებს სულ მუსრს გავავლებდი!" – მიუგო ანდრემ და გაოცებული მზერა მიაპყრო. უეცრად, მოუნდა, შანტალად ქცეულიყო, ამ დიდებულ ადამიანში განსხეულებულიყო და სწორედ აქ, ამ ქალაქში დაედო ბინა, საზიზღარი მამის, მამიდის, ღვარძლიანი მასწავლებლების, პირქუში ლიცეუმის, კირით შეთეთრებული სახლების, დაკბილული ქვებით ნაგები ეკლესიებისა და კორსეტების მაღაზიებიდან უსაზღვროდ შორს!

„მადმუაზელ, რამდენიმე წუთით მაინც ხომ არ შემოხვიდოდით ამ პატარა კაფეში?" – ჰკითხა ანდრემ. მეწამულ ფარდებს თითქმის სულ დაეფარა შენობის შემინული კარი; კედელთან ლაქწასმული ხის დიდი კასრები დაეხვავებინათ; ამ აჩონჩხლილმა საგნებმა შანტალს ზიზღი და შიშიც კი მოჰგვარა.

– იქ ხომ საშინელი სიბინძურე იქნება? ნუთუ, სულ არ გეშინიათ?! გვიჯობს, ხშირად არ შევეხოთ სილამაზეს, თორემ ჩაქრება მისი დამატყვევებელი ბრწყინვალება," – მიუგო მასწავლებელმა.

ანდრე აღარ ჩააცივდა; მისი სიხარული თვალის დახამხამებაში უკვალოდ გაქრა; წუთის წინ ფიქრობდა, ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმისო, მაგრამ, თურმე, რა მწარედ შემცდარა! მათი ერთი შეხედვით ჰარმონიული ურთიერთთანხმობაც კი უდიდესი სიცრუე და თვალთმაქცობა ყოფილა! ისინი ერთნაირად როდი ეტრფოდნენ ამ ქალაქის ქუჩებს! პედაგოგი და მოსწავლე სულ სხვადასხვაგვარად უყურებდნენ სამყაროს. ბურჟუაზიული ქალაქი მდუმარედ შემოიარეს; ანდრე გრძნობდა, რომ პლატარი მოსაწყენ, აბეზარ და ცოტათი გამაღიზიანებელ გოგონადაც კი თვლიდა (ეს ხომ ბუნებრივიც იყო?), ცხადია, ის სულაც არ ფიქრობდა, საინტერესო პიროვნება ვარო, მაგრამ პლატარი თავის საქმიანობაზე, ცხოვრებისეულ პრობლემებსა და მეგობრებზე რომ დალაპარაკებოდა და ეამბო, როგორ ზღვარდაუდებლად ტკბებოდა მოგზაურობისას საამური შთაბეჭდილებებით, სულგანაბული დაუგდებდა ყურს; ცოტაოდენი ყურადღება მაინც რომ მიექცია მისთვის და რამდენიმე შეკითხვა დაესვა, სიხარულით უპასუხებდა. „ორიოდე საათი დამრჩა," – გაიფიქრა გულდადარდიანებულმა ანდრემ, როცა შანტალის ოთახში შეაბიჯა; სპილენძის ლარნაკში ჩაწყობილ გაფურჩქვნილ ტიტებს ფურცლები კეკლუცად გაეშალათ და ჰაერში ინგლისური თამბაქოს

სუსტი სურნელი ტრიალებდა... „როგორ მიყვარს ეს არომატი!“ – შესძახა ანდრემ. ამ მყუდრო სავანეში გვერდიგვერდ ჩამოსხდებოდნენ და ალბათ, წუთით მაინც განიცდიდნენ ჭეშმარიტი სიახლოვის ნეტარ შეგრძნებას.

„ანდრე, ხომ არ მიწყენთ, ლათინური ენის სავარჯიშოები რომ გავასწორო? ვწუხვარ, ყურადღებას რომ ვერ მოგაქცევთ, მაგრამ ეს საქმე უთუოდ უნდა დავასრულო და ხვალ მოსწავლეებს შეცდომებით სავსე რვეულები დავუბრუნო,“ – უთხრა პლატარმა, ხელნაწერებით სავსე შეკვრას დასწვდა და ბავშვების ნააზრევის კითხვას შეუდგა; დროდადრო თავს ასწევდა და ანდრეს რაღაცას ჰკითხავდა, მაგრამ პასუხს ყურს აღარ უგდებდა და ისევ მელნით ნაჯღაბნი ფურცლების მორევში ეფლობოდა. როგორც კი ვახშამი შემოიტანეს, შანტალმა გაზეთს ხელი დაავლო და გოგონას უთხრა, კროსვორდის შევსებაში დამეხმარეთო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში დასრულდა; მათი სიახლოვე განქარდა; უკანასკნელი, უშინაარსო და უფერული ნახევარი საათი აგონიის, – ამ სიკვდილისწინა, საზარელი ტანჯვის გულისგადამლევი წუთებივით უსაშველოდ გაიწელა; როცა მონიკი და სერჟი მოვიდნენ, გულდამძიმებულმა ანდრემ შვებით ამოისუნთქა.

დივანზე მოკუნტული, მდუმარე გოგონა მათ საუბარს ყურსაც კი არ უგდებდა; სერჟს ლამაზ და მაცდურ ყმაწვილად მიიჩნევდნენ, დიდ-პატარა ფეხქვეშ ეგებოდა და მრავალი ქალის გული სამუდამოდ დაეპყრო, მაგრამ ანდრეს მთელი გულით სძულდა; როცა მის სახეს უცქერდა, ზიზღით აჟრჟოლებდა; ბრაზი ერეოდა, რადგან ამ გულქვა ბიჭს ერთი წლის წინათ წარბშეუხრელად მიეტოვებინა ლიცეუმელი ქალიშვილი, ჟილბერტ ვიარი. საბრალო, მისი სიყვარულით იწვო-და, თოთხმეტი წელიწადიც კი არ შესრულებოდა, როცა ამ სულ-წაწყმედილმა არსებამ საყვარლად გაიხადა! ანდრე დიდ პატივს სცემდა ლამაზ, გულმართალ და თამამ ჟილბერტს, თავისი ამხანაგების ფარისევლური უმწიკვლოება და კეთილგონიერება კი გულს ურევდა. გრძნობდა, სერჟმა მონიკი იმიტომ კი არ ამჯობინა, რომ ეს ამაყი ქალიშვილი ჟილბერტზე უფრო ლამაზი იყო, არამედ, მისი მშობლების სიმდიდრემ და სიდიადემ დაატყვევა! მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი ეს სულხარბი ბიჭი ანდრეს საშინლად სძულდა. „ნეტავ, მონიკს სიყვარულმა თვალი არ დაუბნელოს და სერჟს ცოლად არ გაჰყვეს! ეს გამოუსწორებელი შეცდომა რომ დაუშვას... ო, არა! ამაზე ფიქრიც კი მზარავს!“ – გაიფიქრა და სახეგაბრწყინებულ მეგობარს შეძრწუნებული მზერა მიაპყრო. ენაწყლიანი სერჟი ბრწყინვალედ დასცინოდა და ოსტატურად აქილიკებდა პროვინციელთა ამაზრზენ

ზნე-ჩვეულებებს, მჩაგვრელ ტრადიციებს, მათ ფარისევლობას, ვაჭრულ სულსა და ბილწ გულს, მონიკი კი თითქოს ავადმყოფური აღგზნებით იცინოდა. ანდრეს ძალზე უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, გულმა რეჩხი უყო, ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო და ეჭვმა გაკენწკლა, რადგან პლატარი სერჟის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ტყავიდან ძვრებოდა, ჭირის ოფლი სდიოდა და ამ სულმდაბალ ყმაწვილს ფიანდაზად ეგებოდა. თერთმეტ საათზე მათი დამშვიდობების დროც დადგა.

„რა სამწუხაროა, რომ ჩვენთან ერთად ვერ წამოხვალთ, მადმუაზელ!“ – უთხრა მონიკმა შანტალს.

„ბრწყინვალე პარიზულ დანსინგებთან შედარებით „რუაიალი“ უსახური ხუხულაა და ცხადია, გართობის სურვილს ვერ აღგიძრავთ, – დასძინა სერჟმა.

– რას ამბობთ?! ძალიან დაღლილი ვარ, თორემ სიამოვნებით წამოგყვებოდით! გაერთეთ! მადამ ფურნიეს ვეტყვი, რომ მონიკი შუაღამემდე ჩემთან ერთად იყო“.

როცა შანტალის ოთახის კარი გამოიხურეს, აღელვებულმა მონიკმა სერჟს ჰკითხა:

– აბა, რას იტყვი?! როგორი ადამიანია მადმუაზელ პლატარი?

– ცხოვრებას კარგად იცნობს... ჭეშმარიტად ემანსიპირებული ქალია.

– მართალი ხარ. არაჩვეულებრივი პიროვნებაა; ლიცეუმში რევოლუციონერსაც კი უწოდებენ; მეტად მოწინავე, ლიბერალურ და თანამედროვე იდეებს ქადაგებს; თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის სახელი აქვს.“

ქუჩაში ძეხორციელის ჭაჭანება არ იყო; თითქმის ყველა კაფე დაეხურათ; მდუმარე ქალაქის ფანჯრები ერთიანად ჩაბნელებულიყო; შემზარავ მდუმარებას მოეცვა ყოველივე. აბრის მკრთალი შუქი მხოლოდ ვერჟეტიერის ქუჩას ანათებდა. ვარდისფერი წისქვილი, შავი კატა, იისფერი და წითელი ქიმებით დამშვენებული ვარსკვლავი იკვეთებოდა აბრის ღია მწვანე ფონზე. კარის ზღურბლზე ჩამომსხდარ, შალში გამოხვეულ მოხუც ქალებს ფეხები სათბურებზე შემოეწყოთ და აუჩქარებლად ქსოვდნენ. ეს ახალშეგათქაშებული სახლები ბურჟუაზიული სამკვიდრებლებივით სუფთა და ბრწყინვალე გახლდათ, მაგრამ ფასადის ღია ფერი და დახურული დარაბებიდან გადმოღვრილი მუსიკის ყრუ ჰანგები უფრო სტუმართმოყვარე იერს სძენდა. ამ ადამისჟამინდელ სახლებში სიცოცხლე ჩქეფდა, პირქუში და მკაცრი უბნები კი ადამიანის გულს შიშით ავსებდა.

„კაცი რომ ვიყო, თითქმის ყოველ საღამოს საროსკიპოში ვივლიდი!“ – შესძახა ანდრემ.

„ასე იმიტომ ამბობთ, რომ ის ამაზრზენი და ბინძური ადგილი თვალით არასოდეს გინახავთ, – მიუგო სერჟმა და მხრები აიჩეჩა.

– მთავარი ისაა, რომ „ის ამაზრზენი და ბინძური ადგილი“ საოცრად გამორჩეულია! ასეთ საროსკიპოს სხვაგან ვერ ნახავთ! – შეუტია ანდრემ.

– ამ საღამოს საროსკიპოზე ოცნებას შეეშვი და „რუაიალს“ დასჯერდი,“ – უთხრა მონიკმა მხიარულად, დაპლისული აბრეშუმის ფარდით დამშვენებული შემინული კარი შეაღო და იკითხა: „სად დავსხდეთ?“ სერჟი მტკიცე ნაბიჯით გაეშურა დახლთან ახლოს მდგარი მაგიდისკენ. მონიკი და ანდრე მის წინ დასხდნენ.

„სამი ჯინი!“ – მბრძანებლური ხმით შეუკვეთა ბიჭმა.

საკმაოდ დიდი დარბაზი იყო; მწვანე ბრეზენტით დაფარულ ჭერზე ხავერდის ბაფთები და გახუნებული, ლენტებშემოხვეული ხელოვნური ყვავილები ჩამოეკიდებინათ; კედლები ლურჯი და წითელი ნახატებით აეჭრელებინათ; სტუმრის თვალს ახარებდა ვენეციის ყოველდღიური ცხოვრების ეს ლამაზი სცენები.

„ხომ არ ვიცეკვოთ? – ჰკითხა სერჟმა ანდრეს.

– არა. ცეკვა არ ვიცი“, – მშრალად მიუგო მან.

სერჟი წამოდგა, მონიკს ხელი უსიტყვოდ მოჰკიდა და საცეკვაო მოედნისკენ გააქანა. მუსიკოსები სლოუს (სლოუ – ნელი ცეკვა, რომელსაც მკრთალ შუქში გახვეული ჩახუტებული წყვილები ცეკვავენ. მთარგმნ.) უკრავდნენ; ანდრეს ამ მოსაწყენ ქალაქში ჯაზი არასოდეს მოესმინა და საამურ ჰანგებს აღელვებულმა მიუგდო ყური; ნუთუ, ვერასოდეს აღივსებოდა იმ იმედით, რწმენით, სიხარულითა თუ სევდით, ამ ყურთასმენის დამტკბობ, თაფლივით ტკბილ მელოდიაში რომ გამოსჭვიოდა? როგორი მომავალი ელოდა? რა უნდა ენატრა, ან რა უნდა ენანა ამ გულშიჩამწვდომი სინაზისა და სისათუთის მორევში დანთქმულს?! ჰაეროვანი მუსიკა იმ შორეულ, ძალიან შორეულ, თავბრუდამხვევ სურნელს ჰგავდა, რომელიც აჯადოებდა, თუმცა, ვერა და ვერ დაენახა ის უცხო მხარე, ის მშვიდი სავანე, სადაც ეს მასულდგმულებელი ნექტარი შობილიყო; სადღაც, ქვეყნიერების დასალიერში, ნეტარების მდინარე მოჩქეფდა; ამ ზღაპრული სამყაროს ბინადარნი და ლამაზი, გოროზად წამომართული სახლები იდუმალების შავი ფარდით დაფარულიყვნენ.

„მოგწონს?“ – ჰკითხა სერჟს თვალებანთებულმა მონიკმა; ოდნავ ქოშინებდა, რადგან გაუჩერებლად ცეკვავდნენ; როცა ყმაწ-

ვილს შესცქეროდა, ბაგე ისე ნაზად გაეპო, თითქოს, სანუკვარ გულისსწორს ვნებიანად უხმობდა, ტუჩებს – სიამეთა ამ უშრეტ წყაროს თავდავიწყებით, დაუნანებლად სთავაზობდა და გულამოკვნესით სთხოვდა, მიეღო ეს საჩუქარი; სერჟი მოშიშვლებულ მკლავებზე მიეალერსა; გოგონას ყვრიმალებზე ალმური მოედო; ოდესღაც (ერთი წლის წინაც კი!) ის და ანდრე დღედაღამ სიამოვნებით დასცინოდნენ თვალმილულულ შეყვარებულ წყვილებს, ახლა კი თავადვე გაბმულიყო სიყვარულის ხაფანგში და გრძნობდა, რომ ქვეყნად არაფერი იყო ამ ტყვეობაზე საამური!

ერთ საათზე მეტხანს, თითქმის შეუსვენებლად ცეკვავდნენ. ლოყა ლოყაზე მიედოთ და ვეღარავის ამჩნევდნენ. ანდრეს აღარ ეჩვენებოდა, რომ დრო გულისგადამლევად ნელა მიიზლაზნებოდა; სიხარულით შეჰყურებდა ბაფთებით დამშვენებული ბოთლების წინ ჩამომსხდარ მიმტან ქალებს, რომელთაც ჭიქა ღვინოზე არავინ ეპატიჟებოდა; ლივრეასავით გულამოჭრილი კაბები მათ სხვა ქალებისგან გამოარჩევდა. ანდრე ცდილობდა, წარმოედგინა, როგორ ცხოვრობდნენ ისინი; ჯაზის ჰანგები ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული, ბუნდოვანი იმედებით აღავსებდა; მისი ცხოვრების გზა ჯერ კიდევ ნისლით იყო მოცული; ნუთუ ოდესმე გაიხარებდა ამ ბედკრული გოგონას არსებაში ჩასახული რწმენის თესლი?

სერჟი წამოდგა და მონიკი ფოქსტროტის საცეკვაოდ გაიწვია. „დავიღალე, სერჟ, – ისე ამოილუღლუღა დარცხვენილმა მონიკმა, თითქოს სატრფოს ებოდიშებოდა, იმედი რომ გაუცრუა.

„დაღლილობას ცეკვა გააქარწყლებს“, – მიუგო მან, ხელი მაგრად ჩაჰკიდა და გულში მბრძანებლურად ჩაიკრა. განრისხებული ანდრე სერჟს თვალს არ აცილებდა; ო, როგორ სძულდა ეს უსულგულო არსება! დაქანცული მონიკი სკამზე მოცელილივით დაეცა და ანდრემ სახეარეულ, თითქმის შეშლილ მეგობარს თავზარდაცემული მზერა მიაპყრო: „მონიკ, ფეხზე ძლივს დგახარ. შინ დავბრუნდეთ.“

– ასე მალე? რა სასაცილოა! – შესძახა სერჟმა და მხრები აიჩეჩა.

– თავბრუ მეხვევა. ჯინმა დამათრო... – ამოიკვნესა მონიკმა.

– თუ ალკოჰოლს ვერ იტან, წვეთიც არ უნდა დალიო, – არ დაუთმო ბრაზმორეულმა სერჟმა.

მონიკს ტუჩები აუთრთოლდა. აღშფოთებულმა ანდრემ საყვარელი მეგობრის რჩეულს გამქირდავი მზერა მიაპყრო; ალბათ, ეს გულისამრევი ბიჭი დარწმუნებული იყო, რომ მონიკს მთელი არსებით უყვარდა, თორემ ასე უტიფარ სიტყვებს ვერ შეჰკადრებდა! „მინდა შეგახსენოთ, რომ სასმელი თავად შეუკვეთეთ. გარდა ამისა, კარგა

ხნის წინ უნდა წავსულიყავით!“ – შეუტია გაწიწმატებულმა ანდრემ.

როცა მონიკი საღამოობით რუჟმონში ერთობოდა, ღამეს ანდრესთან ათევდა ხოლმე. „რუაიალიდან“ გამოვიდნენ. სერჟი გოგონებს სახლამდე მიაცილებდა, შიშმორეული ანდრე კი ფიქრობდა, ნუთუ მონიკი გულწრფელად არ გამიმხელს, რა ხდება მასა და სერჟს შორისო; მთელი გულით სურდა, გაეგო, უყვარდა თუ არა ეს საშინელი ბიჭი; მეგობარს მუხლებში ჩაუვარდებოდა და საწყალობლად შეევედრებოდა, თავქარიან გოგონასავით ნუ მოიქცევი, ამ საბედისწერო ნაბიჯს ნუ გადადგამ, თორემ თავს დაიღუპავო, მაგრამ ხმის ამოღებასაც კი ვერ ბედავდა. სიტყვა ყელში ეჩხირებოდა. ერჩივნა, მონიკს თავისივე სურვილით, ყოველგვარი ხვეწნა-მუდარის გარეშე გაემხილა ეს საიდუმლო. როცა მარტონი დარჩნენ, ანდრემ მხოლოდ ესღა ჰკითხა: „ცუდად ხომ არ ხარ, მონიკ?

– სულაც არა. უბრალოდ, მეძინება“, – უპასუხა მან, თუმცა დაღლილი და ჯოჯოხეთურად განაწამები ჩანდა.

ოდესღაც, როცა ღამეს ერთად ათევდნენ, ძილი არ ეკარებოდათ. ვინ იცის, რამდენჯერ თავს დასთენებიათ! გულანთებულნი, ალიონამდე ხმადაბლა მასლაათობდნენ, ახლა კი მონიკი საწოლში ჩაწვა და მყის კედლისკენ იბრუნა პირი; მისი ბობოქარი გული იმ იდუმალი სიხარულით, შიშითა და საამური მღელვარებით აღვსილიყო, სანუკვარ მესაიდუმლესაც რომ ვერ გაუზიარებდა. ანდრე წუთით სევდიანად დააცქერდა დობილს, მერე კი შუქი ჩააქრო და საბანში გაეხვია. მონიკს ვერ დაეხმარებოდა. მხოლოდ შანტალ პლატარს შეეძლო, გონს მოეყვანა და უფსკრულში გადაჩეხვისგან ეხსნა ეს გრძნობამორეული გოგონა, მაგრამ საუბედუროდ, ის მონიკისა და სერჟის ურთიერთობას სულ სხვა თვალით უყურებდა და ვერ ხვდებოდა, რომ ხარბი, ფარისეველი და ბილწი ყმაწვილი ამ სათუთ ქმნილებას გულს ატკენდა. „მის დაყოლიებას ვერასოდეს შევძლებ. არ დამიჯერებს, რომ მონიკი ცუდ დღეშია,“ – გაიფიქრა ანდრემ დანანებით; პლატარის იმედი აღარ ჰქონდა; მისგანაც კი აღარაფერს ელოდა! ამ მძიმე და მომქანცველი დღის შემდეგ მასთან შეხვედრის სურვილიც კი დაკარგა.

შანტალის დღიურის გაგრძელება

10 აპრილი

რატომღაც, ანდრესთან ერთად გატარებული ყოველი წუთი მთრგუნავს, ძალ-ღონეს მაცლის და გულს უცნაური სევდით მივსებს. დღის მიწურულს ვიგრძენი, რომ გამოვიფიტე, სულში უსახურმა სიცარიელემ დაისადგურა და ჩემი ოდინდელი მგზნებარების ცეცხლიც კი მინავლდა! ანდრე მეტისმეტად მიწიერი, გონებანათელი არსებაა, უსახური სინამდვილე ფერად ოცნებებზე მეტად უყვარს, საოცრებებით, ზეციური სილამაზითა და ღვთაებრივი შეგრძნებებით ტკბობის უნარი არ გააჩნია. მის თვალებში უტყვ თაყვანისცემას ვკითხულობ; ამგვარი ნაზი ტრფობა გულს მიჩუყებს, მაგრამ გო-გონას ეს თავგანწირული სიყვარულის ბანგი რატომღაც შიშის ზარს სცემს, თითქოს, უღონო სხეულს უდამბლავებს და უცნაური კომპლექსებით ავსებს; ერთგვარი თავდაცვის ინსტინქტის წყალობით, გამუდმებით მეურჩება და ყოველ სიტყვაზე მეკამათება... მისმა ახირებებმა ძალიან დამღალა და გამაღიზიანა. ვერ დავარწმუნე, რომ უანგარო, გულმართალ ადამიანს ძალუძს, ეს სამყარო ჯადოსნური ფერებით ააელვაროს, ყოველი დღე, ყოველი წამი დაუვიწყარ, სხივმოსილ მოგონებად აქციოს და თვით ყველაზე უსახურ, უბრალო საგნებშიაც კი თვალწარმტაცი სილამაზე აღმოაჩინოს. ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას სულ უფრო მძაფრად ვგრძნობ. როცა ჩემი ცხოვრება იმ დიდ რომანად წარმომიდგება, რომლის მთავარი გმირიც მე ვარ, სევდით გაჯერებული უსასრულო საათები თვალგასახარი სილამაზით მოსილ, გულშიჩამწვდომ, ბრწყინვალე, ამაღელვებელ, მაღალფარდოვანი სიტყვებით სავსე ფურცლებად გადაიქცევა ხოლმე; ეს ჯადოსნური ამბავი უღრუბლო სიხარულით მავსებს; ყველაფრით ვხარობ; უბრალო საგნები და უმნიშვნელო მოვლენებიც კი აუწერელ ბედნიერებას განმაცდევინებს... როცა ანდრე ჩემ გვერდით იყო, ძალიან მოწყენილი ვიყავი, მაგრამ საბედნიეროდ, რაწამს სერჟმა და მონიკმა ჩემი ოთახის ზღურბლს გადმოაბიჯეს, საავდრო ღრუ-ბელი გაიფანტა და გულის სიმშვიდითა და მხნეობით აღვივსე. რა მშვენიერი წყვილია! ვაღმერთებ სიყვარულით გულანთებულ ამ ბავშვებს! მათ სახეებს ვუყურებ და მეჩვენება, რომ „დიდი მოლნის“ ფურცლებიდან დიდებულად ამობრწყინდნენ; რაწამს ამ ზეციურ ქმნილებებს თვალი შევავლე, უნებურად მომაგონდა ახალგაზრდა ფრანსი და მისი თხუთმეტი წლის საცოლე.

მონიკმა მათი თავგადასავალი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით მიამბო. რა უბრალო, მაგრამ რა მშვენიერია ეს სიყვარულის ამბავი! მისი მიწიერი სისადავის მიღმა მომნუსხველი სინატიფე იმალება! ისინი ისე წამოიზარდნენ, ერთმანეთი თვალით არ ენახათ. მათი ბავშვობის დღეები ამ პროვინციაში გაილია. ორივეს მარტოობისა და მიუსაფრობის შეგრძნება ტანჯავდა ამ უსიხარულო, ასკეტი ბერების მონასტერივით მკაცრ, პირქუშ, ადამისჟამინდელ ქალაქში, სადაც ახალგაზრდობის საარაკო სილამაზის ვარდი ვერ ხარობს. სერჟი ძველთაძველი, მიწათმფლობელი ბურჟუების შთამომავალია; დედამისს რუჟმონიდან მოშორებით დიდი მამული აქვს. მთელ წელიწადს თავის ქედმაღალ და უკარება მშობლებთან ატარებს. ისინი ახალგამოჩეკილ ბურჟუებს თავს არ უყადრებენ; მონიკმა და სერჟმა ერთმანეთი გასულ წელს გაიცნეს, მაგრამ შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე, რაღაც შეუცნობელი სასწაულის წყალობით, ოცნებებში ერთურთს სამარადისო სიყვარული და ერთგულება აღუთქვეს. მონიკს თავისი მეგობარი ხშირად უყვებოდა ამ პირ-მშვენიერ, ამპარტავან და ხშირად, მეტისმეტად მკაცრ ყმაწვილზე, რომელსაც ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს, დაეფიცებინა, გულის კარს მხოლოდ ჩემი წრის ქალიშვილს გავუღებო; ცხადზე უცხადესი იყო, არაფრისდიდებით არ გატეხდა ამ საზეიმო აღთქმას და თავის გულს, ამ უდიდეს ძღვენს, რომელსაც დღემუდამ თავს დაჰკანკალებდა, ხელუხლებლად და შეურყვნელად შემოუნახავდა არისტოკრატთა ულამაზეს პირმშოს. რაწამს სერჟმა მონიკს თვალი მოჰკრა, მიხვდა, რომ მისი შთამბეჭდავი, მაცდური, მომნუსხველი სილამაზე და გრაციოზული, მბრძანებლური იერი მის გულს სიყვარულისა და გონგადასული ტრფობის საპყრობილეში გამოამწყვდევდა; როგორც კი მათი თვალები ერთმანეთს შეეჩეხნენ, ბედისწერა სასწაულებრივად აღსრულდა და ერთარსებად იქცნენ. სერჟი რაფაელის ახალგაზრდა კარდინალის პორტრეტს მაგონებს. როგორც ამბობენ, ამ დიდებულმა ტილომ სტენდალზე წარუშლელი კვალი დატოვა და ზეციური შთაგონებით ფრთაშესხმულმა, ფაბრის დელ დონგოს (სტენდალის რომანის „პარმის სავანის“ პერსონაჟი. მთარგმნ.) დაუვიწყარი სახე შექმნა. მხიბლავს მისი ხავერდისფერი, ზოგჯერ კი მორუხო თვალების ფოლადისებრი ელვარება, ფაფუკი ქსოვილის სისათუთე და უტყვი მეტალის სიუხეშე, გასაოცრად შერწყმული ეს სიმკაცრე და სინაზე... ერთხელ, მონიკი თავის მეგობარს, ჟილბერტს, სერჟთან წაჰყვა; ყმაწვილს ოქროსფრად მოსირმული, ერთგვარი რუსული შავი ხალათი ეცვა, კუთხეში იჯდა და აკორდეონს უკრავდა;

მისი ოთახი სახლში როდი იყო! ამ ლტოლვილს ბაღის ბოლოში მიკარგული ფანჩატურისთვის შეეფარებინა თავი! მათ ბაგეს სულ რამდენიმე სიტყვა მოსწყდა, მაგრამ მგზნებარე სურვილით აღივსნენ; ინატრეს, კვლავ შეყრილიყვნენ და ერთურთის ცქერით დამტკბარიყვნენ! სიყვარულის შანთით გულდადაღულ ქალ-ვაჟს ამქვეყნად სანატრელი აღარაფერი დარჩენოდა! ადამიანთა ღარიბ, უმწეო ენას არ ძალუძს იმ იდუმალი ძალის სიტყვიერ ქსოვილში გამომწყვდევა, რომელმაც ისინი სამარადისოდ შეაერთა; როცა ამ საარაკო ურთიერთთანხმობისა და ჰარმონიის გადმოცემას ვლამობ, ვგრძნობ, „სიყვარული," ეს საამური და ნაზი სიტყვაც კი საშინლად უხეშდება და მახინჯდება! ორივენი სინორჩით ბრწყინავენ; მათში ახალგაზრდობის დაუშრეტელი წყარო ჩქეფს; ამ უმანკო და მშვენიერმა მიჯნურებმა იციან, რომ მხოლოდ ზეადამიანური ძალისხმევისა და თავდაუზოგავი ბრძოლის წყალობით დააღწევენ თავს იმ შემზარავ ჯოჯოხეთს, რომელშიც იშვნენ და გაიზარდნენ; ამ სულშემხუთავი ქალაქის მარწუხების ტყვეობიდან თავს დაიხსნიან და ლტოლვილებად ქცეულნი, ბედნიერების შუქით გაცისკროვნებულ, ნაირფრად მოელვარე სამყაროში დაივანებენ; ამ მშვიდი სავანის კარიბჭის გასაღები ორივეს ხელთ უპყრია, თუმცა, ერთმანეთის გარეშე მისი გაღება არ ძალუძთ; ო, ტრაგიკული სიდიადე ამ ნეტარი გრძნობისა! სულ უბრალო რამესაც კი ძალუძს, წაბილწოს, დაამახინჯოს, შერყვნას და ნაცარტუტად აქციოს ის დიდებული, ხელიხელ საგოგმანები, წმინდა, თუმცა ტყვიასავით მძიმე ტრფობა, ბუმბულივით მსუბუქად და არხეინად რომ დაატარებდნენ თავიანთი ყმაწვილური, სათუთი გულებით.

გული მეტკინებოდა, მონიკის რჩეული მისი შესაფერი რომ არ ყოფილიყო. მე ხომ დღედაღამ ვნატრობდი, ამ ქედმაღალ და გედივით ყელმოღერებულ ქალიშვილს ღირსეული ყმაწვილი შეჰყვარებოდა?! სერჟმა ბავშვური გულუბრყვილობისა და მგზნებარების წყალობით ჩემი გული მოიგო. ამ დაუდგრომელი ყმაწვილის სულში ამბოხების ქარიშხალი მძვინვარებს. ერთ ადგილას ვერ ისვენებს და მომეტებული გულისწყრომა ფოთოლივით ათრთოლებს. ლიცეუმში ფარისევლური მორალით უჭედავენ თავს, დედამისს უნდა, პატარა, წუწურაქ და სულმოკლე მემამულედ აქციოს, უსახურ ბრბოზე ამაღლებულ ყმაწვილს კი ამგვარი სიმდაბლე და მომხვეჭელობა მთელი გულით სძაგს და არაფრისდიდებით არ დაემსგავსება ამ ფლიდ და ხარბ ხალხს. სულ სხვაგვარ ცხოვრებაზე ოცნებობს. ამ მახვილგონიერმა და სიტყვაუხვმა ბიჭმა თავისი ბრწყინვალე ირონიითა და მწარე

სარკაზმის წყალობით რუჟმონელების მეტად სახალისო პორტრეტი მოხაზა; მისმა ენაწყლიანობამ მეც შთაგონებით, სასიცოცხლო ძალით, გულის სიფიცხითა და მგზნებარებით ამავსო და ურჩხულთა ნამდვილი გალერეა და ჰიერონიმუს ბოსხისეული ფანტასტიკური ტილო შევქმენით. სანუკვარი ოცნებები და მისწრაფებებიც კი გამიმხილა; ნატრობს, რეჟისორი გახდეს და მონიკი ბრწყინვალე ვარსკვლავად აქციოს. ამ ბავშვების ოცნებები ძალზე მშვენიერი, მაგრამ საპნის ბუშტივით ფაქიზი და მსწრაფლწარმავალია, თუმცა... ვინ იცის?! ეს გულანთებული მიჯნურები მეორეხარისხოვანი როლისთვის როდი შობილან! ღრმად მწამს, რომ ჩვენი ბედის მძერწავი ჩვენი სულია, დიახ, სული, – ეს უხილავი, მაგრამ დიადი რამ. ისინი ყველა გულდამწველ ნატვრას აიხდენენ! საოცარ სიხარულს განვიცდი, როცა თვალმოუშორებლად ვუყურებ, რომ ხელიხელჩაკიდებულნი, რწმენით გულაღვსილნი, ამაყად თავაწეულნი, მტკიცე ნაბიჯით მიეშურებიან ბედის საძიებლად; სჯერათ, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე არიან დაბადებულნი; ვინ იცის, რას უმზადებს ამ ბავშვებს მუხანათი წუთისოფელი! მათთვის უხამსობა და ავხორცობა სრულიად უცხოა; მათმა ცხრათვალა მზემ გახუნებული ფერები ნაირფრად ააელვარა და მოტკბო, გულისამრევი სურნელი სამუდამოდ მოაშთო; იმ უკიდეგანო საუფლოში არნახული სილამაზე ზეობს; მონიკის თვალები სიხარულის სხივს გაუცისკროვნებია; ურყევი რწმენით, გულის სიმშვიდითა და ეჭვშეუვალი ღირსებით სავსე სერჟს დიდებული იერი ამშვენებს.

როცა ოთახში მარტოდმარტო დავრჩი, სევდა მომეძალა და მელანქოლიის აზვირთებულ ტალღებს თავი მივანდე; ვფიქრობდი, სწორად მოვიქეცი, მათ რომ არ გავყევი-მეთქი (დანსინგზე წასვლა მართლაც სახიფათო იქნებოდა; თავი არ უნდა შევირცხვინო! თუკი მათ პატივისცემას დავკარგავ, ამ პროვინციიდან გაქცევაში ვერ დავეხმარები). როცა კარი გაიხურეს და თვალს მიეფარნენ, მათი თვალისმომჭრელი ბრწყინვალება ჩაქრა, მაგრამ მათი სხეულების სითბოთი გაჟთენთილ სკამებზე ფოსფორისებრი, ეფემერული და მოციაგე ნათება დარჩა. სამწუხაროდ, ეს სხივმოსილი, იდუმალი შუქიც დილის ნამივით გაქრა და წყვდიადმა დაისადგურა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თვალუწვდენელ სიშორეში ჩაკარგული ჩემი ცხოვრების ლარივით სწორ გზაზე დროდადრო გამოჩნდება ოცნების მაცდური ბილიკები, რომლებიც სასიამოვნო ჩურჩულით მიხმობენ... უკუნ ღამეში პაწაწინა წითელი წერტილები კათედრალის თაღქვეშ ანთებული პატარა ღამის ნათურებივით ელავენ; უჩინარ

საკურთხეველთან მისტიკური რიტუალი სრულდება, ახალგაზრდობის, სინორჩისა და გულდამწველი სიყვარულის რიტუალი! თავს მდაბლად ვხრი, ამ ძალმოსილ ქალღმერთს თავდავიწყებით ვეთაყვანები, გული ცხოველმყოფელი რწმენით მევსება და ზეციური აღმაფრენა მეუფლება. ანდრე ისე უცნაურად იქცეოდა, ეჭვმა გამკენწლა. ნუთუ ოდესღაც სერჟი უყვარდა?! იქნებ, მის გულში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ტრფობის ცეცხლი?!

23 აპრილი

პარიზში გავემგზავრე; ო, რამდენი რამ მაქვს სათქმელი! ჩემში საოცარ შთაბეჭდილებათა ოკეანე გრგვინავს; ყოველივე დღიურს, ამ ერთადერთ მესაიდუმლეს უნდა გავანდო! ორი კვირა ხარბად ვეწაფებოდი ნეტარი შეგრძნებების უშრეტ წყაროს! თითქოს, მგზნებარე, ცეცხლივით მწველ სამყაროში ჩავიძირე! უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რადგან როგორც იქნა, პასკალი და ანა შევახვედრე! „ძალიან მიყვარს! როგორ შეუძლია, ერთდროულად ასეთი უშუალო, გულღია, დიდებული და სერიოზული იყოს?!“ – მითხრა ანამ მათი მეორე პაემნის შემდეგ; პასკალი მართლაც ზნეკეთილი, მომხიბვლელი და გამორჩეული ახალგაზრდაა; მე ინდივიდუალისტი ვარ, ის კი მისტიციზმით ტკბება, ხშირად ვკინკლაობთ, ჩემი ეგოისტი, ბობოქარი გული და მისი სპეტაკი, უდიდეს რელიგიურ საიდუმლოს ზიარებული სული ერთმანეთს უმოწყალოდ ებრძვიან. ვღიზიანდები, ასეთ თავდაჭერილობას და მოწიწებას რომ იჩენს კამათისას და საერთოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში; ასეთი დუნე, სასიცოცხლო მგზნებარებას მოკლებული ადამიანები არ მიყვარს, მაგრამ პასკალს მაინც მეგობრული კეთილგანწყობით ვეპყრობი.

შანზ-ელიზეზე ვსეირნობდით, დაუსრულებლად ვსაუბრობდით და ერთმანეთს ნაზად ვუმზერდით; ვარდისფერი ფეტრის ქუდით თავდამშვენებულ ანას სახე გაცისკროვნებოდა, მაგრამ რაწამს დედამისის სახელი ახსენა, თვალები ურჩი ცრემლით აევსო. რა საძულველი ქალია მადამ ვინიონი! ქალიშვილს სულ კუდში დასდევს, მოსვენებას არ აძლევს, მკაცრი, უსამართლო საყვედურებით აწამებს, ფიქრს, თამამი აზრების გამოთქმას, წიგნების კითხვასა და ჩემთან მეგობრობას ისე უკრძალავს, თითქოს, სულის წარმწყმედი ცოდვისგან იცავდეს! ამქვეყნად მხოლოდ პასკალთან ერთად დატკბება უღრუბლო ბედნიერებით, ყოველგვარი მტანჯველი სინდისის ქენჯნის გარეშე... მინდა, ცხოვრების გრძელი გზა მასთან ერთად განვლოს! მართალია, სიკვდილამდე ქრისტიანი იქნება,

მის გულში ეს ზეციური ცეცხლი არ ჩაქრება და სარწმუნოების შემზარავ ცხედარს თავის დღეში ვერ დაასამარებს, მაგრამ თუ ამ ყმაწვილს შეიყვარებს, დაჩლუნგებას გადაურჩება და თავის ნიჭს, ამ ფასდაუდებელ საგანძურს ქარს არ გაატანს. კათოლიკური რელიგია მეზიზღება, მაგრამ ანა რწმენით მავსებს; მეჩვენება, რომ ჩემს საყვარელ მეგობარს ვაშინებ კიდეც. „იქეცი იმად, რაც ხარ!“ – წერდა ნიცშე; მინდა, ანა ვაქციო იმად, რაც სინამდვილეშია, დახმარების ხელი გავუწოდო და მისი გულის სიღრმეში საგულდაგულოდ დამალულ აჩრდილს ხორცი შევასხა; ხანდახან მეურჩება, ხაფანგში გაბმული მხეცივით უმწეოდ ფართხალებს, მაგრამ ღრმად მწამს, რომ სიცოცხლის წყურვილისა და ჭეშმარიტებისაკენ დაუღალავი სწრაფვის წყალობით ყოველგვარ დაბკოლებას გადალახავს და ამ ულმობელ ბრძოლას ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინებს. საოცარ ნეტარებას განვიცდი, როცა ვხვდები, რომ ანა ამ საარაკო გმირობას ჩემი წყალობით ჩაიდენს, დაფნის გვირგვინს დაიდგამს და მისი სახელი დიდების უკვდავმყოფელი შარავანდედით შეიმოსება.

20 მაისი

მონიკი ჩემი ოთახიდან ახლახან გავიდა... შემევედრა, დედაჩემს უთხარით, რომ მთელი საღამო თქვენთან ერთად გავატარეო. მეც დავპირდი, ნუ იდარდებ, ამ თხოვნას აუცილებლად შეგისრულებ-მეთქი. თუ კეთილი ფერია დედასავით არ იზრუნებს სიყვარულით გულდამწვარ ახალგაზრდებზე, ადამიანის მსახვრალი ხელი ტფრობისა და სიყმაწვილის თესლისგან აღმოცენებულ ამ ფაქიზ ყვავილებს უმოწყალოდ მოსწყვეტს და დაუნდობლად გათელავს. ო, როგორ არ მინდა, ბინძურმა და უხეშმა არსებებმა ეს ნეტარების წყარო დაშრიტონ! გული სიხარულით მევსება, როცა ვხვდები, რომ ჩემი წყალობით ეს ულმობელი სამყარო არნახული სილამაზისა და სულისჩამდგმელი ბედნიერების საამო სურნელით იჟღინთება.

რა შემზარავი სიბილწე და უხამსობა იმალება თვით ამაღლებულ სულებშიც კი! მადამ ფურნიეს ბრიყვული აღფრთოვანებით შევიციცინებდი თვალებში და ვფიქრობდი, რა საოცრად ნატიფი და დიდსულოვანი ქალია-მეთქი. თურმე, რა ბრმა ვყოფილვარ! ეს საშინლად ვულგარული არსება როგორ გავაღმერთე?! მისი ყინულივით ცივი გული მონიკისა და სერჟის სიყვარულის ზეციურ სიდიადეს ვერასოდეს იგრძნობს.

ერთხანს მონიკთან ერთად ვისეირნე. მთვარის შუქდაფრქვეული ტაძრის ბაღი ჯადოსნური, თითქოს არაამქვეყნიური მშვენიერებით

შემოსილიყო; უსწორმასწორო, დაკბილულ ქვებზე ჩამომჯდარი შავი კატა დაუსრულებლად კნაოდა; სერჟზე ვისაუბრეთ; მონიკს ვუთხარი, შენი სატრფო თავისი შეურიგებლობით, ქედუხრელობით, დაუგდრომლობითა და მგზნებარებით სენტ ჯორჯ დე პიზანელოს მაგონებს-მეთქი; ო, ეს ლეგენდარული გმირიც ხომ მასავით ლამაზი იყო?! „მისი ერთადერთი აღჭურვილობა ქათქათა, თოვლივით თეთრი, ბრწყინვალე შალის სამოსია; მისი თითქოსდა მკაცრი გულუბრყვილობის (რა საოცარი ეპითეტია!), ალალმართლობისა და მარადუდრეკი, შეუვალი, წაუბილწავი უმანკოების წინაშე ყველა ფარ-ხმალს ყრის,“ – ვუთხარი ჩემს მოწაფეს; არაფერი მიპასუხა; ბაგე ღიმილმა გაუპო; ეს იყო დიდებული, იდუმალი და თვალწარმტაცი ღიმილი ქალისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებია თავბრუდამხვევ სიყვარულს, ამ მძიმე ტვირთს, სათუთი გულით რომ დაატარებს.

ერთხელ, ანდრემ მკითხა: „ხედავთ, როგორ უკვალოდ გაქრა მონიკის ოდინდელი სილაღე და მხიარულება?“ ვფიქრობ, ტრფობის ცეცხლით გულანთებული ქალიშვილი მუდამ სახედამწუხრებული უნდა დადიოდეს და საწყალობლად გმინავდეს, რადგან ბედნიერება, ბურჟუაზიული სიმდაბლისა და ვაჭრული სიხარბისაგან სამარადისოდ გათავისუფლებული სპეტაკი ბედნიერება, რომელიც დაუღალავი ბრძოლის წყალობით მოიპოვება, ადამიანის გულს სიხარულით არ აღავსებს; ასეთი მძიმე ხვედრი არგუნა განგებამ სიყვარულით გონდაკარგულ და გახელებულ მიჯნურებს! მწამდა, რომ მონიკი ბედნიერებას, ამ ცით მოვლენილ ღვთაებას, შიშნარევი აღფრთოვანებით შეეგებებოდა. ჟანინს წერილი მივწერე; შევეცადე, მისთვის მომეთხრო ახალგაზრდობისა და სიყვარულისადმი მიძღვნილი წმიდათაწმიდა პოემა, ჩემ თვალწინ შლეგ წყაროსავით რომ მოჩქეფს; მთელი გულით მინდოდა, მეთქვა, რომ უსაზღვროდ ვტკბები ამ ყმაწვილურ გულებში აღმოცენებული ნორჩი ყვავილის ცქერით და მათ გაბრწყინებულ სახეებს შევხარი; გამუდმებით ვიმეორებ უნაზესი ტრფობით სავსე, ყურთასმენის დამატკბობელი ლექსის ყოველ სტროფს და წმინდა საგალობლის წინაშე თავს მდაბლად ვხრი.

***

წვიმიანი მაისი მიილია და რუჟმონს მტაცებელი ფრინველივით დააცხრა თავს სულშემხუთავი, მომქანცველი ზაფხული. წელიწადის ეს დრო ანდრეს მთელი გულით სძულდა; პირქუშ, ჯოჯოხეთურად ცხელ ქუჩებში მზის სხივი ნაირფრად არ ელავდა; ეს ცხრათვალა

მნათობიც კი უძლური იყო, სასიცოცხლო სუნთქვა შთაებერა საღათას ძილს მიცემული პროვინციისთვის; არსად ჩანდა ლამაზი, თვალგასახარი ფერები; გულშემზარავ, რუხ ნისლს შთაენთქა ყოველივე; თეთრ ტროტუარებზე მუქ ლაქად იდღაბნებოდა გამვლელთა შავი სამოსი. ლიცეუმის კარს რომ გამოიხურავდა, ანდრეს ერთი სული ჰქონდა, შინ სწრაფად დაბრუნებულიყო. ამ საზიზღარი ქალაქის დანახვაც კი აღარ უნდოდა. ვიწრო ქუჩებს ისეთი უძრავი ჩრდილი დაჰფენოდა, გოგონას ეჩვენებოდა, რომ უძირო ჭას უმზერდა; დარაბები ყველას მიეხურა; სევდიან ქუჩებს ისეთი ცისფერი და თითქოსდა, მკაცრად წარბშეჭმუხვნილი ზეცა დაჰყურებდა თავს, რომ ეს სამარისებური მდუმარება მეტად უჩვეულოდ და დამთრგუნველადაც კი ეჩვენებოდა.

ანდრე სახლში თავქუდმოგლეჯილი შევარდებოდა, კიბეებს აირბენდა და თავის ოთახში ჩაიკეტებოდა; სურდა, მამასა და მამიდას, ამ პირსისხლიან ჯალათებს გაქცეოდა, მუხანათ წუთისოფელს განშორებოდა და მწველი სურვილები სამუდამოდ დაესამარებინა, მაგრამ რაწამს სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა, თბილი ნიავი ისე საამოდ მოელამუნებოდა, რომ უნებლიედ აკრძალულ ბედნიერებაზე ოცნებას მისცემდა თავს; უნდოდა, ნავით ნელა გაჰყოლოდა მდინარის საამოდ მოლივლივე ტალღებს, მწვანედ აბიბინებულ ნაპირზე ამაყად წამოჭიმულ კაფეში შუშხუნა, თეთრად აქაფებული სიდრი შეესვა და აყვავებული ხეებისთვის ემზირა... რა ამაოდ ტკბებოდა ამ ზღაპრული ოცნებებით! ფანჯრიდან რუხი სახურავებისა და ტაძრის გუმბათის გარდა ვერაფერს ხედავდა.

კვირადღე და ხუთშაბათი გულისგადამლევად მიიზლაზნებოდა; ყოველი წამი უსაშველოდ იწელებოდა; თითქოს, დრო ჩერდებოდა; მონიკი სერჟს დღედაღამ კუდში დასდევდა და წუთითაც კი არ შორდებოდა გვერდიდან; ანდრე მხოლოდ ლიცეუმში ხვდებოდა საყვარელ მეგობარს; პლატარის ყველა წიგნი წაიკითხა. დროის მოსაკლავად, თითქმის გაუჩერებლად ჭამდა ჯემიან პურსა და ყველს; სიგარეტის მოწევაც ძალიან უნდოდა, მაგრამ მკაცრი მამიდა ამგვარ უზნეობას უკრძალავდა; ნელ-ნელა სუქდებოდა, ქონი ედებოდა და ბურთივით მრგვალდებოდა. ნატრობდა, ეს სასწავლო წელი არასოდეს დასრულებულიყო; იცოდა, შემდეგ წელიწადს კიდევ უფრო საშინელი სევდის, დარდის, ამაო მრისხანებისა და ტკივილის ჭაობში ჩაეფლობოდა; პლატარს იმედი ჰქონდა, რომ პარიზთან სულ ახლოს, შარტრში ან ბოვეში დაიწყებდა მუშაობას. ანდრეს ოდესღაც ეგონა, რომ ეს საოცარი ქალი სამუდამოდ შეცვლიდა მის ცხოვრებას,

მაგრამ ახლა გრძნობდა – იგი მალე მიატოვებდა ანდრეს ამ უსახურ უდაბნოში და ისე უეცრად გაქრებოდა მისი ცხოვრებიდან, თავისი შინაგანი სიმდიდრის მისხალსაც კი არ უწყალობებდა; ხანდახან ეჩვენებოდა, რომ შანტალს არც კი იცნობდა; როდესაც მასწავლებელი პირქუში რუჟმონიდან სამარადისოდ გადაიხვეწებოდა, ანდრეს წარმოსახვაში ანთებული მისი სხივმოსილი ხატება სამუდამოდ ჩაქრებოდა; ვეღარასოდეს დააკვირდებოდა მის მშვენიერ სახეს; თითქოს, აღიგვებოდა პირისაგან მიწისა და მისი მოგონებაც კი საუკუნოდ დასამარდებოდა.

ლიცეუმში დიდი აურზაური იდგა; თითქოს, მალე ქარბორბალა უნდა დატრიალებულიყო და ველური ღრიალითა და ზათქით მოესრა ყოველივე; პედაგოგები და შეგირდები გაღიზიანებულები ჩანდნენ, რადგან პაპანაქება სიცხე სულს უხუთავდათ და არდადეგებიც კარს მომდგარიყო; ცუდი შეფასებები თავსხმა წვიმასავით იღვრებოდა ბნელ საკლასო ოთახებში; დირექტორის გამოჩენას შიშნარევი სიხარულით ელოდნენ (ის თვეში ერთხელ ესწრებოდა გაკვეთილებს).

„ათ წუთში მოვა. ნეტავ, რა ნიშანს დაგვიწერს?!“ – იკითხა ანდრემ და მონიკი მადმუაზელ ბიდუასკენ მიახედა. დირექტორს იღლიაში ლურჯი რვეული ამოეჩარა და ეზოს მოუყვებოდა.

მონიკმა მხრები გულგრილად აიჩეჩა; ბოლო დროს, სიყვარულით ანთებულ მის გულს აღარაფერი ადარდებდა; ცოტათი დაუშნოვებულიყო კიდეც; კორსაჟიც კი არ შეეკრა და აწეწილი თმა ფერმკრთალ სახეზე ჩამოშლოდა; სერჟი ყოველთვის გულთბილად როდი ეპყრობოდა, მაგრამ ეს მეტისმეტად ამაყი და ქედმაღალი ქალიშვილი არაფრისდიდებით არ აღიარებდა, რომ ჯოჯოხეთურად იტანჯებოდა; მის გაუმხელელ წამებას ბოლო არ უჩანდა.

მადმუაზელ ლაკომბმა მაგიდას მუშტი დაჰკრა, ანდრე ფიქრებიდან გამოერკვა, კვლავ ჩვეული გამომეტყველება დაიბრუნა და გადაწყვიტა, თავი მოეკატუნებინა, თითქოს, აბეზარი მამიდის გაუთავებელ ყბედობას გულისყურით უსმენდა. ქალი „ბრიტანიკუსზე“ საუბრობდა. ხელნაწერით აჭრელებული, ოთხკუთხად დაჭრილი ფურცლების გროვა მაგიდაზე დააწყო; თითოეულ მწერალზე პატარა, მოსახერხებლად სატარებელი დოსიე შეექმნა: ბიოგრაფიები და ყველაზე განსწავლული, ჩინებული და გავლენიანი კრიტიკოსების მოსაზრებები ამ დიად შემოქმედთა შესახებ; ამ განძს ყოველ წელს თავიდან ბოლომდე უკითხავდა თავის მოსწავლეებს და ისინიც, მორჩილად თავდახრილნი იწერდნენ რვეულში მის მონათხრობს; ამ პირქუშ ქალს დრო-ჟამისგან გაყვითლებული, გაცრეცილი, მაგრამ

სანუკვარი ხელნაწერის ერთი მონაკვეთი, ერთ სიტყვაც კი არასოდეს შეუცვლია! ესოდენ შესანიშნავი მეთოდის წყალობით მოწაფეები გამოცდებზე ბრწყინვალე ნიშნებს იღებდნენ და ამ პატივსაცემი მასწავლებლის წინაშე ყველა ქედს იხრიდა. თხუთმეტი წელი იყო, ამ ლიცეუმში მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის, როცა ზარის გამაყრუებელი ხმა გაკვეთილის დაწყებას ამცნობდა, ალმური მოედებოდა და ძალ-ღონე ეცლებოდა.

კარი გაიღო; მადმუაზელ ლაკომბი და გოგონები ფეხზე წამოდ-გნენ; ქალბატონმა დირექტორმა საკლასო ოთახში შემოაბიჯა. თმა გულმოდგინედ დაევარცხნა; ლურჯ კაბაში გამოწყობილიყო, რომელიც, ალბათ, ყველაზე ცნობილ და ხელგაწაფულ რუჟმონელ მკერავს, ლეტრანჟს შეეკერა, მაგრამ ამ ქალის ულაზათო სხეულს ეს ელეგანტური, დახვეწილი და მშვენიერი კაბაც კი მეტისმეტად უბრალო, მკაცრ და კდემამოსილ სამოსად ექცია. მადმუაზელ ლაკომბს მხარი დაუმშვენა.

„სანამ ფრიადოსანთა დაფაზე მოხვედრილ მოწაფეთა სიას წავიკითხავ, მინდა, გითხრათ, რომ თქვენი უზნეო საქციელითა და უგვანი ჩაცმულობით ძალიან უკმაყოფილო ვარ,“ – თქვა მან. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. „კარგად იცით, რომ სასწავლებელში მოკლესახელოებიან ტანსაცმელში გამოწყობილებმა არ უნდა იაროთ. მხრებზე მანტოს დაუდევრად მოხურვა საშინელი უმსგავსობაა! ისე უნდა ჩაიცვათ, როგორც კდემამოსილ და ღირსეულ ქალიშვილებს შეჰფერით! ყოველდღე ყველა მეუბნება, რომ სასწავლებლის ამ უმკაცრეს წესს არ ემორჩილებით. რამდენიმე თქვენგანი, რაწამს ქუჩის კუთხეში შეუხვევს და თვალს მიეფარება, ქუდს ურცხვად იხდის! მეტად ღირსეულმა ადამიანებმა ისიც კი დაინახეს, რომ თავმოშიშვლებული და მოკლესახელოებიან მაისურებში გამოკვართული მოსწავლეები კაფეების ტერასებზე ისხდნენ! მათ სახელებსა და გვარებს ახლა არ დავასახელებ, მაგრამ ყველა მიხვდება, ვის ვგულისხმობ. რა საძრახისი დაუდევრობა, უწესრიგობა, უდისციპლინობა, უღირსობა და სამარცხვინო აღვირახსნილობაა! ო, ღმერთო! როგორ უნდა აღუძრათ სხვებს პატივისცემა, როცა თავად არ სცემთ პატივს საკუთარ თავს?!“ – შესძახა განრისხებულმა და სახეალეწილმა ფურიამ.

გაბღენძილი, აჭარხლებული და ინდაურივით გაფხორილი ქალი მედიდურად და მაღალფარდოვნად ლაპარაკობდა, თუმცა ეტყობოდა, რომ თავდაჯერება აკლდა; თითქოს, დაზუთხულ გაკვეთილს ჰყვებოდა, მაგრამ გულით სწამდა, რომ სერიოზულ და

ყურადსაღებ სიტყვებს წარმოთქვამდა. ყოველთვის ასე უმიზეზოდ, სულელურად გააფთრდებოდა და ცოფს ყრიდა. ანდრეს ანაზდად გონება გაუნათდა, თითქოს, თვალი აეხილა და საოცარი ხილვა ეწვია. „ის მოჩვენებაა!“ – გაიფიქრა და უეცრად, აუწერელი სიამოვნება იგრძნო. ამ უგვანი ხალხისთვის ალალმართლობა უცხო ხილი იყო; ვერც კი ხვდებოდნენ, რას ნიშნავდა გულწრფელი სიხარული, სიძულვილი, ზიზღი, სიყვარული თუ ფიქრი... უბრალოდ, განეზრახათ, განეცადათ ესა თუ ის გრძნობა და ღრმად სწამდათ, რომ მიზანს უთუოდ მიაღწევდნენ; ამ შეგრძნებების გადმოსაცემად სიტყვები სჭირდებოდათ; მათ სქელ-სქელ, ჩაფსკვნილ სხეულებში გამომწყვდეული გული თანაბარი რიტმით ფეთქავდა; დღედაღამ იმაზე ფიქრობდნენ, სხვების წინაშე არ შერცხვენილიყვნენ და თავი ღირსეულად დაეჭირათ; უმნიშვნელოვანესი იყო, რას იტყოდა მათზე ხალხი... რა უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა ამ უსულგულო, ფიტულად ქცეულ არსებებში!

დირექტორი ფრიადოსანთა სიის ამოკითხვას შეუდგა: „მონიკ ფურნიეს ეს პატივი წილად არ ხვდა. როცა თქვენს ყოფაქცევაზე ვბჭობდით, ერთადერთმა მასწავლებელმა მოგცათ ხმა, ექვსმა მხარი არ დაგიჭირათ, ოთხმა კი აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავა. თქვენი ასაკის ქალიშვილი ყოფაქცევის გამო ვერ მოხვდა ფრიადოსანთა დაფაზე! რა უგუნურებაა!“

მონიკი წამოდგა, მადმუაზელ ბიდუას არაფრისმთქმელი, ჩამქრალი მზერა მიაპყრო და ბაგეზე უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა; დაბნეული ანდრე ვერაფერს მიხვდა; თავხედურად და უტიფრად სულაც არ იღიმოდა, მაგრამ ბოღმიანმა ქალმა იფიქრა, ეს უსირცხვილო გოგონა დამცინისო და საშინლად გაცხარდა.

„შეწყვიტეთ ეს ამაზრზენი ქირქილი! ასეთი ქედმაღლობა არ შეგშვენით, თავი მოწიფული ქალიშვილი გგონიათ, ყმაწვილებს უსირცხვილოდ ეკეკლუცებით, იბღინძებით და ოთხიოდე წლის ბავშვივით დაუდევარი, წინდაუხედავი და უგუნური ხართ! სიმართლე გითხრათ, ოთხი წლის ბავშვიც კი არ ჩაიდენს ასეთ სისულელეს!“ – შეუტია გააფთრებულმა ქალმა.

მონიკს ღიმილი წამით ტუჩებზე შეეყინა, მერე კი, ანაზდად, ტირილი წასკდა; ყველამ თავზარდაცემული მზერა მიაპყრო; არასოდეს არავის ენახა ამ ამპარტავანი, ამაყი და მუდამ ყელმოღერებული გოგონას ცრემლი!

„ძალიან კარგია, რომ თქვენს საქციელს ნანობთ,“ – უთხრა შეცბუნებულმა და გაოგნებულმა მადმუაზელ ბიდუამ; ასე მწარედ

ატირებულ მონიკს ეს გულქვა ქალიც კი შეეძრწუნებინა. საბრალო გოგონა ფეხზე იდგა, თავი ხელებში ჩაერგო, გულამოსკვნილი ქვითინებდა და ციებიანივით კანკალებდა. ცოტა ხანში სლოკინიც კი აუტყდა. შიშმორეული და ავი წინათგრძნობით ატანილი ანდრე მეგობარს თვალს ვერ აცილებდა; გრძნობდა, გულზვიად და ქედუხრელ მონიკს ღვარძლიანი დირექტორის საყვედური გულს ვერასოდეს ატკენდა და ასე ვერ დასცემდა! ამ შესაბრალის არსებას სულ სხვა რამ ატირებდა, სულ სხვა რამ!

მადმუაზელ ბიდუა წავიდა; დამუნჯებული მოსწავლეები ერთმანეთს შეჰყურებდნენ; საკლასო ოთახში სამარისებური მდუმარება გამეფებულიყო; მხოლოდ მადმუაზელ ლაკომბის გულგრილი ხმა და კალმების წრიპინი ისმოდა. მონიკმა ცრემლი შეიმშრალა და ბავშვურ, მკაცრ, გამეხებულ სახესთან ხელისგული მიიტანა. ამ პირმშვენიერი ქალიშვილის არაამქვეყნიურ სილამაზეს ვატოს სურათებით დამშვენებული კედლები, მელნით დალაქული მაგიდები და შავი დაფა გაცვეთილ, უბრალო და სასაცილო დეკორაციადღა ექცია.

„ამ საღამოს სად გაატარებ? – ჰკითხა ანდრემ ოთხ საათზე, როცა ზარის წკრიალა ხმამ მთელი ქალაქი გააყრუა.

– ცხადია, სერჟთან ერთად, „ბრასერი ფრანსუაში“.

– შეიძლება, ერთი საათით მაინც შევძლო შინიდან გამოპარვა... გინდა, შევხვდეთ?“

მონიკს თვალები გაუბრწყინდა და აღტყინებულმა მიუგო:

„რა თქმა უნდა! ძალიან გამახარებ! იქნებ, როგორმე მოახერხო!“

იმ დღეს მადმუაზელ ლაკომბი ვახშმად სტუმრებს ელოდებოდა; მათთვის კარის გაღება და ჩაის მირთმევა ანდრეს დაავალა. „ნეტავ, ცოტა ხნით მაინც გამიშვას მონიკთან!“ – გაიფიქრა მან და მამიდას საშაქრე გაუწოდა. მადმუაზელ ლაკომბის სახე კდემამოსილი ქალივით მოკრძალებულ და მორცხვ სიხარულს გაენათებინა, დიახ, მორცხვს, რადგან ეს ღირსეული პედაგოგი თავდავიწყებით არასოდეს გადაეშვებოდა შლეგი ბედნიერების უძირო მორევში! რაღაც უხილავ ძალას, თითქოს, სასიცოცხლო ენერგია შთაებერა მარადდღე წარბშეკრული ქალის კუშტი სახისთვის; თავისი თალხი კაბა თეთრი საყელოთი დაემშვენებინა, მაგრამ ცხიმიანი თმა და კანი ისევ ულაპლაპებდა. მას ხომ სუფთა იერი არასოდეს ჰქონია?! „შენს ოთახში შედი და იმეცადინე, ანდრე, აღარ მჭირდები,“ – უთხრა რამდენიმე წუთის შემდეგ ძმისწულს.

ანდრემ სასტუმრო ოთახის კარი გაიხურა და სამზარეულოში უხმაუროდ შევიდა; ხალიჩაზე პირქვე დაემხობოდა და სტუმრების

საუბარს მოუსმენდა, ან ფიქრებში ჩაიძირებოდა. წამიერ თავისუფლებას მოიპოვებდა და ისე მოიქცეოდა, როგორც მოისურვებდა. რამდენჯერ გაშხლართულა აქ, ამ ხალიჩაზე, რამდენი სახალისო ამბავი შეუტყვია... თითქოს, გამალებით მკიდა სხვათა საიდუმლოებებით სავსე თავთავებს. ისინი ჯერ ერთმანეთს მოიკითხავდნენ, მერე კი თავიანთ სამარცხვინო ვენერიულ დაავადებებზე მოჰყვებოდნენ ქაქანს და დაწვრილებით აღწერდნენ თავიანთ ქალურ უბედურებებს... ანდრემ იცოდა, რომ მეტრალს დედათა წესის პირველ დღეს ისეთი აუტანელი ტკივილი ტანჯავდა, რომ ეჩვენებოდა, სადაცაა, ვიმშობიარებო; ფიზიკის მასწავლებელს, მადამ თომას, მუცელი ორჯერ მოშლოდა; როცა ანდრე მათ ბილწ აღსარებას მოჰკრავდა ყურს, გააფთრებული ზიზღი პირსისხლიან ნადირივით დააცხრებოდა თავს და ხელისგულები უოფლიანდებოდა. იმ დღეს მადმუაზელ ლანტენუას ქორწილზე საუბრობდნენ. თურმე, ეს ოცდაათიოდე წლის ძვალმსხვილი ქალიშვილი სულ მალე ერთ ლიონელ ხატვის მასწავლებელს მისთხოვდებოდა. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, მისი საქმრო ცოტათი კოჭლიაო. „რა შორსაა ლიონი!“ – ისე შესძახა დამწუხრებულმა მადმუაზელ ლაკომბმა, ეტყობოდა, მადმუაზელ ლატენტუა ძალიან ებრალებოდა.

„რა საშინელებაა! ჩემი კერაც კი არა მაქვს! როცა ქმარი ჩემს მოსანახულებლად შორეული ქალაქიდან ჩამოდის, იძულებულნი ვხდებით, კაფეში დავსხდეთ; ო, როგორ მოგვყირჭდა ასეთი ცხოვრება! რა საშინელებაა!“ – თქვა ფერმკრთალმა მადამ თომამ, რომელიც ისევ ფეხმძიმედ იყო; სახე ყვითელი ლაქებით დაფოთლოდა, სულ გაძვალტყავებულიყო და მუცელი ისე საზარლად გამობურცვოდა, თითქოს, უზარმაზარი კუზი გამოსვლოდა.

„არდადეგებზე ხომ შევხვდებით?!“ – თქვა მადმუაზელ ლანტენუამ მშვიდი, ნაზი და გულგრილი ხმით. რვა წელიწადს ძალზე ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, თითოეულ სუს აკოწიწებდა, რათა გვარიანი სიმდიდრის წყალობით მაინც მოეხერხებინა გათხოვება; არ უნდოდა, ქმრის ოჯახს უმზითვო რძლად შერჩენოდა; ქონება დააგროვა და სიცოცხლის დაზღვევაც მიიღო. ანდრეს ზიზღით გააჟრჟოლა, როცა გაიფიქრა, რომ მამა და მამიდა ასეთ „ბრწყინვალე“ მომავალს გულწრფელად უსურვებდნენ; იმაზე ფიქრიც კი ზარავდა, რომ თვალებჩამქრალ, უსიხარულო, მორჩილ დიასახლისად იქცეოდა; „ჩვენს ბინძურ ეპოქაში ხელფასი მზითვზე ბევრად საიმედოა,“ – უთხრა მადმუაზელ ლაკომბმა ძმას ერთ დღეს, როცა ანდრეს სვე-ბედზე ბჭობდნენ. თუკი წლიდან წლამდე ერთადერთ

კაბას ჩაიცვამდა, ლიცეუმში ექვს ფრანკად ისადილებდა, თავის დღეში არ იმოგზაურებდა, ქალაქში არასოდეს ისეირნებდა, არ გაერთობოდა და უსიხარულო ყოველდღიურობის ჭაობში ჩაეფლობოდა, ალბათ, ოდესმე, უკეთესი ცხოვრებით ტკბობის სურვილით და მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი ვიღაც უბრალო, თუმცა ხარბი მოხელე ცოლად შეირთავდა. მათი აზრით, მონიკს მომხიბვლელი და ღირსეული ქმარი ეყოლებოდა, დიდ, ლამაზ სახლში იცხოვრებდა და იმის უფლებაც ექნებოდა, თავისი ქალიშვილების მასწავლებლებისთვის ქედმაღალი მზერა ესროლა! „როგორ მინდა, მონიკს დავეხმარო!“ – გაიფიქრა გულანთებულმა ანდრემ და საოცარი აღმაფრენა დაეუფლა; რა ბრმა ყოფილა! აქამდე რად ვერ მიხვდა, რა იდუმალმა ძალამ, რა შლეგმა ქარიშხალმა გადაისროლა მონიკი სერჟის მკლავებში?! თურმე, მის საყვარელ მეგობარს მცონარობა, სასოწარკვეთა და სევდა გავეშებული ცხოველივით უფლეთდა გულს! თურმე, მოსაწყენი, უფერული ცხოვრებით განაწამები გოგონა, ეს მარადიული ლტოლვილი, სერჟთან ერთად თავდავიწყებით გადაეშვა სიყვარულის, ამ დიდებული თავგადასავლის ტალღებში! ბავშვობისჟამინდელი სათამაშოები მობეზრებოდათ, მაგრამ სიყვარულით განმსჭვალულ მიჯნურებს უფროსები თავიანთ სამკვიდროში შესვლის ნებას არ აძლევდნენ და ხელს გულცივად ჰკრავდნენ; ამ საოცნებო სავანის სამარადისოდ დახშული კარიბჭის შეღება შანტალ პლატარის გარდა ქვეყნად არავის შეეძლო, მაგრამ ამ ქალს, სამწუხაროდ, მათი ბედი არ ადარდებდა. ანდრე სწრაფად წამოდგა, სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და მადმუაზელ ლაკომბს უთხრა:

„ბოდიშს გიხდით მოულოდნელად რომ შემოვიჭერი, მამიდა ჟანა. გთხოვთ, ბიბლიოთეკაში გამიშვათ.

– წადი, მაგრამ ვახშმად დაბრუნდი,“ – მიუგო მან.

მონიკი თითქმის ყოველ საღამოს, შინ დაბრუნებამდე რამდენიმე წუთით ადრე, სერჟს აპერიტივის დასალევად დაჰყვებოდა „ბრასერი ფრანსუაში“. ასეთ სევდიან და პირქუშ კაფეს მთელ რუჟმონში ვერ ნახავდით. ანდრემ შემინული კარი შეაღო და გაიარა ბნელი, გრძელი და ვიწრო დერეფანი, სადაც დღის სინათლე ვერასოდეს აღწევდა; სარკესთან, ნაირფერად რომ ირეკლავდა მოყვითალო შუქს, მეძავები ჩამომსხდარიყვნენ. ანდრემ მონიკი ვერ დაინახა. დერენფის ბოლოს მიკარგულ გასართობ დარბაზში სერჟი ამხანაგებთან ერთად ბილიარდს თამაშობდა. ანდრემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მონიკი განცალკევებით იჯდა და „პარიზული ცხოვრების“ ერთ-ერთ ნომერს ისე უგულისყურად ფურცლავდა, ცხადი იყო, არ კითხლობდა და

მისი ფიქრები სულ სხვაგან დაფარფატებდნენ. „რა ხეპრე და რეგვენია ეს სერჟი!“ – გაიფიქრა განრისხებულმა გოგონამ, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და მონიკს ღიმილით ჰკითხა: „შეიძლება, დავჯდე?“

– რა თქმა უნდა. ძალიან მიხარია, რომ მოხვედი!

– ხომ არ გავისეირნოთ? სერჟი ხომ ბილიარდს თამაშობს...

მონიკი წამით შეყოყმანდა, მერე „პარიზული ცხოვრება“ თამამად დახურა, წამოდგა და უპასუხა: „მშვენიერია! გავისეირნოთ; ეს პირქუში და ბნელი კაფე მთრგუნავს.“ ბილიარდის მაგიდას მიუახლოვდა და სერჟს უთხრა: „მივდივარ. ხვალ შევხვდებით, არა?“

სერჟმა ანდრეს ხელი გაუწოდა, მტრული, ზიზღით ანთებული მზერა სტყორცნა და მონიკს ავისმომასწავებელი ხმით უთხრა: „ხომ შეგიძლიათ, რამდენიმე წუთს მაინც დამელოდოთ?!“

ანდრეს მოეჩვენა, რომ მის სიტყვებში ულმობელი მუქარა გამოსჭვიოდა.

– რა თქმა უნდა, შემიძლია, მაგრამ არ დაგელოდები, – მიუგო მან, მეგობარს ხელი ჩაჰკიდა და უთხრა: – ანდრე, წავიდეთ!

როცა კარი გაიხურეს და ქუჩაში გავიდნენ, წამით სამარისებური მდუმარება ჩამოწვა.

„სერჟი გაბრაზდა, შენს სანახავად რომ მოვედი,“ – ძლივს გაბედა თქმა ანდრემ. მონიკმა ხმა არ გასცა; მეტად მკაცრი, შეუვალი და თითქოს, გაქვავებული სახე ჰქონდა. „არ მადარდებს, არ მადარდებს! ჯანდაბამდე გზა ჰქონია! არ მანაღვლებს, რას ფიქრობს, რას ამბობს, რას გრძნობს და რას აკეთებს! ეშმაკსაც წაუღია! – შესძახა უეცრად.

– მონიკ, რა მოხდა? რატომ ხარ ასე გულმოკლული?! სერჟმა გაგაუბედურა? – ჰკითხა შიშმორეულმა ანდრემ.

– მძულს! მისი სახელის ხსნებაც კი აღარ მინდა!“ – მიუგო გამძვინვარებულმა გოგონამ, გააფთრებულმა, ველურმა სიძულვილმა თვალები წამოუნთო და გაჩუმდა; ანდრეს სიტყვა ყელში გაეჩხირა.

– მძულს! – განაგრძო მონიკმა: – ძაღლად არ მაგდებს! როცა მის გვერდით ვარ, ზედ არ მიყურებს! ამ საზიზღარ ბიჭს ჩირადაც არ ვუღირვარ! გუშინ პაემანზე დაგვიანების უფლებაც კი მივეცი თავს და... ჰო... ჰო... ესეც კი გავბედე... – თქვა მან და ხმა ჩაუწყდა.

„იმ პირუტყვმა რამე ხომ არ დაგიშავა, მონიკ?! – ჰკითხა შეძრწუნებულმა ანდრემ.

– სილა გამაწნა...“

ელდანაცემმა გოგონამ მეგობარს ხელი გაუშვა: „და დღეს მაინც შეხვდი?! წარმოუდგენელია! გაშინებს და გაშანტაჟებს, მონიკ?!“

მდინარეს მიუახლოვდნენ; ჰაერში გუდრონისა და მტვრის სუნი

ტრიალებდა; მონიკი ნაპირისკენ ჩამავალ კიბეს მდუმარედ ჩაუყვა. ანდრე ერთხანს დაჟინებით უმზერდა, მერე კი ძალიან, ძალიან სწრაფად, თითქმის ჩურჩულით და სულმოუბრუნებლად ჰკითხა: „საყვარლად ხომ არ გაგიხადა, მონიკ?! მასთან იწექი?!“ სურდა, ელვის უსწრაფესად წარმოეთქვა ეს საზარელი სიტყვები, გულს რომ უშანთავდა.

თავჩაქინდრული მონიკი გზას მიუყვებოდა და ქვანახშირის პაწაწინა ნატეხს ფეხსაცმლის წვერით ჯიუტად, თითქმის ავადმყოფური აღგზნებით მიაგორებდა; ანდრე დობილს მივარდა, მხრებში ხელი ჩაავლო, თვალებში ჩახედა და ავი წინათგრძნობით ერთიანად აცახცახებულმა ჰკითხა: „მიპასუხე, ბოლოს და ბოლოს! რა მოგივიდა, მონიკ?! მინდა, სიმართლე ვიცოდე!“

მან თავი ასწია და საწყალობლად შესჩივლა: „სამი თვის წინ მასთან ვიწექი... ფეხმძიმედ ვარ... აღარ ვიცი, რა ვიღონო...“

გაოგნებული ანდრე გოგონას თვალს ვერ აშორებდა. საზარელი შიში სისხლმოწყურებულ ნადირივით უმოწყალოდ ჯიჯგნიდა მის პაწაწინა გულს. ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა ეს თავზარდამცემი ამბავი; ვერ დაეჯერებინა, რომ მონიკის სუსტ, მიმზიდველ და მშვენიერ სხეულში ჩასახული იდუმალებით მოცული, საშინლად მყრალი, ბინძური, დამპალი და გახრწნილი თესლი სულ მალე სასიცოცხლო ძალით აღივსებოდა, ბურთივით გაიბერებოდა, მომწიფდებოდა და ყვავილივით აღმოცენდებოდა! ეს ხომ შეუძლებელი იყო?! ო, როგორ ნატრობდა, გოგონას მუცელშივე მოეშთო ეს მახინჯი ნაყოფი! ამ საზიზღარ ურჩხულს მზის სინათლე არ უნდა ეხილა, არა! უნდოდა, მისთვის ფეხი უმოწყალოდ დაეჭირა და ჭიაყელასავით გაესრისა!

„დარწმუნებული ხარ, მონიკ?

– ჰო. მეორე თვეში ვარ“ – უპასუხა მან, შეჩერდა და შეშლილი სახით განაგრძო: „ანდრე, ეს ბავშვი საშინლად მძულს! არ მინდა, სერჟს ცოლად გავყვე!“

უეცრად, ანდრემ დაიჯერა, რომ ის ნამდვილად ფეხმძიმედ იყო; როცა შემზარავ სიზმარს ნახავდა, შემკრთალს გაეღვიძებოდა, ცივი ოფლი ღვარად სდიოდა და გამაყრუებლად შეჰყვირებდა: „ეს უბრალო თამაშია! შორს ნუ შევტოპავთ!“ მაგრამ, ვაი რომ ეს სიზმარი კი არა, სასტიკი სინამდვილე იყო! უეცრად, თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა, მუხლი მოეკვეთა, ფერდობის ჭუჭყიან ბალახზე მოცელილივით დაეცა და ღონემიხდილმა ამოიკვნესა:

„სერჟმა იცის?

– კი; მითხრა, მშობლებს სიმართლე უთხარი და ცოლად გამომყევიო.“

ანდრეს ზიზღით გააჟრჟოლა; შესცქეროდა მონიკის ნაცნობ, ესოდენ საყვარელ, ლამაზ და სანუკვარ სახეს და მოძალებულ საშინელ გულისრევის შეგრძნებას ვერ უმკლავდებოდა. აბრეშუმის ლურჯი კაბის მიღმა, ამ ატლასივით ნაზ და სათუთ მუცელში გამომწყვდეული უფორმო მასა, ეს უცნაური ცოცხალი არსება ყოველწამს ბურთივით იბერებოდა.

„რაღაც უნდა ვიღონოთ! გულხელდაკრეფილები ვერ ვისხდებით!“ – შესძახა მან.

შვიდ თვეში ეს გახრწნილი თესლი, ეს საზიზღარი, უსახური ბავშვი დაიბადებოდა; მონიკი გასუქდებოდა, აშოლტილი, თვალტანადი და მშვენიერი სხეული დაუუშნოვდებოდა და მუცელი ისე გამოებურცებოდა, თითქოს, რაღაც საზიზღარი ურჩხული ჩასახლებოდეს; ამ უბედურებას ვერ აიცილებდა; უკვე დაღლილი, განაწამები სახე ჰქონდა, თვალებიც ამოღამებოდა. ოდესღაც სერჟის მკლავებში მომწყვდეულ, თვალმილულულ, მინაზებულ ქალიშვილს ვნებიანი ალერსი და ნაკვერჩხალივით მწველი ამბორი ნეტარების მორევში შთანთქავდა და ეჩვენებოდა, რომ გული მისდიოდა, მაგრამ მალე ამ სათუთად ნაფერებ მის კანსა და ნატიფ სხეულს მშობიარობის აუტანელი, ჯოჯოხეთური ტკივილი გახელებულ ავაზასავით უმოწყალოდ დაფთლეთდა და მისი სამარადჟამო დაცემითა და იავარქმნით გაიხარებდა. გულმოკლულმა ანდრემ მეგობარს თვალი აარიდა. მატარებელმა რკინის ხიდს გრუხუნით გადაუქროლა და კვლავ სამარისებურმა მდუმარებამ დაისადგურა. საოცრად თბილი და მშვიდი საღამო იდგა, გვერდებგალაქული, იალქნიანი გემებიდან დროდადრო ქალების ხმა და ბავშვების კივილი მოისმოდა. შორს, ძალიან შორს, ნისლის თალხ საბურველში გახვეული კათედრალის გუმბათი მოჩანდა.

„სერჟმა განგებ დამაორსულა! ჰო, განგებ! მხოლოდ იმას ნატრობდა, ჩემი მშობლებისთვის ხელ-ფეხი შეეკრა და თავს ლაფი დაესხა! იცის, რომ ასეთ შერცხვენას და სახელის გატეხვას ვერ აიტანენ და დაუყოვნებლივ მიმათხოვებენ! ანდრე, ჩემს დედ-მამას ამ საიდუმლოს ვერ გავუმხელ, ვერა! – მოგუდული ხმით უთხრა მიტკალივით გაფითრებულმა და პირგამეხებულმა მონიკმა.

– რამე უნდა ვიღონოთ! იქნებ ვინმეს შეუძლია შენი შველა?! – მიუგო ანდრემ, რომელიც ისე ფართხალებდა, თითქოს, გააფთრებით ებრძოდა იმ სასიკვდილო სენს, ნელ-ნელა, თუმცა, შეუპოვრად რომ იპყრობდა, სამუდამოდ ახევებდა, სისხლს უწამლავდა და სხეულს უდამბლავებდა.

„არ ვუყვარვარ! არც კი იცის, რას ნიშნავს ეს ლამაზი გრძნობა! ეს გულქვა და კაცთმოძულე ბიჭი ვერასოდეს ვერავის შეიყვარებს! დილიდან საღამომდე ბილიარდისა და მანილიას (ბანქოს ერთ-ერთი სახეობა. მთარგმნ.) თამაშის გარდა არაფერი აინტერესებს; სულელი და ბინძური ეგოისტი!

– დიდი ხნის წინ შეგძულდა, მონიკ?

– ჰო.. მას შემდეგ, რაც...“ – თქვა მან, ხმა ჩაუწყდა, თავი ჩაქინდრა და გაჭირვებით განაგრძო: „ო, რატომ დავწექი მასთან?! რატომ?! გამაბრიყვა და უსირცხვილოდ გამომიყენა! რომ იცოდე, როგორ მძულს! მის სახეს რომ ვუყურებ, გული მერევა!“ – შესძახა გოგონამ, ანდრეს ხელს ავადმყოფური აღგზნებით ჩააფრინდა და დასძინა: „მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია!“

მონიკს თვალები უელავდა და ციებიანივით კანკალებდა. ანდრე ჩაფიქრებული ჩანდა. „პლატარი ხომ დაგვპირდა, ყოველთვის სიხარულით გამოგიწვდით დახმარების ხელსო?!“ – შესძახა მან.

– პლატარი როგორ დაგვეხმარება, ანდრე?“ – ჰკითხა მონიკმა, გაფითრებული ტუჩები კრუნჩხვამორეულივით აუთრთოლდა, სახე საზარლად დაემანჭა და შეჰკივლა: „არ მინდა, ეს ამბავი მის ყურამდე მივიდეს! ჩვენი საიდუმლო არავინ არ უნდა გაიგოს, არავინ! გესმის?!

– ნება მომეცი, სიმართლე ვუთხრა; ნუ ღელავ, გაგვიგებს და დაგ-ვეხმარება. ჩვენი მასწავლებელი რუჟმონელებივით ცრურწმენებით შეპყრობილი და სულმოკლე არსება როდია, მონიკ! გონივრულ რჩევას, ვინმე ბებიაქალის მისამართს, ან წამალს მაინც მოგვცემს; დამიჯერე, შენს ტანჯვა-წამებას ბოლოს მოუღებს... აი, ნახავ... ამ პრობლემას იოლად მოვაგვარებთ. მთავარია, პლატარმა რამე გვირჩიოს,“ – ანუგეშა ანდრემ და გავარვარებულ ხელზე ნაზად მიეალერსა.

მონიკმა ანდრეს ხელი მაგრად მოუჭირა და უთხრა: „ანდრე, ნუთუ... ნუთუ ეს შესაძლებელია?!... ნუთუ, ჩემი ხსნა ჯერ კიდევ შესაძლებელია?!

– დარწმუნებული ვარ, მონიკ! დამიჯერე, ამ ბავშვს მოიშორებ და ისევ მშვენიერი ცხოვრებით დატკბები! გული არ გაიტეხო!

– ო, ანდრე, აუცილებლად, აუცილებლად უნდა მოვიშორო ეს ბავშვი!... – უთხრა მან, უეცრად აქვითინდა და ენის ბორძიკით განაგრძო: – მე... ო, რომ იცოდე, რა ტანჯვა-წამება გადავიტანე! ამ საზარელ ორ თვეს ბოლო არ უჩანდა!“

ანდრემ ხელი მოჰკიდა, წამოაყენა, თვალებში ჩახედა და მიუგო: „პლატარს ხვალვე დაველაპარაკები.“

ანდრეს ღრმად სწამდა, რომ შანტალი მონიკის ხსნას შეძლებდა, მაგრამ, როცა მეორე დღეს მდინარისპირა კაფეს ტერასაზე, პატარა,

მრგვალ და დაბალ მაგიდას მიუჯდა, გული შეშინებული ჩიტივით აუფრთხიალდა, მუხლი მოეკვეთა და აკანკალდა; გასამხნევებლად ჭიქა კალვადოსი (ვაშლის არაყი. მთარგმნ.) დალია. შარაგზის, ერთმანეთზე აჩონჩხლილი კასრებისა და ყუთების იქით კუპრივით შავი მდინარე მოედინებოდა; ცელქ ნიავს ზღვის სურნელი მოჰქონდა; მალე მოქცევა დაიწყებოდა; მეორე ნაპირზე, ღამის წყვდიადში, დიდი ლურჯი ნათურა კაშკაშებდა. ანდრე და პლატარი საღამოობით ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გოგონა პედაგოგს მდუმარედ შეჰყურებდა, რადგან მისგან აღარაფერს ელოდა; ამ წუთთა სევდიან, ცრემლნარევ სინაზეს ეტრფოდა, მაგრამ შანტალს ვერაფერს ეუბნებოდა. ამ საღამოს მდუმარების მორევში ვერ ჩაიძირებოდა; მისთვის სიმართლე უნდა გაემხილა; ნეტავ, რას უპასუხებდა პლატარი?! ნუთუ წარბშეუხრელად დაეხმარებოდა?! მონიკის ბედი სულ მალე გადაწყდებოდა. თუ აბორტს გაიკეთებდა და საზიზღარ ნაყოფს მუცელშივე ჩაიკლავდა, ემანსიპირებულ ქალად იქცეოდა და ბედნიერებითა და თავისუფლებით დატკბებოდა, მაგრამ თუ სერჟს ცოლად გაჰყვებოდა, უამრავ ბავშვს გააჩენდა და კუბოს კარამდე გულგამომშრალ, გაბოროტებულ, ჯოჯოხეთურად ნაწამებ დიასახლისად დარჩებოდა. ანდრემ ერთი ყლუპი მოსვა და ცრემლი მოერია. მეწამულ კოფთებში გამოწყობილი ბოშა მუსიკოსები ჰარმონიულ მელოდიას უკრავდნენ. ანდრემ ისევ დალია და ელდანაკრავივით შეხტა. რბილფარფლებიანი ჩალის ქუდით თავდამშვენებული მოღიმარი პლატარი მისკენ მოემართებოდა.

„მცხუნვარე მზემ და ქარმა რეტი დამასხა. მთელი საღამო გაილია ნავით სეირნობაში," – თქვა მან, ტირიფის ტოტებისგან მოწნულ სავარძელში ჩაჯდა და ქანაობას მოჰყვა.

„შარშან მე და მონიკსაც გვინდოდა ნავით გასეირნება, მაგრამ წყალი საშინლად ბინძური ჩანდა და უამრავი იალქნიანი ნავი დაცურავდა... საშინელება იყო!

– ასეთი მშვიდი და მდოვრე ცხოვრება გავნებთ. ტანვარჯიშით უნდა დაკავდეთ და დღედაღამ სხეულზე იზრუნოთ! ო, ანდრე, სხეული ხომ ასეთი მშვენიერი რამაა?! ლოურენსი წაგიკითხავთ?! რა თქმა უნდა, არა! ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხართ," – მიუგო შანტალმა. ისე სულმოუთქმელად მიაყარა შეკითხვები, მის პასუხსაც კი არ დაელოდა. გოგონა მდუმარედ, დაჟინებით დააცქერდა ამ უცნაურ ქალს; პლატარს ზაფხულის კაბა საოცრად შვენოდა. ორკესტრმა შუბერტის „დაუსრულებელი სიმფონია" დაიწყო და თამამად გადაეშვა ამ ულმობელ ბრძოლაში.

„ისევ ეს დიდებული მელოდია! – თქვა შანტალმა ღიმილით.

– დიახ“ – კვერი დაუკრა ანდრემ; ყელში ბურთი ეჩრებოდა; დროის მოსაგებად თქვა: „აქ განსწავლული საზოგადოება იყრის თავს, მეორე კაფეში კი ჭრელ-ჭრელი, ათასი ჯურის ხალხი ირევა.“

ორკესტრის პიანისიმოს ფარავდა მეორე კაფეს ტერასიდან გადმოღვრილი ჯაზის ჰანგების ექო. ტროტუარის კიდეზე გარინდებული, თვალებზე კეპჩამოფხატული მამაკაცები და უთავშლო ქალები ერთდროულად ორ ორკესტრს უსმენდნენ.

„შეამჩნიეთ, როგორი არაამქვეყნიური, თითქოსდა, სიზმრისეული ელფერი ეფინება ხის ფოთლებს, როცა ქუჩაში ლამპიონები ინთება?! გეგონებათ, ლითონისგან გამოჭრესო!“ – აღტაცებით შესძახა შანტალმა.

ანდრემ გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა:

„მადმუაზელ, ერთ ძალიან სერიოზულ საკითხზე უნდა დაგელაპარაკოთ.“

პლატარმა ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო და მიუგო:

„გისმენთ, ჩემო პატარა ანდრე! რა მოგივიდათ?!“

„მონიკს დიდი უბედურება დაატყდა თავს...“ – დაიჩურჩულა გოგონამ.

„უბედურება?! რა უბედურება?!“ – ინტერესით ჰკითხა მასწავლებელმა.

„გუშინ გამიმხილა, სერჟთან ვიწექიო, – აღიარა მან და მავედრებელი მზერა მიაპყრო: ფეხმძიმედაა... ის ნაძირალა სერჟი საშინლად სძულს! განზრახ დააორსულა, დიახ, განზრახ, რათა საბრალო გოგონა კედელთან მიემწყვდია და ცოლქმრულ, უფრო სწორად, მონობის უღელში ძალისძალად შეება!“ – შესძახა მან და ალმური მოედო.

შანტალი თავზარდაცემული ჩანდა; არემარეს თვალი მოავლო და აფორიაქებულმა უთხრა:

„რას ამბობთ, ანდრე?! ო, ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია ეს საშინელი ამბავი! ახლავე წავიდეთ აქედან! ამ ხალხმრავალ ალაგას ასეთ საკითხზე ვერ ვისაუბრებთ.“

ქალმა მიმტანს ფული დაუფიქრებლად შეაჩეჩა და წამოდგა.

„ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მონიკი ასეთ სიბილწეს იკადრებდა! უმანკო ქალიშვილი მეგონა და მისი სხივმოსილი ხატება დღედაღამ თვალწინ მიკრთოდა... სერჟის საყვარელია?! ო, შეძრწუნებული ვარ! რას იტყვიან მისი მშობლები?! საშინელი ტრაგედია დატრიალდება!“ – შეჰყვირა გამწყრალმა.

ანდრეს ძარღვებში სისხლი გაეყინა, როცა მის აღშფოთებულ და გამქირდავ მზერას მოჰკრა თვალი. რა სულელი ყოფილა! როგორ

იფიქრა, ეს ქალი ჩვენი უკანასკნელი იმედიაო?! ეს უგვანი და ჭკუათხელი არსება მონიკს დაუნდობლად ჰკიცხავდა!

„ნაყოფის მოცილებაც შესაძლებელია! გამოცდილ ბებიაქალებს ხომ არ იცნობთ? ნუთუ ჩვენთვის სასარგებლო რჩევის მოცემა არავის შეუძლია?! – ურწმუნოდ ჰკითხა შიშორეულმა ანდრემ.

პლატარს რისხვამ და სიძულვილმა თვალები წამოუნთო:

„ღმერთო მაღალო! რა ამარზენი სიბილწეა! რა უხამსობაა! თქვენ და მონიკს ასეთი რამ თავში აზრად როგორ მოგივიდათ?! დაუჯერებელია, ანდრე! ნუთუ, თქვენი ღირსება საბოლოოდ წაბილწა უზნეობის მყრალმა სიბინძურემ?!“ – შესძახა თავზარდაცემულმა.

ანდრე გაფითრდა; პლატარისა არ ესმოდა; მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ მწარედ შეცდა; შეცდა, რადგან ამ ცივსისხლიან ქალს დახმარება სთხოვა! მონიკის გადარჩენის იმედი სულ გადაეწურა, მაგრამ გადაწყვიტა, ბედი უკანასკნელად ეცადა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და განრისხებულმა შეჰყვირა:

„კი მაგრამ, რატომ? რატომაა აბორტი ამაზრზენი სიბილწე?! ამ სულელური საქციელის გამო მონიკი თავს ხომ არ დაიღუპავს?! ნუთუ, დღე უნდა დაუბნელდეს და სიკვდილამდე ასე დაიტანჯოს იმიტომ, რომ წამიერმა ცდუნებამ სძლია?! არ მინდა, გათხოვდეს, მორჩილ დიასახლისად და თავდადებულ დედად იქცეს!“

პოლატარს სახე საშინლად დაემანჭა და შესძახა:

„ანდრე, ვინ გაგრყვნათ ასე?! ვინ გამოგიჭედათ თავი ამ საშინელი აზრებით?! სირცხვილ-ნამუსი სულ დაკარგეთ?! თქვენთვის ზნეობა და სულიერება აღარაფერს ნიშნავს?! ნუთუ, სინდისიც კი არ გქონჯნით?! ეს... ეს საშინელებაა! რა შემზარავი სიმახინჯეა!“

„ო, ღმერთო! დაგვეხმარებით თუ არა?!“ – ჰკითხა სასოწარკვეთილმა გოგონამ.

გაცოფებულმა, სახეგაქვავებულმა ქალმა უპასუხა:

„რასაკვირველია, არა! მონიკს ისღა დარჩენია, სერჟს დღესვე მისთხოვდეს. მხოლოდ წმიდათაწმიდა ქორწინება იხსნის სულის წაწყმედისაგან! თუ მისი მშობლები მოხერხებულობას და ოსტატურ სიმარჯვეს გამოიჩენენ, ეს სამარცხვინო ამბავი ხალხის ყურამდე ვერასოდეს მიაღწევს!“

ანდრე საზარელმა მრისხანებამ შეიპყრო. ამ საზიზღარი ქალის დანახვაც კი აღარ უნდოდა.

„ხომ გითხარით, მონიკს სერჟი მთელი გულით სძულს-მეთქი?! როგორ უნდა გაჰყვეს ცოლად?! მითხრა, უმალ თავს მოვიკლავ, ვიდრე მას მივთხოვდებიო!“ – დაუყვირა გაწიწმატებულმა. მის თვალებში

გააფთრებული სიძულვილი და უმწეობა იკითხებოდა.

„თავს არ მოიკლავს! ეს სიძულვილი მალე უკვალოდ გაქრება, ქმარი შეუყვარდება და შესანიშნავ ცოლად და მზრუნველ დედად იქცევა, კერის ანგელოზად! ამაზე ფიქრი სულ ოდნავ მთრგუნავს, მაგრამ მამაკაცებთან შესაბრალისად წანწალს მშვიდი ოჯახური ცხოვრება ერჩივნოს! არ მინდა, თავი დაიღუპოს, გარყვნილებისა და ზნედაცემულობის მორევში გადაეშვას და საყვარლები ცხვირსახოცებივით იცვალოს! ძალიან ახალგაზრდა ხართ, ცხოვრებას არ იცნობთ, ანდრე. დამიჯერეთ, მონიკისთვის ასე აჯობებს,“ – მიუგო შანტალმა მშრალად.

ანდრემ თვალს მომდგარი ცრემლი ძლივს შეიკავა, ამ ურჩ ცხენს ლაგამი ამოსდო და რაღაც ამოილუღლუღა.

„რა?! არ მეთანხმებით?!“ – ჰკითხა გაბრაზებულმა შანტალმა.

„ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე მოგვექცეოდით!“ – უთხრა ანდრემ.

პლატარს თმა ყალყზე დაუდგა იმ აჯაგრული ცხოველივით, უმოწყალო ორთაბრძოლისთვის რომ ემზადება და კბილებს ილესავს.

– ამის თქმა როგორ გამიბედეთ! როგორ არა გრცხვენიათ?! მე კი ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თქვენ და თქვენი მეგობარი ასეთ უნამუსობას იკადრებდით! მონიკმა ჩემი ნდობით ბოროტად ისარგებლა და თვალში ნაცარი შემაყარა. თავიდანვე რომ მცოდნოდა, როგორი სამარცხვინო ურთიერთობა ჰქონდა სერჟთან, უთუოდ ვეტყოდი, დაშორდი-მეთქი! ო, ასე როგორ გამასულელეს?! რატომ ავუბი მხარი ასეთ გარყვნილ ბავშვებს?! მონიკს ამ ბინძურ ჭაობში არ უნდა ჩავეთრიე! ო, რა გულისამრევია!“ – შეჰყვირა განრისხებულმა და მიწას ფეხი გამეტებით დაჰკრა; სადაც იყო, ცრემლი წასკდებოდა.

თავზარდაცემული ანდრე უეცრად გახევდა და ძალ-ღონე გამოეცალა.

„კარგი... უმჯობესია, წავიდე და მონიკს ყველაფერი შევატყობინო,“ – თქვა მან, საძულველ ქალს ზურგი აქცია და თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

***

სევინიეს სახელობის ლიცეუმში, ცირკის დიდ დარბაზში ყოველ წელს იმართებოდა დაჯილდოების ცერემონია. ამ საზეიმო, დიდებულ მოვლენას მასწავლებლები წინკარში ელოდებოდნენ. შანტალი ყველა პედაგოგზე გვიან მივიდა სასწავლებელში; მოსწავლეების მშობელთა კავშირის წევრები, ორი გენერალი, სახელმწიფოს მთავარი

მეხაზინე, მუსიე ლაკომბი და მისი რამდენიმე თანამშრომელი ამაყად გაჯგიმულყვნენ. ატლასის შავ კაბაში გამოწყობილი დირექტორი პრეფექტს ესაუბრებოდა; მეტრალს ოქროსფრად მოსირმული კაბა ეცვა და ხან ვის ელაქლაქებოდა და ხან – ვის; მისი აუტანელი ზუზუნი მთელ დარბაზში ისმოდა; შანტალი გრძნობდა, რომ საღამოჟამს თავის დღიურში ამ სცენის აღწერა ერთობ გაახალისებდა, მაგრამ მათ ხუმრობებს ვერ იმახსოვრებდა. ანდრესთან უკანასკნელი საუბრის შემდეგ ქლიავისფერი ყდით დამშვენებული უბის წიგნაკი არც კი გადაუშლია. ახლა იმასღა ნატრობდა, რუჟმონიდან თვალის დახამხამებაში გაქცეულიყო და ეს სულის შემხუთავი პროვინცია სამუდამოდ დაევიწყებინა.

ეროვნულმა ჟანდარმერიამ მარსელიეზა დასჭექა. სახელოვანი ადამიანების ამალა ესტრადისაკენ ისე მედიდურად გაეშურა, თითქოს, რაღაც საზეიმო ცერემონია დაწყებულიყოს. შანტალმა ერთ-ერთი სკამის საზურგეზე მიკრულ მუყაოს პატარა ნაჭერზე თავისი გვარი ამოიკითხა და მადმუაზელ ლაკომბის უკან მოკალათდა. ამ პატივსაცემ ქალს გამჭვირვალე კაბა ვარდისფერ კორსეტს ვერ უფარავდა. საბედნიეროდ, მთავარმა მეხაზინემ ამ ღირსსაცნობ დაწესებულებას პატივი დასდო და ღონისძიების გაძღოლა ითავა. როცა აღფრთოვანებული მადმუაზელ ბიდუა სამადლობელ სიტყვას წარმოთქვამდა, შანტალი დარბაზს ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა; თითქოს, ველარც კი იცნო მუსლინისა და თავთის კაბებში გამოწყობილი პატარა გოგონები; ნუთუ ესენი სწორედ ის თითისტოლა მოწაფეები იყვნენ, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ ასწავლიდა?! საყურეები, კულულები და მუარის ბაფთები შვენოდათ და სულ სხვაგვარი გამომეტყველება მიეღოთ. გაოგნებული მასწავლებელი სამარადჟამოდ შეცვლილ მათ სახეებს თვალს ვერ სწყვეტდა. „ეს ქალიშვილები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ მყუდრო, ბურჟუაზიულ, წმინდა კერას! ოჯახის გულშემხარავ ჯურღმულს თავს ვერასოდეს დააღწევენ! ახლა არდადეგების გარდა ველარაფერზე ფიქრობენ,“ – გაიფიქრა სევდამორეულმა, მოეჩვენა, რომ მელანქოლიის უფსკრულში გადაეშვა და უმადურ ბავშვებსა და მსწრაფლწარმავალ ყმაწვილქალობაზე ფიქრმა წაიღო. მთავარი მეხაზინე გაუთავებლად ენამზეობდა დიადი საფრანგეთის ეკონომიკაზე.

მონიკი ცერემონიას არ დასწრებია. ათი დღით ადრე მისმა მშობლებმა მთელ ქალაქს ახარეს, ჩვენი ქალიშვილი სულ მალე გათხოვდებაო. საქმროს მშობლებთან, სოფელში ისე გაემგზავრა, შანტალს გამოსათხოვარი წერილიც კი არ მისწერა! ანდრე მეოთხე

რიგში იჯდა; უგემოვნო, ღია ლურჯ კაბაში გამოკვართულიყო; შანტალმა თვალი აარიდა; ყველაფერი დასრულებულიყო; მათი ოდინდელი სიახლოვე სამუდამოდ განქარებულიყო.

„ხვალ ამ პროვინციიდან შორს, ძალიან შორს ვიქნები!“ – გაიფიქრა შანტალმა და გულს მოეფონა. რა სასაცილო ამბავი გადახდა თავს! ზიზღით გააჟრჟოლა; მოაგონდა, როგორი სიყვარულით გაჟღენთილი წერილები მისწერა თავის მეგობრებს, როგორ ასხამდა ხოტბას მონიკსა და სერჟს, ამ „გულანთებულ მიჯნურებს“! თურმე, რა მწარედ შემცდარა! წრფელი და წმინდა გრძნობა მათთვის სრულიად უცხო ყოფილა! ორიოდე კვირა აკვიატებულად იმეორებდა რამდენიმე ფრაზას: „მონიკის მოიისფრო თვალები, მისი მიამიტი, ბავშვურად უცოდველი ტუჩები, კლარა დელებეზის ბაგეს რომ მაგონებდა, ეს ბავშვური, ესოდენ ტრაგიკული, სპეტაკი და უმანკო სიყვარული...“ ო, როგორ გაბრუებულა ლამაზი ტყუილის ბანგით! მონიკმა დასცინა და მისი კეთილგანწყობით ბოროტად ისარგებლა! შანტალი სირცხვილით ყურებამდე გაწითლდა, რადგან გაახსენდა, რომ აპრილის ერთ მშვენიერ საღამოს თავის დღიურში ჩაწერა: „რა მშვენიერი წყვილია! ვაღმერთებ სიყვარულით გულანთებულ ამ ბავშვებს! მათ სახეებს ვუყურებ და მეჩვენება, რომ „დიდი მოლნის“ ფურცლებიდან დიდებულად ამობრწყინდნენ; რაწამს ამ ზეციურ ქმნილებებს თვალი შევავლე, უნებურად მომაგონდა ახალგაზრდა ფრანსი და მისი თხუთმეტიოდე წლის საცოლე.“ რა ბრმა და უგუნური ყოფილა! ალბათ, იმ საღამოს ეს აღვირახსნილი საყვარლები ურცხვად დატკბნენ ხორციელი სიამით, მერე კი მას ეახლნენ! ვერ დაეჯერებინა, რომ ვნებიანად აცახცახებულმა და ფლიდმა არსებებმა მისი წმინდა საუფლოს კარის შეღება გაბედეს! ალბათ, რა ამაზრზენად დასცინოდა სერჟი, როცა შანტალი ეუბნებოდა, ჩერჩეტ პროვინციელთა დრომოჭმულ ადათ-წესებს არ დაემორჩილოთ, თქვენს გულში აგიზგიზებულ ამბოხების ნაპერწკალს ნუ ჩააქრობთ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ასეთი საარაკო შეურიგებლობა და მებრძოლი სულისკვეთება შეინარჩუნეთ და მჩაგვრელი ტრადიციები ულმობლად შემუსრეთო. კიდევ კარგი, ბილწმა ახალგაზრდებმა ამ სპეტაკი ქალის ღირსებას ჩირქი არ მოსცხეს და საქვეყნოდ არ მოსჭრეს თავი! „სახელის გატეხვას ძლივს გადავურჩი! ო, რა ამაზრზენია!“ – გაიფიქრა განრისხებულმა შანტალმა და ვიღაცის ხმა შემოესმა: „მეორე ა კლასი. უმაღლესი ჯილდო გადაეცემა ანდრე ლაკომბს!“ ფეხზე წამომდგარი, თეთრი ხელთათმნებით დამშვენებული მთავარი ზედამხედველი ლაურეატთა სიას კითხულობდა; რა თბილი და საამო

ხმით წარმოთქვა ანდრეს სახელი! უეცრად მქუხარე ტაში გაისმა, მადმუაზელ ლაკომბმა კი გოროზი გამომეტყველება მიიღო, მკერდი წინ წამოსწია და კიდევ უფრო გაიფხორა; ანდრეს ასეთი ბრწყინვალე წარმატება არასოდეს მოეპოვებინა! საბედნიეროდ, თავდაუზოგავ შრომას უკვალოდ არ ჩაევლო! ტყუილად როდი უთენებია ღამეები ბერძნული და ლათინური ტექსტების კითხვაში! როგორც იქნა, მისი გულმოდგინება, ღვაწლი და სიბეჯითე საკადრისად დაფასდა! პედაგოგებმა დიდების შარავანდედმოსილი მოწაფის მამასა და მამიდას ისე გაუღიმეს, თითქოს, ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდათ და საუკუნო თანამზრახველები ყოფილიყვნენ.

ანდრე წამოდგა; ნაბიჯი უშიშრად გადადგა; უმანკო ქალიშვილივით არ დაურცხვენია, მაგრამ არც გაჰღიმებია; დამრიგებელმა წიგნებით სავსე შეკვრა გადასცა და სცენისაკენ უბიძგა. „წადით, მამას აკოცეთ!“ – ყურში ჩასჩურჩულა დირექტორმა. გზას მორჩილად გაუყვა; მუსიე ლაკომბმა მეტისმეტად თეატრალური ჟესტით ჩაიკრა გულში; მამიდასაც მიუახლოვდა, მანაც შუბლზე აკოცა საამაყო ძმისწულს. ანდრემ პლატარს სულ ახლოს ჩაუარა, ქალმა კი თავი მიაბრუნა, რათა მის ჯიუტ მზერას არ შესჩეხებოდა.

„ოდესმე, ისიც თავისი ოჯახის წევრებივით ამაზრზენ პედანტად იქცევა!“ – გაიფიქრა გაბრაზებულმა შანტალმა; თავზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ ესოდენ სასაცილო თავდაჯერებითა და კადნიერებით აღსავსე გოგონა მის გაკიცხვასაც კი ბედავდა! ამ უტიფარ ლაკომბს თავი ყოვლისშემძლე დედოფალი ხომ არ ეგონა?! შანტალს მისი დანახვაც კი აღარ უნდოდა! ისეთი გაღიზიანებული იყო, ჩანთაში ერთი მოხუცი სევრელი პროფესორის, რამონეს წერილი რომ არ სდებოდა, ცრემლიც კი წასკდებოდა. კიდევ კარგი, ამ სულგრძელმა და თავაზიანმა კაცმა მისი თხოვნა შეისმინა და შარტრში მასწავლებლად დანიშნა! სულ მალე გაეცლებოდა ამ ბნელ სოროს! მომქანცველი სიცხე გულს მძიმე ნისლად დასწოლოდა; მისი ძველებური ირონია და სარკაზმი სადღაც გამქრალიყო; ადამიანური ყოფის კომიკურობას მძაფრად ვეღარ გრძნობდა; მისი მგზნებარების ცეცხლიც კი მინავლებულიყო და მის გულში უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა.

როგორც იქნა, მტანჯველი დაჯილდოება დასრულდა; მასწავლებლები სცენიდან ჩამოვიდნენ; მოსწავლეები და მათ მშობლები აუტანელი ხმაურით დაახრიგინებდნენ სკამებს აქეთ-იქით; დიდი ალიაქოთი და ღრიანცელი იდგა; მოღიმარი ქალიშვილები, ქალები და მამაკაცები დარბაზში დარბოდნენ და გაუთავებლად ფაციფუ-

ცობდნენ; შანტალი ამ ქარბორბალას თვალს ვერ აცილებდა და თავბრუ ეხვეოდა; თავაზიანად, ძალზე გრაციოზული იერით ესაუბრებოდა და სიხარულით ართმევდა ხელს გოგონების ამაყ მშობლებს, რომლებიც სამადლობელ სიტყვებს არ იშურებდნენ მისთვის; ახალგაზრდა მასწავლებელს ყველანი სახეგაბრწყინებულნი შესცქეროდნენ; რაწამს ვიღაცის ცრემლმორეული, შავი თვალები დაინახა, იგრძნო, რომ უკვალოდ გაქრა ის სევდა, მის გულს საავდრო ღრუბლად რომ შემოსჯარვოდა; ამ ნორჩ შეგირდთა სიცოცხლის გარიჟრაჟზე, ამ თვალწარმტაც გაზაფხულზე, გოროზი კერპივით სამარადჟამოდ აღიმართებოდა სელის კოსტიუმში კოხტად გამოწყობილი მისი ნატიფი და ჩამოქნილი სილუეტი და სამყაროს თვალისმომჭრელ ბრწყინვალებას მოჰფენდა; ძველთაძველ, პროვინციულ სასწავლებელში ამ იდუმალებით მოცული, ურთიერთასწინააღმდეგო მისწრაფებებით აღვსილი, უცნაური ქალის გამოჩენაც კი ნამდვილი სასწაული იყო! მან ხომ პირქუშ ლიცეუმს სასიცოცხლო სუნთქვა შთაბერა, მის რუხ კედლებს ჯადოსნური ფერები მიანიჭა და ყველა მონუსხა?! მის სხივმოსილ ხატებას ამ ხალხის გულში საუკუნოდ დაევანებინა. უეცრად, თითქოს, ზეციურ ნათელში გაეხვია და თავისი წარსული საოცარი სიცხადით დაინახა... დილაობით გულმხიარულად, მხნე ნაბიჯით მიუყვებოდა პროვინციულ ქუჩას, საღამოობით ოცნებამორეული დაეხეტებოდა ტაძრის საამო ჩრდილში, გუნებაში მაღალფარდოვნად ესაუბრებოდა ვიღაც უხილავს და არისტოკრატთა ძველთაძველ სალონში მოხუცი ქალის იდუმალ აღსარებას უგდებდა ყურს... „რა მრავალფეროვანი და სისხლსავსე ცხოვრება მქონდა აქ!“ – გაიფიქრა გულამგერებულმა. სხვათა თვალებში უკვდავმყოფელი შარავანდედით მოსილ თავის საარაკო ხატებას ხედავდა და ნეტარების მორევში იძირებოდა; უდიდესი ჯილდოც კი ვერ აღავსებდა საოცრებათა მოტრფიალე მის გულს ასეთი მასულდგმულებელი სიხარულით!

***

ანდრე წუთით კარის ღიობში გაირინდა. ამ ღრიანცელის, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სკამების, საშინელი ორომტრიალის, გამაყრუებელი სიცილისა და შეძახილების ოკეანეში დანთქმული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყოფოდა და იშლებოდა, მაგრამ დარბაზი მაინც არ იცლებოდა და თითქოს, აქოჩრილი ზვირთებიდან პატარა კუნძულები ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს. პლატარს ვიღაც გოგონასთვის მხარზე ხელი ჩამოედო, ბაგეზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა და

თავაზიან ფრაზებად იღვრებოდა; ამ საზიზღარი ქმნილებისთვის თბილ გარემოს თავბრუ დაეხვია. აი, ასეთად დაამახსოვრდებოდა ანდრეს იგი. ამ შემზარავ უკანასკნელ ხატებას კუბოს კარამდე ვერ განდევნიდა. გრძნობდა, ყველაფერი სამუდამოდ დასრულდა, ოდინდელი აღფრთოვანება, გონდაკარგული თაყვანისცემა, იმედი, სინანული... სინანულიც კი განქარებულიყო...

„წამოდი, ანდრე!“ – მჭახედ შესძახა მადმუაზელ ლაკომბმა. ბრწყინვალე საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი, მეტად პატივ-საცემი და-ძმა შინისაკენ მიმავალ გზას მედიდურად გაუყვა; მათ მორჩილად გაჰყვა წიგნებით ხელდამშვენებული ანდრეც. მის კაბასა და უზარმაზარ ქუდზე შემოხვეულ ბაფთას თვალისმომჭრელად აელვარებდა მზის სხივები; ჯოჯოხეთური სიცხე იდგა, ოფლი ღვარად სდიოდა და აბრეშუმის კაბა კანზე ეწებებოდა. ხალხი თვალს აყოლებდა და დაჟინებით აცქერდებოდა. „სიკვდილი მინდა!“ – გაიფიქრა ანდრემ.

თუმცა, სიკვდილი ასე იოლი როდი იყო! მონიკმაც კი ვერ მოისწრაფა სიცოცხლე... ეს საშინელი მუქარა ვერა და ვერ აღასრულა. მშობლებს სიმართლე გაუმხილა და ერთ თვეში სერჟს ცოლად გაჰყვებოდა. ქალიშვილის „უსაქციელობით“ განრისხებულმა მუსიე ფურნიემ განაცხადა, მზითევის მიღების იმედიც კი ნუ ექნებაო. მონიკი ერთი მიყრუებული სოფლის ბოლოში დედამთილთან და ქმართან ერთად იცხოვრებდა, მისი ცხოვრების უფერული დღეები ქსოვასა და ქარგვაში გაილეოდა, საღამოობით „T.S.F“-ს მოუსმენდა (ფრანგული რადიოსადგური. მთარგმნ.), შეეცდებოდა შვილის, თავისი სისხლ-ხორცის შეყვარებას, რათა ნუგეში ეპოვა და ერთხანს დარდი მაინც გაექარვებინა. ანდრე მას წელიწადში ორიოდეჯერ ესტუმრებოდა, მალე, ალბათ, ერთმანეთისთვის სათქმელიც აღარაფერი ექნებოდათ და მათ შორის მდუმარების ფარდა დაეშვებოდა.

ანდრემ თავისი ოთახის კარი მიიხურა, კაბა გაიძრო და საწოლზე პერანგისამარა წამოწვა. ისეთი აუტანელი ზუზუნი ჩაესმოდა, თითქოს, სადაც იყო, თავი გაუსკდებოდა; უნდოდა, ნელ-ნელა ჩაძირულიყო ამ ნეტარი გახევების ტალღებში და აღარასოდეს განძრეულიყო, მაგრამ, საუბედუროდ, სადაც იყო, მამიდამისი შემოაღებდა კარს და უსაყვედურებდა, ძალიან ზარმაცი ხარო. „ადამიანს მარტოოდენ ენთუზიაზმისა და ზეციური აღტყინების წყალობით ძალუძს დი-ადი შედევრის შექმნა!“ – ამაყად აუწყებდა კედელზე გაკრული ერთ-ერთი ფურცელი. უნდა წამომდგარიყო; სევდით, – ამ ბილწი სიამით ხომ მარტოოდენ ზნედაცემული ადამიანები ტკბებოდნენ?! ამ სულწამწყმედი ფუფუნებისა და განცხრომისათვის თავი არ უნდა მიეცა!

ტილოს კაბა გადაიცვა, ოთახიდან გავიდა და მამიდას ჰკითხა: „შეიძლება, მადმუაზელ პლატარს დავემშვიდობო?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო. წადი და ჩვენგანაც გულწრფელი მადლობა გადაეცი, – მიუგო მადმუაზელ ლაკომბმა, რომელსაც შანტალი გულზე არ ეხატებოდა, თუმცაღა, ძალიან ემადლიერებოდა, რადგან ანდრემ სწორედ მისი წყალობით მიაღწია ასეთ ბრწყინვალე წარმატებას.

გოგონა ოტელდევილის ქუჩას გაუყვა და კათედრალის მოედანზე გავიდა; პტიტზოს (სიტყვასიტყვით ნიშნავს „პატარა ჩიტს.“ მთარგმნ.), ქუჩაზე, მდინარის სიახლოვეს, ვიღაც ლოთს ჩასძინებოდა; საბრალოს, მუხლებშუა წითელი ღვინით სავსე ბოთლი გაეჩარა; ბავშვები დაგუბებულ, მყრალ წყალში აფურთხებდნენ; ჰაერში მძიმე სუნი ტრიალებდა; ანდრე ნაპირისკენ გაეშურა; სულ მალე ქალაქის ბოლოს გავიდა; დიდხანს, ძალიან დიდხანს დაეხეტებოდა; არსად ეჩქარებოდა, არაფერს დაეძებდა... მის თვალწინ კვლავ უსახური სანახაობა გადაშლილიყო: ისევ ის უძირო, საშინლად გონჯი, მოჭურუხებული ცა, სულშემხუთავი სიცხე... ამ შემზარავ ურჩხულს მსახვრალი დრო-ჟამიც კი ვერაფერს დააკლებდა; ეს უკიდეგანო, ხრიოკი უდაბნო მარად და მარად სევდის ჭაობში იქნებოდა ჩაფლული; ამიერიდან ვეღარავინ გაიზიარებდა ანდრეს გულისტკივილს, დარდსა და საშინელ მოწყენილობას; ეულად შთენილს, ძეხორციელი არ ანუგეშებდა და სისხლმდინარ იარებს არ მოუშუშებდა; მარტო იყო, სრულიად მარტო და ძალიან ეშინოდა; მის გულს საზარელი ძრწოლა უმოწყალოდ ასობდა ყინულივით ცივ კლანჭებს.

შინ დაბრუნება აღარ უნდოდა; როცა დერეფანში დაფენილი ლურჯი ხალიჩა ახსენებოდა, გულს აზიდებდა. ქალაქის შუაგულში აღმოჩნდა; „ბრასერი ფრანსუასაკენ“ გაემართა; გრძელი კორიდორი თითქმის ცარიელი იყო; ტყავგადაკრულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. რა უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა! ოდესღაც აქ მონიკთან ერთად დადიოდა, ახლა კი გრძნობდა, რომ იმ სხივმოსილ დღეთა ხატება სამარადისოდ დასამარებულიყო.

„ფინჯანი ყავა მომიტანეთ,“ – შეუკვეთა გოგონამ. მისგან შორს, ხელმარცხნივ, ორი კომივოიაჟერი პერნოს სვამდა; ანდრე ერთხანს დაჟინებით შესცქეროდა მათ, მერე კი მზერა კედელზე გაკრულ წითელ პლაკატს მიაპყრო. კარგა ხანს აკვირდებოდა დიდი ყვითელი ლაქებით ადგილ-ადგილ ამოჭმულ ამ სიმახინჯეს და შეამჩნია, რომ ზოგ ლაქას ცხოველის ფორმა ჰქონდა, ზოგს კი – მცენარის. კაფეში თითქმის გრილოდა.

გახევებული და მონუსხული ანდრე ლაქებს თვალს ვეღარ სწყვეტდა; ხვალინდელ დღეზე ფიქრი არ უნდოდა; იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, რომ კვლავ იმ ხალიჩადაფენილ, საძულველ დერეფანში შეაბიჯებდა, ზაფხულის არდადეგებს მამასა და მამიდასთან ერთად გაატარებდა, მერე კი ამ მოსაწყენ ქალაქში დაბრუნდებოდა და კუბოს კარამდე ეულად იცხოვრებდა; ორ წელიწადს ლიცეუმში ისწავლიდა და სევრში, ან „ეკოლ ნორმალში“ შევიდოდა... მისი სიცოცხლის დღენი აქ, ამ ბნელ სამარეში გაილეოდა. უეცრად, თვალთ დაუბნელდა; კედლის ლაქებს თითქოს ნისლის თალხი საბურველი გადაეფარა; სარკეებიან კაფეში პატარა გოგონა მაგიდას მისჯდომოდა, წინ შავი ყავით სავსე ფინჯანი ედგა; თავის ანარეკლს გაუღიმა; მანაც ღიმილით უპასუხა. „უძლური ვარ... ბედისწერას ვერ გავექცევი... მიუხედავად ყველაფრისა, ოდესმე, ერთ ავბედით დღეს, ჩემი სილამაზე და ახალგაზრდობა უკვალოდ გაქრება,“ – გაიფიქრა მან.

ლიზა

ლიზა ნარდეკი სენტ-ანჟის სასწავლებლის აღსაზრდელი იყო. ეს პანსიონი საქველმოქმედო დაწესებულება გახლდათ, თუმცა, დირექტორისთვის გვარიანი შემოსავალიც მოჰქონდა; ღარიბ-ღატაკ გოგონებს ეს დიდსულოვანი, გულმხურვალე კათოლიკე ქალი, მადამ ლერუა, ლუკმა-პურს და თავშესაფარს აძლევდა; მისი წყალობით აღსაზრდელები უმაღლესი განათლების უშრეტ წყაროს უსასყიდლოდ ეწაფებოდნენ; სწავლის დასრულების შემდეგ კი მადლიერებით აღსავსე გულკეთილი მოწაფეები აუცილებელ და თანამედროვე განათლებას აძლევდნენ ოტეის უბნის მსხვილ-მსხვილ, ჯიბესქელ და მორწმუნე ბურჟუათა ქალიშვილებს, რომელთა რჩენაც ძვირი არ უჯდებოდათ; გოგონები დიდ ცოდნას იღებდნენ, სარწმუნოების საიდუმლოსაც ეზიარებოდნენ და სიღრმისეულად შეისწავლიდნენ წმინდა წიგნებსა და საღმრთო სჯულს; მათი მორწმუნე მშობლები მადამ ლერუას ამ უდიდეს წყალობას და სამაგალითო ქრისტიანულ სათნოებას სათანადოდ აფასებდნენ და ღვთივკურთხეულ სასწავ-ლებელს დაუნანებლად სწირავდნენ ხოლმე დიდძალ ფულს. მადამ ლერუა ბედნიერი იყო, რადგან ასე ჰარმონიულად უხამებდა ერთიმეორეს ღვთისმოსაობასა და ამქვეყნიურ სარგებელს. პან-სიონის მართვა მეტისმეტად მძიმე მოვალეობად ესახებოდა; ყო-ფილი შეგირდები ამ სულგრძელ ადამიანს უშურველად ეხმარე-ბოდნენ, დიპლომის მოპოვების შემდეგ სასწავლებლიდან ფეხს არაფრისდიდებით აღარ იცვლიდნენ და ბავშვებს უსასყიდლოდ, სიხარულით გადასცემდნენ ცოდნას, რადგან სურდათ, თავი ესახელებინათ უანგარო სიყვარულითა და თავდადებით და ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ წიგნების კითხვაში გათენებულ ღამეებს უკვალოდ არ ჩაევლო. სწორედ ამ უანგარო ქალებმა დააარსეს მასწავლებელთა კავშირი, რომელსაც საოცრად სასიამოვნო სიმკაცრითა და უდრეკი სიმტკიცით მართავდა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, მადმუაზელ ლამბერი, რომელიც იდუმალმა განგებამ მადამ ლერუას შეახვედრა; ეს უკანასკნელი ამ საოცარ ქმნილებას ცით მოვლენილ ღვთაებასავით ეთაყვანებოდა და უფალს დღედაღამ მადლობას სწირავდა, თავისი ცხოვრების გრძელ გზაზე ამ თვალხილულ სასწაულს, მადმუაზელ ლამბერს რომ გადაეყარა! მოსწავლეებს და მასწავლებლებს მისი კუშტი მზერაც კი სიხარულით ავსებდათ. მისი თანამშრომლები ამბობდნენ, საქმრომ,

რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა, უსინდისოდ უღალატა, გულმოკლულმა ქალმა გადაწყვიტა, მიწიერ ნეტარებაზე სამუდამოდ ეთქვა უარი, ამაო წუთისოფელს განშორებოდა და მყუდრო პანსიონისთვის შეეფარებინა თავიო. მოსწავლეებს ეჩვენებოდათ, რომ ამ ქალის ღიმილში ერთგვარი სევდანარევი, ტრაგიკული სინაზე იმალებოდა; ეს საბრალო ქალი ყველას თავგანწირვისა და ვნებიანი სიყვარულის ნაპერწკალს უღვივებდა; მეგობრებს სურდათ, ფიანდაზად დაჰგებოდნენ ცხოვრებისგან გათელილ, სვეგამწარებულ ქალს, მაგრამ ის კი აღარ იცოდნენ, ეს სურვილი მის ტანჯულ-გვემულ გულს მალამოდ დაედებოდა თუ პირიქით – კიდევ უფრო საშინელ ტკივილს მოჰგვრიდა; თითქოს, ამ პირქუში, იდუმალებით მოცული ქალისთვის უცხო იყო შებრალება და გულის აჩუყება; პანსიონიდან ის თავქარიანი, ჭირვეული და ჭკუათხელი გოგონებიც კი გარიცხა, რომლებიც გაუთავებლად მასზე ლაქლაქებდნენ და თავიანთ დღიურებშიც კი ხოტბას ასხამდნენ მის ცივ, მქრქალ თვალებს, სასტიკ მზერასა და ლამაზ შუბლზე მკაცრად ჩამოყრილ შავ თმას; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერი სტუდენტების სულში აღმოცენებულ ღვთისმოსაობის მარცვალს გულმოდგინედ აღვივებდა; ამ ფრთაშესხმულ გოგონებს ხომ სურდათ, ცხოვრება უფლისთვის მიეძღვნათ?! მადმუაზელ ლამბერის მგზნებარე სიტყვებს, საარაკო ენამჭევრობას, მეტყველ, ღრმა და გულშიჩამწვდომ მზერას მათში ზეციური ცეცხლი აეგიზგიზებინა.

მასწავლებელი ყოველ დილას თავის კაბინეტში ჩაიკეტებოდა, სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა და გავეშებით წერდა სამეცნიერო ნაშრომს დუნს სკოტზე (შოტლანდიელი თეოლოგი, ფილოსოფოსი, სქოლასტიკოსი და ფრანცისკანელთა ორდენის წევრი. მთარგმნ.); მის საწერ მაგიდაზე დახვავებულ ფურცლებზე მელნის ზღვა იღვრებოდა; მიაჩნდა, რომ პროფესიულ კვლევა-ძიებაზე, სახელის მოხვეჭასა და ამქვეყნიურ წარმატებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი გახლდათ ადამიანთა სულებზე ზრუნვა; ამიტომაც, მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ, მისთვის ნებისმიერ დროს მიეკაკუნებინათ და ეთხოვათ მორალური მხარდაჭერა, დედაშვილური რჩევა-დარიგება, სასწავლებლიდან დროებით წასვლის ნებართვა ან დახმარება; ფილოსოფოსი პედაგოგი ხშირად აგულიანებდა მათ და ეუბნებოდა, თქვენი აზრები, გულის საიდუმლოებები თუ დარდი გამიზიარეთო, მაგრამ თავდაჭერილი და ზრდილი ქალიშვილები დიდ პატივს სცემდნენ და თავს უფლებას არ აძლევდნენ, ოთახში განმარტოებული, ქაღალდებისა და წიგნების მორევში ჩაძირული

ნიჭიერი ქალი შეეწუხებინათ; მისი მყუდროების დარღვევა ნამდვილ მკრეხელობად მიაჩნდათ! ერთ დილას მას კაბინეტში ლიზა ნარდეკი ეახლა; მადმუაზელ ლამბერს გაუკვირდა, რადგან მიაჩნდა, რომ მათი ძველებური სიახლოვე კარგა ხნის წინ დასრულდა?!

„რა გნებავთ, ჩემო პატარა ლიზა?!“ – ჰკითხა თავაზიანი ღიმილით, მაგრამ ამ ავადმყოფურად გამხდარი და ფერმკრთალი ქალიშვილის დანახვამ თავზარი დასცა (უკვე მერამდენედ!). ის ხომ ერთობ თვალტანადი და ჯანმრთელი გოგონა იყო, როცა პარიზში ჩამოვიდა?! მადმუაზელ ლამბერს სურდა, მას ფილოსოფიის ლიცენციატის წოდება მოეპოვებინა, გამოცდებისთვის გულმოდგინედ ამზადებდა და დღე-ღამეს მუხლჩაუხრელ შრომაში ასწორებინებდა. იმედი ჰქონდა, რომ ლიზა წარმატების მწვერვალებს დაიპყრობდა; ძალიან მოსწონდა მისი ორიგინალური, საოცრად ნატიფი პასუხები და გამორჩეულად საყვარელ მოსწავლეს გაცხოველებული ინტერესით წვრთნიდა. ფიქრობდა, თუ ღმერთი წყალობის თვალით გადმოხედავს, გონებას გაუნათებს და გამოცდებს ჩააბარებინებს, სასწავლებელში დიდ სამსახურს გამიწევსო, მაგრამ სამწუხაროდ, ხელი მოეცარა. დადარდიანებული მადმუაზელ ლამბერი გრძნობდა, რომ საბრალო ქალიშვილი ოთხიოდე წელიწადში ურწმუნოებისა და უგრძნობლობის მორევში შთაინთქა; თითქოს, გული გამოუშრა; უკვალოდ გაქრა მისი ესოდენ იშვიათი და დიადი თვისებები – წესიერება, თავდაჭერილობა, კდემამოსილება, გულწრფელობა, საოცარი მახვილგონიერება, სიზუსტე, ურყევი სამართლიანობა და მწარე ირონია; ამ თესლიდან მწიფე, ტკბილსურნელოვანი ნაყოფი არ აღმოცენდა; ეს ნიადაგიც კი ერთიანად გამოფიტული და ბერწი გამოდგა; ფასდაუდებელი საუნჯე ქალიშვილს სიმწრის ფიალად ექცა; ამ საზარელმა ბალღამმა მჟავასავით ულმობლად გამოფიტა და დაფუფქა; გამუდმებულმა გონებრივმა შრომამ დააუძლურა, დააჩაჩანაკა და მის ნატიფ სხეულს უჩვეულო სენი შეჰყარა; დარდმა სული მოუწამლა; ცოდნის მასულდგმულებელმა სხივმა ეს თითქმის გაძვალტყავებული და ულაზათო გოგონა სწორუპოვარი სიკეთით ვერ აღავსო, პირიქით: საშინლად დააკნინა, ყინვასავით დააზრო, დაამცრო და სამარადჟამო სიბერწე მიუსაჯა; მის თვალებსა და სიტყვებში სულის სიხარბე და სიძუნწე იკითხებოდა; თითქოს, უცხო თვალიც კი შეამჩნევდა, რომ ამ სათუთ და სუსტ არსებას დიდი დღე არ ეწერა; გამოცდის ჩაბარებას ვეღარასოდეს შეძლებდა; თავის დღეში ერთ წიგნსაც კი ვერ დაწერდა.

ლიზამ მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უთხრა:

„მადმუაზელ, მინდა, დღეს პარიზში გავემგზავრო, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩემს სადიპლომო ნაშრომზე ვიმუშაო და კბილის ექიმთანაც წავიდე“.

ქალი თითით მიეალერსა ქაშანურის ლურჯ ლარნაკში კოხტად ჩაწყობილ, გაფურჩქვნილ ვარდებს, გოგონას გამომცდელი მზერა მიაპყრო და ჰკითხა:

„სამშაბათს ხომ იყავით ბიბლიოთეკაში?

– დიახ, მაგრამ სასურველი წიგნი ვერ ვიპოვე.“

დიდი ხანი იყო, ლიზა ოტეიში ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელაც კი არ უთხოვია სასწავლებლიდან გასვლის ნება – ეს უდიდესი წყალობა. კეთილშობილი ქალი წარჩინებულ შეგირდებს პანსიონიდან ცოტა ხნით წასვლის უფლებას ყოველთვის აძლევდა. მაშ, რატომ უყურებდა ლიზას დღეს ასე ქედმაღლურად და მტრულად? მადმუაზელ ლამბერ-მა ისეთი უაზრო, არაფრისმთქმელი და მშრალი ხმით უპასუხა, თითქოს, უეცრად, საკუთარი „მე“ სრულიად დაკარგა: „ყველა საჭირო ნაშრომი მოგართვეს. მშვენივრად იცით, რომ შინაგანაწესი შეგირდებს უკრძალავს კვირაში ორი დღით ქალაქში წასვლას,“ – მიუგო, დაჟინებით დააცქერდა და დასძინა: „რა წიგნს ეძებთ?“

ლიზა ყოყმანობდა.

„ლაიბნიცისა და ჰობსის იდეები ერთმანეთს უნდა შევადარო. სამწუხაროდ, ჰობსის წიგნები არა მაქვს,“ – უპასუხა მან წუთის შემდეგ და ლურჯი ფარდებით დამშვენებულ ფანჯრებს უმეტყველო მზერა მიაპყრო; ამქვეყნად არავის, არავის ჰქონდა მასავით ჯიუტი, ღრმად ჩამჯდარი თვალები და მკაცრი, ბრეტონული შუბლი!

„ეს საკითხი ძალიან გაინტერესებთ? – არ მოეშვა მადმუაზელ ლამბერი.

– საკმაოდ,“ – მიუგო ლიზამ და იგრძნო, რომ ამგვარი თავ-მდაბლობა და მოკრძალება კიდევ უფრო საეჭვო ელფერს სძენდა მის სიტყვებს; „შემიძლია, ჰობსის წასაკითხად მომავალ კვირას წავიდე ბიბლიოთეკაში, მაგრამ კბილის ექიმი დღეს რომ მელო-დება?!“ – ნაჩქარევად და მოუქნელადაც კი დაამატა და მაშინვე მიხვდა, რა სულელურად წამოისროლა ეს საშინლად ტლანქი სიტ-ყვები: „შემიძლია, ჰობსის წასაკითხად მომავალ კვირას წავიდე ბიბლიოთეკაში!“ ძალზე იოლად დაყაბულდა ამ ღვარძლიან ქალს და უგერგილო საქციელით ეჭვის ნაპერწკალი კიდევ უფრო გაუღ-ვივა! მადმუაზელ ლამბერს მისი სიტყვები უმნიშვნელოდ კი არა, ძალიან უცნაურად ეჩვენა. სამარისებური მდუმარება ჩამოწვა; ლიზას ეჩვენებოდა, რომ ამ ტანჯვას ბოლო არასოდეს მოეღებოდა;

მასწვლებელს ჭერისთვის არაფრისმთქმელი მზერა მიეპყრო; გახევებული გოგონა უმეტყველო სახით ელოდა მის პასუხს.

„დიდხანს ნუ ვილაპარაკებთ ასეთ ფორმალურ, უმნიშვნელო და გაცვეთილ საკითხებზე! როგორც გსურთ, ისე მოიქეცით, ჩემო პატარა ლიზა!“ – როგორც იქნა, თქვა მადმუაზელ ლამბერმა თავისი მშვენიერი, სასიამოვნო ხმით, რომელიც, თითქოს, აურაცხელი სიმდიდრით აღავსებდა მსმენელს.

„დიდი მადლობა, მადმუაზელ!“ – დაიჩურჩულა დარცხვენილმა ლიზამ და ისე თავჩაქინდრული გაეშურა კარისკენ, მისთვის არც კი შეუხედავს.

„როცა დროს იხელთებთ, მცირე ხნით მაინც შემომიარეთ. თქვენი ნახვა ძალიან გამახარებს, – უთხრა ცნობისმოყვარეობით ანთებულმა ქალმა.

– დიდი მადლობა, მადმუაზელ“, – გაუმეორა ლიზამ. ამ პირქუშ სასწავლებელს თავს სულ მალე დააღწევდა, მაგრამ იოტისოდენა სიხარულსაც კი ვეღარ განიცდიდა; ეს ხანმოკლე თავისუფლება სევდის მორევში შთანთქავდა; კაბინეტის კარი გაიხურა; ღონემიხდილი, გარინდული და გულჩაწყვეტილი კედელს მიეყრდნო; ვეღარაფერზე ფიქრობდა; მის გულში უსახური სიცარიელე გამეფებულიყო.

***

ყოველთვის, როცა ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეაბიჯებდა, ლიზა ხედავდა, რომ 243-ე სავარძელში მარგერიტი იჯდა, მაგიდაზე უამრავი წიგნი დაეხვავებინა და ლამის ავი გამომეტყველებით იწერდა რაღაცას; რომანების სამყაროს წუთითაც არ შორდებოდა და დღე და ღამეს კითხვაში ასწორებდა... ამ მშვიდი გოგონას ნათელ, მომრგვალო სახეს ვერც სიბრაზე ამღვრევდა და ვერც დარდი, მაგრამ როდესაც ასე გულმოდგინედ და გატაცებით მუშაობდა, თითქოს უშნოვდებოდა კიდეც. იმ დღეს მხარს უმშვენებდა ვანდა, ერთი ახალგაზრდა, მწვანეთვალება პოლონელი ქალი. ლიზა 241-ე სავარძელზე ჩამოჯდა. „როგორ ხართ, ლიზა?“ – ჰკითხა მარგერიტმა საოცრად ალერსიანი ხმით, თითი წიგნებისკენ გაიშვირა და დასძინა: „როგორც კი წერას მოვრჩები, ფინჯანი ყავის დასალევად წავიდეთ“. ლიზამ არაფერი უპასუხა. მარგერიტი კვლავ ხარბად დაეწაფა ცოდნის წყაროს.

„ვირივით მშრომელია!“ – გაიფიქრა ბოღმამორეულმა ლიზამ. ო, რატომ ვერ ხვდებოდა მარგერიტი, რომ საბრალო გოგონა ახლავე უნდა დაემშვიდებინა და მისთვის დაკარგული რწმენა დაებრუნებინა?! ნატრობდა, გული მაცოცხლებელი იმედით ავსებოდა და ერთი

ნუგეშისმცემელი მაინც ეპოვა, მაგრამ მეგობარს მისი საწყალობელი გოდება არ ესმოდა! „რა მიუხვედრელი, ცივსისხლიანი, ჭკუათხელი და უგრძნობი ხალხია ეს ინტელექტუალები!“ – გაიფიქრა და ბიბლიოთეკის ბარათის შევსებას შეუდგა, მაგრამ ისეთ სასოწარკვეთას შეეპყრო, მარგერიტს თვალს ვერ აშორებდა; ის ხომ ყოველდღე, დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე 243-ე სავარძელზე იყო მიჯაჭვული?! ხანდახან კითხვას შეწყვეტდა და ცოტაოდენ წვრილად დაკეპილ შემწვარ ხორცსა და პურს ნაძალადევად გადაყლაპავდა; დაუდევრად იცვამდა; ყოველდღე იდაყვებგამოხუნებული, იღლიებგამომწვარი, მოწითალო-მოიისფრო კაბით დაიარებოდა.

„გამოცდის ჩაბარებას ვერასოდეს შევძლებ...“ – გაიფიქრა შეძრწუნებულმა ლიზამ; კარგად იცოდა, თუ ხელი მოეცარებოდა, ცოტაოდენი ფულის შოვნის იმედსაც სამუდამოდ გამოეთხოვებოდა და მალე შიმშილით სული ამოხდებოდა.

წამოდგა და ბარათი გაუწოდა ახალგაზრდა ბიბლიოთეკარ ქალს, რომელსაც უცნაურად რუხი სახე ჰქონდა; ყურებთან დაგორგლილი ნაწნავები „მაკარონს“ მოგაგონებდათ (ვარცხნილობის ამ სახეობას მაკარონი ეწოდებოდა. – მთარგმნ.); დღედაღამ ამ ოთხ კედელში იყო გამომწყვდეული; წუთით არ ჰქონდა მოცლა; მკითხველებს მორჩილად ართმევდა ყვითელ ბარათებს და ბეჭედს უსვამდა; ამ მოსაწყენ შრომაში ილეოდა მისი ცხოვრება; საზარელი დრო უსაშველოდ იწელებოდა; ბიბლიოთეკაში ყოველდღე ზღვა ხალხი ირეოდა, მაგრამ მკითხველებს სახეებზე არც კი უყურებდა; მხოლოდ მათ მოყვითალო თითებს ხედავდა; ამ მოკრძალებული თანამდებობის მოსაპოვებლად გამოცდაც კი ჩააბარა! რა არნახული გააფთრებით იბრძოლა, ამ უგვანი და პირქუში შენობის კარი რომ შემოეღო! ამგვარი ძაღლუმადური შრომა მოჰყირჭებოდა. „ო, სანამ ამქვეყნად საკადრისი ადგილის დამკვიდრებას შევძლებ, ფიქრით თავი გამისკდება!“ – გაიფიქრა ლიზამ.

მძიმე, მოწნული სავარძელი მაგიდისკენ ძლივს მიაჩოჩა და სადიპლომო ნაშრომის ფურცლები მაგიდაზე დააწყო. სამის ნახევარი იყო. ო, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს მტანჯველი მოლოდინი?! ნუთუ მარგერიტთან საუბარს ვერასოდეს ეღირსებოდა?!

წიგნებით ხელდამშვენებული თანამშრომლები მაგიდებს შორის დააბიჯებდნენ; დარბაზის ზედამხედველი ბიჭი, ხელში პულველიზატორი რომ ეჭირა, მთავარ გასასვლელში ნელი ნაბიჯით სცემდა ბოლთას; ყოველ ორ წამში რაღაც სასხურებელს თითს დააჭერდა, ტერებინთოს სურნელით გაჟღენთილ ბუშტულებს

ოდნავი შიშინით გადმოაფრქვევდა და მთელ ბიბლიოთეკას თალხი ღრუბლით ფარავდა. ლიზამ თავი ხელებში ჩარგო და საფეთქლები მოისრისა; არ უნდოდა იმ შეკითხვის დასმა, რომლის ჯოჯოხეთური სიმხურვალეც ბაგეს და ენას ულმობლად უდაღავდა; სადაც იყო, გულში შენახული სათქმელი ნიაღვრად აღმოსკდებოდა; იცოდა, ერთსაათიანი ტანჯვა-წამების შემდეგ მარგერიტთან დალაპარაკებას შეძლებდა. ამ ჯადოსნური სამყაროსთვის შეეფარებინათ თავი და მშვიდად კითხულობდნენ სწავლულები, სტუდენტები, განათლების მიღების შლეგი წყურვილით განახელები, აკვიატებული იდეებით შეპყრობილი, საზოგადოებისგან გარიყული, ბედკრული თავმდაბალი ადამიანები (ბიბლიოთეკას ხომ ყველაზე ხშირად ასეთები სტუმრობდნენ?!); ისმოდა ფურცლების შრიალი და ჩუმი, მოგუდული ხვეულება. ლიზა შესცქეროდა სულშემხუთავ შენობაში გამოკეტილ ამ ერუდიტებს და გრძნობდა, როგორი ხმაურით ასკდებოდა სისხლის ტალღები მის სახეს; ერთი სიტყვის წაკითხვაც კი ვერ შეძლო; თვალები აუჭრელდა და სუნთქვა შეეკრა; თავისი ტვინი იმ უსახურ მექანიკურ ხელსაწყოდ უნდა ექცია, რომელიც ცოდნის მარცვალს წისქვილივით დაფქვავდა! ამგვარი განათლების წყალობით ამ ცივ და მტრულ სამყაროში თავს ვერ ირჩენდა; მსახვრალი ცხოვრება მრავალ სატანჯველს უმზადებდა; მის ნიჭსა და დიპლომს არად აგდებდნენ; ო, რა ბარბაროსული სისასტიკე და უსულგულობა იყო! მიუხედავად ამისა, როცა გვერდით მჯდარ მარგერიტს, ამ ტანკენარ, ჯანმრთელ, ძლიერ და სიცოცხლით სავსე გოგონას გადახედავდა, გულს მოეფონებოდა; მის გარდა მეგობარი თავის დღეში არა ჰყოლია; მხოლოდ ამ საოცარმა ადამიანმა გაუგო, მისი ბავშვური სისუსტე და უსუსურობაც კი მთელი გულით შეიყვარა და სათანადოდ დააფასა მისი შინაგანი სიმდიდრე, რომელიც შეიძლებოდა, თვალის დახამხამებაში ნაცარტუტად ქცეულიყო; რაწამს თვალი შეავლო, გაიფიქრა, თუკი ამ სათუთ გოგონაზე არ ვიზრუნებ, დაიღუპებაო; მარგერიტი ყველაფერს მთელი არსებით განიცდიდა; თითქოს, მსწრაფლწარმავალი შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებების გულის-გულში იჭრებოდა; ლიზას აღაფრთოვანებდა მისი მახვილგონიერება; ის ხომ კაცობრიობის აზროვნების ნისლში ჩაკარგულ მწვერვალებს იპყრობდა?! როცა ლიზა იდეებს უზიარებდა, ეს ბრწყინვალე ნიჭით გულუხვად დაჯილდოებული არსება ღრმად დამარხულ აზრს ადვილად აღმოაჩენდა, თავად კი არასოდეს შეეძლო სიტყვათა უხეში ქსოვილის მიღმა დავანებული ამ საუნჯის დასაკუთრება! როდესაც ეს დიადი მისანი უბრალო ამბებს უყვებოდა, ყოველი გაცვეთილი სიტყვა

მნიშვნელოვანი ხდებოდა, მომნუსხველი სილამაზით იმოსებოდა და ლიზას ეჩვენებოდა, რომ წარმტაცი რომანის გმირის ცხოვრების ისტორიას უგდებდა ყურს. თავისუფალი, უშუალო და გულწრფელი მარგერიტი მჩაგვრელ ადათ-წესებსა და ყავლგასულ ცერემონიებს აქილიკებდა და ბურჟუა ქალიშვილებივით არ იბღინძებოდა; მისთვის სრულიად უცხო იყო ამპარტავნება და არისტოკატული კუდაბზიკობა; ყოველთვის გულუშიშრად ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა; ლიზას ხიბლავდა, მაგრამ ზოგჯერ აოგნებდა კიდეც ამ თავისუფალი მოაზროვნის საარაკო სითამამე.

„რა საოცარი მეგობარი მყავს! ეს რამხელა წყალობა მეღირსა!“ – გაიფიქრა ლიზამ და უეცრად, გული სიხარულით აევსო. ვანდა მარგერიტისაკენ გადაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მას კი სიცილი წასკდა; ახალგაზრდა პოლონელმა მანტო მხრებზე მოისხა და გასასვლელისკენ გაემართა. ლიზას ეს ქალი სულ არ მოსწონდა; უკვირდა, რომ მარგერიტი ასე მოეხიბლა მის ლამაზ, მაგრამ ზერელე, უმეტყველო სიცილსა და ალერსიან ხმას; ამ გამბედავ ქალიშვილს სიმკაცრე და შეუპოვრობა აკლდა. ლიზა გრძნობდა, რომ ბრაზი ერეოდა; თვალებანთებული შესცქეროდა მარგერიტს, რომელიც მეტისმეტად სულელური გამომეტყველებით აყოლებდა თვალს ნაბეჭდ სიტყვებს.

მოთმინებადაკარგული გოგონა მას ხელზე შეეხო; უნდოდა, ეს მტანჯველი ეჭვები ერთი ხელის მოსმით შეემუსრა; ამ ჯოჯოხეთურ წამებას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა! „თავი ანებეთ ამ წიგნებს! – შესძახა გაანჩხლებულმა. მარგერიტმა გაუღიმა და თავაზიანი გამომეტყველებით გაჰყვა ფილებით მოკირწყლულ დიდ დერეფანში.

„ყავა ხომ არ დავლიოთ?

– არა. აქ დავრჩეთ. ყავა არ მინდა...“ – უთხრა დაღვრემილმა და წარბშეკრულმა ლიზამ და ხმა ჩაუწყდა; ოცდაათიოდე სუ ჰქონდა, კბილის ექიმთან უნდა წასულიყო და მერე ოტეიში დაბრუნებულიყო... როცა ვინმე (თუნდაც, საუკეთესო მეგობარი) ფინჯან ყავაზე დაპატიჟებდა, თავს დამცირებულად გრძნობდა; არ უნდოდა, აეთვალწუნებინათ, აბეზარ, მომაბეზრებელ გოგონად ჩაეთვალათ და დღემუდამ მათხოვარივით ხელგაწვდილს ეთხოვა მოწყალება; რაწამს მარტოდმარტო დარჩებოდნენ, აღტყინებულ მარგერიტს მოუთოკავი სურვილი ერეოდა, კაფეში კისრისტეხით გაქცეულიყო, ლიზას კი ასეთი ხმაურიანი ადგილები მთელი არსებით სძულდა.

„ვანდამ კიდევ ერთი მამაკაცის გული დაიპყრო,“ – აღფრთოვანებით შესძახა სახეგაბრწყინებულმა მარგერიტმა.

ლიზამ სიტყვა შეაწყვეტინა: „ვანდა არ მაინტერესებს. დღეს თქვენი ძმა ბიბლიოთეკაში ხომ არ მოგაკითხავთ?

– რა თქმა უნდა. როგორც კი „ეკოლ დე შარტრიდან“ წამოვა, „AI“ ავტობუსში ჩაჯდება და ექვსის ნახევარზე აქ იქნება.

– სამშაბათსაც უნდა მოსულიყო, მაგრამ... არ იცის, რომ ველოდები?

– მასთან თქვენზე სიტყვა არ დამიძრავს.“

ლიზა ჩაფიქრდა და ხმადაბლა თქვა:

„რატომ გამირბის ეს ბიჭი?... როდესაც უკანასკნელად შევხვდით, ხელი აგდებულად ჩამომართვა და თქვენთან ერთად ტაქსიში ჩახტა... თქვენც შეამჩნიეთ მისი გულგრილობა, არა?

– ძალიან გვეჩქარებოდა“, – მიუგო ღონემიხდილმა მარგერიტმა, ხელი უმწეოდ აიქნია და დასძინა: „პასკალს ამას ვერ ვეტყვი...“ თავჩაქინდრული და გულგამეხებული ლიზა მდუმარედ სცემდა ბოლთას ყინულივით ცივ დერეფანში.

„მართალი გითხრათ, ხანდახან ვფიქრობ, მარგერიტი რამეს ხომ არ მიმალავს-მეთქი,“ – უთხრა და ეჭვმა გაჰკენწლა. გადაწყვიტა, მეგობრისათვის გულში შენახული სათქმელი არ გაემხილა. იქნებ, მან პასკალს ლიზას საიდუმლოებები გაუმხილა?! ნუთუ ასე სულმდაბლად უღალატა?! ნუთუ მისთვის გული არ უნდა გადაეშალა?! თავზარდაცემულ გოგონას ვერც კი წარმოედგინა, რომ მარგერიტი ასე უმუხთლებდა და მის აღსარებას გათქვამდა. პასკალი ასეთი უნდო, მფრთხალი და ეჭვიანი რომ არ ყოფილიყო, ლიზა უსაზღვრო მოთმინებისა და აუმღვრეველი სიმშვიდის წყალობით მისი გულის მოგებას შეძლებდა; დღედაღამ იმას ნატრობდა, მისი მეგობარი მაინც გამხდარიყო; ალბათ, ყმაწვილი იმიტომ გაურბოდა, რომ მარგერიტმა ყველაფერი უამბო. მართალია, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და თავაზიანად ესალმებოდა, მაგრამ თავს აშკარად არიდებდა! კეთილშობილი, უმანკო, სათნო, სერიოზული, თავდაჭერილი, კეთილსინდისიერი, თუმცა მერყევი, მორიდებული, მშიშარა და ღვთისმოსავი პასკალი ხელს ცივად ჰკრავდა! გამწარებული გოგონა გრძნობდა, რომ ამ გულგრილ ყმაწვილს, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა, მისი ბედი სულ არ ადარდებდა. მარგერიტს მტრული, თითქმის სიძულვილით ანთებული მზერა მიაპყრო.

„არაფერს გიმალავთ! მშვენივრად იცით, რომ მხოლოდ თქვენი დახმარება მინდა; მე და პასკალი მეგობრები არა ვართ და ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი გვაქვს!“ – შესძახა თავგზაარეულმა მარგერიტმა.

გოგონამ საბრალო ლიზას მართლაც ბევრჯერ გაუწოდა დახმარების ხელი, მაგრამ იქნებ, ორმაგ თამაშს თამაშობდა?! ლიზამ მასზე თითქმის არაფერი იცოდა, რადგან არასოდეს უთხოვნია, გული გადამიშალეო. „ალბათ, იგრძნო...“ – დაიწყო მარგერიტმა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა; ვერ გადაეწყვიტა, ენაზე მომდგარი სიტყვები ეთქვა, თუ არა.

„დამიჯერეთ, თქვენს ძმას კისერზე არ ჩამოვკიდებივარ! რა გჭირთ, მარგერიტ?! პასკალს ცოცხლად ხომ არ შევჭამ?!“ – შესძახა გაღიზიანებულმა ლიზამ.

სახეგარუჯული მამაკაცი დერეფნიდან ეზოში გამავალ შემინულ კარს დაეჯაჯგურა, როგორც იქნა, გააღო, ქოლგა გასახდელში მჯდარ ქალს გაუწოდა, მარგერიტს მიუახლოვდა, თავაზიანად მიესალმა, თვალები წამოენთო და ჰკითხა: „მადმუაზელ ვანდა აქ არის?“ თითქოს მარგერიტი განზრახ ექცეოდა ასე უსულგულოდ! რაწამს ლიზა ამ ბობოქარ გოგონას დაიმარტოხელებდა და მისთვის ასე მნიშვნელოვან, სულის ამაფორიაქებელ საკითხზე მოჰყვებოდა ლაპარაკს, მაშინვე გამოჩნდებოდა მარგერიტის რომელიმე ნაცნობი, მისკენ გულაჩქროლებული გამოექანებოდა და ხელს ჩამოართმევდა. ლიზა ვერა და ვერ ხვდებოდა, საიდან გაეცნო ამდენი ხალხი მის მეგობარს; პასკალზე ფიქრში ღამეებს თეთრად ათენებდა; სული ყელში ებჯინებოდა; ისეთი გამხდარი და ფერმკრთალი იყო, მოჩვენებას ჰგავდა; საბრალომ დარდით გული ამოიჭამა; მარგერიტი ისე დაუდევრად, განუსჯელად და გულარხეინად ფლანგავდა თავის უძვირფასეს დროს ამ ადამიანებთან უსაგნო ლაქლაქში, ისე დაუნანებლად ატანდა ქარს თავის შინაგან სიმდიდრეს, რომ შიშმორეული ლიზა ფიქრობდა, მგონი, საყვარელი მეგობარი მალე შემმულდებაო. „ის ჩემი ერთადერთი მეგობარია!“ – გაუელვა თავზარდაცემულს; როცა მარგერიტი პაემანზე არ მოდიოდა, ლიზა გულამოსკვნილი ქვითინებდა; სასოწარკვეთილი გოგონას უმოწყალოდ დაფლეთილ, სისხლმდინარ გულს მისი თბილი და სასიამოვნო ღიმილი, მხიარული ხმა და ალერსიანი სიტყვები მალამოდ ედებოდა, მაგრამ მათ მეგობრობას, ჰარმონიულ ურთიერთგაგებასა და ერთად გატარებულ საამურ წუთებს, დროდადრო საზარელი ეჭვი, შური და ერთგვარი სიძულვილიც კი წამლავდა; თითქოს, მათი სიყვარულის ტკბილ ნექტარში სასიკვდილო სამსალას უნებურად საკუთარი ხელითვე ურევდა. „მისი ნდობა ვერა და ვერ მოვიპოვე“ – გაიფიქრებდა ხოლმე. მამაკაცი სამკითხველო დარბაზში შევიდა.

„რუმინელია. ერთი თვის წინ მას და ვანდას ისეთი ბრწყინვალე ურთიერთობა ჰქონდათ!...“ – მხიარულად თქვა მარგერიტმა; ეტყო-

ბოდა, შვებით ამოისუნთქა ნაცნობი რომ დაინახა და ამ მტანჯველ საუბარს თავი დააღწია! ლიზა გრძნობდა, რომ მეგობარსაც კი მძიმე ტვირთად დასწოლოდა. თავქარიანი და ფუქსავატი ვანდას სასიყვარულო თავგადასავლებს უგულისყუროდ უსმენდა. „მარგერიტი ძალიან ჭკვიანი და გამჭრიახი გოგონაა! მიკვირს, ასეთ უმნიშვნელო ამბებს და მოსაწყენ ადამიანებს ასე დიდ ყურადღებას რატომ აქცევს! რატომ კარგავს დროს ასეთ სისულელეებზე? რად აუფასურებს თავის ნიჭს, ამ უდიდეს სიმდიდრეს?! ალბათ, ეს ზედაპირული, გაცვეთილი და ბრიყვული ლაპარაკი იმიტომ დაიწყო, რომ თავიდან მომიშოროს," – გაიფიქრა სასოწარკვეთილმა.

უეცრად, მარგერიტმა ხმა გაკმინდა, თუმცა, ლიზას მისთვის არც კი უთქვამს, ამ ამბების მოსმენა აღარ მსურსო.

„ანა როგორაა? გამოკეთდა?" – ჰკითხა ლიზამ. მასზე ძალიან დარდობდა. კარგა ხანი იყო, აღარაფერი სმენოდა ამ საბრალო გოგონაზე, მაგრამ მარგერიტისათვის კითხვის დასმაც კი ვერ გაებედა! ეშინოდა, იფიქრებს, თავში ქვენა აზრები მიტრიალებს და ანას ტანჯვით ვხარობო. ო, რა სისულელეა! მას ხომ ანა გულწრფელად უყვარდა და კუბოს კარამდე მისი მადლიერი იქნებოდა?! ასეთი ამაღლებული სული, ნატიფი, მიწიერი სიმდაბლისგან სამუდამოდ განწმენდილი ქმნილება თავის დღეში არ ენახა! პასკალი ნამდვილად სათანადოდ აფასებდა ამ სულკურთხეულ ქალიშვილს.

მარგერიტს სახე მოეღრუბლა.

„სამშაბათს ისეთი საშინელი ბოდვა დაიწყო, იძულებულნი გახდნენ, საავადმყოფოში გადაეყვანათ; მისი მონახულება ყველას აუკრძალეს, ოჯახის წევრებსაც კი; განცალკევებულ პალატაში წევს, სრული სიმშვიდე და მარტოობა სჭირდება; საბრალომ, თავისი ვიოლინოც თან წაიღო... პასკალს ექთანმა უთხრა, ანა გუშინ მთელი დღე გამაყრუებლად კიოდა, საწყალობლად ითხოვდა, გამიშვით, შანტალი და პასკალი უნდა ვნახო და ცოტაოდენი ხერესი დავლიოთო," – უთხრა მარგერიტმა და მგრძნობიარე და ხორციანი ტუჩები აუთრთოლდა.

„ო, ასე უსულგულოდ როგორ ეპყრობიან?! ნუთუ, ამ არნახულ სისასტიკეს ავადმყოფზე ზრუნვას უწოდებენ?!" – შესძახა განრისხებულმა ლიზამ და სევდა მოერია; საბრალო ანას დიდი უბედურება დასტყდომოდა თავს; ლიზას მთელი კაცობრიობა სძულდა, ანას, ამ დიად ღვთაებას კი ეთაყვანებოდა და მასზე ფიქრი ტანჯულ გულს საამოდ ელამუნებოდა; ო, როგორ დაიტანჯებოდა პასკალი, ანა რომ მომკვდარიყო! „მისი გადარჩენის იმედი დაკარგეს?" – ჰკითხა მარგერიტს.

მან მხრები მდუმარედ აიჩეჩა.

„ო, როგორ მინდა, პასკალი ვანუგეშო და ტკივილი დავუამო! თუკი სასოწარკვეთა შეიპყრობს, ჩემი სინაზე და სიყვარული მის იარებს მალამოდ დაედება," – გაიფიქრა აღტყინებულმა ლიზამ და ტუჩის კუთხეები თითქოს შეუმჩნეველმა ღიმილმა აუთამაშა.

„რა შემზარავია! საძულველი არამზადები ხარივით ჯანმრთელები არიან, ანა კი... ასეთი საოცარი, იშვიათი, სულგრძელი და სპეტაკი ადამიანი..." – გულწრფელად თქვა და აღარ დაასრულა ლიზამ. გული უკვდებოდა, მისი დახმარება რომ არ შეეძლო.

ერთხანს მდუმარედ სცემდნენ ბოლთას ცარიელ, პირქუშ, ფილებით მოკირწყლულ ვესტიბიულში; მათი ფეხსაცმელების ნალიანი ქუსლების კაკუნი ამ უსახურ ადგილას აუტანელ გუგუნად გაისმოდა.

„ლიზა, მაპატიეთ, სამკითხველო დარბაზში უნდა დავბრუნდე. აუარებელი საქმე მაქვს" – ხმადაბლა უთხრა მარგერიტმა.

ლიზა ელდანაცემივით შეხტა და კანკალმა აიტანა; მიხვდა, რომ საუკეთესო მეგობარსაც კი მძიმე ტვირთად დასწოლოდა! მარგერიტს მის გვერდით სული ეხუთებოდა და მხოლოდ იმას ნატრობდა, მისი კლანჭებიდან თავი დაეხსნა.

„არ წახვიდეთ! უამრავი დრო გაქვთ!" – მოუჭრა მან და სწრაფად, თითქმის ავადმყოფური აღგზნებით შესძახა: „მეგონა, მადმუაზელ ლამბერი სასწავლებლიდან წასვლის ნებას არ მომცემდა; ეს ცბიერი ქალი მიხვდა, პარიზში ლაიბნიცის წასაკითხად რომ არ მოვემგზავრებოდი; ინდაურივით იფხორებოდა და მედიდურად მიყურებდა. ო, რამდენ ხანს ვემუდარე, გამიშვით-მეთქი!

– როგორ?! ჯერ კიდევ არ შერიგებულხართ?! – ჰკითხა დაბნეულმა მარგერიტმა.

– მადმუაზელ ლამბერს ჩემი ბედი აღარ ადარდებს, რადგან მიხვდა, რომ ბრწყინვალე მოწაფე არა ვარ და შესანიშნავ ნაშრომს ვერასოდეს დავწერ," – ჩაიქირქილა ლიზამ. ის სენტ-ანჟის სასწავლებელში გულთბილად მიიღეს, მაგრამ მალევე შეამჩნიეს, რომ სხვა სანიმუშო, ბეჯით და გულმოდგინე გოგონებს არ ჰგავდა, ცოდნის წყაროს გახელებული წყურვილით არ ეწაფებოდა, გამოცდისთვის გულდადინჯებით არ ემზადებოდა და დღე-ღამეს წიგნების კითხვაში არ ასწორებდა; ამ სუსტ გოგონაში გაცხოველებული პაექრობის ნაპერწკალიც კი არ კიაფობდა, სხვა სტუდენტები კი ისეთი არნახული გავეშებით იბრძოდნენ წარმატების მოსაპოვებლად, არენაზე გამოყვანილ ველურ მხეცებს დამსგავსებოდნენ; სადაც იყო,

სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების ზარი ჩამოჰკრავდა და ერთმანეთს უმოწყალოდ დაფლეთდნენ; ლიზა პანსიონში მასწავლებლად მუშაობას ვერასოდეს დაიწყებდა; მადმუაზელ ლამბერმაც აითვალწუნა; მისი ზნე-ხასიათი აღარ მოსწონდა, რადგან იცოდა, რომ მისგან სარგებელს ვერასოდეს ნახავდა; ამ ხარბ და გაუმაძღარ ქალს ხომ ყოველივეს შთანთქმა სურდა?! ოდესღაც ლიზას თავს დაჰკანკალებდა და მტლად ედებოდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ის დიდების მწვერვალებს ვერასოდეს დაიპყრობდა, ეს უნაყოფო მიწა უხვ მოსავალს არ მისცემდა და ეს ბერწი ხე მწიფე, ტკბილსურნელოვან ნაყოფს ვერ გამოიღებდა, მასზე გული აიცრუა; ლიზას ტანჯავდა, მასწავლებელი ასე ცივად რომ ეპყრობოდა; პანსიონელი ბრიყვი ქალიშვილები მას ვერც კი შეედრებოდნენ, მაგრამ უსულგულო და ფარისეველი ლამბერი მათ ფეხქვეშ ეგებოდა; ლიზა მათსავით მონურად მორჩილი და თავმდაბალი რომ ყოფილიყო, მოიგებდა ამ მბრძანებლობამოწყურებული ქალის გულს, მაგრამ ამაყი გოგონა ღირსებას არასოდეს დაკარგავდა, ფარ-ხმალს არ დაყრიდა და პირსისხლიანი ფურიის წინაშე არაფრისდიდებით არ მოიხრიდა ქედს! ამ არარაობამ მხოლოდ იმიტომ შეიძულა, რომ კრიტიკული აზროვნების უნარი ჰქონდა და სხვებივით წარბშეუხრელად და ბრიყვული აღფრთოვანებით არ ემორჩილებოდა იმ ამაზრზენ ცრურწმენებს, თავში რომ უჭედავდნენ. პირიქით! მის გულში მრისხანებისა და ამბოხის მტევნები მწიფდებოდა; ურჩობის შლეგი წადილით შეპყრობილი, პატივსაცემ მასწავლებლებს ეკამათებოდა და უტიფრად ეპასუხებოდა. „თავიდან ძალიან მომწონდა; მისმა ლამაზმა, ნატიფმა ფრაზებმა, მგზნებარე მზერამ და მოციმციმე თვალებმა თავბრუ დამახვია, მაგრამ... – თქვა ბოღმამორეულმა ლიზამ.

– ჰო, მაგრამ დიდი თავაზიანობაც გამოიჩინა: მიხვდა, რომ ატყუებდით, მაგრამ ქალაქში წამოსვლის ნება დაგრთოთ...

– უმალ სულს წარიწყმედს, ვიდრე ხალხს აფიქრებინებს, რომ ამაზრზენი ტირანია. ეს ფრთხილი, ცბიერი და წინდახედული ქალი თვალის ჩინივით უფრთხილდება თავის რეპუტაციას," – მიუგო ლიზამ და გაჩუმდა, მერე კი უეცრად, გულმოკლულმა დასძინა: „პასკალს პალე-რუაიალის მოედანზე, „AI" ავტობუსის გაჩერებაზე დაველოდები; გთხოვთ, არ უთხრათ, რომ შემხვდით, თორემ თავს ამარიდებს... თუ მოულოდნელად შემეჩეხება, იძულებული გახდება, ჩემთვის ხუთიოდე წუთი მაინც გამოიმეტოს... ის ჩემი უკანასკნელი იმედია..."

მარგერიტმა თავი დაუკრა.

***

როცა ლიზა რიშელიეს ქუჩას მიუახლოვდა, პალე-რუაიალის უზარმაზარი საათის ისრები ხუთს უჩვენებდა. არემარეს თვალი სწრაფად მოავლო. ხალხი ავტობუსის გაჩერებაზე შექუჩულიყო. „თეატრ-ფრანსეზის“ ერთ-ერთ სვეტზე მიყრდნობილი შუახნის ქალი გაზეთს კითხულობდა.

ლიზა შეჩერდა; ოპერის გამზირზე იებით სავსე კალათით ხელდამშვენებული, უთავსაბურო, თმაგაწეწილი ორი ქალი მირბოდა; მათ წინ ასკინკილით ჯუჯა დახტოდა და აქეთ-იქით აქნევდა გრძელ ჯოხს, რომლის წვერზეც ყვავილების თაიგული დაუდევრად მიება. ტერებენთისა და მტვრის სურნელით გაჟღენთილი ბიბლიოთეკიდან გამოსული ნაზი და სათუთი ქალი, სულ ცოტათი მაინც რომ ყვარებოდა საკუთარი თავი, უცილობლად იყიდდა ოციოდე სუდ სიცოცხლით სავსე ამ ყვავილებს და უსაზღვროდ დატკბებოდა მათი საამო სურნელით, მაცოცხლებელი სიგრილითა და სინორჩით. არავინ ეგულებოდა ამქვეყნად, ვინც ამ დიდებულ თაიგულს მიართმევდა. ქალები და ჯუჯა ლიზასკენ მოემართებოდნენ; გონჯი ჯუჯა მიუახლოვდა, ერთი კონა გაუწოდა და დამცინავმა ღიმილმა (რომელიც საზარელ გრიმასას უფრო ჰგავდა) ამაზრზენი და უშნო სახე საზარლად დაუმანჭა; ყვავილები ლიზას ტუჩებს ოდნავ შეეხო; ზიზღმორეული შეკრთა და უკან დაიხია.

„იყიდეთ ეს პატარა თაიგული, ქალიშვილო!“ – უთხრა აქოშინებულმა ქალმა. ლიზამ თავის გაცვეთილ შავ მანტოს ხელისგული გადაუსვა და თავზარდაცემულმა გაიფიქრა: „ახალგაზრდა ვარ!“ უკვე აღარც კი ოცნებობდა ამ ყვავილებზე; აღარ სურდა, საკუთარი თავისთვის ეს დიდებული საჩუქარი მიეძღვნა; სიამოვნების განცდის სურვილიც კი თვალის დახამხამებაში დაკარგა; მიუხედავად ამისა, იცოდა, მწველი სურვილები და ოცნებები გულს უშანთავდა და ერთგვარი სასტიკი გულგრილობითა და ურყევი სიმშვიდით ვერასოდეს აღივსებოდა; უნდოდა, ეს ლამაზი კონა ეყიდა და დაეყვირა: „ვიცრუე! ო, როგორ ვიცრუე! ასეთი საშინელი გულგრილობა არ მჩვევია! მიწიერი მშვენიერება აღმაფრთოვანებს!“

„თაიგულს ვიყიდი და კბილის ექიმთან ფეხით წავალ,“ – გაიფიქრა და სუროს ღეროთი შეკრულ იის კონას ხელი დაავლო. „თეატრ-ფრანსეზის“ სვეტზე მიყრდნობილმა ქალმა გაზეთი დაკეცა და ლიზას ავი მზერა სტყორცნა.

გოგონამ თავის მანტოსა და კორსაჟს ხელი შეავლო; უნდოდა, ყვავილები გულზე ქინძისთავით მიებნია; ჩანთა გადაქექა, ცხვირსა-

ხოცი, პუდრის მომცრო კოლოფი, პომადა და ოთახის გასაღებიც კი ამოიღო, მაგრამ ქინძისთავი ვერ იპოვა; ფერუმარილით დასვრილ, გახეულ სარჩულს ჟანგი მოსდებოდა. ყვავილებით ხელდამშვენებული, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ალფრედ დე მიუსეს ქანდაკებას. გულმოკლულმა, აღარ იცოდა, სად წაეღო ეს შესაბრალისი იები, რომლებითაც ვეღარ დატკბებოდა. რა ამაოდ გაისარჯა! სუროს მძაფრ სუნს იების საამო სურნელი უმოწყალოდ მოეშთო; ეს თავბრუდამხვევი ბანგიც კი სამუდამოდ განქარებულიყო...

უცნობმა ქალმა, გაზეთი რომ ეჭირა ხელში, მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა; კვლავ დაჟინებით, ავად შესცქეროდა. პარიზის ქუჩებსა და გამვლელებს მუდამ ასეთი მტრული იერი ჰქონდათ. „პასკალთან შეხვედრას მთელი გულით ვნატრობ! ეს ლამაზი ოცნება, ეს გულდამწველი, უდრეკი, ყოვლისმომცველი და შეუპოვარი სურვილი მხნეობას მმატებს; მისი გულისთვის თავი საფრთხეში ჩავიგდე... ამ საშიში და ბოროტი ხალხის წინაშე სრულიად უსუსური ვარ. ეს სისხლმოწყურებული პირუტყვები ჩემს სულს, როგორც საბრალო ფრინველს, უმოწყალოდ ფლეთენ," – გაიფიქრა ლიზამ.

რა ბინძური ქუჩები გადაშლილიყო მის თვალწინ! ყველგან ბიწიერება გამეფებულიყო; სულ მალე დადგებოდა თავაშვებული ღრეობების დრო; ყოველი წამი ავხორცობის სასიკვდილო სენით მოწამლულიყო; ეზიზღებოდა ავტომობილთა სიგნალების გამაყრუებელი კივილი, სატვირთო მანქანების გუგუნი და უზარმაზარ ბორბლებიანი, მახინჯი ავტობუსების გრუხუნი, შემზარავ ურჩხულებს რომ დამსგავსებოდნენ; გამვლელები განსაკუთრებით სძულდა; სძულდა ეს მახინჯი, სულმდაბალი ქმნილებები, რომლებიც რაწამს პოლიციელის სასტვენის ხმას გაიგონებდნენ, ქვაფენილზე შექუჩდებოდნენ; მათ სიახლოვეს რომ წაქცეულიყო, გოგონას სათუთ სხეულს ფეხით უმოწყალოდ გადათელავდნენ; ვიღაც ქალმა ქუსლების კაკუნითა და აუტანელი ხმაურით ჩაუარა, გარყვნილი ბერიკაცი კი ამ ამძუვნებულ მდედრს გავაზე ეპოტინებოდა. ლიზამ თვალი გააყოლა ცხოველური ჟინით თვალებანთებულ წყვილს და ზიზღით გააჟრჟოლა. ამ ხალხის კუშტ, შეუვალ სახეებს ადამიანური, ცხოველმყოფელი და გაცისკროვნებული ღიმილი ვერასოდეს გაანათებდა; საბრალო გოგონას სასოწარკვეთის კლანჭებიდან ვერავინ დაიხსნიდა; ეს გულღვარძლიანი ჯუჯები ერთ თბილ სიტყვასაც კი არ გაიმეტებდნენ მისთვის; ამ უკიდეგანო, ცივ და პირქუშ ქალაქში სულ მარტო იყო; „უზარმაზარი სამყარო ჩემს სუსტ და პატარა სხეულს მძიმე ტვირთად აწვება და გასრესას უქადის. დავიღალე. ალბათ, მალე

დავეცემი," – დაიჩურჩულა; ეჩვენებოდა, რომ ეს სიტყვები შექსპირმა მას მიუძღვნა.

„ჩემი ქამარი!" – გაუელვა უეცრად. შავ ნატზე დამაგრებული ქინძისთავი მოიხსნა, გალალითის ბალთა შეიხსნა და კაბის ქამარი ჩანთაში შეინახა; ძალიან გაუჭირდა მანტოს ლაცკანზე სველი და ფაქიზი თაიგულის დამაგრება; მონაცრისფრო, ჭუჭყიანი ძაფით შეკრულ ღეროებს წყალი წვეთ-წვეთად სდიოდა. „უკანასკნელი სუც კი ამ თაიგულში დავხარჯე!" – დაიჩურჩულა ოცნებამორეულმა, მაგრამ, განა ვინმეს აუჩუყებდა გულს ესოდენ დიადი მსხვერპლშეწირვა?! ეს სამყარო უხეში, უკეთური და გულღრძო ადამიანებით იყო დასახლებული.

ალფრედ დე მიუსეს ქანდაკების უკან შეყუჟული ლიზა „AI" ავტობუსის გამოჩენას მოუთმელად ელოდა; ეჩვენებოდა, რომ პასკალს ჩასაფრებული ნადირივით უთვალთვალებდა; ანაზდად წინ ის ქალი აესვეტა, ცოტა ხნის წინ ავად რომ უმზერდა; ეს ალმურმოდებული ფურია საკმაოდ ღონიერი და ახოვანი ჩანდა. „მე მადამ ლეგრი ვარ", – უთხრა მოგუდული და უმეტყველო ხმით. გაოგნებული ლიზა დაჟინებით დააცქერდა; ერთ წუთს მდუმარედ, ჯიქურ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

„ამაოდ ელოდებით. დამინახა და გაიქცა!" – ისევ არაფრისმთქმელი ხმით შესძახა ქალმა.

გოგონას აბობოქრებული სისხლი ალმურად მოედო; ვერაფერი გაეგო, მაგრამ საშინლად რცხვენოდა, უცნობმა ქალმა ასეთი დამცირებული, გათელილი და ნაწამები რომ იხილა. ნატრობდა, მიწა გასკდომოდა! ძეხორციელი ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ ბნელ ქუჩაში მონური მორჩილებით ელოდა პასკალს!

„ვინ გაიქცა? რისი თქმა გსურთ? – ჰკითხა გაღიზიანებულმა.

– ჩემი ქმარი. თქვენ ჩემი ქმრის საყვარელი ხართ; ყოველ შაბათს აქ ხვდებით და სენტ-ანის ქუჩაზე მიდიხართ, ერთ ბინაში, რომელიც ცოტა ხნის წინ დაიქირავა! ტყუილუბრალოდ ნუ მოჰყვებით თავის მართლებას; თვალში ნაცარს ვეღარ შემაყრით! ყველაფერი ვიცი!" – შეჰყვირა გაცეცხლებულმა მადამ ლეგრიმ.

ლიზას ჩიტივით აფრთხიალებული გული დაუმშვიდდა და მისი სულის ქარიშხალიც ჩადგა; საამოდ ჩაესმოდა თავისი თანაბარი გულისცემა; რა სახალისო თავგადასავალში გაება! ასეთი ჯადოსნური ამბავი თავს არასოდეს გადახდენოდა!

„ცდებით, მადამ", – უთხრა მეტად თავაზიანი ტონით, შეყოყმანდა და დასძინა: – „მე ერთ ახალგაზრდას ველოდები და არა თქვენს ქმარს.

– ძალიან უცნაურად კი ელოდებით! ქანდაკების უკან იმალებით! კარგა ხნის წინ შეთანხმდით, რომ ამ ქუჩაზე საიდუმლოდ შეხვდებოდით. ხომ გითხრათ, სვეტს ამოეფარეთ, რომ არავინ დაგინახოთო?!“ – გველივით ასისინდა მადამ ლეგრი და თხემით ტერფამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. პირგამეხებული, ულმობელი შურისძიების წყურვილით გახელებული ქალი კვლავ გოროზი გამომეტყველებით ასვეტილიყო მის წინაშე; ალბათ, ხელიდან ვეღარ დაუსხლტებოდა, რადგან მართლაც ღრმად სწამდა, რომ ეს პაწაწინა ფერია მისი ქმრის საყვარელი იყო; საჩვენებელი თითი ლამის შეახო იებს და უთხრა: „ამაოდ დაგიმშვენებიათ მკერდი ამ ყვავილებით!

– კიდევ ცოტა ხანს დაიცადეთ და დარწმუნდებით, რომ არ გატყუებთ! თქვენი თვალით ნახავთ, ვისაც ველოდები!“ – შესძახა მოთმინებადაკარგულმა ლიზამ; თუ პასკალი მალე არ გამოჩნდებოდა, ამ ძვალმსხვილ ქალს მთელ საღამოს ვერ მოიშორებდა. რა უსუსური იყო მის წინაშე! ამ ასპიტს რომ ეცემა, თავსაც კი ვერ დაიცავდა... ლიზას ყოველთვის შურდა იმ ახოვანი, ჯანიანი, წარმოსადეგი და უშიშარი ქალებისა, მამაკაცები რომ გადაკრულ, უხეშ სიტყვასაც კი ვერ შეჰკადრებდნენ; ამ პირქუშ, მრისხანე და მუდმივად წარბშეკრულ ქალღმერთთა ღირსების შელახვას გულშიც კი ვერავინ გაივლებდა!

„ამის შიში ნუ გექნებათ. აუცილებლად დაგელოდებით!“ – ჩაიქირქილა მადამ ლეგრიმ. ავტობუსი გამოჩნდა; გულაჩქროლებულმა ლიზამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რათა მგზავრები შეეთვალიერებინა; ქალი ჩრდილივით მიჰყვა; თუკი პასკალი ავტობუსის შუაში იდგა, ამ მოიისფრო მასას უცილობლად მოჰკრავდა თვალს და ლიზას იცნობდა! გოგონამ უკან დაიხია; თვალს ცრემლი მოადგა, მწარე იმედგაცრუების, ტკივილისა და გაწბილების ურჩი ცრემლი; აღშფოთებამ, სიძულვილმა, ბოღმამ, სევდამ და უმწეობამ ტალღასავით შთანთქა და სული შეუხუთა.

„თქვენი ქმრის საყვარელი არა ვარ, არა! თავი დამანებეთ!“ – დაუყვირა ლიზამ მოგუდული ხმით. ქალმა რაღაც ჩაიბურდღუნა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და კბილებში ორიოდე სიტყვა გამოსცრა, მაგრამ ლიზამ ვეღარაფერი გაიგო. საუბედუროდ, მგზავრებს შორის პასკალი არ ჩანდა.

„თქვენი ქმრის საყვარელი...“ – მექანიკურად გაიმეორა ლიზამ; „საყვარელი,“ – ეს ადამისჟამინდელი, გაცვეთილი და ცოტათი სასაცილო სიტყვა, რომელიც თითქმის უნებლიედ აღმოხდა მის ბაგეს, კვლავ სასიცოცხლო ძალით ივსებოდა და თითქოს, ავხორცი სიტკბოთი იჟღინთებოდა. ეს ნექტარივით თავბრუდამხვევი, მაგრამ

საზარლად უხამსი რამ ლიზას ბილწ სიამეს განაცდევინებდა და გარყვნილების მორევში შთანთქმას უქადდა; რა უცნაურად, რა ახლებურად ჟღერდა: „მე მისი საყვარელი არა ვარ!“, „მე მისი საყვარელი ვარ!“...

ქალი ტროტუარზე აღარ იდგა. ლიზა თვალებით დაეძებდა ამ ფურიას. ერთ-ერთი სვეტის უკან მისი ქლიავისფერი მანტო შენიშნა. ზიზღით გააჟრჟოლა. მოულოდნელად მოვარდნილმა მრისხანების ღვარცოფმა წალეკა და უღონო სხეული ფოთოლივით აუთრთოლა; იმ ჩაფსკვნილ, ძლიერ და ზორბა ქალს ვერ გაუმკლავდებოდა; პასკალი წუთიწუთზე გამოჩნდებოდა; აყალმაყალის, ცემა-ტყეპისა და წივილ-კივილის ატეხვა არ უნდოდა; ყმაწვილი თუ მიხვდებოდა, რომ უთვალთვალებდა, ლიზა სირცხვილით დაიწვებოდა; ასეთი დამცირება კიდევ ერთხელ რომ ეგემნა, მყისვე თავს მოიკლავდა! ნაბიჯი გაუბედავად გადადგა და ქუჩას გაუყვა; იქნებ პასკალი უკვე თვალს მიეფარა?! ნუთუ იმ ქალმა თავგზა ისე აურია, ვერც კი დაინახა, როგორ გაშორდა მისი საყვარელი ბიჭი ავტობუსის გაჩერებას?! ნელა გაემართა რიშელიეს ქუჩისკენ. ქალი ისევ მისდევდა და შენობის სვეტების უკან კატასავით იმალებოდა. ლიზამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა; ამ ქალს ვეღარ იტანდა! უეცრად, უკან შემობრუნდა და თავაზიანად მოღიმარ პასკალს შეეჩეხა.

„ოჰ, თქვენ?! მომეჩვენა, რომ მეტროსადგურიდან ვიღაც ამედევნა. მარგერიტთან მიდიხართ? – ჰკითხა ლიზამ და ნერვიულად გაიცინა.

– დიახ; სანამ თავი ჩემკენ არ მოაბრუნეთ, ვერ გიცანით. ჩემი და უკვე ნახეთ?

– ოტეიდან ახლახან ჩამოვედი; მინდოდა, კბილის ექიმთან წასვლამდე რამდენიმე წუთით მაინც დავლაპარაკებოდი მარგერიტს...“

ნუთუ ყველაფერი დაინახა?! ნუთუ თავს იკატუნებდა, თითქოს მისი დანახვა ძალიან გაუკვირდა? ლიზა ძალიან შეშინებული და აღგზნებული ჩანდა, საფეთქლები გამალებით უცემდა და საკუთარი სისხლის ჩუხჩუხიც კი ჩაესმოდა... პასკალთან შეხვედრა ყოველთვის ისე აფორიაქებდა, ვეღარაფერზე ფიქრობდა; მღელვარება მის გონებას ერთბაშად ფიტავდა; ბიბლიოთეკას ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ და ლიზას ეჩვენებოდა, რომ უფრო და უფრო იძირებოდა სიბრიყვისა და ამაოების მორევში; ისეთი რა უნდა ეთქვა უკანასკნელ ხუთიოდე წუთში, რომ მისი ყურადღება მიეპყრო?! სულ მალე, სულ მალე დაუსხლტებოდა ხელიდან! გულგასიებულს სიტყვა ყელში ეჩხირებოდა; როგორ უნდა შეჰყვარებოდა ამ ახალგაზრდას მისი მგრძნობიარე გული და გამჭრიახი გონება?! მას ხომ ლიზა

უგრძნობი და უნიჭო გოგონა ეგონა?! ვერ ხვდებოდა, რომ მის არსებაში ბრწყინვალე საუნჯე იმალებოდა! „რა უსამართლობაა! რა არაადამიანური სისასტიკეა! რამდენიმე წუთიც კი ენანება ჩემთვის! ცივსისხლიანი გამომცდელებიც კი მასზე უფრო ლმობიერად მეპყრობიან!“ – გაიფიქრა გამწყრალმა. როცა მდუმარე გოგონამ უკანასკნელი, გადამწყვეტი სიტყვის თქმა დააპირა, გაზეთების გამყიდველმა ჩაიარა; პასკალმა ნაჩქარევად შეავლო თვალი „შეურიგებელნის“ (‘’L’Intransigeant ‘’ – ფრანგული გაზეთი, რომელიც დააარსა ანრი როშფორმა. გამოდიოდა 1880 წ.-დან 1948 წ.-მდე. მთარგმნ.) ყდაზე დიდი შრიფტით დაბეჭდილ სათაურებს.

„რა საინტერესო და მეტად მოულოდნელი აზრი გამოთქვა ხალხმა გერმანიაში ახლახან მომხდარ ამბებზე!... რომენ როლანის „ევროპაში“ გამოქვეყნებული წერილი ხომ არ წაგიკითხავთ? – გამომწვევი და მაცდური იერით ჰკითხა ყმაწვილმა.

– არა“ – მშრალად მიუგო ლიზამ. რა სულმდაბლურად იქცეოდა პასკალი! ამ გაცვეთილ საკითხზე ლაქლაქს იმიტომ მოჰყვა, რომ გულახდილად საუბარი უმძიმდა! ეს უაზრო სიტყვები ისე მიახალა, როგორც ავ პირუტყვს მიუგდებენ ხოლმე მცირეოდენ ულუფას, ან სახრავ ძვალს, რათა ხმა ცოტა ხნით მაინც ჩააკმენდინონ. ვერაგ ყმაწვილს დროის მოგება უნდოდა; სანამ ამ სისულელეზე ლაპარაკს მორჩებოდნენ, ბიბლიოთეკა გამოჩნდებოდა და შვებით ამოისუნთქავდა! ბრაზმორეულმა ლიზამ თავი ვეღარ შეიკავა და ჰკითხა:

„ეს პოლიტიკური ამბები ძალიან გახალისებთ, არა?“

პასკალი წუთით მოიღუშა, მერე კი სახე ღიმილმა გაუნათა და უპასუხა:

„სულ დამავიწყდა, რომ გაზეთებს არასოდეს კითხულობთ!

– თქვენი აზრით, პოლიტიკა უნდა მაინტერესებდეს?! – სწრაფად, თითქმის ავადმყოფური აღგზნებით ჰკითხა.

– თუკი არ გაინტერესებთ...“ სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა; „როგორ მიდის თქვენი საქმეები?! ისევ სამეცნიერო ნაშრომს წერთ?“ – ჰკითხა პასკალმა ცნობისმოყვარე სახით.

ლიზამ თავი გააქნია და უთხრა: „მუშაობა აღარ შემიძლია. ძალ-ღონე სულ გამომეცალა“. ცდილობდა, მრისხანება როგორმე დაეცხრო და ამ გაცოფებული ურჩხულისათვის ლაგამი ცოტა ხნით მაინც ამოედო. „რა საშინელებაა! ისე როგორ უნდა დაეცეს ადამიანი, რომ გონებრივი შრომის, – ამ ფასდაუდებელი საუნჯის წყალობით ლუკმა-პურის ფული იშოვოს?! ეს... არაადამიანური სისასტიკეა...“ – ამოილუღლუღა მან, ხელისგული შუბლზე მიიდო და ამოიგმინა:

„მთელი ჩემი მომავალი... სარჩო-საბადებელი, ნახშირი, ფეხსაცმელი... ყოველივე გამუდმებული ჯაფის წყალობით უნდა მოვიპოვო... ქვეყნად მხოლოდ ჩემი ნიჭის იმედი უნდა მქონდეს... მხოლოდ მისი... ო, ტვინი... ტვინი ხომ ასეთი უსუსურია... ასეთი უსუსური...

– ეს დაუსრულებელი გამოცდები და დაუნდობელი პაექრობა ახალგაზრდებს აძაბუნებს. რა შემზარავია!“ –თქვა ვაჟმა.

ბიბლიოთეკა გამოჩნდა, პასკალმა კი მხოლოდ ეს უფერული და უშინაარსო სიტყვა გაიმეტა მისთვის: „რა შემზარავია!“. გულქვა ბიჭმა დას სამკითხველო დარბაზში შეაკითხა.

ოდესღაც, ყველაფერი სხვაგვარად იყო... რა გულთბილი ურთიერთობა ჰქონდათ! ლიზას აგონდებოდა მისი მშვენიერი თვალები, რომლებიც პირველივე შეხვედრის შემდეგ დაუღალავად დაეძებდნენ, თითქოს, სურდათ, მის ღრმა სულს ჩასწვდომოდნენ, შინაგანი სიმდიდრით დამტკბარიყვნენ და მისი გულის კარი შეეღოთ; გოგონა თავიდანვე მიხვდა, რომ ამ ყმაწვილისათვის სრულიად უცხო იყო ვულგარულობა, ამაზრზენი უხამსობა, ბურჟუაზიული ფრივოლურობა და თავქარიანობა; ყველაზე უმნიშვნელო და უბრალო სიტყვებსაც კი იმდენად პირდაპირი, გულში ჩამწვდომი ტონითა და თავდაჯერებით წარმოთქვამდა, ლიზას სურვილი ეძალებოდა, მთელი ხმით ეყვირა: „გული ამიჩუყდა!“. პასკალს მეტად გულწრფელად, ყოველგვარი ფარისევლური სიმორცხვის გარეშე ელაპარაკებოდა; მან საკუთარი თავი შეაცნობინა და თითქოს, თავისი არსების უხილავი ნაწილი თვალნათლივ დაანახა. ლიზა ასეთ გმირობას ვერასოდეს ჩაიდენდა! სულ სამჯერ თუ ოთხჯერ ისაუბრეს, მერე კი პასკალი, რატომღაც, ძალიან შეიცვალა და თავდაჭერილი გახდა; გული მანამ გაუცივდა, სანამ ლიზა მარგერიტს გაუმხელდა, თქვენი ძმა გულში ჩამივარდაო.

პასკალი და მარგერიტი ბიბლიოთეკიდან გამოვიდნენ.

„სამწუხაროდ, სასწრაფოდ ტაქსით უნდა წავიდეთ… სად მიდიხართ?! ჩვენ წაგიყვანთ! – უთხრა პასკალმა.

– სენ-ლაზარის სადგურზე“, – ცივად მიუგო გოგონამ. სადგური სულ ახლოს იყო. როდესაც ლიზამ ფეხი ტროტუარზე ჩამოდგა, დამმამ თავაზიანად გაუღიმა. ტაქსის ფანჯარა მათ შორის გადაულახავ კედლად აღმართულიყო. ხვდებოდა, რომ მოატყუეს; არსად ეჩქარებოდათ! უბრალოდ, გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ. როგორც კი ლიზა თვალს მიეფარებოდა, მანქანიდან გადმოვიდოდნენ და რომელიმე თბილ, გაჩახჩახებულ კაფეში შევიდოდნენ. გოგონამ მათ ხელი დაუქნია და ბაგე სევდიანმა ღიმილმა გაუპო. ცხადზე უცხადესი იყო, პასკალმა მანტოზე მიბნეული იებიც კი ვერ შენიშნა.

***

ლიზა კბილის ექიმთან მიდის.

სქელი, ფუმფულა ხალიჩები ნაბიჯების ხმას ახშობს; კარი უჩუმრად იღება და იხურება; დერეფნები გაჟღენთილია იოდისა და ქლოროფორმის მძაფრი სუნით, რომელსაც თითქოს კედლებშიც კი შეუღწევია და მთელი სახლი ერთბაშად გაუხევებია. ამ თვალწარმტაც ოაზისში ადამიანი, ალბათ, დატკბება ფუფუნებით, განცხრომითა და ნეტარი სიმშვიდით! მოსაცდელ ოთახში ქურქში ჩათბუნებული ერთი ახალგაზრდა ქალი ზის.

ლიზა თავდავიწყებით ეფლობა ღრმა, რბილ სავარძელში; ზედაც არ უყურებს მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ წიგნებს; თავს კარგად გრძნობს. მთელი კვირა გაილია მეტად მძიმე, ქანცგამწყვეტ და მომაბეზრებელ შრომაში, ახლა კი შეუძლია, სასიამოვნოდ მოკალათდეს, მოდუნდეს, მტანჯველი მოვალეობები დაივიწყოს, აღარაფერზე, საერთოდ აღარაფერზე იფიქროს, დიადი იდეები არ აქანდაკოს და არც წინდები კემსოს. დამის (ქსოვილია. მთარგმნ.) ოქროსფერი ფოჩებით გაწყობილი ვარდისფერი ფარდების მიღმა ტიულის სქელი, ბადისებრი ქსოვილით გამიჯნული ორი დიდი შემინული ფანჯარა მოჩანს; ოთახში რადიატორი დაუღალავად აფრქვევს თავბრუდამხვევ და სულის შემხუთავ მხურვალებას.

ნატრობს, ამ თბილ ოთახში იჯდეს და ბოლოს და ბოლოს, მთავარანგელოზმა მის კალთაში ჩარგოს თავი; ო, რა ნაზად და უსიტყვოდ მიუალერსებს! ერთხელაც კი არ აკოცებს, მაგრამ სამარადისოდ დაისაკუთრებს; მისი უძლეველი ძალით აღივსება; გოგონა გადაუღლია გამუდმებულ ბრძოლას; მუხლჩაუხრელი შრომით მოიპოვებს სარჩოს; უნდა, სხვისი იმედიც ჰქონდეს, ვინმემ დახმარების ხელი გამოუწოდოს და მარტოდმარტო არ დაადგეს ცხოვრების ციცაბო ბილიკებს; ადამიანთა სულმდაბალი მოდგმის მზერა ვერასოდეს შებღალავს იმ წმიდათაწმიდა სავანეს, იმ თავშესაფარს, სადაც სამარადჟამოდ დაივანებს; მარად და მარად იმეფებს მისი შარავანდედმოსილი ხატება; მის ზეობას ბოლო არასოდეს მოეღება; მისი ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ტახტი არასოდეს დაემხობა, ბროლისებრი სისპეტაკით, თვალწარმტაცი, უზადო, უბადლო სილამაზით, ბრწყინვალებითა და ურყევი სიმკაცრით შემოსილი... ლიზას მოზღვავებული სინაზისა და სიყვარულისგან სუნთქვა ეკვრის; როგორი ცხოველმყოფელი სიხარულით აღივსება, როცა ის თავდავიწყებით ჩაეხუტება, უმწეო და დაუცველი... მერე კი უკვალოდ გაქრება... მიდის... როცა მის გვერდითაა, ლიზა მის ნაცვლად ერთ ახალგაზრდა,

სათნო, მაგრამ მაინც საზიზღარ კაცს ხედავს, რომელიც სანუკვარ სატრფროსთან მიახლოებასაც კი უკრძალავს. ო, ბნელი ყვავილი ჩემი თავგანწირული ვნებისა! ო, წყვდიადის ყვავილი!...

„მადმუაზელ ლიზა ნარდეკი!“ – მჭახედ უხმობს ვიღაც ქალი. ლიზა დგება და მორჩილად მიჰყვება თეთრხალათიან ახალგაზრდა ექთანს, თვალებზე ჩამოფხატული ბრტყელი ჩაჩი რომ უფარავს თმას; ექიმ დევინიეს კაბინეტი თოვლივით ბრწყინავს. მკვეთრი ფერები გოგონას თვალს სჭრის. „როგორ ხართ, მადმუაზელ?“ – ეკითხება ექიმი კეთილმოსურნე და ბოხი ხმით. „გმადლობთ, ექიმო. მთელი კვირა ისე გავიდა, კბილის ტკივილს არ გავუწამებივარ...“ – ეუბნება ლიზა და ხელს ართმევს.

„ო, ამ ლამაზი იებივით გაფურჩქვნილო მშვენიერო ლიზავ, ჩემს პირქუშ კაბინეტში გაზაფხულის თვალწარმტაცი ყვავილობა მაგრძნობინეთ!“ – ამბობს ექიმი დევინიე და მის მკერდზე მიბნეული, ჭკნობაშეპარული ყვავილებისკენ იწვდის ხელს: „ალბათ, მეტისმეტად გაგანებივრეს,“ – განაგრძობს იდუმალი ტონით; თავში აშკარად ქვენა აზრები უტრიალებს; ამ ოცდათხუმეტი-ორმოციოდე წლის კაცს უფორმო სახე მიტკალივით გაფითრებია, თითქოს, მის ზორბა სხეულში ამაზრზენი ჩირქგროვა ჩაბუდებულა; ლიზა უღიმის სუსტი, უღონო, სასიამოვნო, დათაფლული ღიმილით, რომელშიც მწარე იმედგაცრუება და გაწბილება გამოსჭვივის; ეს ქათინაური მის პატივმოყვარეობას საამოდ ელამუნება; მექანიკურ სავარძელში ჯდება; ტყავგადაკრულ საყრდენზე, რომელსაც თავი უნდა ჩამოადოს, ექთანი ახალთახალ, თოვლივით თეთრ აბრეშუმის ქაღალდს აფენს; ექიმი ხელს იბანს. მონუსხული ლიზა თვალს ვერ წყვეტს მის გაქა-ფულ, მოქნილ თითებს, რომლებიც, თითქოს, ერთმანეთს ძერწავენ, თავდავიწყებით ეკვრიან, შორდებიან და ისევ ეხებიან.

დანტისტი ლიზას გვერდით, მაღალ, მოძრავ ტაბურეტზე ჯდება; ფეხს რაღაცას აჭერს, სავარძელს მაღლა სწევს და ეუბნება: „პირი გამიღეთ, ფართოდ გამიღეთ.“ თავგადაგდებული ლიზა დაჟინებით მიშტერებია ფანჯრის მქრქალ მინას; პროჟექტორის უთვალავი წახნაგი ელექტრული ლამპის შუქს ირეკლავს; ამ სიკაშკაშემ ლამის დააბრმაოს ლიზა; თვალს ხუჭავს; არ ეშინია; მსუბუქი ხელი აქვს ექიმ დევინიეს და თავის პაციენტებს ყოველთვის უმტკივნეულოდ მკურნალობს.

„ისევ ფილოსოფიის ოკეანეში ხართ ჩაძირული, მადმუაზელ? ნება მიბოძეთ, ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ. მართალია, დიდად განსწავლული არ გახლავართ, მაგრამ მიკვირს, იმ თქვენს სორბონაში

ინდუისტური ფილოსოფია საერთოდ რომ არ აინტერესებთ. იცით, დიდებულმა ინდოელმა ერმა სულისა და ხორცის გაყრა რომ შეძლო?! ეს ნამდვილი სასწაულია! წარმოგიდგენიათ?! სული ასტრალურ სამყაროში გაგზავნეს!“ – ეუბნება ის და ლიზას გამოხრულ კბილს ფოლადის ხელსაწყოთი ფხეკს; უძრავად გაშოტილი გოგონა მის მკლავებშია მომწყვდეული; ამ ღმერთკაცისთვის მიუნდვია თავი; ეულად შთენილი, გარინდული, საბოლოოდ დასაკუთრებული და გულმინდობილი, ბრწყინვალე მამაკაცის სხარტ ხელებს სიხარულით ემორჩილება; ვეღარაფერზე ფიქრობს; ვეღარაფერს გრძნობს; მხოლოდ ის იცის, რომ ნაზი ხელისგული მის ტუჩის კუთხესა და ლოყას სათუთად, კრძალვით ეხება. ეს მკურნალი, ეს იდუმალებით მოცული ქურუმი სულმოუთქმელად ლაპარაკობს; დაწვრილებით აღუწერს სხეულისა და სულის განშორების საიდუმლოსთან ზიარების სხვადასხვა ეტაპს; გზნებით უყვება, ადამიანს შეუძლია, ხორციელი საბურველისგან, ამ მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდესო, მაგრამ ლიზა თითქმის არ უსმენს; ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს, ამ ფაქიზი, საოცრად მოქნილი და სათუთი ხელების გარდა ყოველივე არარაში ჩანთქმულა და აღგვილა პირისაგან მიწისა. თვალს გაუბედავად ახელს; შეჰყურებს ამ მომრგვალო, ხორცსავსე, თუმცა, ბავშვივით ნაზ, თითქოს, გამჭვირვალე თითებს, გულდასმით დაქნილ, საოცრად სუფთა ფრჩხილებს; სპირტიან სინჯარაში შენახული მკვდარი ქსოვილივით ქათქათა ხელები, გამუდმებით რომ იბანს, ნუშის ღვეზელის სურნელს აფრქვევს.

„ეს მეტისმეტად საშიში რიტუალია. თუ ადამიანს ურყევი ნებისყოფა და სასიცოცხლო მგზნებარება არ გააჩნია, უკან ვეღარ გამოიხმობს მიღმიერ სამყაროში გაფრენილ თავის მოხეტიალე სულს, რომელსაც საუკუნო სიმშვიდე აღარასოდეს ეღირსება,“ – ეუბნება ექიმი, ჩუმდება და დასძენს: „გადააფურთხეთ, მადმუაზელ“. ლიზა მორჩილად აფურთხებს მინის ჭურჭელში უცნაური ნაწილაკებით სავსე მოვარდისფრო სითხეს, ტუჩებს იმშრალებს და ეკითხება: „გწამთ მიღმიერი სამყაროს არსებობისა? მე არ ვიცი... ალბათ, ურწმუნო ვარ.“ გოგონა პირს ისევ აღებს. ექიმი მის კბილს ბასრი, წამახული ხელსაწყოთი ეხება და ფეხს მექანიკურ სადგამს აჭერს; ლიზას გამაღიზიანებელი ფხაჭუნი ჩაესმის; ჰგონია, საცაა, თავი გაუსკდება. „მრავალი წელია, გატაცებით ვეწაფები იმ დიდ მეცნიერებას, რომელსაც თეოსოფიას უწოდებენ. ოდესღაც, მეც ურწმუნო ვიყავი, ეჭვის ჭია გულს მიღრღნიდა, მაგრამ ბევრი წიგნი წავიკითხე, უამრავ საინტერესო შეხვედრას დავესწარი და კვლავ რწმენით აღვივსე. ჩემში ცნობის-

მოყვარეობის ცეცხლი გიზგიზებდა, მინდოდა, ღმერთი ისევ მეპოვა... გარწმუნებთ, საკუთარი თვალით მინახავს მრავალი ამაღელვებელი და დიდებული მოვლენა! ანი ბეზანტის (ბრიტანელი თეოლოგი, ფემინისტი და სოციალისტი. მთარგმნ.) ერთ არაჩვეულებრივ ნაშრომს გათხოვებთ. ეს ქალი იმდენად განიწმინდა მიწიერი სიმდაბლისაგან, თავისი წინა ცხოვრება თვალნათლივ დაინახა. წარმოგიდგენიათ?“ – ეკითხება მკურნალი და პატარა ზარს აწკარუნებს.

ოთახში შემოსულ ექთანს რაღაცას ეუბნება, ის კი პატარა თარო-ზე დებს ათასგვარი წამლით ცისფრად დაფერილ მინის პატარა ფირფიტას. „ახლა კბილს დაგიბჟენთ. გადააფურთხეთ, მადმუაზელ,“ – ეუბნება ექიმი; ლიზა სასიამოვნო ბრძანებას უდრტვინველად ემორჩილება; უყურებს, როგორ ფშვნის რაღაც წამალს და ზელს თეთრ ნივთიერებას; სნეული უკვე განკურნა; მტანჯველი ტკივილი დაუამა; ლიზას მალე წასვლა მოუწევს; ქუჩაში ისევ ჟინჟლავს; ნეტარებისგან სავარძელში იზმორება; რა კარგად გრძნობს თავს! დიდი ხანია, ასეთი სიმშვიდით არ დამტკბარა; გულში ისევ იმეორებს იმ ფრაზას, რომელიც, თითქოს, გაუთავებლად უღიტინებს: „თქვენ ჩემი ქმრის საყვარელი ხართ!“. ეს საშინლად ბილწი სიტყვა უცნაურ სიამოვნებას განაცდევინებს. ლიზას გული სიხარულით ევსება და ფიქრობს: „აბა, შუბლზე ხომ არ მაწერია, რომ ქალწული ვარ?!“

ექიმი მას ნერწყვის გამწოვს აწვდის და პირში ჰიდროფილურ ბამბას უდებს. გოგონას ლოყები ბურთივით ებერება. „ვერ დამიჯერე-ბია, რომ გულდამშვიდებით სწავლობთ იმ ფილოსოფიას, რომელიც ცხოვრებისეულ მოვლენებს თუ უდიდეს სასწაულებს ასე აკნინებს და ურცხვად ამტკიცებს, ყოველივე „ზებუნებრივის“ მიღმა მიწიერი სიმდაბლე იმალებაო?! როგორ შეიძლება, სასწაული ფიზიკის წყალო-ბით ახსნა?! მექანიკის კანონები ღვთის სიდიადის წინაშე სრულიად უძლურია! როგორ უგდებთ ყურს მათ ათეისტურ ბოდვებს?! ნუთუ, ვერა გრძნობთ, როგორ ესწრაფვის თქვენი სპეტაკი სული იმ რაღაც შეუცნობელს, ამაღლებულსა და არაამქვეყნიურს, რისი მოცემაც ამ უხეშ და შემზარავ მატერიალიზმს არ ძალუძს?!“ – ეკითხება აღშფო-თებული ექიმი.

ლიზა ცდილობს, დაეთანხმოს, მაგრამ ისე გახევებულა, თავსაც კი ვერ უქნევს; მთელი სხეული დადამბლავებია; ექიმი ჩუმდება; ხორცსავსე, მაგრამ საოცრად მოქნილი ხელები ისევ ნაზად ეხება მის ტუჩებსა და ნიკაპს; ეს ვნებიანი ალერსი თავბრუს ახვევს; წამლების სასიამოვნო არომატით გაჟღენთილ თბილ ჰაერს ისუნთქავს და ძალ-ღონე სულ ეცლება; ადრე თავისი გამხდარი, წამახული სახე,

სუსტი სხეული და თხელი, აწოწილი სილუეტი მთელი გულით სძულდა, ფიქრობდა, კუტკალიას ვგავარო, ახლა კი ეჩვენება, რომ ამ მამაკაცის ნატიფმა ხელებმა მომწუსხველი სილამაზით შემოსა; ამ დიადმა მისანმა, ამ ხელგაწაფულმა მოქანდაკემ იდუმალი რიტუალი აღასრულა, აურაცხელი სიმდიდრე უბოძა, მისი ტორსი ხელახლა გამოძერწა და ატლასივით ნაზი, სათუთი კანი უწყალობა. ნუთუ, შეიძლება, ვინმეს მოწიფული მამაკაცის საყვარელი ვეგონო? მის თავქვეშ აბრეშუმნარევი ქაღალდი შრიალებს.

„მადმუაზელ ნარდეკ, თუ ასე თავდაუზოგადავად ისწავლით, ყველა კბილს დაკარგავთ. თქვენისთანა ქალიშვილს ფილოსოფია არ სჭირდება," – ეუბნება ექიმი და ფითხით უსვამს რაღაც თეთრ მასას, რომელსაც კბილქვეშ ჭრაჭუნი გააქვს.

„ამ მოუქნელმა კაცმა უხამსი ქათინაურებით ამავსო. ასეთი რამ ჩემთვის ჯერ არავის უკადრებია!" – გაიფიქრა და უეცრად, ვერაგმა აზრმა გაუელვა: „მეტროთი წასასვლელად ცოტაოდენ ფულს ვთხოვ! „

ექიმი ნერწყვის გამწოვს პირიდან აცლის და ბამბის ტამპონებს პინცეტით უღებს. „ფილოსოფიის შესწავლას თავი რომ დავანებო, შიმშილით მოვკვდები!" – უთხრა ლიზამ კეკლუცი, მაგრამ სიმწარე-ნარევი სიცილით; გულჩაწყვეტილ და გაწბილებულ გოგონას ვეღარა-ვინ ანუგეშებს; სავარძლიდან დგება; ექიმი დევინიე ხელსაბანს უახლოვდება.

„ლამაზ ქალებს სწავლა უნდა აუკრძალონ!" – ეუბნება ის ხუმ-რობით. სარკესთან მდგარი ლიზა ქუდს იხურავს; ქალური შარმი და სილამაზე ნამდვილად არ აკლია; ვინმე ჯიბესქელი კაცი ძვირფას კაბებსა და ფერუმარილს რომ უყიდდეს, პრინცესას დაემსგავსება, თავაწეული და ყელმოღერებული, მედიდური იერით ჩაივლის ქუჩაში, უსახურ ბრბოს ზედაც არ შეხედავს და თავისი მშვენიერებით დატკბება, მაგრამ... „მეტისმეტად ამაყი და თავდაჭერილი ვარ; იმასაც კი ვერ ვბედავ, ამ ექიმს ასი სუ ვთხოვო!"

„ნახვამდის, ექიმო.

– ნახვამდის, მადმუაზელ. ხვალ დილამდე მარჯვენა კბილებით საჭმელი არ დაღეჭოთ", – ეუბნება და ხელზე ეპოტინება: „გული მწყდება, ჩემთან უკანასკნელად რომ მოხვედით... ყოველ შაბათს სულ-მოუთქმელად გელოდით, ახლა კი... რა სევდიანი და პირქუში დღეები მელის! აქ აღარასოდეს გაიელვებს თქვენი მშვენიერი სახე..." ლიზა ცოტათი უხერხულად, ნაძალადევად იცინის; დიდებული ქურუმი ხელს უშვებს და სევდიანი სახით დასძენს: „აუცილებლად გამოგიგ-ზავნით ანი ბეზანტის იმ წიგნს, რომელზეც ახლახან გესაუბრეთ.

– მაპატიეთ, ექიმო... შეიძლება, გაგეცინოთ, მაგრამ უნდა გითხრათ... წარმოიდგინეთ, ფული სულ შემომეხარჯა!“

რა ადვილი ყოფილა ამ სიტყვების წარმოთქმა!

როცა მეტროში შეაბიჯა, სიამაყით აღივსო, რადგან მიხვდა, რომ დიდებული ადამიანი იყო! უგვან და ბრიყვ ხალხს კი გაწუწული ძაღლივით შესაბრალის და მხდალ არსებად მიაჩნდა! მამაკაცებს თვალს უშიშრად გაუსწორებდა და რაკი ამქვეყნად სიყვარული, ეს დიადი გრძნობა არ არსებობდა, ულმობელ ცხოვრებას ბასრი კლანჭებიდან გამოჭგლეჯდა ფულს, განცხრომას, ფუფუნებას, სიამოვნებას, ამქვეყნიურ სიკეთეებს... „რა პატივმოყვარე და ახირებულია ეს მთავარანგელოზი... რად დასძლია შიშმა?! რატომ ეგონა, რომ გულს მომიკლავდა?!“... „ალბათ, ოდესმე მდიდარი კაცის საყვარელი გავხდები; ბრწყინვალე კურტიზანივით ვიცხოვრებ და ჩემი სახელი უკვდავმყოფელი შარავანდედით შეიმოსება. ო, როგორ გაოგნდებიან ყველანი!... მათ შეძრწუნებულ სახეებს სიხარულით დავაცქერდები!“ – გამომწვევად ჩურჩულებს და კვლავ აგონდება ეს ბილწი სიტყვები: „ჩემი ქმრის საყვარელი!“ ოხრავს; სამწუხაროდ, მისთვის ამგვარი სულმდაბლობა უცხოა; ამ დასაძრახ უზნეობას ვერასოდეს იკადრებს; თითქოს, ანაზდად თვალი აეხილა და აუწერელი ნეტარება დაეუფლა, რადგან მიხვდა, რომ ასეთი მძიმე ხვედრი შეუცნობელმა განგებამ კი არ არგუნა ამ ულამაზო გოგონას (ულამაზო სულაც არ გახლდათ!), არამედ – ამაყმა და სულგრძელმა ქმნილებამ ყოველგვარ მიწიერ სიამეს ამჯობინა გულისმომკვლელი სევდა, იმედგაცრუება, სიღატაკე და ულმობელი ტკივილი.

***

ლიზა ოტეიში დაბრუნდა.

ვახშამი უკვე დასრულებულა. დერეფნებს ნელა, უხმაუროდ მიუყვება. მადმუაზელ ლამბერის ოთახის კარის ღიობიდან შუქი გამოკრთის. სენტ-ანჟელ მასწავლებელთა და მოსწავლეთა კრება ჯერ კიდევ არ დასრულებულა; ის ქალიშვილები, რომლებიც მათ სათოფეზე არ ეკარებიან (ბრწყინვალე შეგირდებს გაერთიანებაში გაწევრებას არ აიძულებენ), ოთახებში შეყუჟულან, ჩაის სვამენ და მასლაათობენ. მბჟუტავი შუქით განათებულ ბიბლიოთეკაში მხოლოდ მართა და ფრანსუაზი სხედან, დიდრონი თავები დაუხრიათ და ფილოლოგიის სახელმძღვანელოებს ჩაშტერებიან. მათ ხორცსავსე და გლეხურ სახეებზე გულისმომკვლელი სევდა და უიმედობა იკითხება.

ლიზა კიბეზე ადის; დილიდან საღამომდე მოზღვავებულ დაღლილობას ჰაერი, თითქოს, ტყვიასავით დაუმძიმებია; მთელი

დღე ქანცგამწყვეტ შრომაში გალეულა სევდიან სასწავლებელში; ჭაპანწყვეტის წვეთები გამეტებით ეცემა რუხ იატაკს და საცაა, ყოველივეს წალეკავს; კარს მიღმა უსიხარულო ხმები და კოვზებისა და ფინჯნების რაწკარუწკი ისმის; ამ ბნელ ჯურღმულში ჯადოსნური თავგადასავალი არავის გადახდენია; მზე ისე ჩაესვენა, ამ გოგონების გულებში სიხარულისა და იმედის ცხოველმყოფელი სხივი არ აელვარებულა; ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი აქვთ; მხოლოდ იმას ნატრობენ, თავი როგორმე შეიქციონ და დრო მოკლან; მალე ძილის დროც მოვა და თავიანთ ცივ საწოლებში ისე ჩაესვენებიან, როგორც მოკრძალებულ, უბიწო და ღვთისმოშიშ ქალიშვილებს შეშვენით.

კარი იღება. „ლიზა, ჩაის ხომ არ დალევთ?!“ – ეკითხება ვიღაც. „არა“ – პასუხობს გოგონა (მათთან ერთად ჩაის დალევა არც არასოდეს ჰყვარებია). იგი არა ჰგავს ამ მორჩილ ქალიშვილებს, უდრტვინველად რომ სწავლობენ ყველაფერს, რასაც თავში ჩაუჭედავენ; ცოდნა იმ საქსოვ ჩხირად ესახებათ, რომლითაც თვლები უნდა ამოიყვანონ; კრიტიკული აზროვნების უნარი არ გააჩნიათ; მათი გონება დიადი იდეის თვალისმომჭრელ სხივს ჯერ არ გაუნათებია; ფიქრს სხვები ასწავლიან; თავის დღეში არ გადაუშლიათ წიგნი, რომელსაც სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს; უშფოთველად ემორჩილებიან ხვედრს, შეუცნობელმა განგებამ კი არა – უგუნურმა, წამიერმა შემთხვევამ რომ არგუნათ; ზოგი ოცნებობს, გახდეს მდიდარი ფერმერი ან კიდევ, თავდადებული დედა, სამაგალითო დიასახლისი და ერთგული ცოლი; უმრავლესობას კი არასოდეს არაფერი უნატრია; მათთვის სანუკვარ გულისწადილთა მშვენიერი სამყაროს კარიბჭე სამუდამოდ დახშულა; როცა ლიზა მათ გვერდითაა, გულისმომწყვლელი სევდა ერევა, მაგრამ როგორც კი ტერეზს შეავლებს თვალს, იმედი ესახება, რომ ეს საავდრო ღრუბელი უკვალოდ გაქრება; ტერეზს და მის მეგობრებს „თავისუფალ გოგონებს“ უწოდებენ, რადგან საზიზღარ მადმუაზელ ლამბერს ბრიყვული აღფრთოვანებით არ შესციცინებენ და ერთგული ფინიებივით არ დასდევენ კუდში; ამ საღამოს ლიზას ტერეზის წკრიალა ხმის გაგონება სურს. დგება, მის ოთახში შედის, შავ ტოკს (ცილინდრისებური უფარფლებო ქუდი. მთარგმნ.) დივანზე დაუდევრად აგდებს და იატაკზე ჯდება, ჟანინსა და ელენს შორის. ტერეზი ფინჯან ჩაის უწვდის და აღფრთოვანებით ეუბნება: „ყვავილივით გაფურჩქვნილხართ, ლიზა! როგორ დამშვენებულხართ!“ ამ ოცდაათიოდე წლის ქალს ეს გოგონა ხორცშესხმულ ახალგაზრდულ სილამაზედ და გრაციოზულობად ესახება. ლიზა ნაზად ეხება შემჭკნარ იებს, რომელთაც უკვე შეჰპარ-

ვიათ სიკვდილის აუტანლად მძიმე სუნი; მსახვრალი დრო ამ სათუთ ფურცლებს სამარადჟამო გახრწნასა და არარადქცევას უქადის; ღონემიხდილ გოგონას, თითქოს, სევდანარევი სიხარული ეძალება.

„ეს ყვავილები ძალზე უცნაური ვაჭრებისგან ვიყიდე... ასეთ ფანტასტიკურ, არამიწიერ ადამიანებს რილკე აღწერდა!...“ – ამბობს ოცნებამორეული ლიზა, ჩუმდება, ახსენდება, რომ პანსიონში ამ დიად მგოსანს არად აგდებენ და განაგრძობს: „ჯიბეში სულ რამდენიმე სუ მქონდა... მეტროს ბილეთი უნდა მეყიდა და დანტისტთან წავსულიყავი, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და იების კონა შევიძინე... წარმოიდგინეთ, ექიმ დევინიესთან ფეხით წავედი!... ჰო, ფეხით... რომ იცოდეთ, როგორ დავიღალე...

– სიგარეტი გინდა?“ – ეკითხება ელენი; ლიზა სიგარეტს ართმევს და კალათიდან მანდარინს იღებს.

„მთელი დღე ქალაქში გაატარეთ? – ეკითხება ტერეზი.

– ჰო. ჯერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვკითხულობდი, მერე კი ექიმის კაბინეტისკენ მიმავალ გზას დავადექი,“ – ეუბნება ლიზა, კეთილსურნელოვან ხილს ფცქვნის და ღიმილით დასძენს: „ეს ძვალმსხვილი, ზორბა და ბურთივით გაბერილი ორმოციოდე წლის კაცი, ლამის სიყვარულში გამომიტყდა; გულიანად ვიცინე; სადაც იყო, მეტყოდა, მინდა, კუბოს კარამდე ჩემს კმაყოფაზე გაცხოვროთ, ცივი ნიავი არ მოგაკაროთ და თქვენი ყურმოჭრილი მონა ვიყოო.

– ორმოცი წლის დანტისტი... მშვენიერი დასაწყისია! მალე უფრო ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწევთ, ლიზა; მთელი ცხოვრება წინ გაქვთ; საარაკო მომავალი გელით,“ – ამბობს ტერეზი ცოცხალი, ეშმაკური გამომეტყველებით. ლიზა კისკისებს; ეჩვენება, რომ დღეს მის სხეულში ჩასახლდა უცნობი, საშინლად გულზიზღიანი, მედიდური, ამპარტავანი, თავდაჯერებული და ემანსიპირებული ქალის სული, რომელიც უსაზღვროდ ტკბება სისხლსავსე ცხოვრებით.

„იმ კაცს ჰგონია, მისი ქათინაურები მსიამოვნებს. მითხრა, ხშირად მესტუმრეთ, ასტრალურ სამყაროზე ვისაუბროთო. თეოსოფია!“ – შესძახა ლიზამ დამცინავად.

ჟანასა და ელენს ტუჩები სუსტმა ღიმილმა გაუპო.

„მეც გავიცანი ერთი კბილის ექიმი, რომელიც სპირიტიზმითაა გატაცებული,“ – ამბობს ჟანა; „ყველამ იცის, რომ დანტისტები და გერმანული ენის მასწავლებლები მიღმიერს თვალნათლივ ხედავენ და უშფოთველად მიუყვებიან ზეცისაკენ მიმავალ ბილიკებს,“ – დასძენს ელენი.

სამივენი მდუმარედ ეწევიან; ლიზა გამეტებით უჭერს ხელს მანდარინის თითქოსდა ოქროცურვილ კანს, რათა სამუდამოდ გაიჟ-

ღინთოს ამ საამო სურნელით; საღამოობით სასწავლებლის ოთახებში სიგარეტისა და ციტრუსის სუნი ტრიალებს; ხვდება, რომ იმ ექიმზე ლაპარაკი აღარ ღირს; სათქმელი აღარაფერი დარჩა; სიტყვები ასხმარტალებული თევზივით დაუსხლტდა ხელიდან.

„ლიზა, იცით, მადამ ლერუამ ისევ რომ გამართა წვეულება? ფანჩატურის ფანჯრები ჯერ კიდევ გაჩახჩახებულია, – ეუბნება ტერეზი.

– ელიზაბეთის გათხოვებაზე ოცნებობს. არ უნდა, მისმა ქალიშვილმა ჩვენი ბედი გაიზიაროს; მისი მესმის კიდეც.

– ამ მზრუნველმა და მოხერხებულმა ქალმა გოგონა მადმუაზელ ლამბერის მავნე გავლენისაგან დაიცვა და ოსტატურად გამოჰგლიჯა კლანჭებიდან კიდევ ერთი მსხვერპლი ამ სისხლისმსმელ ფურიას, – იცინის ჟანა; ეს უსახური ქირქილი კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს მის ასიმეტრიულ და ულამაზო სახეს.

– ეს ქალი ნამდვილი კირკეა! – ამბობს ლიზა.

– ასე ნუ ხუმრობთ. იცით, ჟენევიევ ნევე მასწავლებელთა კავშირში რომ მიიღეს? ნამდვილად კარგ გზას დაადგა! თქვენი გაწევრების დრო როდის მოვა, ლიზა? – ეკითხება ტერეზი.

– კავშირის წევრები ვალდებულნი არიან, თმა გვერდზე გაიყონ, მე კი ასეთი ვარცხნილობა არ მიხდება.

– სამიოდე წელიწადში იმის ნებასაც დაგრთავენ, თმა შუაზე გაიყოთ, – ამშვიდებს ელენი.

– მდუმარება და მოკრძალება,“ – ამბობს ტერეზი და თითი ტუჩებთან მიაქვს. ეს ქალი ონავარი ბავშვივით ოხუნჯობს.

მძიმე სიჩუმე ჩამოდგა. ლიზა თავს ძალას ატანს და მხიარული იერით ამბობს:

„ამ ყვავილების წყალობით ერთობ სახალისო თავგადასავალი გადამხდა; თითქოს, მათმა თავბრუდამხვევმა ნექტარმა პარიზული საოცრებები ფუტკარივით მიიზიდა; როცა პალე-რუაიალის მოედანზე ავტობუსს ველოდებოდი, ვიღაც ქალმა მითხრა, ჩემი ქმრის საყვარელი ხართო. წარმოგიდგენიათ?!

– რას ამბობთ?! ო, არა! შეუძლებელია!“ – ამბობს გაოცებული ელენი.

ქალიშვილები თავს ლიზასკენ აბრუნებენ და ცნობისმოყვარედ შეჰყურებენ; გოგონა ყოყმანობს; ტერეზი სიჩუმის დარღვევას ბედავს:

„ასეთი რამ მეც შემემთხვა. ერთხელ ვიღაც ქალი მომიახლოვდა და მითხრა, მადმუაზელ გონტრანი ხართო...“

ლიზას, თითქოს ტალღასავით გადაუარა საშინელმა დაღლილო-

ბამ; ახლა ვეღარც კი ხვდება, რა იდუმალი ძალა ანიჭებდა დღისით მომხდარ უბრალო ამბებს ასეთ ჯადოსნურ მშვენიერებას; თითქოს, ანაზდად, ეს ფასდაუდებელი განძი გაუფასურდა; მისი სიხარული თვალის დახამხამებაში განქარდა; ყოველივემ აზრი დაკარგა; ასეთი ხვედრი არგუნა განგებამ: როგორც კი მის ცხოვრებაში რაღაც კარგი მოხდება, თითქოს, მთელი სამყარო თვალისმომჭრელად აელვარდება, თუმცა, ეჩვენება, რომ ეს სილამაზეც მალევე მიეფარება თვალს, ეს ძალზე მნიშვნელოვანი და დიადი რამ საშინლად დაკნინდება, გაფერმკრთალდება და გაქრება; ო, რა მსწრაფლწარმავალია სიხარული და ბედნიერება! გვერდით რომ მარგერიტი ჰყავდეს, უსიამოვნებასა და სადარდებელს დაივიწყებდა, მეგობარს უწყინარ შეცდომას მიუტევებდა და გატაცებით მოუყვებოდა საოცარ ამბებს... ო, როგორ ნატრობდა, ეს ჯურღმულივით ბნელი ოთახი მის ღიმილს გაებრწყინებინა!

დაღლილ-დაქანცული ლიზა დგება და მინაზებული, უსიცოცხლო ხმით ამბობს: „ჩემი წასვლის დროა. უამრავი საქმე მაქვს.“ ლიზა წავიდა, მაგრამ უგრძნობლობის სასიკვდილო შხამით მოწამლულ ამ მარად სნეულებს გულიც კი არ დასწყვეტიათ, რადგან ამ გულისმომკვლელი ტრაგედიის – განშორებისა და ეულად დარჩენის უდიდესი დრამის განცდის უნარიც არ გააჩნიათ; ისიც კი არ იციან, რას ნიშნავს მეგობრული სიყვარული, თავდადება და გულდამწველი სევდა.

***

ათი საათია. მოსწავლეები სრულიად მარტონი დარჩნენ თავიანთ გულშემზარავ საკნებში. ბიბლიოთეკაში უკანასკნელი ლამპაც ქრება. სამლოცველოში მუხლმოყრილ მადმუაზელ ლამბერს თავი ხელებში ჩაურგავს და გულმხურვალედ ლოცულობს; ზეცაში დავანებულ ღმერთკაცს ავედრებს თავს; მაინც, რა ფიქრები და მოგონებები აწამებს ამ პირქუშ ქალს? რას ეწირება მსხვერპლად? ნუთუ მხოლოდ რწმენამ შემოიყვანა აქ, ამ ღვთის სახლში და მუხლი მოაყრევინა? ნუთუ მხოლოდ უფალს ეთაყვანება? იქნებ, სხვა, რაღაც არამიწიერ, შეუცნობელ არსებასაც განადიდებს? სენტანჟელის მასწავლებელთა კავშირის წევრები საწოლის ფერხთით დაჩოქილან და კრიალოსანს მარცვლავენ; ოთახებში გამოკეტილი მართა და ფრანსუაზი ბიბლიოთეკიდან წამოღებულ ფილოლოგიის წიგნებს ჩაჰკირკიტებენ; ცოდნას ხარბად ეწაფებიან; მათი მგზნებარება და სიჯიუტე არა და არ ქრება; კეთილგონიერ, რიგიან და ზრდილ გოგონებს წინდების ჩავარდნილი თვლები მზრუნველად ამოჰყავთ და საყელოებსა და საცვლებს საგულდაგულოდ ირეცხავენ; ისმის წყლის ყურთასმენის წამღები

თქრიალი; ისინი მალე დათხოვდებიან; ეს მოსაწყენი, დამღლელი საოჯახო საქმე იქნება დამონებულ დიასახლისთა სულების ერთადერთი სავანე; ცხოველმყოფელი სიხარული ვერასოდეს გააცისკროვნებს საუკუნოდ ტყვედქმნილი ქალების უფერულ დღეთა თვალუწვდენელ წყებას; მათ მოქურუხებულ ზეცაზე ცხრათვალა მზე არ ამობრწყინდება; დიასახლისებად იშვნენ და დიასახლისებადვე მოკვდებიან; კერის მფარველი ეს ანგელოზები თავს ვერასოდეს დააღწევენ ცოლქმრობის მძიმე უღელს; მათი ვალია, კუბოს კარამდე ქმარ-შვილსა და წმინდა ოჯახზე იზრუნონ; ასეთი ხვედრი არგუნა მაღალმა ღმერთმა ამ ქედმოხრილ მხევლებს.

ყველაფერს ძილი სჯობს. ლიზა ტანსაცმელს იხდის; ბავშვობაში ნასწავლი უმანკო ჟესტით იცვამს კომბინეზონსა და პიჟამას შარვალს. სულ პატარა იყო, როცა თავში ჩაუჭედეს, რომ პატიოსანმა ქალიშვილებმა ძილის წინ ასე უმწიკვლოდ უნდა გაიხადონ ტანთ. ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ პერანგს იცვამს და თვალს არიდებს თავის მკერდს. ოდესღაც ისიც უთხრეს, შენს შიშველ სხეულს ურცხვად არ უმზიროო. საწოლში წვება და სიგარეტს უკიდებს; აბაჟურის მზესავით მრგვალი, დაკბილული ჩრდილი ჭერზე მკრთალ ლაქად იდღაბნება.

„თქვენ ჩემი ქმრის საყვარელი ხართ," – ჩაესმა ისევ. ექიმის ნაზი, თითქოს გამჭვირვალე, მოქნილი, თლილი და რბილი თითები ეალერსება. ტუჩებზე ბუსუსებიანი ბალახი ელამუნება. ო, ჩემი ვნების ბნელო ყვავილო! ო, წყვდიადის ყვავილობავ! ყვავილის ფურცლები წვიმის მსუბუქ წვეთებად ეცემა სახეზე. ერთი ფურცელი ისე ცახცახებს და შრიალებს, როგორც მის თავქვეშ დაფენილი აბრეშუმნარევი ქაღალდი. პასკალის გრძელი, წმიდათაწმიდა ხელები კრძალვით, უბიწოდ, საოცრად ნაზად ეხება მის მხარს, ლავიწს... თვალისმომჭრელ, ქათქათა სამოსში გამოწყობილ მთავარანგელოზს ბავშვივით თეთრი, უმანკო, შეურყვნელი ხელები ცეცხლოვანი მახვილისთვის ჩაუვლია. მშვიდად სუნთქავს. საამო სურნელს აფრქვევს. თბილი სუნთქვა წმინდა ბროლს ნელ-ნელა ადნობს. თბილი ხელები, ალთაეას (ალთაეა მცენარეა, რომელიც ნოტიო ადგილებში ხარობს. მთარგმნ.) ხელები, ჯერ კიდევ ქაფით დანამული ხელები. თქვენა ხართ სათუთი, თავბრუდამხვევი ალერსის შხაპუნა წვიმა, ნაზ სხეულზე ფაქიზად დაფენილი თოვლის ფანტელი, იმ სხეულზე, რომელშიც მომაჯადოებლად ბრწყინავს ბნელი, ბნელი ყვავილი, ნაზი, ხავერდივით ნაზი ყვავილი ჩემი ვნებისა. პასკალის ხელები ელამუნება მის თმას, ყელს. დილის ნამივით დამდნარი, თუმცა, ჯერ კიდევ მშვენიერი ბროლი. თბილი სუნთქვა. იდუმალებით

მოცულ სხეულს ხელები ეხება. მთავარანგელოზის ხელი ეხება მორჩილ, ფაქიზ, ერთიანად აცახცახებულ მსხვერპლს, მის სხეულს აუჩქარებლად ეალერსება. შენი მთრთოლვარე, ძვირფასი ხელი, ო, შენი სანუკვარი ხელი მთავარანგელოზისა, ჩემო სატრფოვ, ჩემო სატრფოვ, ჩემო სატრფოვ...

ლიზამ სიგარეტი საფერფლეზე დააგდო; ხელი აბრეშუმის პიჟამაში შეცურდა; თავის ხელს სულ ვეღარ გრძნობს, თითქოს, სხვას დაესაკუთრებინოს; უცხო, მხურვალე თითების ალერსი გაშმაგებულ ქარისგან დევნილი ფოთოლივით ათრთოლებს უნაზეს, ნოტიო ლორწოს.

შენი სანუკვარი ხელი, შენი ხელი მთავარანგელოზისა, ჩემო სატრფოვ, ჩემო სატრფოვ!

ანა

უფალო, ნება მიბოძეთ, მდაბლად შემოგწიროთ მადლობა, რადგან ინებეთ ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებულ ზეცაში დაბრძანებული ტახტრევნის დატევება და ჩემს სულში გარდამოსვლა; გმადლობთ, წყალობის თვალით რომ გადმოხედეთ თქვენს მონა-მორჩილს, ცხოველმყოფელი მადლი მოჰფინეთ და გონება გაუნათეთ. აი, აქა ვარ, ღმერთო, თქვენ წინაშე მუხლმოყრილი, პირქვე დამხობილი... გევედრებით, მიიღეთ ეს მოკრძალებული ძღვენი: თქვენი უღირსი შვილის უგონო თაყვანისცემა და უსაზღვრო სიყვარული! თქვენს ნება-სურვილს, თქვენს ყოვლისმპყრობელ ძალას ვემორჩილები, შემოქმედო, ჩემს დაღალულ ხორცსა და სულს განდობთ; წყალობა მოიღეთ და ადამიანთა სულებზე ზრუნვა დამავალეთ; ამ ცოდვილ მიწაზე მძიმე ჯვრის ზიდვა მომიხდა და ვიცი, ოდესმე, როცა ზეციური სამსჯავროს ზარი ჩამოჰკრავს, პასუხს მომთხოვთ! შემეწიეთ და დამიფარეთ, უფალო, თქვენი კალთა გადამაფარეთ. აფორიაქებული და თავგზაარეული ვარ, უფალო; ეჭვი და შიში გულს მიღრღნის; გამუდმებულმა ფიქრმა მოსვენება დამიკარგა; ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანს; ცხადია, ის წერილები ბიჭმა გამოუგზავნა... ზნედაცემული სორბონელი სტუდენტის გარდა ასეთ სამარცხვინო საქციელს არავინ იკადრებდა! ო, როგორ მძულს ეს უნივერსიტეტი, ეს გარყვნილების ბუნაგი! არც ერთი აქაური ბიჭი თავს უფლებას არ მისცემდა, ჩემი ქალიშვილისთვის წერილი მოეწერა; მას შემდეგ, რაც არდადეგები დაიწყო, სამჯერ მოსწერა; შიშმორეული ვფიქრობ, ანაც ხომ არ პასუხობს-მეთქი; აღარაფერი მესმის; მის ხელში კალამი და ფურცელი არავის დაუნახავს! ო, რა გულმხურვალედ და თავდავიწყებით ლოცულობს! წირვისას ხელებში თავჩარგულს ერთხელაც კი არ აღუპყრია თვალი ჯვარცმისკენ, ერთხელაც კი! უფალო, გევედრებით, თვალისმომჭრელი ღვთაებრივი შუქით გაუნათეთ დაგუბებული წყალივით ამღვრეული და ურწუნოების საზარელი ნისლით დაბინდული გონება ამ გზასაცდენილ კრავს! გემუდარებით, ადამის მოდგმის მასულდგმულებელი მადლი გულუხვად მოჰფინეთ ცოდვილს და სწორ გზაზე დააყენეთ ჩემი საბრალო გოგონა; ძალ-ღონე სულ გამოეცალა და ფარ-ხმალი დაჰყარა; სისუსტის, უმწეობისა და უნებისყოფობის ღვარცოფი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქანებს ბიწიერების მორევისაკენ, მაგრამ მისი ხსნა არ ძალმიძს; გავედრებთ, ღმერთო, ჩემს სანუკვარ ქალიშვილს; შეაგნებინეთ, რომ სიმართლე

გულწრფელად უნდა აღიაროს, ცოდვა მოინანიოს და მოძღვარს აღსარება უთხრას; თამამად ვერც კი ვეკითხები, რა მოგდის-მეთქი; არ მინდა, ძალა დავატანო; მხოლოდ იმას ვნატრობ, თავადვე მიამბოს ყოველივე; ჩემს ყმაწვილქალობაში, როცა დედაჩემი გულის სიღრმეში დამარხული ჩემი საიდუმლოებების შეტყობას მოისურვებდა, ეჭვიანი, გამომცდელი იერით დამაცქერდებოდა და საშინელი შეკითხვებით მტანჯავდა, მე კი ტუჩებს მოვკუმავდი და დავდუმდებოდი; მგონი, იმ ბიჭს ღამღამობით სწერს; ალბათ, ამიტომ გამოსჭვივის მისი ოთახის კარის ღიობიდან სუსტი სინათლე; დილაობით, როცა მის ამოღამებულ თვალებს და საშინლად დაღლილ, განაწამებ სახეს ვუყურებ, თავზარი მეცემა; დედის თვალი და გული არ ცდება; დარწმუნებული ვარ, თავს ცუდად გრძნობს; ძალიან ბევრ ჩაის სვამს; პარიზში რომ დავბრუნდებით, ექიმთან წავიყვან; ოდესღაც გულწრფელად მელაპარაკებოდა, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ რაღაცას მიმალავს; საკუთარ დედას ასე უსულგულოდ როგორ ექცევა?! რატომ უგზავნიან ბურთივით გაბერილ კონვერტებს?! თუ დედას სურს, ქალიშვილი სულის წარწყმედისაგან იხსნას, მისი წერილებიც უნდა წაიკითხოს; მზრუნველ და თავდადებულ მშობელს ეს უღირსი საქციელიც კი ეპატიება! სამწუხაროდ, კონვერტზე კვალი დარჩება... აქ ხომ თითქმის სულ ნისლი დგას?... ვფიცავ, ჩემი ქალიშვილების ბარათები არასოდეს გამიხსნია; ვალდებული ვარ, მათი საიდუმლოებების უძირო სკივრი გადავქექეო! ო, რა სამარცხვინოა! რა ამაზრზენი სულმდაბლობაა! რა გაუგონარი სიტლანქე და სიმახინჯეა! მე არა ვგავარ იმ დედებს, ძალაუფლებით ბოროტად რომ სარგებლობენ და შვილებს პირსისხლიანი ტირანებივით ჩაგრავენ; რად არ დამელაპარაკა აქამდე?! რატომ არ გამიმხილა ყოველივე?! რა უგუნურებაა! ვერ დამიჯერებია, რომ არ მენდობა! როცა მის წინაშე ვიდექი, უმწეობამ შემიპყრო და გავიფიქრე, საცაა, გულწასული დავეცემი-მეთქი; უფალო, გევედრებით, ძალა შემმატეთ, რათა ჩემს ქალიშვილს მკაცრად დაველაპარაკო. თქვენ... თქვენ ხომ საკუთარი ძეც კი არ დაინდეთ?! დედას გამორჩეულად არც ერთი შვილი არ უნდა უყვარდეს, მაგრამ ანა იმდენად მგრძნობიარე და თავაზიანია... ღვთის რისხვა დამატყდა თავს, რადგან ანას წინაშე გამუდმებით ქედს ვიხრიდი და მხოლოდ მისი ბედნიერება და სიხარული მაფიქრებდა. მისთვის სწავლის გაგრძელების უფლება არ უნდა მიმეცა. ეს ჩემი პირველი უდიდესი შეცდომა იყო; განათლებული ადამიანები მეტისმეტად გულჩათხრობილნი, სიტყვაძვირნი და ამაყნი არიან; ვერასოდეს მიხვდები, რა სურთ, რა ფიქრები უტრიალებთ თავში... წიგნების სასიკვდილო სამსალამ, ამ დამპალმა, გახრწნილმა თესლმა,

ჩემს ანას გული ვერ მოუწამლა, თუმცა, გონება წაუბილწა; აი, როგორ დაეცა ჩემი საამაყო ქალიშვილი! ვიღაც ბიჭს წერილებს მალულად სწერს! დიდი ხნის წინ უნდა მეთქვა მისთვის, შანტალს სამუდამოდ დაშორდი-მეთქი! ო, ღმერთო, რატომ არ ჩავდექი მათ შორის?! ვაი რომ გვიანია თითზე კბენანი... ინტელექტუალები მთელი გულით მძულს. ჩემი უმწიკვლო, ბროლივით სპეტაკი შვილი ისე შეურყვნელად შემოგინახეთ, უფალო... შეეძლო, წმინდანიც კი გამხდარიყო, დიახ, წმინდანი! თქვენ მის სულში ღვთაებრივი მარცვალი ჩათესეთ, სწავ-ლა-განათლების სენმა კი ეს განძი მოაშთო. ერთხანს ვფიქრობდი, უფალს სურს, ჩემი ქალიშვილი მონაზვნად აღიკვეცოს და ღმერთს თავი მიუძღვნას, ეს რა წყალობა გვეღირსა-მეთქი, ახლა კი ვიღაც ურწმუნო, სრულიად უცნობ ბიჭს მსხვერპლად ეწირება! დაიხსენით ჩემი საბრალო გოგონა მისი კლანჭებიდან, შემოქმედო! ოც წელიწადს მის სულზე დაუღალავად ვზრუნავდი, თავს დავკანკალებდი, არ მინდოდა, ღვთაებრივი ცეცხლით, სულის ჩამდგმელი რწმენითა და სასოებით ანთებული ეს სანთელი გავეშებულ მიწიერ ქარიშხალს ჩაექრო; მავნე გავლენისგან ვიცავდი, მის მეგობრებს მუდამ ეჭვის თვალით ვუყურებდი... პირველივე შემხვედრს უფლებას არ მივცემ, ჩემი ქალიშვილი გარყვნას, მის წმინდა სახელს ჩირქი მოსცხოს და სული წარუწყმიდოს! ეს უბედურება თავიდან უნდა ავაცილო და დაუყოვნებლივ გავათხოვო; ლიუსეტზე ზრუნვამ დამღალა; თავს არ ვიზოგავდი, მრავალი პატივსაცემი ოჯახისშვილი გავაცანი, იმის იმედით ვცოცხლობდი, იქნებ, ვინმემ შემიბრალოს და მისი ხელი მთხოვოს-მეთქი; ქვეყანა მოვატარე! უამრავი ფული დამეხარჯა. დღეს უკანასკნელ შანსს მივცემ; მუხლმოყრილი გევედრებით, ღმერთო, დალოცეთ ეს დღე! დაეხმარეთ ლიუსეტს გათხოვებაში! დღეს ძალიან ღირსეულ, მორწმუნე, ზნემაღალ ყმაწვილს გავაცნობ. ეს ღვთივმიმად-ლებული ქმნილება ნამდვილად ქება-დიდების ღირსია; მისთვის სრულიად უცხოა უკეთურ სწავლულთა ბიწიერებანი; დიდი ხანია, მის მშობლებს ვიცნობთ; თუ ლიუსეტი თავაზიანობას გამოიჩენს, მათ გულს მოიგებს. ისეთი ბრწყინვალე და სასიამოვნო ღიმილი აქვს!... ეს კეთილგონიერი გოგონა ქმარს სანუკვარ განძად, ღვთის ფასდაუდებელ ძღვნად მოევლინება; რა დასანანია, ახალგაზრდებს, მეტადრე, ყმაწვილკაცებს, ცხოვრება ასე რომ აშინებთ. რად არიან ასეთი გულგატეხილები?! ხვალინდელ დღეზე ფიქრიც კი ზარავთ... ცხადია, იმედი მქონდა, უკეთეს ბიჭს გაჰყვებოდა, მაგრამ... ახლა ისეთი გაჭირვებაა, ხალხს ლუკმა-პური ვეღარ უშოვია; ლიუსეტი და მისი თანამეცხედრე თავის გატანას ვერ შეძლებენ; ძალიან დათრგუნულები

არიან და მარტო ვერ იცხოვრებენ; საბედნიეროდ, პიერმა მათემატიკა შესანიშნავად იცის. ღმერთო! გავგიჟდებოდი, ჩემი ვაჟები ზარმაცები რომ ყოფილიყვნენ! დედას გული უკვდება, როცა ბიჭი ვერ სწავლობს და სკოლაში წარმატების მწვერვალებს ვერ იპყრობს; დედისთვის ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს! გოგონას განათლება არ სჭირდება; ახალდაქორწინებულები ჩვენთან იცხოვრებენ, რობერი სიძეს სამსახურს აპოვნინებს, ჩემი ტყუპები პატარა მისაღებ ოთახში, დივანზე დაიძინებენ, ცოლ-ქმარს კი დიდ ოთახს დავუთმობ; ოჯახური სითბო არ მოაკლდებათ; ოცდახუთი წლის ქალიშვილს პატივმოყვარეობა და კარიერისტობა არ შეშვენის; დასაძრახი ამბიციები სამუდამოდ უნდა დაივიწყოს, სახელის მოხვეჭის ჟინი დაიცხროს და გათხოვდეს; ალბათ, ანას ერთ წელიწადს საზღვარგარეთ, მონასტერში გავგზავნი; მშვიდ სავანეში მის სულზე იზრუნებენ, ურწმუნოების სენისგან განკურნავენ, სულის იარებს მოუშუშებენ, დაკარგულ სიმშვიდეს დაუბრუნებენ და ინგლისურსაც შესანიშნავად შეასწავლიან; დღეს ხომ ეს ენა ძალიან საჭიროა? უფალო, ხომ მხედავთ?! ისე გულახდილად გელაპარაკებით, როგორც შვილი – საყვარელ მამას. გენდობით, ზეციერო, ყველა საიდუმლოს გიმხელთ და თქვენს ნებას უდრტვინველად ვემორჩილები. თქვენს მხევალს გული რწმენით აქვს სავსე. მინდა, ხელი მაგრად ჩამჭიდოთ, უსახურ საგნად მაქციოთ და თქვენი წმიდათაწმიდა განგება აღვასრულო! ჩვენ სხვებზე მეტი მოგვეთხოვება, რამეთუ მეტი მოგვეცა! არ ვგავართ იმ საბრალო, ცოდვილ სულებს, წყვდიადში შთანთქმულნი, შესაბრალისად რომ ფართხალებენ და ისე შეშლილებივით ბორგავენ, თითქოს, ეშმაკი შეუჯდათო, აქეთ-იქით აწყდებიან და ხელის ცეცებით მიიკვლევენ გზას. უდიდესი ბედნიერება მოგვანიჭეთ – თქვენი ზეციური ნათელი მოგვფინეთ! მადლცხებულნი და შარავანდედმოსილნი მივუყვებით ცხოვრების გრძელ გზას. ნება მოგვეცით, დაგიმტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ ამ არნახული წყალობისა! ანა მეტისმეტად სუსტი, ფაქიზი და მგრძნობიარეა. მისხელა რომ ვიყავი, მეც მოსვენება დავკარგე, თავგზა ამებნა, ეჭვმა შემიპყრო... ახლა კი ჩემი ვალია, ძალა მოვიკრიბო, ურყევი სიმტკიცით აღვივსო და მისი სული ვიხსნა; იმ უღმერთოებს, იმ საზიზღარ მკრეხელებს უფლებას არ მივცემ, ათეიზმის სენი შეჰყარონ ჩემს ანგელოზს! ვფიცავ, ის ურწმუნო, ზნედაცემული და ავანტიურისტი შანტალი, პარიზში თავაშვებული ღრეობებით რომ ტკბება, ჩემს წმინდა სახლში ფეხს ველარ დაადგამს; ბავშვობაში ძალიან თავაზიანი, საყვარელი და ღვთისმოსავი იყო, მაგრამ მადამ პლატარმა მისი ღირსეულად აღზრდა ვერ შეძლო, რადგან დღემუდამ საქმეში იყო ჩაფლული. საბრალო,

სარჩოს მოსაპოვებლად ტყავიდან ძვრებოდა; გოგონა ხელიდან წაუვიდა და აღვირახსნილ, უსირცხვილო ქალად იქცა; მისი ნდობა დიდი ხნის წინ დავკარგე; ზოგჯერ, გააფთრებითაც კი ვებრძოდი, მაგრამ სამწუხაროდ, ანა თავგამოდებით იცავდა; ვერაფერი შევასმინე; თავის უტიფარ მეგობარს დიდ პატივს სცემს; რატომ აღმერთებს მაინც და მაინც ამ ამორალურ ადამიანს?! მას ხომ უამრავი შესანიშნავი მეგობარი ჰყავს?! მისი სიყვარულით მრავალი გული აენთო! მისი უბედურების თავი და თავი შანტალია! ჩემს წმინდანს თავგზა აურია! ჰო, ჩემი გოგონა ამ ჭირვეულმა ინტელექტუალმა, ამ ახირებულმა, მათრევალა ქალმა წაბილწა, მამაკაცებთან ერთად ურცხვად რომ დაწანწალებს კაფეებში! არც სახლ-კარი აქვს, არც ქმარ-შვილი ჰყავს, არც ღმერთის სწამს და არც-ეშმაკისა; ეს დაცემული არსება მთელი გულით მძულს; დარწმუნებული ვარ, ანას ის უღირსი ბიჭიც მან გააცნო; როცა ანას კონვერტი გავუწოდე, ყურებამდე გაწითლდა და თავი დახარა; ჩემს დაჟინებულ მზერას ვერ გაუძლო; თვალის გასწორებაც კი ვერ გამიბედა! სულმოუთქმელად ველოდი, ორიოდე სიტყვას მაინც მეტყვის-მეთქი, მაგრამ ზურგი მაქცია და უხმოდ გამშორდა. ასე თავის დღეში არ მოქცეულა; ჩემი შვილები არასოდეს არაფერს მიმალავდნენ; მე ხომ მათი დედა ვარ?! ო, წარმოუდგენელია! ანა ხომ ასეთი მორჩილი, თავდადებული, ნაზი და თვინიერი იყო, სანამ სწავლას დაიწყებდა?! დღედაღამ შინ იყო გამოკეტილი, ქუჩაში სეირნობაც კი სძულდა... როგორც ჩანს, საკმარისი სიმკაცრე ვერ გამოვიჩინე; არ მინდოდა, ცივსისხლიან დედასავით მოვქცეოდი; მსურდა, დავმშვიდებულიყავი და სუფთა სინდისით მეცხოვრა, მაგრამ... თავს აღარასოდეს მოვიტყუებ! სიმართლეს თვალს გავუსწორებ და ანას სულის ხსნაზე ვიზრუნებ; სანამ დროა, ჭკუაზე უნდა მოვიყვანო და სწორ გზაზე დავაყენო, თორემ უფსკრულში გადაიჩეხება; რა ამაზრზენი წიგნები ვიპოვე გუშინ მის ბიბლიოთეკაში! ქრისტიანი გოგონა ასეთ რამეს როგორ უნდა კითხულობდეს?! როგორ შეფარვით, მაღალფარდოვნად საუბრობენ ეს გარყვნილი მწერლები ათასგვარ სისაძაგლეზე! მერჩივნა, თამამად აღეწერათ არნახული სიბილწით გაჟღენთილი სცენები, რადგან მჭევრმეტყველების, სიბრძნისა და ფილოსოფიის საბურველით შენიღბული ეს მკრეხელობა ჩემს ანგელოზს დაღუპვას უქადის; არასოდეს მინდოდა, რომ ჩემი გოგონები უვიცები ყოფილიყვნენ, სასტიკ სინამდვილეზე წარმოდგენა არ ჰქონოდათ და შეცბუნებულები და დაბნეულები გაჰყოლოდნენ ცხოვრების ნარ-ეკლიან გზას; მათ ყველაფერზე გულახდილად და თავისუფლად ველაპარაკებოდი, საჩოთირო შეკითხვებზეც კი უყოყმანოდ ვპასუხობდი, იმიტომ, რომ

მსურდა, მათი არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობა ჩანასახშივე ჩამეკლა. ო, როგორ მძულს ავხორცობისა და ურწმუნოების სენით შეპყრობილი, სამარადისოდ წაბილწული და გადაგვარებული ინტელექტუალები, ეს სულწაწყმედილი, გაუკუღმართებული და გულგამოფიტული არსებები, რომლებიც თავის დღეში ვერ დაადგებიან ღვთისაკენ მიმავალ ციცაბო ბილიკს; როგორ ბედავენ, ასე უტიფრად ამტკიცონ, კათოლიკეები ვართო, როცა წმიდათაწმიდა ოჯახზე ასეთ საშინელ რომანებს წერენ და კერის მფარველ ანგელოზს ასე აქილიკებენ?! ნუთუ სირცხვილ-ნამუსი სულ დაკარგეს?! ნუთუ მათთვის სულიერება აღარაფერს ნიშნავს?! რა საზარელი დრო დაგვიდგა! უფალო, ბოლო ჟამი კარს მოგვადგა! ცრუ ექიმები და ცრუ წინასწარმეტყველები ზეობენ; რობერს ჩვენი ქალიშვილისთვის მეტი ყურადღება უნდა მიექცია და გულდასმით შეემოწმებინა, რა რომანებს კითხულობდა, რომელი მწერლები უყვარდა... მრავალი წელია, ბიბლიოთეკას ახლოს არ გავკარებივარ; მუხლჩაუხრელად ვშრომობდი; საოჯახო საქმეებს ბოლო არ უჩანდა; წიგნის კითხვის კი არა, გადაფურცვლის დროც კი არა მქონია; მხოლოდ სათაურების წყალობით როგორ უნდა მივმხვდა-რიყავი, ეს რომანები სამსალით რომ იყო მოწამლული? ბავშვობაში უსიტყვოდ მემორჩილებოდა, ახლა კი ვგრძნობ, რომ ხელიდან წავიდა; ამ ურჩმა ფაშატმა აღვირი აიხსნა, უნაგირიდან გადმომაგდო და თვალუწვდენელ სიშორეში გაიჭრა; ო, რამდენი დრო დავკარგე! აუარებელ საქმეს ვავალებ, მოსვენებას არ ვაძლევ, თუმცა, ამაოდ! კითხვისა და ოცნებისთვის დროს მაინც გამონახავს ხოლმე; რა გამჭრიახია! წერილების წერაში ღამეებს თეთრად ათენებს და მერე წუწუნებს, თავი მტკივაო! როგორ გაბედა ამ დილით ზიარებაზე წასვლა, თუკი ის ბინძური წერილი ჩანთაში ედო?! წმინდა სეფისკვერი ყელში როგორ არ გაეჩხირა?! ეს საბრალო არსება თავს იტყუებს; ჩემი ვალია, თვალი ავუხილო და შევაგონო, რომ ისე მოიქცეს, როგორც პატიოსან, ზრდილ, სათნო და ღვთისმოსავ ადამიანს შეეფერება, გულახდილად დამელაპარაკოს და მოძღვართან მივიდეს; ერთი წელია, ხან ვის აბარებს აღსარებას და ხან – ვის; რწმენით გულანთებულ გოგონას ასეთი ბავშვური დაუდევრობა და თავქარიანობა არ ეკადრება; სულ მალე მოვაშლევინებ ამ სულელურ ამპარტავნებას, თავდაჯერებას, დასაძრახ კადნიერებასა და სითამამეს! ოქტომბრის დამდეგს მამა შიბურთან გავგზავნი; ეს ბრწყინვალე ღვთისმსახური გულზვიად და ურჩ ახალგაზრდებს სამუდამოდ იმორჩილებს; დარწმუნებული ვარ, ანასაც ოჩანი ცხენივით ამოსდებს ლაგამს; სულ არა ჰგავს იმ „თანამედროვე“ მღვდლებს, რომლებიც თავის გამოჩენისა და სახელის

მოხვეჭის გარდა არაფერზე ფიქრობენ და დღემუდამ ცდილობენ, მრევლს დაუმტკიცონ, რომ, როგორც ახლა იტყვიან, „თავისუფალი მოაზროვნენი“ არიან. ვგრძნობ, ის ბიჭი, ანას რომ სწერს, პასკალ დრიუფია! ჩემი ანგელოზი ხომ მასზე რამდენჯერმე მელაპარაკა?! როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი, კეთილშობილი და ღვთისმოშიში ოჯახიშვილია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს – შანტალის მეგობარია; ჩემს სპეტაკ ქალიშვილს იმ უზნეო მასწავლებლის თანამოაზრეს არაფრისდიდებით არ მივათხოვებ; არ ვგავარ იმ სულმდაბალ ქალებს, რომლებიც მზად არიან, გოგონები ნებისმიერ ფასად მოიშორონ თავიდან; ღვთის წყალობით, ისეთი მდიდრები ვართ, შვილებს არაფერს მოვაკლებთ; ლიუსეტს, ანასა და მის და-ძმებს ხვალიდნელი დღის არ ეშინიათ და მშვიდად მიუყვებიან ცხოვრების გზას; ანას უფლებას არ მივცემ, თავქარიან გოგონასავით დაუფიქრებლად გათხოვდეს; ვიცი, როგორ მთავრდება ასეთი სენტიმენტალური ამბები! მთელი ცხოვრება ინანებს, ასე ცხელ გულზე რატომ შევები ცოლქმრულ უღელშიო; არ მინდა, კუბოს კარამდე წყევლიდეს თავისი ქორწინების დღეს; ის ქალები, რომლებმაც ოდესღაც ქმრებს სამარადისო ერთგულება და სიყვარული ღვთის წინაშე აღუთქვეს, ახლა ჯოჯოხეთურად იტანჯებიან, მაგრამ ვაი რომ გვიანია თითზე კბენანი! ტრფობის ტკბილი ბანგით თავბრუდახვეულ სულელ ქალიშვილებს ეგონათ, სიკვდილამდე ბედნიერებითა და განცხრომით დატკბებოდნენ; ანას ამ ბეწვის ხიდზე გავლის ნებას არ დავრთავ! ეჭვი გულს მიღრღნის; მგონი, ის არასერიოზული ბიჭი ანას ცოლად შერთვას არ აპირებს; ალბათ, არც კი უყვარს; მესმის, რომ ყმაწვილებმა ქალიშვილების პატივისცემა სულ დაკარგეს; ქალებისა და მამაკაცების ეს ეგრეთ წოდებული უმანკო ურთიერთობა გულს მირევს; მათი ფარისევლური სიწმინდის მიღმა საზარელი ავხორცობა იმალება; ეს ველურ ნადირთა და უწმინდურ მხეცთა ერთობაა, ნამდვილი ასპიტთა ბუდე; ჩემს გულუბრყვილო ანას კი ჰგონია, რომ მამაკაცებს შანტალის ბრწყინვალე ინტელექტი ხიბლავთ; ამ მიამიტმა ბავშვმა არ იცის, რა გარყვნილი მეგობარი ჰყავს; უფალო, ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ბინძურ პირუტყვად დაჩება, თუკი ზეციურ მადლს არ მოჰფენთ და მიწიერი სიმდაბლისაგან არ განწმენდთ; დარწმუნებული ვარ, შანტალმა ქალწულობა დიდი ხნის წინ დაკარგა; მისი უმანკოების ყვავილი უკეთურმა მამაკაცებმა მოწყვიტეს; მისთვის მორალური პრინციპები სრულიად უცხოა; აღვირახსნილ ქალს ჰგავს; ალბათ, პარიზში ღამეული ღრეობებით ტკბება; ამ დაცემულ ხალხს უფლებას არ მივცემ, ჩემს პატარა ანას, ჩემს წმინდა, ხელშეუხებელ საუნჯეს ჩირქი მოსცხონ!

ღმერთო მაღალო, დამეხმარეთ! რამდენიმე წლის წინ მადმუაზელ ერნუს თვალი ავუხილე და თამამად ვუთხარი, თქვენი პოლეტი ზნედაცემული ადამიანია-მეთქი! რას ვიფიქრებდი, რომ ანაც მასავით მოიქცეოდა?! თქვენ ხომ ასეთი მშვენიერი, საღ-სალამათი, სპეტაკი, სულითა და ხორცით ჯანსაღი ბავშვები მიბოძეთ, უფალო! ალბათ, ძალიან ქედმაღალი ვიყავი და შვილებით მეტისმეტად ვამაყობდი... დედას ამგვარი ამპარტავნება არ შეჰფერის; ყოვლისშემძლე ღმერთო, გემუდარებით, მკაცრად ნუ დამსჯით; დაე, აღსრულდეს თქვენი წმინდა და შეუცნობელი ნება, მაგრამ თუ შეგიძლიათ, ამარიდეთ ეს ტანჯვა-წამება! მუხლმოდრეკით შეგთხოვთ, ნუ შემასმევთ ამ სიმწრის ფიალას! დამელაპარაკეთ, გამაგონეთ თქვენი საამური ხმა. სიხარულით დაგემორჩილებით. დიახ, ანას ახლავე ვეტყვი, იმ ბიჭს აღარ მისწერო-მეთქი; არ მინდა, ასე აშკარად დავუპირისპირდე, თვალი თვალში გავუყარო და ბრძოლა წამოვიწყო, მაგრამ სხვა გზა აღარ დამრჩა; ჩემი ანგელოზი უფსკრულის პირას დგას; საიდუმლოს გამხელას ვაიძულებ და მკაცრად დაველაპარაკები; შეგნებული აქვს, რომ მას, როგორც ქრისტიან გოგონას, მრავალი მძიმე მოვალეობა ეკისრება; ვიცი, დამემორჩილება; უნდა ვაღიარო, რომ ლიუსეტს ჩემთვის საფიქრალი არასოდეს გაუჩენია; ანა მეტისმეტად რომანტიკული და მეოცნებე გოგონაა; წიგნების სამყარომ და სიყვარულმა თავბრუ დაახვია; მისმა ბავშვურმა ტრფიალებამ გული მომიკლა; ერთი წელია, ისე დასუსტდა, მოჩვენებას დაემსგავსა; ძალიან გავანებივრე, მაგრამ უსამართლოდ არასოდეს მოვპყრობივარ. რა ამაზრზენია ეს ეჭვი! უსაქმური, პირქუში, თავ-პირჩამომტირალი, შუბლშეჭმუხვნილი, ანჩხლი და ყბედი ქალიშვილი ოთახიდან ოთახში დალასლასებს; მისი ყურებაც კი მომბეზრდა; ყველას თავი შეაძულა; პატარა და-ძმებს მბრძანებლობამოწყურებული დესპოტივით ჩაგრავს; რა ბუზღუნა, უჟმური და გულღრძო გახდა! ნექტარი შხამად ექცა; სულ უკმაყოფილო სახე აქვს; ცოფიან ძაღლს დაემსგავსა; მონაზვნად აღკვეცა იმიტომ უნდა, რომ შესცოდა. უშვილძირო შინაბერად დარჩენის სურვილი დიადი და შესაშური მისწრაფება როდია?! გუშინ საღამოს რა ირონიულად მკითხა დედაჩემმა: „ლიუსეტი ისევ პაემანზე მიგყავთ?! ვილოცოთ, რომ ახლა მაინც გაუმართლოს!“ ყველანი მემადანაშაულებენ! დაუჯერებელია! ჩემი ბრალი ხომ არ არის, ლიუსეტს დაოჯახება რომ დაუგვიანდა?! რა საოცარია! მეც მინდა, მალე გავათხოვო და თავიდან მოვიშორო; მათ შეუძლიათ, გრძნობები არ გამოამჟღავნონ; რა სასიამოვნოა! შევაშინებ და დავტუქსავ; ვეტყვი, სამშობლოსა და ღვთის წინაშე შენი ვალი პირნათლად უნდა აღასრულო, უნდა გათხოვდე და

საფრანგეთს ღირსეული შვილები აღუზარდო, თუ ამ წმიდათაწმიდა ქალურ მოვალეობას ფეხქვეშ გათელავ, ზნედაცემულ და ამაზრზენ ქალად იქცევი-მეთქი; ჩემს ანას პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა დაღუპავს; ვერა და ვერ შეელია ამბიციებს, აკვიატებულ იდეებსა და ოცნებებს; თუ ახლა არ გათხოვდება, თავის ბიძაშვილ მარისავით პარაზიტად, საზოგადოების ხორცმეტად, შესაბრალის მუქთახორად და ცხოვრებისგან გათელილ არარაობად დარჩება; ერთი სამარცხვინო ლაქა ხომ ყველა ოჯახს აქვს?! იესომ სამარადისოდ დაწყევლა და შეაჩვენა უნაყოფო ლეღვის ხეცა და ბერწი ქალიც! ვაიძულებ, თქვენს ნებას დაემორჩილოს, უფალო, თავისი ვალდებულება პირუთვნელად აღასრულოს, ოჯახურ უღელში შეებას და ბავშვები გააჩინოს; ასეთია მისი ბედისწერა! ასეთია თქვენი შეუცნობელი განგება! მისი ყველა მეგობარი გათხოვდა. დღეს ანასაც წავიყვან... ეს ნამდვილად ღირსეული და კეთილგონივრული საქციელი იქნება... არ მინდა, კადნიერ ქალად ჩამთვალონ. საჭეს ანა მიუჯდება; ლიუსეტი მანქანას ისე გიჟივით მიაქროლებს, შიში მიპყრობს; ხორციან ღვეზელებს, პაშტეტს, ხილის ორცხობილას, ნამცხვარსა და ბოთლ ღვინოს წავიღებ; მგონი, საკმარისი იქნება. იმედი მაქვს, ეს დღე ჩინებულად ჩაივლის. შემოქმედო, მომიტევეთ, თავგზაარეული ვარ, საზარელი ფიქრები მაწამებს და ყურადღების მოკრებას ვერ ვახერხებ; აი, ჟაკი უკვე მოუთმენლად სცემს ფეხს საკარცხულს; გულმხურვალედ ილოცა და მადლობა შეგწირათ, ასე უსაზღვროდ რომ გიყვართ თქვენი უღირსი შვილები, მაგრამ ამ დაუდგრომელ პატარებს ვერ ვაიძულებ, ურყევი ნებისყოფით აღივსონ და დაუსრულებლად მელოდონ; ო, როგორ მშურს იმ მონაზვნებისა, რომლებიც მდუმარედ განგადიდებენ, სიტყვის უთქმელად გეთაყვანებიან და თქვენ წინაშე თავს მდაბლად ხრიან მშვიდ მონასტრებსა და სენაკებში დავანებულნი... ვნატრობ, მეც მათსავით განვიცადო ეს აუმღვრეველი, უღრუბლო ბედნიერება, მაგრამ ზეციურმა განგებამ სულ სხვაგვარი ხვედრი მარგუნა; თქვენ მიბრძანეთ, რომ თავი საერო ცხოვრებისთვის მიმეძღვნა, ღმერთო. იყოს ნება შენი! სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა!“ სასოებითა და კრძალვით გამსჭვალული მადამ ვინიონი წამოდგა და კვლავ მუხლი მოიყარა.

„წავიდეთ, დრო ჯერ კიდევ გვაქვს, ანა,“ – უთხრა ქალიშვილს. ანა საჭეს მიუჯდა, ბავშვები კი დიდი ხორხოცითა და ჟივილ-ხივილით უკანა სავარძელზე მოკალათდნენ; თერთმეტი საათი იყო, მაგრამ უკვე სულის შემხუთავი და მომქანცველი სიცხე იდგა; მზე უმოწყალოდ აჭერდა ქვეყნიერებას ჯოჯოხეთურად მწველ სხივებს; მანქანას გზაზე ცხელი მტვრის ბუღი დაეყენებინა. „როცა შინ მივალთ,

გამოიცვალე, ლიუსეტ. ცისფერი კაბა უფრო გიხდება“, – თქვა მადამ ვინიონმა და ალმაცერად გახედა თავის უმცროს ქალიშვილს; ანას საშინელი დაღლა აღბეჭდვოდა სახეზე და თვალები ამოღამებოდა, მაგრამ მაინც ბრწყინავდა რაღაც იდუმალი, თვალისმომჭრელი, შინაგანი სხივით. „იმ წერილმა დაამწუხრა... ვეღარც კი ვცნობ... როგორ შეიცვალა!“ – გაიფიქრა მადამ ვინიონმა დანანებით; გული ბალღამით ევსებოდა! ოდესღაც დედის გარდა არავის შეეძლო მისი გახარება თუ დამწუხრება!

მანქანა სახლის წინ გაჩერდა; ანა გადმოვიდა, მადამ ვინიონს კარი გაუღო, ხელი გაუწოდა და ნაზად უთხრა: „ძვირფასო დედა, ეს ქუდი ძალიან გიხდებათ. თქვენი მშვენიერება მთელ ქვეყანას თვალს მოსჭრის!“ მადამ ვინიონმა გოგონას შავ თმაზე ხელი ნაჩქარევად გადაუსვა და ღიმილით მიუგო: „ეს რა შვილი მყავს! ჩემო პატარა ანა, უმჯობესია, პატივი დამდო, წახვიდე და კალათაში საჭმელი ჩააწყო.“ ქალი წუთით პირმაღთან შედგა და გლიცინიებისა და ფლოქსების საამო სურნელი შეისუნთქა; ბურთივით მრგვალი, შინ გამომცხვარი პურებით ხელდაშვენებული სიმონი და პიერი სამზარეულოსკენ გაეშურნენ; სამმა ბავშვმა მდელო გადაირბინა და იმ მტირალა ტირიფის უკან გაუჩინარდა, რომლის ტოტებისგან თავიანთი ხელით აიშენეს პატარა ხუხულა; უეცრად, ტყუპი დების გამაყრუებელი კივილი გაისმა: „სიმონ, ანა, მოდით, ნახეთ! დედამ ლამაზი ხალიჩა გვაჩუქა და გვითხრა, თქვენს პატარა ქოხში დააფინეთო!“ მადამ ვინიონი კიბეს ღიმილით აუყვა. „ის ხალიჩა ჯერ კიდევ ძალიან კარგი იყო! – უთხრა ლიუსეტმა დედას გესლიანად.

– ჰო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბავშვები ძალიან გავახარე, – მიუგო მადამ ვინიონმა შემწყნარებლური ტონით.

– შვილებს ასე ნუ გაანებივრებთ. მათ ახირებებს ბოლო არ უჩანს! – არ დაუთმო გაანჩხლებულმა.

– ჩემო ძვირფასო, შენი შვილები ისე აღზარდე, როგორც მოგესურვება, მე კი უფლება მომეცი, თავად გადავწყვიტო, როგორ მოვეპყრო ჩემს საოცარ პატარებს“, – შეუტია მადამ ვინიონმა, ლიუსეტს ოთახში შეჰყვა და სავარძელში მოკალათდა; ქალიშვილი უჩუმრად შეუდგა ტანსაცმლის გახდას.

„იმ ყმაწვილს სულს იქით არაფერი აბადია! არ მინდა, ღარიბ-ღატაკს მივთხოვდე და სული შიმშილით ამომხდეს!“ – შესძახა გაცხარებულმა ლიუსეტმა. დედამისმა მძიმე ოქროს შესაკრავი, რომლითაც ყელზე შემოხვეულ შავ ხავერდზე ბაფთა მიემაგრებინა, ხელით მოისინჯა და შემრიგებლური ტონით უთხრა: „თავიდან მამა ხელს

მოგიმართავთ“. ლიუსეტმა აბრეშუმის კომბინეზონზე (რომელსაც დღესასწაულებზე, ზეიმებსა და წვეულებებზე იცვამდა) ცისფერი კაბა გადაიცვა და ღვარძლიანად ჩაილაპარაკა: „ბრწყინვალე საქმროს ამგვარი უღირსი საქციელი არ შეჰფერის!“

მადამ ვინიონი ძალიან ცივად და უნდობლად დააცქერდა უფროსი ქალიშვილის დაღვრემილ, კუშტ სახეს. „სულ ცოტათი მაინც რომ გესმოდეს, რას ნიშნავს ქრისტიანი, ღვთისმოსავი ქალიშვილისთვის ქორწინება, – ეს წმიდათაწმიდა საიდუმლო, – ასეთი სულელური და მიწიერი სიმდაბლით სავსე სიტყვების წარმოთქმას ვერ გაბედავდი! არ მესმის, რატომ გინდა ასეთ გაცვეთილ საკითხზე კამათი; მორწმუნეს არ შეშვენის ამგვარი პატივმოყვარეობა, სიხარბე, ქედმაღლობა და გულზვიადობა!“ – მიუგო განრისხებულმა ქალმა, მხრები აიჩეჩა და უხეშად დასძინა: „დამერწმუნე, მხოლოდ ჩემს თავზე, მიწიერ სიკეთეებსა და ხორციელ სიამეზე რომ მეფიქრა, არც კი მოევლინებოდი ქვეყნიერებას! ეგოიზმი უმძიმესი ცოდვაა. სხვათა კეთილდღეობაზეც უნდა ვიზრუნოთ.“

გაავებულმა ლიუსეტმა პუდრის ტამპონი ნერვიულად დაფერთხა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ განაგრძო:

„არ მესმის, რატომ მოდის ანა ჩვენთან ერთად.

– ვფიქრობ, დას შენთვის ჩრდილი არასოდეს მოუყენებია,“ – უთხრა ქალმა; მან არაფერი უპასუხა; ჩამოწოლილ მდუმარებაში უეცრად შორეული, ყრუ კივილი და ყაყანი გაისმა. „მგონი, ბებია კივის!“ – შესძახა ლიუსეტმა. მადამ ვინიონი წამოდგა და იკითხა: „ახლა რაღა მოხდა?!“ საუბრის გაგრძელება ძალიან უნდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა წასულიყო. „წადით, დედა, ნახეთ, რა მოხდა. ალბათ, კვლავ რაღაც სისულელე ჩაიდინეს,“ – შეაგულიანა ქალიშვილმა.

ბაღიდან თავაწყვეტილი ჩანჩქერივით მოჩქეფდა ყვირილი; მადამ ვინიონმა კიბე აუჩქარებლად ჩაიარა; სახეაჭარხლებული მადამ ბუაიე შეშის ფარდულის კართან ბოლთას სცემდა და ხელებს ასავსავებდა; ტყუპებს მისთვის დამცინავი მზერა მიეპყროთ; თმა და წინსაფრები თეთრი ნახერხით გადაფიფქოდათ. „ნახეთ, რა ჩაიდინეს! როცა მათი ყვირილი შემომესმა, გავიფიქრე, რაღაც უბედურება მოხდა-მეთქი. ისე გავცოფდი, ლამის, ტვინში სისხლი ჩამექცა! თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი და ნეტავ, იცოდეთ, რა დავინახე! ჩხუბობდნენ, ერთმანეთს უზარმაზარ ნაჯახს ეცილებოდნენ და გაჰკიოდნენ, არა, ჩემია, არა, ჩემიაო! – შეჰყვირა მადამ ბუაიემ და მხრებში ჩააფრინდა სიუზეტს, რომელსაც მუხლი გადაეყვლიფა და

სისხლი თქრიალით სდიოდა.

– არა, დედა! პატარა ნაფოტების გამოთლა გვინდოდა! სუზეტი ნაჯახზე დაეცა, მაგრამ არაფერი უტკენია; ბებიას ყოველთვის ყველაფრის ეშინია! – გამაყრუებლად დაიწივლა სიუზონმა.

– ნაჯახი რომ უფრო დიდი ყოფილიყო, დაიხოცებოდით!“ – შეუტია მადამ ბუაიემ, შვილიშვილს ქეჩოში სწვდა და გაანჩხლებით შეანჯღრია.

მადამ ვინიონმა ქალიშვილს გასისხლიანებული მუხლი ცხვირსახოცით შეუხვია; აბა, ეს მშვიდი, თავდაჯერებული და გაწონასწორებული ქალი ასეთ უმნიშვნელო ამბავს ტრაგედიად ხომ არ აქცევდა?! „საშიში არაფერია, დედა. მსუბუქი ჭრილობაა... წადი და ანას სთხოვე, მუხლი უფრო კარგად შეგიხვიოს, პატარა სულელო გოგონავ!“ – უთხრა ბავშვს. სიუზეტი შინისკენ კოჭლობით გაემართა; მადამ ვინიონიც უკან გაჰყვა, რათა სიმონი და პიერი კიდევ ერთხელ დაემოძღვრა; როცა მანქანას მიუახლოვდა, დაინახა, რომ ჟაკი და სიუზონი გიჟებივით იცინოდნენ, ლიუსეტის ირგვლივ დახტოდნენ და ყვიროდნენ: „ნახეთ, თმა ცხვარივით დაუხუჭუჭებია! პაემანზე მიიჩქარის, პაემანზე!

– პატარა სულელები! – ჩაიბურდღუნა ლიუსეტმა.

– თმა ცხვარივით დაუხუჭუჭებია! – შესძახა ჟაკმა, რომელიც სიცილით იგუდებოდა.

– ამას ცხოვრება აღარ ჰქვია,“ – ჩაილაპარაკა ბრაზმორეულმა მადამ ვინიონმა; იცოდა, სამზარეულოში ჩურჩულებდნენ და ამაზრზენად ქირქილებდნენ, ბიბლიოთეკაში შეყუჟული პიერი და სიმონი კი ენამწარობდნენ, ლიუსეტის გათხოვების იმედი აქვთ, ყველა დაფუსფუსებს, დავნაძლევდეთ, ეს სასაცილო მღელვარება სახლში საღამომდე არ ჩაცხრებაო; ეს ირონიული ახალგაზრდები აბუჩად იგდებდნენ წმინდა ოჯახურ კერას! ვინიონები მართლაც ძალიან ღელავდნენ; არ იცოდნენ, როგორ ჩაივლიდა დღევანდელი დღე, მოეწონებოდა თუ არა მათი ქალიშვილი იმ ყმაწვილს... ბურუსით მოცული მომავალი აშინებდათ, თუმცა, იმედითაც აღავსებდათ; ერთმანეთს ენაცვლებოდა სიხარული და სასოწარკვეთა, რწმენა და სრული უიმედობა. აღტყინებულნი და შიშმორეულნი ელოდნენ ამ დიად და საზეიმო მოვლენას და მათ გულებს რაღაც შეუცნობელი, უხილავი ძალა ცხელი შანთივით დაღავდა, ხან ციებიანივით კანკალებდნენ, ხან კი ისე წამოახურებდათ, სული ეხუთებოდათ.

„წავედით!“ – შესძახა ქალმა მშრალად, მანქანაში ჩაჯდა და კარი მიიჯახუნა.

კასტილანები და ვინიონები ვეზერის ნაპირას პიკნიკებით ტკბებოდნენ ხოლმე; პატივსაცემი ბურჟუაზიული ოჯახების ეს წმიდათაწმიდა ტრადიცია დროის მსახვრალმა ხელმა ვერ მოსპო; ბავშვები მდინარის ნაპირზე ჩარიგებული არყისა და ვერხვის ხეების ძირას ჩამოსხდებოდნენ, მშობლები მოშორებით, დიდრონ ქვებზე მოკალათდებოდნენ, ქაღალდის ხელსახოცებს, ფიალებსა და მუყაოს თეფშებს წინ დაიხვავებდნენ, გოგონები კი სტუმრებს უზარმაზარ, შინგამომცხვარ ღვეზელს, პაშტეტს, ცივ თევზს, საქონლის მოშუშულ ხორცსა და ქათმის ლაბას ჩამოურიგებდნენ; სხვა კერძების დაგემოვნება თავის დღეში არ უცდიათ.

„თქვენი პატარა ანა მზის სხივივით ბრწყინავს!“ – უთხრა ბეზერმა კასტილანმა მადამ ვინიონს და მაიონეზმოსხმული ტურბოს (ერთგვარი თევზია. მთარგმნ.) ერთი ნაჭერი გადაიღო. ქალმა თავაზიანი, შემწყნარებლური იერითაც კი გაუღიმა; ანა ხომ მოხუცებს ყოველთვის მოსწონდათ?! „მშვენიერი ბავშვია, მაგრამ უფროსი და მასზე ბევრად გაწონასწორებული, დინჯი, თავდაჭერილი და მშვიდია; ყმაწვილქალობაში მეც ანასავით გულფიცხი და დაუდგრომელი ვიყავი,“ – ამოიოხრა მან და დასძინა: „ლუსეტს ნიჭი და კეთილგონიერება, ეს ფასდაუდებელი საუნჯე მამამ უსახსოვრა. ჭეშმარიტად მამაკაცური ტვინი აქვს! ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ ჩემი შვილია... მეც კი ბევრად ჩამოუვარდები. საოცრად ხელმარჯვეა. დებზე ზრუნავს, ტანსაცმელს უკერავს, შესანიშნავ კერძებს ამზადებს, ხატავს, უკრავს და თქვენ წარმოიდგინეთ, კითხვისა და განათლების დროც კი რჩება!“

„უბადლო შვილები გყავთ!“ – შესძახა აღფრთოვანებულმა მადამ კასტილანმა. „ო, მათაც ბევრი ნაკლი აქვთ!“ – დაიმორცხვა მადამ ვინიონმა; ქალი თვალით დაეძებდა თავის ქალიშვილებს; სადა, თეთრ კაბაში გამოწყობილი პირმცინარი ანა მართლაც რომ თვალისმომჭრელი სილამაზით ბრწყინავდა; როგორც ყოველთვის, ახლაც უამრავი ხალხი ეხვია გარს; მუდამ თავდაჭერილი და მოკრძალებული იყო, თუმცა, მის ღიმილსა და ხმაში ისეთი ნაზი, ხალასი უშუალობა და ბუნებრიობა იგრძნობოდა, რომ სწრაფად იპყრობდა ყველას გულს; ხელოვნური, ყალბი მანერები არ სჩვეოდა; ლიუსეტი მადამ დე კასტილანის დისწულს, ანდრე ნავილს ესაუბრებოდა; მადამ ვინიონმა გაიგონა, როგორ თქვა ყმაწვილმა: „ცხადია, ჩრდილოელები ნაკლებად ჭკვიანები არიან, მაგრამ შეიძლება, მათი იმედიც ვიქონიოთ; ალბათ, მათაც შეუძლიათ გმირული საქციელის ჩადენა.“ ლიუსეტი თავაზიანი იერით შესცქეროდა ენაწყლიან ახალგაზრდას... „იქნებ... იქნებ, მოეწონა კიდეც?!“ – გაიფიქრა

გულმოცემულმა ქალმა, მაგრამ გაახსენდა, რომ ამ საამაყო ქალიშვილს საზოგადოებაში ყოველთვის ასე ღირსეულად ეჭირა თავი და ყველას პატივისცემით ეპყრობოდა; ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა ფიქრები უტრიალებდა მის ქალიშვილს. ნავილი უსიტყვო და თავმდაბალი ყმაწვილი ჩანდა, მაგრამ რაწამს პირს გააღებდა და ენამზეობას მოჰყვებოდა, მისი გამორჩეული ხმა მსმენელს ატყვევებდა; ნამდვილად შესანიშნავი ბიჭი იყო.

„იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის," – გაიფიქრა გასათხოვარი გოგონების დედამ.

„დიდად მადლობელი დაგრჩებით, თუ პატივს დამდებთ და თქვენს ქალიშვილებს რამდენიმე დღით ჩვენთან გამოუშვებთ! მარიეტსა და ლინს მათი სტუმრობა ძალიან გაახარებთ; საბრალო პატარები სულ მარტონი არიან..." – უთხრა მადამ დე კასტილანმა, მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო და დასძინა: „თუ ხვალ დილით გამოჰყვებიან მატარებელს, სადგურზე ანდრე დახვდებათ; სამწუხაროდ, ის მალე დაგვტოვებს... ჩვენს სახლში ისეთი სიხარული შემოიტანა, ისეთი სიხარული... უფერული ცხოვრება გაგვილამაზა...

– ჩემო ძვირფასო ჟანა, ძალზე თავაზიანი ბრძანდებით!" – უთხრა მადამ ვინიონმა.

სადილი მალე დასრულდებოდა; მოდუნებულ და გადამძღარ თანამეინახეებს ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ; ყოველი სიტყვა გულისგამაწვრილებლად იწელებოდა; მადამ დე ვინიონმა საშინლად მკაცრად გადახედა არყისა და ვერხვის ხეების ძირას გაშოტილ, თვლემამორეულ ახალგაზრდებს; მისი ჩვეული შემწყნარებლობა უკვალოდ გამქრალიყო; პატარა რუნჟის თმა პიერ დალასაკის მხრებს ელამუნებოდა; ნიკოლ დიუფლოს არხეინად ამოედო თავქვეშ ხელები და უსაქმურობით ტკბებოდა; სიუზანს კაბის კალთები მუხლამდე ურცხვად აეწია! ო, როგორ გაბედა ამ უტიფარმა ბარძაყების ასე მოშიშვლება?! ქალს გული სიხარულით აევსო, როცა დაინახა, რომ ხეს მიყრდნობილი ლიუსეტი ისევ მშვიდად ებაასებოდა ანდრეს; ეს სპეტაკი და დიდსულოვანი ქალიშვილი ხომ ყოველგვარი უხამსობის, დაუდევრობის, თავაშვებულობისა და უმსგავსობის დაუძინებელი მტერი იყო?! ანა არსად ჩანდა. ბავშვობაშიც ასე მოულოდნელად იცოდა გაუჩინარება, მეგობრებს სასადილო ოთახში მიატოვებდა და თვალს მიეფარებოდა ხოლმე; ყველანი დაუსრულებლად დაეძებდნენ... როცა მისი პოვნის იმედი გადაეწურებოდათ, უეცრად, დაინახავდნენ, რომ მამის კაბინეტში იჯდა და კითხულობდა ან შანტალს ესაუბრებოდა; მადამ ვინიონი უწყრებოდა, რადგან ასეთი

გახლდათ დედის წმიდათაწმიდა მოვალეობა, მაგრამ გულის სიღრმეში მისი უშუალო ჟესტები, სიფიცხე, გულწრფელობა, სილაღე და სითამამე ძალიან მოსწონდა... თუმცა, ანას ბავშვობის ნეტარი ხანა უკვე დასრულებულიყო და ასეთი გიჟმაჟობა აღარ შვენოდა; მადამ ვინიონი ცდილობდა, არ დამჩნეოდა, რომ მისი გული მრისხანების უმოწყალო ქალღმერთს შეეპყრო! დალასაკს მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა: „იმ სამხერხაოს აშენება მიუტევებელ დანაშაულად მიმაჩნია; ახალგაზრდა გლეხები მიწის დამუშავებას აღარ კადრულობენ; რას აღარ იმიზეზებენ, რომ ამ მომქანცველ შრომას თავი აარიდონ. ისედაც მიეჩვივნენ მცონარობას და ამ სამხერხაოების „წყალობით“ სულ გადაგვარდებიან.“ მუსიე დალსაკმა თავი გადააქნია და თქვა: „დარწმუნებული ვარ, ოციოდე წელიწადში სოფლები გაუკაცრიელდება და გლეხობა ქალაქში გაიხიზნება.“

ანა არ ჩანდა; მადამ ვინიონს მოთმინების ფიალა აევსო, წამოდგა და ლიუსეტს გასძახა:

– ლიუსეტ, შენი და ხომ არ დაგინახავს?

– ანა? მგონი, ამ გზას გაუყვა,“ – უპასუხა და ვეზერისაკენ მიმავალ ბილიკზე მიუთითა.

მადამ ვინიონმა იგრძნო, როგორ წალეკა ბრაზმა; შვილის მოსაძებნად სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაეშურა; მდელოზე მზის ოქროსფერი სხივები თბილ ტალღებად იღვრებოდა; ამ სამარისებურ მდუმარებაში ძეხორციელის ჭაჭანება არ ჩანდა; ქალმა ხის ძირას დაყრილ ფეხსაცმელებსა და ტანსაცმლით სავსე პატარა შეკვრას მოჰკრა თვალი. მდინარეში რაღაც უფორმო მასა დაცურავდა. „ანა, ხომ არ გაგიჟდი?! ახლავე ამოდი ნაპირზე! ახლავე-მეთქი!“ – დაუყვირა მადამ ვინიონმა.

ანა ზვირთებიდან ქალთევზასავით დიდებულად ამოიმართა; სველი თმა სახეზე მისწებებოდა და წყალი წურწურით სდიოდა. „ნეტავ, იცოდეთ, რა კარგი წყალია! ძვირფასო დედა, ბანაობა ხომ არ გინდათ?“ – ჰკითხა მან.

მადამ ვინიონი ცუდ ხასათზე გახლდათ და ამ ბავშვურ ცუღლუტობაზე არ გაღიმებია. ოდესღაც მისი ონავრობა გულს სიხარულითაც კი უვსებდა, მაგრამ შეღერებული ქალიშვილის დედას ახლა თავდაჭერილობა მართებდა. „ახლავე ამოდი! რა დაუდევრობაა! ამ მნიშვნელოვან სადილზე ასეთი სიგიჟე როგორ ჩაიდინე?!“ – დაუყვირა. ანა დაემორჩილა და ნელი ნაბიჯით გამოემართა ნაპირისკენ. „ბავშვივით იქცევი და ჯანმრთელობას სულ არ უფრთხილდები. იცოდე, ცეცხლს ნუ ეთამაშები!“ – განაგრძო მადამ ვინიონმა.

მანქანის საბარგულიდან მალულად ამოღებულ ძველისძველ მანტოში გამოხვეული ანა წყლიდან ამოვიდა; თავი და ტანი კისკისით შეარხია და მხიარულად შეუდგა მშრალი ტანსაცმლის ჩაცმას; მადამ ვინიონი კიდევ უფრო გაცხარდა.

„შეგეძლო, იოტისოდენა თავაზიანობა მაინც გამოგეჩინა. მხოლოდ იმას გირჩევ, შენს უმწიკვლო რეპუტაციას გაუფრთხილდე. არ მინდა, სახელი რითიმე შეგებღალოს. მგონი, ბევრს სულაც არ ვითხოვ! ნუთუ, ასე ძნელია, ყურად იღო ეს დედაშვილური რჩევა-დარიგება?!“ – უთხრა ქალმა გულცივად.

ანამ თავზარდაცემული მზერა მიაპყრო, საშინლად გაწითლდა და ჩურჩულით ჰკითხა: „რა რეპუტაციას?! რა სახელს?!

– დიახ სახელს! კარგად იცი, რას ვგულისხმობ. მეტისმეტად უზნეო ცხოვრებას მიეცი თავი; დღითიდღე ეფლობი სიბილწის მორევში; ამგვარი მორალური ანარქია და ამაზრზენი ლიბერტინული სულისკვეთება გულს მირევს; ვაი შენი ბრალი, თუ ამ უმსგავსობას წარბშეუხრელად ეგუები და სინდისი სულ არ გქენჯნის! დროა, გონს მოეგო და ცოდვა მოინანიო, თორემ სულს წარიწყმედ; ეცადე, ისე მაინც მოიქცე, როგორც რიგიან, ზრდილ ქალიშვილს შეჰფერის.“

ანამ თავი უმწეოდ ჩაქინდრა და კაბა სიტყვის უთქმელად შეიკრა.

„გუშინ საღამოს შენს წიგნებს გადავავლე თვალი... ისეთ შემზარავ ეპიზოდებს გადავაწყდი, სირცხვილით დავიწვი. მინდოდა, იქვე მიწა გამსკდომოდა! – შესძახა პირგამეხებულმა დედამ.

– დღედაღამ მხოლოდ იმიტომ იქექებით ჩემს წიგნებში, რომ რაიმე აღმაშფოთებელი უზნეობა იპოვოთ! – არ შედრკა ანა.

– რას დაეძებ იმ რომანებში? შენს საქციელს მდაბიური ფრივოლურობა და დაუდევრობაც აღარ ჰქვია. არაჯანსაღმა ცნობისმოყვარეობამ, ამ სისხლისმსმელმა მხეცმა შეგიპყრო. თუ გსურს, შინაგანი სიმდიდრით აღივსო და სასუფეველი დაიმკვიდრო, ეკლესიის მამათა სწავლებანი და წმინდა ტერეზის ცხოვრება იკითხე; სულის ხსნისთვის ბრძოლას დიდი ცოდნა და ნიჭი სულაც არ სჭირდება. ღვთისმოსავი ადამიანები უწიგნურები არიან.“ გაქვავებული ანა დედას ხმას არ სცემდა და რაღაც შორეულ წერტილს მიშტერებოდა; მადამ ვინიონმა უხეშად განაგრძო: „გაფრთხილებ, წელს შანტალი ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოდგამს!“ ქალმა საწადელს მიაღწია: გოგონა ელდანაცემივით შეხტა და გულმოკლულმა, საწყალობლად შესჩივლა: „თქვენ ხომ დამპირდით, აუცილებლად გვესტუმრებაო? ო, დედა, ხომ დამპირდით?!... ფუჭი იმედი რად ჩამისახეთ?!

– ძალიან ვნანობ, მუდამდღე იმაზე რომ ვფიქრობდი, როგორ ამევსო შენი ყმაწვილქალური გული სიხარულით. იმ ხელიდან

წასულ, ურწმუნო, წყეულ და აღვირახსნილ ქალიშვილს უფლებას არ მივცემ, ჩემი წმინდა სახლის ზღურბლს გადმოაბიჯოს!

– დედა, შანტალს ცუდად იცნობთ; ასე ხელაღებით ნუ განსჯით; მართალია, ღვთისმოშიში არაა, მაგრამ ურწმუნობა ცოდვად კი არა, უდიდეს სულიერ გამოცდად მიმაჩნია, კაცთმოყვარე უფლისაგან მოვლენილ განსაცდელად. სხვისი განკითხვის უფლება არ გვაქვს! – თქვა ანამ და ხმა გაებზარა. ცხადი იყო, გული საშინლად სტკიოდა.

– არავის განვიკითხავ. ყოველ საღამოს ვლოცულობ ცოდვილ სულთათვის და უფალს ვავედრებ ამ გზააბნეულ კრავებს. ურწმუნონი და უბირნი უნდა შევიბრალოთ, რადგან მათ გულებში არ გიზგიზებს ღვთის ცხოველმყოფელი სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოდვას უნდა ვუფრთხოდეთ; ასეთმა საშიშ-მა, სულწარწყმედილმა ადამიანებმა ურწმუნობის სენი არ უნდა შეგვყარონ. დამიჯერე, ჯოჯოხეთურად ვიტანჯები; ვგრძნობ, იმ ბინძური წიგნების კითხვამ, ურცხვ, უკეთურ ბიჭებსა და ქედმაღალ და გარყვნილ ქალებთან მეგობრობამ წაგბილწა და შეგრყვნა. ღმერთმა იცის, რა დღეშია ახლა შენი სული," – მშრალად მიუგო მადამ ვინიონმა.

ანა მიტკალივით გაფითრდა და შეჰყვირა: „დედა, ხომ იცით, რომ თქვენსავით მორწმუნე ვარ და თქვენისთანა ურყევი ზნეობრივი პრინციპები მაქვს?! ო, როგორ ულმობლად მტანჯავთ!" მადამ ვინიონი მდუმარედ, დაჟინებით დააცქერდა ქალიშვილს; ეს მავედრებელი სიტყვები, ეს განწირული, გულის სიღრმიდან ამომსკდარი ძახილი და სასოწარკვეთილი, სულისშემძვრელი გმინვა გულზე მოხვდა; ადრე ანას ბრმად ენდობოდა, ახლა კი სიმკაცრე უნდა გამოეჩინა! ძალა მოიკრიბა, წელში გასწორდა და უპასუხა: „აღარაფერი ვიცი. მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ჩემი ანა, ჩემი სისხლ-ხორცი გამიუცხოვდა!"

გოგონამ საწყალობელი მზერა მიაპყრო; მის ნატიფ სახეზე საშინელი ტანჯვა იხატებოდა; ეჩვენებოდა, რომ ეს გოლგოთა არასო-დეს დასრულდებოდა; ხანგრძლივმა მდუმარებამ დაისადგურა. „რისი თქმა გსურთ?! იმ წერილებმა აგაფორიაქათ?! – ამოილუღლუღა გოგონამ; სიტყვები გაჭირვებით სწყდებოდა მის ბაგეს. „პასკალ დრიუფმა ძალიან მთხოვა, არდადეგებზე მოგწერთო. ისეთი არაფერი მომხდარა. ტყუილუბრალოდ ღელავთ.

– როგორი ურთიერთობა გაქვთ? შენი ცოლად შერთვა უნდა?" – ჩაეძია ქალი; უნდოდა, იძულებული გაეხადა, სიმართლე გაემხილა; ანა დაიძაბა: „ამ საკითხზე არ გვისაუბრია. მეგობრები ვართ. ეს ხომ ასე მარტივია?! ნუთუ მხოლოდ იმიტომ განვსხვავდებით ასე ძალიან ერთმანეთისგან, რომ მე კაბა მაცვია, მას კი – შარვალი?

– ჩემო საბრალო ანა, ცხოვრებას არ იცნობ; ყური დამიგდე: ჩემს არც ერთ ქალიშვილს არ დავრთავ იმ მამაკაცთან მეგობრობის ნებას, რომელსაც მისი შერთვა არ სურს; ვიცი, როგორი მდაბალი არსებები არიან კაცები; მუდამ იდეალებზე, რაღაც ამაღლებულსა და არამიწიერზე საუბრობენ, გული კი უკეთური ზრახვებით, უხამსი სურვილებითა და ბინძური პირუტყვული ჟინით აქვთ სავსე. ერთი შეხედვით შანტალი და მისი მეგობრები მშვენიერი ურთიერთობებით ტკბებიან, მაგრამ ამ ჰარმონიული თანხმობისა და სიყვარულის თვალწარმტაც ოაზისში ყველაზე მდაბალი და ბილწი ინსტინქტები გამეფებულა; ეს ხელიდან წასული არსებები უტიფრად ამართლებენ ყოველგვარ უზნეობას. ვწუხვარ, ასეთი მწარე სიმართლის თქმა რომ მიხდება შენთვის, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს; ასეთია ცხოვრება. აკანკალებულმა გოგონამ ჩანთა სწრაფად გახსნა, ქალს წერილების შეკვრა გაუწოდა და თითქმის უხეშად უთხრა: „გულდასმით წაიკითხეთ ეს წერილები და დარწმუნდებით, რომ არ გატყუებთ!“ მადამ ვინიონმა უპასუხა: „არ მინდა. დარწმუნებული ვარ, ამ ბარათებში მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი, თავაზიანი, მაღალფარდოვანი ფრაზები და მეტად ნატიფი, პატივსაცემი გრძნობებით აღსავსე სიტყვები წერია; ადამიანები თავს წმინდანებად გვაჩვენებენ, მაგრამ მათ გულში ცოდვის თვალშეუვალი მორევი ტრიალებს; ვისაც სურს, ანგელოზი იყოს, ადრე თუ გვიან, შემზარავ დემონად გადაიქცევა; შენი არ მესმის. რატომ გჯერა, რომ ეშმაკის საცდურს კუბოს კარამდე შეურყვნელად გაუძლებ და ღვთის რისხვას გადაურჩები?! რა უგუნური ქედმაღლობაა! კარგად იცი, რომ უფლისთვის ამპარტავნებაზე მძიმე ცოდვა არ არსებობს; თუ ცდუნებას არ უფრთხი, ესე იგი, სცოდავ.

– ვნანობ, რომ ასეთი სადარდებელი გაგიჩინეთ, – მიუგო ანამ მისუსტებული ხმით.

– ჩემზე კი არა, საკუთარ სულზე იდარდე; ამ პრობლემას ადვილად მოვაგვარებთ; იმ ბიჭს აღარ მისწერო.

– დედა!

– მასთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტ! – დაუყვირა გაცეცხლებულმა მადამ ვინიონმა და ალმური მოედო: – თუ ჩემი ქალიშვილის შერთვა უნდა, შენი ხელი ისე უნდა მთხოვოს, როგორც ჩვენშია მიღებული. გავარკვევთ ვინაა, რამდენად პატივსაცემი ბიჭია, როგორ წრეში ტრიალებს, ჰყავს თუ არა ზნემაღალი მშობლები და მეგობრები და ამ საკითხზე გულდასმით ვისაუბრებთ; სანამ მუხლმოყრილი არ გთხოვს, ცოლად გამომყევიო, ერთ წერილსაც

არ მისწერ. არ მსურს, მასთან ასეთი საეჭვო ურთიერთობა გქონდეს და სახელი შეგებღალოს; წესიერი მამაკაცი პატიოსან ქალიშვილს დედისგან მალულად წერილებს არ უნდა სწერდეს!“

ანა აირია; საბრალო, სახეშეშლილ გოგონას ტუჩებიც კი გაუ-ფითრდა; ქალი ხვდებოდა, რომ ამ უსუსური ბავშვის ულმობელი წამება არნახული სისასტიკე იყო, მაგრამ მარად ფხიზელ დედას ქალიშვილის სულის ხსნაზე უნდა ეფიქრა და არა მის ბედნიერებაზე; მადამ ვინიონმა ღმერთს მდუმარედ შეჰღაღადა: „ძალა შემმატე, რათა ამ განსაცდელს გავუძლო და გოლგოთა ისე ღირსეულად გავიარო, ერთხელაც კი არ შევტორტმანდე; გემუდარები, გულქვა ქალად მაქციე, რათა შვილს მკაცრად დაველაპარაკო!“

„კი მაგრამ, რატომ?! რატომ?!“ – ველური გამძვინვარებით შესძახა გააფთრებულმა ანამ.

„გადაწყვეტილებას არაფრისდიდებით არ შევიცვლი; ტყუილად ნუ გაირჯები! შენს ვედრებას ყურად არ ვიღებ. მინდა, იმ საზიზღარ ინტელექტუალთა წრეს სამუდამოდ ჩამოშორდე. სასწავლო წლის დამდეგს ერთი წლით ინგლისში გაემგზავრები. შენს გულსა და სინდის-ნამუსთან მარტოდმარტო დარჩენა დიდად გარგებს. ღრმად მწამს, რომ ურწმუნოების სენისგან განიკურნები, ჩვეული გულის სიმშვიდე დაგიბრუნდება და სულიერად განიწმინდები.

– ერთი წელი...“ – დაიჩურჩულა გულმოკლულმა ანამ.

მადამ ვინიონმა მხარზე ხელი მოხვია და უთხრა: „ახლა კი წავიდეთ. დიდი ხანია, ვსაუბრობთ. სირცხვილია. რას იფიქრებენ კასტილანები?!“

შეძრწუნებულმა და თავგზაარეულმა გოგონამ უკან დაიხია და ჰკითხა: „ნუთუ, ისევ იმ ხალხთან უნდა დავბრუნდეთ?!“

– ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც საჭიროა; ჩვენი აზრები, სურ-ვილები, ოცნებები, მისწრაფებები, გუნება – განწყობა და ახირებები სათვალავში ჩასაგდები არაა“, – მიუგო მადამ ვინიონმა, მხრები აიჩეჩა და დასძინა: „ყმაწვილქალობაში მეც შენნაირი ფიცხი და გიჟმაჟი ვიყავი, მაგრამ ცხოვრებამ მასწავლა, რომ ჩემს გულისხმას ყური არ უნდა დავუგდო.

მდუმარედ გაუყვნენ ვეზერის ნაპირს; მადამ დე ვინიონმა წუთის წინ გამქრალი მხიარული გამომეტყველება დაიბრუნა, მერე კი გაჯავრებით, მაგრამ მაინც ამაყად შესძახა: „მადამ დე კასტილან, ჩემმა ცელქმა ქალიშვილმა, ამ დიდმა ბავშვმა, მდინარეში ბანაობა მოინდომა! წარმოგიდგენიათ?! ჭკუას ვერასოდეს ისწავლის!“ ქალს ეტყობოდა, რომ მის თავმოყვარეობას რაღაც საამოდ ელამუნებოდა. ანა დისგან

რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ჩამოჯდა. „ჰეი, მოღალატევ! მოდი, დამალობანა ვითამაშოთ, შე მეგობრების გამყიდველო!“ – დაუყვირა ბიძაშვილმა მორისმა. ანას სახეზე ღიმილის სხივი გაკრთა, წრეში ადგილი დაიკავა და თქვა: „ო, რა კარგად ვიბანავე! ნეტავ, იცოდეთ, რა კარგი, სუფთა და სასიამოვნო წყალია აქ!“ – საზოგადოებაში ღირსეულად თავის დაჭერა ყოველთვის ეხერხებოდა.

ორიოდე საათის შემდეგ კასტილანები და ვინიონები ერთმანეთს დაემშვიდობნენ, მადამ ვინიონი, ანა და ლიუსეტი მანქანაში ჩასხდნენ და შინისკენ გაეშურნენ. „მშვენიერი ახალგაზრდაა, არა?“ – ჰკითხა მადამ ვინიონმა ლიუსეტს გამომცდელი ტონით; ის და უფროსი ქალიშვილი უკანა სავარძელზე ისხდნენ, გამძვინვარებული ანა კი საჭეს ორივე ხელით ჩაფრენოდა და მანქანას ისეთი ველური იერით მიაქროლებდა, მხეცს დამსგავსებოდა.

ხმაწართმეულმა ლიუსეტმა ძლივსძლივობით გაიცინა და მიუგო: „იმ გაუნათლებელ ახალგაზრდას ლაპარაკიც კი არ ეხერხება, დედა; ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავატარო მთელი ცხოვრება მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ!

– როცა ჩვენს ცხოვრებაში უცხო ადამიანი შემოდის, ძალზე უცნაური შეგრძნება გვეუფლება, მაგრამ ადრე თუ გვიან, ბედს ვეგუებით.

– არც კი იცით, როგორი მოსაწყენი ბიჭია! – შესძახა შეშინებულმა ქალიშვილმა.

– არ მაინტერესებს; მხოლოდ იმას გეტყვი, რომ დღეს უკანასკნელი შანსი მოგეცი; ანას გათხოვების დროც დადგა; შენი და უსასრულოდ ხომ ვერ დაელოდება, როდის მოიღებ მოწყალებას და დაოჯახდები?!

– გასაგებია... უამრავი მამაკაცი გამაცანით, მაგრამ განა ჩემი ბრალია, რომ არც ერთი არ მომეწონა? – ჰკითხა ლიუსეტმა.

– როცა ბატონ ნავილს უკეთ გაიცნობ, სათანადოდ დააფასებ. კასტილანებთან ორ დღეს გაატარებთ და იძულებული გახდები, პატივისცემით მოეპყრო! – მბრძანებლური ხმით უპასუხა დედამ.

ანას ყური მოსჭრა საზარელმა სიტყვებმა: „კასტილანებთან ორ დღეს გაატარებთ“. პირი მისკენ იბრუნა და უთხრა: „ლიუსეტს არ წავყვები.“

– რა თქმა უნდა, წაყვები. ეს ორიოდე წამის წინ ვთქვი, მაგრამ შენ ყურს არავის უგდებ; პატარა კასტილანებს თქვენი ნახვა ძალიან გაახარებთ.

– უსაშველოდ დაღლილი ვარ, დედა,“ – საწყალობლად ამოიგ-მინა გოგონამ. ქალი მისმა მავედრებელმა ხმამ გააღიზიანა; ანა თავის

ახირებებს, ამ ჭირვეულ ქალღმერთებს, ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და მათ ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. „ნუ მეკამათები! – გააფთრებით შეუტია პირგამეხებულმა მადამ ვინიონმა.

– დედა, გემუდარებით...“ მან ხმა აღარ გასცა.

მანქანა სახლის წინ გაჩერდა; ფანჯრებს ცნობისმოყვარეობით ანთებული სახეები მოაწყდნენ. „კარგად გაერთეთ? – იკითხა სიმონმა ეშმაკური, თითქმის გესლიანი ღიმილით. – რა თქმა უნდა. მშვენიერი ამინდი იყო,“ – უპასუხა მადამ ვინიონმა, უფროს ქალიშვილს გზა დაუთმო, კიბეს სწრაფად აუყვა, ოთახში შევიდა, ქუდი და ხელთათმანები მოიძრო და ლიუსეტს უთხრა: „თუ ბატონ ნავილს ცოლად არ გაჰყვები, ფარჟედან მთელ წელიწადს ფეხს ვერ მოიცვლი. კარგად დაფიქრდი და ყოველივე საგულდაგულოდ აწონ-დაწონე. ისე მოიქეცი, როგორც მოგესურვება. მინდოდა, ეს ამ დილითვე მეთქვა შენთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი.

ლიუსეტი შეძრწუნებული ჩანდა; „სანამ კარგად არ გავიცნობ, ცოლად ვერ გავყვები. ასეთი საჩოთირო გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდება! – თავაზიანი იერითაც კი მიუგო მან. – ბუნებრივია. გარწმუნებ, ანდრემ კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა, – შემრიგებლური ტონით განაგრძო მადამ ვინიონმა. ფიქრობდა, ისეთი რა ვუთხრა, რომ დავიყოლიო და მისი სიჯიუტე საბოლოოდ მოვდრიკოო; ანდრე ნავილი სერიოზული, ღირსეული და შრომისმოყვარე ახალგაზრდა იყო; ბატონი ვინიონის წყალობით მალე კარიერაშიც ბრწინვალე წარმატებებს მიაღწევდა; ორ წელიწადში ლიუსეტი თავის ბუდესაც მოიწყობდა; მამა ჰპირდებოდა, დიდებულ მზითევს მოგცემთო; შეძლებული ოჯახი სიმშვიდით, ბედნიერებითა და განცხრომით დატკბებოდა; პარიზში ცხოვრება ხომ არნახული წყალობა იყო?! ლიუსეტი ეურჩებოდა, მაგრამ მხნეობას თანდათან ჰკარგავდა, სადაც იყო, ფარ-ხმალს დაყრიდა და შეუდრეკელი მადამ ვინიონის წინაშე ქედს მოიდრეკდა. „ვიცოდი, იმის გაფიქრებაც კი შეაძრწუნებდა, რომ ამ ჯურღმულში გამოვამწყვდევდი. სულაც არ უნდა, ამ პირქუშ პროვინციაში დაიმარხოს,“ – გაიფიქრა დედამ და ქალიშვილს ნევილების გვარის წარმომავლობა გააცნო; დაუღალავად უმტკიცებდა, დიდგვაროვნები არ არიან, მათ გვარს „დე“ ნაწილაკი არ ამშვენებს, მაგრამ ერთმანეთს ნამდვილად შეეფერებითო.

შუადღე ილეოდა; ლურჯი კედარის ჩრდილი უკვე პარმაღის პირველ საფეხურს დასთამაშებდა; სუსტი ნიავი ვერხვისა და არყის ფოთლებს ნაზად ათრთოლებდა და მათი საამური შრიალი მთელ სოფელს ატკბობდა; ჩამოწოლილ მდუმარებაში დროდადრო

ისმოდა ბავშვების ნაზი, ჰაეროვანი და ზარივით წკრიალა ხმები; მადამ ვინიონს გაეღიმა; რა სიმშვიდე გამეფებულიყო ამ სავანეში! ის საზარელი შიში, დილით რომ სტანჯავდა, უკვალოდ გაქრა და საავდრო ღრუბელი გაიფანტა; უფალმა ისევ შეისმინა მისი ვედრება; ლიუსეტი მალე გათხოვდებოდა, ანამ გულწრფელად აღიარა ის შეცდომა, რომელიც ალბათ, ბავშვური თავქარიანობით, დაუდევრობით, განუსჯელობითა და წინდაუხედაობით ჩაიდინა და კვლავ დედას დაემორჩილა; მადამ ვინიონმა სულზე უტკბესი ქალიშვილი, ეს გზასაცდენილი კრავი, სულის წაწყმედისაგან იხსნა; სულ მალე გაემგზავრებოდა ინგლისში ერთი წლით, გონს მოეგებოდა, მისი ყმაწვილქალური მგზნებარების ცეცხლი მინავლდებოდა, ურწმუნობის სამსალით მოშხამულ სულს უწამლებდა, ამ სენის კლანჭებიდან თავს დაიხსნიდა, მის ტანჯვას ბოლო მოეღებოდა და საფრანგეთში დაბრუნდებოდა; სამზარეულოდან კარამელიანი კრემის სურნელი გამოდიოდა; აყვავებული გლიცინიების თანაყვავილედებს ბზიკები ბზუილით დასტრიალებდნენ თავს.

უეცრად, გულგამგმირავმა კივილმა შეძრა არემარე; საზარელი გოდება ახლაც სახერხი ფარდულიდან მოისმოდა; დილით, როცა მის ყურთასმენას დედის შემზარავი ყვირილი მისწვდა, მადამ ვინიონი სულ არ აღელვებულა, ახლა კი ანას ხმა იცნო და კიბე კისრისტეხით ჩაირბინა; „ნაჯახით ფეხი გაიჭრა. ო, რა მოუქნელი ბავშვია! დიდი ხნის წინ გითხარით, ეს წყეული სამხერხაო უნდა დავხუროთ-მეთქი!“ – შეჰბღავლა მადამ ბუაიემ და მისი შორეული ხმა ჰაერში უმწეო ღრუბლებად გაიფანტა.

თავდახრილი და შეძრწუნებული ტყუპი დები და მოხუცი მარია თვალს ვერ აშორებდნენ ანას, რომელიც ნახერხით გადაფიფქულ მიწაზე გულწასული ესვენა. „გვითხრა, შეშას დაგიჩეხავთ და თქვენს პატარა ღუმელში ცეცხლი გავაჩაღოთო, – თქვა სიუზეტმა და ცრემლი წასკდა.

– მძიმე ჭრილობა არ იქნება, მადამ,“ – უთხრა მარიამ და ანას ფეხსაცმელი და წინდა გახადა; საბრალოს, სისხლი ღვარად სდიოდა. მადამ ვინიონმა ანას ხელი მოჰკიდა და თქვა: „დამეხმარე მარია, ოთახში შევიყვანოთ.“

ქალმა უგრძნობლად გაშოტილი გოგონა აიხუტა და კიბე ფრთხილად აიარეს. მადამ ბუაიე მათ ფეხდაფეხ მისდევდა და ქოთქოთებდა: „ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს! ეს რა უბედურება დაგვატყდა!“

„ამაოდ ნუ ტირი!“ – უთხრა გაღიზიანებულმა დედამ სიუზეტს, რომელიც ისევ მწარედ ქვითინებდა. მადამ ვინიონი მშვიდი, აუღელ-

ვებელი და გულცივი ქალი იყო, მაგრამ ახლა საზარელმა შიშმა გულში ბასრი კლანჭები ჩაასო, იმ შიშმა, სინდისის ქენჯნას რომ ჰგავდა.

ანა საწოლზე დააწვინეს. საბედნიეროდ, ჭრილობა ძალიან ღრმა არ აღმოჩნდა; როცა მადამ ვინიონი გასისხლიანებულ ფეხს უხვევდა, ანამ თვალი გაახილა და მისუსტებული ხმით თქვა: „ბავშვებისთვის შეშის დაჩეხვა მინდოდა. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს საშინელება.

– მეც სწორედ ეს მაფიქრებს," – მიუგო მადამ ვინიონმა, წუთით გაირინდა და გულჩათხრობილი ქალიშვილის იდუმალ, შეუვალ სახეს დააცქერდა; ცხადი იყო, კასტილანებთან წასვლას ვეღარ შეძლებდა, რადგან ერთი კვირა მაინც საწოლიდან ვერ წამოდგებოდა. „ვერავინ შეძლებს, განგებ დაირტყას ფეხზე ნაჯახი! ჩემი ქალიშვილი ასეთ უგუნურ სიმამაცეს ვერ გამოიჩენდა!" – სინდისი დაიმშვიდა მადამ ვინიონმა და ცაცხვის ნახარშის მოსამზადებლად სამზარეულოში ჩავიდა.

***

მატარებელმა გამაყრუებელი გრუხუნით გადაუქროლა გურ-ნუარის ხიდს. შანტალმა ჩემოდნიდან ნესესერი ამოიღო და გულმოდგინედ შეუდგა ფერუმარილის წასმას; ძალზე შორეული, გარდასულ დღეთა ოკეანეში გადაკარგული დრო მოაგონდა, როცა ფარჟეს მიწაზე სულ პირველად დადგა ფეხი; გაახსენდა ხელით ნაქსოვი წინდები, მზის მცხუნვარე სხივებით ალაგ-ალაგ გახუნებული ზაფხულის კაბა... პარიზის მაღალ საზოგადოებას რომ მოშორდებოდა და ამ პროვინციას შეაფარებდა თავს, ანა იძულებული ხდებოდა, მისთვის ტანსაცმელი ეთხოვებინა; პატარა გოგონები ამ ახირებულ გადამთიელს თვალს ვერ სწყვეტდნენ და მალულად ქირქილებდნენ; ლაქწასმული, მოელვარე ფრჩხილები თავმომწონედ, თითქმის ქედმაღლურად გაუხახუნა ერთმანეთს, პომადა წაისვა, ალისფერ ტუჩებს კიდევ უფრო თვალისმომჭრელი ბრწყინვალება შეჰმატა და თითქოს, სასიცოცხლო სუნთქვა შთაბერა; თავის თავს გატაცებით ეტრფოდა; ვინიონების წმინდა ოჯახსა და სანათესაოში ვერც ერთი ქალი ვერ გაბედავდა ფერუმარილის წასმას; ეს მკაცრი უზენაესი მსაჯულები სუსტ სქესს ცოტაოდენი პუდრის შეფრქვევას მიუტევებდნენ, მაგრამ პომადა ეშმაკის საცდურად ესახებოდათ; შანტალი სიამოვნების მორევში იძირებოდა, როცა გრძნობდა, რომ თავისი უტიფრობით, საარაკო სითამამით, კადნიერებით, ქედმაღლობითა და დაუდევრობით თავზარს სცემდა იმ საზიზღარ ადამიანებს, რომელთაც ოდესღაც არ დაინდეს, საშინლად დაამცირეს და ფეხქვეშ გათელეს! უკვირდა

კიდეც, ამ ტანჯვას რომ გაუძლო. ახალგაზრდა მასწავლებელი ღია ფერის დიდი მანტოთი, ფეტრის ფაფუკი ქუდით და პეკარის (პეკარი – ამერიკული გარეული ტახი. მთარგმნ.) ხელთათმანებით თავგადასავლების მაძიებელ მდიდარ მოგზაურ ქალს ჰგავდა.

სამი კვირის წინ, სან-სებასტიანში, ანას წერილი მიიღო: „ძალიან დავღონდი, შეშფოთებული, აფორიაქებული და გზაკვალარეული დედა თითქმის უნდოდ რომ შემომცქეროდა... ძალა მოვიკრიბე და სიმართლე გავუმხილე... ვაი რომ მწარედ შევცდი! მითხრა, იმ ბიჭს აღარ მისწეროო. აი, ასე სასტიკად დავისაჯე! ისღა დამრჩენია, უსასრულოდ ველოდო, როდის დამრთავს დედა მისი ნახვის ნებას; ეს მტანჯველი საუბარი ცოტა ხნით მაინც რომ დაგვევიწყებინა, მითხრა, შანტალის მოპატიჟების უფლებას გაძლევო; ვერ ვბედავ, ჩამოსვლა დაჟინებით გთხოვოთ, ძვირფასო მეგობარო; საკადრისად ვერ გაგიმასპინძლდებით; ჩემ გვერდით ყოფნა გულს სიხარულით ვეღარ აგივსებთ; დედასთან გამუდმებულმა კამათმა იმდენად დამღალა, ვნატრობ, სადღაც, შორს გადავიხვეწო ან მონასტერში გამოვიკეტო და საუკუნო მდუმარების აღთქმა დავდო; ძალა სულ გამომეცალა; ფარ-ხმალი დავყარე; ო, როგორ მინდა, სამუდამოდ დავმუნჯდე და მარტოობისა და მიუსაფრობის მორევში დავინთქა!“ – სწერდა გულგატეხილი გოგონა.

იმ დღეს შანტალი ჟანინსა და პოლ ბარონთან ერთად სეირნობდა და ლამაზი შთაბეჭდილებებით ტკბებოდა, მაგრამ როცა შინ დაბრუნდა, საფოსტო ყუთში სასოწარკვეთილი სიტყვებით სავსე ეს წერილი იპოვა; შეძრწუნებული ქალი მეგობრებს კარგა ხანს ესაუბრა ანაზე და ისიც დასძინა, მის ცხოვრებაში დიდი ადგილი მიჭირავსო; სამივემ გადაწყვიტა, რომ შანტალი სასწრაფოდ ფარჟეში უნდა გამგზავრებულიყო და დობილს მხარში ამოსდგომოდა, რა-მეთუ სასომიხდილი გოგონა საშველლად უხმობდა და მისი საწყა-ლობელი, უსასოო, სულისშემძვრელი გოდება ცას სწვდებოდა; როცა შანტალი მარტოდმარტო დარჩა, ჩვეული სიმშვიდე დაეუფლა, ყოველივე საგულდაგულოდ აწონ-დაწონა და გაიფიქრა, აჩქარება არ მარგებს, ვინიონების ოჯახს სექტემბრის მიწურულს რამდენიმე დღით ვესტუმრებიო; ჟანინსა და პოლს მარტო ხომ ვერ დატოვებდა?! არა, არა, ამ საძაგელ გოგოს ასეთ ბედნიერებას არაფრისდიდებით არ მიანიჭებდა! ეს ურჩხული მის სატრფოს თვალის დახამხამებაში შთანთქავდა!

შანტალი მატარებლის სავარძლის კუთხეში მიიყუჟა; ხვდებოდა, რომ მეტად მძიმე და დამქანცველი შერკინება ელოდა; ანა ქრისტია-

ნული მორჩილებითა და თავმდაბლობით აღვსილიყო; ბედისწერის გულზვიადი ღმერთკაცის წინაშე ქედი კარგა ხნის წინ მოეხარა და ბედნიერებისთვის ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა; შანტალი მისთვის დღედაღამ დაუღალავად იბრძოდა; სწორედ მან დაარწმუნა, რომ სწავლა უნდა გაეგრძელებინა; მუდამ აძლევდა წიგნებს, პასკალ დრიუფიც გააცნო... იმ დიდებულ დღეს, როცა ანა მიხვდა, რომ ცხოვრება წიგნებზე მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ფიქრს მოქმედება და გააფთრებული ბრძოლა სჯობდა, შანტალმა დაიფიცა, რომ საყვარელ მეგობარს სულშემხუთავი ოჯახის, ნათესავებისა და ბინძური კლასის კლანჭებიდან დაიხსნიდა, მის ბურჟუაზიულ ცრურწმენებს ერთი ხელის მოსმით დაამსხვრევდა და თავისუფალ, ბედნიერ ქალად აქცევდა; ეს მძიმე ჯვარი თავისივე ნებით იტვირთა და გოლგოთას გზას დაადგა; ამ საოცნებო მიზნის მიღწევა იოლი როდი გახლდათ! სასოებითა და კრძალვით განმსჭვალული, ქრისტიანული სარწმუნოების შხამით მოწამლული ანა დედამისს აღმერთებდა და ამ გულღრძო ქალის წინაშე ქედს იხრიდა, თუმცა, შანტალი ფიქრობდა, დიდ წარმატებას მივაღწიე, ანა საოცრად შევცვალეო; კვლავ გულუშიშრად, სიხარულითაც კი გადაეშვებოდა ბრძოლის ქარ-ცეცხლში და მის გადასარჩენად მტერს უმოწყალოდ შემუსრავდა! ალბათ, ანა ძალიან დათრგუნული იყო, თორემ მადამ ვინიონი შანტალის დაპატიჟების უფლებას არ მისცემდა. მისთვის ამ „აღვირახსნილი“ ახალგაზრდა მასწავლებლის სტუმრობაც ხომ სამეფო ტახტიდან ჩამოგდების ტოლფასი იყო?! ალბათ, ამ სისხლისმსმელ ქალს ეჩვენებოდა, რომ შანტალმა სამუდამოდ დაამარცხა, მიწას დაანარცხა, მის წინაშე მუხლი მოადრეკინა და მისი სამარადჟამო იავარქმნით ტკბებოდა; შანტალს გული უჩქროლდებოდა და ცრემლიც კი ეძალებოდა, როცა ფიქრობდა, რომ მეგობრისთვის იმედისა და სიხარულის უშრეტ წყაროდ ქცეულიყო და მას გულუხვად უწყალობებდა თავის შინაგან სიმდიდრეს – ამ ფასდაუდებელ განძს.

„უზერში!“ – გამოაცხადა გამცილებელმა; ანა ბაქანზე იდგა; თავშიშველმა შანტალმა მატარებლიდან ისკუპა და სწრაფად გაიქცა მისკენ. „კარგად იმგზავრეთ, შანტალ?“ – ჰკითხა ანამ და ღორის ტყავის მძიმე ჩემოდანს ხელი დაავლო.

„გმადლობ, მშვენივრად!“ – მიგო მან მშრალად. მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება ელოდა, გუნებაში ბრძოლის გეგმას სახავდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, წარმოიდგენდა, როგორ აჰყრიდა იარაღს სულმოკლე მადამ ვინიონს, მაგრამ რაწამს ანას მხიარულ მზერას წააწყდა, თავზარი დაეცა; ის

მისგან არაფერს ითხოვდა! რა სულელი ყოფილა! სულმოუთქმელად ელოდა მასთან შეხვედრას! ეგონა, მკლავებს გაშლიდა და ამ დაღლილ-დაქანცულ, სასომიხდილ არსებას გულში ჩაიკრავდა, თუმცა...

„ჩემს სახლში უამრავ ადამიანს შეხვდებით. კასტილანებს, ჩემს ბიძაშვილებს, დელატუშებს... ხომ გახსოვთ ისინი?“ – ჰკითხა ანამ, ტყავის ხელთათმანები თლილ თითებზე სხარტად ჩამოიცვა და საჭეს მიუჯდა; ცუდად არ გამოიყურებოდა; ლამაზიც კი ჩანდა. „სულ იმაზე ფიქრობს, რას იტყვის ხალხი... ხელოვნურ, არისტოკრატულ მანერებს თუ მოიშლის, იმ მჩაგვრელ ტრადიციებსა და ამაზრზენ მორალს დაივიწყებს, ბავშვობაში რომ ჩაუჭედეს თავში, ნამდვილად მშვენიერი ქალიშვილი დადგება,“ – გაიფიქრა შანტალმა; მისმა ძალზე მოკრძალებულმა, მონაზვნის ანაფორასავით მკაცრმა და კდემამოსილმა სამოსმა ის შორეული დრო მოაგონა, როცა თომა აქვინელის ეკლესიაში წირვაზე დადიოდა; სანამ ანა პასკალს ცოლად არ გაჰყვებოდა, წლიდან წლამდე ასეთი საშინელი კაბები ეცმებოდა.

„ლამაზი მანტო გაცვიათ, – ნაზად უთხრა გოგონამ.

– დიახ, მეც ძალიან მომწონს,“ – დაუდასტურა გულგამეხებულმა შანტალმა; ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ბაქანზე ასე შეხვდებოდნენ ერთმანეთს; ანა ისე შეეგება სადგურზე, რომ აგრძნობინა, ჩემი სანუკვარი მეგობარი ხარ და არა – მხსნელიო, შანტალს კი ეგონა, სასოწარკვეთილი და ცრემლმორეული ქალიშვილი შველას შემთხოვს და მეტყვის, რომ მისი ერთადერთი შემწე-მფარველი ვარო! მისი განწირული გოდება ცას არ სწვდებოდა!

მანქანა სახლს უკან გაჩერდა; ანამ ბიბლიოთეკის შემინული კარი შეაღო; შანტალს გული აუძგერდა; იგრძნო, სულ მალე პირისპირ უნდა შეხვედროდა იმ ადამიანებს, რომლებმაც მაშინ გაიცნეს, შეიძულეს და საშინლად დაამცირეს, როცა ჯერ კიდევ ღარიბ-ღატაკი სტუდენტი იყო; წუთიწუთზე ზარი შემოჰკრავდა, იარაღს უშიშრად აისხამდა და მტერს არაფრისდიდებით არ შეეპუებოდა; მრისხანებამ შეიპყრო, გული დაეშანთა, სხეული ფოთოლივით აუთრთოლდა, შურისმგებელმა ქალღმერთმა წარბი ავად შეჰყარა, მაგრამ თავს მოერია და მადამ ვინიონისკენ თავაზიანი და თვალწარმტაცი ღიმილით გაემართა; ქალმაც გაუღიმა, თუმცა მტრული მზერაც სტყორცნა; შანტალი არც კი შემკრთალა; მის მამაც გულს ყინულივით ცივი შიში არ მორევია; იცოდა, რომ უბადლო ადამიანი იყო.

„ძვირფასო, შანტალი თავის ოთახამდე მიაცილე,“ – მიუბრუნდა მადამ ვინიონი ანას. ლიუსეტი, მარია და ჟანა დე კასტილანები, ნადინ და ზეტ დელატუშები ფეხდაფეხ გაჰყვნენ; თითქმის სამი წელი იყო,

შანტალს ეს გოგონები თვალით არ ენახა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! საერთოდ არ შეცვლილიყვნენ! ფაქიზად და სუფთად, მაგრამ უგემოვნოდ ეცვათ; ოდესღაც, ამ პატივცემულ მასწავლებელს მათი შურდა კიდეც! ო, რა ბრიყვი ყოფილა! ალბათ, ეს საბრალო ქმნილებები დილაობით თმას გავარვარებული რკინის შანთებით იხუჭუჭებდნენ.

შანტალმა თხელი აბრეშუმის კომბინეზონი, ნატიფად შეკერილი და საოცრად დახვეწილი საზაფხულო, გულამოჭრილი ტანსაცმელი საწოლზე დააწყო და მოეჩვენა, რომ მათ თვალებში გაკიცხვის, დამუნათების, აღფრთოვანებისა და შურნარევი გულისწყრომის სხივი გაკრთა; ყველანი თავს იკატუნებდნენ, თითქოს ეს მშვენიერება სულ არ აღელვებდათ, მაგრამ ნადინს სულმა წასძლია, ფარ-ხმალი დაყარა და შესძახა: „რა ლამაზია ეს პულოვერი! ნეტავ, რა ქსოვილია?!“ ცნობისმოყვარეობით ანთებულმა გოგონამ ბუსუსებიან პულოვერს ხელისგული გადაუსვა; თითქოს, ყველანი ამ თამამ ჟესტს ელოდნენ! თვალის დახამხამებაში დაივიწყეს თავდაჭერილობის დაუწერელი წესები, აქამდე მძიმე ტვირთად რომ დასწოლოდათ და ხელ-ფეხს უდამბლავებდათ; კაბებს გავეშებული ნადირებივით ეძგერნენ, ხარბად დასცქეროდნენ და ერთმანეთს აწოდებდნენ; შანტალი სიამაყით აღივსო; მისი სამოსი ხომ ხელიდან ხელში გადადიოდა?! მას შემდეგ, რაც მატარებლიდან ჩამოვიდა და ფეხი ბაქანზე დადგა, დაღვრემილი და კუშტი ჩანდა, წარბი ერთხელაც კი არ გაუხსნია, ახლა კი გულწრფელად გაეღიმა, რადგან ჭეშმარიტი სიამოვნება განიცადა; ამ პროვინციაში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ ჭირვეულ ქალს ამდენი ტანსაცმელი მიყრუებულ სან-სებასტიანშიც კი არ ჰყოფნიდა; წარმოუდგენელი ფუფუნების, განცხრომისა და ჯადოსნური თავგადასავლების თავბრუდამხვევი სურნელი შემოეტანა ამ ასკეტურად მკაცრ, უსიცოცხლო სოფელში; თავისი სტუმრობაც კი საამაყო გამარჯვებად ესახებოდა!

როცა შანტალი ვახშამს მიუჯდა, მოეჩვენა, რომ ნეტარების მორევში ჩაიძირა; ბრწყინვალე პედაგოგი ხარბად ეწაფებოდა სიამის უშრეტ წყაროს, რადგან როგორც იქნა, ძალ-ღონე მოიკრიბა და ეს სასტიკი შურისძიება აღასრულა; ოდესღაც, როცა ამ უსახურმა ადამიანებმა შანტალი დაამცირეს და ღირსება შეულახეს, თვალზე ტკივილის, გაწბილების, უმწეობის, გააფთრებისა და მრისხანების ურჩი ცრემლი მოადგა და დაიფიცა, რომ მათზე შურს იძიებდა; სული ყელში ებჯინებოდა; გაცოფებული, დუჟმორეული მხეცივით ბორგავდა; მრავალ წელიწადს ემზადებოდა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის; დღედაღამ ნატრობდა, სისხლმოწყურებულ ფურია-

სავით ულმობლად დაეხოცა ყველანი, უმწიკვლო პროვინციაში სისხლის ზღვა დაეყენებინა, საზარლად ახარხარებულიყო და ამ ბილწი ბრბოს სამუდამო დაცემითა და არარადქცევით გაეხარა; როცა ესპანეთში მოგზაურობდა, მტანჯველი ეჭვი გულს უღრღნიდა; შიშობდა, რომ ამ შერკინებაში დამარცხდებოდა და პირს შეირცხვენდა, მაგრამ როგორც კი ვინიონების სახლის ზღურბლს გადმოაბიჯა, საკუთარი თავის რწმენა და გამარჯვების იმედი დაუბრუნდა; ო, რა საამური შეგრძნება დაეუფლა, როცა მიხვდა, რომ ბრძოლის ველზე დაცემა არ ეწერა! ჟანინთან ერთად გატარებულმა ორმა თვემ ძალა გამოაცალა, თითქოს, შინაგანად დააცარიელა და სასიცოცხლო მგზნებარება და სიფიცხე პირსისხლიან ვამპირივით გამოსწოვა; ჟანინი, ეს დაუდეგარი ქალიშვილი პარიზში ბობოქარი და მშფოთვარე ცხოვრებით ტკბებოდა; მართალია, შანტალი ბრწყინვალედ ყვებოდა ხოლმე მის ლეგენდარულ თავგადასავლებზე, მაგრამ არ შეეძლო, სიტყვათა ქსოვილში მოემწყვდია ის აურაცხელი სულიერი სიმდიდრე, რომლითაც მისი შინაგანი სამყარო რუჟმონში აღივსო; ეს საუნჯე ასე იოლად არ გაუფასურდებოდა! ო, არა! სანუკვარი შთაბეჭდილებებითა და წამიერი შეგრძნებებით სულმდაბლად ხომ არ ივაჭრებდა?! ამ თვალთუხილავ განძს ვერავის გაუზიარებდა, რამეთუ ადამის მოდგმის ენა უძლური იყო, გადმოეცა მისი უტყვი სიდიადე და ბრწყინვალება; როცა გასულ წელზე ლაპარაკს ცდილობდა, სიცარიელისა და მიუსაფრობის მტკივნეული შეგრძნება მოსვენებას არ აძლევდა; ჟანინს უთმობდა კამათისას ბოლო სიტყვის თქმის უფლებას, ფარხმალს თავისივე სურვილით ჰყრიდა და ამ ქედმაღალ გოგონას ნებას რთავდა, გამარჯვებით დამტკბარიყო; ყოველთვის, როცა ლამაზ ტილოებსა და წარმტაც პეიზაჟებს უცქერდნენ, ჟანინი რაღაც საოცარს შეამჩნევდა და მასწავლებელზე ადრე გამოთქვამდა ოსტატურ შენიშვნებსა და ორიგინალურ აზრებს; შანტალმა შვებით ამოისუნთქა, როცა მის კლანჭებს თავი დააღწია და იმ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც მხოლოდ თვითონ დედოფლობდა; ჟანინი ვეღარაფერს დააკლებდა იმ ადამიანებსა და საგნებს, რომელთაც ახლა უმზერდა.

მისაღებ ოთახში შევიდნენ; მუსიე ვინიონი დელატუშებსა და კასტილანების უფროს ქალიშვილს ბრიჯს ეთამაშებოდა; მისი თანამეცხედრე პიანინოს მიუჯდა და ძველისძველი ფრანგული სიმღერების დაკვრა დაიწყო; ანა და სხვა ბავშვები ერთხმად მღეროდნენ; რა შესანიშნავი ქორო იყო! ბუხრის წინ მადამ ბუაიე კრიალოსანს მარცვლავდა. დროდადრო შანტალი ლიუსეტს ორიოდე სიტყვას გადაულაპარაკებდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა; სულ მალე

ფურცელსა და კალამს მოიმარჯვებდა, პოლ ბარონს წერილს მისწერდა და გატაცებით აღუწერდა გამოხუნებული, ჩრჩილისგან შეჭმული, მოყანყალებული ავეჯით სავსე ადამისჟამინდელ ოთახს. ამ მიმოწერის წყალობით ყმაწვილი შანტალს უკეთ გაიცნობდა და სათანადოდ დააფასებდა; პლატარი მოუყვებოდა კარგა ხნის წინ დასამარებულ, უსულო საგნებზე, რომლებიც ხელმეორედ, გულისგადამლევად ნელა იძირებოდნენ სიკვდილისა და დავიწყების უძირო მორევში; ფიტულად ქცეულ ჩიტებს ბუმბული სცვიოდათ, ნიჟარებს ზედაპირი აჰქერცლოდათ; შუშის ყუთებში, მუყაოს ნაჭრებზე ქინძისთავებით მიმაგრებული პეპლებისგან მტვერიღა დარჩენილიყო; დახეთქილი ტილოებიდან უღიმოდნენ ჩაჩებით თავდამშვენებული მოხუცი ქალები და ბაკენბარდიანი მამაკაცები; ვაზის ფოთლებით დაფარულ სახლში გარდასულ დღეთა პოეტური სუნთქვა იგრძნობოდა; საამური წარსულის სხივმოსილ ქალღმერთს აქ დაედგა ბრჭყვიალა თვლებით მოოჭვილი ტახტი; შანტალს მოეჩვენა, რომ უეცრად ძველ ინგლისურ რომანში ამოყო თავი.

გაეღიმა; მისი ახალგაზრდული შეურიგებლობა, ქედუხრელობა და სიმტკიცე სადღაც გამქრალიყო; მოხერხებულობის, გამჭრიახობისა და სისხარტის წყალობით საარაკო გამარჯვება მოეპოვებინა; ოდესღაც პროვინციელთა ზნე-ჩვეულებანი მთელი გულით სძულდა, ახლა კი მათი ყავლგასული ტრადიციების მშვენიერებასაც კი თვალნათლივ ხედავდა; ბრწყინვალე მსახიობად ქცეული მასწავლებელი იმ მშვიდ, მომნუსხველ სპექტაკლს უყურებდა, რომლის მთავარიც გმირიც ანა იყო; მოციმციმე სანთლების მთრთოლვარე შუქში გახვეული გოგონა ღვთაებრივი სილამაზით ბრწყინავდა; ეს ეფემერული ნათელი პიანინოს გაყვითლებულ კლავიშებსაც დასთამაშებდა; ამქვეყნად ვერცერთი ლამაზი დეკორაცია ასე სრულყოფილად და თვალსაჩინოდ ვერ წარმოაჩენდა იმ მსწრაფლწარმავალ, მაგრამ მაინც მარადიულ, უკვდავმყოფელ, სხივთამფენ ახალგაზრდობასა და მშვენიერებას, რომლის ბრწყინვალე განსახიერებაც ანა გახლდათ; კრძალვითა და სასოებით აღვსილი, სცენაზე ფეხაკრეფით უნდა გასულიყო და თავისი პერსონაჟი მაყურებლისთვის ფრთხილად წარედგინა. შანტალს მოაგონდა იმ პატარა გოგონას ჩამოუყალიბებელი და დამცინავი სახე, რომელსაც ბავშვობაში ცით მოვლენილ ღვთაებასავით ეთაყვანებოდა. ოდესღაც ანა არნახული სითამამით გამოირჩეოდა, ტანსაცმელშემოფლეთილი, ხეებზე ველურივით დაძვრებოდა, ლუქსემბურგის ბაღის შადრევნებთან ბიჭებს ეკინკლავებოდა, მალაყს გადადიოდა და ხელებზე დგებოდა; ეს მამაცი არსება ტოლს

არავის უდებდა! დედამისი სრულ თავისუფლებას აძლევდა და გულშემზარავ ოჯახურ საპყრობილეში არ ამწყვდევდა; გულადი ანა აღაშფოთებდა „კურ ნოტრ-დამის“ შინაბერა მასწავლებლებს; ერთხელ უამრავმა ხალხმა მოისმინა, რა მომაჯადოებლად უკრავდა პიანინოზე; შესანიშნავად შეასრულა ის რთული მონაკვეთი, რომელიც ხშირად ეშლებოდა, დაბრკოლება თვალის დახამხამებაში გადალახა, ბოლოს დედას გამომწვევი მზერა სტყორცნა და ენაც კი გამოუყო ოც რიგად ჩამწკრივებული ცხვარივით თმახუჭუჭა გოგონების, სასწავლებლის მოძღვრის, ახალთახალი ხელთათმანებით თავმომწონე მოხუცი ქალების, დირექტორის, მშობელთა წარმოსადეგი, პატივსაცემი საზოგადოების წინაშე! დრო გავიდა, ჭკუაში ჩავარდა და დადინჯდა... „მის ცხოვრებაში ქარიშხალივით რომ არ შემოვჭრილიყავი, ახლა ანა თეთრ კაბაში გამოწყობილი, ლაღად მოღიღინე ქალიშვილი იქნებოდა, რომელიც მშვიდად ელის იმ ნანატრ დღეს, როცა თვალებჩამქრალ, უსიხარულო, მორჩილ დიასახლისად, ნაზ, მზრუნველ დედად და კერის მფარველ ანგელოზად იქცევა; ერთი შეხედვით, მართლაც ასეთი ჩანს, თუმცა, ვიცი, ამ საზარელ ხვედრს კლანჭებიდან დაუსხლტება და საარაკო დიდების გზას დაადგება; როგორ მიხარია, რომ სამუდამოდ შევცვალე!“ – გაიფიქრა შანტალმა სიამაყით; დიახ, მეგობარს სწორედ მან გააწნა სილა და საღათას ძილიდან გამოაფხიზლა!

მადამ ვინიონმა უკანასკნელ აკორდს ჩამოჰკრა, სიმღერა დაასრულა და წამოდგა. „რა ლამაზია ეს ძველი სიმღერები!“ – უთხრა შანტალმა; მის მზერას არ გამოჰპარვია, რომ მიუხედავად ოდნავ შეშუპებული სახისა, ამ ქალს ძველებურად ბრწყინვალე, ცოცხალი, მეტყველი თვალები და ახალგაზრდული, ჯერ კიდევ ნორჩი ტუჩები ჰქონდა. „მან საბოლოოდ აღიარა, რომ ვერსად გამექცევა!“ – გაიფიქრა კმაყოფილმა შანტალმა; ლამაზი და ელეგანტური იყო, ქალური შარმით ბრწყინავდა, სასიყვარულო კავშირებით ტკბებოდა და აუწერელ სიამოვნებას განიცდიდა, რადგან ამ ცივსისხლიან ხალხს სძულდა! მონობის ბორკილი დიდი ხნის წინ დაემსხვრია; დრომოჭმულ ადათ-წესებსა და ტრადიციებს პატივს არ სცემდა. ეს უცნობი, მშობელ მიწაში ფესვგაუდგმელი, უთვისტომო ქალიშვილი მათ ბურჟუაზიულ, მშვიდ ცხოვრებას, დამყაყებულ ცრურწმენებსა და ზნე-ჩვეულებებს საავდრო ღრუბლად მოვლენოდა; პატივსაცემ ოჯახებში ქურდულად შეიპარებოდა, განებივრებულ, უზრუნველ ყოფას შეჩვეულ ბავშვებს ცხოვრების გრძელ, ციცაბო, ეკალ-ბარდით მოსილ გზას გაუყენებდა და ეტყოდა, ეს სამყარო გულცივი, სასტიკი და დაუნდობელიაო; ამაყობდა, ამ ხალხს მტრად რომ მიაჩნდა; ეს მშვე-

ნიერი როლი ისე შეესისხლხორცებინა, ის ბნელი საპყრობილეც კი, რომელშიც ანა გამოემწყვდიათ, ულევ სიამეთა სავანედ ეჩვენებოდა.

„სულმოუთქმელად ველი იმ წუთს, როცა განვმარტოვდებით და მშვიდად ვისაუბრებთ!“ – გაიფიქრა მოთმინებადაკარგულმა შანტალმა; გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა; თითქმის დავიწყებოდა, რომ ანა მას ძველებურად მორჩილად აღარ მიჰყვებოდა საარაკო დიდების გზაზე; უეცრად, დაინახა, როგორ მხიარულად ჩაუჯდა ბებიას კალთაში, საზარელმა ტკივილმა გული უმოწყალოდ გაუსერა და გაახსენდა, რომ ეს პირმშვენიერი გოგონა მას აღარ ეკუთვნოდა, მის რჩევა-დარიგებებს ყურს არ უგდებდა და თავსაც კი არიდებდა. „არნახული იდილიის ტალღებში ვიძირები,“ – გაიფიქრა გაცოფებულმა; ნუთუ ნამდვილად ანამ მოსწერა ის სასოწარკვეთილი წერილი? ნუთუ მისი კალმის წვერიდან გადმოედინა მელნის ზღვად ის განწირული სიტყვები, რომელსაც შანტალი გულში იმეორებდა თავის დასამშვიდებლად?! უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ანას უჭირდა და სადაც იყო, შეევედრებოდა, ძვირფასო შანტალ, დახმარების ხელი გამომიწოდეთო; მეგობრის სახეზე შეშლილივით, ამაოდ დაეძებდა საშინელ ტკივილს, იმედგაცრუებას, უსასოობას, გულწრფელი აღსარების დაუოკებელ სურვილს... ნატრობდა, მის ბაგეს სულისშემძვრელ კივილად აღმოხდენოდა საწყალობელი მუდარა და მისთვის გული გადაეშალა, მაგრამ საუბედუროდ, საიდუმლოს არ უმხელდა. უსაზღვროდ ბედნიერი და მხიარულიც კი ჩანდა.

ანას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, ძვირფასი მეგობრისთვის დაეგდო ყური თუ დედას დამორჩილებოდა; სძულდა თავისი ოჯახისა და გარემოცვის ცრურწმენები; მადამ ვინიონს სურდა, ქალიშვილი მალე გაეთხოვებინა და თვალებჩამქრალ, უსიტყვო დიასახლისად ექცია, მას კი ასეთ უფერულ და უნაყოფო ცხოვრებაზე ფიქრიც კი ზარავდა; ჯერ კიდევ ვერ მოეკრიბა საიმისო ძალა, რომ მონობის უღელი გადაეგდო და დედას შებრძოლებოდა; „ტემპერამენტით წარმართია, მგრძნობელობით კი ქრისტიანი,“ – იმეორებდა შანტალი; პასკალის გარდა ვერავინ ახსნიდა გოგონას იმ ამაზრზენი სარწმუნოებისა და მორალის ბორკილებს, სულს რომ უხუთავდა და შინაგან სამყაროში გაღვივებულ ამბოხის ნაპერწკალს უქრობდა; შეიძლებოდა, მადამ ვინიონის თვალის ასახვევად შეუღლებულიყვნენ კიდეც; ეს ცივსისხლიანი ბურჟუა ქალი მხოლოდ მაშინ დამშვიდდებოდა, როცა ქმარი ანას მძიმე უღელში შეაბამდა, თითზე საქორწინო ბეჭედს, ამ მონობის ბორკილს ჩამოაცვამდა და სამარადჟამო ოჯახურ დაღს დაამჩნევდა. პასკალს ღმერთისა

არ სწამდა, მაგრამ ყოველმხრივ ქრისტიანს ჰგავდა; რელიგიით, არაამქვეყნიური აღტყინებითა და ზეციური შეგრძნებებით ღვთისმოსავივით ზღვარდაუდებლად ტკბებოდა; ეს დიდსულოვანი, ღირსეული და სპეტაკი ყმაწვილი ქრისტიანული სარწმუნოებისკენ დუღალავად მიილტვოდა; მისი გაცხოველებული მისტიციზმი და სულის სიდიადე ანას საშუალებას აძლევდა, სინდისის ქენჯნის გარეშე გადაშვებულიყო სიყვარულის მწვანედ დაფერილ ოკეანეში; შანტალი დიდი ხნის წინ დარწმუნდა, რომ პასკალი ანას ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა; დიად განგებას ამგვარი ხვედრი ერგუნებინა მათთვის!

ანა პიანინოს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო; შანტალი უეცრად აფორიაქდა; მხოლოდ მეგობრის კეფას და კლავიშებისკენ დახრილ თავს ხედავდა; თითქოს, თვალის დახამხამებაში შეიცვალა; შიშმორეული პლატარი დაჟინებით უმზერდა მის მკაცრ, შეუვალ, თითქმის დაუშნოებულ სახეს; აღარაფრით ჰგავდა იმ სხივმოსილ გოგონას, იმ თხელ, ჩამოქნილ სილუეტს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამ ძველ, ბნელ სასტუმრო ოთახში მზის სხივივით ბრწყინავდა; აღარც იმ ჯოჯოხეთური ტკივილით განაწამებ, სასოწარკვეთილ ბავშვს მოგაგონებდათ, შემწესა და მხსნელს რომ უხმობდა; მძვინვარე, ველურ, პირქუშ, უკარება, მარტოსულ და შიშის მომგვრელ არსებად ქცეულიყო; შანტალი სულზე უტკბეს ანას ვეღარც კი ცნობდა; თითქოს, მის წინაშე სრულიად უცხო ადამიანი იჯდა; დაკვრას მორჩა, წამოდგა და კართან, დაბალ სკამზე ჩამოჯდა; ისევ სერიოზული, მკაცრი, იდუმალი და შეუვალი იერი ჰქონდა; ადგილიდან არ იძვროდა; დროდადრო მარჯნის ყელსაბამს ეფერებოდა. წუთით მისი შავი თვალები შანტალის მზერას შეეჩეხა, ძალა მოიკრიბა და შეეცადა, ოდნავ მაინც გაეღიმა მისთვის. „თავს იკატუნებს, თითქოს, ძალიან ბედნიერი იყოს, მაგრამ მე ვერ მომატყუებს! ვიცი, რომ საშინლად იტანჯება!“ – გაიფიქრა შანტალმა და ისეთი დიდებული შეგრძნება დაუფლა, თითქოს, ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინოს; ბედკრული, ცხოვრებისგან გათელილი ანა შველას შესთხოვდა! უცილობლად იპოვიდა ისეთ სიტყვებს, რომელთა წყალობითაც ამ საოცარ გოგონაში ამბოხების მინავლებულ ცეცხლს გააღვივებდა, არნახული ძალით ააგიზგიზებდა და მეგობრის ტანჯულ-გვემულ გულს იმედით აღავსებდა. ერთხანს ხალიჩის ფოჩს თვალმოუშორებლად დაჰყურებდა; ანას მისდამი აღფრთოვანება, თაყვანისცემა და მადლიერება უნდა გამოეხატა, რათა შანტალი კვლავ დარწმუნებულიყო, რომ უბრალო მასწავლებელი კი არა, უსახურ

ბრბოზე ამაღლებული არსება გახლდათ; იმ ზაფხულს საზარელმა სიზმრებმა გააწამა; ანდრესა და მონიკის სახეები, თითქოს, ჯიუტად ედგა თვალწინ და მათ მზერაში უტყვი საყვედური და გულისწყრომა გამოსჭვიოდა; ამ ღამეული აჩრდილებისგან თავს ვერ იცავდა; თუკი არნახულ, ბრწყინვალე წარმატებას ვერ მიაღწევდა, რუჟმონში გატარებულ დღეებს ვერასოდეს დაივიწყებდა.

თავი ასწია; ანა სკამზე აღარ იჯდა; თითქოს, დილის ნამივით გამქრალიყო; შანტალი ფეხაკრეფით, უხმაუროდ გავიდა ოთახიდან; შეღებულ კარს ხელი ჰკრა და ეზოში შეაბიჯა; დარწმუნებული იყო, ანა ბაღში გაიქცა, რათა ეულად შთენილი, სევდას მისცემოდა და გულამოსკვნით ეტირა; ალბათ, შანტალს მოუთმელად ელოდა! მასწავლებელი ხეივანში შეშლილივით დაქროდა და ანას ეძახდა; მის ფეხქვეშ ქვიშა ხრაშუნობდა; გოგონას ჩაეხუტებოდა, მკლავებს მაგრად შემოხვევდა, ანუგეშებდა, დაუყვავებდა და იმ შინაგანი სიმდიდრით აღავსებდა, რომელსაც მისი ბობოქარი გული ვეღარ იტევდა; მალე მის არსებაში საშინელი ქარბორბალა დატრიალდებოდა, უხილავი ტალღები მრისხანედ აიჩოქრებოდნენ და წალეკავდნენ შეშინებულ ჩიტივით აფრთხიალებულ მის გულს; თავისი სისხლის დგაფუნიც კი ჩაესმოდა; მრავალთვიანი ტანჯვა დასრულდა და როგორც იქნა, ბედნიერება განიცადა! ჟანინს საბოლოოდ დააღწია თავი და საშინელი ეჭვებისაგან გათავისუფლდა; თვალს მომდგარ სინაზის ცრემლებს აღარც კი იკავებდა.

ანა ბაღში არ იყო. შანტალი სახლში შებრუნდა; ბნელ წინკარში კარგა ხანს შეიცადა; სასტუმრო ოთახის კარის შეღება არ უნდოდა; გული ბაღისკენ მიუწევდა. „რა სასაცილო ვარ! ვინმეს რომ დაენახა, რა გიჟივით დავრბოდი ხეივნებში!...“ – გაიფიქრა ბრაზმორეულმა; უეცრად, ხის კიბის ჭრიალი შემოესმა; ანას უზარმაზარ ლანგარზე თორმეტიოდე პიჟონის ლამპა (ლამპა, რომელიც ფრანგმა შარლ პიჟონმა გამოიგონა. მთარგმნ.) ჩაემწკრივებინა. ნათელი, ბედნიერი სახე ჰქონდა. შანტალი ოთახში უსიტყვოდ შეჰყვა; კარგად ნაცნობი შეგრძნება დაეუფლა: გული ისეთმა აუტანელმა ტკივილმა გაუსერა, თითქოს, გაცოფებულ ნადირს კბილები ულმობლად ჩაესო; უკვე მერამდენედ, სულმოუთქმელად მოელოდა, სასოწარკვეთილი ანა საშველად მიხმობსო, მაგრამ ის, რატომღაც, კვლავ მშვიდი და მხიარული სახით შეეგება; მასწავლებელს ეჩვენებოდა, რომ უხილავი, ყინულივით ცივი ხელი გულს უმოწყალოდ უწურავდა; ანამ მშობლებსა და მეგობრებს წრფელი ღიმილით უთხრა: „ღამე მშვიდობისა“; ყველას დაუნანებლად უბოძა თავისი მშვენიე-

რი, თვალისმომჭრელი ღიმილი, რომელიც შანტალს გულში ხანჯლად ესობოდა; საყვარელმა მეგობარმა, რომლის მზესაც ფიცულობდა, ასე წარბშეუხრელად უღალატა! „ეს პატარა, უსახური და უნებისყოფო ღვთისმოსავი!“ – გაიფიქრა ბოღმამორეულმა და გულში დამარხულმა, ძალისძალად მოთოკილმა, ჯიუტი ბავშვივით დროებით მიყუჩებულმა მრისხანებამ, ღვარძლმა, ტკივილმა და გაწბილებამ ნიაღვრად ამოხეთქა; შანტალი ამ იმედგაცრუებას, სამარცხვინო მარცხსა და დაცემას ვერასოდეს შეეგუებოდა! ძალ-ღონეს არ დაიშურებდა შებღალული სახელის დასაბრუნებლად და ჩირქის მოსაწმენდად! ანას ცივად დაემშვიდობა, თავის ოთახში ავიდა და პოლ ბარონისთვის გასაგზავნი წერილის წერას შეუდგა.

დიდხანს იჯდა მაგიდასთან; მისი კალმიდან ლურჯი ზღვა იღვრებოდა; როგორც იქნა, წერას მორჩა, განიერ საწოლში ჩაწვა და წითელ, დალიანდაგებულ საბანში გაეხვია; შუაღამისას უცნაურმა ხმაურმა გააღვიძა; ელდანაკრავივით შეხტა; ოთახში ვიღაც შემოსულიყო; შანტალი საწოლზე წამოჯდა, თვალი დააჭყიტა და ანა დაინახა; მის დობილს გრძელი, გულდახურული ღამის პერანგის კალთა კოჭებამდე სწვდებოდა.

„ჩუმად, დედა არ გავაღვიძოთ! ძალიან გეძინებათ? ხომ არ გავისეირნოთ? – დაიჩურჩულა გოგონამ.

– ამ დროს სეირნობთ?“ – ჰკითხა შანტალმა, საბანი თვალის დახამხამებაში გადაიძრო და ფეხები სანდლებში გაუყარა; ანას ბავ-შვობაშიც კი საოცარი ფანტაზიები ჰქონდა; მისი გიჟური ახირებები ახალისებდა; ამ იდუმალი და გულჩათხრობილი გოგონას რომან-ტიკულობა ნუსხავდა; შანტალს გულს მოეფონებოდა ხოლმე, როცა დარწმუნდებოდა, რომ ანა ულევი შინაგანი სიმდიდრით აღსავსე, საინტერესო ქალიშვილი იყო და ღირდა მისი გულისთვის ბრძოლა. „წუთით მოცლა არა მაქვს, მუხლჩაუხრელად ვშრომობ... ღამღამობით ვსეირნობ და თავისუფლებას შევნატრი. იცით, რა ლამაზი, რა ჯადოსნური ზეცა დაგვცქრის ამ დაუვიწყარ ღამეს?!“ – შესძახა ანამ.

კიბე ფეხაკრეფით ჩაიარეს; როცა საფეხურები გაიჭრიალებდა, შიშისგან ძარღვებში სისხლი ეყინებოდათ და გულაფანცქალებულები შეშდებოდნენ; წყვდიადში შთანთქმულ სახლში ყველას ღრმად ეძი-ნა; საბედნიეროდ, გასასვლელ კართან ისე უხმაუროდ მივიდნენ, არავინ გაუღვიძებიათ; ანამ კარი ფრთხილად გამოაღო და აღტაცებით შეჰყვირა: „რა მშვენიერი ღამეა, შანტალ! როგორ თბილა, არა?!“ ქეჩის სანდლები ეცვა და მისი პერანგის კალთა სველ ქვიშას ელა-მუნებოდა. „ფლოქსების სურნელი, თითქოს, მთვარის შუქივით

ბრწყინვალე, უზადო, საამო და გრილია," – თქვა შურით, გაწბილებით, მრისხანებით, სევდით, ბოღმითა და ჯავრით გულგასიებულმა შანტალმა, რადგან ანას სახეზე უსაზღვრო სიამოვნება იხატებოდა; ისეთი იმედგაცრუება ტანჯავდა, მეგობრის სიხარულიც კი შეეხარბა. „მინდოდა, მარტოდმარტო გვესაუბრა," – უთხრა ანამ და ხელი ჰკრა თეთრ, შეღობილ ჭიშკარს, რომლის ჭრიალმაც ქალიშვილებს ყური მოსჭრა. „რა მოგივიდათ, შანტალ? ისე იშვიათად მწერდით... – ჰკითხა კარგა ხნის შემდეგ.

– მშვენივრად ვიმოგზაურე; ძალიან საინტერესო ადამიანები გავიცანი; ო, რომ იცოდეთ, რა საამური დღეები გავატარე სანსებასტიანში!

– როგორ გამშვენებთ ბედნიერება... – უთხრა ანამ ალერსიანად; შანტალმა თვალი აარიდა; როცა ფიქრობდა, ანას მთელი გულით ვუყვარვარო, საამური შეგრძნება ეუფლებოდა, თუმცაღა, ეს საარაკო სიყვარული მის სახეზე რომ აღიბეჭდებოდა, თავს უხერხულად გრძნობდა. „ძალიან მიხარია, რომ პარიზთან სულ ახლოს იმუშავებთ," – განაგრძო ანამ, წაბლის ხის ძირას ჩამოჯდა და თეთრი ღამის პერანგის აკეცილი კალთები ფრთხილად გაშალა; მოქმედების დრო დადგა; შანტალი შიშმა აიტანა; მართალია, ძალიან დიდხანს ფიქრობდა, რომ ანას ცხოვრება ძირფესვიანად უნდა შეეცვალა, მაგრამ ანაზდად შეცბა; სურდა, საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ ამ მძიმე მოვალეობას, ამ ურთულეს როლს ჩინებულად გაართმევდა თავს და მიზანს უთუოდ მიაღწევდა.

„უმჯობესია, თქვენზე ვისაუბროთ, ანა. როგორი ურთიერთობა გაქვთ დედასა და პასკალთან?" – ოდნავ უკმეხადაც კი ჰკითხა.

ანა წუთით გაჩუმდა და გახევდა; თითქოს, სიტყვა ყელში გაეჩხირა; კარგა ხნის შემდეგ გაჭირვებით ამოთქვა:

„ო! ყველაფერი დასრულდა!

– როგორ თუ დასრულდა?!"

გოგონამ გვიმრის ღერო თითზე დაიხვია და განაგრძო:

„დედას არ უბრძანებია, პასკალს საბოლოოდ დაშორდიო, მაგრამ ვიცოდი, თუ სატრფოს კვლავ მივწერდი, უმოწყალოდ გამაწამებდა და უამრავ დაბრკოლებას გადამყრიდა... მასთან ბრძოლის თავი არ მქონდა, შანტალ; დავიღალე, ფარ-ხმალი დავყარე და პასკალს დავშორდი..."

შანტალი ელდანაკრავივით შეხტა და აღშფოთებულმა შეჰყვირა: „კი მაგრამ, ასე უდრტვინველად როგორ დანებდით?! ო, ანა! მაინტერესებს, დედათქვენს პასკალი თვალში რატომ არ მოსდის? რატომ ლანძღავს ასე?!

– იმიტომ, რომ მორწმუნე არ არის. ის ხომ თქვენ გამაცანით? დედასთვის კი ესეც საკმარისია... ხომ ხვდებით, რისი თქმაც მინდა? ვიცი, რატომ არ სურს ახლა პასკალს ჩემი შერთვა. მისი უსიტყვოდ მესმის, მაგრამ წარმოგიდგენიათ, დედა რას ფიქრობს მასზე?! – თქვა სევდამორეულმა ანამ.

სასოწარკვეთა ნუ შეგიპყრობთ; მერწმუნეთ, გამოსავალს ვიპოვით; ხომ მითხარით, დედა მასთან დაშორებას არ მაიძულებსო?" – უთხრა შანტალმა ძალიან თბილი და ნაზი ხმით, რადგან იცოდა, თუ გაცხარდებოდა, ანასთან ვერაფერს გახდებოდა, მგზნებარე სიტყვების წყალობით აზრს ვერ შეაცვლევინებდა და თუ ძალას დაატანდა, დააფრთხობდა და საბოლოოდ დაუსხლტებოდა ხელიდან; უნდა მოეხმო ჩვეული კეთილგონიერებისთვის და მშვიდად დაერწმუნებინა, რომ დედას არ დამორჩილებოდა. „ვიბრძოდი, ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენ ხანს ვიბრძოდი! დედამ ისეთი სიტყვები მითხრა..." – თქვა ანამ, მოიღუშა, სახე და ტუჩები კრუნჩხვამორეულივით აუთრთოლდა, დაიძაბა და ხმა ჩაუწყდა, ცოტა ხანში ძალა მოიკრიბა და განაგრძო: „დედას ხანდახან მართლაც საშინელი აზრები უტრიალებს თავში!"

სიჩუმე ჩამოვარდა; შანტალი ჩაფიქრდა; ბრძოლა ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა; თურმე, როგორ იტანჯებოდა მისი საყვარელი ანა, რომელიც ახლა მის გვერდით იჯდა და ნერვიულად, თითქმის ავადმყოფური აღგზნებით კვნეტდა გვიმრის ღეროს!

„ანა, გულწრფელად მიპასუხეთ: არ გინდათ, პასკალს ცოლად გაჰყვეთ? აბა, სხვა რა დაგრჩენიათ? რას აპირებთ?

– არაფერსაც არ ვაპირებ. მსხვერპლი გავიღე და ყველაფერი დამთავრდა! ოდინდელი გულის სიმშვიდე დამიბრუნდა; ზოგჯერ სიხარულითაც კი ვივსები! კარგა ხანია, ასეთი ნეტარება არ განმიცდია," – უპასუხა ანამ, ხმა დაუამდა და დასძინა: „ახლა ყველაფერი სულ ერთია... აღარაფერი მადარდებს. აღარაფერი... რომ მითხრან, სულ მალე მოკვდებიო, გულიც კი არ დამწყდება; საფლავში დაუნანებლად ჩავალ; უკანასკნელადაც კი არ მოვავლებ თვალს ამ ამაო ქვეყნიერებას და მიწას მივაბარებ ჩემს დაღლილ სხეულს... ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მიმსუბუქებს ამაზე ფიქრი ცხოვრებას."

„სიმშვიდე... როგორ უყვარს სიმშვიდე..." – გაიფიქრა ზიზღმორეულმა შანტალმა; ნუთუ სამ წელიწადს იმისთვის უზიარებდა ანას ბრწყინვალე იდეებს, რომ მისგან ასეთი სასოწარკვეთილი სიტყვები მოესმინა?! „გასაგებია, მაგრამ, რას აპირებთ ამ წელს?! – ჰკითხა გულაღრენილმა.

– დედამ მითხრა, ინგლისში უნდა გაგამგზავრო, რათა სორბონას, ინტელექტუალთა წრესა და შანტალს ჩამოშორდეო; ამიერიდან ფარჟედან ფეხს ვერ გავადგამ; პარიზში რომ დავბრუნდე, სული წამძლევს და პასკალს შევხვდები...

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასე უბრძოლველად დანებდებოდით! – მშრალად მიუგო შანტალმა.

– თავიდან უსაშველოდ ვიტანჯებოდი... საშინელი არდადეგები გავატარე; ჩემს წამებას ბოლო არ უჩანდა; კარგად იცით, როგორი უფერული ცხოვრება გვაქვს ამ სოფელში; უღიმღამო დღეები გულისგამაწვრილებლად მიიზლაზნება; იძულებული ვიყავი, დილიდან საღამომდე ჯარასავით მეტრიალა, თავი რითიმე გამერთო სტუმრებთან ერთად... წუთით არ მქონდა მოცლა; შუაღამისას ვდგებოდი და თქვენ და პასკალს წერილებს გწერდით," – უთხრა ანამ, გაეღიმა და დასძინა: „ერთხელ, ისე მომწყურდა მარტოობა და თავისუფლება, ფეხი ნაჯახით გავიჭერი; ო, რომ იცოდეთ, რა გამეტებით დავირტყი... ვიცოდი, ამის გარდა ვერაფერი მიხსნიდა უსახური ადამიანების კლანჭებიდან. სისხლი ნიაღვარივით მოჩქეფდა; გონებაც კი დავკარგე; ათი დღე საწოლიდან ვერ წამოვდექი; ჩემს ოთახში არავინ შემოდიოდა და სრული სიმშვიდითა და მარტოობით ვტკბებოდი...

– როგორ?! ფეხი განზრახ გაიჭერით?! ნუთუ ასეთი რამ ჩაიდინეთ?! – ჰკითხა გაოგნებულმა შანტალმა; ანას სიმამაცე ყოველთვის აღაფრთოვანებდა; ერთხანს ფიქრებმა წაიღო; თავზარდაცემული და შეძრწუნებული ჩანდა; ეჩვენებოდა, რომ ანა გაურბოდა.

– იმედი მაქვს, პასკალი მაპატიებს. შანტალ, ყველაფერი უამბეთ... გთხოვთ, გადაეცით, რომ რაკი ის გავიცანი, უბედური აღარასოდეს ვიქნები. მართალია, ხშირად სასოწარკვეთა მიპყრობს, მაგრამ მასზე ფიქრი სასიცოცხლო ძალას მმატებს და ტკივილსა და უსასოობას საბოლოოდ არ დავნებდები."

შანტალმა თავი ხელში აიყვანა; იცოდა, ანას შეეძლო, თავქარიან გოგონასავით სულელურად გაეტანებინა ქარისთვის თავისი გმირული სულისკვეთება; ეს ფასდაუდებელი განძი იმ ტანჯვა-წამების ფასად მოეპოვებინა, რომლის წყალობითაც საკუთარ თავს, მწველ სურვილებსა და მისწრაფებებს გაურბოდა; შანტალს მისთვის უნდა ესწავლებინა, როგორ ექცია ეს საუნჯე ბედნიერების მარადუშრეტ წყაროდ.

„პასკალს თავად უნდა დაელაპარაკოთ. თქვენს ამ უგუნურ გადაწყვეტილებას ყურადღებასაც კი არ მივაქცევ! სატრფოს არ

დაშორდებით! ღრმად მწამს, რომ ამ სულიერ კრიზისს სულ მალე დაძლევთ, იარაღს აისხამთ და გააფთრებით იბრძოლებთ ბედნიერების მოსაპოვებლად. მსგავსი დაბრკოლებები ხომ მრავალჯერ გადაგილახავთ?! რა საჭიროა ამგვარი ფატალიზმი?! – ცოტათი უხეშადაც კი ჰკითხა შანტალმა.

– ეს ფატალიზმი კი არა, მორჩილებაა... ბედს შევეგუე, შანტალ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთს სურს. დაე, იყოს ნება მისი!

– ქრისტიანული სარწმუნოება მცონარობასა და უმოქმედობას სათნოებად არასოდეს მიიჩნევდა! ჩემთვის ხშირად გითქვამთ, ადამიანები, რომლებიც უდრტვინველად ემორჩილებიან ღვთის ნებას, ზარმაცები, ლაჩრები და უმაქნისები არიანო, მათი თავმდაბლობის, კრძალვისა და სათნოების მიღმა საშინელი სიმხდალე იმალებაო. მორჩილება თქვენი ერთგვარი არჩევანია, სწორედ რომ არჩევანი! მღელვარებას სიმშვიდე ამჯობინეთ. რა იცით, რას ითხოვს უფალი თქვენგან?! იქნებ, სურს, ყოველივე წინააღმეგობათა გადალახვით მოიპოვოთ და დაადგეთ ყველაზე გრძელ, მტანჯველ და ნარ-ეკლიან გზას?! იქნებ, თქვენი ხვედრი მუხლჩაუხრელი ბრძოლაა და არა – მცონარობა და ბედის მორჩილება?! იქნებ, ზეცაში დაბრძანებულ ღმერთკაცს სწორედ ის ნებავს, რომ უარი არა თქვათ ცხოვრების მშვენიერებაზე, ტკბილ წუთისოფელს მონაზონივით არ განეშოროთ და სამარის კარამდე დატკბეთ მიწიერი სიამეებით?!

– ო, ნუ მტანჯავთ! – შესძახა შიშმორეულმა ანამ, თავი ხელებში ჩარგო და გაჩუმდა; სამარისებურმა მდუმარებამ დაისადგურა; შანტალმა საწადელს მიაღწია: მისი სიტყვები ანას გულზე მოხვდა.

– როგორ მივხვდე, რა სურს ღმერთს?! სამ წელიწადს განუწყვეტლივ ვიბრძოდი! ვიბრძოდი ყველა წაკითხული წიგნისთვის, ქუჩაში სეირნობის, ფიქრისა და აზროვნების ყოველი წუთისთვის! დავიფიცე, დედას გულს არასოდეს ვატკენ-მეთქი, მაგრამ სიტყვა გავტეხე! საბრალო ქალს გამუდმებით მტარვალივით ვაწამებდი! როცა მის ნებას ვემორჩილებოდი, ვგრძნობდი, რა ამაზრზენი და საზიზღარი ვიყავი, ხოლო როდესაც ვეურჩებოდი, საკუთარი თავი მძულდა; თავგზაარეული ვიყავი; არ ვიცოდი, რას ითხოვდა უფალი ჩემგან, რა მეღონა... შანტალ, მეტი აღარ შემიძლია...“ – უთხრა აღელვებულმა ანამ მავედრებელი ხმით.

შანტალი გრძნობდა, რომ ანა უბედური იყო; ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებებს, გულდამწველ ოცნებებს, მტანჯველ ფიქრებს, მძაფრ, სანუკვარ სურვილებს შორის იხლიჩებოდა; ვერ გადაეწყვიტა, რომელი სამყაროს კარიბჭე შეეღო, რადგან ყველა

თრიაქივით აბრუებდა; აი, სწორედ ეს გახლდათ იმ სულიერი კრიზისის, ურწმუნოებისა და ურთიერთსაპირისპირო გრძნობათა წყარო, ასე ულმობლად რომ აწამებდა; მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მასწავლებელს ღრმად სწამდა, რომ ქალიშვილს დაბრკოლებები უნდა გადაელახა, რადგან ეს რთული პერიოდი ადამიანის სულიერი განვითარების ერთ-ერთი საფეხური იყო; შანტალმა უემოციოდ, თითქმის მშრალად მიუგო: „კლოდელის სიტყვები გაიხსენეთ: „უფალო, დაგვიფარე ხანგრძლივი მცონარობისა და სიმშვიდისაგან! დაე, ნურასოდეს გვაფიქრებინებ, რომ მიზანს მივაღწიეთ! გევედრებით, თვალს ასე ნუ დაგვიბრმავებ და ამ ლამაზი ილუზიით ტკბობის ნებას ნუ მოგვცემ!“ თქვენ ხომ ასე გიყვართ ეს მწერალი? თქვენი ასეთი მორჩილება ბავშვური თვალთმაქცობა მგონია; მხოლოდ იმას ნატრობთ, ბრძოლა შეწყვიტოთ, შვებით ამოისუნთქოთ და თქვენში ოდინდელმა სიმშვიდემ დაისადგუროს.

ანას მზერა შორეთში გაყინულიყო. „სიმშვიდე... ჰო, სიმშვიდე... ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს გადამხდა, აღარ მადარდებს, როგორი ცხოვრება მელის, ბედნიერებას მოვიპოვებ თუ სასოწარკვეთის მორევში ჩავიძირები,“ – დაიჩურჩულა მან, წუთით ხმა ჩაუწყდა, მერე კი დასძინა: „ხანდახან, როცა ჩემი სულის ხსნაზე ვფიქრობ, მეცინება კიდეც.“

შანტალი აფორიაქრდა; აქამდე ფიქრობდა, ჩემი ვალია, ანას კალთა გადავაფარო და თავგანწირვით დავიცვაო, მაგრამ როგორც კი გულმოკლულ გოგონას ასეთი განწირული სიტყვები აღმოხდა, შედრკა და რეტი დაესხა; ყველა თავისი ნათქვამი სიტყვა ბრიყვული და ძალზე ზედაპირული ეჩვენა; როგორ უნდა დაერწმუნებინა, რომ ბედს არ შერიგებოდა?! უეცრად, ერთმა საშინელმა აზრმა გაუელვა და შეჰყვირა:

„ნუთუ ერთხელაც კი არ გიფიქრიათ, რომ პასკალი ჯოჯოხეთურად დაიტანჯება, თუკი ასე უსულგულოდ მიატოვებთ?!“

გოგონამ არაფერი უპასუხა.

– გახსოვდეთ, სწორედ თქვენ დაუბრუნეთ გულისსწორს ადამის მოდგმის კეთილშობილების რწმენა, შეაგნებინეთ, რომ ეს ცხოვრება მშვენიერია და ადამიანი იმისთვის შეუქმნია უფალს, რათა ამქვეყნიური მშვენიერებით დატკბეს; უთქვენოდ ვერ იცოცხლებს; სანამ გაგიცნობდათ, ხშირად გულმდუღრად ქვითინებდა, რადგან ამ მდაბალი ზრახვებით სავსე, უსახურ ადამიანთა სულის სიმახინჯე ზიზღს ჰგვრიდა და უსასოობის მორევში შთანთქავდა! გახსოვთ, ერთხელ, ლუქსემბურგის ბაღში მათხოვარი რომ დავინახეთ?!

– დიახ.

– პასკალმა გითხრათ: „მთავარი ისაა, რომ ჩემ გვერდითა ხართ, ანა. ახლა აღარაფერი მადარდებს“. არ შედრკეთ! შიშმა არ დაგძლიოთ! თუ ახლა ძალ-ღონე გამოგეცლებათ, ფარ-ხმალს დაყრით და პასკალს ლაჩრულად დაშორდებით... ეს... ეს ამაზრზენი ღალატის ტოლფასი იქნება!...“

ანამ სახეზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა და უპასუხა: „ვიცი, შანტალ; ეს სიტყვები საკუთარ თავს ათასჯერ გავუმეორე.“ ჯოჯოხეთურად განაწამებ სახეზე ეტყობოდა, რომ მის სულში საშინელი შინაგანი ბრძოლა გაჩაღებულიყო; შანტალის სიტყვები მართლაც გულზე მოხვედროდა. „მართალი ხართ. მისი მიტოვების უფლება არა მაქვს,“ – დაიჩურჩულა, შანტალს საშინლად დაღლილი, ბავშვურად მორჩილი, თვინიერი მზერა მიაპყრო და ჰკითხა: „როგორ მოვიქცე, შანტალ? თქვენს ნებას დავყვები.“

შანტალ პლატარს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს, ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინოს: „პარიზში დაბრუნდით და პასკალს შეხვდით, მაგრამ განშორებაზე სიტყვაც არ დაძრათ! დაემორჩილეთ მადამ ვინიონს, მართალია, ძალიან გაგიჭირდებათ, მაგრამ შეეცადეთ, ამ წამებასაც გაუძლოთ... კიდევ ერთხელ მოიხარეთ ქედი მის წინაშე. თუკი ცოტაოდენ მოხერხებულობასა და სისხარტეს გამოიჩენთ, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება; მერწმუნეთ, ანა, ახლა თქვენს სულში თვალშეუვალ წყვდიადს დაუსადგურებია, მაგრამ მალე კაშკაშა მზე ამობრწყინდება“, – უთხრა აღტყინებულმა შანტალმა, ჩაფიქრდა და დასძინა: „ნუთუ პასკალს არ შეუძლია, მადამ ვინიონის თვალის ასახვევად მაინც შეგირთოთ?!

– დარწმუნებული ვარ, არ შეუძლია... ო, ეს დაბრკოლება რომ არა, ყველაფერი მოგვარდებოდა... – ამოიკვნესა ანამ.

– არ შეგიძლიათ, აზრი შეაცვლევინოთ?

– მასთან კამათს არ ვაპირებ. არ მინდა, მეგობრებს მხოლოდ ტკივილი მივაყენო! მეჩვენება, რომ სხვებისთვის ტანჯვა-წამების უშრეტი წყარო ვარ... – შესძახა აღელვებულმა.

– ანა, რას ამბობთ?! როგორ არა გრცხვენიათ?! მშვენივრად იცით, რომ საყვარელ ადამიანებს უსაზღვრო სიხარულით უვსებთ გულს!“ – შეუტია გამწყრალმა და წარბშეკრულმა შანტალმა.

ანა წამოდგა და თითქმის ველური გამძვინვარებით განაგრძო: „ხანდახან მინდა, არავის ვუყვარდე!“ გოგონა მეგობრის ხელს ჩააფრინდა, გაუღიმა და უთხრა: „არ გამიბრაზდეთ; ვიცი, თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ ახლა სრულყოფილი პიროვნება ვარ და

საერთოდ, რამედ ვღირვარ... თქვენი ვალიდან ვერასოდეს ამოვალ. საოცარი სიმამაცე შემმატეთ.“

შანტალმა ხელი მაგრად მოუჭირა, მაგრამ არაფერი უპასუხა; ეამაყებოდა, რომ მისმა ოსტატურმა სიტყვებმა ანა ააღელვა; ყველაფერი მოგვარდებოდა; ამ დამღლელ საქმეს ჩინებულად გაართვა თავი და ოჩან ცხენს ლაგამი ამოსდო; ხეივანს ნელა გაუყვნენ და სახლს მიადგნენ.

„შეხედეთ, კარი ჩაკეტილია!“ – შესძახა ანამ და ჩარაზულ ურდულს უიმედოდ მიაწვა: „ნეტავ ვინ დაკეტა?! ალბათ, ბებია ნაყენის მოსამზადებლად სამზარეულოში ჩამოვიდა და მოფრიალებული კარი რომ დაინახა, იფიქრა, დაკეტვა დამვიწყებიაო...“ ვინიონების ქალიშვილი დადარდიანებული ჩანდა. „რომ დაგვინახონ, იფიქრებენ, სულ გაგიჟებულანო,“ – მიუგო შანტალმა; ეს ჯადოსნური თავგადასავალი სიხარულით ავსებდა და ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალს უღვივებდა; მხოლოდ ჭრიჭინების ყურთასმენის დამტკბობი, ღამეული, იდუმალი სიმღერა და შადრევნის ჩუმი, საამო რაკრაკი მოისმოდა; ცაზე დიდი დათვის თანავარსკვლავედი კაშკაშებდა; უეცრად შანტალს გულში მასულდგმულებელი სითბო და სინაზე ჩაეღვარა და იგრძნო, როგორ უგონოდ უყვარდა სულზე უტკბესი ანა, ეს პათეტიკური გოგონა, რომელიც ღვთაებრივი სილამაზით შემოსილიყო ამ წითლად მოსირმულ, გრძელ ღამის პერანგში და სახლს მწუხარე სახით შესცქეროდა; თუ შანტალი სწორ გზაზე დააყენებდა და ბურჟუაზიულ-კლერიკალური ცრურწმენების მარწუხებიდან დაიხსნიდა, დიდების მწვერვალებს დაიპყრობდა; თუკი ეს ლამაზი არსება საძულველი სულიერებისა და მჩაგვრელი ქრისტიანული სარწმუნოების ზეობას დაამხობდა და ღვთის ტახტრევანს ნაცარტუტად აქცევდა, თავისუფალ, ბედნიერ, წარმატებულ ქალად იქცეოდა.

„თქვენი ოთახის აივანზე ავძვრები და კარს გავაღებ“, – უთხრა ანამ გაბედულად. შანტალი გააოცა მისმა ასეთმა შეუპოვრობამ, სიმამაცემ და სიმტკიცემ.

სახლის ეს ფრთა ქვით იყო ნაგები; ერთიმეორეზე დაწყობილ, უშნოდ აჩონჩხლილ უზარმაზარ ლოდებს შორის პატარ-პატარა ღრმულები მოჩანდა; ანამ ერთ-ერთ შვერილს დააბიჯა და მარჯვენა ხელით სუროს დაძარღვულ ღეროს მოეჭიდა.

„არ მითხრათ, რომ მესამე სართულამდე ასე აბობღებას აპირებთ! – შესძახა შეძრწუნებულმა შანტალმა. – მეორე სართულზე ყველა კარი და ფანჯარა დაკეტილია,“ – მიუგო ანამ, მძიმე ფლოსტები

ერთმანეთის მიყოლებით ჩამოყარა მიწაზე და აცოცება დაიწყო. ფეხები გრძელ ღამის პერანგში ეხლართებოდა და საცოდავად ფართხალებდა; აუჩქარებლად, დინჯი გამომეტყველებით დაეშვა ძირს და შანტალს უთხრა:

„თქვენი პიჟამის ქამარი მათხოვეთ.“

შანტალმა ქამარი გაუწოდა და უთხრა: „მოითმინეთ, ანა. მგონი, უმჯობესია, ზარი დავრეკოთ, ან პატარებს ხმადაბლა დავუძახოთ.“

ანამ ქამარი ტანზე შემოიჭირა და საქმეს უშიშრად შეუდგა; ისეთი შეუპოვრობით მიიწევდა წინ, თითქოს, პირქუშ მწვერვალს იპყრობდა; შუა გზაზე შეჩერდა, ცალი ხელით ფანჯრის რაფას ჩაეჭიდა, კედელს მიეყრდნო, ცას ახედა, გულიანად გადაიკისკისა და შესძახა:

„რა კარგია აქ, ზემოთ!“

შანტალი მეგობარს შიშნარევი შურით შესცქეროდა; თავს საშინლად დამცირებულად გრძნობდა, რადგან მიწას მიჯაჭვოდა; მან ხომ ანას ფეხი ვერ აუწყო და ასეთი საარაკო გმირობის ჩადენა ვერ გაბედა?! საკმაოდ შორს, ხელმარცხნივ, მესამე სართულზე, შანტალის ოთახის ფანჯარა ღია იყო; ანამ ხელები წინ გაიშვირა, მოაჯირს ჩააფრინდა, უცებ ფეხი დაუცურდა და წამით უსასრულო სიცარიელეში გადმოეკიდა. შანტალმა შეჰკივლა, მაგრამ საბედნიეროდ, გოგონამ თავს უშველა და რაფაზე გადაძვრა. იმაზე ფიქრიც კი ზარავდა, რომ ეს სათუთი გოგონა მიწას დაენარცხებოდა! არც კი გაჰკვირვებია, ასეთი სისხარტე რომ გამოიჩინა. ანას ხომ ტანვარჯიში ყოველთვის უყვარდა?! „ჩამოვალ და კარს გაგიღებთ!“ – გადმოსძახა მან.

შანტალი ჯერ კიდევ ცახცახებდა. „არ მითქვამს, რომ ამ საღამოს სიკვდილს ვნატრობდი!...“ – უთხრა ანამ მხიარული, თითქმის, დამცინავი ხმით. კიბე ფეხაკრეფით აიარეს. „ძალიან კარგად მოვიქეცი, იმ უგუნურ განზრახვაზე ხელი რომ ავაღებინე! დღეს მეტად რთული მოვალეობა შევასრულე!“ – გაიფიქრა შანტალმა, როცა საწოლში უჩუმრად ჩაწვა და საბანში გაეხვია, თუმცა, იოტისოდენა სიხარულსაც კი არ განიცდიდა.

***

შანტალს უხაროდა, ანას ასე თავგამოდებით რომ იცავდა; უნდოდა, მისთვის ხელი მაგრად ჩაევლო და ცხოვრების გრძელ გზაზე გასძღოლოდა. გოგონა ეურჩებოდა, ჟინიანობდა და სულელივით გაჯიქდებოდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი შანტალი ეტყოდა, თუ ახლა ფარ-ხმალს დაყრით, საბოლოოდ დამარცხდებითო, უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ანა ოქტომბრის დამდეგს პარიზში დაბრუნდა და

როგორც იქნა, დედამ პასკალთან შეხვედრის ნება დართო; ცხადი იყო, ურყევი სიმტკიცის, ნებისყოფის, შეუპოვრობის, სიმამაცისა და ქედუხრელობის გამოჩენა მართებდა; შანტალმა არ იცოდა, რა უთხრა მან მადამ ვინიონს, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ისევ მოახერხა მისი დაყოლიება; მის საყვედურებს უშფოთველად ისმენდა; მოკრძალებულ, თვინიერ და მორჩილ მზერას მიაპყრობდა და ისეთ გონივრულ მსჯელობას მოჰყვებოდა, რომ ქალი უსიტყვოდ ნებდებოდა; აღარ იცოდა, რა პასუხი მიეცა ენაწყლიანი და გონებანათელი შვილისთვის; იძულებული იყო, მის ნება-სურვილს დაჰყოლოდა, რათა ხალხს არ ეფიქრა, შვილს უმოწყალო ტირანივით ჩაგრავს და უსამართლო აკრძალვებით ტანჯავსო. როცა ანა პასკალს შეხვდა, განშორებაზე აღარც კი ფიქრობდა; შანტალს გული დაუმშვიდდა; იცოდა, რომ ანა ბედნიერების მოსაპოვებლად იბრძოლებდა; პატივსაცემი მასწავლებელი მეგობარს ძველებურად ხშირად აღარ ხვდებოდა, მაგრამ სინდისიც კი არ ქენჯნიდა; პარიზიდან ფეხს არ იცვლიდა, მაგრამ პოლ ბარონის გარდა ვეღარავიზე ფიქრობდა; მთელი მისი ცხოვრება, ყოველი ფიქრი, ყოველი წამი გულდამწველ სიყვარულს შთაენთქა; პოლი სულაც არ იყო გულზვიადი, ქედმაღალი, მომთხოვნი და მესაკუთრე, სატრფოსგან საარაკო თავდადებასა და უგონო თაყვანისცემას არ მოითხოვდა, მაგრამ შანტალს სურდა, მისი ერთადერთი, სანუკვარი მიჯნური ყოფილიყო, ბობოქარი გრძნობის მოგიზგიზე ცეცხლი არასოდეს ჩამქრალიყო და პირმშვენიერი ახალგაზრდა კუბოს კარამდე გაეღმერთებინა; გულდასმით შეისწავლა მისი საყვარელი სპორტი, ცეკვის გაკვეთილებზეც დადიოდა... მთელი გულით ეწადა, მასთან ერთად მოხდენილად ეცეკვა; ხარბად ეწაფებოდა გაზეთებს, რათა პოლიტიკაზე ესაუბრა; მხოლოდ იმას ნატრობდა, პოლს მისთვის რჩევა-დარიგება ეკითხა; ეს მომქანცველი ძალისხმევა და თავგანწირული ტრფობა ძალ-ღონეს აცლიდა. სიყვარულის ნექტარშესმულ ქალიშვილს წუთით არ ჰქონდა მოცლა.

ანას სულ არ სწყინდა, მეგობარმა რომ დაივიწყა; ამ კეთილგონიერ და მიხვედრილ ქმნილებას შანტალისა უსიტყვოდ ესმოდა; უგუნური მრისხანება არ სჩვეოდა; წერილებს სწერდა და ზოგჯერ ურეკავდა კიდეც; ცდილობდა, თავდაჭერილობა გამოეჩინა, მაგრამ ხანდახან მის ბარათებსა და ხმაში გაცხარება და გულში ფაქიზად შენახული საიდუმლოებების გამხელის დაუოკებელი სურვილი გამოსჭვიოდა; შანტალის ბოდიშებს ყოველთვის გულწრფელი თავაზიანობით იღებდა; ზრდილ, მოკრძალებულ და რიგიან გოგონას არ უნდოდა, მეგობრისთვის თავი მოებეზრებინა. „მშვენივრად იცის, რომ თუ

ოდესმე დავჭირდები, თვალის დახამხამებაში მასთან გავჩნდები! სასოწარკვეთამ რომ შეიპყროს, მისკენ ცრემლმორეული გავექანები, გულში ჩავიკრავ და ვანუგეშებ! დრო როდია წრფელი სიყვარულის საზომი! განა მხოლოდ მაშინ უყვართ ერთმანეთი ადამიანებს, როცა დღედაღამ ერთად არიან?! ჩვენს მეგობრობას განშორება ვერაფერს დააკლებს!“ – ფიქრობდა შანტალი; როცა შარტრში მატარებლით მიემგზავრებოდა, საოცარი სითბო და სინაზე ეუფლებოდა და გული ანასკენ მიუწევდა; ამ მასულდგმულებელი გრძნობისა და თავგანწირვის წყალობით ფრთაშესხმულს სურდა, ელვის უსწრაფესად გადაეფრინა მანძილი, სულზე უტკბეს მეგობარს რომ აშორებდა, კვლავ მომავლის რწმენითა და იმედით აევსო მისი გული, იარებზე მალამოდ დასდებოდა; გრძნობდა, მზად იყო, მისთვის უდიდესი მსხვერპლი გაეღო.

შანტალს შარტრში მხოლოდ დროებითი თავშესაფარი ჰქონდა; პარიზში პატარა ბინა დაიქირავა, თავის ნებაზე, ლამაზად მორთო და თვალგასახარი ავეჯით დაამშვენა; ანასაც ძალიან მოსწონდა ეს ნავსაყუდელი, რომლის მკვიდრიც ნატიფი გემოვნებით იწონებდა თავს; მეგობარს თითქმის ყოველთვის იქ ხვდებოდა, თუმცა ანა დაუპატიჟებლად სტუმრობის ნებას თავს არ აძლევდა. ოქტომბრის მიწურულს, საღამო ხანს, შანტალს ანაზდად, ზარის წკრიალა ხმა შემოესმა; კარგი გააღო და თვალები მოიფშვნიტა: მის წინაშე ანა იდგა! გაოგნებულმა თვალთმაქცური თავაზიანობით შესძახა:

„ანა! რა კარგია, რომ მოხვედით!“ ძალიან დაძაბული ჩანდა; პოლი წუთი წუთზე გადმოაბიჯებდა კარის ზღურბლს; არ უნდოდა, მის მიჯნურს ანა ენახა! „შემოდით; რა ხანია, არ მინახიხართ. სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენთან დარეკვას,“ – განაგრძო და შეამჩნია, რომ ანას თვალები დაწითლებოდა და ტუჩები უთრთოდა. „რა მოხდა, ძვირფასო?“ – ჰკითხა ხარბი ცნობისმოყვარეობით აღსავსე მასწავლებელმა.

გოგონამ ქუდი მოიხადა და სავარძელზე მოცელილივით დაეშვა. „ერთ კვირაში ინგლისში მივემგზავრები... დედამ ეს გადაწყვეტილება ისე მიიღო, ჩემთვის არაფერი უკითხავს! ო, რატომ გამწირა ასე?!“

შანტალი შეხტა: „არ გაემგზავროთ! დედას უარი სტკიცეთ! ბოლოს და ბოლოს, სრულწლოვანი ხართ! ო, როგორ მჯეროდა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა!

– არ მინდა, დედას წინ აღვუდგე. შეკამათების გარდა არაფერი შემიძლია... მითხრა, ამ საკითხზე კრინტი აღარ დაძრა, მუხლებში რომ ჩამივარდე, ინგლისში მაინც გაგამგზავრებ, აუცილებლად

უნდა შეიცვალო და უზნეობის ჭაობს თავი დააღწიო, თორემ სულს წარიწყმედო...

– რას აპირებთ?

– პასკალს მივწერე, დღეს შანტალს ვესტუმრები და გთხოვთ, იქ დამირეკეთ-მეთქი... უთუოდ უნდა ვნახო. ისაა ჩემი უკანასკნელი იმედი... – უპასუხა ხმაათრთოლებულმა ანამ.

– თქვენ და პასკალმა ჯვარი რომ დაიწეროთ, დედათქვენი დამშვიდდება... მას ხომ ასე უყვარს ოფიციალური ცერემონიები?!

– შესაძლოა... დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, პასკალს უნდა თუ არა ჩემი შერთვა...“ – ამოიკვნესა ღონემიხდილმა ანამ, საათს ახედა და განაგრძო: „ხომ არ დაურეკავს?! ნაცნობის ქორწილიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი... როცა კიბეებს მოვუყვებოდი, გული გამალებით მიცემდა და მუხლი მეკვეთებოდა. ისე მეშინოდა, დავიგვიანე-მეთქი...

– პასკალი უნდა დაარწმუნოთ, რომ თქვენი შეუღლება გარდაუვალია. სხვა გზა არა გაქვთ. ვგრძნობ, მადამ ვინიონი ხელს არ შეგიშლით! – შესძახა აღშფოთებულმა შანტალმა.

– ჩვენში მშობლები გოგონებს ასე დაუფიქრებლად გათხოვების ნებას არასოდეს მისცემენ. პასკალი დედაჩემის გულს ვერასოდეს მოიგებს... – მიუგო ანამ და მხრები აიჩეჩა.

– ცხადია, მაგრამ ასე უმიზეზოდ რატომ გაშორებთ სატრფოს?! თუკი პასკალი მის მტანჯველ ეჭვებს უკვალოდ გააქრობს და გულწრფელად დაელაპარაკება, დედათქვენი თქვენს გაყრას ვერ გაბედავს! რას იტყვით?

– სწორედ ამის იმედი მაქვს, მაგრამ პასკალი რომ ვერ დავიყოლიო?

– დედათქვენი მაინც გენდობათ!

– ხან მენდობა, ხან კი... იმისი როდი ეშინია, რომ უბიწოებას დავკარგავ!... მხოლოდ ის ადარდებს, ჩემს ქალიშვილს უმანკო სახელი შეებღალება და ბურჟუაზიული საზოგადოება აითვალწუნებსო; ჩემი მშობლები ამბობენ, პატიოსანმა ქალიშვილმა ხალხს სალაპარაკო არ უნდა მისცეს, ამგვარი უსაქციელობა მხოლოდ მდაბიოებს სჩვევიათო...“

შანტალს გაეღიმა; სიმწრით, ბალღამითა და ტკივილით აღსავსე ანას სიტყვები ძალიან უყვარდა; ანას უკვირდა, შანტალი რომ არწმუნებდა, შენი ხსნის გზა არა ვარდებით, სიყვარულითა და სხვა თვალწარმტაცი მირაჟებით, არამედ ჯაზის საამო ჰანგებით, ბოჰემური მხურვალებით გაჟღენთილი კაფეებით, კაბარეებით, გასართობი ადგილებით, ჭრელაჭრულა მაღაზიებით, ტანსაცმლის მოსასინჯი

კაბინებით, ჩაის ფინჯნებითა და წიგნებით უნდა იყოს მოფენილიო; როცა შანტალთან ერთად პაწაწინა, ტკბილ ნამცხვრებს ჭამდა, ლუკმა ყელში ეჩხირებოდა, ზიარებისას კი ზეციური აღმაფრენა, სასოება და არნახული მგზნებარება გულს უშანთავდა და თვალის დახამხამებაში ყლაპავდა მაცხოვრის სისხლ-ხორცად ქცეულ ღვინოსა და პურს; დედამისი ამაოდ ცდილობდა მისი ბობოქარი გულის დამშვიდებას და წმიდა ფრანსუა დე სალის სიტყვებს უმეორებდა; მართალია, მისი სულის ხსნაზე ზრუნავდა, მაგრამ ანა ახლაღა ხვდებოდა, რომ მშობელი დედის ამგვარი თავდადების მიღმა ბურჟუაზიული „წინდახედულება“, ვაჭრული სული და მომხვეჭელობის ჟინი იმალებოდა; „როდესაც ამგვარი ფარისევლობა გულს აურევს და თვალნათლივ დაინახავს მადამ მაბილის ამაზრზენ სიბილწეს, მრისხანება შეიპყრობს, იარაღით აღიჭურვება და ამ ბრძოლას საოცარი გაიმარჯვებით დააგვირგვინებს!“ – გაიფიქრა შანტალმა.

„სადაცაა, დარეკავს!“ – შესძახა აღგზნებულმა ანამ და ფიქრებში ჩაიძირა; შანტალმა აღარ იცოდა, რა ეთქვა; სიტყვებს გაჭირვებით უყრიდა თავს, მაგრამ უკანასკნელ წუთს ეკარგებოდა და უძირო ოკეანის ზვირთებში ინთქმებოდა; რამდენიმე წუთის შემდეგ ანამ თავს ძალა დაატანა და ამოილუღლუღა: „მალე ლიუსეტი ანდრე ნავილს ცოლად გაჰყვება. გახსოვთ, ერთხელ გიამბეთ იმ ბიჭზე? ერთი კვირის წინ დედამ ჩემს დას მკაცრად უთხრა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეო; ლიუსეტი მთელი დღე მეგობრებთან დარბოდა და რჩევას ეკითხებოდა; ყველამ ერთხმად ურჩია, ამ ბედნიერებაზე უარს ნუ იტყვიო.“ უეცრად ტელეფონის ხმა გაისმა; ანა შეკრთა და ყურმილს ეცა; შანტალი მის სახეს თვალს არ აშორებდა. „დიახ... კარგი... ძალიან კარგი...“ – თქვა მოგუდული ხმით; ხელში შეყინული ყურმილი კარგა ხნის შემდეგ დაკიდა.

„მარგერიტმა მითხრა, პასკალი თქვენთან შეხვედრას ვერ შეძლებსო... მათ ოჯახში რაღაც უსიამოვნება მომხდარა... ვერ მოვა... ვერა...“ – ამოიგმინა გოგონამ, ჩამოჯდა და ცხვირსახოცი ნერვიულად გადაგრიხა; მოზღვავებული შიში და მრისხანება ფოთოლივით ათრთოლებდა.

„რა სისულელეა! სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთ! ასე გულხელდაკრეფილები ვერ ვისხდებით!“ – შესძახა შანტალმა.

– როცა მოიცლის, ორიოდე სიტყვას მომწერს, – მისუსტებული ხმით უთხრა სასომიხდილმა და მიტკალივით გაფითრებულმა ანამ.

– რა მნიშვნელობა აქვს, როდის მოგწერთ? ორი-სამი დღე ვერაფერს შეცვლის, – მიუგო აღტყინებულმა.

– ისე მინდოდა მისი ნახვა... ისე...ო, რა იმედი მქონდა... – დაიჩურჩულა ანამ და ხმა გაებზარა; დაჟინებით დასცქეროდა იატაკს; ტუჩები ჩატეტკვოდა. „ო, ეს გაურკვევლობა...ეს ეჭვი...“ – ამოიოხრა მან და თავი ასწია; სახეზე საზარელი შიში და ძრწოლა აღბეჭდოდა. „გამგზავრება არ შემიძლია... ძალაგამოცლილი ვარ...“ – თქვა ხმაწართმეულმა.

შანტალი შეკრთა; მწარედ ნანობდა, ანას ყურადღება რომ მოაკლო! ვაი რომ გვიანი იყო თითზე კბენანი! თურმე, როგორ იტანჯებოდა მისი მეგობარი! მისი ასეთი სასოწარკვეთილი, ჯოჯოხეთურად განაწამები სახე არასოდეს ენახა! ამ მარადიული ლტოლვილის უკანასკნელი იმედიც კი უკვალოდ გაქრა.

– ხომ იცით, რომ ერთი წელი ძალიან სწრაფად გაივლის...

– და მერე? მერე რა მელის? ისევ და ისევ დაუსრულებლად ვითმინო ეს ვაება და ველოდო... მაგრამ, შანტალ, ისიც კი არ ვიცი, რას ველოდო... ამ ტანჯვას ვეღარ გავუძლებ...

შანტალი მეგობარს მხარზე შეეხო და დაუყვავა:

„მოითმინეთ... თქვენ და პასკალი მალე ერთარსებად იქცევით და საამური ცხოვრებით დატკბებით. კიდევ ცოტა ხანს მოითმინეთ, ჩემო საყვარელო ანა... სულ ცოტა ხანს... ყველაფერი მოგვარდება. დამიჯერეთ!“

ანამ არაფერი უპასუხა. „როცა პასკალი ჩემ გვერდითაა, მისი მჯერა, მაგრამ, მითხარით, რატომ უნდა ვუყვარდე სიცოცხლის ბოლომდე, შანტალ? არარაობა ვარ, არარაობა! მინდოდა, სატრფოს მხოლოდ ჩემთვის ეცოცხლა, ჩემით ესულდგმულა... როგორც ჩანს, მძიმე ტვირთად დავაწექი...“ – ამოიგმინა რამდენიმე წუთის შემდეგ, აცახცახდა და განაგრძო: „ჰო, მძიმე ტვირთად დავაწექი. ეს ხომ უდიდესი სილაჩრეა?! ჩემი მოტყუება არ უნდოდა. ადრე მითხრა, ადამიანი მარტოობისთვისაა განწირულიო... ახლაღა ვხვდები, რომ მართალი ყოფილა. არ შემიძლია, არ ვიფიქრო, რომ მისი სიყვარული სამუდამოდ გაქრა და ახლა მხოლოდ ვებრალები...“

შანტალმა ხმის ამოღება ვეღარ გაბედა; ოდესღაც ღრმად სწამდა, რომ ანას პასკალი საიმედო დასაყრდენად და ნეტარ სავანედ ესახებოდა, ახლა კი უეცრად მიხვდა, რომ ეს უსუსური ყმაწვილი მის მეგობარს სიმშვიდით ვერ აღავსებდა, რადგან მგზნებარება და ვნებათა სიმძაფრე აკლდა, თუმცა, მეტისმეტად წესიერი, მოკრძალებული, კდემამოსილი, თავმდაბალი, ღვთისმოსავი, უმანკო გახლდათ, გული ნატიფი და ამაღლებული გრძნობებით ჰქონდა სავსე და გულწრფელობა თითქმის პედანტურად უყვარდა.

„ანა, არ ვიცი, რაზე ისაუბრეთ თქვენ და პასკალმა, ან რისი თქმა გინდათ ჩემთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პასკალს უყვარხართ!“ – უთხრა გულთბილად, ჭეშმარიტი მეგობრული სიყვარულით განმსჭვალულმა შანტალმა და ისეთი მავედრებელი მზერა მიაპყრო, თითქოს, ევედრებოდა, ჩემი გულის სიმართლე იწამეო.

„შეიძლება ვუყვარვარ...“ – დაიჩურჩულა ანამ, თავი გააქნია და დასძინა: „მაგრამ ინგლისში ხომ ერთ წელიწადს დავყოფ?! მსახვრალი დრო და განშორება, ალბათ, მის სიყვარულსაც გაანელებს... ო, რა საშინელია ეს ეჭვის ჭია, შანტალ... არის ჩემში რაღაც, ისეთი...“

ანას ხმა ჩაუწყდა. თავზარდაცემულმა და შიშმორეულმა შანტალმა მეგობარს შეხედა; ასე მგზნებარედ არასოდეს მოსწყურებია, მისთვის დახმარების ხელი გაეწვდინა, მაგრამ ვაი რომ ისიც კი არ იცოდა, რა ეთქვა! ექვსიოდე თვის წინ, გულაჩქროლებულმა მასწავლებელმა ანას ბედი პასკალს მიანდო და შეევედრა, ამ ფაქიზ გოგონას ხელი არასოდეს გაუშვაო. ახლა სწორედ ამ ყმაწვილს უნდა ეხსნა დაღუპვისაგან; შანტალმა მხოლოდ ამის თქმაღა შესძლო:

„პასკალის დაყოლიებას შეძლებთ!“

***

„შენთვის ვიღაცას წერილი გამოუგზავნია, – თქვა მარგერიტმა, როცა ძმის ოთახში შევიდა; პასკალი სამუშაო მაგიდასთან იჯდა.

– გმადლობ,“ – მიუგო მან ღიმილით და კონვერტს პუნქტირით მონიშნული კიდე აუჩქარებლად მოახია.

„პასკალ, თქვენთან შეხვედრა მთელი გულით მსურს. უთქვენობას ვეღარ ვიტან. ო, რა უსაშველოდ გაიწელა ეს ოთხი დღე! მეგონა, ჩემს ტანჯვას ბოლო არ მოეღებოდა. აუცილებლად უნდა დაგელაპარაკოთ. ოთხ საათზე ლუქსემბურგის ბაღის ერთ-ერთ ტერასაზე, ჩვენს საყვარელ ადგილას დაგელოდებით. გთხოვთ, მაპატიეთ!“ – სწერდა ანა.

პასკალს გაბრწყინებული სახე მოეღუშა; ამ გოგონას ხომ მისთვის არასოდეს არაფერი უთხოვნია?! მაშ, რატომ უხმობდა ახლა?! მისმა სასოწარკვეთილმა სიტყვებმა გააოცა, ყმაწვილი კი ყოველთვის ჰკიცხავდა იმ ადამიანებს, რომელთა უსაქციელობაც აოცებდა; ვნება ამაზრზენ უხამსობად და სიბილწედ ესახებოდა; ანას ვნებიანმა სიტყვებმა თავზარი დასცა, რადგან იცოდა, რომ ვინიონების საამაყო ქალიშვილი ძალზე გონებანათელი, თავდაჭერილი, დინჯი, გაწონასწორებული და მშვიდი გახლდათ.

„ალბათ, არ ძალმიძს იმ გრძნობის განცდა, რომელსაც ადამის

მოდგმამ სიყვარული უწოდა," – ამოიოხრა მან; ეს საიდუმლო ანასაც კი თავმდაბლად, კრძალვითა და რიდით განმსჭვალულმა გაუმხილა; ამ მწარე სიმართლემ სპეტაკ არსებას გული ატკინა. ო, თითქმის შეუძლებელი იყო გულწრფელი საუბარი! ქალიშვილი უმტკიცებდა, სწორედ იმიტომ გაღმერთებ, ასეთი ალალ-მართალი რომ ხარო, მაგრამ ცხადი იყო, უღრუბლო ბედნიერება დაეუფლებოდა, თუკი პასკალი ეტყოდა ამ უბრალო და გაცვეთილ სიტყვებს: „მე თქვენ მიყვარხართ!". ანას ტანჯვა არა და არ მთავრდებოდა; როგორ უნდა აეხსნა პასკალს, რომ მის გულში სიყვარულისა და უგონო ტრფიალების ყვავილი არასოდეს აღმოცენებულიყო, თუმცა, ანას დიდ პატივს სცემდა და თავისებურად უყვარდა კიდეც? ო, სვეგამწარებულ ყმაწვილს სიყვარულის, ამ საოცარი გრძნობის განცდის უნარი რომ ჰქონოდა, ამ პატიოსან ქალიშვილს ხომ ცით მოვლენილ სასწაულივით გააღმერთებდა?!

პასკალმა წიგნებს ხელი ჰკრა; ყველა გეგმა ჩაეფუშებოდა, მაგრამ პაემანზე მაინც წავიდოდა. კიდევ ერთხელ გაიღებდა უდიდეს მსხვერპლს! ანა ნამდვილად შეშინებული და დამწუხრებული რომ არ ყოფილიყო, ასეთ წერილს არ გამოუგზავნიდა; ეს გულნაღვლიანი და ფაქიზი ქმნილება თავს უფლებას არასოდეს მისცემდა, სატრფო ტყუილუბრალოდ შეეწუხებინა. მისი ვალი იყო, ანა გაემხნევებინა და კვლავ სიმშვიდითა და მომავლის რწმენით აღევსო. წამოდგა და უფროსი დის, მარსელის ოთახისკენ გაუყვა დერეფანს.

რევიუებით, ნაირფერი გამოცემებითა და ქაღალდებით დახუნძლული მაგიდის გვერდით, შეზლონგზე წამოწოლილ მარსელს შვენოდა ანგორის ფაფუკი, ვარდისფერი ყელსახვევი.

„თავს როგორ გრძნობ, ძვირფასო დაო?" – ალერსიანად ჰკითხა პასკალმა, მაღალ, მოშიშვლებულ შუბლზე ეამბორა და შენიშნა, რომ მარსელს გადაწეული თმა კეფაზე შეეკრა.

„ნამდვილად უკეთ ვარ," – უპასუხა მან ნაზი, თითქმის უსიცოცხლო ხმით.

დას გვერდით მიუჯდა, ფერმკრთალ ხელზე ხელი დაადო და დანანებით უთხრა: „შენთან ერთად ვერ ვისადილებ; ნაშუადღევს უნდა წავიდე; ხომ არ მოიწყენ, დედასთან მარტო რომ დაგტოვო?" მის სახეზე მართლაც საშინელი სინანული და მწუხარება იხატებოდა.

„არა, ის ვერ გაბედავს დაბრუნებას... მაგრამ თუკი თავხედობა ეყოფა და მოვა, კარს არ გავუღებთ, – მიუგო მარსელმა, რომელსაც დენისის სახელის ხსენებაც კი არ სურდა.

– ჩემო საბრალო და საყვარელო დაო!

– მალე ჩემი ნუგეშისცემა აღარ დაგჭირდება, პასკალ. ისევ აღვივსები სასიცოცხლო ძალით და მუშაობას შევუდგები, მაგრამ ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ შენ არასოდეს მიმატოვებ," – შესძახა მან ჰაეროვანი, საოცრად მელოდიური, წკრიალა ხმით, ხელი მაგრად მოუჭირა და კეკლუცად ჰკითხა: „ძალიან ცუდად ხომ არ გამოვიყურები?"

ლოყები პუდრით თეთრად გადაფიფქოდა და შავი თვალები უელავდა... ესოდენ კონტრასტული ფერები ოდნავ ავადმყოფურ იერ სძენდა, მაგრამ მაინც ძალიან მშვიდი ჩანდა.

„ასეთი ღვთაებრივი სილამაზით არასოდეს შემოსილხარ! როგორ გიხდება ეს ყელსახვევი!" – შესძახა აღტყინებულმა პასკალმა და თითით ფაქიზად შეეხო გედის ბუმბულით დამშვენებულ ვარდისფერ ყელსახვევს.

„მოგწონს? ოდესღაც სულ არ მადარდებდა, რა მეცვა, როგორ გამოვიყურებოდი... მაგრამ რა ამაზრზენია ავადმყოფი, რომელიც საკუთარ თავს არად აგდებს! ხომ მეთანხმები?" – ჰკითხა მან, ტუჩი აიბზუა, სახეზე საშინელმა გრიმასამ გადაურბინა და დასძინა: „ასეთი სნეული მხოლოდ იმას ნატრობს, გარშემომყოფებმა ამგვარი დაუდევრობა მიუტევონ.

– სულელო! – მიუგო პასკალმა ნაზად, – წუხელ კარგად გეძინა?

– ჰო, – თქვა მან თამამი ღიმილით, – თუმცა, შუღამემდე მარგერიტს ველოდებოდი... გამთენიისას დაბრუნდა. მისი ნაბიჯების ხმა არ შემოგესმა? დედისთვის არაფერი მითქვამს, არ მინდოდა, ამეფორიაქებინა. წარმოგიდგენია?! ჩვენი და ღამის ოთხ საათამდე მონპარნასის ბარებში დაეხეტება! ო, ასე საშინლად რატომ იქცევა?" – ამოიოხრა მან.

„ალბათ, უმჯობესია, გულახდილად დაელაპარაკო...

– ვის? მარგერიტს? არც კი მომისმენს. ადამიანმა თავის შეცდომებზე უნდა ისწავლოს. ცხოვრებისეული გამოცდილება სანუკვარი საუნჯეა, ჩემო საყვარელო და საბრალო პასკალ; ალბათ, ყველაზე დასანანი და საწყენი ისაა, რომ შეიძლება, ჯოჯოხეთურად ვეწამოთ, გოლგოთა განვლოთ, მაგრამ არ ძალგვიძს, ეს სატანჯველი სხვას ავარიდოთ; ტკივილი, – ეს შემზარავი, თუმცა, დიადი ღმერთკაცი ნებას არ გვაძლევს, ჩვენს მომმეთ მოწყალების ფრთა გადავაფაროთ; სასტიკი ცხოვრება გვასწავლის, რომ ეს სიმწრის ფიალა მომავალმა თაობებმაც უნდა შესვან, გამოჰყვნენ ჩვენგან თელილ, ნარ-ეკლიან გზას, ჩვენს ნაკვალევს და საშინელ ქარტეხილებს გაუძლონ, რათა დადინჯდნენ და გამოიბრძმედონ.

– ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, მაგრამ მეჩვენება, რომ მარგერიტს საერთოდ არ ვიცნობთ; თითქოს, ჩვენი და კი არა, სრულიად უცხო ადამიანია, – სევდიანად უთხრა ძმამ.

– როცა ეს უნდობარი ცხოვრება გულს ატკენს, უმოწყალოდ გათელავს და ამქვეყნიურ ტანჯვა-წამებას აგემებს, უფრო კაცთმოყვარე და გულისხმიერი გახდება. ჯერ ძალიან პატარაა, ბედნიერებით ზღვარდაუდებლად ტკბება და არც კი იცის, რას ნიშნავს უბედურება, ტკივილი და გულდამწველი კაეშანი“, – მიუგო მარსელმა, თვალი ჭერს მიაპყრო და განაგრძო: „ზოგჯერ მსურს, აღვწერო უდიდესი დრამა იმ სულისა, რომელიც უეცრად მარტოდმარტო დარჩა მტანჯველი ტკივილის, ამ საზარელი ურჩხულის წინაშე და გრძნობს, რომ დახმარების ხელს არავინ გამოუწვდის; წყვდიადი და სამარისებური მდუმარება გამეფებულა; შიში იპყრობს, არ აღიარებს, რომ უმძიმს, საკუთარ თავს გაურბის, მაგრამ მასა და ტკივილს შორის უცნაური ერთობა და სიყვარულიც კი იბადება; ტანჯული სული კვლავ წუხს, საწყალობლად კვნესის, შლეგი ქარისგან დევნილი პაწაწინა ფოთოლივით თრთის, ბოღმა ერევა, მაგრამ ბოლოს, ტკივილს ნებდება და სიხარულით ივსება,“ – სულმოუბრუნებლად თქვა მან, წუთით გაჩუმდა და დასძინა: „ვნატრობ, ეს ტრაგედია ისეთი ცოცხალი, მეტყველი, გულში ჩამწვდომი და სულისშემძვრელი, თუმცაღა, მეტად უბრალო სიტყვებით გადმოვცე, თითქოს, სიყვარულის ისტორიას ვწერდე...

– უდიდეს საიდუმლოს ჩაწვდები: ადამიანთა ტანჯვის აზრს იპოვი და ქვეყნიერებას ამცნობ, რომ ტყუილუბრალოდ არ ვღაღადებთ უდაბნოსა შინა! განა, შეიძლება, ამაზე დიდი საჩუქარი უძღვნა კაცობრიობას?! – შესძახა ჩაფიქრებულმა პასკალმა.

– ტანჯვას ისედაც აქვს აზრი, პასკალ. ავადმყოფობამ და ქმრის ღალატმა სამარადჟამო დაღი დამასვა, მაგრამ უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებაც შემძინა. ამქვეყნად უკვალოდ არაფერი ქრება, – მიუგო ხმაათრთოლებულმა ქალმა.

აღელვებულმა პასკალმა შეხედა. მარსელი სწორედ განსაცდელს და დარდს გამოებრძმედა; გამუდმებულ ტანჯვას გაეღვივებინა და აეგიზგიზებინა ის შინაგანი ცეცხლი, რომლის იდუმალ კრთომასაც დიდსულოვანი და სპეტაკი დის თვალებში ხედავდა; ეს გაძვალტყავებული, სანთელივით ჩამოღვენთილი სახე ზეციურ, წმიდათაწმიდა, ეფემერულ ნათებად, ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებულ, მიწიერი სიმდაბლისგან განწმენდილ სულად ქცეულიყო.

„ძალიან ბევრს შრომობ... თავს ნუ დაიღლი, ჩემო პატარავ, – სიყვარულით დატუქსა პასკალმა და დახვავებულ ხელნაწერებზე მიუთითა.

– ვცდილობ, ქაღალდის ამ ნაგლეჯების წყალობით მაინც შევაყვარო თავი ვინმეს. ადამიანებთან ურთიერთობა აკრძალული მაქვს და მათ სასიცოცხლო მაჯისცემას ვერ ვგრძნობ," – მიუგო თვალწარმტაცი ღიმილით.

მარსელი გატაცებით ეტრფოდა ამაღლებულ სულებს, ახალ წიგნებსა და გამოცემებს ხარბი ცნობისმოყვარეობით ეწაფებოდა, რათა მგრძნობიარე და მეოცნებე ახალგაზრდები აღმოეჩინა. ამ ცივ და მტრულ ეპოქაში გულგაქვავებული ბრბო ნაზ გრძნობებს ფეხქვეშ თელავდა! იქნებ, სულიერების მზე სამუდამოდ ჩასვენებულიყო?!

„თუკი თავს გაუფრთხილდები...

– ალბათ, გავუფრთხილდები კიდეც, ძვირფასო პასკალ," – მიუგო მან შემწყნარებლური ტონით; დაღლილ-დაქანცული ქალი რბილ ბალიშებზე მოწყვეტით დაეცა და ამოიოხრა: „მინდა, ადამიანთა სულს უფრო და უფრო ჩავუღრმავდე და მათი შინაგანი სიმდიდრე ვიხილო, მაგრამ ეს მეტად რთული საქმე ძალას მაცლის. შენ გარდა ჩემი არავის ესმის." პასკალს ხშირ, ტალღოვან, შავ თმაში თითები შეუცურა.

ამ ქალს რაღაც იდუმალი, შეუცნობელი, უსახელო სენი ნელ-ნელა ხრავდა; უსულგულო ექიმები მის ტანჯვას არად აგდებდნენ; ცხადი იყო, ამ უსახურ არსებებს არ შეეძლოთ, მტვერმოკიდებულ სამედიცინო ენციკლოპედიებში დამარხული მშრალი სიტყვებითა და გაუგებარი ტერმინებით აღეწერათ ეს უჩვეულო, ნელი სიკვდილი, პასკალს კი ეჩვენებოდა, რომ მარსელი თანდათან გარდაისახებოდა უხორცო ქმნილებად; ყოველი ავადმყოფობის თავი და თავი ეს ცოდვილი სხეული როდი გახლდათ! მეტისმეტად მგზნებარე, მგრძნობიარე და ბობოქარ სულს ძალა შესწევდა, ყოვლისდამნაცრავი მხურვალების წყალობით თავისი ხორციელი საბურველი სანთელივით დაედნო და არარად ექცია; თავდაუზოგავად ცდილობდა, სულიერად განწმენდილიყო და ამ ამაო ქვეყნიერებაზე ამაღლებულიყო, მაგრამ ვაი რომ შეიძლებოდა, ამ ზეადამიანურ ძალისხმევას შესწირვოდა კიდეც! იქნებ, თვითგანადგურების წყურვილით განახელებს, თავისივე ხელით მოესწრაფა სიცოცხლე?! რა მოხდებოდა იმ დიდებულ, უკანასკნელ წამს, როცა სული ხორცს გაეყრებოდა? ნუთუ ფოთოლივით ათრთოლდებოდა, ძალა ნელ-ნელა გამოეცლებოდა და ბოლოს, სამუდამოდ გაქრებოდა? იქნებ, ვიდრე შეუცნობელ არარაში შთაინთქმებოდა, სულ ერთი წუთით გახევებულიყო და თვალისმომჭრელი, ზეციური ბრწყინვალებით შემოსილიყო?! პასკალს სიკვდილზე ფიქრი ყოველთვის თავბრუს ახვევდა. როცა ასე გაირინდებოდა, მის თვალწინ სამარადჟამო გაქრობის გულშემზარავი ხატება

ამოიზვირთებოდა და აღრიალებული ღვარცოფი უფსკრულისაკენ მიაქანებდა; საბრალო ახალგაზრდას სული ეხუთებოდა, ამ მძიმე ტვირთს ვეღარ უძლებდა და ოცნებობდა, ეს ტანჯვა რამდენიმე წამში დასრულებულიყო და სიკვდილი სამუდამოდ დაევიწყებინა.

„რატომ ხარ ასეთი მოწყენილი? – ჰკითხა დამ ალერსიანად.

– ნეტავ, ფილოსოფოსებს დიადი იდეები ასე გულდამშვიდებით როგორ გადააქვთ ფურცელზე?! როცა მათ ნააზრევს ვკითხულობ, მეჩვენება, რომ რაღაც უსახური მექანიზმის უსასრულო ჯაჭვს მიუყვებიან...“

მარსელი მას ყურადღებით დააცქერდა; ამქვეყნად ამ მგზნებარე ქალის გარდა არავის შეეძლო, ასეთი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით დაჰკვირვებოდა პასკალის სულს; მასავით არავინ დაჰკანკალებდა თავს, არავინ ანუგეშებდა... ასეთი დედური თავგანწირვა მაღალ ღმერთს მიემადლებინა მისთვის; ასეთ ნეტარ სიმშვიდეს ძეხორციელი ვერ განაცდევინებდა! როცა სულზე უტკბესი დის გვერდით იყო, გული მასულდგმულებელი ბედნიერებით ევსებოდა, მწვავე სულიერი კრიზისი და მტანჯველი ფიქრები კი დილის ნამივით ქრებოდა; იცოდა, ვინ იყო, რა სურდა, რატომ მოვლენოდა ქვეყნიერებას, რა მისია დაკისრებოდა ამ ცოდვილ მიწაზე...

„ფიქრი მეტისმეტად მძიმე, სიცოცხლით სავსე, ხორციელ არსებად მესახება... თითქოს, ისე მიახლოვდება, მის სახესაც კი ვერ ვარჩევ, – უთხრა პასკალმა.

– იმიტომ რომ სხვებს არა ვგავართ. როცა ვფიქრობთ, არა მხოლოდ გონების, არამედ, გულის ხმასაც ვუგდებთ ყურს. ო, პასკალ, გული ხომ ფასდაუდებელი განძია?!“

ძმას გაეცინა და ბავშვურად ცელქი გამომეტყველებით შესძახა: „მართალია. სხვებივით ცბიერები, გაქნილები და გონებამახვილები არა ვართ.“

ეს სინაზისა თუ სასოწარკვეთილების უეცარი მოზღვავება პასკალის ცხოვრების ერთადერთ აზრად ქცეულიყო; პეპლებივით ნარნარად მოფარფატე ფიქრები ხან ზეციური სიხარულით აღავსებდა, ხან კი ჯოჯოხეთური ტკივილის მორევში შთანთქავდა; ამ საოცარი შეგრძნებების ბუნდოვან თუ ცხად სიტყვებად ქცევა მიუტევებელ დანაშაულად ესახებოდა; თუ მათ ენის საპყრობილეში გამოამწყვდევდა, სულს წარიწყმედდა, თავის გონებას, ამ მაცოცხლებელ წყაროს წაბილწავდა და თვალის დახამხამებაში დააშრობდა; მაგრამ სიბრძნის სანუკვარი ანგელოზი იშვიათად სტუმრობდა; აღტყინება გადაუვლიდა და კვლავ უფერული ყოველდღიურობის ჭაობში

ეფლობოდა; ფილოსოფიითა და მძიმე ფიქრებით თავს არ იწუხებდა და მსუბუქად მიუყვებოდა ცხოვრების გზას.

„რა დრო გასულა! უნდა წავიდე. დამაგვიანდა," – ამოიოხრა პასკალმა. ანა ვერასოდეს მიხვდებოდა, როგორ უყვარდა ამ ყმაწვილს! ის ხომ მზად იყო, გულდადარდიანებული, სნეული და, თავისი ძვირფასი სისხლ-ხორცი, შინ მარტო დაეტოვებინა და მას შეხვედროდა! ეს კი პასკალისთვის არნახული გმირობისა და საუკუნო ტრფიალების აღთქმის ტოლფასი იყო! „ამ საღამოს სუინბერნს (ელჯერნონ ჩარლზ სუინბერნი-ინგლისელი პოეტი.მთარგმნ.) წავიკითხავთ," – დასძინა მან მრავლისმეტყველი ღიმილით, რომელმაც მარსელი საამო იმედებითა და დაპირებებით აავსო.

პასკალი ლუქსემბურგის ბაღში შევიდა. შორიდანვე შენიშნა, როგორ იჯდა საბრალო ქალიშვილი მარტოდმარტო, თითქმის ფოთლებშემოძარცვული წაბლის ძირას. გამხმარ ტოტებსა და ფოთლებს შორის მწვანედ აფეთქებული, თეთრი ყვავილებით დახუნძლული ერთი რტო თვალისმომჭრელად ბრწყინავდა; ამ მშვენიერმა სანახაობამ პასკალს გული უჩვეულო სიხარულით აუვსო. ის ლამაზი ღიმილი, რომელიც ანას დაღვრემილ სახეს აცისკროვნებდა, ამ ნაგვიანევ, ნაირფრად აჭრელებულ, სიცოცხლით სავსე ყვავილებს ჰგავდა! ყმაწვილმა მთელი არსებით იგრძნო სიცოცხლის ყვავილობა.

„პასკალ, რომ იცოდეთ, როგორი მადლობელი ვარ, რომ მოხვედით! – უთხრა ანამ.

– მეც უსაშველოდ ვიტანჯებოდი თქვენთან შეხვედრა რომ არ შემეძლო, მაგრამ ჩემი და და დედა ისე დამწუხრებულნი არიან, ჩვენს ბედნიერებაზე ფიქრიც კი უღირს, საშინლად ეგოისტურ საქციელად მესახება. მათ ასე ვერ ვუმუხთლებდი. ჩემს საყვარელ ადამიანებს მხარში უნდა ამოვუდგე.

– თქვენს დარდს სიხარულით გავიზიარებდი. გეგონათ, თუ შემხვდებოდით, გაგახალისებდით და ტკივილს დაგიამებდით?! სულაც არა! ამის შიში ნუ გექნებათ! კარგად იცით, რომ გულმხიარული და ლაღი გოგონა არა ვარ.

– დედაჩემი და მარსელი სანუკვარ საიდუმლოებებს არ მიმხელენ..."

ანამ არაფერი უპასუხა; ძალაგამოცლილი, დათრგუნვილი და გულგატეხილი ჩანდა.

„თქვენმა წერილმა დამაღონა და მოსვენება დამიკარგა. რა მოხდა?"

„დედამ საბოლოოდ გადაწყვიტა, ერთი წლით ინგლისში გამამგზავროს. ო, რომ იცოდეთ, რა ამაოდ ვევედრე!..." – ძლივს ამოთქვა

სასოწარკვეთილმა გოგონამ, ხმა ჩაუწყდა, თითები მოეკრუნჩხა და გულმდუღრად ამოიკვნესა: „ო, რატომ დავუჯერე შანტალს?! რატომ შეგხვდით, რატომ?! სამუდამოდ უნდა დაგშორებოდით! ახლა ძალზე გვიანია... ბედთან შერიგება აღარ შემიძლია.“

მისმა ხმამ პასკალი ააღელვა. „სიყვარული არ შემიძლია“, – გაიფიქრა სიამენარევი თავმდაბლობით და ამ მოკრძალებულ და უსიტყვო ახალგაზრდას ამპარტავნებისა და გულზვიადობის ცელქი სიო მოელამუნა; ეამაყებოდა, რომ მისი გაქვავებული გული სიყვარულით არასოდეს ანთებულიყო.

„ამითაც კი ბედნიერი ვარ, ანა. კარგად იცით, რომ უთქვენოდ ვერ ვიცოცხლებ, – უპასუხა მან გულთბილად.

– ნუთუ, ვინმეს ნამდვილად ვუყვარვარ, ვჭირდები და ვეძვირფასები?

– ანა! საჭირო სიტყვების პოვნა არ შემიძლია! ბრიყვი და მოუქნელი ვარ, მაგრამ მუხლმოყრით გევედრებით, დამიჯერეთ! მჭირდებით! ჩემთვის ერთადერთი, შეუცვლელი და განუმეორებელი ადამიანი ხართ! – შესძახა გამწყრალმა პასკალმა საყვედურნარევი ხმით.

– ნუთუ, ნამდვილად ასეა? ნამდვილად?!...

– რა ურწმუნო ქალი ხართ! – მიუგო მან ალერსიანად.

– ლაჩარი ვარ, პასკალ, არარაობა... თქვენს სიყვარულსა და პატივისცემას არ ვიმსახურებ; არ შემიძლია, ასე არ ვიფიქრო; მეჩვენება, რომ თვალწარმტაც მირაჟად გესახებით და სულ მალე უკვალოდ გავქრები... სულ მალე... ნეტარი ზმანება გაიფანტება და კვლავ შემზარავი სინამდვილე დაისადგურებს...

– დამიჯერეთ! გთხოვთ, ჩემი გულის სიმართლე იწამეთ! – შესძახა პასკალმა აღტყინებით. მის ხმაში მართლაც სულისშემძვრელი მუდარა გამოსჭვიოდა.

– როცა გიმზერთ, თქვენი მჯერა და გენდობით, – თქვა ანამ ღიმმორევით, – მაგრამ რაწამს მარტო ვრჩები...

– დედათქვენის დაყოლიება არ შეგიძლიათ? ო, იმდენ ხანს ვფიქრობდი, როგორ გავატარებდით ამ ზამთარს ერთად... გეგმებს ვაწყობდი, ლამაზი ოცნებებით ვტკბებოდი...

– დედამ მითხრა, არ მესმის, რატომ არ გაგაცნო პასკალმა მადამ დრიუფი და ხელი რატომ არ გთხოვაო... არ გენდობათ... ურწმუნოების საშინელ ურჩხულს შეუპყრია მისი გული და გონება...“ – უთხრა ანამ, ნაჩქარევი მზერა სტყორცნა და აღელვებულმა შესძახა: „მაპატიეთ, ისევ ამას რომ გეუბნებით, მაგრამ ნუთუ შეუძლებელია, დედაჩემის თვალის

ასახვევად მაინც დავინიშნოთ? მთავარია, დავინიშნოთ, ქორწილი კი სულაც არაა დიდად საშური... ვიცი, თქვენი დისთვის უძვირფასესი განძი ხართ, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ხელს არ შეგიშლით და თქვენ შორის არასოდეს ჩავდგები! ამგვარ უღირსობას არასოდეს ვიკადრებ, პასკალ! ჩვენი სიყვარული და ნიშნობის ბეჭედი თქვენს ჰარმონიულ ურთიერთგაგებასა და მარადიულ ერთობას ვერას დააკლებს.“

მან თავი გააქნია:

„ეს შეუძლებელია! თუ მარსელი იფიქრებს, ჩემი ძმის ოდინდელი სიყვარული უკვალოდ გაქრა და აღარ ვჭირდებიო, ცხოვრების აზრს დაკარგავს, სასოწარკვეთა შეიპყრობს და შეიძლება, თავიც კი მოიკლას!

– თუ დავინიშნებით, მასზე გული აგიცრუვდებათ?! გგონიათ, თქვენს ძვირფას მარსელს ჩრდილს მივაყენებ?

– ცხადია, არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასე მოეჩვენება. ალბათ, ძალიან დიდხანს ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ ჩემს გულში სხვაც სუფევს; რომ დავინიშნოთ, თავზარი დაეცემა; არ მინდა, გული ვატკინო, მით უმეტეს ახლა, როცა ასეთი გულგატეხილია.“

ანამ თავი მისკენ მიაბრუნა; მის სევდიან მზერაში ერთი შეკითხვაც კი არ იხატებოდა. პასკალი ყოყმანობდა; ვალდებული იყო, კიდევ ბევრი რამ აეხსნა მისთვის.

„ყური დამიგდეთ, ყველაფერს გიამბობთ: იცით, რომ მარსელი ქმარმა მიატოვა? სამ წელიწადს ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, ის სულმდაბალი კაცი ჩემს დას საშინლად ეპყრობოდა და მის ღირსებას ყოველდღე ფეხით თელავდა!“

ანა თავის დაქნევით დაეთანხმა.

„მარსელი ჯოჯოხეთურად იტანჯებოდა... ლოგინადაც კი ჩავარდა; გამოჯანმრთელება ძალიან გაუჭირდა; არნახული ძალისხმევის ფასად თითქმის დაივიწყა ქმარყოფილი, თითქმის განიკურნა ამ მძიმე სენისგან, მაგრამ ხუთი დღის წინ საშინელება მოხდა... დენისი მოულოდნელად დაბრუნდა, ამაზრზენი ოჯახური სცენა გამართა და დედასა და მარსელს მთელი ფული წაართვა. საუბედუროდ, შინ არ ვიყავი. წარმოგიდგენიათ, რა საშინელებას გაუძლო?! დენისის მსახვრალმა ხელმა ეს ფაქიზი ყვავილი დაუნანებლად გათელა.

– მესმის, პასკალ“, – მორჩილად მიუგო ანამ; ისევ ქანცგაწყვეტილი და დადარდიანებული ჩანდა; პასკალს გული ეტკინა; ანას სჯეროდა მისი და ენდობოდა, რადგან ძალიან უყვარდა, მაგრამ გულის სიღრმეში არ ეთანხმებოდა; ო, რა მარტოსული იყო პასკალი! ამქვეყნად მისი არავის ესმოდა, არავის!

„ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი არაა?! მსხვერპლად მხოლოდ ერთ წელს გავიღებთ; მთელი ცხოვრება წინ გვაქვს; მერწმუნეთ, ბედნიერები ვიქნებით!

– ერთი წელი! შეიძლება, ერთი წელი მართლაც არაფერია... ერთი წელი!“ – მოგუდული ხმით ჩაილაპარაკა თვალგაშტერებულმა ანამ, თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და დასძინა: „ერთ წელიწადს თქვენ შესახებ ვერაფერს შევიტყობ... ერთი წელიწადი... გულისგადამლევი მოლოდინისა და მტანჯველი ეჭვის ერთი წელიწადი...

– დარდს უზარმაზარი წერილებით გავიქარვებთ, ანა; ჩვენს ოთახებში მელნის ზღვა დადგება; ერთმანეთს შთაბეჭდილებებს გავუზიარებთ; დრო და მანძილი ჩვენს სიყვარულს ვერ გაანელებს.

– არა. დედამ მიბრძანა, აღარ მისწეროო; როცა ის ჩემ გვერდითაა, ვეკამათები და ვეურჩები, მაგრამ როცა თვალს მიეფარება, ვგრძნობ, რომ მორჩილების გარდა არაფერი დამრჩენია; მითხრა, გამგზავრებამდე მასთან ორიოდეჯერ შეხვედრის ნებას დაგრთავ, მაგრამ იცოდე, სამუდამოდ უნდა დაშორდეთო. მის წინაშე ქედი უნდა მოვიხარო. სხვა გზა არა მაქვს.“

პასკალი სულ არ აღშფოთებულა; ანას უდიდეს პატივს სცემდა, რადგან ღვთისმოშიში იყო და იცოდა, რომ მას, როგორც ქრისტიან ქალიშვილს, წმიდათაწმიდა მოვალეობები უნდა აღესრულებინა; ყმაწვილს არ შეეძლო, უფლის შარავანდედით გაბრწყინებული ზეციური სამკვიდროსაკენ მიმავალი ეს სპეტაკი სული ჭეშმარიტი რწმენის გზიდან გადაეცდინა.

„მარტოობა მაშინებს“ – თქვა ანამ; თითქოს, რაღაცის დამატებაც სურდა, მაგრამ გადაიფიქრა.

ქარმა მიწაზე ჩამოცვენილი წაბლის ხის გამხმარი ფოთლები აშალა; ჩაფიქრებული პასკალი დაჟინებით უმზერდა ახალამოყრილ მწვანე კვირტებს, გვიან გაფურჩქვნილ ყვავილებს და გული გამალებით უცემდა. ო, სიცოცხლის მსწრაფლწარმავალი ზეობა! ო, გაზაფხულის ნაგვიანევი ყვავილობა! რამდენიმე დღეში ეს სიხარულიც კი განქარდებოდა და საარაკო ტრიუმფი არარად იქცეოდა. „მშვენიერი, მარადიული სიყვარული სამარადჟამოდ შეგვაერთებს, ანა; ჩვენს გულებში უკვდავი, წმინდა და სპეტაკი გრძნობა დაივანებს, რადგან ამ ფასდაუდებელ განძს ამაზრზენი სიცრუის ფასად არ მოვიპოვებთ; ერთი ძალზე იშვიათი და გამორჩეული თვისება გვაქვს: ერთმანეთს ძალზე დიდ პატივს ვცემთ და სწორედ ამიტომ არ ვნატრობთ იმ უგონო სიყვარულს, რომელიც ადამიანს აბრმავებს; არ გვსურს, თავბრუდამხვევი ბედნიერებისა და თავდავიწყების

მორევში გადავეშვათ და ილუზიების საამური ბანგით გავბრუვდეთ; ამ ცოდვილ მიწაზე უამრავი მიჯნური დააბიჯებს, მაგრამ მათი მომწუსხველი ტრფიალების მიღმა მხოლოდ საზიზღარი ეგოიზმი იმალება... დიახ, ეგოიზმი; ორი ნარცისი ერთიმეორეს ეფიცება, მზე და მთვარე შენზე ამომდისო, მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ პატივმოყვარეობის მდაბალი ჟინის მოკვლა სურთ; ამგვარი სიყვარული სიზმარია, მსწრაფლწარმავალი ზმანება... ეს ბილწი ადამიანები, თითქოს, საღათას ძილს მისცემიან.

– მართალია, მაგრამ სიყვარულისა და ვნების მორევში თავდავიწყებით შთანთქმა ხომ ნამდვილი საოცრებაა?! ასეთი გმირობა მხოლოდ დიდსულოვან და გულისხმიერ ადამიანებს შეუძლიათ... თუმცა, საუბედუროდ, ამ ნეტარების განცდის უნარი არ გამაჩნია, – თქვა ანამ სევდიანად.

– იმიტომ, რომ გართობა, ეს საშინელი სიბრიყვე, მთელი გულით გვძულს; თავშექცევა (თუკი მას პასკალის თვალით შევხედავთ), საჩვენო რამ არ არის; ოდესღაც, კაცობრიობამ ბედნიერება, ეს უდიდესი სიცრუე გამოიგონა, რათა მკაცრ სინამდვილეს გაქცეოდა და მირაჟისთვის შეეფარებინა თავი“, – მიუგო პასკალმა და მკაცრი, სერიოზული, თუმცა, ალერსიანი მზერა მიაპყრო; სპეტაკ ანას ნაზად ეტრფოდა; ის მისი სანუკვარი მეგობარი იყო; მათ სიახლოვეს დროჟამი ვერას დააკლებდა; გოგონაც იმდენად მძაფრად განიცდიდა ცხოვრების პათეტიკურობას, რომ ხშირად, შიში იპყრობდა. აი, ეს იყო ის უმაღლესი, ნისლში ჩაკარგული მწვერვალი, რომლის დაპყრობაც სიყვარულს შეეძლო, სიყვარულს, ამ უტყვ, იდუმალ ერთობას.

„მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, ბედნიერებას ვეწევი,“ – თქვა ანამ, მშვიდი გამომეტყველება დაუბრუნდა, წამით სახე ბავშვურმა ღიმილმა გაუნათა და შესძახა: „რა ბედნიერი ვიყავი ბავშვობაში! პასკალ, ოდესმე გიამბობთ, როგორ მომიწამლა დედაჩემმა ბავშვობის საამური დღეები...“ – გოგონას ხმა ჩაუწყდა და რამდენიმე წამის შემდეგ ამოიკვნესა: „ალბათ, ოდესმე, ამასაც შევძლებ... ალბათ... ალბათ, ბედნიერი ვიქნები...“ მის ხმაში უტყვი მუდარა იგრძნობოდა; პასკალი ყოყმანობდა; იცოდა, გოგონა ოცნებობდა, ყმაწვილს მისთვის უგონო ტრფიალებით გაჟღენთილი სიტყვები ეთქვა, მაგრამ ამ გულმართალი და უმანკო ქალიშვილის მოტყუება არ უნდოდა.

„ბავშვობაში ბედნიერების მოპოვება ძალიან ადვილია, რადგან ცხოვრებისა არაფერი გაგვეგება, მაგრამ როცა წამოვიზრდებით და უამრავ რამეს შევიმეცნებთ... სამარცხვინო სილაჩრის გარდა ვერავითარი ძალა ვერ დაგვავიწყებს შეძენილ ცოდნას. ანა, თქვენ

თვალი ამიხილეთ და ერთი საოცარი ჭეშმარიტება შემაგნებინეთ: შესაძლებელია, ბედნიერებით ვერ დავტკბეთ, თუმცა არც სასოწარკვეთის მორევში ჩავიძიროთ.“

პასკალი ნატრობდა, ანასთან ერთად ჩამომჯდარიყო იმ თბილ ოთახში, რომელსაც ამ სულმნათი ქალიშვილის მშვიდი და ლამაზი სახე თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით ააელვარებდა; ო, რა სასიამოვნო შეგრძნება დაეუფლებოდა, სულზე უტკბესი სატრფოს გვერდით რომ მოკალათებულიყო! ნაირფერი ილუზიების გარეშე, გულწრფელად ილაპარაკებდა ადამიანთა მძიმე ხვედრზე, სიცრუის ნექტარს აღარ დაეწაფებოდა, მწარე სიმართლეს თვალს გაუსწორებდა, გული ზეციური, უსაზღვრო სინაზითა და აუმღვრეველი სიმშვიდით აღევსებოდა, მის ყელს გამაყრუებელი გუგუნითა და ღრიალით მოაწყდებოდა შიშის ბობოქარი ტალღები, მაგრამ ეს საზარელი ძრწოლაც კი სიამეს განაცდევინებდა.

„ო, პასკალ! ვეცდები, მხნეობა მოვიკრიბო; ნუთუ, არ გაშინებთ იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება, თქვენი ბედისწერა ვიყო და ცისქვეშეთში ჩემ გარდა ვერავის შეიყვარებთ? იქნებ, მაღალმა ღმერთმა ასეთი ხვედრი გარგუნათ?! ზოგჯერ, მეჩვენება, რომ გძულვართ კიდეც.“

პასკალმა შიშმორეული მზერა მიაპყრო; ამ გოგონას წარმოუდგენელი აზრები უტრიალებდა თავში! დილიდან საღამომდე ფუჭი შეკითხვებით იწამებდა თავს და ღონე ეცლებოდა; ეს ისედაც ტანთხელი არსება სანთელივით იღვენთებოდა.

„ასეთი გულჩათხრობილი და ღვარძლიანი არა ვარ“, – უპასუხა მან, სკოლის მოსწავლესავით გაიცინა, კვლავ სერიოზული გამომეტყველება მიიღო და დასძინა: „ანა, ხშირად მრცხვენია, რომ არ შემიძლია, აურაცხელი სიმდიდრით აგავსოთ და საუკუნო საჩუქარი გისახსოვროთ!

– ო, ამას ნუ იტყვით! თქვენ ჩემი ცხოვრება შეცვალეთ!“ – შესძახა ანამ, ყმაწვილს აღელვებით შეხედა, ყურებამდე გაწითლდა და განაგრძო: „გახსოვთ, ოდესღაც რომ გითხარით, სიკვდილი ჩემთვის შვება იქნება-მეთქი? საოცარ ნეტარებას განვიცდიდი, როცა ვფიქრობდი, რომ მალე სული ამომხდებოდა, ახლა კი სიცოცხლეს მთელი ძალით ვებღაუჭები... ეს ცოდვილი მიწა ვერა და ვერ დავუტევე... ამქვეყნიურ სიამეს ვერ შეველიე...“

ანას პათეტიკურმა, გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა პასკალი ძალიან ააღელვა და დაადარდიანა კიდეც; ეს საბრალო არსება სულშემხუთავ გარემოში ცხოვრობდა; როცა ვაჟი მის გვერდით იყო, სუნთქვა ეკვროდა, ხოლო რაწამს თვალს მიეფარებოდა, შვებით ამოისუნთქავდა.

წამოდგნენ და ბაღის გასასვლელისკენ მდუმარედ გაეშურნენ; გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ, თუმცა, ერთმანეთს არ ეხებოდნენ; პასკალს მისთვის არასოდეს ეკოცნა; სიყვარულით ანთებული მათი გულების აუწერელი, უსიტყვო თანხმობისა და ჰარმონიული ერთობის გამოხატვას უხეში ჟესტები და გაცვეთილი სიტყვები არ სჭირდებოდა! საშინლად სძულდა მიწიერი სიბილწითა და სიმდაბლით გაჟღენთილი, სამარცხვინო თავგადასავლები, რითიც სიჭაბუკეში ასე ურცხვად ტკბებოდა; დიდი ხანი იყო, ამ ასკეტივით უმანკო არსებას ხორციელი სიამე არ განეცადა; ქვითინი ეძალებოდა, როცა ფიქრობდა იმ ავბედით საღამოზე, იმ გარდაუვალ წამზე, როცა იძულებული გახდებოდა, ანა გულში ჩაეკრა; ამ სპეტაკი ქალიშვილისთვის ხომ თითი არასოდეს დაეკარებინა?!

„ვეცდები, გამგზავრებამდე შეგხვდეთ“, – უთხრა პირგამეხებულმა ანამ, როცა განშორების წუთი დადგა, მიჯნურის ხელს თითქმის ავადმყოფური აღგზნებით ჩააფრინდა, პირი იბრუნა და სწრაფად, თითქმის სირბილით, უკანმოუხედავად გაშორდა; ერთი ღიმილიც კი არ გაიმეტა მისთვის! პასკალი ქვის ბალუსტრადს მიეყრდნო და გაირინდა; ამ საუკუნო გამოთხოვებას, ამ დიდ ტრაგედიას აეღელვებინა; ანა არ გაუბრაზდა, თუმცაღა, ვერ გაუგო; მიუხედავად ყველაფრისა, ის ქალი იყო და ბედნიერება იმ თვალისმომჭრელ სინამდვილედ ესახებოდა, რომლისთვისაც პასკალს პატივი უნდა ეცა; ყმაწვილი ყოველთვის ფიქრობდა, რომ ჯოჯოხეთური ტკივილი უსაზღვრო სიხარულისგან თითქმის არ განსხვავდებოდა.

***

ორიოდე დღის შემდეგ პასკალი შანტალს ფინჯან ჩაიზე ესტუმრა. „ანა შეეცდება, ცოტა ხნით მაინც მოვიდეს. დამირეკა და მაცნობა, ინგლისში გასამგზავრებლად ვემზადები, წუთით მოცლა არა მაქვს, მთელი დღე ჯარასავით ვტრიალებო; რაკი თქვენ წასვლას არ უშლით... – საყვედურნარევი ხმით უთხრა შანტალმა, როცა კარი გაუღო.

– იცის, რომ ახლა მისი ცოლად შერთვა არ შემიძლია; დამერწმუნეთ, ჩემი უსიტყვოდ ესმის. ამ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ...

– სიყვარულს ერთწლიანი განშორება ვერაფერს დააკლებს, მაგრამ ანას ძალა აღარ შერჩა; ამ ტანჯვას ვერ გაუძლებს; როცა ბოლოს შევხვდი, ძალიან შემეშინდა... ისეთი სახე ჰქონდა...

– დამერწმუნეთ, ახლა ჩემზე ბედკრული, ტანჯული და ბეჩავი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დააბიჯებს. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მტკივა გული, ანას ასეთი სადარდებელი რომ გავუჩინე“, –

მიუგო პასკალმა მშრალად. შანტალს პატივს სცემდა, იცოდა, რომ ანას საყვარელი მეგობარი ქვეყანას ერჩივნა და მის მზეს ფიცულობდა; სწორედ შანტალმა მიახვედრა, რომ სულიერი ცხოვრება, წმიდათაწმიდა რელიგია და ბუჟუაზიული საზოგადოების სასტიკი, ფარისევლური მორალი ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავდებოდა; თვალსაწიერი გაუფართოვა, ამაზრზენი ცრურწმენების ტყვეობიდან დაისხნა, სრულიად სხვა, ახალი ცხოვრება დაანახა, საოცარი სამყაროს კარი გაუღო, თვალწინ არნახული, წარმტაცი ჰორიზონტი გადაუშალა, მაგრამ თავი ანას მფარველ ანგელოზად მაინც არ უნდა ჩაეთვალა! გულზვიად მასწავლებელს სურდა, გოგონასათვის მოწყალების კალთა გადაეფარებინა და ულმობელი სამყაროსაგან დაეცვა; პასკალი ხშირად ღიზიანდებოდა, რადგან ანა შანტალის ბრწყინვალე განათლებასა და უსაზღვრო თავისუფლებას შენატროდა, ამ ემანსიპირებულ ქალს დღედაღამ ბავშვური აღფრთოვანებით შესციცინებდა და ფიქრობდა, რომ მას ვერც კი შეედრებოდა. „ანას ყოველივეს დაუნანებლად, სიხარულითაც კი შევწირავდი მსხვერპლად, მაგრამ ჩემს დაზეც ხომ უნდა ვიზრუნო?!“, – განაგრძო პასკალმა მშვიდი და ნაზი ხმით.

– ახლა ანასავით არავის უჭირს! მისთანა ჩაგრული, გულჩაწყვეტილი და სულგამწარებული არსება ქვეყნად არ მეგულება! თქვენი ვალია, დახმარების ხელი გაუწოდოთ. თუ ასე წარბშეუხრელად შეელევით და ინგლისში გულდამშვიდებით გაუშვებთ, როგორღა იწამოს თქვენი სიყვარული, პასკალ, როგორ?! თუკი ეჭვი შეიპყრობს... ო, არც კი მინდა, ვიფიქრო, რა მოხდება!“

პასკალმა მხრები ზანტად აიჩეჩა; გული სტკიოდა, რომ მეგობრებს მისი არ ესმოდათ; არავინ იცოდა, რა ცეცხლი გიზგიზებდა მის გულში! სასოწარკვეთის ჭაობში ეფლობოდა, გიჟივით მიქროდა მარტოობისა და მიუსაფრობის უსასრულო ბილიკებზე; იცოდა, ვეღარასოდეს შეძლებდა უკან, ადამიანთა სამკვიდრებელში დაბრუნებას და უსაზღვრო სიხარულსაც კი განიცდიდა, როცა ფიქრობდა, სხვები სათანადოდ ვერ მაფასებენო.

„ანა დედამ შერისხა, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ახლა ანაც სტანჯავს, კიცხავს და აქილიკებს მშობელ დედას; ისევ ღვთისმოშიშია, თუმცა აღარ იცის, რას ელის უფალი მისგან; თუკი თქვენს რწმენასაც დაკარგავს და ეჭვის ჭია გულს გამოუჭამს, მაშ, ვისი იმედიღა უნდა ჰქონდეს, პასკალ? ვის შესთხოვოს მოწყალება?! ვინ მოევლინება მხსნელად?!

– ჩემს რწმენას არასოდეს დაკარგავს, არასოდეს! მისთვის დაეჭვების მიზეზი არასოდეს მიმიცია! – დამაჯერებლად მიუგო პასკალმა.

– მიუხედავად ამისა, ეჭვი მოსვენებას არ აძლევს; მრავალი წელია, ასე იტანჯება და გული ეფლითება; ამ გოლგოლთას ბოლო არ უჩანს; მხოლოდ თქვენს ხელთაა, დაარწმუნოთ, რომ შესაძლებელია ღმერთისა სწამდეს, მაგრამ საწუთროს მონაზონივით არ უნდა განეშოროს, თავისუფლებით დატკბეს და ცხოვრებით გაიხაროს; არც კი ვიცი, როგორი მომავალი ელის...

– ისე შეძრწუნებული ლაპარაკობთ, თითქოს ანა მიმეტოვებინოს! მან იცის, რომ მთელი გულით მიყვარს. დამშვიდდით, შანტალ!

– ძალიან კარგი“, – მიუგო მან და სხვა საკითხზე გადავიდა, მაგრამ ისევ შეწუხებული და აფორიაქებული ჩანდა; ზარის წკრიალი გაისმა; შანტალმა კარი გააღო; ოთახში ანა შემოვიდა; პასკალმა შვებით ამოისუნთქა.

გოგონა მიტკალივით გაფითრებულიყო, თუმცა მაინც მხიარული ჩანდა. „პასკალ, გონს მოვეგე! ძალიან მრცხვენია, გუშინწინ ასე საშინლად რომ მოგექეცით და საყვედურებით აგავსეთ; ყურებამდე ვწითლდები, როცა მახსენდება, როგორ თავპირჩამომტირალი ვიჯექი ლუქსემბურგის ბაღში, წაბლის ძირას“, – თითქმის უკმეხად უთხრა ანამ, ტუჩები ღიმილმა გაუპო და შესძახა: „საბრალო პასკალი, ისე დათრგუნვილი და სიქაგამოცლილი ჩანდა, როცა ერთმანეთს დავემშვიდობეთ!“ ანა დივანზე ჩამოჯდა; შანტალმა სიგარეტი გაუწოდა; იშვიათად ეწეოდა, მაგრამ მორჩილად გამოართვა.

„სირცხვილით ვიწვი, როცა ვფიქრობ, რომ ამდენი რამ მაქვს და მაინც ვბედავ წუწუნს!“ – დაიჩურჩულა მან და თავი პასკალისკენ მიაბრუნა: „ამ დილას ლიზას შევხვდი, პატარებთან მიიჩქაროდა გაკვეთილის ჩასატარებლად; როგორც კი თვალი შევავლე, თავზარი დამეცა; ვნატრობდი, მიწა იქვე გამსკდომოდა; სინდისის ქენჯნა ახლაც კი არ მასვენებს! ეს ღირსეული და მამაცი გოგონა თავის მძიმე ხვედრს ეგუება! მისი ცხოვრების დღეები მიყრუებულ, ბნელ პანსიონში ილევა, მაგრამ მის ბაგეს ჩუმი კვნესაც კი არასოდეს აღმოხდენია... სირცხვილით დავიწვი... მე ხომ ასეთი სისხლსავსე და მრავალფეროვანი ცხოვრებით ვტკბები?!“

ანა საკუთარ თავზე ასე თავისუფლად და ლაღად თითქმის არასოდეს საუბრობდა; ამ მოულოდნელმა ცვლილებამ პასკალს თავგზა აურია და შანტალიც კი ააფორიაქა; სამარისებური მდუმარება გამეფებულიყო; როგორც იქნა, გაოგნებულმა მასწავლებელმა წამოდგომა გაბედა, მეგობარს ჭიქა ხერესი დაუსხა და ჰკითხა: „როდის მიემგზავრებით?“

„ორშაბათს, თუმცა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შანტალ. დიდხანს ვიფიქრე, ყოველივე გულდასმით ავწონ-დავწონე

და მივხვდი, რომ ჩემს ბედნიერებას განშორება ვერას დააკლებს; გთხოვთ, დამიჯერეთ, ცხოველმყოფელ სიხარულს დროის მსახვრალი ხელი ვერ მოაშთობს; ამ ჭეშმარიტებამ ნათელი მოჰფინა ყოველივეს, რაც უწინ წყვდიადით იყო მოცული; თითქოს, უეცარმა ხილვამ, წამიერმა ზმანებამ გონება გამინათა და გული მასულდგმულებელი იმედით ამივსო.“

ანა მგზნებარედ, ავადმყოფური აღტყინებითაც კი ლაპარაკობდა; კმაყოფილმა პასკალმა თავაზიანი და ლმობიერი მზერა მიაპყრო და გაიფიქრა, სწორად მოვიქეცი, ეს ღირსეული ქალიშვილი რომ შევიყვარეო; ამ კეთილგონიერმა ყმაწვილმა ტრფიალების მარცვალი მართლაც ბარაქიან ნიადაგში ჩათესა! ანას არ სჩვეოდა დასაძრახი ეგოიზმი და ლაჩრული სისუსტე; ერთხანს აფორიაქებული იყო, ეჭვი გულს უღრღნიდა, მაგრამ ბოლოს პასკალს გაუგო.

„ვეცდები, აღდგომას ინგლისში გესტუმროთ. თქვენთან ერთად ლონდონის დათვალიერება ძალიან მესიამოვნება“, – უთხრა შანტალმა.

ანას ღიმილმა სახე გაუნათა და შესძახა: „ო, როგორ გამახარებთ, მეგობარო! იცით? მინდა, ამ მოგზაურობით ზღვარდაუდებლად დავტკბე. გთხოვთ, ლოდონურ მუზეუმებსა და თეატრებზე რამე მიამბოთ! მერედითის რომელიმე რომანსაც ვთარგმნი. ერთობ საინტერესო სამუშაო იქნება!

– მშვენიერი აზრია, მაგრამ რატომ მაინც და მაინც მერედითი? ჩემი აზრით, კაცობრიობას ძალიან ზედაპირული ნაწარმოებები დაუტოვა. ხომ არ აჯობებს, რომელიმე პოეტი თარგმნოთ? თუნდაც, სუინბერნი, ან ბრაუნინგი... ამ დიად მგოსნებს საფრანგეთში კარგად არ იცნობენ.

– წუხელ „ეგოისტს“ ხელმეორედ გადავიკითხე; პასკალ, მერწმუ-ნეთ, ამ დიდებულმა ნაწარმოებმა ისე მომნუსხა, თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად წავიკითხე; თითქოს, თვალი ამეხილა და ამ წიგნში ის საოცარი, ჯადოსნური, სრულიად ახალი სამყარო აღმოვაჩინე, რომელსაც ადრე ვერ ვამჩნევდი. ჰო, ნამდვილად ახალი სამყარო...“ – თქვა მან და ჭიქა ერთი მოსმით დაცალა.

„ევან ჰარვინგტონი წაგიკითხავთ?“ – ჰკითხა შანტალმა.

პასკალი კრიჭამეკრული იჯდა და მათ ყურს აღარ უგდებდა; რო-მანები არ უყვარდა; უხაროდა, რომ ანა ახლაც ისეთივე მგზნებარებითა და გაცხოველებით ლაპარაკობდა, როგორც ექვსი თვის წინ, როცა ასე მოხიბლა უსიტყვო ყმაწვილი, საამო ხმით მოჩურჩულე სირინოზივით აცდუნა და სიყვარულის საპყრობილეში დაატყვევა; ბედნიერი იყო, რომ გოგონა გონს მოეგო, თუმცა, ანაზდად, დარდი შემოაწვა, რადგან

მიხვდა, რომ ის ნამდვილად გაემგზავრებოდა ინგლისში და ამაო იყო ლიტერატურაზე საუბარი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ანამ მაჯის საათს დახედა და ამოიოხრა: „ჩემი წასვლის დროც მოსულა... მეგობარმა ფინჯან ჩაიზე დამპატიჟა. მართლაც სისხლსავსე და მომქანცველია ჩემი ცხოვრება, არა?

– მალე ყველაფერი შეიცვლება, ძვირფასო“, – უთხრა პასკალმა და ხელი ფაქიზად მოჰკიდა.

„უკვე შეიცვალა... საბედნიეროდ, დედამ მითხრა, უფლებას გაძლევ, კვირადღეს პასკალს დაემშვიდობოო“, – ღიმილით მიუგო ქალიშვილმა.

პასკალმა თავი უხმოდ დახარა; ვერ დაეჯერებინა, რომ მასთან შეხვედრა გულს აუჩუყებდა (უფრო სწორად, არც კი ეგონა, რომ ასე აღელვება შეეძლო).

„დაგირეკავთ და შეგატყობინებთ, სად და რომელ საათზე უნდა შევხვდეთ“, – უთხრა ანამ, ნაძალადევად გაიღიმა და შანტალს წინკარში გაჰყვა; რამდენიმე წამში კარის გაჯახუნების ხმა გაისმა.

„კარგა ხანია, ასეთი აღტყინებული ანა არ მინახავს! ისევ აღივსო სასიცოცხლო მგზნებარებით, თავი დააღწია გაუვალ, ბნელ ლაბირინთს, სამშვიდობოს გავიდა და ბრძოლა გამაოგნებელი გამარჯვებით დააგვირგვინა,“ – თქვა შანტალმა, როცა ოთახში შებრუნდა, მაგრამ რატომღაც, გულდამძიმებული და იმედგაცრუებული ჩანდა.

„მისი იმედი არ უნდა დავკარგოთ! ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებს! – დაამშვიდა პასკალმა.

– ალბათ, მოგზაურობა დიდად არგებს“, – თქვა შანტალმა შემრიგებლური ტონით და მის წინ ჩამოჯდა; საღამომდე გულთბილად, საოცარი სინაზით საუბრობდნენ ანაზე, მის საარაკო კეთილშობილებაზე, სიმამაცეზე, სათნოებასა და მომავალზე.

***

შაბათს, საღამოს ექვს საათზე, ანა დრიუფეების სახლის კარს მიადგა და ზარის ღილაკს თითი გამეტებით დააჭირა; მარსელის გარდა შინ არავინ იყო; გულგატეხილი ქალი მაგიდას მისჯდომოდა და მატროობაზე ლექსს წერდა; კარს მიუახლოვდა და შესძახა: „ვინ ბრძანდებით?!“ დენისის მოსვლისა ეშინოდა; როცა ყოფილი ქმრის სახე ფიქრთა ტალღებიდან ამოიზვირთებოდა, მუხლი ეკვეთებოდა და ჟრუანტელი უვლიდა.

„ანა ვინიონი ვარ,“ – უპასუხა უცნობმა ხმამ.

მოაგონდა, რომ ოდესღაც პასკალს ამ გოგონას სახელი ეხსენებინა;

კარი გააღო; მის წინაშე შავგვრემანი, თვალებანთებული, წითელ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი იდგა, მაგრამ რატომღაც, ქუდი არ ეხურა. გაოცებული მარსელი დაჟინებით დააცქერდა და თავაზიანად უთხრა: „შემობრძანდით, მადმუაზელ. ალბათ, ჩემი ძმის ნახვა გსურთ, არა? ახლა შინ არ გახლავთ, მაგრამ არ იდარდოთ, მალე დაბრუნდება.“

ანა არც კი განძრეულა; მის წინ გოროზად ასვეტილიყო და თვალმოუშორებლად, უნდობლად შესცქეროდა.

„თქვენ მისი და ბრძანდებით? – ჰკითხა ხმაგაბზარულმა.

– დიახ,“ – მიუგო გაოცებულმა მარსელმა.

ანას ხმადაბლა გაეცინა: „მაპატიეთ... ეს იმდენად... იმდენად მოულოდნელია...“ – ენის ბორძიკით თქვა მან, თავის თლილ თითებს ყურადღებით დააცქერდა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მარსელს ხელი გაუწოდა და უთხრა: „მოგესალმებით, მადამ!“ ახალგაზრდა ქალი სტუმარს მისაღებ ოთახში შეუძღვა, ხელი მსუბუქად ჰკრა და სთხოვა, დაბრძანდითო; სტუმარი შეძრწუნებული ჩანდა; ყოვლისმომცველი სიჩუმე ჩამოწვა; ანა ერთ ბუნდოვან, შორეულ წერტილს თვალს ვერ სწყვეტდა; მარსელმა ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და ჰკითხა:

„თქვენ შანტალ პლატარის მეგობარი ხართ, არა? როგორ არის? კარგა ხანია, არ მინახავს.“

ანას მზერამ ქალს ძარღვებში სისხლი გაუყინა და გააქვავა.

„ცხადია, პასკალის ღირსი არა ვარ... ჰო, არა ვარ... მის სიყვარულს არ ვიმსახურებ... თქვენი გულის მოგებას არც კი შევეცდები... არ ვაპირებ, ტრაბახით თავბრუ დაგახვიოთ, თუმცა, ბოროტი არა ვარ. ნუთუ მან გითხრათ, რომ ბოროტი ვარ? – ჰკითხა ანამ მოგუდული ხმით.

– პასკალს არც კი უხსენებიხართ,“ – გულცივად უპასუხა მარსელმა.

გაცხარებულმა გოგონამ შეუტია: „დარწმუნებული ვარ, ძალიან ცუდად მიცნობთ. ჩემი ნუ გეშინიათ; პასკალს არ წაგართმევთ; ასეთი რამ აზრადაც არასოდეს მომსვლია; გპირდებით, თქვენს სიყვარულს არასოდეს დავუშლი...“ – თქვა მან, ხელების სრესას მოჰყვა და დასძინა: „ინგლისში გამგზავრებას ნუ მაიძულებთ. ო, ეს შეუძლებელია! თქვენ ხომ ჩემთვის ცუდი არ გინდათ?! ნუთუ მხოლოდ იმას ნატრობთ, გავუბედურდე და თავბედი ვიწყევლო?! ასე ნუ გძულვართ, მადამ!“

მარსელს ვერ გაეგო, რას ერჩოდა ეს გოგონა; შიშმა უეცრად, თითქმის შეუმჩნევლად შეიპყრო; გაიფიქრა, ასეთი ავად ანთებული თვალები იმ ქალებს აქვთ, მეტოქის სახლში ქურდივით რომ შეიპარებიან, ხელჩანთიდან მჟავით სავსე ქილას ამოიღებენ და საბრალო მსხვერპლს უმოწყალოდ დაასახიჩრებენო.

„მხოლოდ ის გაღელვებთ, რომ პასკალს დაგაშორებთ?! გარწმუნებთ, თქვენ შორის არასოდეს ჩავდგები,“ – ფრთხილად უთხრა თავდაბალმა და წინდახედულმა მარსელმა.

აღელვებული ანა წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა; გალიაში გამომწყვდეულ ნადირს ჰგავდა; კედლებს აწყდებოდა. „მე შეგიყვარებთ... ალბათ, ოდესმე თქვენც შეგიყვარდებით...“ – თქვა მან და ცივი ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი გადაისვა: „მე ხომ ასეთი საბრალო არსება ვარ?! მისი ყურადღების ღირსიც კი არა ვარ. ჩემი ცხოვრების ამბავს მოგიყვებით, მაგრამ ვშიშობ, გაუთავებელი ლაქლაქით თავს შეგაწყენთ; მათ მითხრეს, კუბოს კარამდე მორწმუნე უნდა იყო და კაცთა მოდგმის მასულდგმულებელი იმედი არასოდეს დაკარგოო. ნუთუ ბედნიერების მოპოვების სურვილი ცოდვაა?!

– ცხადია, არა.“

ანას მშვიდი გამომეტყველება დაუბრუნდა, მოდუნდა, მარსელის სავარძელს უცერემონიოდ, ფამილარულად, თითქმის თავხედურადაც კი ჩამოეყრდნო და ბოროტად ასისინდა:

„ჩემი აზრით, ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს პატივს სცემენ, გულწრფელად საუბარიც უნდა შეეძლოთ...“

მარსელმა უკან დაიხია და მიუგო: „მართალი ხართ.“

ანა პატარა დივანზე ჩამოჯდა, მეტად დახვეწილი, არისტოკრატული ჟესტით კაბაზე ხელი დაისვა და ისეთი იერით განაგრძო საუბარი, თითქოს, გულში დამარხულ საიდუმლოს უმხელდა: „ხომ ხედავთ, რომ ჩემი საქმე ცუდადაა? დედა და პასკალი ერთმანეთს ვერ უგებენ; ძალიან ახალგაზრდები არიან და არ იციან, რა არის მთავარი ამქვეყნად!“ – თქვა შემწყნარებლური იერით.

მარსელი გრძნობდა, რომ უნდა ეპასუხა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა; ბნელ ოთახში ჯერ კიდევ დაფარფატებდა უჩინარი, გაუსაძლისი, საზარელი მუქარა, სულმოუთქმელად რომ ელოდა, როდის გამეფდებოდა მდუმარება, რათა ცეცხლივით აგიზგიზებულიყო და საბოლოოდ გაცხადებულიყო.

„ადრე თუ გვიან მიხვდებიან, რა არის მთავარი ამქვეყნად, – თითქოს, უნებურად თქვა მარსელმა.

– რა თქმა უნდა! ეს ხომ უბრალო ხაფანგია?!“ – შესძახა ანამ და თითქოს წამით, აუტანელი ღიმილი ტუჩებზე შეეყინა; სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. „გიჟია!“ – გაიფიქრა მარსელმა და რატომღაც დამშვიდდა.

ანამ თავი ხელებში ჩარგო და ლამის, დივანზე დაწვა; მარსელი უხმოდ შესცქეროდა და გრძნობდა, რომ საუბარი ამაო იყო; არ

უნდოდა, ტყუილუბრალოდ გარჯილიყო და თავაზიანი, მაგრამ გაცვეთილი ფრაზები ეფრქვია; ანა უეცრად წამოხტა და შესძახა: „რატომ მოვედი აქ?! ჰო, თქვენს სანახავად... დიახ, თქვენს სანახავად...“ – თქვა ენის ბორძიკით, ნერვიული სიცილი აუვარდა, ქალს ხელზე ხელი ჩაავლო და უთხრა: „ვიცოდი, რომ კარგი ადამიანი იყავით... ვიცოდი... ვიცოდი, რომ შემიბრალებდით“. მოულოდნელად კვლავ მდუმარების მორევში ჩაიძირა. საშინლად დაღლილი, ნატანჯი სახე ჰქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პასკალი შემოვიდა და ძალიან გაუკვირდა, ასეთი სახეშეშლილი და გულგანგმირული სატრფო რომ დაინახა. „მოხვედით?! მიხარია, რომ გხედავთ!“ – შესძახა გაოცებულმა ანამ, წამოდგა და თავი მდაბლად დაუკრა. ბავშვობაში უთხრეს, ზრდილი ქალიშვილი ყველას მოკრძალებული რევერანსით უნდა შეეგებოსო.

მარსელმა ძმას რაღაც ანიშნა, მაგრამ ის ვერაფერს მიხვდა.

„მე და მადმუაზელ ვინიონი უკვე მოვრიგდით! – ნაჩქარევად შესძახა მარსელმა.

– დიახ, პასკალ. თქვენ წინაშეა ჩემი საყვარელი მეგობარი, მარსელ დრიუფი!“ – ისეთი ღიმილით უთხრა ანამ, თითქოს ემუდარებოდა, ეს უღირსი საქციელი მაპატიეო და დასძინა: „თუმცა, ვშიშობ, თავი მოგაბეზრეთ.

– მადმუაზელ ვინიონი შინ წაიყვანე, პასკალ. ჩემს ქურთუკს ვათხოვებ, – უთხრა მარსელმა ძმას და გოგონას მიუბრუნდა: „მადმუაზელ, პასკალს წუთით ცალკე გავიყვან ორიოდ სიტყვის სათქმელად; გვაპატიეთ, გთხოვთ.

– რასაკვირველია! მიბრძანდით!“ – შეჰყვირა აღგზნებულმა ანამ.

ქალმა პასკალს ხელი ჩაავლო, ოთახისაკენ გააქანა, ყველაფერი სწრაფად უამბო და უთხრა: „ვერ გავიგე, რას ითხოვდა ჩემგან.

– ყველაფერს მოგიყვები,“ – მიუგო ძმამ და ხელი მოხვია; მისაღებ ოთახში შებრუნდნენ და პასკალმა ანას უთხრა: „ეს ქურთუკი ჩაიცვით, ჩემო პატარა ანა! დედათქვენთან წავიდეთ. მინდა, თქვენი თანდასწრებით ვესაუბრო.“

გოგონამ ქურთუკი მხრებზე მორჩილად მოისხა და მარსელს სერიოზული სახით უთხრა: „მშვიდობით, მადამ!“ როცა კიბეზე ჩადიოდნენ, ქალიშვილმა პასკალს შიშნარევი მზერა მიაპყრო და ხმაგაბზარულმა ჰკითხა: „ხომ არ მიბრაზდებით, პასკალ?

– არა. ყველაფერი რიგზეა, ანა. ნუ ღელავთ.

– ო, როგორ მტკივა თავი!“ – შესძახა გოგონამ, როცა ტაქსიში ჩასხდნენ, პასკალს მხარზე თავი ჩამოადო, და გაყუჩდა. თვალი

მხოლოდ მაშინ გაახილა, როცა სახლს მიუახლოვდნენ, თავი მისკენ მიაბრუნა და უთხრა: „არ მაკოცებთ, პასკალ? ჩემთვის არასოდეს გიკოცნიათ...“

პასკალმა გულში ჩაიკრა და მის ბავშვურ სახეს ბაგე კრძალვით შეახო; ჯოჯოხეთური ტკივილი მთელს სხეულს ულმობლად უფლეთდა; ეს გაუმხელელი ტანჯვა სულ არ ჰგავდა იმ სევდას, რომელსაც უკვე მიჩვეოდა კიდეც; ასეთი უცნაური შეგრძნება თავის დღეში არ განეცადა! ამ მწარე შხამს, ამ დაუნდობელ, გაუსაძლის და შეუცნობელ ძალას ვერ უმკლავდებოდა.

მადამ ვინიონმა ანა მაშინვე საწოლში ჩააწვინა და პასკალს უთხრა, უფლებას გაძლევთ, ჩემს ქალიშვილს ინგლისში გამგზავრებამდე დაემშვიდობოთო; ანა ბალიშებს იდაყვით დაეყრდნო, წამოიწია, პასკალის ხელს მგზნებარედ მოეგდაუჭა და დედას შეჰღაღადა: „პარიზში დარჩენის ნებას დამრთავთ? ინგლისში გამგზავრება არ მინდა!

– ნუ ღელავ, ჩემო ძვირფასო. ისე მოიქეცი, როგორც გსურს,“ – დაამშვიდა მადამ ვინიონმა.

ანამ დედას შეხედა და დაიჩურჩულა: „სადარდებელი გაგიჩინეთ“; მოდუნდა, სახე ჩაუქრა და შეჰყვირა: „სიყვარულის სარეველა გულიდან უნდა ამოვიძირკვო, გესმით?! ყველა უნდა გადავიყვარო, ყველა!“; საშინლად გაფითრდა, თავი უღონოდ გადაუვარდა და ნიკაპი აუცახცახდა; სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა; პასკალი შეაძრწუნა მისმა უმეტყველო მზერამ და საშინელმა გამომეტყველებამ; მხარზე სათუთად შეეხო და უთხრა: „უკვე დანიშნულები ვართ, ანა. ვერავითარი ძალა ვეღარ გაგვყრის. დედათქვენს თქვენი ხელი ვთხოვე და მითხრა, ჩემი ქალიშვილის შერთვის ნებას გრთავთო.

– უკვე ყოველივე ამაოა...“ – მიუგო ხმაწართმეულმა ანამ.

***

ანას სიკვდილმა ყველა შეძრა; სანამ მის ცხედარს უზერშის მიწას მიაბარებდნენ, სულის შემხუთავ სამლოცველოში დაასვენეს. სანთელივით გაყვითლებული სახე ჩამოდნობოდა; ოდესღაც სისხლსავსე გოგონა ჩონჩხს დამსგავსებოდა; მის სხეულს ჯერ კიდევ ეტყობოდა ახალჩამქრალი სიცოცხლის ნიშანწყალი, კუბოს ბალიშზე დაფენილიყო მისი ფოთოლივით ერთიანად დამჭკნარი, თითქოს მკვდარ კანში ფესვგადგმული სათუთი, ჩალასავით გამხმარი, მაგრამ რაღაცნაირად მაინც ცოცხალი გრძელი, შავი თმა, რომლის ოდინდელი ბრწყინვალება, სიდიადე და დამატყვევებელი სილამაზე სადღაც გამქრალიყო.

პასკალმა თვალებზე ხელი აიფარა; ქუთუთოები ტყვიასავით დამძიმებოდა; არ სურდა დაენახა სანთლებსა და შემოდგომის ყვავილებში ჩაფლული, საშინლად დასუსტებული, ჩამოღვენთილი, თითქმის გალეული სხეული; ანას სულ არ ჰგავდა ეს უსულო, თითქოს, ფიტულად ქცეული ცხედარი, ეს გონჯი ხორციელი სამოსი; გულმოკლული მიჯნური ნატრობდა, ამ ზეციური ქმნილებისთვის იდუმალების საბურველი შემოეძარცვა და მისი დიადი ჭეშმარიტება შეეცნო; ანას ბრწყინვალე ხატება თავის გულში უნდა ეპოვა; „ალბათ, მარადისობა მის ხატებასაც შეცვლის და სამუდამო დაღს დაასვამს,“ – დაიჩურჩულა მან; ანას მარადისობაში დაევანებინა; მისი სპეტაკი სული ზეცად ამაღლებულიყო და შორეულ საუფლოში გარდასულიყო; პასკალი აცახცახდა; თვალწინ ედგა მისი სახე; სხივმოსილმა მოგონებამ წამით გაიელვა; „არ მაკოცებთ, პასკალ?“ – ღიმმორევით შეეკითხა განსვენებული; რაღაც საზარელი მუქარა იმალებოდა ამ ლამაზი ღიმილის მიღმა, რომელიც მთელი კვირის მანძილზე არ ასვენებდა და სამარადისოდ ნუსხავდა; აკიატებულ, მტანჯველ ფიქრებს ვეღარ უმკლავდებოდა; ანას უკანასკნელ სიტყვებთან, ამ ძალმოსილ ქალღმერთებთან შერკინება გულში არც კი უნდა გაევლო; რაწამს ქალიშვილის ბაგეს ეს ულმობელი განაჩენი მოსწყდა, პასკალის გონება საუკუნოდ დაატყვევა; მის დავიწყებას კუბოს კარამდე ვერ შეძლებდა და სულ მალე ცხოვრება გაუსაძლის ტანჯვა-ვაებად ექცეოდა; გრძნობდა, რომ ჯოჯოხეთური წამება ელოდა; მისი გოდება ცას და მიწას შეძრავდა; შიშს უბრძოლველად უნდა დანებებოდა; ეს პირსისხლიანი ნადირი გულს უმოწყალოდ დაუფლეთდა და ყელს მეყვსეულად გამოუშრობდა, მაგრამ ერთხელაც კი არ დაიკვნესებდა; მზად იყო, ტკივილიც კი აეტანა, ოღონდ აღარაფერზე ეფიქრა! წელში გაიმართა; საბედისწერო საღამო იდგა; ამ იდუმალი წამების, ამ ეჭვების დათმენა აღარ შეეძლო; იარებით დაღარული მისი გულის შესაბრალისი კვნესა, თითქოს, ცხად ფიქრად იქცა და ბასრ კლანჭებს დაუნდობლად ასობდა; გაწბილების, საშინელი უმწეობისა და სიმწრის ბალღამი ისედაც გავარვარებულ ყელს კიდევ უფრო ულმობლად უდაღავდა; დიადი მისნის დარად, იდუმალი შელოცვის წყალობით უნდა მოეშთო ეს შემზარავი ხატება, თორემ სადაც იყო, თვალისმომჭრელ სიმართლეს დაინახავდა; ეშინოდა, ძალიან ეშინოდა. „ანა, ჩემო ძვირფასო, ვეღარასოდეს ვიხილავ თქვენს მშვენიერ სახეს,“ – დაიჩურჩულა მან; გოგონა მთელი გულით უყვარდა; უყვარდა, რადგან მკვდარი იყო; ისევ სულისშემძვრელი გმინვა აღმოხდა; მიწიერი სიმდაბლისგან

განწმენდილი, თითქოსდა, სპეტაკ, დაუამებელ, თუმცა, დიადი ტანჯვის მორევში შთანთქმულიყო; ყოველგვარი საფრთხე საავდრო ღრუბელივით გაფანტულიყო; გულგანგმირულმა ახალგაზრდამ გულში ნაგვიანევი აღსარება წარმოთქვა:

„ანა, ვიცი, ჩემგან არ ელით ამაო, უნაყოფო სინანულით აღსავსე გაცვეთილ სიტყვებს; ჩემო მიჯნურო, ალბათ, იმაზე ფიქრიც კი არ გინდათ, რომ შეიძლება, თქვენმა სიკვდილმა დაგვაშოროს, ჩვენი წმიდათაწმიდა სიყვარული დილის ნამივით გააქროს, სულიერად დაგვცეს და დაგვაკნინოს; მჯერა, მხოლოდ იმას ნატრობთ, ეს მოუშუშებელი იარა შინაგანი სიმდიდრის უშრეტ წყაროდ გვექცეს; გსურდათ, ჩვენთვის უდიდესი საიდუმლო გაგენდოთ, მაგრამ საუბედუროდ, არ დაგცალდათ; ხმა ვერ მოგვაწვდინეთ; ახლა კი გოროზი იერით გვიბრძანებთ, რომ ყური დაგიგდოთ; რაწამს თქვენი სიტყვები ჩვენს ყურთასმენას მოსწვდება, სასწაულებრივად აღსრულდება თქვენი დიადი ბედისწერა; უფრო სწორად, ჩვენ აღვასრულებთ; ეს ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია; ნეტავ, იცოდეთ, როგორ მიმძიმს, ო, როგორ მიმძიმს, ჩემო სულზე უტკბესო სატრფოვ, უარი ვთქვა იმ ცხოველმყოფელ სიხარულსა და ბედნიერებაზე, რომლითაც დღემდე მასულდგმულებდით! იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ თქვენი ცქერით ვეღარ დავტკბები; მარტო ვარ, ანა, სულ მარტო; სიკვდილამდე ეულად შთენილი; არ ვიცი, ვის შევჩივლო; შემწე-მფარველი არავინ მყავს; რად გამიმეტეთ საუკუნო მარტოობისთვის?! რად გამწირეთ ასე ხელაღებით?! რატომ დამსაჯეთ ასე უმოწყალოდ?! როგორ შევძლო, გავხდე თქვენი სიყვარულის ღირსი, როცა ასე შორსა ვარ თქვენგან?! ო, ჩემო კაშკაშა ვარკვლავო, ვერასოდეს მოგწვდებით!“

უეცრად, გულამოსკვნილი ქვითინი შემოესმა; თავი ასწია; მის გვერდით შანტალი იდგა და ცრემლად იღვრებოდა; ყმაწვილს ტირილი არ შეეძლო; თითქოს, ცრემლი გაშრობოდა. თეთრად გათენებულ ღამეებს, გულისგადამლევ, უიმედო მოლოდინს, უსასრულო, მტანჯველ წუთებსა და თავზარდამცემ, გულის მომკვლელ ტრაგედიას სულიერად გაეტეხა; ო, რა უსაშველოდ გაიწელა ყოველი წამი, როცა ანა სიკვდილს ებრძოდა! არავინ იცოდა, როდის აღმოხდებოდა უკანასკნელი ამოსუნთქვა სასიკვდილო სარეცელზე მწოლს... გულგამეხებული პასკალი ტკივილსაც კი ვეღარ გრძნობდა; ნუთუ რაწამს ადამიანი თავს სამუდამოდ დაკარგავს, ზეციური სიმშვიდით აღივსება და სამყაროს უშფოთველად, ბრძნული იერით დააცქერდება?! იქნებ, სწორედ ამას ეუბნებოდა ანა?! ამ

ტანჯვას ვეღარ გაუძლებდა; მოთმინების ფიალა აევსო; თვალებზე აფარებული ხელები მოიშორა და გოგონას სახეს დააცქერდა. ექიმები ამბობდნენ, ენცეფალიტმა შეიწირაო, მაგრამ უსულგულო მკურნალებისა არ სჯეროდა; ამ ლაღ და სიცოცხლით სავსე ქალიშვილს ეს ვერაგი სენი ასე მოულოდნელად არ შეეყრებოდა; იქნებ, სიმსივნით იტანჯებოდა?!... იქნებ, მისი დღეები დათვლილი იყო?... ყოველთვის იცოდა, რომ ამ ანგელოზს დიდი დღე არ ეწერა და მისი მზე მალე ჩაესვენებოდა; თურმე, ბოლო დროს, ეს საოცრად მგრძნობიარე არსება ასეთი ავადმყოფური აღგზნებით იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ფარული დაავადება ნელ-ნელა ჭამდა; მარსელი თავზარდაცემული იყო; დრიუფებმა (მარგერიტმაც კი!) იგრძნეს, რომ სიკვდილი მას თავის საუფლოში წაიყვანდა; იქნებ, სიკვდილის გარდა, სხვა ვერავითარი ძალა ვერ შემოსავდა ანას ამგვარი ზეციური ბრწყინვალებითა და უკვდავმყოფელი შარავანდედით?! პასკალს ეს სამარადჟამო არარადქცევა არნახულ, საოცარ ოინად ესახებოდა, იმ უდიდესი სიყვარულის ოინად, რომელსაც დედამიწა ეპატარავებოდა; წმინდა გრძნობამ ცოდვილ მიწაზე თავშესაფარი ვერ ჰპოვა და ზეცად ამაღლდა; ტანჯულმა ყმაწვილმა თავი ჩაქინდრა; მის სულში უჩვეულო, აუმღვრევლმა სიმშვიდემ დაისადგურა. „როგორ გავბედავ საკუთარი თავის დატირებას?! განა შეიძლება, თქვენ დაგიტიროთ, ანა, ღიმილით სახეგაცისკროვნებულო გოგონავ?! შემაძრწუნებელი, საარაკო სიმამაცის წყალობით იხსენით საკუთარი სული ბილწი მიწიერების კლანჭებიდან და სასუფეველი დაიმკვიდრეთ; სიკვდილის მდინარეში გულუშიშრად, ღიმმორევით შეაბიჯეთ; წამითაც კი არ შემდრკალხართ; თქვენი გული შიშს არ შეუპყრია.“ – დაიჩურჩულა მან; უეცრად ეზიარა იმ უდიდეს საიდუმლოს, რომლის სიტყვებით გამოსახატავადაც უძლური იყო მოკვდავთა მწირი ენა: ანამ სიკვდილში ჰპოვა ცხოვრების აზრი; ეს ნორჩი სიცოცხლე დღედაღამ სამუდამოდ გაქრობას ესწრაფვოდა და თვალს ვერ სწყვეტდა სიკვდილის სამეფოს; სიცოცხლე სიკვდილით სრულდება, სიკვდილი კი სიცოცხლის წყაროა; მიწას ზეციური წყევლა-კრულვის ნიაღვარი თავს არ დასტყდომია; გულმოწყალე და კაცთმოყვარე უფალს ადამის მოდგმა არ შეურისხავს... პასკალი აქვითინდა; ანას სხივმოსილ სულს სამარადისოდ დაევანებინა მის არსებაში და კუბოს კარამდე აღავსებდა რწმენით, ღვთაებრივი, უღრუბლო სიმშვიდითა და თვალთუხილავი სიმდიდრით; პასკალი გატაცებით ეტრფოდა უკიდეგანო ქვეყნიერებას, მსწრაფლწარმავალ სიცოცხლეს, საამურ წუთისოფელს და თავდავიწყებით ინთქმებოდა

მის შლეგ მდინარებაში; უეცრად, საოცნებო სამყაროს დახშული კარიბჭე შეაღო და ისეთი მშვენიერება დაისაკუთრა, არასოდეს რომ არ ღირსებია მისი ხილვა ადამიანის თვალს.

ანას კუბოს სულ რამდენიმე ადამიანი მიაცილებდა უზერშის სასაფლაოსკენ მიმავალ მოყინულ გზაზე, თუმცა, მადამ ვინიონმა მეგობრებისა და ნათესავების გულთბილ წერილებში ჰპოვა ნუგეში; ვინიონების სახლი სამძიმრის ბარათებით აივსო; დამწუხრებული ხალხი ერთობ ამაღელვებელი და მაღალფარდოვანი ფრაზებით ასხამდა ხოტბას ნაადრევად გარდაცვლილი გოგონას ძალზე იშვიათ სათნოებასა და კეთილშობილებას; „ეს მშვენიერი ღვთისმოსავი ჩრდილში არ უნდა დარჩეს. მისი წმინდა სახე ზეციური შარავანდედით უნდა გასხივოსნდეს. უფალმა ხომ კაცთა მოდგმას უბრძანა, ნუ დადგამთ სანთელს ხვიმირის ქვეშო?!“ – ფიქრობდა მგლოვიარე დედა; თავს მოუყრიდა რამდენიმე ნაწყვეტს ანას დღიურიდან, რჩეულ ლოცვებს და გამოსცემდა პატარა, მეტად უბრალო მემენტოს, რომელსაც ამ ცხონებული გოგონას ლამაზი პორტრეტით დაამშვენებდა; პაწაწინა ბროშურის წყალობით ღვთისნიერი მადამ ვინიონი ახალგაზრდებს დამოძღვრავდა და საბოლოოდ შეაგნებინებდა, რომ ერთადერთი ფასდაუდებელი საუნჯე სულიერებაა; გონებანათელ ქალს არ მობეზრდებოდა ეს ბრძნული შეგონებანი, რამეთუ კაცობიობა სულის წაწყმედისგან უნდა ეხსნა; საწერ მაგიდას მიუჯდა; რამდენიმე დღის წინ გადაშალა შვილის ჩანაწერები, მაგრამ ერთი წინადადების წაკითხვაც კი ვერ შეძლო, რადგან ძალღონე გამოეცალა და თავბრუ დაეხვა; ო, რა საშინელი ტანჯვა ელოდა! შავ რვეულებს, პასკალისა და შანტალის წერილებს ხელი დაავლო და ღმერთს შეევედრა, შემიბრალეთ, თქვენი ძლიერი ხელი გამომიწოდეთ და დამეხმარეთ გოლგოთის გავლაშიო.

მაგიდაზე სურათები მიმოფანტულიყო; ერთ-ერთი აიღო, დახედა და გაუსაძლისმა ტკივილმა მთელი სხეული ისე დაუნდობლად დაუშანთა, მყისვე თვალები დახუჭა. ღმერთო, განა, აუცილებელი იყო, შვილი ასე უმოწყალოდ დამეტანჯა? რატომ მიბრძანეთ, ჩემივე ხელით მომესწრაფებინა მისთვის სიცოცხლე?! ო, ნეტავ მცოდნოდა, რომ ავად იყო... ქალმა ამოიგმინა და თავი ასწია. შეუცნობელია გზანი უფლისანი. კიდევ ერთ ფოტოს დახედა; ო, როგორ სძულდა ანას სურათების გადაღება, ფოტოაპარატის წინ გაუთავებლად პოზიორობა და საზარელი მანჭვა-გრეხა! დაინახა ანას თხელი კაბით შემოსილი, ჩამოქნილი ბიუსტი, წარსულის ოკეანის ბობოქარ, ცივ ზვირთებში დავანებული, თითქოს, მარადისობაში გაყინული

ღიმილი და უმეტყველო თვალები... სურდა, გაედიდებინა ეს უნებურად გადაღებული ფოტოები, ჯადოსნური სილამაზით რომ ბრწყინავდა. ქალმა სურათები გადადო და ფანქარი მოიმარჯვა, რათა ანას დღიურში მემენტოში შესატანი მონაკვეთები მოენიშნა.

როგორც კი კითხვას შეუდგა, თითქოს ყელში ბურთი გაეჩხირა, ცრემლები წამოსცვივდა; თურმე, ანას დედა მთელი გულით ჰყვარებოდა! ხშირად ეურჩებოდა, რადგან არ შეეძლო, უდრტვინველად დამორჩილებოდა; სასიცოცხლო მგზნებარებით აღსავსე გოგონასთვის სრულიად უცხო იყო მონურად ქედის მოხრა; უსაშველო ტანჯვა-წამების ფასად ეგუებოდა იმ ერთფეროვან, უსახურ ცხოვრებას, რომელიც უმოწყალო სასჯელად მოვლენოდა; ამ მძიმე ჯვრის ზიდვა ძალიან უჭირდა და სულ სხვაგვარ ყოფაზე ოცნებობდა; უფალო, არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, რა მეღონა! თავგზაარეული ვიყავი! ვაი რომ იმან, რამაც სხვებს არგო, ჩემს ქალიშვილს მზე დაუბნელა! თქვენი მორჩილი და სიყვარულით გულსავსე მხევალი ვარ; თქვენ მომაბარეთ ანა, ეს სულმნათი წმინდანი და მიბრძანეთ, მის სულზე მეზრუნა; კარგად იცით, ისე ვიქცეოდი, როგორც სინდისი მკარნახობდა; მუდამ ჩემს გულისთქმას ვუგდებდი ყურს; გონება არ გამინათეთ, ისიც კი არ მითხარით, შენი ქალიშვილი იტანჯებაო, რამეთუ ეს საშინელი განსაცდელი, ეს უდიდესი მსხვერპლშეწირვა, მისი დიდების, უფრო სწორად, თქვენი დიდების საწინდარი იყო, კაცთმოყვარე უფალო! მისმა სიკვდილმა, ამ უდიდესმა მსხვერპლშეწირვამ, კიდევ უფრო გასაოცარი ბრწყინვალება შეგმატათ; ერთხელ შეგევედრეთ, ხელი მაგრად ჩამკიდეთ, უსახურ ნივთად მაქციეთ და ნება მომეცით, თქვენი წმიდათაწმიდა განგება აღვასრულო-მეთქი! ეს სანუკვარი გულისწადილი ავიხდინე! მხოლოდ თქვენს ნებას ვემორჩილებოდი.

მადამ ვინიონმა ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა და კითხვა განაგრძო. ანა ნამდვილად გამორჩეული ადამიანი იყო; ამ უსახურ ბრბოზე ამაღლებულ არსებას უფალმა იმისთვის როდი აჩუქა სიცოცხლე, რომ გულდამშვიდებით გაჰყოლოდა ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებული ზეცისკენ მიმავალ ია-ვარდით მოფენილ გზას და უბრძოლველად დაემკვიდრებინა სასუფეველი! კაციობრიობის მხსნელმა მისი სული ატარა უცნობ, შიშის მომგვრელ, ეკალ-ბარდით მოსილ ციცაბო ბილიკებზე და მრავალი ტანჯვა-ვაება შეახვედრა, რათა გამობრძმედილიყო, ღვთაებრივ სიბრძნეს ზიარებოდა და უკიდეგანო ზეციურ საუფლოში დაევანებინა; რამდენიმე წლის წინ უფალმა კიდევ ერთი განსაცდელი მოუვლინა – ეჭვი! ეს ყორანი დღედაღამ გულს უკორტნიდა და ჯოჯოხეთურად

აწამებდა, თუმცა შეუდრეკელი გოგონა არასოდეს შეუპყრია ურწმუ-ნობის მომაკვდინებელ სენს და დაუღალავად ებრძოდა ათეიზმის ურჩხულს; ფარ-ხმალი არ დაუყრია, ბრძოლის ველზე ერთხელაც კი არ დაცემულა, ეშმაკის საცდურს არ დაუძლევია, მაგრამ როცა გულ-მხურვალედ ლოცულობდა და უფალს სამარადჟამო ერთგულებას ეფიცებოდა, რატომღაც, სასოწარკვეთილი და აფორიაქებული ჩანდა. ეზიარებოდა, მარხულობდა და მოძღვარს აღსარებას ეუბნებოდა, მაგრამ ეს უნუგეშო, სულგამწარებული არსება, თითქოს, განწირული იყო. მადამ ვინიონს ფანქარი მოემარჯვებინა, მაგრამ დღიურში ერთი სიტყვაც კი არ გაუხაზავს; ამ ნაწყვეტებს მემენტოში ვერ ჩაწერდა; ქვეყანას ხომ არ მოსდებდა, რომ ანა გააფთრებით ებრძოდა ცდუნების დემონს?! ღმერთს შეჰფიცა, ამ ამაღელვებელ, სულისშემძვრელ საიდუმლოს საფლავში ჩავიტანო; ამ განსაცდელსაც არნახული შეუპოვრობისა და სიმამაცის წყალობით გაუძლო გოგონამ; მისი რწმენა კიდევ უფრო გაძლიერდა და მის სათნო გულში მინავლული ღვთაებრივი ცეცხლი კვლავ საოცარი ძალით აგიზგიზდა, მაგრამ, საუბედუროდ, ოდინდელი ნეტარი სიმშვიდე ვერა და ვერ ჰპოვა; ზოგჯერ, თავგზას ურევდა მტანჯველი ფიქრები და თითქოს გაუვალ ლაბირინთში იკარგებოდა; ძალიან ახალგაზრდა და ნორჩი იყო, თითქმის, ბავშვი; ღმერთი სულ მალე გონებას გაუნათებდა და უდიდეს ზეციურ საიდუმლოს გაუმხელდა, რადგან ქედმაღლობა და გულზვიადობა არ სჩვეოდა ამ სპეტაკ ადამიანს და ჭეშმარიტებას დაუღალავად დაეძებდა... მადამ ვინიონს ჯერ კიდევ ვერ ეპოვა მემენტოში შესატანი სიტყვები. შეუძლებელი იყო, ამ პატარა ბროშურის წყალობით ეგრძნო ხალხს, რა შემზარავი სულიერი კრიზისი სტანჯავდა ანას და რა სირთულეების გადალახვა მოუხდა... ხაფანგში მოყოლილ, უმწეოდ აფრთხიალებულ ჩიტს დამსგავსებოდა; ზოგჯერ შეძრწუნებული აყვირდებოდა, მის სულში მრისხანების, ურჩობისა და აჯანყების მტევნები მომწიფდებოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გული სასოებითა და ღვთის ცხოველმყოფელი რწმენით ჰქონდა სავსე! განკაცებულ მესიას ეთაყვანებოდა და უმწეოთა, დამაშვრალთა, გლახაკთა და უპოვარ-უქონელთა თანამდგომის, ცოდვილ სულთა მხსნელის უგონო სიყვარულს მთელი მისი არსება მოეცვა. მადამ ვინიონმა საოცარი სიტყვებით სავსე ერთი გვერდი ფანქრით მონიშნა. „უფალო, ჩემი სიცოცხლე თქვენთვის მომინდია! გევედრებით, სულის წაწყმედისაგან მიხსენით, ხელი ჩამკიდეთ და აღარასოდეს გამიშვათ! თქვენს ნებას უსიტყვოდ დავემორჩილები“. თურმე, ბოლო ხანს მისი კალმიდან ეს ბრწყინვალე სიტყვები

იღვრებოდა: თავდავიწყება, უფლის მორჩილება, ბედთან შერიგება, ქედმოხრილობა, სიმშვიდე... დღიურის ფურცლებზე ღვთის სიყვარული ტალღებად მოჩქეფდა. ანამ სიკვდილსაც კი ჩახედა თვალებში! დიახ, ამ ურჩხულს ისე მედგრად დაუხვდა, წუთითაც კი არ შემდრკალა! ქრისტიანული თავმდაბლობით აღივსო, ღვთის შეუცნობელი განგების წინაშე ქედი მოიხარა და არარას მორევში დაინთქა; სიკვდილი მისი ბედისწერა იყო; აგვისტოში დაუწერია: „რომ მითხრან, ამ საღამოს მოკვდებიო, გული არც კი მეტკინება. ამ ულმობელ განაჩენს წარბშეუხრელად, სიხარულითაც კი დავემორჩილები; ჩუმი კვნესა, სინანულით სავსე ჩურჩულიც კი არ აღმოხდება ჩემს ბაგეს.“ მადამ ვინიონმა ეს დიდებული მონაკვეთი გახაზა; სწორედ ამ წინადადებით დაამშვენებდა მემენტოს სურათს. შუა ოქტომბერში გოგონას ასეთი რამ ჩაუწერია: „ოდესღაც სიკვდილს ვნტრობდი; საოცარ ნეტარებას განვიცდიდი, როცა ვფიქრობდი, რომ მალე სული ამომხდებოდა, ახლა კი სიცოცხლეს მთელი ძალით ვებღაუჭები... ეს ცოდვილი მიწა ვერა და ვერ დავუტევე... ამქვეყნიურ სიამეს ვერ შეველიე...“ მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანი იყო; ყველაზე დიდი წმინდანები ხომ სწორედ ადამიანები არიან?! ზოგჯერ ანას უფლის ცხოველმყოფელი მადლი ზეციურ ფრთებს შეასხამდა და იმ შორეული, მიუწვდომელი და ცადაზიდული მწვერვალებისკენ წარიტაცებდა, სადაც ადამის მოდგმას ფეხი არასოდეს დაედგა; ყველას ამცნობდა, რომ მისი გოგონას ლეგენდარულ ცხოვრებაში დგებოდა ამგვარი ზეციური აღმაფრენით სავსე წუთები; მთელ ქვეყანას მოსდებდა მისი დაუჯერებელი გმირობის ამბავს და ყველას ეტყოდა, მიბაძეთ ამ ღვთისმოსავ გოგონასო.

„ანა, ჩემო პატარა წმინდანო, ჩემო ანგელოზო, ილოცე ჩემი ცოდვილი სულისთვის; შემიბრალე მე საბრალო; დახმარების ხელი გმომიწოდე; ამ ტკივილს ვეღარ ვუძლებ; უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ ღვთის ნება იყო, უმოწყალო ჯალათად ვქცეულიყავი და ჩემივე ხელით მომესწრაფებინა შენთვის სიცოცხლე! მე მხოლოდ ჩვენი მაცხოვრის ნებას ვემორჩილებოდი; როგორც შენს დღიურში ჩაწერე, ჩემს ბაგეს ჩუმი კვნესა, სინანულით სავსე ჩურჩულიც კი არ უნდა აღმოხდეს! დამეხმარე, ჩემო წმინდანო! მარტვილივით გაწამე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სულის წაწყმედისგან გიხსენი!“ – დაიჩურჩულა მადამ ვინიონმა, მუხლი მოიყარა, მაგიდას შუბლით მიეყრდნო და გაირინდა, მერე კი პირქვე დაემხო; დიდხანს, ძალიან დიდხანს განრთხმულიყო დიდების უკვდავმყოფელი შარავანდედით გაცისკროვნებული თავისი ქალიშვილის ფერხთით.

პასკალმა და შანტალმა ანას უკანასკნელ გზაზე გაცილება ვერ შეძლეს, მაგრამ როგორც კი საშობაო არდადეგები დაიწყო, უზერშში გამგზავრება გადაწყვიტეს; სურდათ მეგობრის მშობლიურ მხარეში რწმენით გულანთებული პილიგრიმებივით ეხეტიალათ და მისი საფლავი წმიდათაწმიდა ადგილივით მოელოცათ. როცა მატარებელი ანას ყოფილი სავანისკენ მიაქროლებდათ, შანტალი მტრულად უმზერდა პასკალს. ძაძით მოსილი ყმაწვილი სვეგამწარებულ, უნუგეშო ქვრივს დამსგვსებოდა; მშვენიერ სახეზე ისეთი ფატალური იერი დადებოდა, თითქოს, სულ მალე რაღაც გარდაუვალი საშინელება უნდა მომხდარიყო; დარდსა და ჭმუნვა-ურვას დამატყვევებელი და მაცდური სილამაზით შეემოსა; შანტალს ბოღმა ახრჩობდა, რადგან ანას სიცოცხლეში პასკალმა მისი შეყვარება ვერ შეძლო, მაგრამ როგორც კი სევდიანმა ქალიშვილმა სიკვდილის სამეფოში შეაბიჯა, გულზვიადმა ყმაწვილმა გადაწყვიტა, მის მფარველ ანგელოზად, იმ ერთადერთ ადამიანად ქცეულიყო, რომელიც მის ნათელ ხსოვნას კუბოს კარამდე შეურყვნელად შეინახავდა. „ახლა ანას მისტირის, მაგრამ ოდესმე ცოლს შეირთავს და დატკბება მშვიდი, ოჯახური ცხოვრებით," – გაიფიქრა შანტალმა. გაუსაძლისი ტკივილით, მწარე სინანულითა და ამაო თანაგრძნობით გულგანგმირული მეგობრები მგლოვიარე პასკალს შორიდან, მალულად უმზერდნენ; თავჩაქინდრული დედა და ანას დები ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, კრძალვით ელაპარაკებოდნენ და დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ; არასოდეს სცმია ცვილით ასე უნაკლოდ გაპრიალებული ფეხსაცმელი და თოვლივით ქათქათა პერანგი.

„როგორი სასტიკი, გულქვა და უხეში გავხდი..." – გაიფიქრა სიამაყით აღსავსე შანტალმა და ამოიოხრა. გრძნობდა, რომ მალე დაუნდობელ, ენამწარე ცინიკოსად იქცეოდა. სადღაც მიაქროლებდა გულცივობისა და სიძულვილის ქარიშხალი; ანას სიკვდილმა ამ ამაზრზენ, უსულგულო სამყაროს სიცრუისა და ოცნებების მშვენიერი საბურველი შემოაძარცვა და მისი გულსაზარი სიმახინჯე თვალნათლივ გამოაჩინა; შანტალის მგზნებარება უკვალოდ გამქრალიყო; ეს ნეტარების წყაროც კი დაშრეტოდა; საოცარი სიმშვიდითა და ცოდნის ნათლით გასხივოსნებული, მაგრამ მაინც ბალღამივით მწარე სინანულის წყალობითღა ებრძოდა მსახვრალ ბედს, მუხანათ საწუთროსა და ამქვეყნიურ ქაოსს; სარკაზმის სამსალით გაჟღენთილი ახალგაზრდა მასწავლებელი გრძნობდა, რომ პასკალი და მადამ ვინიონი ანას ხსოვნას უდიერად ეპყრობოდნენ, დიდსულოვანი გოგონას სხივმოსილ სახელს ლაფში თხვრიდნენ,

მის სიკვდილს შეგუებულები ცდილობდნენ, ანას ნამდვილი სახე დავიწყებისა და სიცრუის ოკეანეში შთაენთქათ, შანტალი კი მეგობრის საუკუნო იავარქმნას ვერასოდეს შეეგუებოდა; მის ჭეშმარიტ ხატებას კუბოს კარამდე უერთგულებდა; მის გარდა არავინ იცოდა, როგორი იყო ანა სინამდვილეში; მისი სპეტაკი ხსოვნის შებღალვის ნებას არავის მისცემდა! იცოდა, ანას სიკვდილი მტრად მოევლინა; ამ სისხლისმსმელმა ნადირმა ბასრი ეშვები დაუნდობლად ჩაასო, მზე დაუბნელა და გაუვალი ჯურღმულისკენ გააქანა; საფიცარი დობილის ხსნას ვეღარასოდეს შეძლებდა; გული საშინლად სტკიოდა, რადგან გოგონას ისე ამოხდა სული და არარად იქცა, თითქოს, ამქვეყნად არც კი არსებულიყო; ამ ლაღ, მაგრამ მაინც სევდიან ქერუბიმს არ დასცალდა სიცოცხლით ტკბობა; რა გაუგონარი, საშინელი სისასტიკე იყო! სიკვდილის საზარელმა ცელმა დაუნანებლად მოცელა და მოაშთო ეს ფაქიზი ყვავილი; არავინ ცდილა სიკვდილის კლანჭებში ტყვედქმნილი ამ უმწეო არსების გადარჩენას; მისი ბედი მშობელ დედასაც კი არ ადარდებდა; ყველა აიძულებდა, ყოფილიყო რწმენით გულანთებული, ღვთისმოსავი და იდუმალებით მოცული ქალიშვილი, მის გულში დამარხული მწველი სურვილები და ოცნებები კი არავის ანაღვლებდა; მადამ ვინიონმა ეს ანგელოზი, ეს ნეტარხსენებული წმინდანი, თავის შარავანდედმოსილ ზეცაში, თავისივე ხელით შექმნილ სასუფეველში ღვთიურ ტახტრევანზე დააბრძანა; ეს მშვენიერი არსება, რომელსაც შანტალი უსაზღვრო სიყვარულით, კრძალვითა და რუდუნებით ძერწავდა, მტვრად იქცა და განქარდა.

შანტალ პლატარი კუპეს კარს მიეყრდნო; ჯერ კიდევ არ იცოდა, რას მოელოდა ამ მოგზაურობიდან; წმინდა ადგილების მოსალოცად მოხეტიალე მონაზონს დამსგავსებოდა; ვერც ერთი საამური მოგონება ვერ ავსებდა მის გულში გამეფებულ სიცარიელეს; ის ერთადერთი საქმე, რომელსაც ასე გულმოდგინედ, უსაზღვრო მგზნებარებითა და გატაცებით აკეთებდა, ხელაღებით შეაწყვეტინეს, თავად შანტალი კი დაიბრიყვეს, ამაზრზენად დასცინეს და მასხრად აიგდეს; ამ საშინელ მარცხს ვერაფერი დაავიწყებდა; დაუამებელი ტკივილით განაწამები მარტვილი ნუგეშს ვერასოდეს ჰპოვებდა, მაგრამ მაინც აღტყინებით მოელოდა რაღაცას.

უზერშს უახლოვდებოდნენ; უკუნ ღამეში მწვანე შუქი აციმციმდა; აქოშინებული მატარებელი გაჩერდა. „მოვედით!“ – თქვა შანტალმა და ვაგონის კარი გამოაღო; ბაქანი თითქმის ცარიელი იყო; ზარის წკრიალა, სუსტი ხმა გაჭირვებით, თითქოს, აუტანელი წკარუნით მიაპობდა ჰაერის გაყინულ ტალღებს. „დეკემბრის ერთ

სუსხიან საღამოს პატარა, უკაცრიელ სადგურზე მოულოდნელად გამოჩენილი ორი უჩვეულო მგზავრი... მეჩვენება, იმ რომანის დასაწყისს ვკითხულობ, რომლის მთავარი გმირებიც ჩვენ ვართ," – გაიფიქრა შანტალმა. ორ მარტოსულ მგზავრს ბაქანზე არავინ ელოდა; ქალაქისკენ მიმავალ ავტობუსში არ ჩასხდნენ; სად მიდიოდნენ, ან საერთოდ ვინ იყვნენ? ცხადი იყო, ხალხს ახალდაქორწინებულები ან დანიშნულები მაინც ეგონათ... გვერდიგვერდ მიაბიჯებენ, მდუმარედ მიუყვებიან გრძელ, მოყინულ გზას და გრძნობენ, რომ სამუდამოდ შეუერთებია მეგობრობასა და სიყვარულზე ბევრად ნატიფ, ძლიერ და შეუცნობელ ძალას. მათ შორის ნელ-ნელა ამოიზვირთება ჯერ კიდევ ჩრდილის საბურველში გახვეული ტრაგიკული სახე, გულგამგმირავი ზმანება, რომელსაც სულ მალე მოეფინება ნათელი.

აღელვებული შანტალი პასკალს მკლავზე შეეხო და ხმაათრთოლებულმა უთხრა: „პასკალ, როცა მე და ანა ამ გზას მივუყვებოდით, თქვენზე მელაპარაკებოდა..." გულის სიღრმეში ყმაწვილი ძალიან უყვარდა; მის არსებაში ის მშვენიერი და იშვიათი გრძნობა იღვიძებდა, სიყვარულსა და გონგადასულ ტრფობას სულაც რომ არა ჰგავს; არასოდეს შობილა ქალ-ვაჟს შორის ასეთი ამაღლებული, ბიწიერი ვნებებისგან დაცლილი, დიადი და სპეტაკი გრძნობა; ცნობისმოყვარეობით ანთებული ხალხი მეგობრებს უკან მიჰყვებოდა და ხარბ მზერას არ აშორებდა, შანტალი კი გრძნობდა, რომ ჯერ არ განეცადა პასკალთან ასეთი სიახლოვე და უტყვი ერთიანობა; თითქოს, თანამზრახველებად ქცეულიყვნენ; ეს გულცივი, უხამსი და უბირი ქმნილებები ვერასოდეს ჩასწვდებოდნენ მათი სულების სიდიადეს, ვერასოდეს შეიგრძნობდნენ ამ ურთიერთობის სინატიფეს, ყურს ვერ დაუგდებდნენ მათ უსიტყვო დიალოგს; ეს სულმდაბალი, უგრძნობი და ვულგარული ხალხი ვერასოდეს მიხვდებოდა, რატომ ჩამოვიდნენ აქ, ამ მიყრუებულ პროვინციაში, რა დიადი მიზანი დაისახეს, რა გულდამწველმა ნატვრამ გადმოალახინათ ამხელა მანძილი... რა საოცარი იყო! შანტალი მხოლოდ იმიტომ მიუყვებოდა თითქმის უკაცურ გზას პასკალთან ერთად, რომ ნაადრევად გარდაცვლილი მეგობარი მოეგონებინა, დიდებული მისანივით წარმოეთქვა მისტიკური სიტყვები და ვინიონების ძველისძველ, ხავსმოდებულ სახლში ცოტა ხნით მაინც გამოეხმო სასუფეველში დავანებული ანას ნეტარმოსაგონარი სული.

„აი, მისი სახლიც გამოჩნდა... ჩვენი ანას სახლი..." – თქვა შანტალმა; წუთით პარმაღთან გაირინდნენ, მერე კიბეს ნელი ნაბიჯით აუყვნენ და კარზე დააკაკუნეს. მადამ ვინიონი სტუმრებს შეეგება, პასკალს

ხელი ჩამოართვა და შანტალი გადაკოცნა; ეს ახალგაზრდა ქალი მიხრწნილ დედაბერს დამსგავსებოდა; შეშუპებული ქუთუთოები საშინლად დაწითლდებოდა; მის თვალთა ოდინდელი ბრწყინვალება სადღაც გამქრალიყო; მათ წინაშე ცხოვრებისგან გათელილი, მზეჩასვენებული ქალი იდგა.

„დედა, ეს ბატონი დრიუფია," – უთხრა ქალმა მადამ ბუაიეს, როცა მისაღები ოთახის კარი შეაღო. დედაბერი კარგა ხანს დაჟინებით, მდუმარედ შესცქეროდა პასკალს, მერე კი უთხრა: „მთელი გულით მინდოდა, გამეცნო ის ახალგაზრდა, რომელიც ჩემს საბრალო შვილიშვილს ასე უყვარდა... სხვა სანუკვარი ნატვრა არა მქონია..." მოხუცმა პასკალთან ხმადაბალი საუბარი გააბა, მადამ ვინიონი კი შანტალს მიუბრუნდა: „მემენტო მიიღეთ, შანტალ?

– დიახ. დიდ მადლობას გიხდით, რომ არ დამივიწყეთ", – მიუგო შანტალმა და მტრული მზერა მიაპყრო; გული ბოღმითა და საზარელი მრისხანებით ევსებოდა; ცხადი იყო, ეს ნაადრევად დაბერებული და დაჩაჩანაკებული ქალი ჯოჯოხეთურად იტანჯებოდა, მაგრამ მისი ტანჯვა-ვაების ბალღამს ტკბილი ნექტარი შერეოდა და ისეთი საზეიმო შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს, დიდი გამარჯვება მოეპოვებინოს; საშინელება დაატყდა თავს, შვილი დაეუღუპა, მაგრამ ჩანდა, რომ ეს უბედურება ღვთის რისხვად და საუკუნო წყევლა-კრულვად არ ესახებოდა; პირიქით: ამ შემაძრწუნებელ ტრაგედიაში ზეგარდმო ნიშანსაც კი ხედავდა; უფალმა იმიტომ მოუვლინა ასეთი დიდი განსაცდელი, რომ მისი რჩეული გახლდათ! დიახ, რჩეული! მაცხოვარი თავის ღვთისმოშიშ შვილებს სატანჯველს არასოდეს მოაკლებს, რამეთუ ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება. ამ ქალმა გაიმარჯვა, დიახ, გაიმარჯვა და იარაღაყრილი, სამუდამოდ შერცხვენილი, ღირსებაშელახული, დამარცხებული და თავლაფდასხმული შანტალი მის წინაშე იდგა; ანას ხსნას ლამობდა, მისთვის დაუღალავად იბრძოდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა თვალის დახამხამებაში გააცამტვერა და არარად აქცია ყოველივე, ფარ-ხმალი დააყრევინა და ერთადერთი მეგობარი და გულის მესაიდუმლე ხელიდან გამოაცალა; ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა; ეჩვენებოდა, რომ ქვეყნად აღარავინ და აღარაფერი დარჩენოდა.

„აი, გიბრუნებთ ანას წერილებს, მე რომ გამომიგზავნეთ. მადლობელი ვარ, ჩემი საბრალო შვილის უკეთ გაცნობის საშუალება რომ მომეცით", – უთხრა მათ მადამ ვინიონმა და ბარათები გადასცა პასკალს, ის კი შანტალს მიუბრუნდა და ახარა: „ვფიქრობთ, მათი წაკითხვა გესიამოვნებათ.

– თქვენ კი ამ წერილების წყალობით გაიგებთ, რას მწერდა ანა თქვენს შესახებ“, – მიუგო შანტალმა და მძიმე შეკვრები გაცვალეს. „თავი მხოლოდ იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ ანას სიკვდილი ღმერთმა ინება; ეს საშინელი მსხვერპლშეწირვა, არნახული უბედურება და დაუამებელი ტკივილი ჩვენი მაცხოვრის დიდების საწინდარი იყო; მისმა ნაადრევმა აღსასრულმა ზეცაში დავანებული ზეკაცი კიდევ უფრო მომნუსხველი ბრწყინვალებითა და გოროზი სიდიადით შემოსა; შეუცნობელია გზანი უფლისანი! ამ განსაცდელსაც უნდა გავუძლოთ! ჩვენმა ცხონებულმა გოგონამ ამაოდ როდი დაუტევა ეს წუთისოფელი!“ – თქვა მადამ ვინიონმა. სახეგაბრწყინებულმა პასკალმა თავი სიხარულით დაუქნია.

„ორი ცივსისხლიანი მკვლელი! ამ საზიზღარმა ადამიანებმა ანას სიცოცხლე მოუსწრაფეს! თანამზრახველებივით ურცხვად უღიმიან ერთმანეთს!“ – გაიფიქრა გაცოფებულმა შანტალმა; ყველა ამბობდა, ანა სიმსივნემ შეიწირაო, მაგრამ ამ ამაზრზენ ტყუილს არაფრის დიდებით არ დაიჯერებდა! ღრმად სწამდა, რომ ეს სულელური ზღაპარი ვინიონებმა ნამუსის მოსაწმენდად და აწეწილი სულის დასამშვიდებლად შეთხზეს. ანა იმიტომ მოკვდა, რომ არ უყვარდათ, მისი არ ესმოდათ, ჩაგრავდნენ და ჯოჯოხეთურად აწამებდნენ. უმწიკვლო ბურჟუებს არ სურდათ, დაეჯერებინათ, რომ ქალიშვილი სულშემხუთავმა ადათ-წესებმა და ტრადიციებმა დაღუპა. სიმართლისთვის თვალი რომ გაესწორებინათ, მოსვენებას დაკარგავდნენ და სიკვდილამდე სინდისის ქენჯნა დასტანჯავდათ! ეს ტრაგედია მეტისმეტად რომანტიკულად ეჩვენებოდათ; თვალხილულ ბრმებს ეგონათ, სულისშემძვრელი რომანტიზმის, თავგანწირული ვნებებისა და საბედისწერო სიყვარულის სურნელით გაჟღენთილი თავგადასავლები მხოლოდ წიგნების საკუთრება იყო; ცხოვრება დაუჯერებელი ამბებითაა სავსე; წუთისოფელი უთვალავი ნაირფერი ძაფითაა ნაქარგი. ანას არსებობაც კი თვალხილული სასწაული იყო! შანტალს თითები ავადმყოფურად დაეკრუნჩხა.

ო, რა გასაოცარი სიცხადით გრძნობდა, რომ ანა მის გვერდით იყო! მის აჩრდილს ამ ძველ სახლში დაევანებინა; დრო-ჟამისგან დახეთქილი კედლები მისი ეფემერული სურნელით გაჟღენთილიყო; ნატრობდა, სასიცოცხლო სუნთქვა შთაებერა მისი ქარვისფერი, თითქოსდა, ოქროცურვილი თვალებისათვის, შემოდგომისფერი სახისა და ხშირი, ბზინვარე თმისთვის, რომელსაც მოლურჯო ელფერი დაჰკრავდა! ო, როგორ მინდა, გავაცოცხლო! როგორ მინდა, სიკვდილის კლანჭებისგან ვიხსნა! შანტალის გული საგულედან ამო-

ვარდნას ლამობდა; ალბათ, ერთ სქელტანიან წიგნშიც კი სათანადოდ ვერ წარმოაჩენდა ჭეშმარიტ სახეს ამ სისხლსავსე და მგრძნობიარე ქალიშვილისა, რომლის გულშიც დღედაღამ გიზგიზებდა ცელქი ცეცხლი; სურდა, გულმოდგინედ და შეუმცდარად დაეხატა მისი წარმტაცი პორტრეტი; შანტალის რომანშიც სწორედ ისეთი იქნებოდა, როგორიც სინამდვილეში იყო – სიცოცხლით სავსე და გულანთებული ქმნილება; უმშვენიერეს, დაუვიწყარ, სხივმოსილ, იდუმალებით მოცულ პერსონაჟად იქცეოდა, თავისი ბავშვურად გულუბრყვილო, უმანკო ღიმილითა და მგზნებარე გულით. „რატომ მივტირი ანას? სევდამორეულს რატომ მგონია, რომ ოდესმე თავისუფალი და ბედნიერი ქალი იქნებოდა?“ – გაიფიქრა მან; მართლაც, რად სტანჯავდა ასეთი სინანული? რად გაჯიქებულიყო ბავშვივით? ერთი უდიდესი, წმიდათაწმიდა მოვალეობა უნდა აღესრულებინა: დიდებულ რომანში უნდა გადაესახლებინა ეს პათეტიკური ქალიშვილი, რომლის არაამქვეყნიური სილამაზითა და ბრწყინვალებით შემოსილ ხატებასაც ამ ადამისჟამინდელ სასტუმრო ოთახში დაევანებინა და ყველას სამარადისოდ აჯადოებდა; გოროზად ამოიზვირთებოდა მისი წმინდა აჩრდილი შანტალის უკვდავი შედევრის ფურცლებიდან, საოცარ პერსონაჟში განსხეულდებოდა და სამარადჟამო სიცოცხლეს დაიმკვირებდა.

ბუხარს მიეფიცხა, თავი დახარა და სახე ცეცხლს მიუშვირა; ჩაესმოდა შეშის საამო ტკაცატკუცი; გული აუჩქროლდა; დიდებულმა ემოციამ ტალღასავით შთანთქა; გულამოსკვნილ ქვითინში მრავალი კვირა გალეულიყო; მის ოთახში ცრემლის ზღვა დამდგარიყო; ამ ამაო, უნაყოფო სინანულითა და ტკივილით სავსე საზარელი დღეების შემდეგ უეცრად იგრძნო, რომ იმედგაცრუება და გაწბილება სადღაც გამქრალიყო; მოლოდინი არ გასცუდებია; ანას ხსნა ვერ შეძლო, ეს სანუკვარი ოცნება ვერ აიხდინა და ხელი მოეცარა, მომავალი უდრტვინველად არ დაემორჩილა, მაგრამ სამაგიეროდ, წარსული მის ხელთ იყო! აქამდე როგორ ვერ მიხვდა, რომ გარდასულ დღეთა საუნჯეს ფლობდა?! ამ ძველი სახლის თითქოსდა ღვთაებრივად მშვიდ ჩრდილში გახვეულმა შანტალმა ბოლოს და ბოლოს იპოვა ის, რასაც ამდენ ხანს სასოწარკვეთილი დაეძებდა, ის ჯადოსნური რამ, მხოლოდ მას რომ ეკუთვნოდა; სხვებს, ალბათ, კიდეც შეშურდებოდათ, ეს აურაცხელი სიმდიდრე რომ დაისაკუთრა; ანას მშვენიერი, თუმცა ტრაგიკული ცხოვრების ამბავი სამუდამო დაღს დასვამდა და მის სულს მოუშუშებელ იარად დააჩნდებოდა; ამ მძიმე ტვირთის ზიდვა ძალიან გაუჭირდებოდა და მეგობრის აღსასრულის

დავიწყებას სამარის კარამდე ვერ შეძლებდა; შანტალს, ალბათ, ხშირად გადაურბენდა სახეზე იდუმალი ჩრდილი, მისი ნატიფი ჟესტებისა და სიტყვების სუსტი ექო სადღაც შორს გაისმებოდა; ხარბი ცნობისმოყვარეობით ატანილი ხალხი, ალბათ, დიდხანს შეეცდებოდა მასწავლებლის სახეზე ამოეკითხა რამე, მაგრამ მის გულში დამარხულ საიდუმლოს ვერა და ვერ შეიტყობდა. შანტალმა თავი კიდევ უფრო დახარა; მის თვალებში ანას ხატება სამარადისოდ დაივანებდა; უსაზღვროდ ბედნიერი იყო; უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სიხარულით ატარებდა ამ მძიმე, თუმცა საოცრად საამურ ტვირთს, გულზე რომ დასწოლოდა; ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს ტკივილი აურაცხელ სიმდიდრეს უქადდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მასში დავანებულ ანას სულს სამუდამოდ შეეცვალა მისი ცხოვრება, მთელი მისი არსება; შანტალი უფრო მეტად შეიყვარებდა ადამიანთა მოდგმას, შემწყნარებელი და გულისხმიერი გახდებოდა, გაჭირვებულებს ანუგეშებდა, დატკბებოდა სამყაროს მშვენიერებით, ჭეშმარიტებას ეზიარებოდა და ნათელს მოჰფენდა ყოველივე იმას, რაც უწინ წყვდიადით იყო მოცული; ანას ჯოჯოხეთური ტკივილითა და ტანჯვით სავსე ცხოვრების ამბავს, მის შემზარავ სიკვდილს ღვთაებრივი სიმშვიდითა და მშვენიერებით გასხივოსნებულ შედევრად აქცევდა. „ანა, ჩემო სანუკვარო მეგობარო, არასოდეს დაგივიწყებთ, არასოდეს!“ – აღტყინებით დაჰპირდა გულანთებული შანტალი განსვენებულს.

მარგერიტი

ჩემი ოჯახის წევრები მუდამდღე ერთხმად, რიხიანად გაიძახოდნენ: „სულიერება უნდა ზეობდეს!“. მამამ მთელი ცხოვრება ლიტერატურის შესწავლას მიუძღვნა, დედამ კი ქრისტიანული სათნოებით, ქველმოქმედებითა და გულმოწყალებით ისახელა თავი; მარსელი და პასკალი სილამაზეს ცით მოვლენილ ღვთაებასავით ეთაყვანებოდნენ, განადიდებდნენ იდუმალებით მოცულ სულიერ ცხოვრებას, შინაგან სიმდიდრესა და თვალწარმტაც მშვენიერებას; ამ ძალმოსილი ქალღმერთის სიდიადით მონუსხულნი, რწმენით ფრთაშესხმულნი, თითქოს, ყოველდღე ბრწყინვალე რელიგიურ რიტუალს აღასრულებდნენ და ღრმად სწამდათ, რომ ამ ადამისჟამინდელ კულტს გაქრობა არ ეწერა; როცა სამი წელი შემისრულდა, მარსელმა კითხვა მასწავლა. ჩემი ღვთისმოსაობა ყველას აღაფრთოვანებდა; შვიდი წლისამ, სასოებითა და კრძალვით განმსჭვალულმა მივიღე პირველი ზიარება; გული გამალებით მიცემდა ეს სანუკვარი ოცნება რომ ავიხდინე! სულ პაწაწინა უკვე ძალიან განსწავლული, ნიჭიერი და განვითარებული გოგონა გახლდით, რადგან მშობლები და და-ძმა ყურადღებას არ მაკლებდნენ და მანებივრებდნენ; ნავახშმევს მამა ხმამაღლა უკითხავდა პასკალს კორნელისა და რასინის ტრაგედიებს და მეც ნებას მრთავდა, ყური დამეგდო ამ საოცარი ამბებისთვის; კლასიკურმა ლიტერატურამ გაწაფული ოსტატივით გამოძერწა ჩემი გონება; მთელი სკოლა აღიარებდა, მარგერიტი შეუდარებელი მოსწავლეაო; ბრწყინვალე საკლასო სამუშაოებსა და საშინაო დავალებებს ვწერდი და უმაღლეს შეფასებებს ვიმსახურებდი; მასწავლებლები დაფნის გვირგვინით მამკობდნენ და ჩემ წინაშე ყველა მეტოქე ქედს იხრიდა; ერნესტინ ჟოლიეს სახელობის სასწავლებლის პედაგოგები, ეს შინაბერა ქალები, გაკვეთილების შემდეგ სხვა ბავშვებს ნაჩქარევად ემშვიდობებოდნენ, მე კი ჩამიხუტებდნენ და ლოყებს მიკოცნიდნენ; გულთბილ ალერსს ბოლო არ უჩანდა. ეს პატივსაცემი, ღირსსაცნობი განმანათლებლები დიპლომებით, ამ ფასდაუდებელი განძით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ ქრისტიანული თავდადებით, უანგარო მსხვერპლშეწირვით, კეთილშობილებით, ურყევი ზნეობით, უმწიკვლოებითა და სათნოებით ტოლს არავის დაუდებდნენ; მუდამ გრძელი, კოჭებამდე დაშვებული შავი კაბები და აბრეშუმის მუქი იისფერი, თითქმის ქლიავისფერი კორსაჟები ეცვათ; გულში რომ ჩამიკრავდნენ, მათი მკაცრი სამოსი სახეზე საამოდ

მელამუნებოდა; მოწიწებით ლაპარაკობდნენ ყველაზე ახალგაზრდა, ულვაშა მასწავლებელ ქალზე, რომელსაც, სადაც იყო, სორბონას უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი უნდა მოეპოვებინა; საოცარ სიხარულს განვიცდიდი საკლასო ოთახში; ბავშვები ოვალურ მაგიდას მივუსხდებოდით, განსწავლული ქურუმი კი კათედრაზე ისე ამაყად და მედიდურად წამოიმართებოდა, თითქოს, საკლასო ოთახში კი არა, სამეფო ტახტზე მჯდარიყოს; წარბშეკრული, კუზიანი ერნესტინ ჟოლიეს პორტრეტი ზემოდან დაგვცქეროდა, მაგრამ მისი სიმკაცრეც კი გვხიბლავდა და გვეჩვენებოდა, რომ უხილავი ღვთისმსახურები ამ ქალის ნეტარად შერაცხვის საზეიმო რიტუალს აღასრულებდნენ; წუთითაც კი არ გვაშორებდნენ თვალს მისი გრავიურის ქვეშ, გრძელ, შავტყავგადაკრულ სკამზე ჩამომსხდარი, აღელვებული დედები და უფროსი დები; მართალია, იღიმებოდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში ერთმანეთი საშინლად სძულდათ; თუ რომელიმე მოსწავლე წიგნს მალულად ჩაჰკრავდა თვალს ან დაბნეულ ამხანაგს ჩურჩულით უკარნახებდა რამეს, ეს გულღრძო არსებები უმოწყალოდ აბეზღებდნენ მასწავლებელთან; სისხლმოწყურებული ფურიების ნატვრა მხოლოდ ის იყო, თავიანთი შვილებისა და უმცროსი დებისთვის პედაგოგებს ხოტბა შეესხათ, სხვა გოგონების უსაქციელობა და უზნეობა კი თამამად ემხილათ; ამ გაუთავებელი კინკლაობით შეწუხებულმა პედაგოგებმა საგანგებო კრებაზე იმსჯელეს, მხოლოდ წარჩინებული ბავშვები რომ დავაჯილდოვოთ, სიძულვილით თვალებანთებული, გაცოფებული და ხმალალესილი ქალები ერთმანეთს დაერევიანო და გადაწყვიტეს, უმჯობესია, ეს წყალობა არც ერთს არ ვაღირსოთო; ოსტატურმა ოინმა მართლაც განაიარაღა შურიანი დედები; მაისის მიწურულს, ყველას დიდი ზარ-ზეიმით ჩამოგვირიგებდნენ ხოლმე მედლებს; ცერემონიას ეპისკოპოსი უძღვებოდა. როცა საზარელი ომის ქარ-ცეცხლი დატრიალდა და სიკვდილის გულის ამრევი სუნით გაიჟღინთა ყოველივე, საკლასო ოთახები საავადმყოფოებად აქციეს; გულაჩუყებული ვუცქერდი, როგორ დარბოდნენ წითელი ჯვრის უნიფორმაში გამოწყობილი ქალიშვილები პირქუშ, ბნელ დერეფნებში; ეს კეთილი ფერიები დღედაღამ საბრალო დაჭრილებზე ზრუნავდნენ; ჯარისკაცებს ფორთოხლებსა და სიგარეტებს ვჩუქნიდით; მასწავლებლებს ხშირად დავყავდით მონმარტრის ბაზილიკაში, ვაფრიალებდით საფრანგეთის დროშებს და ერთხმად ვმღეროდით; ჩვენი ჟრიამული ცას სწვდებოდა.

ასეთ გარემოში თვალის დახამხამებაში გავიზარდე; ბოროტი, პირსისხლიანი გერმანელები საშინლად მძულდნენ და ღმერთს

ცრემლმორეული შევღაღადებდი: „უფალო, მუხლმოყრით გევედრები, ახლავე სული ამომხადე, შენს სამეფოში წამიყვანე და დღე დამიბნელე, ოღონდ წყალობა მოიღე და ჩვენს ძვირფას ჯარისკაცებს ეს ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინებინე!“ ისეთი გმირული სულისკვეთებით აღვივსე, მზად ვიყავი, სანუკვარი სიცოცხლეც კი ზვარაკად შემეწირა მშობელი მიწისთვის; წინკარში, დიდი კედლის საათის წინ, წითელ ხალიჩაზე პირქვე დავემხობოდი და გულაჩქროლებული ველოდი სიკვდილის ანგელოზს. პასკალი ჩემსავით პატრიოტი იყო; როცა ნამცხვარს, ორცხობილას, ან შოკოლადის ფილას მოგვაწოდებდნენ, კისრისტეხით გავრბოდით და ტკბილეულს ვყრიდით თუნუქის ქილაში, რომელშიც საბრალო დაჭრილებისთვის შესაწირს ვაგროვებდით; თავს არ ვაძლევდით პირის ჩატკბარუნების უფლებას, რადგან საბრალო თანამემამულეებს შიმშილით კუჭი უხმებოდათ; ჩვენი ყუთი თითქმის სულ ცარიელი იყო; იმ სისხლიან ეპოქაში საჭმელი და ტკბილეული თავზე საყრელად არავის ჰქონდა, მაგრამ როგორც იქნა, ერთ მშვენიერ დღეს, ოცნება აგვიხდა: აივსო აღუვსებელი საწყაული ძველისძველი, გამხმარი, თითქმის ჩირად ქცეული მსხლებით, ფისივით წებოვანი კანფეტებითა და ობმოდებული თაფლაკვერებით! მე, პასკალი და დედა გაჭირვებით შეკოწიწებული ძღვენით ხელდამშვენებულნი ჟოლიეს სასწავლებლისკენ გავეშურეთ და როცა დირექტორმა შესაფუთ ქაღალდს დიდი ასოებით დააწერა – „მარგერიტისა და პასკალის შესაწირი,“ სიამაყე დაგვეუფლა.

ზღვარდაუდებლად ვტკბებოდი თვითგვემით; როდესაც ხორციელ სურვილებს დავთრგუნავდი და მიწიერ სიმდაბლეზე ავმაღლდებოდი, არაამქვეყნიური აღტყინება მეუფლებოდა; ვოცნებობდი, ნეტარი ტკივილი – ეს სახალისო და სასიამოვნო თამაში არასოდეს დასრულებულიყო; საშობაო მარხვის დამდეგს, სასწავლებლის მოძღვარი, აბე მირანდი, მუყაოს პატარა ნაჭრებს ჩამოგვირიგებდა (რომლებზეც იისფერი მელნით დაეხატათ ყრმა იესო) და გვეტყოდა, როგორც კი მოწყალებას გაიღებთ და ღარიბ-ღატაკებს შეეწევით, ნახატს ქინძისთავი უჩხვლიტეთ, შობას კი ეკლესიაში მომიტანეთო; აი, ასე ხვდებოდა ჩვენი სულიერი მამა, ვიჩენდით თუ არა სამაგალითო ქრისტიანულ სათნოებასა და სიქველეს; მუყაოს ნაჭრებს სამლოცველოს ბოლოში, ზეციური ნათლით გაბრწყინებულ ბაგაში ვაწყობდით, რათა ყველას ეხილა ჩვენი საარაკო გმირობა; სიამაყით ვუმზერდი ერთიანად დაჩხვლეტილ ჩემს იესოს; საოცრად მიზიდავდა რელიგიური წმიდათაწმიდა საიდუმლოებები; მისტი-

ციზმის ნექტარს თავდავიწყებით ვეწაფებოდი; მზად ვიყავი, ცხოვრება უფლისთვის მიმეძღვნა; მთელი არსებით ვგრძნობდი ჩემს სულში ჩათესილ ამ ღვთაებრივ მარცვალს! ხშირად საპირფარეშოში ვიკეტებოდი, პატარა, ოქროს ჯაჭვით თავს ვიროზგავდი და ბარკლებს პემზის ქვით უმოწყალოდ ვიხეხდი. გაწითლებულ, გადაყვლეფილ და გასისხლიანებულ კანს დედა საცხით მიამებდა; აბე მირანდმა მახარა, ნებას გრთავ, კვირაში სამჯერ ეზიაროო; ორ კვირაში ერთხელ არნახული აღტყინებით ვამბობდი აღსარებას; გული სიხარულით მევსებოდა, რომ მღვდელს, – მიწასა და ცას შორის გადებულ ამ ხიდს, ღმერთისა და კაცის შემყრელსა და სულთა მკურნალს საიდუმლოებებს ვუმხელდი და ცოდვებს გულწრფელად ვინანიებდი; დედას ეუბნებოდა, თქვენი სულკურთხეული და მადლცხებული ქალიშვილი უთუოდ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველსო. აუწერელ ნეტარებას განვიცდიდი, როცა სისხამ დილით ვთმობდი თბილ საწოლს და ღვთის სახლისკენ მიმავალ, ჯერ კიდევ ნისლში დანთქმულ გზას დავადგებოდი; ძილს თავს ვერ ვართმევდი და ძლივს მივათრევდი ერთიანად დაბუჟებულ და მოთენთილ სხეულს, მაგრამ როგორც კი ბნელ ტაძარში შევაბიჯებდი, ხატის წინ მუხლს მოვიყრიდი და გულმხურვალედ ვილოცებდი, სიხარული მეუფლებოდა; მერე კი შინ ვბრუნდებოდი, ფინჯან ცხელ შოკოლადს ვეწაფებოდი და თან გულში ქრისტეს ვესაუბრებოდი; ერთმანეთისა უსიტყვოდ გვესმოდა; ვერავითარი ძალა ვერ შეწყვეტდა ჩვენს უხმო დიალოგს; მან ხომ ინება ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებულ ზეცაში დაბრძანებული ტახტრევნის დატევება და ჩემს სულში გარდამოსვლა?! აღსარება კიდევ უფრო მიყვარდა. აბე მირანდს ძალზე დიდი მრევლი ჰყავდა; მლოცველთა ზღვა იდგა მის ეკლესიაში; რიგში ვდგებოდი და ძალიან დიდხანს გულაჩქროლებული ველოდი, როდის შევაბიჯებდი სააღსარებოში, სადაც ეს დიდებული ადამიანი მიმალულიყო. მძიმე, სქელი, მწვანე ფარდები უცნაურ, უფორმო მასას ბურთივით გამოებურცა; მხოლოდ დაჩოქილ მონანულთა ფეხებს ვხედავდი; როცა ბოლოს და ბოლოს, ზეციური სამყაროს კარიბჭეს შევაღებდი და წმინდა, იდუმალებით მოცულ სამალავს თავს შევაფარებდი, გული გამალებით ამიძგერდებოდა; როდესაც ხის პატარა დარაბას ყრუ ხმაურით გამოაღებდა და რკინის ბადის მიღმა ღვთისმსახურის მიტკალივით გაფითრებულ სახეს მოვკრავდი თვალს, გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა და სუნთქვა მეკვროდა; აბე ისეთი ნაზი, ყურთასმენის დამტკბობი, დათაფლული ხმით მელაპარაკებოდა ჩემს სულზე, რომ მოზღვავებული სიამით

ვთრთოდი და ჟრუანტელი მივლიდა; ვოცნებობდი, ეს ნეტარი შეგრძნება არასოდეს გამქრალიყო; თითქოს, მღვდელს კი არა, თვით განკაცებულ ქრისტეს ვუგდებდი ყურს. ხშირად, მრისხანება მიპყრობდა, მშობლებს არ ვემორჩილებოდი, მასწავლებლებს ქედმაღლურად და უტიფრადაც კი ვეპასუხებოდი, მაგრამ ამგვარი უსაქციელობა არასოდეს მომინანიებია, რამეთუ თავი დამნაშავედ არ მიმაჩნდა. აზრადაც კი არ მომსვლია, რომ დედაჩემი და მოხუცი მასწავლებლები ღვთისგან ხელდასხმული ქურუმები იყვნენ; იესო ქრისტე მესახებოდა დიად, სულგრძელ, გულმოწყალე, ამქვეყნიურ ამაოებასა და სიმდაბლეზე ამაღლებულ ზეკაცად, ეფემერულ არსებად; მასთან მეტად გულთბილი ურთიერთობა მქონდა; ჩვენს ჰარმონიულ, სამარადჟამო ერთობას მსახვრალი დრო-ჟამი და ღვარძლიანი ადამიანების სიტყვები ვერას დააკლებდა; მისი ღვთაებრივი, უზენაესი კანონი კი სულაც არ ჰგავდა იმ მეშჩანურ, სულმოკლე, სასტიკ, წვრილმან, პედანტურ, მჩაგვრელ მორალს, რომლითაც სასწავლებელში მიჭედავდნენ თავს. სწრაფად ვიზრდებოდი, უფრო და უფრო მორწმუნე ვხდებოდი და გული უფლის ცხოველმყოფელი სიყვარულით მევსებოდა, მაგრამ იმას კი ვეღარ ვგრძნობდი, რომ ვცოდავდი! ზოგჯერ მაგიდას ხელდაუბანელი მივუჯდებოდი და საჭმელს დავეძგერებოდი, შუა გაკვეთილზე ამხანაგებს ველაქლაქებოდი, ხან ვის ავწაპნიდი ასიოდე სუს და ხან – ვის. მალულად ვკითხულობდი ალფრედ დე მიუსეს, თუმცა, არასოდეს მიფიქრია, რომ ეს უწყინარი ონავრობა სულს წამიწყმედდა და მამაზეციერის თვალუწვდენელი სამკვიდროდან გამაძევებდა; მეგონა, ამ სიბილწით ხორციელად გავიჟღინთებოდი, მაგრამ სულიერად განვიწმინდებოდი და რწმენით ფრთაშესხმული, ზეცაში ავფრინდებოდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჯვარცმულმა ზეკაცმა დაუტოვა ცოდვილ კაცობრიობას ის ამაზრზენად ვაჭრული, სულმდაბლური, გულის ამრევი ქადაგებანი, რომელთა „წყალობითაც“ მასწავლებლები ცხოვრებას მიმწარებდნენ და მაძაბუნებდნენ; „ნუთუ კაცთმოყვარე უფალმა ადამის მოდგმა ასე დაუნანებლად, ხელაღებით შერისხა და სასტიკი აკრძალვები დაუწესა?!“ – ვფიქრობდი გაოგნებული. მორწმუნე ვიყავი, მაგრამ რომ მცოდნოდა, რას ნიშნავდა ბავშვური მანკიერებანი და დასაძრახი სიბილწე, ამ ნეტარების მორევში ისე წარბშეუხრელად გადავეშვებოდი, სინდისის ქენჯნაც კი არ დამტანჯავდა... მიუხედავად ამისა, შვიდი წლისამ ლამის ავხორცი სიამე ვიგემე, როცა ტანვარჯიშის გაკვეთილზე, ლარივით სწორ, გრძელ თოკზე გაჭირვებით ავცოცდი; ფეხებშუა რაღაც ვიგრძენი... უცნაური,

სასიამოვნო, განუცდელი შეგრძნება დამეუფლა; თოკს მრავალჯერ გავეხახუნე... ისევ და ისევ წამიღო ნეტარების ბობოქარმა ტალღამ და ნაირფერი, საამო, მაგრამ ჯერ კიდევ იდუმალების თვალშეუვალი ნისლით მოსილი დაპირებებით ამავსო. თავგზაარეული ვიყავი. ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს. როცა დედას ეს ამბავი ვუამბე, საშინლად გაწითლდა და მთხოვა, სისულელეების როშვას მორჩიო; ერთ დღეს კი განმიცხადა, ტანვარჯიშის გაკვეთილზე წასვლას გიკრძალავო; სოფელში ხეზე ავბობღდი და ტოტს მარწუხებივით შემოვაჭდე ფეხები, მაგრამ უხეშმა და დაკორძებულმა ქერქმა ის საოცარი სიამე ვერ განმაცდევინა.

ჟოლიეს სასწავლებელში ამგვარი „უზნეობისგან“ დაუღალავად გვიცავდნენ, თუმცა, „ავე მარიას“ წყალობით მალევე მივხვდი, რომ ბავშვები დედის მუცელში ისახებოდნენ, მაგრამ მეგონა, ჭიპიდან იბადებოდნენ; ვფიქრობდი, როგორც კი ქორწილზე, ამ საზეიმო ცერემონიაზე თანამეცხედრეები ერთიმეორეს სისხლს გადაუსხამდნენ, ქვეყნიერებას მათი სიყვარულის ნაყოფი მოევლინებოდა; როდესაც მალულად დავიწყე ზოლას, ანატოლ ფრანსისა და მოპასანის რომანების კითხვა, უმეცრების წყვდიადი გაიფანტა; სანამ ამ წიგნებს ხელში ავიღებდი, იძულებული ვიყავი, მხოლოდ თეორიულ, ბუნდოვან ცოდნას დავჯერებოდი; დღედაღამ ღრუბლით მოცულ, გაუგებრობის საპყრობილეში ტყვედქმნილ, სხივმოსილ ჭეშმარტებას მიველტვოდი; მიუხედავად ყველაფრისა, მხატვრულმა ნაწარმოებებმა ცოდნის გახელებული წყურვილი ვერ მომიკლა; სამეცნიერო ნაშრომების წაკითხვა მსურდა; აკვიატებული შეკითხვები მაწამებდა და ვერა და ვერ მეპოვა ცხადი, ამომწურავი პასუხები; არ ვიცოდი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ინტიმური აქტი; მწერლები ხორციელ სიამეს ისე სხვადასხვაგვარად აღწერდნენ, თავბრუ მეხვეოდა; ზოლას რომანებში ქალი ხუთიოდე წუთში ორსულდებოდა, პიერ ლუი კი მარწმუნებდა, ამისთვის ავხორცი ნეტარებითა და მგზნებარე ვნებებით აღსავსე მრავალი ღამეც კი არ კმარაო! გაოგნებული ვიყავი. გამუდმებული ფიქრით გადაქანცული თავს ვირწმუნებდი, ეს საკითხი დიდად არ მაღელვებს-მეთქი; სამყაროს შეცნობას ვესწრაფოდი, ცოდნის მარადუშრეტ წყაროს ხარბად ვეწაფებოდი და იმაზე ფიქრიც კი მზარავდა, რომ მეკრძალებოდა რომელიმე უდიდეს საიდუმლოსთან ზიარება; საშინლად განვრისხდებოდი, ვინეს რომ ეთქვა, ყველა სავანის კარი სამარადისოდ დახშულია შენთვისო. უმანკო გოგონა გახლდით. გარყვნილება საშინლად მძულდა. მართალია, ზოგჯერ ბილწი ფანტაზიებით ვტკბებოდი, მაგრამ სინამდვილე მაშინებდა

და ოცნებებისა და ღამეული ზმანებების ახდენას არ ვესწრაფოდი; თვალნათლივ მახსოვს ის საღამო, როცა დედამ კინოში წამიყვანა... თოთხმეტიოდე წლის ვიქნებოდი; ერთი დოკუმენტური ფილმი ვნახეთ ჩრდილოეთ პოლუსის შესახებ; გვერდით ვიღაც კაცი მეჯდა; სინათლე რომ ჩაქრა, ხელი მომხვია და სათუთი სხეული ღონივრად დამისრისა; ძალიან დავიბენი და ხელჩანთა მთელი ძალით მივიკარი გულზე; მეგონა, ჩემი გაძარცვა უნდოდა; ერთხელ, როცა ერთ პატარა გალანტერეაში შევედი, ნოქარმა დახლსუკან გამიყვანა და შარვალი შეიხსნა, მაგრამ ვერც კი მივხვდი, რა უნდოდა. აი, ეს გახლდათ ქრისტიანული აღზრდა-განათლების უპირატესობა – ძალიან გულუბრყვილო ვიყავი და ნამუსს ისე ამხდიდნენ, აზრადაც კი არ მომივიდოდა, რომ ჩემს თავს რაღაც საშინელება ხდებოდა.

ცხადია, აბე მირანდთან ამ უსიამოვნო ამბებზე სიტყვაც კი არ დამცდენია. მეტისმეტად მაღალფარდოვანი და ნატიფი ფრაზებით ვესაუბრებოდი ჩემს სულიერ აღმასვლასა თუ დაცემაზე; უსახურ ბრბოზე ამაღლებულ გოგონად მთვლიდა; თავზარი დაეცა, როცა ჩემმა შინაბერა მასწავლებლებმა უთხრეს, მარგერიტი დიდი შფოთისთავია, საშინლად დაუდგრომელი, ონავარი, უტიფარი, ქედმაღალი და თავხედი გახდა, ასეთი საძრახი ყოფა-ქცევის გამო მასწავლებლები ხშირად ამუნათებენ და ცუდ შეფასებებს უწერენო; ერთხელ, როცა აღსარება ჩავაბარე, დაუსრულებელ ქადაგებას მოჰყვა... „ხომ არაფერს მიმალავთ?“ – მკითხა თავაზიანად; არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყურებამდე გავწითლდი და მშრალად მივუგე: „არა, არა მგონია.“ მოძღვარმა განაგრძო: „მითხრეს, რომ ჩემი პატარა მარგერიტი ძალიან შეიცვალა, მისი ძველებური მორჩილება, თავმდაბლობა და თვინიერება სადღაც გაქრა, სკოლაში ხშირად ცელქობს, მასწავლებლებს უგულისყუროდ უსმენს და გაკვეთილებზე ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს, ცაში დაფრინავდესო...“ თავჩაქინდრული და რეტდასხმული ვუგდებდი ყურს და სირცხვილით ვიწვოდი; მანამდე გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ აღსარებისას გულის კარს თავად ღმერთს ვუღებდი. რა ბრიყვი ვყოფილვარ! სინამდვილეში, განკაცებული ძე ღვთისა კი არა, შესაბრალისი, ბავშვური და სულმოკლე კაცი ყოფილა! ო, ამ უსახურ ქმნილებას როგორ მივენდე?! სული მეხუთებოდა. „ეს საძაგელი ცდუნება უცილობლად უნდა დასძლიოთ, მარგერიტ; სიხარულით დაგეხმარებით; ხანდახან ადამიანი იმასაც კი ვერ ხვდება, რომ სცოდავს; ეშმაკმა დაგაბრმავათ და თუ გონს არ მოეგებით, სულს წარიწყმედთ,“ – დასძინა ხმადაბლა და გულთბილად; არაფერი ვუპასუხე; ისეთი თავზარდაცემული და გაცოფებული ვიყავი, პირი

ვიბრუნე და სააღსარებოდან გამოვედი; გულს მაზიდებდა; აბე მირანდი აღარასოდეს მინახავს და იმ საზიზღარ სამლოცველოში ფეხიც კი აღარ დამიდგამს; როცა სასწავლებლის დერეფანში მის ანაფორას მოვკრავდი თვალს, ტყვიანაკრავივით გავრბოდი; ალბათ, ვერც კი მიხვდა, რატომ ავიცრუე მასზე გული.

ქრისტიანულმა რელიგიამ იმედი გამიცრუა; ასეთი საშინელი შეგრძნება ჩემს დღეში არ განმეცადა; ეს გაწბილება ვერა და ვერ დავივიწყე; ბავშვობაში უფალსა და აბე მირანდს ერთიმეორისგან ვერ ვარჩევდი; უსიტყვოდ ვემორჩილებოდი ამ სპეტაკ მოძღვარს, შარავანდედმოსილ ზეცაში დავანებულ ზეკაცად რომ მესახებოდა; უეცრად, ეს თვალწარმტაცი მირაჟი მტვრად იქცა; გაოცებული ვფიქრობდი: „იქნებ, უფალი ისეთივე მეშჩანია, როგორიც დედაჩემი და ეს უცნაური, აკვიატებული აზრებით შეპყრობილი შინაბერა მასწავლებლები – საზიზღარი, სისხლისმსმელი ფურიები?! ნუთუ საოჯახო ბიბლიოთეკების კატალოგებში „J“ ასოზე ჩამწკრივებულ, ფურცლებგაყვითლებულ წიგნებში სიმართლე წერია?! (ფრანგულად იესო გამოითქმის, როგორც „Jesus“. მთარგმნ.) ნუთუ მაცხოვარი სხივმოსილი, სულმნათი, კაცთმოყვარე არსება კი არა, უსახური, ღვარძლიანი და სიძულვილით სავსე კაცუნაა?! შეუძლებელია, ასეთი ღმერთი არსებობდეს!“ შიშის ზარი დამეცა, როცა ვიგრძენი, როგორ დააფჩინა ხახა ურწმუნოების უფსკრულმა და ეჭვმა შემიპყრო; სოფელში ვიყავი, ხავსზე წამოწოლილი; ქარი არხევდა თავზემოთ გოროზად წამომართულ არყის ხის კენწეროს... არაფერზე ვფიქრობდი, მაგრამ უეცრად მომეჩვენა, რომ სამარისებურ, ყოვლისმომცველ მდუმარებაში ჩაძირულ სამყაროში სულისშემძვრელმა სიცარიელემ დაისადგურა; გახევებული შევცქეროდი ამ შემზარავ სანახაობას და ვგრძნობდი, რომ ხეები, ფირუზისფერი ზეცა და მწვანედ აბიბინებული ბალახი, ეს თვითნაბადი, ხელთუქმნელი სილამაზე უფლის შექმნილი არ იყო; მეც კი სრულიად შემთხვევით მოვვლენოდი ქვეყნიერებას და საწყლად ვირწეოდი არარას ბინდმოსილ, ბობოქარ, ავად აქოჩრილ ტალღებზე; ეს იდუმალებით მოცული ჩვენება შიშს მგვრიდა; უკიდეგანო სამყაროში ბუმბულივით ნარნარად დავფარფატებდი; ელდანაცემივით შევხტი და ფეხზე წამოვიჭერი; სული მეხუთებოდა; ამ საზარელ ძრწოლას ვეღარ ვუმკლავდებოდი; შინისაკენ მოვკურცხლე; მინდოდა, ადამიანთა სამკვიდროში დავბრუნებულიყავი და მათი ხმა გამეგო. გზა-კვალარეული ვიყავი. ოდესღაც ანგელოზებისა და წმინდანების სამყაროში ვცხოვრობდი, ვგრძნობდი, რომ ვარსკვლავებით მოჭედილი ზეციდან ყოვლისშემძლე უფლის

მოწყალე თვალი დამცქეროდა, ახლა კი, უეცრად, უსულო საგნებისა და ამქვეყნიური ქაოსის აზვირთებულ მდინარეში მარტოდმარტო აღმოვჩნდი.

ურწმუნობას ვერ ვეგუებოდი; მოსვენება დავკარგე; ღამეებს თეთრად ვათენებდი; ათეიზმის ურჩხულს გააფთრებით ვებრძოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მალე დავიღლებოდი და ფარ-ხმალს დავყრიდი; სენ-სულპისის ტაძრის მოძღვარს ჩემი საიდუმლო გავანდე და ვთხოვე, რამე მირჩიეთ-მეთქი; ჩემს აღსარებას მოთმინებით, თავაზიანი გამომეტყველებით დაუგდო ყური და მეტად ცბიერი, განსწავლული და გამჭრიახი კაცისთვის ჩვეული შემპარავი, ოსტატური, ვერაგული სიუხეშითა და სიმკაცრით მკითხა: „სიმართლე მითხარით! რა საზარელმა ცოდვამ დაგაშორათ ღმერთს? რად შეაქციეთ ზურგი დედა-ეკლესიას? რატომ აღარ გსურთ მისი უდიდესი საიდუმლოს შეცნობა? რატომ აღარ ეზიარებით?! რამ დაგაკარგვინათ რწმენა? რა ჩაიდინეთ?!“ აღშფოთებულმა მივუგე, არასოდეს შემიცოდავს-მეთქი; არ დამიჯერა, თუმცა „ცოდვები“ შემინდო; ჩემი რწმენის ოაზისი ნაცარტუტად იქცა და სულიერების ზეობა სამუდამოდ დასრულდა; ღმერთზე საუბარიც კი გულს მირევდა; მღვდლებს, ამ ანაფორიან ყორნებს სათოფეზე აღარ ვეკარებოდი! მათ რომ ვხედავდი, ზიზღით მაჟრჟოლებდა. იმ წელს ფილოსოფიას ერთი ჩასუქებული, აპოპლექსიით შეპყრობილი მღვდელი მასწავლიდა, რომელმაც მითხრა, ურწმუნო, უგრძნობი, უსულგულო, გულგამომშრალი და გამოფიტული ადამიანი ხართო; ალბათ, ვერც კი მიხვდა, რომ ჩემს გულში შემორჩენილი რწმენის ნარჩენებიც კი სამარადისოდ გაანადგურა; ღმერთი, ეს გახრწნილი ცხედარი, გულზე მძიმედ რომ დამწოლოდა, წარსულის თვალუწვდენელ უდაბნოში დავასამარე.

ცხადია, როცა რწმენა დავკარგე, გულში სიცარიელემ დაისადგურა; მე და პასკალი სერიოზულ საკითხებზე მაღალფარდოვანი ფრაზებით ვსაუბრობდით ხოლმე; ერთხელ მითხრა, უფალი უძირო, უკაცურ ზეცაში კი არა, ჩვენს გულებში უნდა ვიპოვოთო; ჩემი გული კი მხოლოდ სევდისა და მოწყენილობის ტალღებს შთაენთქა და მამაზეციერის თვალისმომჭრელი ბრწყინვალება საუკუნოდ ჩამქრალიყო; დღესაც კი მაგონდება ის საზარელი წუთი, როცა ცხადად დავინახე უფერულ, უნაყოფო დღეთა უსასრულო წყება; მივხვდი, რომ ამაო ცხოვრება მელოდა, შიშმა შემიპყრო, თვალთ დამიბნელდა და თავბრუ დამეხვა... სასადილო ოთახში ვიჯექი, მაგიდაზე მიმოფანტულ გაზეთებს თანაბარ კვადრატებად ვჭრიდი და პატარა ზონრებზე ვასხამდი, რათა სახლის კედლები ამ ლამაზი გირლანდებით დამემშვენებინა; პასკალი

წიგნს კითხულობდა და რჩეულ, ნატიფ ეპითეტებსა და აფორიზმებს გამალებით იწერდა რვეულში, დედა კი სამზარეულოში ფუსფუსებდა და ღიღინებდა; უეცრად მომეჩვენა, რომ სანთელივით ჩამოვიღვენთე, ძალ-ღონე გამომეცალა, ხორციელი საბურველი შემომეძარცვა და ფიტულად ვიქეცი; უფრო და უფრო ვიძირებოდი სიცარიელისა და ამაოების უძირო მორევში. უმიზნო ცხოვრება გაუსაძლის საშინელებად, საზარელ ღამეულ სიზმრად მესახებოდა; განწირულ კაცთა მოდგმას უსიხარულო და უიმედო ყოფა ულმობელ სასჯელად მოვლენოდა.

თავქარიანი, ჭკუამხიარული და ზედაპირული გოგონა არასოდეს ვყოფილვარ; მაშინ კიდევ უფრო მძაფრად, გაცხოველებით ვიგრძენი წუთისოფლის ამაოება; ყოველგვარი შრომა უაზრო ფუსფუსად, უნაყოფო დრტვინვად მეჩვენებოდა; თავს აღარ ვუვლიდი, დაუდევრად ვიცვამდი, დილაობით ზიზღმორეული ვიბანდი და თმას ძალისძალად ვივარცხნიდი; ჩემი ოდინდელი სილაღე და სიხალასე გამქრალიყო; როცა დედა დამიძახებდა, სტუმრებს შეეგებეო, სასტუმრო ოთახისკენ ფეხათრევით მივდიოდი, უსახურ არსებებს გულცივად ვესალმებოდი და კუთხეში ჩამოვჯდებოდი; კრიჭაშეკრული, სკამს აქეთ-იქით ვარწევდი და ჭერს თვალთმაქცური აღფრთოვანებით ვაცქერდებოდი. როცა პასკალი მეტყოდა, ჩემს მეგობრებთან წავიდეთო, თვალები გააფთრებული სიძულვილით წამომენთებოდა! ჩემმა ძმამ ლიცეუმსა და სორბონაში უამრავი მეგობარი შეიძინა! ო, რა საშინელება იყო! როცა ვინმეს გაიცნობდა, იმ გაუმაძღარ გლეხკაცს ემსგავსებოდა, ბარაქიანი მოსავლით რომ ტკბება; ყველაზე დიდი საშინელება კი ის გახლდათ, რომ მის მეგობრებს უსახური, სევდიანი და შემოდგომის წვიმასავით გულისგამაწვრილებელი დები ჰყავდათ; ამ მომავალ მასწავლებლებს იმაზე ფიქრიც კი ზარავდათ, რომ ეულად შთენილნი, სამარის კარამდე მოსაწყენ პროვინციაში იცხოვრებდნენ და მათი ახალგაზრდობის ნეტარი დღეები სულისშემძვრელ, უნუგეშო მარტოობაში გაილეოდა; ამიტომ, თითქოს, უნებურად უყვარდებოდათ ერთმანეთი, დარდის გასაქარვებლად ხშირად იკრიბებოდნენ, ცეკვავდნენ, ლიტერატურაზე საუბრობდნენ და შინგამომცხვარ პატარა ნამცხვრებს მიირთმევდნენ. მათ იდილიასა და ჰარმონიულ ურთიერთგაგებას მსახვრალი დრო ვერას დააკლებდა. დედაჩემი მაიძულებდა, ყველა წვეულებაზე წავსულიყავი, რადგან იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე თავაზიან, ნიჭიერ ყმაწვილს მივთხოვდებოდი, პროვინციაში დავსახლდებოდით, მშვიდი ცხოვრებით დავტკბებოდით, ჩემი თანამეცხედრე მასწავ-

ლებლად იმუშავებდა, მე კი სამაგალითო, უბადლო ცოლი და დედა ვიქნებოდი... ზიზღი მიპყრობდა, როცა სასტუმრო ოთახის სარკეში ცხვარივით დახუჭუჭებულ ჩემს თმას, ოფლით დაცვარულ სახეს, სუსტ, უღონო სხეულსა და ისპანახივით მწვანე თავთის კაბას შევავლებდი თვალს; ცეკვა მძულდა; სისხლის ზვირთები ღრიალით აწყდებოდა ჩემს ნაზ კანს, ალმური მედებოდა, ძალ-ღონე მეცლებოდა და ისე ვდუნდებოდი, ვფიქრობდი, საცაა გული წამივა-მეთქი; ისედაც გავარვარებული სხეული ცხელი შანთით მედაღებოდა; ამ თითქოსდა, ჯოჯოხეთურად მწველ დაღლილობას ვეღარ ვუძლებდი; როცა ეს ყოვლისდამნაცრავი ცეცხლი მინავლდებოდა, ცოტათი ვმშვიდდებოდი და მტანჯველი შეგრძნება უკვალოდ ქრებოდა, მაგრამ გულს მაზიდებდა. ამ უმაქნისი ხალხის დანახვაც კი არ მინდოდა. როგორც კი ჩემი სახლის ზღურბლს გადავაბიჯებდი, ცრემლად ვიღვრებოდი. შეფიქრიანებულმა დედამ მითხრა, შეგიძლია, წვეულებებზე აღარ წახვიდეო. როგორც იქნა, ჩემს წამებას ბოლო მოეღო და ნება დამრთეს, ნეტარ სიმშვიდეს მივცემოდი!

არ მიზიდავდა ამქვეყნიური სიამის, ნეტარებისა და სიხარულის განცდა; მხოლოდ რომანების სამყაროს მარადუშრეტ წყაროს ვეწაფებოდი; ამ უდიდეს საიდუმლოს ბავშვობაშივე ვეზიარე, ღრმად მწამდა, რომ წიგნი ჩემი ერთადერთი საუნჯე იყო და არ შემეძლო, მისთვის ეჭვის თვალით შემეხედა. ჩემმა მასწავლებლებმა დედაჩემს უთხრეს, თუ მარგერიტი სორბონას უნივერსიტეტში ისწავლის, ამ ათეიზმის შხამით მოწამლულ, გზასაცდენილ, გარყვნილ და გადაგვარებულ სტუდენტთა ცოდვის ბუნაგში რწმენას დაკარგავს, გაირყვნება და უზნეო ქალად იქცევაო; გონიერმა მარსელმა ოქროს შუალედი იპოვა: დედას შესთავაზა, სენტ-ანჟის სასწავლებელში ექსტერნად ისწავლოს და კერძო გაკვეთილებზე იაროსო; ამ ღვთივკურთხეულ ცოდნის სავანეს, ამაოების ზვირთებზე მოტივტივე ამ უზარმაზარ ხომალდს გაწაფული მეზღვაურებივით მართავდნენ სამაგალითო ქრისტიანული სათნოებით განმსჭვალული კდემამოსილი ქალები – მადამ ლერუა და მადმუაზელ ლამბერი. ახალგაზრდული მგზნებარებითა და ღვთის რწმენით გულაღვსებული მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მოწაფეთა „სულიერ აღზრდას“; სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ ჩემი „სულიერი მწყემსები“. არნახული გააფთრებით, თითქმის ავადმყოფური გზნებით შევუდექი სწავლას; პასკალმა და მარსელმა თქვეს, დროა, მარგერიტს დიდი სიფრთხილით წავაკითხოთ თანამედროვე ლიტერატურაო; ხარბად დავეწაფე იმ მწერლების წიგნებს, რომელთა ნუსხაც დიდი სჯა-ბაასის, კამათისა და ფიქრის

შემდეგ შეადგინეს; პედანტური გულმოდგინებით, დაწვრილებით განიხილავდნენ თითოეული ავტორის შემოქმედებას; მათ მახვილ თვალს უზნეობა არ გამოეპარებოდა! არ უნდოდათ, მათი უმანკო და ბილწ რომანებს შეერყვნა; დღედაღამ წიგნებში მქონდა ჩარგული თავი; ამ ჯადოსნური ტბის ტალღებზე ვლივლივებდი და ხალხს ძალიან უცნაურ და საზიზღარ გოგონად მივაჩნდი; ყველანი ისე შემომცქეროდნენ, თითქოს, რაღაც გულშემზარავი არსება ვყოფილიყავი. მარსელი ამაოდ შემაგონებდა, უნდა გიყვარდეს ლამაზი ყვავილები, ცისფერი პულოვერები და სამშვენისები, ქალს რომ სილამაზეს, მომხიბვლელობასა და მომნუსხველ შარმს ანიჭებსო; გულს მირევდა ამგვარი ყალბი სინატიფე და სისათუთე.

როცა დამ მითხრა, „ერთ მუშტად შეკრულ საზოგადოებას“ შემოუერთდი და მენილმონტანის ქუჩაზე ახალგაზრდა, ღარიბ-ღატაკ მუშებს მორალი, ფილოსოფია და ლიტერატურა შეასწავლეო, ცნობისმოყვარეობით ავენთე, სმენად ვიქეცი და გავიფიქრე: „თუ მუშაობას დავიწყებ, ჩემი ცხოვრება ცოტათი მაინც შეიცვლება; მინდა, სიახლის თავბრუდამხვევი სურნელით დავტკბე.“ პირველივე გაკვეთილზე ვიგრძენი, რომ ამაო საქმეს მოვკიდებოდი, მაგრამ მარსელს არაფერი ვუთხარი. საოცარი შეგრძნება მეუფლებოდა, ღამღამობით დაწესებულებიდან გამოსული, უცნობ, ბნელ ქუჩებს მარტოდმარტო რომ გავუყვებოდი; ვერაფერს ვხედავდი; თითქოს, ბრმა ვიყავი; არ გახლდით მიჩვეული მიწიერი მშვენიერების ცქერას, მაგრამ წყვდიადში სწრაფად მიმავალს აღმაფრენა მეუფლებოდა; ვგრძნობდი, ჩემ თვალწინ შეუცნობელი, იდუმალებით მოცული, უკიდეგანო სამყარო გადაშლილიყო; გაჩახჩახებული ბისტროებიდან ბარბაცითა და ხელის ცეცებით გამოდიოდნენ ლოთები, შაპელის ბულვარში, სასტუმროების ფერად აბრეშქვეშ მდგარი როსკიპები ვნებიან ღამეულ თავგადასავალს ელოდნენ. ქვეყნიერება კეთრით შეპყრობილ, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვულ სნეულს დამსგავსებოდა; როცა ვაკვირდებოდი, საშინელი ზიზღი მიპყრობდა, მაგრამ ვნატრობდი, ნაზად, თრთოლვით შევხებოდი ამ სნეულს და მისი იდუმალი სუნთქვისთვის დამეგდო ყური; მნუსხავდა და მაჯადოებდა ეს საზიზღარი, უფორმო მასა, ეს უზარმაზარი ურჩხული.

სწორედ ასეთი შიშნარევი აღფრთოვანება დამეუფლა, როცა პირველად შევავლე თვალი დენისის სახეს; ეს უნცაური ახალგაზრდა მაგნიტივით მიზიდავდა, მაგრამ რატომღაც, თავზარსაც მცემდა; თავიდან ამ გულჩათხრობილ არსებას არ ვენდობოდი, ეჭვის თვალით ვუყურებდი და მასთან საუბარსაც კი თავს ვარიდებდი. აბა, მარსელის

ქმარს ხომ არ გავეკეკლუცებოდი?! არა! არა! ამ სამარცხვინო უზნეობას ჩემს დღეში არ ვიკადრებდი! თუმცა, მალევე მივხვდი, რომ ის არც დეროშს ჰგავდა და არც – არავის. ასეთი საოცარი, გამორჩეული და დიდებული ადამიანი არასოდეს მენახა; ჩვენს უმიწკვლო ოჯახში გრიგალივით შემოიჭრა ახირებული და დაუდგრომელი პოეტი, ეს ხორცშესხმული უტიფრობა, ეს თავზარდამცემი სკანდალი, ეს შეუცნობელი ფენომენი და სადაც იყო, ყოველივეს მოსრავდა; არნახულად მომხიბვლელი, პირმშვენიერი, მიმზიდველი და მაცდური დენისის ხელგაშლილობა, ელეგანტურობა, დაუდევრობა და გულარხეინობა ყველას გულისწყრომას აღუძრავდა; ჩვენი სახლის კარი პირველად შემოაღო კაცმა, რომელსაც შეეძლო, მთელი დღე სავარძელში ენებივრა და მცონარობით დამტკბარიყო; დედაჩემსა და პასკალს უმძიმდათ ბედოვლათ სიძესთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება; ზოგჯერ მისი ბავშვური ჟინიანობა თავგზას მირევდა და მაოგნებდა, მაგრამ ამ ქარიზმატულ მგოსანს ჩემსავით არავინ ეთაყვანებოდა! ვიცოდი, მისი გარეგნული ფრივოლურობის მიღმა მდიდარი შინაგანი სამყარო იმალებოდა. ყველანი უდიერად ეპყრობოდნენ, მე კი დიდ პატივს ვცემდი და ჭირვეული ახალშობილივით თავს დავკანკალებდი; ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს, უკვე გაელია ცხოვრების ნარ-ეკლიანი გზა და უთვალავი ქარტეხილისა და ტანჯვა-ვაებისთვის გაეძლო; გულის კარს არავის უღებდა; რაწამს ვინმე მისი ძვირფასი საიდუმლოებების ხელყოფას განიზრახავდა, ხელს გულცივად ჰკრავდა. ასეთი გულჩათხრობილობა მისი გაცნობის სურვილს კიდევ უფრო მიცხოველებდა; ჩემთან საუბარსაც კი არ კადრულობდა; გატაცებით შევცქეროდი, როგორ დასთამაშებდა იდუმალი ღიმილი ლამაზ, ალისფერ ბაგეზე და ვნატრობდი, მის ფარულ აზრს ჩავწვდომოდი. როცა ეს ენაწყლიანი არსება პასკალს ეკამათებოდა, ან კიდევ დედას დასცინოდა და უმოწყალოდ აქილიკებდა, სიხარულით ვუბამდი მხარს; ისეთ თბილ, ნაზ, ალერსიან მზერას მომაპყრობდა, თითქოს, მადლობას მიხდიდა; ო, როგორ ვაღმერთებდი მის ლამაზ თვალებს! მსურდა, უფრო ხშირად მომეპოვებინა მისი კეთილგანწყობა, ჩემთვის სიყვარულის სხივით გაბრწყინებული თვალები შემოენათებინა და მისი ჭეშმარიტი მეგობარი გავმხდარიყავი, მაგრამ საუბედუროდ, დიდ ყურადღებას არ მაქცევდა. მომხიბვლელი და მაცდური სულაც არ გახლდით; გარდატეხის ასაკს, – ამ საზარელ ჟამს ბოლო არა და არ მოეღო! „გარდატეხის ასაკი!“ – ეს საშინელი სიტყვები შხამიანი ასპიტის აუტანელ სისინად ჩამესმოდა. ზოგჯერ, როცა სარკეში ვიხედებოდი,

მეჩვენებოდა, რომ თვალწარმტაცი სილამაზით ვბრწყინავდი; ჩემი მორკალული წარბები, თხელი ცხვირი და ნიკაპი ძალიან მომწონდა; სასიამოვნო, სანდომიანი სახე, ნატიფი, ნორჩი ტუჩები მქონდა და ცისფერი თვალები ისე მიელავდა, თითქოს, ჩემ თვალწინ ჯადოსნური, წარმტაცი სურათი იხატებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ხატება მალევე ინთქმებოდა წყვდიადში; მსწრაფლწარმავალი ზმანება უკვლოდ ქრებოდა და კვლავ ჩემს ნამდვილ, შემზარავ სახეს ვხედავდი. შუბლი მუწუკებით დამწინწკლოდა, მძულდა წითელი ლოყები და ცხიმიანი თმა... დენისის თვალში ერთი უბრალო, უშნო, არაფრით გამორჩეული მოსწავლე ვიყავი; საშინლად ვიტანჯებოდი; ვხვდებოდი, ჩემს სიმახინჯეს ვერასოდეს მოვსპობდი. ის გაუთავებლად ლაპარაკობდა ბოჰემური მხურვალებით გაჟღენთილ ბარებზე, სალონებზე, დანსინგებსა და კაფეებზე, მაგრამ ამ მშვენიერი გასართობი ადგილების წარმოდგენაც კი არ შემეძლო. რა საბრალო ბურჟუა ვიყავი! დენისს მთელი გულით უყვარდა მწერლები და მხატვრები, რომელთა სახელებიც კი არასოდეს მსმენოდა; როცა ყურს ვუგდებდი, მეჩვენებოდა, რომ ცხოვრებას სულ არ ვიცნობდი; თითქოს, გარესამყარო ის უზარმაზარი წიგნი იყო, რომელიც ჩემმა მშობლებმა, მასწავლებლებმა, პასკალმა და მარსელმა, ამ მკაცრმა, პირქუშმა ცენზორებმა უმოწყალოდ დაანაკუწეს და უგემური, უფერული, მიწიერი „სიმდაბლისა“ და „სიბილწისაგან“ განწმენდილი ფურცლები შემომაჩეჩეს; ცხადია, ამ საშინლად დაკნინებულ, დაჩეხილ, დაფლეთილ, დამცრობილ და დამახინჯებულ ტექსტშიც კი დროდადრო გაიელვებდა დედნის ლამაზი სიტყვები და აფორიზმები, მაგრამ შეკვეცილ ეპიზოდთა მსწრაფლწარმავალი სიამე გახელებულ ცნობისწადილს ვერ მიკლავდა.

მშობლებსა და და-ძმას გულშემზარავ ოჯახურ საპყრობილეში არ გამოვუმწყვდევივარ, თუმცა... როცა მთელს პარიზში დიდი ალიაქოთი ატყდებოდა და ხმა გავარდებოდა, ამა თუ იმ მაღალმხატვრულმა სპექტაკლმა ან ფილმმა მაყურებელი აღაფრთოვანაო, თეატრსა და კინოში დაუფიქრებლად მივდიოდით, რათა გვეხილა სანახაობა, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ეს ნეტარება ელვის უსწრაფესად ქრებოდა; სასიამოვნო შეგრძნებებით ნაჩქარევად უნდა დავმტკბარიყავით და შინ კისრისტეხით გავქცეულიყავით, რადგან სამზარეულოში ფინჯანი ცხელი შოკოლადი გველოდა... ეს ხანმოკლე „გართობა“ ოჯახური სადილ-ვახშამივით მოსაწყენი გახლდათ; როდესაც მშობლებსა და და-ძმასთან ერთად ვსეირნობდი ან ფილმს ვუყურებდი, მეჩვენებოდა, რომ დრიუფების საგვარეულო

პორტრეტს ვუმზერდი და ვოცნებობდი, მისი ვიწრო, სულის შემ-ხუთავი, დრო-ჟამისგან გაშავებული ჩარჩო მტვრად მექცია და ამ საზიზღარი ზეიმებიდან შორს გავქცეულიყავი, მაგრამ ამაოდ... ქალაქში დავეხეტებოდი, მაგრამ თითქოს, მაინც ბნელ დილეგში ვგოდებდი, ბორკილდადებული... პანსიონში აღზრდილ, თავისუფ-ლებამოწყურებულ იმ ქალიშვილს ვგავდი, ამხანაგებსა და მასწავლებ-ლებთან ერთად რომ დასეირნობს და ცდილობს, სისხლისმსმელი ფურიებისგან თავი დაიხსნას და აღვირახსნილი ფაშატივით ველად გაიჭრას, მაგრამ სამარადისო ტყვეობაში ეულად შთენილ იასავით ჭკნება და მონობის უღელქვეშ გმინავს. მაშინაც კი, როცა პარიზის ქუჩებში მარტოდმარტო მივაბიჯებდი, მოსვენებას არ მაძლევდა მარტოსულობისა და მიუსაფრობის მტანჯველი შეგრძნება; ეს პირქუში სამყარო ცივად მკრავდა ხელს და თავის გულისგულში არ მიშვებდა. ჩავუვლიდი ხოლმე ბელვილის ქუჩის ნაირფრად აჭრელებულ, ღამეული ვნებით ათრთოლებულ პატარა კაფეებს, მაგრამ მათი გაჩახჩახებული, დაორთქლილი ვიტრინები საამო მოგონებებს არ აღმიძრავდა; შავი ყავის სიტკბოს, სითბოს, პატეფონის დუდუნა ხმის, სიგარეტის კვამლის, აელვარებული დარბაზების, მაგიდების, ქათქათა სუფრების, ქალებისა და მამაკაცების წარმოდგენაც კი მიჭირდა... ისეთი გულგამეხებული ვიყავი, სილამაზესაც კი ვეღარ ვამჩნევდი; კაფე უსახურ, მითიურ, მახინჯ, ზედაპირულ, ხანმოკლე, ცრუ დეკორაციად, წამიერ მოჩვენებად მესახებოდა, რადგან აზრადაც არ მომდიოდა მისი კარის შეღება. ვხედავდი საღამოს ბინდბუნდში გახვეულ აჭრელებულ კინოაფიშებს, მაგრამ ბილეთი ერთხელაც არ შემიძენია; კინოთეატრის სალაროსა და ჩემ შორის უხილავი კედელი აღმართულიყო; თითქოს, თვალს ნისლი გადამფარებოდა; არ ვიცოდი, რომ ქალები ქუსლების კაკუნით დახტოდნენ, ფიცარნაგები ჭრიალებდა, კოვბოები ცხენებს დააგელვებდნენ, ანტრაქტებისას მაყურებლები მომჟავო კანფეტებს წუწნიდნენ... ამ ნეტარების არათუ განცდა, წარმოდგენაც კი არ შემეძლო; ჩემს გულში არ ცოცხლობდა იმედებისა და მოგონებების ლამაზი სამყარო; უგრძნობ, გულქვა არსებად ვქცეულიყავი; არაფერს ველოდი, არაფერი მახარებდა... ჩემში უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა; თითქოს, ამ სამყაროსგან უსაზღვროდ შორს, თვალუწვდენელ სივრცეში ბუმბულივით დავ-ფარფატებდი და საგანთა იმ უსახურ, საზარლად მოშიშვლებულ ზედაპირს ვეხებოდი, რომელიც პოეზიის მომნუსხველი სხივით არ ბრწყინავდა და სულიჩამდგმელი დაპირებებით ვერ მავსებდა; გახევებულს არასოდეს მიცდია მათ გულისგულში შეჭრა და სილა-

მაზით ტკბობა; დენისმა ჩემში ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი ააგიზგიზა; როცა ყურს ვუგდებდი მის ბაგეთაგან გადმოღვრილ ჯადოსნურ სიტყვებს, ვგრძნობდი, რომ იმ სამყაროში ფასდაუდებელი განძი იყო დამარხული, მაგრამ მის დაუფლებას ჩემს დღეში ვერ შევძლებდი, რადგან ვერ დამემსხვრია მონობის ბორკილი და თავისუფლების წყაროს ვერ დავწაფებოდი; თითქოს, ცხოვრება იმ უცხო სავანედ მეჩვენებოდა, რომელსაც სტუმარივით კრძალვით ვათვალიერებდი, მაგრამ მისთვის ხელის ხლებაც კი ვერ გამებედა; დედაჩემს, მარსელსა და პასკალს ერთმანეთის შესანიშნავად ესმოდათ, თავს იწონებდნენ მაღალფარდოვანი საუბრებით, უამრავ ხალხს იცნობდნენ, მაღალ წრეში ტრიალებდნენ, მაგრამ მაინც ძალზე შესაბრალისნი და უმწეონი ჩანდნენ; დენისისთანა იდუმალი და მიმზიდველი ადამიანი ცისქვეშეთში არ მეგულებოდა; უსამართლო და სასტიკი წუთისოფელი ურჩი ცხენივით გაეხედნა, გაგიჟებული, დუჟმორეული პირუტყვისთვის ლაგამი ძალისძალად ამოედო და უმოწყალო ორთაბრძოლის დასასრულს, უნაგირიც ოსტატურად, მოხდენილად დაედგა; სამყარო, თითქოს, მის ბრწყინვალე საუფლოდ ქცეულიყო, სხვები კი მისი მოკრძალებული და უსიტყვო მონები გახლდნენ; ეს უდღეური და უმაქნისი ქმნილებები ცხოვრების მგზნებარებას ვერ შეიგრძნობდნენ და ამქვეყნად ადგილს ვერასოდეს დაიმკვიდრებდნენ; მხოლოდ დენისი შეძლებდა, ეჩუქებინა ჩემთვის საოცნებო სამყაროში შესასვლელი კარის გასაღები; თუ ეს ქარიზმატული პოეტი მიწინამძღვრებდა, ყველა სამფლობელოს დავიპყრობდი, გალხვებოდა ჩემი გაყინული გული და ვიგემებდი აკრძალულ ხილს; დენისს ჩასაფრებული ნადირივით ვუთვალთვალებდი; ეს მუზათა მსახური სულ გამირბოდა და ჩემთან საუბარს თავს არიდებდა, მე კი მეტისმეტად მორცხვი ვიყავი და მისთვის უბრალო შეკითხვის დასმასაც კი ვერ ვბედავდი; როცა მაგიდას მიუჯდებოდა, გულუხვად აფრქვევდა ჯადოსნური ფერებით აელვარებულ სიტყვებს; ო, როგორ მსურდა, შემეპყრო ჩიტივით ჰაერში მონანავე ეს არნახული სიმდიდრე და ჩემი არსების დილეგში გამომემწყვდია! დღედაღამ გულში ვიმეორებდი მის ფრაზებს, რადგან არაფერი მესმოდა, მაგრამ უმეცრების წყვდიადში შთანთქმულ ჩემს გონებას მზის კაშკაშა სხივები ნელ-ნელა ეფინებოდა, თვალი მეხილებოდა და ვხვდებოდი, რომ მის უბრალო წინადადებებს მიღმა იმალებოდა გასაოცარი სიბრძნე, ფილოსოფიური და მორალური იდეები, ღრმა, ფარული აზრები, ზნეობრივი რჩევა-დარიგებანი და შეგონებანი; ზოგჯერ, მის ვნებიან, ალისფერ ბაგეს ისეთი სიტყვები მოსწყდებოდა,

მის ადრინდელ აზრებს ნაცარტუტად რომ აქცევდა; ძალიან დაბნეული ვიყავი; ვერ გამეგო, რას ფიქრობდა ეს ახალგაზრდა... ო, მისი ურთიერთგამომრიცხავი აზრების ერთმანეთთან მისადაგება მომქანცველი შრომის ტოლფასი იყო! მეჩვენებოდა, რომ მისი ტვინის ბნელ ლაბირინთში ხელის ცეცებითა და ბორძიკით მივიკვლევდი გზას და გასასვლელი ვერა და ვერ მეპოვა.

ერთხელ მე და დენისი შინ მარტო დავრჩით... სასადილო ოთახში ვიჯექი და ბერძნულ ტექსტს ფრანგულად ვთარგმნიდი; ანაზდად, კარი ხმაურით შემოაღო, ზღურბლს გადმოაბიჯა და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა; თმა ასწეწოდა, ყელზე მწვანე შარფი შემოეხვია და ფეხს დაუდევრად იქნევდა აქეთ-იქით; სიგარეტს მოუკიდა და უეცრად მკითხა: „მარგერიტ, ნუთუ ერთხელაც არ მოგსურვებიათ, ყველა წიგნი ფანჯრიდან მოგესროლათ?“ გაოცებული მზერა მივაპყრე; ნამძინარევი ჩანდა; „არა! ცხოვრების აზრს დავკარგავ და მცონარობა მომკლავს! წიგნებს თუ გადავყრი, რა საქმეს ვეწიო?!“ – ვკითხე მე. ბაგე ღიმილმა გაუპო, მომრგვალებულ ხელისგულში ორსუიანი მონეტა შეათამაშა და თქვა: „რა მნიშვნელობა აქვს?!“ „ო, როგორ ვნატრობ, ისეთი საქმე მაპოვნინა, რომლისთვისაც ღირს ჭაპანწყვეტა და დაუსრულებელი ტანჯვა-ვაება,“ – ამოვიოხრე მე. (ასეთი გულსაკლავი სიტყვები მხოლოდ იმიტომ წარმოვთქვი, რომ მინდოდა, მისი ცნობისმოყვარეობა გამეღვიძებინა; სინამდვილეში, ბერძნული ტექსტების ფრანგულად თარგმნაც ძალიან მომწონდა).

„ამქვეყნად არც ერთი საქმე არა ღირს ჭაპანწყვეტად და დაუსრულებელ ტანჯვა-ვაებად, მარგერიტ,“ – დაიჩურჩულა მან.

ყური ვცქვიტე; როდესაც ასეთ დიდებულ სიტყვებს ვისმენდი, გული ძალუმად მიძგერდა და მეჩვენებოდა, რომ მარადისობას ვერწყმოდი.

„ამ საშინელი სახლიდან ძალიან, ძალიან მალე უნდა გავიქცე; ამ საპყრობილეში სული მეხუთება... თქვენც ხომ კარგად იცით ეს?! გამოცდები უნდა ჩავაბარო და ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოვიპოვო; სარჩო მუხლჩაუხრელი შრომით უნდა მოვიპოვო. არ მინდა, ლუკმა დამაყვედრონ!“ – მივუგე დაბნეულმა.

წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა; დროდადრო, ლამაზ თავს გადაიქნევდა და თვალებზე ჩამოშლილ, ურჩ, ბზინვარე კულულს კვლავ უკან გადაიყრიდა; ხმის ამოღება არ შეგვეძლო; თითქოს, რაღაც უხილავი ძალა ენას გვიდამბლავებდა; მტანჯველი სიჩუმე უსაშველოდ გაიწელა; თითქოს, უეცრად თვალი ამეხილა და წყვდიადში შთანთქმულ ჭეშმარიტებას ნათელი მოეფინა: შრომაც კი ამაო გარჯა

და უნაყოფო ფუსფუსი იყო! ცხოვრების აზრი დავკარგე; უკანასკნელი მასულდგმულებელი იმედი, ეს მოციმციმე შუქვარსკვლავიც კი ჩაქრა. როგორც იქნა, დენისმა სიჩუმის დარღვევა გაბედა:

„ცუდ გზას ადგახართ...“ – მითხრა სერიოზული სახით და ისეთი დაჟინებული, გულში ჩამწვდომი მზერა მესროლა, მივხვდი, რომ დიდხანს გულმოდგინედ აკვირდებოდა ჩემს ცხოვრებას, შინაგან სამყაროსა და საქმიანობას! რა ბრმა ვყოფილვარ! მის თვალებში მოგიზგიზე ცნობისმოყვარეობის ცეცხლი როგორ ვერ შევამჩნიე?! „ცდებით, მარგერიტ. თავისუფლება, ეს დამარხული განძი, ასე მშვიდად, აუჩქარებლად, გონივრულად და გულდადინჯებით არ უნდა ეძებოთ, თორემ მონობის ბორკილს ვერასოდეს დაამსხვრევთ; თავისუფლებაც კი უსარგებლო ნივთივით უნდა მოისროლოთ ფანჯრიდან; ამ ძვირფას საუნჯეს მხოლოდ მაშინ დაისაკუთრებთ, როცა გულგრილობით აღივსებით და მიხვდებით, რომ ის ჩირადაც არ გიღირთ და რომ ქვეყნად ყოველივე ამაოა.“

თავი საშინლად დამცირებულად ვიგრძენი; ვეღარ ვუმკლავდებოდი მოზღვავებულ ტკივილს, სირცხვილსა და მრისხანებას; დენისი მართალი იყო! ამ „გონებანათელი“, „დინჯი“, „კეთილგონიერი“, „მშვიდი“, სულმდაბალი, მეშჩანი, წუწურაქი და ხარბი ხალხის პირმშო გახლდით! დამპალი, საზიზღარი თესლისგან აღმოცენებული ნაყოფი, დაწყევლილი მოდგმის შვილი, ზედაპირული, უსახური, უინტერესო, პატარა ბურჟუა გოგონა! თავისუფლებას მართლაც რომ „გულდამშვიდებით“ ვეძებდი და მამისეული სახლის მიტოვება ვერა და ვერ გამებედა; თავისუფლება იმ ფულად მესახებოდა, რომელსაც ხელმომჭირნე დედაჩემი შავი დღისთვის ინახავდა და მეგონა, ამ განძს სიბერის ჟამს მაინც „მოვიხელთებდი“; დენისი მხიბლავდა, რადგან მის არსებაში გასაოცრად შერწყმულიყო დაუდევრობა, გულარხეინობა, ქედმაღლობა და სასოწაკვეთა; მისი უდარდელობის მდინარე, თითქოს არნახული სიმწრისა და ტკივილის ბალღამმა შთანთქა; ვეთაყვანებოდი უსახურ ბრბოზე ამაღლებულ ახალგაზრდას; პირზე შეკითხვების აზვირთებული ტალღა მომაწყდა, მაგრამ დენისს ვერაფრის თქმა ვერ შევბედე.

„მაშ, რაღა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუკი ყოველივე სანუკვარი მტვრად იქცა და ჩვენი მწველი სურვილები, ოცნებები და დიადი მიზნები განქარდა?!“ – როგორც იქნა, გავბედე და ჩურჩულით ვკითხე. „მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება გრძელდება, მარგერიტ,“ – მითხრა მან, მხრები აიჩეჩა და მზერა დაენისლა. „იქნებ, ყოველივე ამაოა? იქნებ, ცხოვრებაც კი ერთი დიდი აბსურდია?!“ – არხეინად

განაგრძო მან: „თუმცა, სიცოცხლეც ისეთივე აბსურდია, როგორიც – სიკვდილი. ადამიანი განწირულია თავისუფლებისათვის; შეუძლია, გულხელდაკრეფილი იჯდეს და მცონარობას მიეცეს ან კიდევ რევოლვერს დასტაცოს ხელი, ქუჩაში გიჟივით გაიჭრას და ხალხი დახოცოს. როცა ცხოვრებისგან აღარაფერს ელი, გრძნობ, რომ ყოვლისშემძლე ხდები და სასტიკ წესებს აღარ ემორჩილები... ზოგჯერ, კი... ზოგჯერ ამ უკიდეგანო, ქაოსში ჩაძირულ სამყაროში თვალხილულ სასწაულსაც გადავეყრებით...

– სასწაულს?!

– ჰო, სასწაულს: ჭეშმარიტად უანგარო საქციელს, სიტყვათა და ფერთა მეტად უჩვეულო, თითქმის წარმოუდგენელ შეხამებას, წარმტაც ტილოს, ტრომპლეის, წამიერ ილუზიას, მომნუსხველ ზმანებას, სინამდვილისგან რომ ვერ გამოვარჩევთ, ორთავიან ქალს, ან კიდევ ვინ იცის, რას... დროდადრო თვალნათლივ დავინახავთ ცხოვრების ამაოებასა და აბსურდულობას, მაგრამ საუბედუროდ, ექიმები, ფილოსოფოსები, ხელოვანები და პატიოსანი, გულმართალი ადამიანები ამ ჭეშმარიტებას ვერასოდეს შეიმეცნებენ.“

პირდაღებული და გაოგნებული ვუსმენდი ამ განუმეორებელ ადამიანს! ასეთი საუცხოო, დიდებული და ბრწყინვალე სიტყვები ჩემთვის არავის არასოდეს ეთქვა!

„მეგონა, წიგნების წერას შეუდგებოდით,“ – ამოვილუღლუღე ნირწამხდარმა. სახე გაუბრწყინდა, ღიმილმა ბაგე გაუპო და მიჯრით მიწყობილი, ლამაზი, თოვლივით თეთრი კბილები გამოუჩნდა. „ადამიანმა სიკვდილამდე არ უნდა დაკარგოს იმედი, რომ ოდესმე უდიდეს სასწაულს მოახდენს,“ – მიპასუხა მან, ხალისიანი მზერა მომაპყრო და დასძინა: „ბრეტონის „სიურრეალიზმის მანიფესტს“ გათხოვებთ; დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონებათ.“

იმ დიდებული დღის შემდეგ ჩემი ოთახი მისმა წიგნებმა წალეკა; განრისხებული დედა ხშირად ოჯახურ სცენებსაც კი მიწყობდა და მეუბნებოდა, ამ სიბინძურეს ნუ კითხულობო. პასკალი ხშირად არ მსაყვედურობდა, მაგრამ სევდიან და გამქირდავ მზერას მტყორცნიდა ხოლმე. ამ ბრიყვებს ეგონათ, ეს „გარყვნილი“ რომანები სულს წარმიწყმედდა. მწერლები ულმობლად, საოცარი სიცხადით, მოურიდებლად აღწერდნენ, თამამად აშიშვლებდნენ ყოველგვარ სიბილწეს, არნახულ ავხორცობასა და სიმდაბლეს, მაგრამ ამგვარი „ზნედაცემულობა“ ვერასოდეს წამბილწავდა. უხამსი ეპიზოდების სამსალა გულს ვერ მიწამლავდა და პირუტყვულ სურვილებს ვერ მიღვიძებდა. რაღაც ამაღლებულს, მეტისმეტად დახვეწილს,

ნატიფსა და არაამქვეყნიურს მიველტვოდი; თითქოს, ჩემი სული ლამობდა მიწის ტყვეობიდან თავის დახსნას; ვფიქრობდი, რომ ყველაზე „ბინძური“ რომანები ლამაზი სიმბოლოების წყალობით მოუთხრობდნენ მკითხველს მარადისობის ძიებაში დამაშვრალი ადამიანის მარადიულ დრამას... ის მთავარი გმირებიც კი არ მეჯავრებოდა, გოგონას რომ ნამუსს ახდიდნენ, ან კიდევ ვინმეს სადისტურად აწამებდნენ; ვფიქრობდი, ამ შემზარავი საქციელით მხოლოდ თავიანთი სულის სიცარიელის შევსებას ესწრაფოდნენ; ცხადია, საშინლად მეზიზღებოდა ის ნაწარმოებები, რომელთა ფურცლებიდანაც შიშველი ვნება და ხორციელი სიამე ავხორც, თავზარდამცემ კივილად მოჩქეფდა; მე ხომ მათში რაღაც საოცარს, მიწიერი სიმდაბლისგან განწმენდილსა და დიადს დავეძებდი?!

ბევრი რამ შევიტყე ინტიმურ აქტზე; ერთ-ერთ სიურრეალისტურ ტექსტში ოცდათორმეტი პოზა აღმოვაჩინე და მათი სახელებიც კი გულმოდგინედ დავიზეპირე; მაზოხიზმს, მამათმავლობასა და კოპროფაგიას იდუმალების ფარდა ჩამოვგლიჯე, მაგრამ საუბედუროდ, ჩემი ოცნებების ხორცშესხმა ვერა და ვერ გამებედა; ისევ გულუბრყვილო და ალალ-მართალი გოგონა ვიყავი; ხელის ჩამორთმევასა და კოიტუსს შორის განსხვავებას ვერ ვხედავდი; კოცნა, ჩახუტება და ალერსი სინაზის მარტივ გამოვლინებად მეჩვენებოდა. „როცა მამაკაცი შემიყვარდება, მთელ დღეს საინტერესო საუბარში გავლევთ; ნათელი, საამო ღიმილით სახეგაბრწყინებულნი ერთმანეთს დავაცქერდებით, მერე კი საწოლში ჩავწვებით და ისეთი მარტივი, გაცვეთილი, ოჯახურ საპყრობილეში გამომწყვდეული, შებორკილი სიამით დავტკბებით, რომ მომეჩვენება, თითქოს, გონგადასული ვნებებისა და ავხორცი გულისწადილის ოკეანეში კი არ მივცურავთ, არამედ, მორყეულ, ძველისძველ მაგიდასთან ვსხედვართ და გემრიელ საჭმელს შევექცევით,“ – ვფიქრობდი ხანდახან. როცა დავინახავდი, როგორ შეაჩერებდა ხოლმე ქუჩის კუთხეში მდგარი მეძავი გამვლელ მამაკაცს, ჩემი საამაყო და სასიქადულო თავდაჯერება, სიმშვიდე და კეთილგონიერება უკვალოდ ქრებოდა და ძრწოლა და ზიზღი მიპყრობდა. რა ბრიყვი ვიყავი! დენისმა, თითქოს, თვალი ამიხილა! მას შემდეგ, რაც როსკიპებზე მიამბო, ამ „გარყვნილ“ და „ზნედაცემულ“ ქალებს შიშნარევი აღფრთოვანებითა და შურითაც კი შევცქეროდი.

სიკვდილამდე მემახსოვრება ის საღამო, როცა დენისმა პირველად წამიყვანა მონპარნასის ერთ-ერთ ბარში! სახლის კარი გამოვიჯახუნეთ და კისრისტეხით გავიქეცით, საწყალობლად მოკაკვული დედა კი კიბის თავში იდგა და ისეთი განწირული ხმით კიოდა, თითქოს,

რაღაც საშინელება მომხდარიყოს; მუქი იისფერი კაბა (დედაჩემი აღმერთებდა ასეთი ხალასი ფერის სამოსს, ადვილად რომ არ ისვრება და ადამიანის თვალსაც ახარებს) და ჩალისფერი მანტო მეცვა; თვალებზე ქუდი ჩამოვიფხატე; სულ არ მადარდებდა, საშინლად რომ გამოვიყურებოდი; ტაქსიში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ შევაბიჯებდი დენისის სამყაროში ცოტა ხნით მაინც, ამ ჯადოსნურ, მაგრამ მაინც ჭეშმარიტ სამეფოში, სადაც ფეხი არასოდეს დამედგა და ბოლოს და ბოლოს, სანუკვარ გულისწადილს ავიხდენდი; მოუთმენლობისგან ვცმუკავდი, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი და თითქოს დავფრინავდი.

ტაქსი მონპარნასის ბულვართან შეჩერდა; ბარის შეღებული კარის ზემოთ ციმციმებდა ხვართქლასფრად, იისფრად, ვარდისფრად და ცისფრად აჭრელებული აბრა. დენისი წითელ ლივრეაში გამოწყობილ ტანდაბალ შავკანიანს გაეხუმრა, მან მაშინვე გზა დაგვითმო, თითქოს, წყვდიადში შთაინთქა, მხარზე შემეხო და დარბაზისაკენ მსუბუქად მიბიძგა; დავინახე ნარინჯისფერ ნისლში გახვეული მაგიდები, სვეტები, ათასგვარი საღებავით დათხაპნილი აფიშები, მოცეკვავე წყვილები; ხალხის ხმას, სიცილსა და აუტანელ გუგუნს ფარავდა მუსიკის შლეგი, თავაწყვეტილი, თითქოსდა ველური ჰანგები; დენისს ჩალისფერი, გრძელი პალტოს საყელო აეწია და მეჩვენებოდა, რომ მკაცრი, შეუვალი და იდუმალი სახე ჰქონდა; თვალს ვერ ვწყვეტდი ამ პირმშვენიერ ქმნილებას. ო, რამდენ ადამიანს ჩამოართვა ხელი! თავაზიანად იღიმოდა, თუმცა, ისეთი დაღლილი ჩანდა, თითქოს, ამგვარი გართობა, კაფეებსა და კაბარეებში დაუსრულებელი ხეტიალი და ღვინის სმა მოჰყირჭებოდა კიდეც! გამოცდილ პოეტს ყოველგვარი ნეტარება ეგემნა, მე კი ამ ბოჰემურ სამოთხეს აღფრთოვანებით შევყურებდი; მან პალტო ისე გაიხადა, თითქოს, მძიმე ტვირთი მოეხსნას; რაწამს შენიშნა, რომ დახლთან მდგარ სკამზე აბობღებას ვლამობდი, ხელი შემაშველა და მკითხა: „ჯინს ხომ არ დალევთ?“ „რა თქმა უნდა!“ – ვუპასუხე მე; ბარმენმა ყვითელი სასმელით სავსე ჭიქა მომიტანა; პატარა საწრუპით რამდენიმე წვეთი მოვსვი და ლიმნისა და ლითონის მჟავე გემო ვიგრძენი; დახლსუკან, სარკის ქვეშ, ჭრელაჭრელა ეტიკეტებით დამშვენებული ბოთლები და ამერიკის პაწაწინა დროშები ჩაემწკრივებინათ. „რა სულმოუთქმელად სვამთ!“ – მხიარულად შესძახა აღფრთოვანებულმა დენისმა და ბარმენს მიუბრუნდა: „მიშელ, მადმუაზელს კიდევ ერთი ჯინი მოუმზადეთ და პოკერი ვითამაშოთ; იცოდეთ, მოგიგებთ!“ მან მწვანე ნაჭრით დამშვენებული პატარა ლანგარი მოიტანა და თამაშს შეუდგნენ; კამათლებს

რიგრიგობით აგორებდნენ; თვალებდაჭყეტილი შევყურებდი ამ მომაჯადოებელ სანახაობას; არნახულ სამყაროში აღმოვჩნდი! სიახლის საამო სურნელი თრიაქივით მაბრუებდა; არ შემეძლო, სიტყვებით გადმომეცა ეს ნეტარი შეგრძნებები; აღარც კი ვცდილობდი თვალისმომჭრელად აელვარებული ქაოსისა და დამატყვევებელი ბურუსის გაფანტვას; შეუძლებელი იყო, მწირი ადამიანური ენით გადმომეცა ჩემ გვერდით, მაღალ ტაბურეტებზე შესკუპებული ქალების თმის, სახის ფერის, იერისა და ნატიფი ქსოვილით შეკერილი მათი კაბების სილამაზე. მეგონა, დედამიწის ზურგზე არც ერთ მაღაზიაში არ იყიდებოდა ასეთი ნაზი აბრეშუმის წინდები, თამამად ყელამოჭრილი ფეხსაცმელები და ბრწყინვალე პომადები, მათ ტუჩებს ასე რომ ამშვენებდა; იმ შეუცნობელ, განუმეორებელ, უდიდეს წყალობას, რომელიც ადამიანს სიცოცხლეში ერთადერთხელ ეღირსება, მათთვის უხვად მიემადლებინა აურაცხელი სიმდიდრე და სრულყოფილება. იმ ბიჭებს, დახლს დაუდევრად და არხეინად რომ მიყრდნობოდნენ, ტუჩის კუთხეში პატარა ნაოჭი აჩნდათ; ასეთი მოუშუშებელი იარა დენისსაც ხომ გაუსაძლისი სილამაზით მოსავდა?! ადამიანი ამ პაწაწინა დაღს თვალს რომ მოჰკრავდა, მყის მიხვდებოდა, რომ ეს ხალხი ილუზიებით არ სულდგუმლობდა, სიცრუის ნექტარს არ ეწაფებოდა და სიმართლეს გულუშიშრად უსწორებდა თვალს; გულგატეხილ ახალგაზრდებს კარგა ხნის წინ დაესამარებინათ ყმაწვილკაცური ოცნებები და სიმწრის ფიალა ერთი მოსმით დაეცალათ; მათ თვალებში კრთოდა იდუმალ, სევდიან ფიქრთა და ურთიერსაპირისპირო, მრავალწახნაგოვან გრძნობათა ალი, ჩემში კი უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა და გული გამქვავებოდა; ფრთაშესხმული შევცქეროდი მათ და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ ათენებდნენ ღამეებს თეთრად, როგორ მოგზაურობდნენ, როგორ მიიჩქაროდნენ საიდუმლო შეხვედრებზე, როგორ გულაჩქროლებული ელოდნენ ვიღაცას... თავბრუდამხვევი ვნებებით სავსე მათი სამყარო თვალნათლივ ვერ დავინახე, მაგრამ ამ ბუნდოვანმა წარმოსახვამაც კი მოსვენება დამიკარგა.

რა მარტივი იყო ყოველივე! ჩემ გვერდით მჯდომი კაცი მუხლზე ეალერსებოდა ქალს, რომელიც არყით სავსე ჭიქის ფსკერიდან ალუბლებს იღებდა და ჭამდა; გულუბრყვილო გოგონა აღარ ვიყავი; ვხვდებოდი, რომ ქალები და მამაკაცები ამ კაფეში სულმოუთქმელად ელოდნენ რაღაც დიდებულ სასწაულს; მზად იყვნენ, ამ გულზვიად ქალღმერთს უსიტყვოდ დამონებოდნენ; აქ ხომ ყოველდღე ხდებოდა უამრავი ცხადი საოცრება?! ვგრძნობდი, როგორ ელამუნებოდა ცელქ

სიოსავით ჩემს გულს ყოვლისშემძლე მისნის სასიამოვნო აღთქმა. ჭიქა ერთი მოსმით დავცალე. თვალს ვერ ვწყვეტდი დახლზე შემოდგმულ თხილით სავსე შუშის ბურთულას, ხის თეთრ ცხენს, ჭერის კაუ-ჭებზე ჩამოკიდებულ აფიშებს წარწერით: „თუკი ომი გწყურიათ, ჩაეწერეთ არმიაში!“, გრეტა გარბოს ღიმილს, მორის შევალიეს ქუდს, შარლოს ფეხსაცმელს (შარლო – პერსონაჟი, რომელსაც ჩარლი ჩაპლინი ასახიერებს ფილმში „მაწანწალა.“ მთარგმნ.), მის რძიან ყავას, უცნაური მოზაიკით მოოჭვილ კედელს; დიდ საიდუმლოს ვეზიარებოდი; სადაც იყო, ამ სასწაულს ფარდა აეხდებოდა. „თავს კარგად გრძნობ?“ – მკითხა დენისმა; ამ განუმეორებელ, უბადლო ქმნილებას აღტაცებული მზერა შევაგებე!

ყაყანი შემომესმა; ვიღაც ბიჭმა შემოსასვლელი კარი გამოაღო; წამოვდექი და საზარელი სანახაობა ვიხილე: ეს მტარვალი ვიღაცის უძრავად გაშოტილ სხეულს წიხლებს უშენდა და ქუჩისკენ მიათ-რევდა; მიტკალივით გაფითრებულს, ოფლით დაცვარული თმა სახეზე მისწებებოდა; იატაკზე გაშხლართული, გახევებული კაცი ქუჩაში ბურთივით გაისროლა, ტროტუარზე უმოწყალოდ დაანარცხა და კარი მიხურა; ხალხი სიცილით კვდებოდა; პირი დენისისკენ ვიბრუნე და თავზარდაცემულმა ვკითხე: „რა მოხდა?!“

მან მხრები აიჩეჩა და მიპასუხა: „ყოველთვის ასეთ ალიაქოთს ატეხავს ხოლმე, როცა შავკანიანის ქუჩაში გაგდება უწევს.

– ხშირად ბობოქრობს?

– თითქმის ყოველ საღამოს.“

შეძრწუნებული თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი; რა ამაზრზენი იყო! როგორ გამეტებით სცემდნენ იმ საბრალო და უმწეო არსებას! „რა გულისამრევია!“ – დავიჩურჩულე მე; დენისმა შემომხედა, თავი გადააქნია და დამცინავი, ზიზღნარევი ტონითაც კი მკითხა: „რატომ? ძალიან კარგი ტიპია; რატომ დაგცათ თავზარი მისმა საქციელმა?“

„ერთხელ შეიძლება... მაგრამ თავადვე მითხარით, ადამიანმა თავი არაფრისდიდებით არ უნდა დაიჩლუნგოს და დღემუდამ იფხიზლოს, რათა სიბრიყვის სისხლისმსმელმა ნადირმა არ დაფლითოსო.“

„ერთხელ, ბოდლერის შემოქმედებაზე დაწერილ ბრწყინვალე წიგნს რომ ვფურცლავდი, უეცრად წავაწყდი ერთ ფრაზას, რომელშიც უდიდესი ჭეშმარიტება იმალებოდა: „ცოდვა ღვთის აქილევსის ქუსლია!“ წარმოიდგინეთ, ამ ნაშრომის ავტორი გულმხურვალე კათოლიკეა!“ – შესძახა ოცნებამორეულმა; სიგარეტი მოქაჩა; კვამლი პაწაწინა ღრუბლის ქულებად გამოუშვა; ფიქრების ზღვაში ჩაძი-რულიყო. მაშინვე მივხვდი, რისი თქმა სურდა! როცა დოსტოევსკის

რომანები წავიკითხე, ეს საოცარი სიტყვები შევისისხლხორცე, მაგრამ ცრურწმენებისა და ბურჟუაზიული მორალის ამაზრზენ მარწუხებს თავი ვერა და ვერ დავაღწიე, არ შემეძლო, ამ გაუგონარი, დიდებული იდეოლოგიისთვის ხორცი შემესხა, მისით ერთიანად გავჟღენთილიყავი და ყოველდღე უშიშრად მეთქვა: „ცოდვა ღვთის აქილევსის ქუსლია!“ ამქვეყნიური სინამდვილე მაშინებდა და თავს ოცნებებს ვაფარებდი.

მეორე ჭიქა ჯინი დავცალე; ბარში აღარაფერი მომხდარა; მომეჩვენა, რომ კედლები თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდა; ვერც კი ვიგრძენი, როგორ აღმოვჩნდით ბნელ ქუჩაზე; დენისმა ნაზად გამომდო ხელკავი; ჭადრების შრიალი ჩამესმოდა; საბრალო ხეს სქელი, გამხმარი, საზიზღარი ქერქი ისე აქერცლოდა, თითქოს, რაღაც უცნაურ სენს შეეპყრო; ბულვარის დასალიერში კაშკაშებდა ვავენის გზაჯვარედინის ნათურები და ლამპიონები. ახლა უფრო აღელვებული და აფორიაქებული ვიყავი, ვიდრე მაშინ, როცა პირველად ვეზიარე; ჩემი და დენისის საარაკო ერთობას დროის მსახვრალი ხელი ვერ მოაშთობდა; ეს უხილავი ძაფი არსოდეს გაწყდებოდა; ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა; თანამზრახველებად ვიქეცით; თითქოს კაცი მოგვეკლას და საჰარას უდაბნო ფეხით გადაგველახოს. დომს მივუახლოვდით; ტერასა თითქმის ცარიელი იყო; დელამბრის ქუჩის კუთხეში, ლურჯ საფოსტო ყუთთან ახალგაზრდები საუბრობდნენ; დენისმა მეგობრულად დაუქნია ხელი, გულთბილად მიესალმა, დახლისკენ გამაქანა და ფინჯანი ყავა დამალევინა; თავბრუ მეხვეოდა; მზერა მებინდებოდა; კედლები, ხალხი, სასმელით სავსე ჭიქები, ბოთლები, მაგიდები და სკამები მორევივით ტრიალებდა; გაუთავებლად ქირქილებდა ჩემ გვერდით მჯდარი თვალებჩასისხლიანებული უცნობი; მისი სახე ბუნდოვან ლაქას დამსგავსებოდა; ვგრძნობდი, როგორ მეხებოდა მხარზე დენისის თბილი ხელი. ყოველი ქუჩის კუთხეში არნახული სასწაული ვულკანივით იფრქვეოდა და მთელ ქალაქს ჯადოსნური ფოიერვერკივით თვალისმომჭრელად აბრწყინებდა.

***

ცაში დავფრინავდი; მეგონა, დენისს ხშირად შევხვდებოდი და ღამეული თავგადასავლებით დავტკბებოდით, მაგრამ ვაი რომ იმედი გამიცრუვდა! რამდენიმე დღე ისე გავიდა, თვალით არ მინახავს! ამ სასიქადულო პოეტთან საუბარს მთელი გულით ვნატრობდი. ერთ საღამოს, როცა მე, დედა და პასკალი ვახშამს მივუსხედით, მარსელი

წუთით სკამსუკან გაირინდა და თქვა: „დედა, შეგიძლია, დენისის თეფში აიღო. ის წავიდა.“ დედას მკვდრის ფერი დაედო და სუნთქვა შეეკრა; პასკალი დას მიუახლოვდა, ხელი მაგრად, ძალიან მაგრად მოუჭირა ხელზე და მდუმარედ ჩახედა თვალებში; სასოწარკვეთილი და ძალღონეგამოცლილი მარსელი მეორე დღესვე ლოგინად ჩავარდა.

დენისის საქციელი სულ არ გამკვირვებია; ის ხომ ხშირად ასე უგზო-უკვლოდ იკარგებოდა?! ეს დაუგრომელი, მგზნებარე, გულ-ფიცხი, უსამშობლოო და უგვარტომო კაცი სიტყვის უთქმელად აიკრავდა გუდანაბადს და ცხრა მთას იქით გადაიხვეწებოდა; უმალ თავისივე ხელით მოისწრაფებდა სიცოცხლეს, ვიდრე მონობის უღელს დაიდგამდა; უღრუბლო სიმშვიდით, განცხრომითა და უზრუნველი ცხოვრებით ვერასოდეს დატკბებოდა, ჯადოსნური თავგადასავლების შლეგი წადილით განაწამები კუბოს კარამდე ბედუინივით იხეტიალებდა... მის წერილს მოუთმენლად ველოდი; მეგონა, პაემანს დამინიშნავდა; დილაობით, სანამ სახლის ზღურბლს გადავაბიჯებდი და კარს გავიხურავდი, გულაძგერებული ვუთვალთვალებდი ფოსტალიონს; რაწამს შინ დავბრუნდებოდი, კისრისტეხით შევვარდებოდი კონსიერჟთან; თუ მისი ოთახის კარი დაკეტილი მხვდებოდა, ფეხის წვერებზე ვდგებოდი, რათა შემინულ კარზე ჩამოფარებული ფარდის მიღმა მაინც დამენახა, იდო თუ არა კონვერტი ჩვენს თაროზე... ამაოდ ვირჯებოდი; დენისმა არაფერი მომწერა; ჩემთვის ერთი სიტყვაც კი ვერ გაიმეტა; ჩვენი მეგობრობაც იმ ერთ-ერთ ოქროს თასად ესახებოდა, რომელიც ზღვაში გადაისროლა, რათა (როგორც ერთხელ თავად მითხრა) სინანულით გულმოკლულს, მწარედ ეტირა და თავისი განძი მონატრებოდა; საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ წუწურაქი, სულხარბი და მეშჩანი ბურჟუა ვიყავი და იმაზე ფიქრიც კი მაცოფებდა, რომ ყოველივე თვალის დახამხამებაში გამომეცალა ხელიდან; ამ სამარცხვინო დაცემას ვერასოდეს დავივიწყებდი; ნუგეშს ჩემს დღეში ვერ ვპოვებდი; ღამეებს თეთრად ვათენებდი და გულმდუღრად ვქვითინებდი; დილით, თვალს რომ გავახელდი, საწოლიდან გაჭირვებით ავითრევდი წელს, სარკესთან მივლასლასდებოდი და ვაცქერდებოდი სრულიად უცხო ქალიშვილის თვალებჩაწითლებულ, ერთიანად შეშუპებულ და ფერმკრთალ სახეს; თავს ვეღარ ვცნობდი; როცა სენტ-ჟენევიევის ან სორბონას ბიბლიოთეკის სავარძელში მოკალათებული კითხვას ვიწყებდი, თვალები ურჩი ცრემლით მევსებოდა, დარბაზიდან გიჟივით გავვარდებოდი და მწარედ ვტიროდი; ერთხელ ეკლესიასაც კი შევაფარე თავი, რათა არავის დავენახე ატირებული. ხშირად

შუა ქუჩაში მივაბიჯებდი და მოურიდებლად ვღრიალებდი. ასეთი უტიფრობა ზრდილ ქალიშვილს არ ეკადრებოდა, მაგრამ სულ არ მადარდებდა, რას იტყოდა ხალხი. სწავლა უსარგებლო, ამაო გართობად მეჩვენებოდა, შრომა კი უნაყოფო ფუსფუსად; საკუთარი თავის რწმენა დავკარგე; მოსაწყენ ოჯახურ ცხოვრებას იმიტომ ვეღარ ვიტანდი, რომ სამყაროს იდუმალების საბურველი შემოვაძარცვე, მის ჭეშმარიტ სახეს თვალი შევავლე, ბოჰემური მხურვალებით გაჟღენთილი ბარებისა და კაბარეების თავბრუდამხვევი სურნელი შევიგრძენი და დენისის სავანის კარი შევაღე; ჩემს პირქუშ სახლში სული მეხუთებოდა და გულისმომკვლელი სევდა მიპყრობდა.

მეხუთე სართულზე ვცხოვრობდით; საღამოობით დედა ნაგვის გადაყრას მავალებდა; პაწაწინა ურნას დავწვდებოდი და გზას ფეხათრევით გავუყვებოდი; დიდი ხანი იყო, დედა გვპირდებოდა, უფრო მოზრდილ ურნას ვიყიდიო; როგორც კი ეს საძაგელი ნაგვის გროვა ხელიდან გამივარდებოდა, კიბეებს ფარავდა გაქონილი ქაღალდების, კომბოსტოს ხიკვებისა და კარტოფილის ნაფცქვენების ჭაობი; ამ სიბინძურეს ზიზღით გავკრავდი ფეხს და ისევ ურნაში ვყრიდი; ზოგჯერ, ნაგავში ხელის ჩაყოფაც კი მიწევდა; ო, როგორ მძულდა ეს წებოვანი მასა! კიდევ უფრო საშინელი სიძულვილი მიპყრობდა, როცა თუნუქის ურნის ცივ, ცხიმიან სახელურს შევავ-ლებდი ხელს; მოზრდილი ურნები კონსიერჟის ოთახთან ახლოს ჩაემწკრივებინათ, ერთ პატარა ეზოში, სადაც საზიზღარი სუნი იდგა; როცა პირთამდე სავსე ამ ჯოჯოხეთის სარქველს ავხდიდი, მეჩვენებოდა, რომ უწმინდურების ზღვა ყოველივეს წალეკავდა; დიდი მოხერხებულობა და სიმარჯვე უნდა გამომეჩინა, რათა სუფ-თად და რიგიანად დამეხვავებინა ჩვენი ნაგავი მეზობლების ლამის ცადაწვდენილ ნაგვის გროვაზე, მაგრამ საუბედუროდ, არაფერი გამომდიოდა; ურნასთან რამდენიმე წუთს ამაოდ ვცოდვილობდი, თითქოს გააფთრებით ვებრძოდი სიბინურის უკიდეგანო საუფლოს; ზამთარში კიდევ უფრო ჯოჯოხეთურად ვიტანჯებოდი, რადგან ჰა-ერში ფერფლი ტრიალებდა; ეს მოყვითალო მტვერი სახეზე გამეტებით მცემდა და თვალებსა და ცხვირ-პირში მეხლებოდა გავეშებული მტაცებელი ფრინველივით; როცა ჩემს ცოდვილობას ბოლო მოეღე-ბოდა, შესასვლელ კართან გავირინდებოდი; შინ დაბრუნებაზე ფიქ-რიც კი მზარავდა; გამვლელებსა და მანქანებს ვაყოლებდი თვალს; თავს პარიზული ზეცა დამცქეროდა; ჰორიზონტი წითლად ელავდა; ქუჩის ფარნებს თვალისმომჭრელი შუქით გაენათებინა ბრწყინვალე, მხურვალე ზეიმებისაკენ მიმავალი გზა, რომელიც ჩაბნელებულ,

კუშტ სახლებს შორის ისე ლაღად და მოხდენილად მიიკლაკნებოდა, თითქოს, ხელგაწაფულ და სახელმოხვეჭილ მხატვარს დაეხატოს. სადღაც, უხილავი ქალღმერთი უდიდეს სასწაულს ახდენდა, შორს, ჩემგან ძალიან შორს, დენისი სუნთქავდა, მოძრაობდა, იღიმოდა და ნაირფერი თავგადასავლებით ტკბებოდა, მე კი ოჯახური საპყრობილედან თავის დახსნაც კი არ შემეძლო! ცრემლმორეული და გულგასიებული პირს ვიბრუნებდი და კიბეს ავუყვებოდი; სული ყელში მებჯინებოდა; მინდოდა, მთელი ხმით მეყვირა; შუა გზაში ვჩერდებოდი, ძალ-ღონე მეცლებოდა და მუხლი მეკვეთებოდა; კვლავ ამ დილეგში უნდა დავბრუნებულიყავი! ჩამესმოდა ჩემი შეშინებული გულის შესაბრალისი კვნესა: „არ შემიძლია“... დავცქეროდი ხალიჩას, სპილენძის მოელვარე ბურთულებს და ვიცოდი, სადაც იყო, გამოჩნდებოდა წინკარში დაფენილი, დრო-ჟამისგან ადგილ-ადგილ გახუნებული და ამოჭმული წითელი ხალიჩა, რომლის დიდრონ, რუხ, დაფლეთილ ძაფებსაც გულის ამრევი ჭუჭყი მოსდებოდა; ეს საძულველი ჩვარი ჩემკენ გიჟმაჟი ფაშატივით მოქროდა, სულ მალე უცილობლად მომიახლოვდებოდა და იძულებული გავხდებოდი, მის წინაშე ქედი მომედრიკა; ო, ვიცოდი, რომ ამ უსიამოვნო შეხვედრას თავს ვერ ავარიდებდი!

ვოცნებობდი, სახლიდან გავქცეულიყავი, თავისუფლების ტკბილი ნაყოფი მეგემნა და ისე მეცხოვრა, როგორც დენისმა მითხრა, მაგრამ საუბედუროდ, ფული არ მქონდა და შიმშილით სული გამძვრებოდა; ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანდა; პასკალი გულუხვი და სულგრძელი იყო, მაგრამ მისთვის მოწყალების თხოვნას სიკვდილი მერჩივნა; დედა რამდენიმე ფრანკს გამოიმეტებდა ხოლმე, რადგან იცოდა, რომ მენილმონტანის ქუჩაზე ღარიბ-ღატაკ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების სიამეს ვაზიარებდი და საზოგადოებრივი საქმიანობის უწყვეტ ფერხულში ვიყავი ჩაბმული; ხანდახან მარსელსაც ავწაპნიდი რამდენიმე სუს; როგორც კი ათიოდე ფრანკს მოვუყარე თავი, აპერიტივის დასალევად ბარ „როტონდისაკენ“ გავეშურე. უზარმაზარი დარბაზი თითქმის ცარიელი იყო; ბიჭები ისევ გულთბილად მასლაათობდნენ; ისეთი უსიამო შეგრძნება დამეუფლა, თითქოს, გადამთიელივით უტიფრად შევიჭერი სათუთი სიყვარულით გაჟღენთილ ამ საუფლოში, ცხვირი ჩავყავი ხალასი მეგობრების ცხოვრებაში და მათი საიდუმლოებების შეტყობა განვიზრახე. ტაბურეტზე ჩამოვჯექი და ჭიქა ჯინი შევუკვეთე; უკვალოდ გამქრალიყო პატარა ხის მაგიდების, ნორმანდიული სკამების, თეთრი და წითელი ფარდებისა და ფანჯრების ოდინდელი იდუმალება; რაწამს

დენისმა მიმატოვა, დასამარდა მათი დიადი ბრწყინვალება; ამ უსახურ ნივთებს მიღმა აღარ იმალებოდა ჯადოსნური ფერებით აელვარებული სამყარო; სევდიანი საღამო გულისგადამლევად მიიზლაზნებოდა; თითქოს, დრო გაჩერებულიყო; გაწბილებული ვაცეცებდი თვალებს და სასწაულს ველოდი, მაგრამ არაფერი მომხდარა. როცა წითურ, ძვალმსხვილ ბარმენს ფული გავუწოდე, მომიგო, არაფრისდიდებით არ გამოგართმევთო; ამ სასიამოვნო ჟესტში, თითქოს, ზეგარდმო ნიშანი დავინახე; თითქოს, უხილავმა მისანმა წყვდიადი ერთი ხელის მოსმით გაფანტა, ბრწყინვალე მომავალი მიწინასწარმეტყველა, მთელი ჩემი ცხოვრება თვალნათლივ დამანახა და მითხრა, რომელ გზას უნდა დავდგომოდი. საოცარი აღტყინებითა და გულმოდგინებით ავივსე; თითქმის ყოველ საღამოს დანსინგებსა და ბარებში დავიარებოდი; როცა დედა მსაყვედურობდა, ქალაქში უმიზნოდ დაეხეტებიო, თავის მართლებასა და წუწუნს მოვყვებოდი და შევჩივლებდი, „ერთ მუშტად შეკრულ საზოგადოებაში“ აუარება საქმე მაქვს-მეთქი; სახლის კარს გავიხურავდი და ერთი საათით მენილმონტანის ქუჩაზე სამსახურში შევივლიდი; ერთ საღამოს გულანთებული შეგირდებისთვის იმ ადამიანებზე უნდა მომეთხრო, ბედს რომ უდრტვინველად ემორჩილებოდნენ, მაგრამ ნაშუადღევს კაფეში ორი ჭიქა ჯინი დავლიე და როცა მეტროს ვაგონში შევაბიჯე, საშინელი ღებინება ამივარდა; მენილმონტანის ქუჩაზე მივლასლასდი; შუბლი ცივი ოფლით დამცვაროდა და მუხლი მეკვეთებოდა. თავზარდაცემულმა თანამშრომლებმა დივანზე დამაწვინეს; კარგა ხანს დამტრიალებდნენ თავს, აღფრთოვანებით შემომცქეროდნენ და ამბობდნენ, რა მამაცი გოგონაა, ლექცია არას დიდებით არ გააცდინა, ავადმყოფობასაც კი არ შეეპუაო; კიდევ უფრო გავთამამდი და სამუშაო მივატოვე, მაგრამ ცხადია, დედაჩემთან და მარსელთან სიტყვა არ დამცდენია. კვირაში ერთხელ მთელ საღამოს ვერთობოდი იმ ბარში, დენისმა რომ წამიყვანა; ამ ჯადოსნური ადგილისკენ ისე გულაჩქროლებული მივრბოდი, როგორც ბავშვობაში – ტაძარში, წირვაზე; ჩემი მგზნებარება არა და არ ცხრებოდა; უფალი სამუდამოდ უარვყავი, მაგრამ ეს ბოჰემური სავანე ჩემს სალოცავ ხატად და ზეციური ნათლით გასხივოსნებულ მამა ღმერთად ვაქციე; ჯაზის ჰანგები ისე მიჩუყებდა გულს, როგორც ოდესღაც – ორგანის არაამქვეყნიური ხმა; მას შემდეგ, რაც დენისმა მითხრა, ცოდვა ღვთის აქილევსის ქუსლიაო, ყოველგვარ გარყვნილებასა და სიბილწეს ისეთი აღტყინებითა და სიხარულით შევცქეროდი, იმ ბავშვს ვგავდი, პირველად რომ ეზიარა უდიდეს რელიგიურ საიდუმლოს და ჰგო-

ნია, ქრისტე საკუთარი თვალით იხილა, ან კიდევ მისი ხორცი და სისხლი იგემა; პასკალი თავს მარიდებდა და ეგონა, მისი სულ აღარ მესმოდა, რადგან ღმერთისა არ მწამდა; ის და მარსელი კი სევდიანი, მაღალფარდოვანი და საიდუმლო საუბრებით ტკბებოდნენ; ვაი რომ ჩემი ძმა მწარედ ცდებოდა! მისგან დიდად არ განვსხვავდებოდი; სულიერების საძულველი ურჩხულის წინაშე მეც კი ქედს ვიხრიდი (მართალია, ჩემებურად, მაგრამ მაინც); ეს მძიმე უღელი ვერა და ვერ გამეცამტვერებინა.

სულ არ მეზიზღებოდა ნამუსის ახდა, სისხლის აღრევა, ბიწიერება, ხორციელი სიამე და ლოთობა; ვაღმერთებდი ზნედაცემულ სტავროგინს, – ამ საშინელ სატირს, სადისტ ლოტრეამონსა და მამათმავალ რემბოს; მოწიწებითა და უტყვი თაყვანისცემით შევცქეროდი ბარში, ჩემ გვერდით ტაბურეტებზე შემომსხდარ, წითლად და იისფრად თმაშეღებილ მეძავებს; ამ „აღვირხსნილ“ ქალებს ვეთაყვანებოდი, თუმცა, ვნებიანი და ავხორცი არ გახლდით; მაშინაც კი ვერაფერს ვხვდებოდი, როცა ერთიმეორეს ხმამაღლა ეკითხებოდნენ, კლიენტს რა ფასად მოსწოვო; თითქოს, ჩემი წარმოსახვა წყვდიადში ჩაკარგულიყო და „ბინძური“ ფანტაზიებით ვერ ვტკბებოდი; სიტყვებს ვეთამაშებოდი, ამ მაგიურ, ჯადოსნურ, იდუმალებით მოცულ სიტყვებს, სამუდამოდ რომ მნუსხავდნენ, მაგრამ რატომღაც, თავგზასაც მირევდნენ; არ ვიცოდი, რატომ მეუფლებოდა ასეთი შიშნარევი აღმაფრენა. მთელი გულით მეწადა, მეძავებს დავმეგობრებოდი, მაგრამ სამწუხაროდ, ხელი მომეცარა; მათი ნდობა ვერა და ვერ დავიმსახურე; მინდოდა, მეკითხა, რისი წყალობით მოიპოვეს ეს საოცნებო, უსაზღვრო თავისუფლება, რა უდიდეს საიდუმლოს ეზიარნენ... თამამად ამბობდნენ, ჩემი სხეული მხოლოდ და მხოლოდ მე მეკუთვნისო; მათთვის სრულიად უცხო იყო შიში და ზიზღი; მონობის ბორკილს არასდიდებით დაიდებდნენ; ეს ყოვლისშემძლე ქალღმერთები ყველა დაბრკოლებასა და მკაცრ აკრძალვას თვალის დახამხამებაში სპობდნენ; მრცხვენოდა, ქალწული რომ ვიყავი. იმის იმედიც კი აღარ მქონდა, რომ ოდესმე (თუნდაც, ჩემი ოფლით მოპოვებული ფულის წყალობით) მათნაირ ტანსაცმელს და თეთრეულს ვიყიდდი; ზეადამიანური, არნახული ძალისხმევის გარდა ვერაფერი შემცვლიდა; ვერც დიდებული სასწაული და ვერც ძალმოსილი მისანი ვერ ამომაძვრენდა პატიოსანი ბურჟუა გოგონას ტყავიდან, ვერ დამიხსნიდა უშნო სხეულის ტყვეობიდან და ამ ქალების ორეულად ვერ მაქცევდა! ასეთი საოცარი ხვედრი განგებას მხოლოდ რჩეულებისთვის ერგუნებინა, მე კი რჩეული ნამდვილად არ

ვიყავი! მე ხომ ხელ-ფეხი შემიკრეს და საიმედოდ ჩარაზულ დილეგში გამომამწყვდიეს?! თავისუფლებამოწყურებული ვნატრობდი, ამ შემზარავი ჯურღმულისთვის თავი დამეღწია და თვალუწვდენელ სივრცეში ლაღად მენავარდა.

„ბარში შედით, რამე იღონეთ და მოსახდენიც მოხდება," – მითხრა დენისმა ერთხელ. ისევ მონობის უღელქვეშ ვგმინავდი, მაიძულებდნენ, სხვების ჭკუაზე მევლო, მაგრამ შინიდან ცოტა ხნით ვიპარებოდი ხოლმე; მინდოდა, დენისის რჩევა-დარიგებისთვის ყური დამეგდო, მისი სასიამოვნო წინასწარმეტყველება ამხდარიყო და ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეცვლილიყო! ბარიდან ბარში დავეხეტებოდი; მუდამ მუქი იისფერი, თითქმის მოწითალო კაბა, დახეული, ხელით ნაქსოვი წინდები და დიდი ფეხსაცმელები მეცვა; ისიც კი არ მადარდებდა, რომ ფერუმარილი არ მესვა და ჩემი ჭუჭყიანი ფრჩხილები ყველას აფრთხობდა; მეგონა, ეს ხალხი ვერც კი მამჩნევდა და ჩემზე არავინ ფიქრობდა; სისხლსავსე ადამიანებად კი არა, ბრმა ალეგორიებად მესახებოდნენ: მრავალსახოვან ბიწიერებად, გარყვნილებად, მღელვარებად, შფოთვად, დრტვინვად, ჭმუნვად, ამაოებად, მოწყენილობად, მცონარობად, სიჩლუნგედ, სევდად, სასოწარკვეთილებად და ალბათ, გენიადაც კი... თითქოს, მათ არც თვალები ჰქონდათ და არც – გონება. კართან მდგარ ტაბურეტზე გაჭირვებით ავძვრებოდი და სმას ვიწყებდი; მოწყენილობა მტანჯავდა, თუმცა, სწრაფადვე გამოვცოცხლდებოდი და მგზნებარებით ავივსებოდი ხოლმე; როდესაც ვინმე კლიენტი ქუდს თავზე ჩამოიფხატავდა, ცივი ხმით შევკივლებდი: „ქუდი!", ფეტრის ქუდს ორივე ხელით ჩავაფრინდებოდი, მოვხდიდი და შორს მოვისროდი; ბარმენს ვეხუმრებოდი, ველაზღანდარებოდი და არყით სავსე ჭიქებში ჩაყრილ ალუბლებსა და ბანანის მრგვალ ნაჭრებს ვპარავდი; ჭიქას დავცლიდი და გამეტებით ვანარცხებდი ძირს; მინის ლაწალუწი მთელ ბარს აყრუებდა; ერთხელ ისე გავთამამდი, ზედიზედ ოთხი ჭიქა დავამსხვრიე. როცა ვთვრებოდი, ენაწყლიანობით თავს ვიწონებდი და ამ ბოჰემური სამყაროს მკიდრთ უკმეხად ველაპარაკებოდი; ზოგი მათგანი ღირსეული ოჯახიშვილი გახლდათ, ზოგი – სტუდენიორი, ზოგი კიდევ – მამათმავალი, მაგრამ მათ ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი; ჯერ კიდევ გულუბრყვილო გოგონა ვიყავი და მწამდა, რომ თუ ამ ადამიანებს იდუმალების, ილუზიებისა და მითების მაცდურ საბურველში გამოვამწყვდევდი, ძალიან გავხალისდებოდი; ეს სახეცვლილება, ეს უდიდესი მისტერია, თვალხილულ სასწაულად მესახებოდა; ხალხს ვუმტკიცებდი, მოდელი ვარ-მეთქი; ზოგჯერ,

მეძავობასაც კი ვიბრალებდი, მაგრამ ჩემს სიცრუეს ფარდა მალე ეხდებოდა. ერთხელ, ვიღაც ცხვირმოკაუჭებულმა კაცუნამ (რომელიც მარწმუნებდა, ფელეტონისტი ვარო) მხრები აიჩეჩა და მითხრა: „თქვენ პატარა ბურჟუა გოგონა ხართ; გინდათ, ბოჰემური ცხოვრებით დატკბეთ, მაგრამ არაფერი გამოგდით.“

საშინელმა მრისხანებამ შემიპყრო და გამწყრალმა შევძახე: „ცდებით! აქ კლიენტებს ველოდები!“

„ვერ მომატყუებთ; მეძავს არ გავხართ; ზნედაცემულ ქალებს სულ სხვა იერი აქვთ,“ – მითხრა ერთმა ჩასუქებულმა, კოჭლმა კაცმა, რომელსაც ცხვირზე რქის ჩარჩოიანი სათვალე დაეკოსებინა. „ჭრელაჭრულა, მოკლე კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები უნდა ჩაიცვათ და ფერმკრთალ ლოყებზე ცოტაოდენი ფერუმარილი მაინც წაისვათ“, – განაგრძო ფელეტონისტმა. „უფრო თამამი, ცოცხალი იერი და მკვირცხლი, ავხორცი მზერა უნდა გქონდეთ,“ – დასძინა მესამემ; ყველას სიცილი წასკდა; ოთხ ბრგე მამაკაცს კედელთან მივემწყვდიე; გაქცევა მინდოდა, მაგრამ დახლი გადაულახავ დაბრკოლებად მეღობებოდა; კოჭლმა ნახატი გამომიწოდა და მითხრა: „აი, ნახეთ, რა უნდა გააკეთოს დახელოვნებულმა კურტიზანმა და რისი უფლება უნდა მისცეს მამაკაცს!“ მის უხამს ნაჯღაბნს გულგრილი მზერა მივაპყრე და ცივად მივახალე: „ძალიან ცუდად დაგიხატავთ.“ „ეს კი უფრო თვალსაჩინოა, შეხედეთ!“ – მიპასუხა მან და ქამარშარვალი შეიხსნა; სიცილით გაიგუდნენ; ამაზრზენ არსებას თვალი ავარიდე და ზიზღმორეულმა დავისისინე: „არ მაინტერესებს.“ ისევ საზარლად ქირქილებდნენ. „ხომ ხედავთ?! მოგვატყუეთ! ნამდვილი მეძავი შემხედავდა და მეტყოდა: ოჰ, ამაზე უკეთესიც მინახავს!“ – შესძახა ფელეტონისტმა. საშინლად შეურაცხყოფილი, დამცირებული, გაცოფებული და იმედგაცრუებული ვიყავი.

ერთ საღამოს, ჟღალთმიანმა, სახედაჭორფლილმა კაცმა, „ოქროს მუზარადს“ რომ ეძახდნენ, მითხრა, ჩემთან გეპატიჟებითო; ბარ „ჟოკეიში“ ვიყავით, რომელიღაც ქუჩის კუთხეში გაცნობილი მეძავი უმშვენებდა მხარს... თურმე, იმ ქალს კლიენტის პოვნის იმედი გადასწურვოდა, მაგრამ უეცრად, ეს თვალტანადი და წარმოსადეგი მამაკაცი გამოჩენილა... „ოქროს მუზარადის“ მეგობარს, ახალგაზრდა მარსელს, გაუსაძლისი შარმითა და სილამაზით ამკობდა ნორჩი, თითქმის ბავშვური ტუჩები და ნათელი ცისფერი თვალები. „ჩემთან გეპატიჟებით... უფრო თავისუფლად ვიცეკვებთ. აქ ყოფნა აღარ მინდა,“ – მითხრა მან. მორჩილად გავყევი; ვერც კი ვიგრძენი, როგორ აღმოვჩნდი ნადირის ტყავებით და იარაღით მორთულ პატარა ბინაში; მან

ფირფიტა აიღო; ოთახი საცეკვაო მუსიკის ჰანგებმა შთანთქა; ცოტა-ოდენი პორტო დავლიეთ, მერე კი „მუზარადი“ და ქერა მეძავი თვალის დახამხამებაში სადღაც გაქრნენ; მარსელი მომიახლოვდა, მკლავებში მომიმწყვდია და ტუჩები მომიშვირა; მსუბუქად, ფრთხილად და თავაზიანადაც კი მოვიშორე; ეს სიმპათიური ყმაწვილი ძალიან მომწონდა.

„ყური დამიგდეთ. თქვენისთანა ლამაზ და მიმზიდველ ბიჭს ქალების გულის დაპყრობა არ გაუჭირდება; პარიზი ხომ ულამაზესი ქალღმერთებითაა სავსე?! სატრფოს სამარადისო სიყვარული და პირუთვნელი ერთგულება შევფიცე და ასე სულმდაბლურად ვერ ვუღალატებ. ხომ გესმით ჩემი?,“ – ვუთხარი მე.

ის ბავშვივით ჟინიანობდა. „კარგით! მეც მინდა, გაკოცოთ!“ – დავამშვიდე და მის ვარდისფერ ლოყებს სათუთი ამბორი ვუსახსოვრე; შეზარხოშებულ, პირმშვენიერ ახალგაზრდას ნაზმა ალერსმა გული აუჩუყა. „თქვენ... თქვენ სხვებს არ ჰგავხართ...“ – ამოილუღლუღა ხმაათრთოლებულმა, წუთით გაჩუმდა და დასძინა: „გარყვნილი და ზნედაცემული გოგონა არ ხართ! როგორც კი შემოგხედეთ, ვიგრძენი, რომ თქვენს სპეტაკ სხეულსა და სულს ავხორცობის მომაკვდინებელი სენი არ შეჰყროდა. ო, რა ამაღელვებელია! პატარა, მაგრამ საოცრად კეთილგონიერი ხართ!“ ჯიბიდან ბრტყელი ყუთი ამოიღო და ხმა ისე გაებზარა, თითქოს, სადაც იყო, ცრემლი წასკდებოდა: „ხომ ხედავთ, როგორი უღირსი და შესაბრალისი ვარ?! ამ საზიზღარი ნივთიერების გარეშე ქუჩაში გასეირნებასაც კი ვერ ვბედავ. რა ამაზრზენია! ვერაფერს გავხდებით. ასეთია ცხოვრება... – გულამოკვნესით მითხრა და თავის ცხოვრებაზე მიამბო; დროდადრო ჩუმდებოდა და შეცბუნებული მეკითხებოდა: „გეზიზღებით?“ – „ო, არა! რას ამბობთ?!“ – შევძახებდი მე. მონპარნასზე ხშირად ვხვდებოდით და მუდამ უსაზღვრო პატივისცემით მეპყრობოდა.

ამ ლამაზმა თავგადასავალმა ურყევი თავდაჯერებითა და გამბედაობით ამავსო; ვფიქრობდი, აბეზარ მამაკაცებს ყოველთვის მაღალფარდოვანი სიტყვებისა და მშვენიერი ღიმილის წყალობით მოვიგერიებ-მეთქი; გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ყველაზე ბილწი ხალხიც კი ქედს მოიდრეკდა ჩემ წინაშე, თუმცა, ზოგჯერ შიში მიპყრობდა და მეჩვენებოდა, რომ სულ მალე თავს დიდი უბედურება დამატყდებოდა; დაუფიქრებლად, შლეგ ქარბორბალასავით შევიჭერი სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ გაჩახჩახებულ კაფეებში და აზრადაც კი არ მომსვლია, რომ ამ მშვიდ სავანეში გაბატონებული იყო მეტად მკაცრი კანონები, რომელთაც უდრტვინველად უნდა

დავმორჩილებოდი და ყველა წესი, ყველა უცნაური რიტუალი ზედმიწევნით, საგულდაგულოდ უნდა შემესრულებინა; მათ ეტიკეტსა და იერარქიაზე არაფერი მსმენოდა; არ ვიცოდი, რას თვლიდნენ ღირსების საქმედ, როგორი საქციელი, ან სიტყვები შელახავდა ამ ადამიანთა თავმოყვარეობას; თურმე, ზოგჯერ, როცა მამაკაცი მეტყოდა, ჭიქა ღვინოზე გეპატიჟებითო, უყოყმანოდ უნდა დავთანხმებოდი, ზოგჯერ კი სათოფეზე არ უნდა გავკარებოდი; ერთ შემთხვევაში, მეძავს მეგობრის კლიენტისთვის ზედაც არ უნდა შეეხედა და ხმაც არ გაეცა (ისე, როგორც ღირსეულ, კეთილსინდისიერ, გულმოწყალე და პატიოსან მეტოქეს შეეფერება), მეორე შემთხვევაში კი, მსუყე ლუკმა პირიდან უნდა გამოეგლიჯა ქალისთვის, რომელსაც ვნებიანი თავგადასავლების ძიებაში თავი დაეკარგა; გაშმაგებით, დაუნანებლად ვთელავდი ფეხქვეშ ყოველგვარ მჩაგვრელ ტრადიციას, დრომოჭმულ ადათ-წესსა და ამაზრზენ ზნე-ჩვეულებას; როცა მეტყოდნენ, წვეულებაზე გეპატიჟებითო, დაუფიქრებლად შევყვირებდი, აუცილებლად გეახლებით-მეთქი; რაწამს შუა ქუჩაში უცხო ბიჭები მომიახლოვდებოდნენ, ენად გავიკრიფებოდი და მეგობრულ, გულთბილ ბაასს ვიწყებდი; მეგონა, თუ დავიმორცხვებდი და შიში შემიპყრობდა, არნახული სასწაულის მომნუსხველი ბრწყინვალება ჩაქრებოდა; მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა, ვიდრე არ მეხილა ეს უდიდესი მისნობა და ჩემი უგერგილობითა და უნიათობით მომეწამლა ეს ტკბილი ნექტარი; ვოცნებობდი, ჩემი უსიხარულო ცხოვრების ოკეანიდან ნაირფრად აელვარებული სასწაული ამობრწყინებულიყო; მეგონა, სიცოცხლის ბოლომდე მშვიდად დავტკბებოდი ლამაზი თავგადასავლებით, კვლავ მრავალჯერ გამოვიჩენდი უანგარო სიკეთესა და საარაკო სითამამეს, ამ დიდებულ თამაშს ჩემს ნებაზე წარვმართავდი და ბრწყინვალე გამარჯვებას მოვიპოვებდი; ჩემი ცხოვრება წარმტაც სპექტაკლად მესახებოდა; მე მთავარი პერსონაჟი ვიყავი, ახალგაცნობილი მამაკაცები კი ის მეორეხარისხოვანი, უნიჭო და უფერული მსახიობები, რომლებიც მაყურებელთა გულებს ვერასოდეს დაიპყრობდნენ; ზოგჯერ ავი წინათგრძნობა მიპყრობდა და გავიფიქრებდი, რაღაც უბედურება მოხდება-მეთქი; ალბათ, დაღუპვას იმიტომ გადავურჩი, რომ წლიდან წლამდე საშინელი სამოსი მეცვა, მიმზიდველი, შარმიანი და მადისაღმძვრელი ქალიშვილი არ გახლდით და მამაკაცებს ავხორც სურვილებს ვერ ვუღვიძებდი; თავს სულ არ ვუფრხილდებოდი; ნაცარტუტად ქცეულიყო ჩემი კეთილგონიერება, წინდახედულება, კდემამოსილება, სიფრთხილე და მოკრძალება.

ერთხელ, როცა რასპაის ბულვარს მივუყვებოდი, ვიგრძენი, რომ მანქანით ვიღაც მომყვებოდა; ახალგაზრდა მძღოლი ავათვალიერ-ჩავათვალიერე; მართალია, ლამაზი და სასიამოვნო სულაც არ იყო, მაგრამ მეტად ზრდილი და თავაზიანი ჩანდა და დახვეწილი მანერებით იწონებდა თავს; როცა მითხრა, გავისეირნოთო, თავი დავუქნიე და კარი გამოვაღე; გვერდით მივუჯექი, პედალს ფეხი მთელი ძალით მიაჭირა და სენ-ჟერმენის ბულვარისკენ თავბრუდამხვევი სისწრაფით გამაქროლა. „როზინსონში ხომ არ გავისეირნოთ?“ – მკითხა მან. ვყოყმანობდი; ვხვდებოდი, რომ დიდი საფრთხე მელოდა; შეიძლებოდა, ამ კაცს შუაღამისას პარიზიდან ძალიან შორს მარტო დავეტოვებინე, მაგრამ ეს მაცდური თავგადასავალი არ მეთმობოდა; ნეტარება რომ არ მეგემა, გულმოკლული, თავჩაქინდრული და იმედგაცრუებული გავუყვებოდი შინისაკენ მიმავალ გზას. „ნურაფერზე იტყვით უარს; დატკბით ცხოვრებით,“ – ამბობდნენ ანდრე ჟიდი, ჟაკ რივიერი, ანდრე ბრეტონი და... დენისი. ამ სიტყვებს გულში გამუდმებით ვიმეორებდი და ჩემს ძვირფას პრინციპებს არაფრისდიდებით არ ვუღალატებდი. „წავიდეთ,“ – მივუგე თამამად.

ბასტილიის მოედანზე შევჩერდით და კაბარეს უკაცრიელ ტერასაზე კოქტეილი დავლიეთ; ის მოღუშული და ნაწყენი ჩანდა, რადგან არ ვეკეკლუცებოდი და გულიანად არ ვიცინოდი; რაწამს მანქანაში ჩავსხედით, ფეხზე მომეალერსა; ელდანაცემივით შევხტი, ხელი ვკარი, უკან დავიხიე. „როგორ?! ჩემს მანქანაში დაუფიქრებლად ჩახტით, მთელი ქალაქი მოგატარეთ და მოფერების უფლებასაც არ მაძლევთ?! – შეჰყვირა გაავებულმა; სახე დაემანჭა და შემზარავი გამომეტყველება აღებეჭდა; თავაზიანი ტონი სადღაც გაქრა; მის ხმაში საზარელი მუქარა გამოსჭვიოდა; შიშმა შემიპყრო; არ ვიცოდი, რა პასუხი მიმეცა; სიტყვა ყელში მეჩხირებოდა; ხელები მარწუხებივით შემომხვია მხრებზე და გულში უხეშად ჩამიკრა; გავუძალიანდი; შეშინებულმა, ორივე ხელი ძლიერად ვკარი, მოვიშორე და ისევ უკან დავიხიე; მრისხანებამ ანაზდად გაახევა და მიტკალივით გააფითრა. „რატომ იბღვირებით?! რა ბინძური ხართ! თქვენისთანა მახინჯმა არსებამ თავაზიანობა მაინც უნდა გამოიჩინოს! თავი ვინ გგონიათ?! რა სასაცილოა! სწორედ თქვენისთანა უშნო ქალიშვილები იპრანჭებიან, ყოყლოჩინობენ, ამრეზით გვიცქერენ, კუდი ყავარზე გაუდიათ და თავპატიჟს იდებენ! თავი ვინ გგონიათ-მეთქი?!“ – შეჰყვირა გაცეცხლებულმა; მაშინვე კარი გამოვაღე, მანქანიდან უკანმოუხედავად გადავხტი და კისრისტეხით გავიქეცი; მისი ლანძღვაგინების ნიაღვარი ფეხდაფეხ მომდევდა; პარიზის მისადგომებთან

ვიდექი, ამ დიდებული, ღამეული მხურვალებით ათრთოლებული ქალაქის კარიბჭესთან; თითქმის შუაღამე იდგა; მეტროს უკანასკნელ ვაგონსაც კარგა ხნის წინ ჩაევლო... ვიცოდი, შინ ფეხით დაბრუნება მომიწევდა, მაგრამ არაფერს ვნანობდი! პირიქით! მონუსხული ვიყავი და გული სიხარულით მევსებოდა, რადგან ასეთი გიჟური თავგადასავალი მთელი არსებით განვიცადე და სასწაული, ჩემი ძვირფასი პირმშო, უსასრულო ტანჯვა-წამების ფასად ვშობე; მიხაროდა კიდეც, იმ კაცს რობინსონში რომ არ წავყევი.

ერთხელ, ლამის საშინელება მოხდა... გობლენის გამზირზე, ერთ პატარა ბაზრობაზე მეტად მკაცრი იერის ახალგაზრდა გამომელაპარაკა, სახე მოვარდისფრო ნაიარევით დაჰღარვოდა; კარაბინი გავისროლეთ და მინიატურული ფეხბურთი ვითამაშეთ; დაიჟინა, ფულს მე გადავიხდიო და აპარატში ხუთსუიანი მონეტები ჩაყარა. თავისი მეგობარიც გამაცნო; მითხრეს, დომში გეპატიჟებით, გთხოვთ, უარს ნუ გვეტყვითო; მეც დავთანხმდი; სახენაიარევი ბიჭის ძმობილმა სამი ფინჯანი ნაღებიანი ყავა შეუკვეთა და მიმტანს ანგარიში გაუსწორა; ერთხანს ვიმასლაათეთ; როცა დავინახე, რომ გაჩერებიდან გუგუნით დაიძრა უკანასკნელი ავტობუსი, ნაჩქარევად დავემშვიდობე და მოვკურცხლე; სადაც იყო, ავტობუსში შევხტებოდი, მაგრამ ბიჭმა მხრებში ხელი ჩამავლო, შემანჯღრია და ღვარძლიანად მითხრა: „ჩემი გაცურება მოინდომეთ?! არაფერი გამოგივათ, ქალიშვილო!“ გაცოფებული ჩანდა; მძღოლი მელოდებოდა და თითი ღილაკზე მიედო, მე კი საწყალობლად ვფართხალებდი ბიჭის მარწუხებიდან თავი რომ დამეხსნა; მძღოლს მოთმინების ფიალა აევსო, კარი დახურა და ავტობუსი წავიდა; ბრაზი მახრჩობდა; სახენაიარევის მეგობარი ჩვენ შორის ჩადგა და მითხრა, მასთან ერთად არ უნდა დაგელიათ, თქვენმა სითამამემ ეჭვი აღუძრაო; როგორც იქნა, სახედაღარული პირუტყვი დამშვიდდა; როცა მოვრიგდით, მითხრეს, სახლამდე მიგაცილებთო; ვუპასუხე, ჩემგან ნურაფერს მოელით-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე; ფარ-ხმალი დავყარე; სხვა გზა არ მქონდა; ამ ჯან-ღონით სავსე გოლიათებთან რას გავხდებოდი?! როგორც იქნა, მომქანცველი გზა დაილია და ჩემი სახლი გამოჩნდა; სახედაჩეხილმა ბიჭმა ხელში ამიტაცა და მითხრა, კიდევ უნდა შეგხვდეთო; გადაჭრით ვიუარე, მაგრამ როცა მისი ავი გამომეტყველება დავინახე, შევძახე: „როცა გინდათ, მაშინ შეგხვდებით!“ ველოსიპედზე შემომჯდარი ოთხი პოლიციელი (ველოსიპედიანი პოლიციელები 1984 წლამდე იცავდნენ პარიზის ქუჩების სიმშვიდეს. მთარგმნ.) გამოჩნდა; ჩემს ბაგეს აზვირთებულ ტალღასავით მოაწყდა განწირული კივილი;

მინდოდა, მათთვის შველა მეთხოვა, მაგრამ ვერ გავბედე; შიშის უჩინარი ხელი უხილავ მარწუხად შემომეჭდო სახეზე და პირი დამიხშო; ბიჭმა ხელი გამიშვა და რამდენიმე ნაბიჯი მდუმარედ გადავდგით; როგორც კი პოლიციელები თვალს მიეფარნენ, კვლავ მხრებში ჩამაფრინდა და დამემუქრა: „აბუჩად ნუ მიგდებ! ვიცი, ახლა გულში დამცინი და პაემანზე არ მოხვალ! ასე ვერ გამაცურებ! ჭკუა უნდა გასწავლო, ჩემო პატარავ; ერთ კარგ გაკვეთილს იმსახურებ; როცა მეურჩებიან, ბრაზი მიპყრობს და საშინლად ვბოროტდები; გეგონა, გამაბრიყვებდი, მაგრამ ვაი რომ მწარედ შეცდი!“ უმწეობისა და უსუსურობის საშინელი შეგრძნებით მავსებდა ეს პატარა, ვიწრო და ბნელი ქუჩა; მოძალადეს თავგანწირვით ვებრძოდი და ხაფანგში გაბმული ჩიტივით ვფართხალებდი; არ მინდოდა, ჩემთვის ტუჩებში ეკოცნა; მეშინოდა, ვაითუ, სახეში გამეტებით გამარტყას-მეთქი. მისი მეგობარი ჩვენ შორის ჩადგა და შესძახა: „კმარა! მოდით, მოვრიგდეთ. ის ნანობს, რომ ამდენი ფული დაგახარჯათ. ესაა და ეს.“ ხელჩანთა ელვის უსწრაფესად გავხსენი, ათი ფრანკი გავუწოდე და მივუგე: „აი, აიღეთ! ვალს გიბრუნებთ!“ „ფული არ მადარდებს!“ – შეჰყვირა სახენაიარევმა, მაგრამ ჩანთა ხელიდან გამომგლიჯა, დახედა და განაგრძო: „მხოლოდ ის მინდა, ჭკუა გასწავლო.“ ხუთიოდე ფრანკი დამრჩენოდა. „ამ გროშებით მეძავთანაც კი ვერ წავალ!“ – დაისისინა გაცოფებულმა; მის ხმაში საშინელი სიძულვილი იკითხებოდა; ჩანთა გადაქექა, ფული ამოიღო, კიდევ რამდენჯერმე დამემუქრა, მერე კი მეგობარს ხელი ჩაჰკიდა; როგორც იქნა, ამ მტარვალებმა ზურგი მაქციეს და ქუჩას გაუყვნენ! როცა ჩემს ოთახში შევედი, მუხლი მეკვეთებოდა, ვკანკალებდი და გული გამალებით მიცემდა.

როცა დენისს ჩემი თავგადასავლები ვუამბე, მწარე იმედგაცრუება ვიგემე. „სასაცილო არაფერია! პირველივე შემხვედრს არ უნდა გაჰყოლოდით! ასე ბრიყვულად და დაუფიქრებლად როგორ მოიქეცით?!“ – მისაყვედურა მან. რატომ მეგონა, რომ ეს პოეტი არნახული შეუპოვრობის, ქედუხრელობისა და გამბედაობის გამო ხოტბას შემასხამდა?! შეშლილ, ბრმა გოგონასავით ზღვარდაუდებლად ვტკბებოდი ამ მოულოდნელი თავისუფლებით და თითქოს, სიმართლის დანახვა აღარ შემეძლო; ქვეყნად აღარაფერი მადარდებდა; მეტისმეტად გავთამამდი, ბედისწერის შეუცნობელ, იდუმალ ძალას ბრმად მივენდე, ამ გულზვიადი და პირქუში ქალღმერთის წინაშე ქედი ისე მოვიხარე, რომ არც კი ვიცოდი, რა უბედურება დამატყდებოდა თავს; ალალბედზე დავეხეტებოდი ბნელ ქუჩებსა და გაჩახჩახებულ ბარებში და მოსახდენიც მოხდა; ცხადია, უბრალო, უმნიშვნელო და ბილწი

თავგადასავლებიც კი გადამხდა, მაგრამ კიდევ უფრო სანუკვარ საუნჯედ მეჩვენებოდა ის ნაირფრად აელვარებული, პაწაწინა სასწაული, რომელიც ამ მოუხეშავ და საზარლად ბინძურ ინტრიგათა გულისგულში იმალებოდა; მიწიერმა სიმდაბლემ მათ ჯადოსნური ბრწყინვალება და სიდიადე შეჰმატა; დენისი ხშირად თავგზას მირევდა; მის რჩევა-დარიგებებს ყოველთვის ყურს ვუგდებდი და ისე ვიქცეოდი, როგორც მას სურდა; მეჩვენებოდა, რომ კრძალვითა და რუდუნებით აღვასრულებდი რაღაც იდუმალ რიტუალს, თუმცა, ჩემი ასეთი გულმოდგინება და მგზნებარება მგოსანს სულ არ აღაფრთოვანებდა; ვფიქრობდი, რომ მისი სასარგებლო და საოცრად სასიამოვნო ბრძანებების ზედმიწევნით შესრულება არ შემეძლო, რამეთუ ბურჟუაზიული მორალი ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად დამწოლოდა მხრებზე.

დენისს თვრამეტთვიანი, დიახ, თვრამეტთვიანი განშორების შემდეგ „ჟოკეიში“ შემთხვევით შევხვდი! თვრამეტ თვეს მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას და ყოველი წამი საუკუნედ მეჩვენებოდა! აპრილი იდგა, გამოცდებისთვის ვემზადებოდი და სადიპლომო ნაშრომს ვწერდი; სორბონას უნივერსიტეტის, ამ საოცნებო, თვალუწვდენელი ციხესიმაგრის კარიბჭე ერთმა პოლონელმა გოგონამ გამიღო; ეს საოცარი ქმნილება დედასაც გავაცანი; მისი წყალობით ღამღამობით ვსეირნობდი და ვერთობოდი; ჩემს საუკეთესო მეგობრად, თითქოს, თანამზრახველად იქცა; ყოველთვის მზად იყო, დახმარების ხელი გამოეწვდინა; იცოდა, ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი, მაგრამ დედაჩემს ეუბნებოდა, მარგერიტმა ღამე ჩემთან გაათენაო; დილიდან საღამომდე ეროვნული ბიბლიოთეკის სავარძელში ვიჯექი, ვკითხულობდი, ვწერდი და თავდაუზოგავად ვმუშაობდი, კვირაში რამდენიმე საღამოს კი მონპარნასის ბულვარზე ვატარებდი; დილაობით, თავდამძიმებული გავუყვებოდი სასწავლებლისკენ მიმავალ გზას; გულისრევის საზიზღარი შეგრძნება სისხლმოწყურებული სვავივით მიკორტნიდა გულ-მუცელს.

ერთ საღამოს, ბარ „ჟოკეიში“ ვიჯექი გამოთაყვანებული, რაღაცას თვალგაშტერებით შევცქეროდი და მეჩვენებოდა, რომ სიჩლუნგისა და სიბრიყვის ქვესკნელში მივექანებოდი; უეცრად, ვიღაც შუახნის ქალი მომიახლოვდა და მკითხა: „ცეკვა იცით?“ გაოგნებულმა შევხედე შავგვრემან, ცისფერთვალება, ტუჩთხელ და ინგლისელი ქალივით ლოყებღაჟღაჟა ქმნილებას და მივუგე: „არა“.

ღიმილმა ბაგე გაუპო და თვალი მომჭრა მისი დიდრონი, მაგარი და თოვლივით თეთრი კბილების ბრწყინვამ.

„მაშ, ვისაუბროთ. გინდათ?“

კეთილგანწყობილი მზერა მივაპყრე: „სიამოვნებით; დიდი ხანია, აქ ხართ? არც კი დამინახავს, როდის შემოხვედით...

-თქვენზე ბევრად ადრე მოვედი“, – მომიგო მან, თავი კეკლუცად გადახარა და დასძინა: „თქვენს ცხოვრებაზე რამე მიამბეთ; ამ ბარში რა დაგრჩენიათ?“ უეცრად თითქმის უხეშად ჩაბღუჯა ჩემი ხელი და შესძახა: „ო, არ მითხრათ! მე თვითონ გამოვიცნობ; შეიძლება, თქვენს ხელისგულზე თქვენი წარსული, აწმყო და მომავალი ამოვიკითხო?“

„თუკი რამეს დაინახავთ...“ – მივუგე სიცილით.

მან თავი გაიქნია და იდუმალი ხმით დაიჩურჩულა: „ვხედავ... ყველაფერს ვხედავ... ვხედავ დაკეტილ კარს, ვიწრო ოთახს, სევდიან ადამიანებს... სულ სამნი არიან: დედაბერი, ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი; შინიდან იმიტომ გამოიქეცით, რომ მათ გვერდით სული გეხუთებათ; ტყვეობიდან თავის დახსნას ესწრაფვით და ამ მშვიდ სავანეში იმალებით...“ გაოგნებული შევყურებდი; მინდოდა, დამენახა, როგორ გამოიყურებოდა ეს უცნაური ქალი, მაგრამ მძიმე, ხშირი თმა სახეს უფარავდა; ჩემს ხელისგულს ყურადღებით დასცქეროდა. „მალე თქვენი ცხოვრება შეიცვლება; ერთ საოცარ ადამიანს გაიცნობთ,“ – მითხრა და ხელი გამიშვა.

„მამაკაცს თუ ქალს?“ – ვკითხე აღელვებულმა.

„ორივეს,“ – მიპასუხა მან და ისეთი დაჟინებით დამაცქერდა, თითქოს, ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინოს. მეც დავხედე ჩემს ხელს და გადავატრიალ-გადმოვატრიალე; ამ ქალს ჩემში ცნობის-მოყვარეობის ცეცხლი აეგიზგიზებინა: „თქვენი მჯერა. მეც მინდა, თქვენს ხელისგულზე ამოვიკითხო თქვენი ბედისწერა, – ვუთხარი ბავშვური აღფრთოვანებით.

– ამას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება,“ – მომიგო ღიმილით: „რაწამს ზღურბლს გადმოაბიჯეთ, ჩემი ყურადღება მიიპყრეთ და ყველასგან გამოგარჩიეთ; მყისვე ვიგრძენი, რომ სხვებს არ ჰგავდით; თქვენ ხომ ასეთი ნორჩი ხართ?! მიყვარს ახალგაზრდები, ძალიან მიყვარს... უცნაურად მომეჩვენა, ამ დახლს მარტოდმარტო რომ მიუჯექით...

– ამ ბოჰემურ კაფეს არ შევეფერები? მეტყობა, რომ ბურჟუაზიის პირმშო ვარ? შუბლზე მაწერია, რომ სხვა სამყაროდან გამომაძევეს და ამ ბარს შევაფარე თავი? ნუთუ აქ ჩემი ადგილი არ არის? – ვკითხე დანანებით.

– დიახ, მაგრამ თქვენი მიუსაფრობა და სულის სიმარტოვე ადა-მიანს აუწერელ სიამეს განაცდევინებს“, – შესძახა და ისევ დაჟინებით დამაცქერდა; მის თვალებში, თითქოს დედური სინაზე იხატებოდა.

„რატომ არ უვლით თქვენს ლამაზ სახესა და თმას? მერწმუნეთ, თუ მიმზიდველად ჩაიცვამთ და თმას რიგიანად დაივარცხნით, დამატ-ყვევებელი სილამაზითა და შარმით შეიმოსებით და მთელი პარიზის გულს დაიპყრობთ!“ – ისეთი თბილი, ალერსიანი და მთრთოლვარე ხმით შესძახა, რომ მივხვდი, გრძნობას აეტანა; ალმური მომედო; კვლავ თვალმოუშორებლად და მდუმარედ მიყურებდა; უეცრად, მხარზე შემეხო და მითხრა: „წამომყევით; მინდა, ერთ ადამიანს შეგახვედროთ; დამიჯერეთ, თქვენი ნახვა ძალიან გაეხარდება.“ დარ-ბაზის ბოლოსკენ მტკიცე ნაბიჯით გაეშურა და მოცეკვავეთა ბრბო გულუშიშრად გააპო; ფეხდაფეხ მივყვებოდი; კარმელიტების ორდენის მონაზვნის ანაფორასავით გრძელი, გულდახურული, ყავისფერი კაბა შემოტმასნოდა მის ელეგანტურ, მომხიბვლელ, ჩამოსხმულ, ძლიერ და ახოვან სხეულს და ხელგწაფული ოსტატივით გამოექანდაკებინა; მაგიდასთან მჯდარი დენისი დავინახე და თითქოს, ნეტარი წარსული წამის უსწრაფესად გაცოცხლდა; ახლაც ძველებურად იცურებდა თითებს თმაში... ყოველთვის, როცა აფორიაქებული იყო, თავის ბზინვარე, წაბლისფერ თმას ასე უმოწყალოდ აწვალებდა.

„აქ რას აკეთებთ, ჩემო პატარავ? ნუთუ, უკვე მიატოვეთ თქვენი სულის შემხუთავი ოჯახი?! – მკითხა და ხელი ძალიან მაგრად მომი-ჭირა ხელზე.

– არა, მაგრამ აქ ხშირად დავდივარ. არასოდეს დამავიწყდება ის საღამო, როცა აქ მომიყვანეთ,“ – ვუპასუხე ხმაათრთოლებულმა; ოდნა-ვადაც კი არ შეცვლილიყო; აღელვებული ვიყავი და ისე ვცახცახებდი, მეგონა, სადაც იყო, ცრემლი წამსკდებოდა. სკამზე მოცელილივით დავეცი. „რამეს ხომ არ მიირთმევთ? ნება მიბოძეთ, ისე რიგიანად გაგაცნოთ ერთმანეთი, როგორც ტრადიცია მოითხოვს; მარგერიტ, ეს მადამ ლამბლენია, მადამ ლამბლენ, ეს კი მადმუაზელ დრიუფი გახლავთ.

– შეგიძლიათ, მარი-ანჟი დამიძახოთ; „თქვენობით“ საუბრით თავს ნუ შეიწუხებთ, – ღიმილით მახარა მადამ ლამბლენმა.

– აი, თურმე, რატომ იცოდით ჩემზე ამდენი რამ, – დავიჩურჩულე გაწბილებულმა.

– რასაკვირველია! ნუთუ გრძნეული გეგონეთ?! დარწმუნებული ვარ, იფიქრეთ, წინ ჯადოქარი მიზის და ხელისგულზე ყურადღებით დამცქერისო. დენის, მარგერიტი საოცარი ბავშვია!“

დენისი შეწუხებული ჩანდა; ნათელი და ლამაზი სახე მოღრუბ-ლოდა; ხან მე შემომხედავდა, ხან კი – მარი-ანჟს.

„ვიცი, რომ დენისს დახმარების ხელი გაუწოდეთ. დღემდე

გემადლიერებათ, ასეთი სულგრძელობა რომ გამოიჩინეთ,“ – მითხრა მადამ ლამბლენმა, პოეტს გაუღიმა და განაგრძო: „ამ გენიოსს მეც ვაღმერთებ; ზოგჯერ საშინლად აუტანელია, მაგრამ რა გაეწყობა! ასეთი ჭირვეულები არიან პოეტები!“ – შესძახა თვალებანთებულმა და დასძინა: „დარწმუნებული ვარ, დავმეგობრდებით!“ „რა თქმა უნდა,“ – ამოვილუღლუღე; მტანჯველმა მდუმარებამ დაისადგურა; მე და დენისი აფორიაქებულები ვიყავით; მარი-ანჟმა სკამის საზურგეზე გადაკიდებულ წაულას ქურქს ხელი დაავლო, წამოდგა და გვითხრა:

„ხელს აღარ შეგიშლით; დიდი ხანია, ერთმანეთი არ გინახავთ და, ალბათ, მოუთმენლად ელით იმ საამურ წუთს, როცა მარტოდმარტო დარჩებით და გულისნადებს ერთიმეორეს გაუმხელთ. ხვალ ვახშმად ხომ მესტუმრებით?

– მიდიხართ? – ჰკითხა დენისმა.

– დიახ; გთხოვთ, დარჩით თქვენს პატარა ცოლისდასთან და ესაუბრეთ; ახლა მას უფრო სჭირდებით, ვიდრე მე“, – სწრაფად, სულმოუთქმელად, ერთგვარი გაცხარებითაც კი უპასუხა და გაწითლდა.

ეს უცნაური ქალი მალე გაგვშორდა; თავჩაქინდრული დენისი თვალს ვერ მისწორებდა; ვცდილობდი, ზეადამიანური ძალისხმევისთვის მომეხმო და მოძალებულ ცახცახს როგორმე გავმკლავებოდი, ხმა არ ამთრთოლებოდა და არ ავქვითინებულიყავი.

„მეგონა, ვეღარასოდეს გნახავდით; რატომ არ მომწერეთ, დენის? ნუთუ ერთი წერილიც კი ვერ გაიმეტეთ ჩემთვის? – ვკითხე და ვიგრძენი, როგორ გამებზარა ხმა. ო, რა ამაოდ ვიკრებდი ძალას! დენისი მიხვდა, რომ ძალიან ვღელავდი.

– ასეთი წერილების წერა არ მეხერხება. ძალიან მორცხვი ვარ,“ – მითხრა მან. მის ხმაში მწარე სინანული და ტკივილი გამოსჭვიოდა. „მე კი მეგონა, დამივიწყეთ, – ამოვილუღლუღე საწყალობლად.

– ცდებით!“ – დამამშვიდა პოეტმა.

მან ისევ შეიცურა თლილი თითები ბზინვარე თმაში და ჩაახველა; დანაშაულზე წასწრებულ ბავშვს ჰგავდა; ეს ჯოჯოხეთური მდუმარება უსაშველოდ გაიწელა.

„ალბათ, რამდენი რამ გადაგხდათ თავს!“

მან ხელი აიქნია, ვერ მივხვდი, რისი თქმა სურდა ამ ბუნდოვანი ჟესტით; მოიღუშა, სევდიანი, მძიმე მზერა მომაპყრო და მითხრა: „ჰო... ბევრი რამ...“

თითქოს, ბედს საბოლოოდ შერიგებოდა. „თუ მარი-ანჟს კარგად გაიცნობთ, ყველაფერს მიხვდებით... გამორჩეული ქალია,“ – მითხრა რემბოს მოტრფიალე პოეტმა და როგორც იქნა, მოღრუბლული სა-

ხე ღიმილმა გაუცისკროვნა: „ქალი კი არა, ბედისწერაა...“ – დასძინა ხმადაბლა, სიგარეტს თითი დაჰკრა, საფერფლეში ჩააფერფლა, ჩემკენ გადმოიხარა და განაგრძო: „მარგერიტ, სანამ ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე ამ არნახულ ადამიანს გადავეყრებოდი, მეჩვენებოდა, რომ ბედისწერას გამუდმებით დუელში ვიწვევდი და ხელთათმანს თავხედურად ვესროდი; ყელმოღერებით, გულარხეინად მივუყვებოდი ბეწვის ხიდს და სიკვდილისაც კი არ მეშინოდა; არც კი ვიცოდი, ეს უგუნური მეტოქეობა რას მომიტანდა... დიად, ძალმოსილ ბედთან ჭიდილში ძალ-ღონე სულ გამომეცალა...

– ყოველთვის მიკვირდა, რომ მარსელი ცოლად შეირთეთ.

– ყოველთვის მაგნიტივით მიზიდავდა არნახული საშინელება და ყოვლის გამანადგურებელი კატასტროფა; რაღაც უხილავი, უძლეველი ძალა შეუჩერებლად მიმაქროლებდა ამ ქვესკნელისკენ,“ – მომიგო და ოდნავ დამცინავი მზერა მომაპყრო.

„მესმის; ახლაც გიზიდავთ საშინელება თუ ამ საზარელმა ქარიშხალმა უკვე გადაიარა?“

„ვინ იცის?“ – შესძახა მან და მხრები აიჩეჩა; მისმა სევდიანმა ხმამ გული ულმობლად დამიფლითა.

„მარი-ანჟი ღვარცოფივით მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და თითქმის ზეადამიანური ძალის წყალობით დამიმორჩილა; ვერც კი ვხვდებოდი, რას მიქადდა ეს შლეგი სტიქია, ეს ველური ბუნების ხორცშესხმული სული,“ – თქვა ოცნებამორეულმა, თვალი ჭერს მიაპყრო და დასძინა: „შეუცნობელმა, დიდებულმა, ამაღელვებელმა ბედისწერამ, ამ თავაწყვეტილმა გრიგალმა თვალის დახამხამებაში გადამისროლა მის სახლში... რა საოცარია! სამი დღე განუწყვეტლივ ჩემზე ოცნებობდა, მაგრამ თვალითაც კი არ ვენახე!“

დენისს თვალებით ვჭამდი; თითქოს, უეცრად, მთელმა ბარმა სახე იცვალა და სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდით; ჯაზის ყურთასმენის დამტკბობი ჰანგები, ქალების სიცილი, ნარინჯისფერი შუქი და აჭრელებული აფიშები თეატრის დეკორაციად ქცეულიყო, თუმცა, არც ჭეშმარიტი სახე დაეკარგა; ჩემი ოდინდელი, მოსაწყენი ცხოვრება აუტანელი ზათქითა და გრგვინვით გადაიხვეწა თვალუწვდენელ სიშორეში; თითქოს, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი გოგონა და ამ უკიდეგანო ქვეყნიერების მკვიდრი კი არა, უნიჭო მსახიობი ვიყავი, ბოგანოსავით უგერგილოდ და ტლანქად ვთამაშობდი იმ დიდ დრამაში, რომლის მთავარი გმირიც დენისი გახლდათ.

„საოცრად მდიდარი და საინტერესო ქალია; როცა გავიცანი, გავიფიქრე, ვულგარული, უფერული მეცენატია-მეთქი; სამხრეთში

დიდი მამული აქვს; იქ მრავალ ხელოვანს მოუყარა თავი; გეგონებათ, შემოქმედთა კოლონია დააარსაო; ნეტავ იცოდეთ, როგორ შეიფარებს ხოლმე დედასავით ადამიანებს ფრთებქვეშ!“ – თქვა მან, უეცრად გაჩუმდა და მომაგონდა, რომ ხშირად მოულოდნელად ჩაიკმენდდა ხმას, რადგან არასოდეს სჩვეოდა გულისნადების ბოლომდე გამხელა; როცა რაღაც ამბავს მიყვებოდა, დადუმდებოდა და იდუმალ, შეუვალ გამომეტყველებას მიიღებდა; ძალიან ვღიზიანდებოდი, ლამაზი ფრაზის უხილავ ძაფს ასე დაუფიქრებლად რომ გაწყვეტდა ხოლმე!

„მიამბეთ, დენის... გთხოვთ, ყველაფერი მიამბეთ! – შევძახე მოუთმენლად.

– ის ბედისწერასავით ბრმაა; უფრო სწორად, ყველასთვის უჩინარი არსებების გარდა ვერავის და ვერაფერს ამჩნევს; უდრტვინველად ემორჩილება ოცნებების, უეცარი აღმაფრენის, ზეციური შთაგონების, ახირებებისა და მწველი სურვილების უძლეველ ძალას; ვნებას, ამ ჭირვეულ ქალღმერთს ფეხდაფეხ მისდევს; ცოტა ხნის წინ დაინახა, ეულად რომ იჯექით დახლთან, სასმელის ჩხირებს თავს უყრიდით, მერე კი ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდით; იმწამსვე დაიჩემა, ეს გოგონა აუცილებლად უნდა გავიცნოო. გესმით, მარგერიტ?! ამ ბრბოსგან მხოლოდ იმიტომ გამოგარჩიათ, რომ ბარში მარტოდმარტო იყავით...

– თქვენზე არაფერს მეტყვით, დენის? გთხოვთ, მომიყევით, რა მოხდა...“ – ვუთხარი მე. მინდოდა, ჯოჯოხეთურად გამეწამებინა, მისთვის აუტანელი ტკივილი მიმეყენებინა და იძულებული გამეხადა, სიმართლე გაემხილა; გაეღიმა და მითხრა:

„ის ჩემზე ოცნებობდა... ძალიან დიდხანს ოცნებობდა... ნეტარ ზმანებაში შთანთქმულს, ვიღაც უხილავმა ჩასჩურჩულა, დენისის გარეშე წარმატებას ვერასოდეს მიაღწევ, უამრავი საქმე წამოიწყე, მაგრამ იცოდე, თუ მის ბრძნულ რჩევა-დარიგებას ყურს არ ათხოვებ, ხელი მოგეცარებაო; სამხრეთულ მამულში გავყევი; მის ბრძანებებს უსიტყვოდ ვემორჩილებოდი და მუხლჩაუხრელად ვშრომობდი; ო, რა საოცრება იყო! იცით, რამდენი რამ გავაკეთეთ?! ბეღელში ავანგარდისტული სპექტაკლები დავდგით; მარიონეტებს, ამ პატარა მსახიობებს ჩემი ხელით ვათამაშებდი, პატეფონში ფირფიტას ჩავდებდი და მშვენიერი ტექსტებით ვტკბებოდით... ჯადოსნური დღეები გავატარეთ; საქმე თავზე საყრელად მქონდა.

– ო, რა ბედნიერი ვარ, დენის! მწამდა, რომ გულხელდაკრეფილი არ იჯდებოდით და ოდესმე საქმეს გამონახავდით!“

მან თავი გადააქნია: „ცდებით, ჩემო პატარავ; ზოგი ისე გასწევს დიდ ღვაწლს, კაცობრიობის ისტორიის მარადიულ საგანძურს

თავის სახელსაც კი არ შემოუნახავს; ანონიმის ნიღბის მორგებაც სასიამოვნოა; ასეთი საარაკო გმირობის ჩამდენი თავს ვეღარ ცნობს, თითქოს, სულ სხვა ადამიანად ქცეულა, ვერ დაუჯერებია, რომ მიზანს მიაღწია... ყოველივე ეს ძალიან კარგია, მარგერიტ, მაგრამ მხოლოდ ჩემი ძალისხმევით შედევრს ვერასოდეს შევქმნი; თუ წერას შევუდგები, მომეჩვენება, რომ მეძავივით სხეულით ვვაჭრობ და ჩემს სანუკვარ ნიჭს ვაუფასურებ...“

მეტისმეტად ფაქიზი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დენისის გრძნობათა სისათუთე გულს მიჩუყებდა; ბავშვივით მგრძნობიარე, ყველასგან გამორჩეული, უსახურ ბრბოზე ამაღლებული, ნატიფი, გულჩვილი, მიწიერი სიმდაბლისგან განწმენდილი ქმნილება იყო და მისი დელიკატურობა მისივე უპირატესობად მესახებოდა.

„პარიზში დიდხანს დარჩებით? – ვკითხე გულაფანცქალებულმა.

– არ ვიცი. ხომ გითხარით, ბედისწერის უხილავი ძალა საზარელი ქარიშხალივით რომ მიმაქროლებს სადღაც?“ – გაეღიმა პოეტს.

სახლამდე მიმაცილა; თავბრუ მეხვეოდა და თვალთ ისე მიბნელ-დებოდა, თითქოს მთვრალი ვიყავი; მასულდგმულებელი სიხარული, საზარელი, მაგრამ მაინც საოცრად საამო შიში ტალღასავით მშთან-თქავდა. დილით თვალი სულ სხვა მხარეში გავახილე, თითქოს იმ სამყაროში აღმოვჩდი, ხან რომ წარბს შეიკრავდა და მემუქრებოდა, ხან კი სასიამოვნო დაპირებებით მავსებდა.

მარი-ანჟს ვესტუმრე; რანელას ქუჩაზე გოროზად წამოჭიმულ დიდ სავანეში ცხოვრობდა; ყველა ოთახში უცნაური და საეჭვო ნივთები მიმოფანტულიყო; ძალიან დიდხანს ვიყურყუტე პირველ სართულზე; ასეთი გასაოცარი დიდებულება ჩემს დღეში არ მეხი-ლა! აღმაფრთოვანებდა ეს ბუდუარი, რომელიც ქვეყნად არც ერთ კატალოგში არ იყო შეტანილი და თურმე, არც წინაპრებს უანდერძე-ბიათ ამ ახირებული ქალისთვის; თითქოს, ყოვლისშემძლე გრძნეულს ეს ზღაპრული სამკვიდრებელი ჯადოსნური სამყაროდან შუაგულ პარიზში გადმოესროლა; თითებით ვეალერსებოდი კედლებზე დაკი-დებულ ნიღბებს, სპილენძის ძაღლებსა და მუქ ყავისფერ სტატუეტებს; მონუსხული ვკითხულობდი წიგნის პირველ გვერდზე მიწერილ მიძღვნებს; სასოწარკვეთა მიპყრობდა; ვგრძნობდი, მარი-ანჟისაგან განსხვავებით, არასოდეს მექნებოდა ასეთი სახლი და ვერასოდეს დავტკბებოდი იმ დიდებული ცხოვრებით, რომელიც ჩემი სახლის კედლებში სამარადისოდ დაივანებდა; ჩემს საუფლოში ვერასოდეს დაიბუდებდა ჩემი აჩრდილი; დრო-ჟამისგან დახეთქილი ავეჯი ჩემი ეფემერული სურნელით ვერ გაიჟღინთებოდა; ეს უდიდესი წყალობა

ჩემს დღეში არ მეღირსებოდა; როცა ამ სოფელს დავტოვებდი, ჩემი შინაგანი სიმდიდრე უკვალოდ გაქრებოდა, რადგან მანამდე ჩემში უსახური სიცარიელე და სიცივე იქნებოდა ჩასახლებული; რაწამს მიწას მიმაბარებდნენ, ქაოსში შთანთქმულ ამ სამყაროში ჩემი კვალიც კი წარიხოცებოდა და ჩემი ხსენებაც აღიგვებოდა პირისაგან მიწისა.

„რა თავაზიანი გოგონა ხართ! ძალიან მიხარია, რომ პატივი დამდეთ და მესტუმრეთ!“ – შესძახა მარი-ანჟმა და ხელები ჩემკენ გამოიწვდინა; გრძელი, კაშკაშა გვირისტით დამშვენებული განდურა (არაბთა უსახელო ტუნიკა.მთარგმნ.) მოესხა, მძიმე სამაჯურები აეჩონჩხლა და აღმოსავლური, ფერადი ტყავის ფლოსტებში გაეყო ფეხები; მისი ფრჩხილების ფორმამაც კი გამაოცა; ფინჯანი ჩაი, პური, ხიზილალა და გუაიავას მურაბა მომართვა.

„ახლა კი თქვენს ცხოვრებაზე მიამბეთ,“ – მითხრა და სახეზე სუსტი, არისტოკრატული, ყალბი სინატიფითა და ფარისევლური აღფრთოვანებით სავსე ღიმილი გადაეფინა; შეცბუნებული და შეშინებულიც კი ვიყავი, მაგრამ მინდოდა, მისი ცნობისმოყვარეობა გამეღვიძებინა; ძალიან სწრაფად, სულმოუთქმელად, მოურიდებლად, მეტისმეტად ხმამაღლა ვლაპარაკობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი სიტყვები ყალბად ჟღერდა; რატომღაც, ჩემმა მონათხრობმა თავზარი არ დასცა; თვალებგაბრწყინებული შემომცქეროდა და მარჯნის ბაგეებს თვალწარმტაცი ღიმილი უპობდა; დროდადრო შესძახებდა: „შესანიშნავია!“

როცა მოყოლას მოვრჩი, განიერი, დიდი სავარძლის საზურგეზე გადაწვა, ჭერს თვალი მიაპყრო, სიგარეტი გააბოლა და თავის წარსულზე ბაასს მოჰყვა. ო, რა საოცარი იყო ამ ქალღმერთის ცხოვრება! ორჯერ გათხოვდა, მაგრამ ორივე ქორწინება უიღბლო გამოდგა; გაყრის შემდეგ, ხან ინდოეთში ცხოვრობდა, ხან მექსიკაში, ხან არდეშის სასახლეში (საფრანგეთის დეპარტამენტი. მთარგმნ.), ხან ფლორენციაში, ხან პარიზში, ხან კი – ექსის (საფრანგეთის დეპარტამენტი. მთარგმნ.) ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში... მის დაუდგრომელ სულს მარადიული შლეგი წყურვილი ტანჯავდა; მის მგზნებარე, ბობოქარ გულს არაფერი ახარებდა; ამ დამაშვრალ ლტოლვილს ვერა და ვერ ეპოვა ის ნეტარების წყარო, რომელსაც ხარბად დაეწაფებოდა და რომელიც მალამოდ დაედებოდა მის საზარლად დახეთქილ, ჯოჯოხეთურად ნაწამებ ტუჩებსა და ხრიოკ უდაბნოსავით გამომშრალ ყელს; ამ მოუსვენარ ქალს არასოდეს განეცადა სრულყოფილების საამო შეგრძნება; დღემუდამ რაღაც იდუმალს, საოცარსა და არნახულს დაეძებდა; თეოსოფი და სპი-

რიტისტი გახლდათ; მითხრა, რაწამს იდუმალ შელოცვას წარმოვთქვამდი, მაგიდები ბრუნვას იწყებდნენო; ერთი წელი მხოლოდ ცერცვითა და მოხარშული ბრინჯით სულდგმულობდა, ექვსი თვე ნუდისტთა დასახლებაშიც კი ეცხოვრა; ეგონა, აურცხელი სიმდიდრით აღივსებოდა და გამოიბრძმედებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა; რაწამს დენისი დაინახა, შეიცნო თავისი ტრაგედიის არსი, ცხოვრებას – ამ უდიდეს დრამას – იდუმალების საბურველი შემოაძარცვა და ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ შემოქმედების წყურვილით განახელებ დემონს შეეპყრო; გიჟური ვნების ალში გახვეული ქალის სულს დაპატრონებული სისხლისმსმელი ნადირი ვერ ისვენებდა, დღემუდამ აქეთ-იქით დაძრწოდა, მარი-ანჟს სულს უხუთავდა და მისი სხეულის ნაპირებს ველური ღრიალით აწყდებოდა. „ასე იმიტომ წრიალებს, რომ აქამდე საშუალება არ მიეცა, თავი გამოეჩინა და შედევრი შეექმნა," – მითხრა და თვალებში ჩამხედა; მომეჩვენა, თითქოს, საშინლად მახინჯი და დასახიჩრებული არსება იყო; ეს საბრალო ხეიბარი მუდამ სიმშვიდეს ესწრაფოდა, მაგრამ სრულქმნილების ნეტარ შეგრძნებას თავის ბობოქარ გულში კი არა, ამ უზარმაზარ სამყაროში ჰპოვებდა; უნდოდა, ხელოვანების, მწერლების, მხატვრებისა და პოეტების სამყაროში ეტრიალა, რადგან მხოლოდ ამ ზეკაცებს შესწევდათ უნარი, ეგრძნოთ მისი სულის ის იდუმალი რხევა, ის ჩუმი სიმღერა, ქარწაღებული ფოთოლივით რომ ათრთოლებდა და მოსვენებას უკარგავდა; მათ გარდა ცისქვეშეთში ვერავინ შეძლებდა, ეს შორეული, უღონო ხმა ყურთასმენის დამტკბობ, წკრიალა, სუფთა ჰანგად ექცია! თუკი ეს დიდებული გრძნეულები ამ სასწაულს მოახდენდნენ, მარი-ანჟის არსებაში ჩასახლებული ტანჯულ-გვემული დემონი ტყვეობას თავს დააღწევდა და ნანატრ თავისუფლებას მოიპოვებდა.

„დენისისთანა ადამიანი არასოდეს შემხვედრია; წყლის ორი წვეთივით ვგავართ ერთმანეთს; ეს ნიჭიერი პოეტი ჩემსავით მგრძნობიარეა; უსიტყვოდ გვესმის ერთურთის; აუცილებლად გაჩვენებთ რამდენიმე ტექსტს, რომელიც მან, ასე ვთქვათ, ჩემი წყალობით დაწერა; როცა ჩემ გვერდითაა, საოცარი შთაგონებით ივსება; როგორც კი მისი ნააზრევი წავიკითხე, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს, ეს შედევრი მე ვუკარნახე ჩემს პირმშვენიერ ყმაწვილს, მან კი ყოველივე მორჩილ მოწაფესავით გულმოდგინედ, სიტყვასიტყვით ჩაიწერა; ო, ასეთი საოცარი რამ ჩემს დღეში არ მინახავს!" – მითხრა, გაეცინა და განაგრძო: „ერთხელ შევთავაზე, ჩემი ბაღის ბოლოში მდგარ პავილიონში იცხოვრე-მეთქი, მაგრამ გაჯიუტდა; ასეთი

გულმართალი, კეთილსინდისიერი და წესიერი ბავშვია! მითხრა, ვშიშობ, თქვენთან რომ გადმოვიდე, ავყია ხალხი ბინძური ჭორებით ღირსებას შეგიბღალავთო... სულ არ მადარდებდა, რას იტყოდნენ სულმდაბალი არსებები; დიდი ხნის წინ გავთავისუფლდი ამაზრზენი, ძველთაძველი ბურჟუაზიული ცრუწმენებისგან; დენისი ჰაერივით მჭირდება; ეს ახალგაზრდა ჩემი სუნთქვაა, ჩემი გულის ძგერა... მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ! მინდა, მუდამ ვუცქერდე და ვგრძნობდე, რომ ჩემთანაა.“

სიგარეტისა და ოპიუმის სუნით გაჟღენთილი კვამლი თავბრუს მახვევდა და უცნაური შეგრძნება მეუფლებოდა; მაშინებდა კიდეც ეს იდუმალი ქალი, მისი მელოდიური, წკრიალა, მთრთოლვარე ხმა და დაჟინებული მზერა.

„დენისი ვერაფერს შექმნის, თუკი ჩემს სხეულში ჩასახლებული, შემოქმედების წყურვილით განახელები დემონი გულუხვად არ უწყალობებს შთაგონებას, სასიცოცხლო ძალას, მგზნებარებასა და აღმაფრენას. მე და ჩემი პოეტი, თითქოს, ერთარსებად ვიქეცით. რას უწოდებენ ამ მოვლენას ბუნებრივ ისტორიაში? მგონი, სიმბიოზს, არა?“ – მკითხა მან ღიმილით.

მთელი გულით მეწადა დენისის ნახვა; შიშმორეული ვფიქრობდი: „ნუთუ ჩემი ლამაზი ბიჭი ბედნიერია?“ მასზე ძალიან ვდარდობდი. როცა მეორე დღეს მისი ოთახის კარზე დავაკაკუნე, აღელვებისგან მუხლები მეკვეთებოდა.

„როგორ ხარ, ჩემო პატარავ?“ – მკითხა და ალერსიანი მზერა შემომაგება. ო, როგორ მიხაროდა, რომ კვლავ მისი თვალების საამო შუქში გავეხვიე! საშინაო პიჯაკი ეცვა; სავარძელში ისე მოიკუნტა, თითქოს სციოდა; სიჩუმე ჩამოვარდა; მომეჩვენა, რომ დენისს ვაშინებდი კიდეც. ჩემი თავგადასავლები უგულოდ, ნაძალადევად ვუამბე; სიტყვები, თითქოს, გაჭირვებით სწყდებოდა ჩემს ბაგეს; სულაც არ მინდოდა მისთვის ამ ამბების მოყოლა, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩენოდა; ეს სამარისებური მდუმარება მძიმედ მაწვა გულზე; რაღაც ხომ უნდა მეთქვა?! დენისმა ყური დამიგდო, მერე კი თავი ისე გააქნია, თითქოს, მკიცხავდა.

„ასეთ გართობაზე ხელი უნდა აიღოთ, ჩემო საყვარელო, თორემ ერთ ავბედით დღეს საშინელება არ აგცდებათ,“ – მითხრა მან, სიგარეტის კვამლი ლამაზ რგოლებად გამოუშვა და დასძინა: „დარწმუნებული ვარ, მარი-ანჟი დაგიმეგობრდებათ და დაგეხმარებათ; ახლა გჭირდებათ ადამიანი, რომელიც ხელს მაგრად ჩაგჭიდებთ და თქვენთან ერთად გაივლის ცხოვრების გრძელ გზას. თუ გონიერ და

გამოცდილ წინამძღოლს ვერ იპოვით, შიში დაგძლევთ და უგზო-უკვლოდ დაიკარგებით...

– მარი-ანჟი მართლაც საინტერესო ადამიანია," – მივუგე მტკიცედ და დავდუმდი; არ ვიცოდი, რა მეთქვა; ვორჭოფობდი; თითქოს, უსაზღვრო ოკეანეში გამალებით დავეძებდი სიტყვებს; როგორც იქნა, სასურველ ფრაზას ჩავავლე და დენისს ვკითხე: „მოგწონთ თქვენი ცხოვრება? ბედს არ უჩივით?"

„რა უცნაური შეკითხვაა! ცხოვრებას, ამ ურჩ ბედაურს, ჩვენს ნებაზე ვერ წარვმართავთ, მარგერიტ; ცხოვრების „არჩევა" შეუძლებელია; ბავშვობიდანვე გვარწმუნებდნენ, ადამიანი თავისი ბედის მჭედელიაო, მაგრამ... მსახვრალი ბედისწერა, რომელმაც, თითქოს, ხელ-ფეხი შეგვიკრა, თავბრუდამხვევი სისწრაფით მიგვაქანებს სადღაც; ცხოვრებაში უამრავი რამ ხდება და იძულებულნი ვხდებით, ბედს შევურიგდეთ; დამიჯერეთ, ეს უფერული ყოფაც კი მოულოდნელობებითაა აღსავსე, არ იცი, რა გელის ხვალ, რას გიმზადებს ეს მუხანათი საწუთრო, ხან უიმედობა გიპყრობს, ხან კი... – მიპასუხა ღიმილით.

– ჰო, მაგრამ თქვენი სამუშაო ხომ გიყვართ?

– თავი მცონარობას მივეცი... გარდა ამისა..." – მითხრა და მხრები აიჩეჩა.

„შრომაც კი ამაო ფუსფუსია, არა? ნუთუ, ამქვეყნად ყოველივე ამაოა?!"

წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა: „ჩემო პატარა, საბრალო მარგერიტ, მეჩვენება, რომ ჩემი ცხოვრება დასრულდა; რითი ვისულდგმულო?! მე ხომ მივხვდი, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ადამიანმა მიზნის მისაღწევად თითიც კი არ უნდა გაანძრიოს?! დამერწმუნეთ, ჭაპანწყვეტა არ ღირს; ყოველივე ამაოა. უმჯობესია, უსაქმურობით დავტკბეთ!

– ო, არა! ახლაც კი მახსოვს, როგორ მითხარით ოდესღაც: „თავი უანგარობით უნდა ვისახელოთ; სიკეთე უნდა ვთესოთ, მაგრამ ნაცვალგების იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან გულწრფელობისა და უშურველობის ძალმოსილი ქალღმერთი სრულიად უბრალო საქმესაც კი საოცარი სილამაზითა და სიდიადით შემოსავს; ადამიანმა სული და გული უნდა ჩააქსოვოს ყველაფერში, რასაც ხელს მოჰკიდებს; მხოლოდ უანგარო საქციელი იქცევა ფასდაუდებელ განძად, დიახ, უანგარო..."

„უანგარო სათნოებაც კი ერთგვარი ხელბორკილია; მიწიერი სიმდაბლისგან განწმენდილი კეთილი ზრახვაც კი მონებად გვაქცევს," –

თქვა და ისე გაიზმორა, მისი სახსრების ტკაცუნი შემომესმა: „ო, როგორ მომყირჭდა ყველაფერი, როგორ დავიღალე! სიცოცხლეც კი მძულს...“

ოდესღაც გული რწმენით ჰქონდა სავსე, მასში უშრეტ წყაროდ ჩქეფდა სასიცოცხლო ძალა, თავდაჯერება, ცხოველმყოფელი სიხარული და იმედი, ახლა კი სასოწარკვეთილი, ღონემიხდილი და გულმოკლული ჩანდა... ვნატრობდი, მისთვის ნეტარი სიმშვიდე დამებრუნებინა! „სად გაქრა თქვენი ძველებური სიამაყე, დენის?! – ვკითხე შეძრწუნებულმა.

– მარგერიტ, ჩემგან აღარაფერს ველი; ვიცი, ვერაფერს შევქმნი; არც სხვებისგან ველი რამეს... სხვისი იმედი არ უნდა გვქონდეს... ყველანი მუდამ რაღაცას ველით, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მოლოდინს ბოლო არასოდეს მოეღება, რადგან ჩვენ გარშემო უკიდეგანო სიცარიელე და გულშემზარავი არარა გამეფებულა; ალბათ, უმჯობესია, თავი მოვიკლა. ო, ნეტავ, სამუდამოდ გავქრებოდე...“

მისი სიტყვები გულზე მომხვდა; მართალია, ხშირად ვტიროდი და გაუსაძლისი სევდა მიპყრობდა, მაგრამ თვითმკვლელობაზე წუთითაც კი არ მიფიქრია. მომეჩვენა, რომ საშინლად ზედაპირული, ფუქსავატი, გულგამოფიტული და ჭკუათხელი ვიყავი! ჩემს ბაგეს უნებურად აღმოხდა გულში დამარხული საიდუმლო: „მიუხედავად ყველაფრისა, სიცოცხლე ძალიან მიყვარს!“ უეცრად, თითქოს, თვალისმომჭრელმა შუქმა წყვდიადი გაფანტა და მივხვდი, რომ სულ მალე ეს სიტყვები საზარელ სიცრუედ იქცეოდა, რადგან სიცოცხლე შემზიზღდებოდა და დენისი სასოწარკვეთილების მორევში ჩამითრევდა; არა, არა, ვცდებოდი! კი არ ჩამითრევდა, მე თვითონ ჩავყვებოდი! მინდოდა, მისთვის ხელი ჩამეკიდებინა და არასოდეს მიმეტოვებინა, თუმცა, მეშინოდა, რომ ჯოჯოხეთურად დავიტანჯებოდი.

მან სიგარეტი გამომიწოდა, სახე გაუნათდა და მითხრა:

„თუმცა, შეგვიძლია, ცოტა ხნით მაინც დავტკბეთ სულ უბრალო საგნებით და წყალწაღებულებივით ჩავებღაუჭოთ იაფფასიან, თუმცა ლამაზ ნივთებსა და თვალგასახარ სილამაზეს. შეხედეთ ამ პრესპაპიეს, ამ რამდენიმე დღის წინ ერთ პატარა ბაზრობაზე შევიძინე! ამ მშვენიერებამ მომნუსხა და სულ სხვა სამყაროში გადამისროლა; როცა მას ვაკვირდები, მეჩვენება, რომ თვალნათლივ ვხედავ აკვარიუმს, ბაზრობას, მხიარულ, მხურვალე სახალხო ზეიმს, ხილის კარამელსა და ცისარტყელას... როცა მას ვუყურებ, ვერც კი ვგრძნობ, რომ დრო მიფრინავს და საათის ისრები შეუსვენებლად მიიჩქარიან.“

თავს აკანტურებდა და ცისარტყელასავით აჭრელებულ ბურთულას შესცქეროდა. როცა ჩემი წასვლის დრო დადგა, ხელი ხელზე ისე მაგრად

მომიჭირა, თითქოს, ჩემი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ ნაზი სიყვარულით გამსჭვალული ჩვენი თითები მაინც დაშორდნენ ერთმანეთს...

„გთხოვთ, ხშირად მესტუმროთ, მარგერიტ!“ – ხმაათრთოლებულმა მითხრა; ისე აღელვებული ჩანდა, სადაც იყო, ცრემლი წასკდებოდა; მისმა მავედრებელმა მზერამ გული ამიჩვილა.

მასთან ძალიან ხშირად დავდიოდი; ჯოჯოხეთურად ვიტანჯებოდი, რადგან სასოწარკვეთის საპყრობილეში გამომწყვდეული ახალგაზრდა მთელი გულით მიყვარდა. მის სულში თვალშეუვალ წყვდიადს დაესადგურებინა. ვგრძნობდი, რომ უიმედობის კლანჭებიდან თავს ვეღარასოდეს დაიხსნიდა. როცა მისგან უსაზღვროდ შორს ვიყავი, გეგმებს ვაწყობდი, ფიქრით თავს ვიმტვრევდი და გულში ვიმეორებდი: „რა ვუთხრა, როცა მის ოთახში შევაბიჯებ?!“ მარი-ანჟს საკუთარი თავის გარდა არავინ ადარდებდა, თავისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის დაუღალავად იბრძოდა და დენისი ჩირად არ უღირდა; ჩემი ქარიზმატული პოეტი აღარაფერს წერდა, დილიდან საღამომდე თავის ვიწრო ოთახში გამოკეტილიყო, ღამღამობით კი მონპარნასის ბარებში უგონოდ თვრებოდა; ვერ გამეგო, ახალგაზრდობის ნეტარ დღეებს ასე რატომ იმწარებდა; ის ხომ ბრწყინვალე და დიდებულ ცხოვრებაზე ოცნებობდა?! მაშ, ასე აუღელვებლად რად მიჰყვებოდა უფერულ დღეთა დინებას?! სული ყელში მებჯინებოდა; მინდოდა, მისთვის მეთქვა, უსულგულო მარი-ანჟი შენი ფეხის ფრჩხილადაც კი არა ღირს, ამ ცივსისხლიან ქალს თავს ნუ შესწირავ, ახლავე მიატოვე და საქმეს მოჰკიდე ხელი, დროა, შენს ხსნაზე იფიქრო-მეთქი, მაგრამ როგორც კი მის სევდიან თვალებსა და ტუჩის კუთხეში გაჩენილ ნაოჭს, ამ პატარა იარას მოვკრავდი თვალს, გულის სიღრმიდან ამომსკდარი სიტყვები აუტანელი ხმაურით იმსხვრეოდა და მტვრად იქცეოდა. სიხარულით მეგებებოდა, თავის უკანასკნელ გატაცებას თუ აღმოჩენას მაჩვენებდა (ლამაზ ბურთულას, ნახატს, ბოთლში ჩაგდებულ, პატარა სათამაშო ნავს ან გემს) და მეტყოდა: „ხომ დიდებულია?! ეჰ, მარგერიტ, ადამიანებს, ამ თვალხილულ ბრმებს, ანგელოზების დანახვა არ ძალგვიძს; არც კი ვიცი, აგვეხილება თუ არა თვალი ოდესმე.“ როცა ასეთ ჯადოსნურ სიტყვებს ვისმენდი, ვგრძნობდი, რომ ზედაპირული ადამიანი ვიყავი; ჩემი ღარიბი წარმოსახვა, უსახური წამიერი შეგრძნებები და ოცნებები თავბრუს მახვევდა და მაშინებდა კიდეც; უწინ მეგონა, ულევი შინაგანი სიმდიდრით აღსავსე ქალიშვილი ვიყავი... რა სულელური წარმოდგენა მქონია! ჩემისთანა გულგამოფიტული და უშინაარსო არსება დენისს სასარგებლო რჩევა-დარიგებას ვერასოდეს

მისცემდა; რაწამს სიტყვა ყელში გამეჩხირებოდა, ისიც ჩუმდებოდა; ეს ყოვლისმომცველი მდუმარება ვერა და ვერ დაგვერღვია; გულისმომკვლელი სევდა მიპყრობდა და სისხლმოწყურებულ ფურიასავით მთელ სხეულს მიფლეთდა; გახარებული მივქროდი მისკენ, მაგრამ როგორც კი მისი ოთახის ზღურბლს გადავაბიჯებდი, ცხოვრების აზრს ვკარგავდი, ყველა სანუკვარი ოცნება, მისწრაფება, დიადი მიზანი და სურვილი ჩიტივით კრავდა კამარას, ჩემი გულის სავანიდან მიფრინავდა და თვალუწვდენელ სიშორეში იკარგებოდა; მე სიგარეტს მოვუკიდებდი, ის კი დივანზე წამოწვებოდა და ჩიბუხს გააბოლებდა ან გრძელი ნაბიჯებით მოჰყვებოდა ბოლთის ცემას; აღარც კი მახსოვს, რამდენი საღამო გაილია ასე უღიმღამოდ, ამ გარინდებასა და მდუმარებაში... ზოგჯერ სული ისე მეხუთებოდა, ვიფიქრებდი, უკანმოუხედავად გავიქცევი-მეთქი, წამოვდგებოდი და კარს ნაჩქარევად გამოვაღებდი, მაგრამ... „კიდევ ცოტა ხანს დარჩით," – მეტყოდა და კვლავ ჩუმდებოდა; ოთახში შემოვბრუნდებოდი, ფანჯრის მინას თავს მივაყრდნობდით და უხმოდ ვუცქერდით, როგორ აწვიმდა ქუჩას, როგორ ინთებოდა ერთმანეთის მიყოლებით ლამპიონები... მარტვილივით ვეწამებოდი და საზარელი ძრწოლა მიპყრობდა, რადგან მისთვის არაფრის მიცემა არ შემეძლო; ამ დიდებულ ადამიანს თავს ვანაცვალებდი, ჩემს უსიხარულო სიცოცხლეს და სუსტ, უშნო სხეულს მის სამსხვერპლოზე დაუნანებლად მივიტანდი, მაგრამ ესეც კი საშინლად ღარიბული და შესაბრალისი ძღვენი იქნებოდა; არც კი მინდოდა, ჩემთვის ამგვარი მსხვერპლშეწირვა ეთხოვა, რადგან ვფიქრობდი, ჩემისთანა არარაობა მის ხსნას მაინც ვერ შეძლებს-მეთქი; მისგან არაფერს ველოდი; მხოლოდ იმას ვნატრობდი, ნება მოეცა, მასთან ერთად დანვთქმულიყავი სასოწარკვეთის ბნელ მორევში, ჯოჯოხეთურად დავტანჯულიყავი, გაუსაძლის სევდას ჩემთვისაც უმოწყალოდ დაედაღა გული და ლავასავით მწველ უიმედობის ცეცხლს ერთიანად დავენაცრე.

ზოგჯერ მის თვალებში ისეთი უტყვი მუდარა და სულისშემძვრელი ვედრება გამოსჭვიოდა, თავზარი მეცემოდა; მისი გმინვა ცას სწვდებოდა, მაგრამ ისიც კი არ შემეძლო, დახმარების ხელი გამეწვდინა; ერთ დღეს ვიგრძენი – როცა მის გვერდით ვიყავი, დენისს გული იმედით ევსებოდა. ოთახის კარი შევაღე; მისმა მძვინვარე, თითქმის ველურმა მზერამ, დაღვრემილმა სახემ, შეშუპებულმა, ამოღამებულმა და დაწითლებულმა თვალებმა შემაძრწუნა; ოთახი თვალშეუვალი კვამლის ღრუბლებს დაეფარა; სკამის საზურგეზე ჰალსტუხები ეკიდა; დენისმა სავარძელზე დაყრილი ტანსაცმელი დივანზე მოისროლა და

მითხრა, დაჯექიო. „წუხელ საშინელება ჩავიდინე. ერთი ადამიანის ცხოვრება შუშის უსარგებლო ნივთივით ხელაღებით და გულარხეინად დავამსხვრიე; ნუთუ არაფერი გაგიტეხავთ ბავშვობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მისი არარადქცევა აუწერელ სიამოვნებას განიჭებდათ? არ გიგრძვნიათ, რომ ჩიტივით თავისუფალი იყავით?! ხომ შეგეძლოთ, დაგემსხვრიათ, ან ხელი სულაც არ გეხლოთ?! ნუთუ ბავშვურ ახირებასა და ბილწ გულისთქმას არასოდეს დამორჩილებიხართ?! ნუთუ არაფერი გაგინადგურებიათ?! გული მტკივა და თითქოს, პირი სისხლით მევსება,“ – შესძახა აღგზნებულმა.

საზარელმა შიშმა შემიპყრო; კრიჭაშეკრული და შეძრწუნებული ვიჯექი და იმის შეკითხვაც კი ვერ გამეზედა, რა დაგემართათ-მეთქი; ყოველთვის ვცდილობდი, არ შემეწუხებინა გაუთავებელი ლაყბობითა და შეკითხვებით; არ ვიცოდი, რა ხდებოდა მის ცხოვრებაში, რადგან მისი თავგადასავლები ბობოქარ ჩანჩქერად მოჩქეფდა უსახო არსებებით სავსე, ჩემთვის სრულიად უცხო, არაამქვეყნიურ სამყაროში; თავი გააქნია, შუბლზე ჩამოშლილი კულული უკან გადაიგდო და თქვა: „სულ ვირწმუნებით, რომ ყოველგვარ მორალს უარვყოფთ და რემბოსა და ლოტრეამონს ვეთაყვანებით, მაგრამ სითამამე გვაკლია; გამბედაობა არ გვყოფნის, ცივსისხლიანი ჯალათებივით ვაწამოთ ადამიანები; ო, როგორ მძულს ეს სენტიმენტალობა! რა ამაზრზენი და ბინძური რამ გვისახსოვრა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ! ჩვენც ამ საზიზღარი რელიგიის პირმშონი ვართ, მარგერიტ! რაწამს სისხლსა და ცრემლს მოვკრავთ თვალს, შიში გვიპყრობს და გული გვერევა,“ – თქვა მან და ხმა გაებზარა; სიმწრით, სასოწარკვეთილებითა და სევდით გაჯერებული მისი სიტყვები აუტანელ ტკივილს განმაცდევინებდა. გულში დამარხულ ჭეშმარიტებას გაუსაძლისი ტანჯვა-ვაების ფასად მიმხელდა. თითქოს, ეს საუნჯე მთელი ძალით ებღაუჭებოდა მის სათუთ გულს, რადგან ეს მყუდრო სავანე არ ეთმობოდა, დენისი კი უმოწყალო მხეცივით მიაქანებდა სასტიკი გარესამყაროს მორევისაკენ. მან მხრები აიჩეჩა და განაგრძო: „ნეტავ, როდის იწყება თამაში, ან როდის მთავრდება კომედია? იმ მკვლელს ვგავარ, რომელმაც არ იცის, ადამიანს ესროლა თუ მანეკენს. ნუთუ ნამდვილად გამოვკარი რევოლვერის ჩახმახს თითი? ნუთუ მთელი ქალაქი გააყრუა ჯოჯოხეთურმა ჭახანმა?“

მართლაც რომ თავზარდაცემული და გამწარებული ჩანდა! ყელში გაჩრილ ბურთს გაჭირვებით ვყლაპავდი; ვერ გამეგო, რაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ამ მდუმარებას ვეღარ ვუძლებდი; საწყალობლად ამოვილუღლუღე: „გასროლა ნამდვილად გსურდათ?“

„ესეც კი არ ვიცი! ო, მარგერიტ, საშინლად დავიღალე! მინდა, ბოლოს და ბოლოს ისეთი რაღაც ჩავიდინო, ისეთი რაღაც... რაღაც საოცარი, არნახული! გაცვეთილი ქცევა მომყირჭდა; დამიჯერეთ, ყველაფერს აჯობებს, თავი მოვიკლა.“

მისი სიტყვები გულში ხანჯლად მესობოდა. „თუ თავს მოიკლავს, მეც იგივეს ჩავიდენ!“ – გავიფიქრე და შვებით ამოვისუნთქე; საოცარი, მაგრამ მაინც საშინელი შეგრძნება დამეუფლა და გულს მომეფონა, რადგან ჩემი ბედის ნამუსრევიც კი ხელიდან გამომცლოდა; ჩემი ცხოვრება ფიცხი ბედაურივით მიმაქროლებდა სადღაც, მე კი მისთვის ლაგამი ვერა და ვერ ამომედო, მის ფაფარს შესაბრალისად ვებღაუჭებოდი და არ ვიცოდი, როდის გადავიჩეხებოდი თვალუწვდენელ უფსკრულში.

„იქნებ, თვითმკვლელობაც გაცვეთილი საქციელია?“ – ვკითხე მე.

გაეღიმა, სავარძელში ჩაესვენა და მომიგო: „სწორედ ეს ფიქრი მაყოვნებს და თავის მოსაკლავად შემართულ ხელს მიდამბლავებს.“ სულელურ საკითხებზე ისეთი მგზნებარებითა და გაცხოველებით ვსაუბრობდით, თითქოს, შემზარავი ჩვენების განდევნა გვსურდა; თვალის დახამხამებაში მოსაღამოვდა; დადგა ჩვენი განშორების წუთი; ზღურბლზე წამით გავირინდე. „დიდი მადლობა,“ – ძალიან უცნაური ხმით მითხრა თავჩაქინდრულმა, ისე, რომ არც კი შემოუხედავს.

დიდხანს დავეხეტებოდი ქუჩებში; სულ არ მადარდებდა დროის შეუჩერებელი სრბოლა; ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა, ცხოვრება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, დიდი ტანჯვა-ვაების შემდეგ იპოვა აზრი, რომელიც მაშინ დაკარგა, როცა ჩემს გულში ღვთის რწმენის უკანასკნელი ნაპერწკალი მიინავლა; ტყუილუბრალოდ როდი მოვვლენოდი ქვეყნიერებას! დიადი მისია დამკისრებოდა! ამაო და უნაყოფო ცხოვრება არ მელოდა, რადგან დენისს ვჭირდებოდი! თუ ჩემს სასიცოცხლო მგზნებარებას არ ვუწყალობებდი, დაიღუპებოდა! თუ მუდამ მის გვერდით ვიქნებოდი, მხარში ამოვუდგებოდი, მის ბედს გავიზიარებდი და ცხოვრების გზას მასთან ერთად გავლევდი, უკვდავებას ვეზიარებოდი; ამ პოეტმა შარავანდედით შემმოსა და მარადიული სიცოცხლე მიბოძა; დავუტევე უბირი და უგვანი მოკვდავებით სავსე ქვეყნიერება და მის სამყაროში დავივანე.

საუბედუროდ, დენისს ხშირად არც კი ვჭირდებოდი; მეგონა, სულ შველას ითხოვდა ჩემგან, მაგრამ... ხშირად მოწყენილი, ან სულაც, ირონიული სახით შემომცქეროდა და თითქოს, ცაში დაფრინავდა; როცა ჩვენს ოდინდელ საუბრებსა და გარდასულ, საამურ დღეებს ვიხსენებდი, მოთმინების ფიალა აევსებოდა და შესძახებდა, სხვა

რამეზე ვილაპარაკოთო; გული მტკიოდა, ასე რომ გამირბოდა და უნაზესი ტრფობით გამსჭვალულ ჩემს სიტყვებს გულცივად იშორებდა; უამრავ შეკითხვას ვუსვამდი, მაგრამ არ მპასუხობდა; თავს იკატუნებდა, თითქოს, წარსული სულაც არ ადარდებდა და მხოლოდ ის აინტერესებდა, როგორ ჩაივლიდა ახალთახალი ბარის გახსნის საზეიმო ცერემონია, რომელსაც იმ საღამოს უნდა დასწრებოდა; მიმტკიცებდა, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ გუშინ პოკერი ბრწყინვალედ ვითამაშე და მეტოქეები ოსტატურად გავაცურე, ახლაც თვალწინ მიდგას მოცეკვავე ქალის აშოლტილი, ლარივით სწორი ფეხები, მე და მარი-ანჟმა რომ გავიცანითო; სარკის წინ დადგებოდა, პირს ფართოდ გააღებდა და თავის ხახას დიდხანს, გულმოდგინედ აკვირდებოდა; ეს ენაწყლიანი კაცი ათას სისულელეზე ლაყბობდა და სერიოზულ საუბარს თავს არიდებდა, ტყავიდან ძვრებოდა, ოღონდ ჩემთვის არ ეპასუხა, მაგრამ ასეთი ბავშვური თვალთმაქცობა ვერ გამაბრიყვებდა; ვიცოდი, რომ ასეთი ჭკუამხიარული, ლაღი და უდარდელი სულაც არ გახლდათ; მეუბნებოდა, ყველაზე უმნიშვნელო მოვლენები, უბრალო და უსარგებლო ნივთებიც კი ფასდაუდებელი განძი მგონიაო, მაგრამ სინამდვილეში, უნდოდა, საკუთარი თავისთვის (და სხვებისთვისაც) დაემტკიცებინა, რომ ყოველივე ამაო იყო; საშინელი ტკივილი გააფთრებით მასობდა კლანჭებს და ვგრძნობდი ამ საარაკო თანაგრძნობის, სიბრალულის, ნუგეშისცემის, არნახული სინაზისა და სითბოს ამაოებას... ტყუილუბრალოდ დავკანკალებდი თავს! ამაოდ ვშვრებოდი! დენისს ერთნაირად ვუყვარდით მე, ჯინით სავსე პაწაწინა ჭიქა და აბრეშუმის ყელსახვევი; თითქოს, მისთვის იაფფასიან ნივთად ვქცეულიყავი; ზოგჯერ მტრულადაც კი მიმზერდა, რადგან ჩვენი სანუკვარი მეგობრობა უბრალო გართობად და უგუნურ თავშექცევად არ მიმაჩნდა; ვგრძნობდი, მის სასოწარკვეთას – ამ სიწმინდეს, მკრეხელივით შევბღალავდი და წავბილწავდი, თუკი ვთხოვდი, სერიოზულად ესაუბრა და ჩემთვის საიდუმლოებები გაემხილა; ვხვდებოდი, მისი ჭკუამხიარულობისა და დარდიმანდობის მიღმა საშინელი აგრესია, ზიზღი და სიძულვილი იმალებოდა. უნდოდა, მეც მასავით გულიანად მეცინა იმ სულელურ კალამბურებზე, უკბილო ხუმრობებსა და გაცვეთილ, მოყირჭებულ, გულისგამაწვრილებელ სიტყვებზე, რომლებიც, თითქოს, სიკვდილისწინა მხიარულების აგონიაში შთანთქავდა; მე კი გაღიმებაც აღარ შემეძლო; ვგრძნობდი, ავადმყოფური აღგზნების სამსალით მოშხამული ეს სიცილი თავაწყვეტილი ქარიშხალივით მიაქანებდა ცხედრებით, კუბოებით, ჩონჩხებით, საფლავის ქვებით,

თავის ქალებითა და სხვა საშინელი სანახაობებით სავსე, სიკვდილის წყვდიადით მოცულ საუფლოში; დენისს კუშტად შევყურებდი გახევებული, თითქოს იატაკს მივყინვოდი; ხან რაზე საუბრობდა და ხან – რაზე, ათას სისულელეს მიედ-მოედებოდა, გუნება-განწყობა წამდაუწუმ უმიზეზოდ ეცვლებოდა და გულს ვერაფერს უდებდა; მისი მზე, ალბათ, მალე ჩაესვენებოდა.

მარი-ანჟისა მშურდა; ეს ქალღმერთი თავზარდამცემად ლაღად მიაპობდა ამქვეყნიური ამაოების ტალღებს; დენისი მას უცნაურ, ახირებულ და ჟინიან ანგელოზს უწოდებდა; მასთან ურთიერთობა სულაც არ მსიამოვნებდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩემდამი ჭეშმარიტად მეგობრული და გულწრფელი სიყვარულით იყო გამსჭვალული; თითქმის ყოველდღე თავისთან მეპატიჟებოდა; ასეთი თავაზიანობა გულს მიჩუყებდა, მაგრამ მასთან ერთად საყიდლებზე წასვლა და პარიზის ქუჩებში სეირნობა არ მიყვარდა; კინოში ან რესტორანში საოცარი და მოულოდნელი აღმაფრენა ეუფლებოდა; თითქოს, თუ არ დაემორჩილებოდა მბრძანებლობამოწყურებულ შთაგონების ქალღმერთს, ეს უკანასკნელი მყისვე აღგვიდა პირისაგან მიწისა; თუკი სურვილის ასრულებასა და შლეგი წყურვილის მოკვლას ვერ შეძლებდა ან უმნიშვნელო დაბრკოლებას გადააწყდებოდა, საშინელი მრისხანება იპყრობდა; არ ვიცოდი, ამ ქალის გვერდით თავი როგორ დამეჭირა; ის ხომ მხოლოდ სხვებისთვის შეუმჩნეველ არსებებს ხედავდა? როცა ჩაის სალონში ვისხედით და მშვიდად ვსაუბრობდით, უეცრად გაფითრდებოდა და ხმაათრთოლებული აჩურჩულდებოდა: „ამ ფინჯნით ათაშანგით დასნეულებულმა კაცმა დალია ჩაი! მარგერიტ, დახედეთ მისი ტუჩების კვალს!“ თვალებს დავაჭყეტდი და ფინჯანს გაფაციცებით ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი; ნამცხვრის ჭამას შეუდგებოდა, ლუკმა ყელში ეჩხირებოდა, თეფშს ზიზღმორევით გაჰკრავდა ხელს, სალონის მეპატრონეს მოიხმობდა და მოკბეჩილი ტკბილეულით სავსე თეფშს ცხვირ-პირში შეახლიდა; მიმტანი ანგარიშს რომ წარუდგენდა, გაჯიქდებოდა და შეჰყვირებდა, ერთ სუსაც კი არ გაღირსებთო; ერთხელ, საქონლის ხორცის ნაჭერში სოლიტერის ჭიის კვალი შენიშნა და კივილი მორთო; შეცბუნებული მეპატრონეები სიტყვის შებრუნებას ვერ ბედავდნენ და მობოდიშებით ეუბნებოდნენ: „მართალი ხართ, მადამ!“. საბრალოებს ეშინოდათ, მრისხანე ქალს მათი უმწიკვლო დაწესებულებისთვის ჩირქი არ მოეცხო; ანგარიშს ძალზე მკაცრი იერით, გულმოდგინედ ამოწმებდა და გროშებს ითვლიდა, თუმცა, ძუნწი კი არა, იდუმალებით მოცული ჭირვეული ქალი იყო; ვერავინ წარმოიდგენდა, რა სიგიჟეს

ჩაიდენდა, როცა ახირება, ეს მოუხელთებელი და ჟინმორეული მხეცი შეიპყრობდა; შეეძლო, დაუფიქრებლად ეყიდა ათი საშინლად ულამაზო ქუდი ისე, რომ ნოქარს არც კი შევაჭრებოდა, მაგრამ შინ დაბრუნებული შენაძენს მაშინვე ყუთში შეინახავდა და აღარასოდეს დაიხურავდა; დაუნანებლად ყიდულობდა უსარგებლო ნივთებს და სულ არ დარდობდა, დიდძალ ფულს ქარს რომ ატანდა; ერთხელ, მშვენიერი კაბები დახია და ფეხით გათელა, რადგან ხელმომჭირნე და წუწურაქ მკერავს თავისი ნახელავისთვის ცეცხლის ფასი დაედო; ჩემს მიმართ უსაზღვრო გულუხვობას იჩენდა; მისი ხელგაშლილობა და მზრუნველობა მაბნევდა და მაფორიაქებდა კიდეც; როცა დიდებულ საჩუქარს მიძღვნიდა, უარის თქმას ვერც კი ვუბედავდი, მაგრამ არ ვიცოდი, მადლობა როგორ გადამეხადა; ხელში ამიტაცებდა, ალერსიანად შესძახებდა – „ჩემო მშვენიერო პატარავ!“ და გრძნობამორევით, ხარბად მკოცნიდა.

თავის ყაიდაზე მაცმევდა; მის ნება-სურვილს უსიტყვოდ ვემორჩილებოდი; თხემით ტერფამდე მმოსავდა ათასგვარი ლამაზი სამოსით; ერთხელ თავის ოთახში შემიყვანა და მკაცრი, მაგრამ საამური ხმით მიბრძანა: „გაიხადეთ ეს საძაგელი და უშნო კაბა, ჩემსას ჩაიცვამთ! მწვანე ფერი საოცრად მოგიხდებათ; მომენდეთ, მარგერიტ; გპირდებით, მომნუსხველ გოგონად გაქცევთ!“ კაბა გავიხადე; ძალიან მრცხვენოდა, მის წინაშე დედიშობილა რომ ვიდექი და ოდნავ ჭუჭყიანი და საეჭვო ხარისხის თეთრეული მეცვა; როცა მადაპოლამის ქვედაწელს მოჰკრა თვალი, შეჰკივლა: „ეს რა გაცვიათ, ჩემო საბრალო პატარავ?! თქვენს ლამაზ, სათუთ კანს ასეთი უხეში ქსოვილი არ უნდა შეეხოს!“ მხრებზე მომიალერსა; ისე შევებრალე, ლამის იტირა; მინდოდა, მეთქვა, ნუ აზვიადებთ, ასეთ თანაგრძნობას არ ვიმსახურებ-მეთქი.

„ჰო, ეს განსაკუთრებით უშნოა... – ამოვიკვნესე.

– ეგ საშინელი ქვედაწელი გაიხადეთ და კომბინეზონი ჩაიცვით.“

სულ უფრო ცუდად ვგრძნობდი თავს; მორცხვი და უკარება არ ვიყავი და არც ფარისევლური უმანკოება მჩვეოდა, მაგრამ შიშველი არავის ვენახე; ზურგი ვაქციე და ქვედაწელი გავიხადე; ყურებამდე გავწითლდი, როცა წინ ამესვეტა და აღტაცებული მზერა მომაპყრო. „რა მომხიბვლელი და მიმზიდველი სხეული გაქვთ! კარგია, ბანდაჟს რომ არ ატარებთ,“ – მითხრა, კეკლუცად გამიღიმა და დასძინა: „იცით? ბანდაჟის ტყვეობას დიდი ხნის წინ დავაღწიე თავი; ნახეთ, შემეხეთ!“ ჩემი ხელი გიჟური აღტყინებით ჩაბღუჯა და მუცელზე მიიდო; ჩემი თითები, თითქოს, ჩაეფლო მის ნაზ კანში; ბანდაჟი მართლაც არ ეცვა.

მოახლე ქალმა თავით ფეხებამდე ამზომა, მონაცემები ჩაიწერა და მოიფიქრა, როგორ უნდა გადაეკეთებინა ტანსაცმელი; ორიოდე კვირაში მარი-ანჟმა მომიტანა კრეპდეშინის თეთრეული, აბრეშუმის წინდები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ნატიფი შალის მწვანე, ულამაზესი კაბა; ამ შესანიშნავ სამოსს რომ ვიცვამდი, თვალს ვერ მწყვეტდა. სულაც არ აღშფოთებულა, მის თვალწინ რომ გავშიშვლდი. „იცით, ვის ჰგავხართ ამ პატარა, თუმცა, მაღალი მკერდითა და ოდნავ გამოზნექილი მუცლით?! კრანახის ქალებს! ისინი ტრადიციული სილამაზით არ ბრწყინავენ, მაგრამ შარმითა და მომხიბვლელობით არაერთი მშვენიერი ქალი დაუჩრდილავთ! უნაკლო სხეული არ მიზიდავს, გამორჩეულ, უჩვეულო მშვენიერებას კი ვაღმერთებ.“

მისმა სიტყვებმა გამაოცა, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვა, ამ უჩვეულო შეგრძნებას მხოლოდ გაოცებას ვერ ვუწოდებდი; უმანკოება და ქალწულებრივი სიმორცხვე ყავლგასულ, სულშემხუთავ კათოლიკურ ტრადიციად მიმაჩნდა; ამაზრზენი ცრურწმენებით შეპყრობილი ეკლესიის მამები გოგონებს აიძულებდნენ, ვიდრე თეთრი საპატარძლო კაბით არ შეიმოსებოდნენ და ცოლქმრულ (უფრო სწორად, მონობის) უღელში არ შეებმებოდნენ, თვალისჩინივით მოფრთხილებოდნენ ქალწულობას; ვცდილობდი, მარი-ანჟისათვის ლაღად გამეღიმა; არ მინდოდა, ეგრძნო, დაძაბული რომ ვიყავი; როცა ახალთახალ ტანსაცმელში გამოვეწყვე, მხრებზე პენუარი მომასხა და მთხოვა, სავარძელზე დაჯექიო; მარჯვენა ხელი თბილი წყლით სავსე პატარა თასში ჩავყავი, მარცხენა კი მემანიკიურეს მივუშვირე. მოახლე ფრჩხილების ძირში ფიფქივით დაფენილ, ნახევარმთვარისებრ თეთრ ნუნებს ფითხით მაცლიდა, მარი-ანჟი კი წარბებს მიქნიდა; ჩემ წინ ასვეტილიყო, თავი მის დიდ, ფუმფულა მკერდზე მედო, მისი აბრეშუმის კაბა ლოყაზე მეხახუნებოდა და მახსენებდა იმ კეთილმოსაგონარ შორეულ დროს, როცა ჟოლიეს სასწავლებლის პატივცემული პედაგოგები გულში მიკრავდნენ და მათი კორსაჟი სახეზე საამოდ მელამუნებოდა... ეს კი საზიზღარი ქსოვილი იყო! პაწაწინა ფუნჯი მოიმარჯვა და წამწამები ტუშით შემიღება, ლოყებზე ცოტაოდენი ვარდისფერი პუდრი წამისვა, ტუჩები პომადით ალისფრად ამიელვარა და მოახლემ თმა ეთერით დამბანა. ჩემს წამებას ბოლო აღარ უჩანდა; ღონემიხდილი ვიყავი, მაგრამ როგორც კი სარკეში ჩავიხედე, განცვიფრებისგან დავმუნჯდი.

იმავე საღამოს დენისთან გავიქეცი; მეშინოდა, ჩემი თვალწარმტაცი სილამაზე გათენებისთანავე უკვალოდ გაქრება და კვლავ შეუხედავ გოგონად ვიქცევი-მეთქი; როცა კარზე მივუკაკუნე, გული გამალებით

მიცემდა. გაოცებული მზერა მომაპყრო და შესძახა: „რა მშვენიერი ხართ, მარგერიტ!“ თითქმის ჩამწვარი სიგარეტი გაღეჭა, მერე კი ზიზღმორეულმა, უხეშად მოისროლა და მოგუდული ხმით დასძინა: „უბედურმა და სასოწარკვეთილმა კაცმა რომ გნახოთ, ბედნიერების უსაზღვრო სურვილით აღივსება.“ შევხედე. თვალი ამარიდა; ვერ გამეგო, რატომ გამირბოდა; თავს ისე მარიდებდა, თითქოს, უწმინდურივით სამარადჟამოდ შევეჩვენებინე და ღმერთისთვის აღეთქვა, რომ სათოფეზე აღარ გამეკარებოდა; თითქოს, როგორც კი ჩემს სხეულს თვალს შეავლებდა, ცხოველური ჟინი შეიპყრობდა, წამიერი, ბილწი ცდუნება და ვნებიანი გულისთქმა სძლევდა; ცხადზე ცხადი იყო, რაღაცის ეშინოდა; „ბედნიერება აშინებს. არ უნდა, გამაუბედუროს და გული მომიკლას,“ – გავიფიქრე გულდამშვიდებით; იმ საღამოს ვიწამე, რომ მთელი გულით ვუყვარდი.

შინ რომ დავბრუნდი, ყველამ თავზარდაცემული მზერა მომაპყრო და თითქოს, საშინელი ტრგედიის ქარიშხალი დატრიალდა; აღშფოთებულ დედასა და და-ძმას ვუთხარი, ეს სამოსი ჩემმა პოლონელმა მეგობარმა, ვანდამ მადლიერების ნიშნად მაჩუქა, რადგან ფრანგულ ენას ვასწავლი-მეთქი, მაგრამ ვერაფერს გავხდი! დედა ცრემლად დაიღვარა, შეძრწუნებულ მარსელს ლამის გული წაუვიდა და პასკალმა კიდევ ერთხელ გამომიჭედა თავი მოსაწყენი და დაუსრულებელი შეგონებებით; ო, როგორი სიძულვილი და რისხვა მიპყრობდა, როცა ეს უსულგულო არსება ქადაგად დავარდებოდა!

ვანდას მარი-ანჟისა და დენისის უჩვეულო ურთიერთობა აოცებდა; ბიბლიოთეკაში საქმეს რომ მოვრჩებოდი, სასტუმროში მივაკითხავდი ხოლმე, პაწაწინა ოთახში დავსხდებოდით, ფინჯან ჩაის შევექცეოდით და ტკბილად ვმასლაათობდით; როგორც ჩანდა, არ ესმოდა, რას ვითხოვდი დენისისგან. „თავი უნდა შეაყვაროთ, მარგერიტ; ნუთუ ვერ შეძლებთ მის გულში ტრფობის ცეცხლი ააგიზგიზოთ?! – მკითხა ერთხელ.

– არ მინდა, შევუყვარდე; მხოლოდ იმას ვნატრობ, დახმარების ხელი გავუწოდო და სიცოცხლის ხალისი დავუბრუნო; ალბათ, ოდესმე ამ ოცნებასაც ავიხდენ... მხარში რომ არ ამოვუდგე, სიცოცხლეს მოისწრაფებს.“

მან სიყვარულითა და სიბრალულით აღსავსე მზერა მომაპყრო და მომიგო: „იდეალისტი ხართ; მამაკაცს სიყვარულის საპყრობილეში თუ არ გამოამწყვდევთ, მასზე გავლენას ვერასოდეს მოიპოვებთ. როცა მის გულში მგზნებარე ტრფობის ყვავილი გაიფურჩქნება, თვითმკვლელობაზე აღარც კი იფიქრებს; სიყვარულის გარდა ვერავითარი ძალა ვერ ააღებინებს ხელს ამ უგუნურ განზრახვაზე.“

ვანდა ძალიან კეკლუცი გახლდათ, ბიჭები ფიანდაზად ეგე-ბოდნენ და ხორციელი სიამის გარდა არაფერი ადარდებდა; ამაოდ ვცდილობდი, მისთვის ამეხსნა, რომ მარი-ანჟისა და დენისის გუ-ლებში სულ სხვაგვარი, დიადი, მიწიერი სიმდაბლისა და პირუტ-ყვული ჟინისგან განწმენდილი გრძნობა შობილიყო.

„წარმოიდგინეთ დაუნდობელი, შეუცნობელი ბუნების უძლეველი ძალა, შლეგი ჩანჩქერის მსგავსი რამ, თავაწყვეტილი სამუმი, რომელსაც თითქოს სურს, ერთ მშვენიერ დღეს ხორციელ არსებად იქცეს და თავისი თავი შეიცნოს, ან სხვა ადამიანის იდუმალებით მოცული ცნობიერება დაიმონოს და მასში განსხეულდეს; დენისი უდრტვინველად დაემორჩილა ღვარცოფად მომსკდარ უგუნური გულუხვობისა და თვითგანადგურების მწველ სურვილს; ყოველთვის ოცნებობდა, არარას მორევში შთანთქმულიყო; სიხარულითაც კი შესცქერის თავის საზარელ დაცემასა და იავარქმნას და გახელებული მწყურვალივით ეწაფება ამ სამსალას, რომელიც ტკბილ ნექტრად ეჩვენება; სიკვდილის ძლევამოსილ, გოროზ ქალღმერთს ემონება და თავისუფლებას არც კი ნატრობს; მარი-ანჟს არ ვკიცხავ, ვიცი, თავის გაუსაძლის გულისწადილსა და ბავშვურ ახირებებს ემორჩილება, მაგრამ მეჩვენება, რომ დენისი შინაგანად დააცარიელა, გამოფიტა, დააუძლურა, შთანთქა და არარად აქცია; დენისს ვეღარ ვცნობ, ვანდა; მასში უსახური სიცარიელე გამეფებულა,“ – შევძახე აღელვებულმა; – ცხადია, საყვარლები არიან, – წარბშეუხრელად და უშფოთველად მომახალა მან; – ვანდა! დენისი დედისტოლა ქალთან სარეცელს არასოდეს გაიყოფს! – მივუგე გულისწყრომით. „რა გულუბრყვილო ხართ, ჩემო პატარა მარგერიტ!“ – მითხრა ჩემმა პოლონელმა მეგობარმა და მწვანე თვალები გაუბრწყინდა.

ზაფხულის არდადეგები დადგა, მაგრამ ბოჰემური ქალაქის მიტოვება არ მინდოდა; სოფელში ძალიან გვიან გავემგზავრე და სექტემბრის დამდეგს საყვარელ პარიზს დავუბრუნდი; მარი-ანჟს ატლანტის ოკეანე ხომალდით გადაეცურა და ნორვეგიაც მოენახუ-ლებინა; ეს ქალი სასიამოვნო მოგზაურობით ტკბებოდა, დენისს კი პარიზიდან ფეხი არ მოუცვლია! თითქმის ყოველდღე ვტკბებოდი მისი ცქერით, ხან შინ ვსტუმრობდი, ხან კი მონპარნასზე მივდიოდით; მაშინ ხშირად სეირნობდა და ალიონამდე ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა; როცა ხანგრძლივი განშორების შემდეგ შევხვდით, მშვიდი და ბედ-ნიერიც კი მეჩვენა, მაგრამ უეცრად მოიღუშა და მოწმენდილი ცა საავდრო ღრუბელმა დაფარა; ასეთი დაცემული, ცხოვრებისგან გათელილი და დათგრგუნვილი არასოდეს მენახა! თავის გასაჭირზე

გულახდილად არ მელაპარაკებოდა; მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს და ბუნდოვან, ნართაულ სიტყვებში ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება გამოსჭვიოდა; არ ვიცოდი, რა ცეცხლი გიზგიზებდა მის გულში; თავზარი დამეცა, როცა მივხვდი, ეს დიდებული შემოქმედი, ეს ზეკაციც კი ჩვეულებრივი ადამიანია და შეიძლება, საშინელი მიწიერი დაბრკოლებები გადაულახავ კედლად გადაეღობოს-მეთქი. ო, არა! ამ ეფემერული არსების სპეტაკ გულს ამქვეყნიური, მოყირჭებული სევდა, ტანჯვა და ჭმუნვა არ უნდა შეხებოდა!

იმ საღამოს, როცა ეს თვალისმომჭრელი სიმართლე დავინახე, ბარ „ჟოკეიში“ ვიჯექი და დენისს ველოდი; ათ საათზე უნდა მოსულიყო, მაგრამ... როცა თორმეტი შესრულდა, მივხვდი, რომ მის ნახვას ვერ ვეღირსებოდი; ლოდინით გული გადამელია; მის ასეთ უსაქციელობას კიდეც მივეჩვიე; მოვალეობის მტანჯველ მარწუხებში არაფრისდიდებით არ მოექცეოდა; დაპირებებსაც კი არ ასრულებდა; უდიდესი აღთქმის ძალაც კი ვერასოდეს შებოჭავდა მონობის ბორკილით! სწორედ იმიტომ ვაღმერთებდი, ასეთი თავისუფალი და დაუდევარი რომ იყო; მე კი სულმოკლე ვაჭარივით გულდასმით ვწონიდი და გამალებით ვითვლიდი ყოველ ჩემს მოქმედებას, ფიქრს, სიტყვასა და ნაბიჯს... ბურჟუაზიული ხელმომჭირნეობა და სიძუნწე ძვალ-რბილში გამჯდომოდა; ისიც კი არ შემეძლო, წუთიერი ბედნიერება მსხვერპლად შემეწირა ბავშვური ახირებისთვის, თავისუფლებისა და ქუჩაში უცაბედი შემხვედრისთვის; მსწრაფლწარმავალი სიხარული არ მეთმობოდა, მაგრამ სამაგიეროდ, მარადიული ნეტარება ხელიდან მეცლებოდა! მსხვერპლშეწირვაზე ფიქრიც კი მზარავდა; ძუნწი დედაბერივით მკაცრი და ხარბი ვიყავი; იმ ბარშიც ამაოდ ვუმეორებდი თავს: „დენისი პატივს მცემს, რადგან იმ მორალურ პრინციპებს მაზიარებს, თვით უსაზღვრო თავაზიანობაზე ძვირფასიც კი რომაა.“ რა ტყუილუბრალოდ ვიმხნევებდი თავს ამ უშინაარსო სიტყვებით! საშინლად ვიტანჯებოდი! ჩემი თავი მძულდა. მეორე ჭიქა ვისკი შევუკვეთე. სულაც არ მიყვარდა ეს სასმელი, იოდივით მწკლარტე გემო გულს მირევდა, მაგრამ მინდოდა, უგონოდ დავმთვრალიყავი, თავდავიწყებას მივცემოდი, უმწიკვლო ბურჟუა გოგონას ტყავიდან ამოვმძვრალიყავი, გულზე მძიმე ტვირთად დაწოლილი ეს ცხედარი უმოწყალოდ დამენარცხებინა მიწაზე და საკუთარ თავს გავქეოდი!

მოცეკვავე წყვილები მხარს გამკრავდნენ ხოლმე; ამ ხროვას სიბრალულით გულდათუთქული შევყურებდი; ფოქსტროტსა და ტანგოს ერთიმეორისგან ვერ ვარჩევდი; ცეკვა იმ ამაო როკვად და

შესაბრალის, უმწეო ფართხალად მეჩვენებოდა, რომლის წყალობითაც ადამიანები ცდილობდნენ, ცოტა ხნით მაინც გაქცეოდნენ საშინელ მოწყენილობას, სევდას, უნაყოფო, უფერულ ცხოვრებას და ამ სავანისთვის შეეფარებინათ თავი, დაევიწყებინათ მტანჯველი ფიქრები; საბრალო არსებებს თანავუგრძნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ისინი სწორ გზას ადგნენ, მე კი, სიცრუით დაბრმავებული, გაბრიყვებული და გზაკვალარეული ბურჟუა, ხელის ცეცებით მივაბიჯებდი უცხო მხარეში; ყველანი ხალისობდნენ, მე კი პურიტანივით მივჯდომოდი მაგიდას მოკრძალებულად; უნდა მიმეგებაძა ამ ქალებისთვის, რომელთა აშოლტილი და ელეგანტური სხეულიც ხორცშესხმულ თავდავიწყებად და თავისუფლებად მესახებოდა; ეს დაუცველი, უსუსური, განიარაღებული, თუმცა, მაინც საოცრად უშიშარი არსებები ბედს მინდობოდნენ, რაღაც უხილავ და უძლეველ ძალას დამორჩილებოდნენ და თითქოს, ამ შიშის მომგვრელი ნადირის მოგერიებასაც კი არ ლამობდნენ; არ იცოდნენ, რას მოუტანდათ მომავალი; დღევანდელი დღით ტკბებოდნენ; მსწრაფლწარმავალი სიხარულისა და ნეტარების მორევში ჩაძირულნი, მშვენიერ წამებს მარადისობად აქცევდნენ; ისიც კი არ იცოდნენ (და არც სურდათ, ცოდნოდათ), რომელ მამაკაცთან დაწვებოდნენ ამ საღამოს; ქანცის გაწყვეტამდე ცეკვავდნენ და სვამდნენ; ზოგი, დიდძალ ქონებას აგროვებდა და დიდების მწვერვალს იპყრობდა, ზოგი კი ბედის ანაბარა, მშრალზე რჩებოდა და, ალბათ, კუბოს კარამდე იმ ჟღალთმიანი დედაბერივით დაიტანჯებოდა, ახლა ჩემ გვერდით რომ იჯდა; გული მეთუთქებოდა; ეს სვეგამწარებული არსება ხომ ყოველ საღამოს გონების დაკარგვამდე თვრებოდა?! არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა ბედნიერებაზე; ამ ბარში ჩემ გარდა ძეხორციელს არ აწამებდა ის დასაძრახი, მაგრამ მაინც ბობოქარი ოცნებები, რომელთაც ახდენა არ ეწერა; ბედნიერების შმაგი წადილი მიშანთავდა გულს; აუტანელი წყურვილი ყელსა და ტუჩებს მიშრობდა; ჩემს ვაებას ბოლო არ უჩანდა; დღედაღამ ჩამესმოდა ჩემი მწველი ნატვრის განწირული გოდება; ვოცნებობდი, ყურთასმენა სამუდამოდ დამხშობოდა, ან ჩემი გული უმოწყალოდ მომეშთო, რათა მისი სულისშემძვრელი ვედრება აღარასოდეს გამეგო; ძალღონეს არ ვიშურებდი, თავი დამერწმუნებინა, რომ ჩემთვის უცხო იყო ხელმომჭირნეობა და სიძუნწე, მაგრამ ამაოდ... მუდამ რაღაცის შეკოწიწებას ვცდილობდი – ხან ახალი ბრძნული აზრების, ხან კიდევ, მეგობრობის, ხანაც ჩემი და დენისის ცხოვრების თვალწარმტაცი ოაზისის აშენებას; იმის იმედიც თუ არ მექნებოდა, რომ ზეადამიანური ძალისხმევის წყალობით მაინც მივაღწევდი საწადელს, თითს არ

გავანძრევდი; უანგარობის სავანეს ჩემს დღეში ვერ მივაღწევდი; თავის ძღვნად მიტანასა და უდიდესი მსხვერპლშეწირვის აღსრულებას ვერასოდეს შევძლებდი; არაფრის დიდებით არ შევიცვლებოდი და ჩემს სანუკვარ სურვილებსა და იმედებს ვერ შეველეოდი; განწირული ვიყავი; თითქოს, უხილავ მსაჯულს ჩემთვის უმოწყალო განაჩენი გამოეტანოს.

მოწაფის წინსაფრიანმა ჯუჯა ქალმა სიმღერა დაიწყო; ბებრული, გონჯი სახე და ხრინწიანი, უხეში ხმა ჰქონდა; ეშმაკურ თვალებს ჭუტავდა და ტუჩების ირგვლივ ნაზი კანი ტალღისებურად უთრთოდა; ამ კაფეში მას ხშირად ვუსმენდი, მაგრამ ამ საღამოს მისი დანახვაც კი აღარ მინდოდა; მძულდა მისი სიმღერა, ეს სასმელიც, ხალხიც... კაფედან გიჟივით გავვარდი და ბულვარს გავუყევი; შემოდგომის წვიმა ცრიდა; გავარვარებულ სხეულზე მსუბუქი წვეთები მეცემოდა; დენისი ნებისმიერ ფასად უნდა მენახა! ვიცოდი, ერთ პატარა ბარში, „გოელანში“ იქნებოდა; ხშირად უთქვამს, იქ ძალიან ვხალისობო; ბევრჯერ ვთხოვე, მეც წამიყვანე-მეთქი, მაგრამ ჩემი თხოვნა არ შეისმინა; გადავწყვიტე, ამ იდუმალი სამეფოს კარიბჭე შემემტვრია და მისთვის თვალი თვალში გამეყარა; ეს თამამი საქციელი საარაკო გმირობად მესახებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში მეშინოდა, იქნებ, ეწყინოს, ასე მოულოდნელად რომ დავადგები თავზე-მეთქი; დატალღული, გოფრირებული ჟალუზებიდან პიანინოს ჰანგები იღვრებოდა; ერთხანს ვიდექი მიხურულ კართან და ვყოყმანობდი. არავინ გამოსულა და არც ვინმე შესულა ამ სავანეში; როგორც იქნა, ვისკიმ სიმამაცე შემმატა, კარს ხელი ვკარი, შევედი და დარბაზს თვალი მოვავლე, მაგრამ საუბედუროდ, დენისი ვერ დავინახე. ეს პატარა ბარი ბნელ სამარეს ჰგავდა; გრძელ, მოწნულ, ტყავგადაკრულ სკამებს გახრწნილი ცხედრის გულისამრევი სუნი სდიოდა; ცელოფნის ფარდებს სანახევროდ დაეფარა სარკეები, საიდანაც მბჟუტავი ყვითელი შუქი იღვრებოდა; პიანინოზე დადგმულ ლარნაკში აყვავებული ქრიზანთემები მოხდენილად ჩაეწყოთ; დახლთან, სკამზე დავეშვი; კედელთან ჩამწკრივებულ, თეთრი სუფრით დამშვენებულ მაგიდებთან არავინ იჯდა; სამი ბიჭი ლაღად ეხუმრებოდა პიანისტს, რომელიც დროდადრო ისე აგდებულად, მსუბუქად და არხეინად გადაუსვამდა თითებს კლავიშებს, რომ ცხადი იყო, დაკვრა ეზარებოდა და ფიქრებით სულ სხვაგან დაქროდა; ჩემ გვერდით ორი გაცხარებული მეძავი გამაყრუებელად, თუმცა, აუჩქარებლად მასლაათობდა; ისე ავფორიაქდი, თითქოს, მათ სამკვიდროში გადამთიელივით შევიჭერი და ამ ჰარმონიის, ნაზი სიახლოვისა და უსიტყვო

ურთიერთგაგების უხილავი ძაფი ერთი ხელის მოსმით გავწყვიტე; საბედნიეროდ, ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. „ვერ ვიტყვი, რომ იღბლიანი ქალი ვარ,“ – თქვა ერთმა მეძავმა, რომლის ნაზ და სუსტ კეფას ვერცხლისფრად მოსირმული მედიჩის საყელო (დიდი საყელო, რომელიც საფრანგეთში მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. მთარგმნ.) ჩარჩოსავით შემოვლებოდა, ჩიტივით (თუ გველივით) პატარა თავზე კი მძიმე, განიერი, შავი შუბლსახვევი წაეკრა; „მასზე დარდს ნუ გადაჰყვები; გარწმუნებ, ის ქალი მალე მიატოვებს,“ – მიუგო ქერა ქალმა, რომელსაც თმა ყინულის დიდრონ ნატეხებს მიუგავდა.

„თუ მარტო დარჩა, ვერ იცოცხლებს! ო, არა! საბრალო, შიმშილით მოკვდება! მას ხომ სულს იქით არაფერი აბადია?! ნუთუ, მაინცდამაინც ახლა მოხდება ეს საშინელება?! მეგონა, კრაველის ქურქს ვიყიდდი; ხომ იცი, ასეთ ლამაზ სამოსს ვეღარასოდეს ჩავიგდებ ხელში! სამი ათასი ფრანკი ღირს, სუფთა ტყავია!“ – ამოიოხრა ქალმა. „კრაველის ქურქი ძალიან ლამაზი, მოხდენილი და გამორჩეულია, მაგრამ ოცელოტის მანტო მირჩევნია... ო, როგორც კი მხრებზე მოვისხამ, მამაკაცებს დავიმონებ!“ – მიუგო დობილმა. მათ ლაყბობას ყურს აღარ ვუგდებდი; მარტინით სავსე ჭიქა დავცალე; ასენიზატორი მშვიდად, უხმოდ იწვოდა და დახლს მკრთალი შუქით ანათებდა; პიანისტმა რამდენჯერმე დაჰკრა თითი კლავიშს; უეცრად, ქერა ქალის ხმამ თითქოს სილა გამეტებით გამაწნა, საღათას ძილიდან გამომაფხიზლა და გული დამიდაღა:

„დამიჯერე, დენისი ძალიან მიყვარს, მაგრამ... სულ გაფრთხილებდი, საეჭვო ადამიანი ჩანს, ასე ბრმად ნუ მიენდობი, თორემ გულს გატკენს-მეთქი...“

შავგვრემანმა მხრები აიჩეჩა: „ჩემთვის ჯერ კიდევ არაფერი უთქვამს, მაგრამ ვგრძნობ, რომ მალე მიმატოვებს და ჩემი სიყვარულის ფაქიზ ყვავილს უდაბნოში მოისვრის. ის საზიზღარი ძუკნა, ზნედაცემული როსკიპი მონუსხავს, მონობის ბორკილს დაადებს და ბნელ საპყრობილეში გამოამწყვდევს; რა ამაზრზენია ეს ჭირვეული და სასაცილო დედაბერი!

– ვერ ვხვდები, როგორ აღაგზნებს ეს მიხრწნილი კუდიანი ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე დენისს! – შესძახა ქერამ და მისმა გულიანმა კისკისმა ყური მომჭრა.

– ალბათ, ღამეში ხუთჯერ უყოფს თავის ღირსებას დამჭკნარ საშოში!“ – დაამშვიდა შავგვრემანმა, გაიცინა, ისევ დასერიოზულდა და დასძინა: „ხომ იცი, რომ არ ვხუმრობ... გულში ჩამივარდა; ნეტავ, იცოდე, როგორ ვაღმერთებ... ო, მგონი, მალე გავგიჟდები!

– ჰო... – კვერი დაუკრა ფიქრებაშლილმა ქერამ და დასძინა: „არ გინდა, ჟაკი გაგაცნო?! ჯერ კიდევ არ არის გვიან! ამ ბედნიერებას ხელიდან ნუ გაუშვებ; პატარა ჟინეტი გაჭრილი ვაშლივით გგავდა; ასეთი ტიპები გულზე არ მეხატებიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონები.“

მათი ხმის გაგონებაც კი აღარ მინდოდა! თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამეხვა, გამწარებულმა დახლზე ათიოდე ფრანკი დავახეთქე, კაფედან კისტრისტეხით გავვარდი და მონპარნასის ბულვარში, გრძელ სკამზე მოცელილივით დავენარცხე; ქალაქში თავსხმა წვიმა იღვრებოდა, ყინულივით ცივი, მსხვილი წვეთები გამეტებით მცემდა, გალუმპული, ტანმაღალი ჭადრები ბრწყინავდა, მაგრამ ვეღარაფერს ვგრძნობდი; ამქვეყნიურ სილამაზეს ვეღარ ვამჩნევდი, გულსაკლავად ვქვითინებდი, საფეთქლები საშინლად მიცემდა, ჩემი სისხლის დგაფუნი ჩამესმოდა და ისე გავხევებულიყავი, ვეღარაფერზე ვფიქრობდი; მხოლოდ დილით მოვეგე გონს. გაკვეთილები გავაცდინე და ლუქსემბურგის ბაღში ხეტიალს მოვყევი; როცა აუზთან ბოლთას ვცემდი, იმ ქალების ხმა დაუსრულებლად ჩამესმოდა; თითქოს, ჩემი ურჩი ენა უნებურად იმეორებდა მათ გულისგამგმირავ სიტყვებს; საშინლად ვიტანჯებოდი; დენისის ნახვა მინდოდა, მაგრამ იმედი არ მქონდა, რომ დავმშვიდდებოდი; იმ ქვეწარმავალთა აუტანელი სისინი გონებაში ჩამჭედვოდა და ისეთი დაღი დაესვა, ქვეყნად რომ ვერავითარი ძალა ვერ გააქრობდა, თუმცა, მინდოდა, დენისს სასტიკი სიმართლე გულწრფელად ეღიარებინა და მის ბაგეთაგან გადმოღვრილ ულმობელ განაჩენს ტალღასავით წაველეკე; სულ ცოტა ხნის წინ ვფიქრობდი, როგორც კი საცდური დამძლევს და თავს სასოწარკვეთას მივცემ, დენისს ლაჩრულად ვუმუხთლებ; ამ დიდებულ მამაკაცს მხარში უნდა ამოვუდგე, პირუთვნელად ვუერთგულო, გმირული სულისკვეთებით, ურყევი ნებისყოფით, სიმტკიცითა და ქედუხრელობით აღვივსო და ყოველგვარი ტანჯვა-ვაება მედგრად ავიტანო-მეთქი; არ მინდოდა, ამ ჭირვეული და უსუსური ბიჭისთვის ვერაგულად მეღალატა; ახლა კი მთელი გულით მინდოდა, მისი ამაზრზენი სიმახინჯე, სიმდაბლე და უსულგულობა დამენახა, მისი რწმენა დამეკარგა და საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, რომ არ იმსახურებდა ჩემს ნდობას, უსაზღვრო სიყვარულს, სინაზესა და სითბოს! უცილობლად უნდა დავერწმუნებინე, რომ ცივსისხლიანი მოღალატე არ ვიყავი; თითქოს, თვალშეუვალ ნისლში მივაბიჯებდი; ვერც კი ვხვდებოდი, რომ გულის სიღრმეში რაღაც სასწაულს ველოდი.

დენისთან მივედი; ისევ თავის პატარა ოთახში, ვიწრო საწოლზე წამოწოლილიყო; სულ ამაოდ ვიკრებდი ძალას და ვცდილობდი, გულგრილი იერი მიმეღო. „გუშინ საღამოს პაემანზე არ მოხვედით... ძალიან დიდხანს გელოდით, მერე კი „გოელანში“ წავედი; ნამდვილად ლამაზი, მყუდრო და სასიამოვნო კაფეა; ვიღაც ქალები თქვენზე ლაპარაკობდნენ,“ – ვუთხარი ცივად და ვიგრძენი, რომ ჩემს სიტყვებში წყენა, სიმწარე, რისხვა და საყვედური გამოსჭვიოდა და დენისი ხვდებოდა, რომ გულნატკენი და შეურაცხყოფილი ვიყავი. „რას ამბობდნენ? თავზარდაცემული ვარ, ჩემო პატარავ... ვნანობ, მოსვლა რომ ვერ შევძელი, მაგრამ ნაშუადღევს მარი-ანჟი ნორვეგიიდან დაბრუნდა და იძულებული გავხდი, სადგურზე დავხვედროდი, – ღიმილით მომიგო მან.

– არა უშავს! ნუ იდარდებთ! ცხადია, მარი-ანჟს უნდა დახვედროდით! პაემანი ხომ მეტად უმნიშვნელო რამაა?!“

საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ფეხს აქანავებდა; სევდიანი ჩანდა; სითამამე მოვიკრიბე და როგორც იქნა, ვუთხარი: „იმ ბარში ერთი ლამაზი, შავგვრემანი ქალი იჯდა, რომელსაც მთელი გულით უყვარხართ.“

„ვერა?! ო, ეს ძველი ამბავია! ოდესმე ყველაფერს გიამბობთ. ეს თქვენთვის კარგი გაკვეთილი იქნება... ამ მრავალფეროვან ცხოვრებაში უამრავი ამგვარი თავგადასავალი გადამხდენია, ჩემო პატარა მარგერიტ!“

ანაზდად, სიხარულის ტალღამ გუგუნითა და ღრიალით წამლეკა; რა მარტივი ყოფილა ყოველივე! თურმე, რა ტყუილად ვიტანჯავდი თავს! მინდოდა, დენისს მივვარდნოდი, გულში ჩამეკრა და მხურვალე კოცნით დამეფარა მისი წარმტაცი სახე; მან ხომ ასე გულწრფელად გამიმხილა სიმართლე?! რატომ დამრია სიგიჟემ ხელი იმ კაფეში?! როგორც იქნა, ეს საშინელება დასრულდა, საავდრო ღრუბელი გაიფანტა და მზე ამობრწყინდა; დენისი უმანკოებას სათნოებად არასოდეს თვლიდა; მისი შინაგანი მორალი, თითქოს, ომახიანად უბრძანებდა, რომ ღამეულ, ვნებიან თავგადასავლებზე უარი არ ეთქვა და თავი ხორციელი სიამისთვის მიეცა; ამ ალალ-მართალ კაცს მუხანათურად არ მოვუტყუებივარ, სულმდაბლურ სისუსტეს, სიმხდალეს, უნებისყოფობასა და წუთიერ ცდუნებას არ დამონებია; უმეცრების წყვდიადიდან დიდებულად აღმობრწყინდა ჭეშმარიტება: ის მარი-ანჟის საყვარელი იყო; შეიძლებოდა, სიბრალულისა და მადლიერების გამო იზიარებდა მის სარეცელს, ან იმიტომ, რომ გარყვნილი და ავხორცი იყო, ან სულაც, ეს ქალი მთელი გულით

ეზიზღებოდა, მაგრამ მათი ერთობა, ეს ხელშეუვალი სიწმინდე არასოდეს შებღალულა; სიბილწისაგან განწმენდილ ამ სამარადისო კავშირს, ამ უხილავ ძაფს, მსახვრალი დრო ვერ გაწყვეტდა. ძალიან ნელა, ფრთხილად ვიმეორებდი იმ ქალების ფრაზებს და ვგრძნობდი, რომ მათი ძველებური სიმწარე უკვალოდ გამქრალიყო და ეს ბალღამი ნექტრად ქცეულიყო; ერთი დღის წინ ამ შხამიანი ასპიტების სისინი გულში ხანჯლად მესობოდა და მეჩვენებოდა, რომ რაღაც სასიკვდილო სენს შევეპყარი, ახლა კი ტკივილი უშფოთველ სიმშვიდეს წარეხოცა, თუმცა... „ალბათ, ღამეში ხუთჯერ უდებს თავის ღირსებას დამჭკნარ საშოში!“ – ამ ამაზრზენი სიტყვების დავიწყება არ შემეძლო; ვიცოდი, დენისს საკუთარი თავის დამცირება, დამდაბლება და დაკნინება საშინელ ნეტარებას და ავადმყოფურ სიხარულს განაცდევინებდა; საოცარი აღტყინება დაეუფლებოდა, როცა ბავშვურად სუფთა, ნაზ და უმანკო სახეზე შემზარავ ნიღაბს აიფარებდა; რა სულელი და მხდალი ვიყავი! რატომ მეშინოდა?! რად ვერ ვხვდებოდი, რომ ეს უბრალოდ ნიღაბი იყო?! ახლა ლამაზ სახეს თვალისმომჭრელი ღიმილი უნათებდა; მისი თვალები, მისი სათუთი გული მიღიმოდა; მეც გავუღიმე; დენისი მიყვარდა; მიყვარდა მისი სიღატაკე და სიდიადე, ტანჯვა-წამება, დაცემა და აღზევება; ვეტრფოდი საბრალო, ხელმოცარულ, ცხოვრებისგან გათელილ, დაღლილ-დაქანცულ, სვეგამწარებულ ახალგაზრდა კაცსაც და დიდების შარავდედით მოსილ, სწორუპოვარ, ქარიზმატულ მგოსანსაც; მიყვარდა სწორედ ისეთი, როგორიც იყო და მისგან არაფერს ვითხოვდი, მაგრამ თუკი რამეს მიწყალობებდა, ამ სულგრძელ ქმნილებას უარით არ გავისტუმრებდი, ძღვენს თავმდაბლად მივიღებდი და მადლობას ვეტყოდი; ასეთი უანგარო სიყვარული არასოდეს განმეცადა! როგორც იქნა, ამ მყუდრო სავანეს მივაღწიე და ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღო.

დენისს სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ვდუმდი; ისიც ჩაფიქრებული ჩანდა; უეცრად ფეხზე წამოიჭრა და შესძახა:

„იცით?! ახლა მხოლოდ იმას ვნატრობ, ყველა და ყველაფერი მივატოვო, ამ ქვეყანას განვეშორო, შორს გადავიხვეწო და სამუდამოდ გავქრე! როგორც გიიომ აპოლინერმა თქვა, ამ „შინაგანმა მოგზაურობამ“ დამღალა; ნუთუ, არასოდეს მოგსურვებიათ, ნამდვილად გამგზავრებულიყავით სადღაც და სახიფათო, შიშის მომგვრელ და სრულიად უცნობ სამყაროში თავდავიწყებით გადაშვებულიყავით?!

– ო, რასაკვირველია, დენის!“ – შევძახე გზნებით და ჩემს გულში, თითქოს, ცეცხლი აგიზგიზდა: „ხშირად ვფიქრობდი, ოდესმე, დენისი ნანატრ ბედნიერებას მოიპოვებს და ულევი თავგადასავლებით სავსე,

ლამაზი ცხოვრებით დატკბება-მეთქი. უთუოდ უნდა იმოგზაუროთ. დარწმუნებული ვარ, არ გაგიჭირდებათ.

– საიგონში ოპიუმის კონტრაბანდის წყალობით არაერთი ადამიანი გამდიდრდა; „ჩემი მეგობარი ახლახან დაბრუნდა იქიდან და ყველაფერი დაწვრილებით მიამბო; ო, კონტრაბანდა შესანიშნავი რამაა!“ – თქვა მან, ყველაფერი სწრაფად აწონ-დაწონა და დასძინა: „ბევრი ფული არ დამჭირდება, მხოლოდ იმდენი, რომ ემიგრანტებთან ერთად იმ ხიდზე გადასვლა შევძლო.

– მე ვიცი, როგორ უნდა იშოვოთ ფული, – მივუგე სიცილით.

– როგორ?

– მარსელს გამოართვით! სასიკვდილო სარეცელზე მწოლმა მისმა მეგობარმა, ჟერმენმა, მთელი ქონება დაუტოვა; არ ვიცი, რამდენი ერგო, მაგრამ დიდძალი ფული კია...

– რას ამბობთ?! ნუთუ ის საძაგელი დედაბერი გარდაიცვალა?“ – შესძახა დენისმა ღიმილით და დასძინა: „ო, მარგერიტ, ფული მას წავართვა?! ჰმ! ასეთი არნახული თავხედობის გამოჩენა მხოლოდ კადნიერ, გაბედულ და შეუპოვარ ადამიანებს შეუძლიათ, თანაც მარსელი სახლიდან კინწისკვრით გამომაგდებს.

– საღამოს ხუთ საათზე ესტუმრეთ. შინ მარტოდმარტო იქნება და რომ დაგინახავთ, ძალიან შეშინდება...“

რამდენიმე წუთს ყოყმანობდა, მერე კი მითხრა: „კარგით! დაგემორჩილებით! დამიჯერეთ, არ ვხუმრობ; თამამი, გაქნილი, ჭკვიანი, ეშმაკუნა და შესანიშნავი გოგონა ხართ; უამრავ საზიზღრობას ჩავიდენთ; ვოცნებობ, უმოწყალო ავაზაკად ვიქცე და ხიფათით სავსე ცხოვრებით დავტკბე! რომ დამაპატიმრონ, ერთხელაც კი არ დავიჩივლებ; საპყრობილე ჩემს ცხოვრებას ცოტათი მაინც შეცვლის.

– დენის, წლის ბოლოს საიგონში მასწავლებლად ხომ არ მოვეწყო?! იმ ქალაქში თუ ვიქნები, სიხარულით დაგეხმარებით; როცა საქმეს გაჩარხავთ და წელში გაიმართებით, ნახავთ, რა ხრიკების გამოგონება შემიძლია... მინდა გადამყიდველი ვიყო, ან თქვენი ნაქურდალი შევიძინო; თქვენს დანაშაულს ხელს დავაფარებ და როცა პოლიცია დაგედევნებათ, ჩემს სახლში დაგმალავთ. ვერავინ ვერასოდეს იეჭვებს, რომ თქვენი მეგობარი ვარ; აბა, აზრად ვის მოუვა, საზიზღარი კრიმინალების შავბნელ საქმეებში პატივცემული პედაგოგის ხელი ურევიაო?!

– შესანიშნავია, მარგერიტ! კონტრაბანდისტები, ეს ცბიერი ბიჭები, ყოვლისშემძლენი არიან! თვალთმაქცებს ისეთი ნაზი და უცოდველი სახეები აქვთ, გეგონებათ, ბუზს არ ააფრენენო.“

დენისი გეგმებს აწყობდა და ოპიუმის კონტრაბანდაზე გაუთავებლად ლაპარაკობდა. ყოველ პაემანზე ოცნებამორეული მეუბნებოდა, საიგონში ბრწყინვალე ცხოვრება გველისო; ტყავიდან ვძვრებოდი, რათა ოქტომბრის დამდეგს საიგონში მუშაობა დამეწყო; თუ ცოტაოდენ მოხერხებულობასა და სითამამეს გამოვიჩენდით, მიზანს მივაღწევდით; საქმეს კარგი პირი უჩანდა; ბედი უნდა გვეცადა; დენისმა მარსელის დაყოლიება შეძლო და ხუთი ათასფრანკიანი ჩეკი გამოსცინცლა. „მარი-ანჟთან სიტყვა არ დაგცდეთ! ეცადეთ, თავაზიანად მოეპყროთ. ახლა შავ დღეშია...“ – მეუბნებოდა დენისი იდუმალი იერით.

ვცდილობდი, მარი-ანჟისადმი თავაზიანობა და კეთილგანწყობა გამომეჩინა, მაგრამ ეს უცნაური ქალი უფრო და უფრო მაბნევდა; ხშირად იმასაც კი ვფიქრობდი, ასე განზრახ მექცევა-მეთქი; საოცარ სიხარულს განიცდიდა, როცა შემაცბუნებდა, თავგზას ამირევდა და შემაშინებდა; ყოველივე ეს ბავშვურ თამაშად ეჩვენებოდა. მის სამფლობელოში რომ შევაბიჯებდი, მეტისმეტად თამამ სამოსში გამოვეწყობოდი და ღამეული პარიზის მხურვალებაში გადავეშვებოდი, მაგრამ იძულებული ვიყავი, შინ დაბრუნებამდე მასთან შემერბინა, მშვენიერი კაბა ნაჩქარევად გამეხადა და კვლავ ჩემი საძაგელი ძონძები გადამეცვა; ო, რა ქარბორბალა დატრიალდებოდა, ჩემს დედასა და და-ძმას ასე ჩაცმულ-დახურული რომ ვეხილე! ერთ მშვენიერ დღეს მარი-ანჟმა წყალობა მოიღო და მითხრა, აქ იბანავეთო; ამგვარი ფუფუნება ჩემ დღეში არ მღირსებოდა! სიამოვნებით დავთანხმდი. როგორც კი ბანაობას შევუდექი, კარი შემოაღო, ჩემკენ ღიმილით გამოემართა და მითხრა:

„მთელი გულით მინდა, ვუყურო, როგორ იბანთ ამ ლამაზ სხეულს! ხომ არ დაირცხვენთ, მარგერიტ?“ ცხადია, ძალიან მრცხვენოდა, მაგრამ უარის თქმა ვერ შევბედე; ვცდილობდი, ქაფიან წყალში ჩავძირულიყავი; როცა დაინახა, როგორ ვცოდვილობდი, სიცილი წასკდა და შესძახა: „თქვენ ისე გულისგადამლევად ნელა იბანთ, როგორც – ვალადონი (სიუზან ვალადონი, ფრანგი მხატვარი. მთარგმნ.) ხატავს. ნეტავ, იცოდეთ, რა ზანტად უსვამს ტილოზე ფუნჯს! რა სასაცილოა!“ იძულებული გავხდი, აქაფებული წყლიდან ამოვსულიყავი; ჩემ შიშველ სხეულს თვალი შეავლო, ცხენის ძუის ხელთათმანებით მთელი სხეული ძალუმად დამიზილა და განცვიფრებულმა მითხრა: „ხომ იცით, რომ ნატურისტი ვარ? ვერ გამიგია, რატომ რცხვენია ხალხს სიშიშვლის.“ მას არაფრის რცხვენოდა; ბავშვივით უხაროდა, რომ თითქმის დედიშობილა სცემდა ბოლთას თავის დიდებულ ოთახში, მოკლე ტრუსისა და ლიფის ამარა...

სიამოვნებას განიცდიდა, როცა მაიძულებდა, მის მკვრივ მკერდსა და მუცელს შევხებოდი, თითქოს, მიმტკიცებდა, ძველებურად ნორჩი კანი მაქვს და დაბერება არ მიწერიაო. მძულდა მისი მოწითალო, ხორკლიანი კანი. როცა მონმარტრზე, ან მონპარნასზე ვცეკვავდით, ზიზღი მიპყრობდა; მითხრა, რუმბა უნდა გასწავლოო, მაგრამ იმასაც კი არ მიხსნიდა, როგორ უნდა მემოძრავა; ტკიპასავით ამეწებებოდა და საზარელ როკვას მოჰყვებოდა; ვგრძნობდი, როგორ მეხებოდა მისი დიდი მკერდი; მის მძიმე სურნელს ვეღარ ვუძლებდი. „მომყევით! უბრალოდ, მომყევით! ესაა და ეს!“ – მბრძანებლური ტონით მეუბნებოდა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა; ამაოდ ვცდილობდი, მისთვის ფეხი ამეწყო; ეს უცნაური არსება ოპიუმისა და შიპრის (ფრანგული სუნამო. მთარგმნ.) სუნით გაჟღენთილიყო; თავბრუ მეხვეოდა; მეჩვენებოდა, რომ მოტკბო, წებოვან, გულისამრევ მორევში ვინთქმებოდი; ფეხი მერეოდა და საშინლად ტლანქად ვცეკვავდი; რაწამს ხელს გამიშვებდა, ჩემი ტანჯვა მთავრდებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ღონემიხდილი, გამოთაყვანებული, რეტდასხმული და გაღიზიანებული ვიყავი, ბოღმა მერეოდა და თვალები ურჩი ცრემლით მევსებოდა. მარი-ანჟი ხშირად მიბრაზდებოდა: „რა მოუქნელი ხართ! ცეკვას ვერასოდეს ისწავლით! რა შემზარავია ეს ბურჟუაზიული აღზრდა! რატომ აჩლუნგებენ დედები ქალიშვილებს?!“ ზოგჯერ, საღამო ხანს მეჩვენებოდა, რომ მთელი გულით ვძულდი. ზოგჯერ აღფრთოვანებით დამაცქერდებოდა, ჩემს ლოყებსა და კეფას ნაზი ამბორით დაფარავდა და თმაზე მომიალერსებდა.

„ღამის ოთხი საათია; შინ ვეღარ დაბრუნდებით; ჩემთან წამოდით; დედას და და-ძმას უთხარით, რომ ღამე თქვენს პოლონელ მეგობარ გოგონასთან გაათენეთ,“ – მითხრა ერთხელ, ხელი მაგრად ჩამჭიდა და დასძინა: „წამოდით. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხართ და არ იცით, რა საშინელებაა მარტოობა; თქვენთან ერთად ძალზე ლამაზი საღამო გავატარე, ამ ხმაურით, ბოჰემური მხურვალებით, მგზნებარე ცეკვითა და თვალისმომჭრელი, ნაირფერი შუქით დავტკბი... ახლა მარტოდმარტო რომ შევაბიჯო ჩემს ცარიელ, ბნელ და ცივ ოთახში, გული მომიკვდება; წამოდით ჩემთან, მარგერიტ!“ – ისეთი მავედრებელი ხმით მითხრა, რომ ეტყობოდა, ძალიან ეშინოდა.

„სიამოვნებით“, – მივუგე მე. მიხაროდა, უცხო სახლში რომ დავიძინებდი; მარი-ანჟმა თავისი აბრეშუმის პიჟამა მომაწოდა, გავიზმორე, დაბალ, განიერ დივანზე გავიშხლართე და ნეტარების მორევში ჩავიძირე; შუქი ჩააქრო; ჩვენ თავზემოთ ჩამოკიდებული ერთადერთი პატარა ლამპა მკრთალად ანათებდა ოთახს; სიგარეტს

ვეწეოდით; თოვლივით თეთრი ზეწარი, საბანი და ბალიში წყვდიადში კაშკაშა ლაქად მოჩანდა და ნაირფერი ხალიჩები და მოწითალო ბეწვეული საამოდ ბრწყინავდა.

„ძალიან მიხარია, აქ რომ ვარ; დილით, როგორც კი თვალს გავახელ, სიამოვნებისგან გავიზმორები და შევყვირებ!“ – ვუთხარი მე, საბანში გავეხვიე და გავირინდე; ძილს სულმოუთქმელად ველოდი; უკანასკნელი ლამპა ჩააქრო; ანაზდად ვიგრძენი, რომ ხელები შემომხვია, მისი თბილი სუნთქვა ლოყაზე მომელამუნა და ჩამჩურჩულა: „მინდა, აქ ისე მშვიდად და ტკბილად დაგეძინოს, როგორც არსად და არასდროს...“

დაუღალავად მეალერსებოდა; გული გამალებით მიცემდა; მისთვის ხელის კვრა ვერ გამეხედა, მაგრამ მთელი სხეული მეკრუნჩხებოდა, კუნთები მეჭიმებოდა და ერთიანად ვძაგძაგებდი; არ ვიცოდი, რას მიქადდა ეს ქალი; ნუთუ, ვალდებული ვიყავი, მეგობრული სიყვარულისა და უსაზღვრო მადლიერების გამო ეს უხამსი ალერსი ამეტანა? არ მინდოდა, აყალმაყალი ტყუილუბრალოდ ამეტეხა, მაგრამ შიშმორეული ვფიქრობდი, თუ არ გავუძალიანდები, კიდევ უფრო გათამამდება-მეთქი; გადავწყვიტე, ცხედარივით გავხევებულიყავი; მისი ავხორცი ხელები მთელ ჩემს სხეულს მოეალერსა, ღამის პერანგი ურცხვად ამიწია და ჟინმორეული, მუცელზე შემეხო... სადაც იყო... ძალა მოვიკრიბე, ფეხები შევატყუპე და გავქვავდი; ნახევარ საათს ასე მდუმარედ მეფერებოდა; რაწამს ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემს ბაგეს მისი სქელი, დიდრონი ტუჩები, მივხვდი, რაც სურდა და თითქოს, საზარელი სურათი თვალნათლივ დავინახე. „ჩემთან სექსი უნდა!“ – გამიელვა უეცრად და თავი კედლისკენ მივაბრუნე; ვცდილობდი, ამ საზიზღარ ქალს ხელიდან დავსხლტომოდი.

„ჩემო პატარავ, ნება მომეცით, მოგეალერსოთ, – ჩამჩურჩულა გაცოფებულმა.

– მეძინება, მარი-ანჟ!“ – შევევედრე მე.

მან გულში უფრო მაგრად ჩამიკრა, მკლავები მარწუხებივით შემომაჭდო და ამოილუღლუღა: „უკვე მრავალი თვეა, თქვენი სურვილით ვიწვი; როგორც კი დაგინახეთ, ჩემი გული სიყვარულით აენთო; ნუთუ, სულ არ გიყვარვართ, მარგერიტ?

– რა თქმა უნდა, მიყვარხართ.“ ეს ჯალათი შეუბრალებლად მაწამებდა; კვლავ ხარბად დაეწაფა ჩემს ბაგეს; ტუჩები მოვკუმე; კრიჭაშეკრული, უმწეოდ ვფართხალებდი; ასე ვძიძგილაობდით რამდენიმე წუთს თვალშეუვალ წყვდიადში, მერე კი უეცრად შეჩერდა, ხელი გამიშვა, შუქი აანთო, კუშტი მზერა მტყორცნა და ღვარძლიანად

ასისინდა: „რა ვქნა?! დაგიჩოქო და კერპივით გაგაღმერთო?! გინდა, მუხლები დაგიკოცნო?! რა გინდათ ჩემგან, მარგერიტ? პირდაპირ მითხარით!“ ისე აღელვებული ვიყავი, ცრემლი წამსკდა; წელზე ხელი მომხვია და დამიყვავა: „არ იტირო, ჩემო პატარავ.“ ხმა ისე უთრთოდა, თითქოს, ჩემმა ტირილმა თავზარი დასცა; მკოცნიდა, მკერდზე ნაზად მეალერსებოდა და ჩუმად მიმეორებდა: „არ იტირო, პატარავ“.

გაცეცხლებული ვიყავი; მასზეც ვბრაზობდი და ჩემს თავზეც; რა ამაზრზენი იყო ყოველივე ეს! „ახლავე გამიშვით, მარი-ანჟ! შინ უნდა დავბრუნდე! თავი დამანებეთ!“ – შევძახე გააფთრებულმა. ელვის უსწრაფესად შეეცვალა სახე, შეშლილივით დამაცქერდა, მიტკალივით გაფითრდა და თვალები ავად აახამხამა; გახევებულსა და გაოგნებულს, სიტყვა ყელში ეჩხირებოდა; ისე დუმდა, თითქოს, ენა გადაეყლაპოს; ალმური მოედო, სიძულვილით ანთებული მზერა მომაპყრო და მითხრა: „შეგეძლოთ, ცოტაოდენი თავაზიანობა მაინც გამოგეჩინათ. თუ ჩემთან დაწოლა არ გინდოდათ, ამდენ ხანს რატომ არ გამიძალიანდით?! თითქმის, ერთი საათია, ასე გკოცნით და გეფერებით! იდიოტი ხომ არ გგონივართ?! სწორედ თქვენ გამო არ მივატოვე დენისი! თქვენ გამო ვითმენდი მის უსაქციელობასა და ბავშვურ ახირებებს... გესმით?! თქვენ გამო! გგონიათ, ისეთი სულელი ვარ, ვერც კი ვხვდებოდი, რომ მატყუებდით და თვალში ნაცარს მაყრიდით?! ორივენი ჩემი ფრთის ქვეშ შეგიფარეთ, ჩემი სახლი თქვენს სავანედ ვაქციე და დღედაღამ თქვენზე ვზრუნავდი! ასე უნამუსოდ რად მომატყუეთ?! მიპასუხეთ, მარგერიტ!“

ხმის ამოღებაც კი ვერ შევძელი; წამოდგა, სკამზე დაწყობილ ჩემს ტანსაცმელს ხელი დაავლო, კარი გამოაღო, დერეფანში მოისროლა, მომიბრუნდა და ხმაგაბზარულმა მითხრა: „ახლა კი წადით და აღარასოდეს დაბრუნდეთ! გაფრთხილებთ, თვალით არ დამენახოთ! ჩემი სახლის კარი თქვენთვის სამუდამოდ დაიხურა!“

არც კი ვიცი, რა მოხდებოდა იმ საშინელ ღამეს, მარი-ანჟი ასე რომ არ განრისხებულიყო; იმაზე ფიქრიც კი არ მსურდა, რა დღე გამითენ-დებოდა, მისი კლანჭებიდან თავი რომ ვერ დამეხსნა და ეს ულმობელი ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით არ დამეგვირგვინებინა; როცა მის გაოგნებულ და აჭარხლებულ სახეს თვალი შევავლე, სადისტური სიამოვნება განვიცადე; საწოლიდან წამოვხტი, დერეფანში თავპირის-მტვრევით გავვარდი და ტანსაცმელი ნაჩქარევად ჩავიცვი; მესმოდა, რომ ბნელ ოთახში გამომწყვდეული, გაწბილებული და ხახამშრალი ფურია გიჟივით დარბოდა, კედლებს აწყდებოდა და ქოთქოთებდა; კარი გავაღე და ღამის წყვდიადში გადავეშვი.

გათენებას მოუთმენლად ველოდი; თორმეტი საათი იქნებოდა, როცა დენისს დავურეკე; მითხრა, ახლავე „დომში“ შევხვდეთო. კაფეს კარი შევაღე და დავინახე, რომ დაღვრემილი დენისი დარბაზის ბოლოში, ტყავგადაკრულ, გრძელ სკამზე გაწოლილიყო. სევდიანი და მოღუშული მზერა მომაპყრო და მითხრა: „ჩემო პატარავ, მარი-ანჟს გული ისე ატკინეთ, რომ სახლიდან გამომაგდო...“

დავჯექი; ისეთი თავზარდაცემული ვიყავი, სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე. „კი, მაგრამ, თქვენ რა შუაში ხართ, დენის?! ჯავრი თქვენზე რატომ იყარა? იცით, რა საშინელება მოხდა წუხელ?!“ – ამოვილუღლუღე კარგა ხნის შემდეგ. „ცრურწმენებისგან ვერა და ვერ გათავისუფლდით,“ – მითხრა, თავი გაიქნია, თითქოს, გონს მოეგო და ხელი ჩამკიდა. „ნუ იდარდებთ, მარგერიტ. მე და მარი-ანჟი ისედაც მალე დავშორდებოდით.“ საშინლად აფორიაქებული და შეწუხებული ჩანდა. „ამას ნამდვილად არ ველოდი! იცით, რა ამაზრზენი სიტყვები მითხრა, დენის?“ – დავიჩურჩულე და ცრემლი მომერია.

„ახლა რა უნდა იღონოთ, დენის?“ – ვკითხე რამდენიმე წუთის შემდეგ.

მან ხელი აიქნია, მაგრამ ვერ მივხვდი, რისი თქმა სურდა ამ ბუნდოვანი ჟესტით: „სასტუმროში პატარა ოთახს დავიქირავებ და მუშაობას დავიწყებ.“

გულის სიღრმეში არც კი მესმოდა, რატომ იყო ასეთი მოღუშული და მოშხამული; მას ხომ დიდი ხნის წინ გადაეწყვიტა მარი-ანჟის მიტოვება და საიგონში გამგზავრება?! „სამსახურს მე გამოგიძებნით. საიგონში მალე გავემგზავრებით... სულ ცოტაც მოითმინეთ, დენის...“ – დავამშვიდე მე. „ჰო“, – ისეთი დაბნეული სახით მიპასუხა, ცხადი იყო, მისი ფიქრები სულ სხვაგან ფრენდა.

ჩვენი ცხოვრება შეიცვალა; თითქოს, სულ სხვა სამყაროში აღმოვ-ჩნდით; საღამოობით ქალაქში აღარ დავეხეტებოდი, გამოცდებისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდი, დღედაღამ ოთახში ვიყავი გამოკეტი-ლი, ღამეებს თეთრად ვათენებდი და ალიონამდე წიგნებს ვახლიდი თავს; მინდოდა, საარაკო წარმატება მომეპოვებინა, დენისი ჩვენს საოცნებო ქალაქში წამეყვანა და მასწავლებლად მემუშავა; მთელი დღე ჯარასავით ვტრიალებდი, ტყავიდან ვძვრებოდი, რათა მისთვის სამსახური მაინც მეპოვნა; დღეები ისე გაივლიდა, ჩემს პოეტს თვა-ლითაც ვერ ვხედავდი. ზოგჯერ საღამოს ექვს საათზე, „დომში“ ვხვდე-ბოდით; მუდამ ერთსა და იმავე სკამზე იჯდა და ფინჯან ნაღებიან ყავას აუჩქარებლად, ჩაფიქრებული იერით სვამდა; წვერგაუპარსავსა და გულაღრენილს, შუბლზე დაუდევრად ჩამოყრილი კულულები

თვალებს უფარავდა; სულ მოწყენილი და გაღიზიანებული ჩანდა; როცა ვკითხავდი, დღე როგორ გაატარე-მეთქი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს გულაგდებით წამოისროდა; ყურს არ მიგდებდა; გული მტკიოდა, ასე ცივად რომ მეპყრობოდა, მეც ვჩუმდებოდი და ნაღებიანი ყავით სავსე, ოხშივარადენილ ფინჯანს გაუბედავად დავწვდებოდი; გამუდმებით მაგონდებოდა ის დაუვიწყარი დღე, როცა დენისმა „დომში“ წამიყვანა, მერე კი მხარზე ხელი ჩამომადო და სახე ისეთმა საამურმა ღიმილმა გაუნათა, თითქოს, უახლოესი მეგობრები და თანამზრახველებიც კი ვყოფილიყავით; ერთმანეთს კარგად არ ვიცნობდით, თუმცა ჩაგვესმოდა ჩვენი გულების იდუმალი, ყურთასმენის დამტკბობი ჩურჩული და გვეგონა, ჩვენს სიახლოვეს ქვეყნად წინ ვერაფერი აღუდგებოდა... მაშინ... მაშინ... ახლა კი... სულ მალე დადგებოდა ის ნანატრი წუთი, როცა სამარადჟამოდ შევერთდებოდით და ჩემი უფერული ყოველდღიურობის ზღვა და მისი სისხლსავსე ცხოვრების ოკეანე ერთმანეთს შეერწყმებოდა; ბედნიერება უცილობლად უნდა მომეპოვებინა! ვიცოდი, ეს სანუკვარი ოცნება ადრე თუ გვიან ამიხდებოდა, მაგრამ ეს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი უსაშველოდ გაიწელა; თავისუფლების ოაზისი არ ჩანდა; ვგრძნობდი, გულისგადამლევ მოლოდინს დენისი ჯოჯოხეთურად გაეწამებინა; ამ სახემწყაზარი ჭაბუკის სევდის ბალღამი სიხარულს მიწამლავდა; მძიმე ტვირთად დასწოლოდა ეს საზარელი დღეები; როდესაც მის დაღვრემილ სახეს შევყურებდი, გული მიკვდებოდა, მისი დახმარება რომ არ შემეძლო; საიგონზე სიტყვას აღარ ძრავდა; ჩვენს მომავალზე აღარ ლაპარაკობდა; ერთადერთხელ მითხრა:

„მინდა, მარსელს გულისამაჩვილებელი წერილი მივწერო, ვუთხრა, როგორ ვიტანჯები... ვიცი, ვენატრები და ჩემზე დარდობს. თუ შენი სპეტაკი და შემიბრალებს, ალბათ, პასკალიც გამომიწვდის დახმარების ხელს და ბედის ანაბარა არ მიმატოვებს.

– დენის, რას ამბობთ?! თქვენ ხომ საბედისწერო შეცდომა დაუშვით?! მარსელი ისე დაუნანებლად მიატოვეთ... ო, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამ სულმდაბლურ ღალატს არასოდეს გაპატიებთ?! – შევძახე გაოგნებულმა.

– ვიცი, როგორ მოვიგო მისი გული“, – მომიგო უცნაური ღიმილით.

ისევ მდუმარების მორევში ჩავიძირეთ; ადრე ხშირად ისადგურებდა ასეთი სამარისებური სიჩუმე, თუმცა... ეს სულ სხვაგვარი მდუმარება იყო... სულ სხვაგვარი... ოდესღაც, მხოლოდ იმიტომ

ვჩუმდებოდით, რომ არ შეგვეძლო, უმწეო სიტყვათა ქსოვილში გამოგვემწყვდია მიწიერი სიმდაბლის ტყვეობისგან გათავისუფლებული, ის საოცრად მშვენიერი სასოწარკვეთა, რომელსაც მე და დენისი ერთარსებად ვექციეთ; მოკვდავთა საშინლად ღარიბი ენა ვერც კი აღწერდა ამ საუნჯეს, სამუდამოდ შეერთებულ ჩვენს გულებში რომ დაესადგურებინა; დუმილს ვარჩევდით, რადგან ერთმანეთისთვის უამრავი რამ გვქონდა სათქმელი და მოზღვავებულ გრძნობებს ვეღარ ვუმკლავდებოდით; დამუნჯებულნი შევცქეროდით ერთმანეთს; თითქოს, უხილავ მისანს მოვეჯადოებინეთ; ცოტა ხნის წინ ნაზი სიახლოვის ჟამი დაგვიდგა; ჟამი სიყვარულისა; როგორც იქნა, პირისაგან მიწისა აღვგავეთ ყოვლისშემძლე გრძნეულის მაგიური, შეუცნობელი შელოცვა, იმ საზარელი ჯადოს უძლეველი ძალა, რომელმაც ერთ ავბედით დღეს უხილავი ხელი აგვაფარა პირზე და უმოწყალოდ დაგვამუნჯა; საუბარი დავიწყეთ, მაგრამ უეცრად ვიგრძენით, რომ სათქმელი აღარაფერი გვქონდა. დაუსრულებლად ვიმეორებდი: „დამშვიდდი, გულო. ცოტაც მოითმინე. ოთხიოდე თვეში უღრუბლო ბედნიერებით აღივსები.“ ამაოდ ვცდილობდი თავი გამემხნევებინა; იმედგაცრუებული და გულნატკენი ვიყავი, რადგან დენისი სიდუხჭირეს ასე ძალიან შეეცვალა და მომხვეჭელობის ჟინს შეეპყრო.

ერთხელ ამაყად განვუცხადე, ერთ სამხატვრო გალერეაში სამსახური გამოგიძებნე-მეთქი, მან კი თავი გადააქნია და მითხრა: „ჩემზე ზრუნვით თავს ნუ შეიწუხებთ, მარგერიტ. მუშაობას არ ვაპირებ. სულ სხვა მიზნები მაქვს.“ ეს გულსაკლავი სიტყვები უმოწყალოდ მომახალა და თავად სადღაც დაიკარგა, თითქოს უკვალოდ გაქრა, გაფრინდა უცხო მხარეში; „დომში“ ფეხი აღარ დაუდგამს; გეტეს ქუჩაზე, სასტუმროში მივაკითხე; მინდოდა, გამეგო, რა ხდებოდა მის თავს; მეშინოდა, ავად ხომ არ არის-მეთქი; როცა შენობის კარი შევაღე, დავინახე – მისი ოთახის გასაღები პატარა დაფაზე ეკიდა... ჩემი საყვარელი ბიჭი იქ არ იყო, არა! ავმა წინათგრძნობამ შემიპყრო; მეორე დღესაც რამდენჯერმე შევირბინე იმ სასტუმროში; მთელი კვირა ქუჩა-ქუჩა დავწანწალებდი და თვალებანთებული დავეძებდი ჩემს მიჯნურს; ოთახის კართან უამრავი წერილი დავუტოვე, ვთხოვდი, შემხვდით-მეთქი, მაგრამ არც კი მიპასუხა; მის გამოჩენას სულმოუთქმელად ველოდი, ჯოჯოხეთური ლოდინით გულგადალეული... ერთ დღეს დავურეკე; ნაჩქარევად მითხრა, ახლა საშინლად დაკავებული ვარ, წუთით მოცლა არა მაქვს, მაპატიე, პაემანზე რომ არ მოვედიო და ყურმილი დამიკიდა; შეძრწუნებული შევყურებდი ტელეფონს; დენისმა ხელაღებით შეწყვიტა ჩვენი დია-

ლოგი! ამდენ ხანს გეგმებს ვაწყობდით, მრავლისმეტყველი ღიმილით სახეგაცისროვნებულნი, ბრწყინვალე მომავალზე ვოცნებობდით, ერთურთს საოცარი დაპირებებით ვავსებდით, გულაჩქროლებულებს და აღტყინებულებს, ერთმანეთთვის ხელის გაშვებაც კი არ გვსურდა! ჩვენი ათრთოლებული თითები, თითქოს, საუკუნო ერთობას ესწრაფ-ვოდნენ... ვერ დამეჯერებინა, რომ დენისს ასე მოულოდნელად გაუცივდა გული; ალბათ, ჩემი გონგადასული სიყვარული მძიმე ტვირთად დააწვა და სურდა, დაემსხვრია მონობის ეს ბორკილი; კვლავ თავისუფლება მოსწყურებოდა დაუდგრომელ, ჭირვეულ ბავშვს; მარსელის ტრფობის უნაზესი ყვავილიც ხომ ასე უმოწყალოდ გათელა, რადგან ოჯახურ უღელს ვეღარ უძლებდა. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დავლაპარაკებოდი; ერთ საღამოს, მისი ოთახის კართან ავისვეტე; დიდხანს ველოდი მის გამოჩენას ჩასაფრებული ნადირივით; ანაზდად, თვალწინ გამიელვა მისმა დიდმა, თეთრმა ლაბადამ და მშვენიერმა ღიმილმა! რა უცნაური იყო, რომ აქ, ამ სასტუმროში სწორედ ისეთი დენისი ვნახე, როგორიც წარმომედგინა!... გავხევდი, მიტკალივით გავფითრდი და თითქოს, სისხლი გამეყინა. „რა საოცარი სიურპრიზია! – შესძახა ფარისევლური აღფრთოვანებით. – სად დაიკარგეთ, დენის? სასტუმროდან რატომ წახვედით?“ – ვკითხე. ისევ წამლეკა სულისჩამდგმელი სიხარულის ტალღამ და გრძნობამ ამიტანა. „გულში მაგრად ჩავიკრავ! აღარასოდეს, აღარასოდეს გავუშვებ! ბოლოს და ბოლოს, ვეტყვი, რომ მთელი გულით მიყვარს!“ – გავიფიქრე ვნებით გულდაშანთულმა; ვნატრობდი, არნახული სითამამე გამომეჩინა და სიყვარულში გამოვტყდომოდი; მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ საყვარელი დენისი აქ იყო, ჩემ გვერდით, აღარ მიმატოვებდა და მისი მზე არასოდეს ჩაესვენებოდა; მას ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის უდიდესი ადგილი ეჭირა; მისთვის ცა და მიწას შევძრავდი; მეჩვენებოდა, რომ ყოვლისშემძლე არსებად ვქცეულიყავი და ყოველგვარ დაბრკოლებას ნაცარტუტად ვაქცევდი. „ადამიანებს გვინდა, ისე მოვიქცეთ, როგორც გვსურს; დღედაღამ ოცნებათა ახდენას ვლამობთ, მაგრამ...“ – დაიჩურჩულა საშინლად აფორიაქებულმა, შემკრთალმა და დარცხვენილმა და ხმა ჩაუწყდა.

„ხომ არ დავლიოთ?“ – ვკითხე მე.

ყოყმანობდა. „გოელანში“ მეგობრებს უნდა შევხვდე. ძალიან გამიხარდება, ჩემთან ერთად თუ წამოხვალთ, მარგერიტ“, – მითხრა რამდენიმე წამის შემდეგ.

სიხარულით გავყევი; თავჩაქინდრულები მივაბიჯებდით ბნელ ქუჩებში; მოღუშული დენისი დუმდა, მაგრამ როგორც კი მეგობრები

დაინახა, სახე გაუბრწყინდა, ალერსიანად გამიღიმა და მკითხა: „ისევ ჯინი დავლიოთ და ლამაზი გარდასული დღეები მოვიგონოთ? გახსოვთ, პირველად ბარში რომ წავედით და დავთვერით, მარგერიტ?

– რა თქმა უნდა!“ – მივუგე აღტყინებით; მიკვირდა, რომ ის ჯადოსნური საღამო არ დავიწყებოდა; ჩემი საყვარელი დენისი ხომ წარსულს თითქმის არასოდეს იხსენებდა?! ძალიან აღელვებული ჩანდა.

„რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ! ეჰ, დრო თვალის დახამხამებაში გაფრინდა! – დაიჩურჩულა მწუხარე სახით .

– ახლაც ახალგაზრდები ვართ, დენის...“ – დავუყვავე მე.

თავი გააქნია და წუწუნს მოჰყვა: „თქვენ ნორჩი და ხალასი ხართ, მე კი სიბერე შემომეპარა... ოდესღაც მიმზიდველი და საინტერესო ადამიანი ვიყავი, ახლა კი... ო, თქვენც ხომ კარგად იცით ეს, მარგერიტ?! ჩემ გარეშე განაგრძეთ ცხოვრება; სასიცოცხლო მგზნებარებითა და ენერგიით სავსე გოგონა ხართ, მე კი სულ დავუძლურდი და დავჩაჩანაკდი; ამ მუხანათი წუთისოფლის ციცაბო ბილიკებზე ვეღარ გაგიძღვებით...“ – ამოიოხრა რემბოს მოტრფიალემ, პირი იბრუნა, წამოდგა და პიანინოს მიუჯდა; საღამო ისე გავიდა, წუთითაც კი ვერ განვმარტოვდით; გულგასიებული გავუყევი შინისკენ მიმავალ გზას.

მეორე დღეს, საღამოხანს, ჩემს ოთახში ვიჯექი და ლათინ ავტორებს ვიმეორებდი; პასკალმა ხმაურით შემოაღო კარი; გავოგნდი; როცა ასე გულმოდგინედ ვმეცადინეობდი, ჩემს შეწუხებას ვერ ბედავდა; ძალზე სევდიანი გამომეტყველებით გამოემართა ჩემკენ; ანას გარდაცვალების შემდეგ დღედაღამ დამწუხრებული სცემდა ბოლთას, თუმცა, ეს თვალთმაქცი არსება ვერასოდეს გამაბრიყვებდა! ვიცოდი, საბრალო გოგონას ბედი სულ არ ადარდებდა; მისი გულისმომკვლელი კაეშნის მიღმა ამაზრზენი ფარისევლობა იმალებოდა; ეს უნიჭო მსახიობი ცდილობდა, ყალბი სენტიმენტების, მეტისმეტად მაღალფარდოვანი ფრაზების, გაცვეთილი ჟესტების, ტრაგიკული გამომეტყველებისა და გულამოსკვნილი ქვითინის წყალობით მაინც დაერწმუნებინა მაყურებელი, რომ ესოდენ ნაადრევ და შემზარავ აღსასრულს დაუამებელი ტკივილით აღევსო; მისი საზიზღარი მანჭვა-გრეხა და თითქოსდა, მოზეიმე გლოვა გულს მირევდა. ჩემს დივანზე მოკალათდა; მაგიდასთან, სავარძელში ვიჯექი; თავი მისკენ მივაბრუნე და გულაღრენილმა ვკითხე: „ჩემთან საუბარი გინდა?“ მეჩვენებოდა, სადაც იყო, იარაღს ავისხამდი და ულმობელ ბრძოლაში გადავეშვებოდი. ალერსითა და სევდით გაჟღენთილი მზერა მომაპყრო. „ჰო. სულ არ გადარდებს, რა ხდება ჩვენს ოჯახში, მაგრამ მინდა, რაღაც შეგატყობინო,“ – მითხრა მან, გაჩუმდა, მერე ისევ გახსნა

ბაგე და მახარა: „მარსელი ყოფილ ქმარს შეხვდა და გულახდილად ისაუბრეს; დენისი შეევედრა, მომიტევე, ასე უსულგულოდ რომ მიგატოვეო; როგორც ჩანს, ძალიან შეიცვალა, ეს ანჩხლი ბავშვი მოწიფულ მამაკაცად იქცა, ჭკუაში ჩავარდა და მუშაობის დაწყება განიზრახა; ერთი სიტყვით, მარსელი მზადაა, ღალატი აპატიოს, კვლავ ცოლქმრულ უღელში შეებას და ოჯახური ბედნიერების მოსაპოვებლად დაუღალავად იბრძოლოს.“

მინდოდა, მეხი დამცემოდა; თვალისმომჭრელმა შუქმა წყვდიადი გაფანტა და სასტიკ სიმართლეს ილუზიებისა და სიცრუის საბურველი შემოაძარცვა; სიტყვებს თავი ძლივს მოვუყარე და შესაბრალისად ამოვილუღლუღე:

„დენისმა სთხოვა, შემირიგდიო? ისევ ამ სახლში იცხოვრებენ?“

მან თავი დამიქნია: „ო, ახლა შავ დღეში ვართ; როცა დენისი დაბრუნდება, ყველაფერი შეიცვლება... გთხოვ, გამოიჩინო კეთილგონიერება, თავდაჭერილობა, სიმშვიდე, მოკრძალება და დიდი ტაქტი...“

მხოლოდ იმას ვნატრობდი, პასკალის თვალწინ არ ავქვითინებულიყავი, თუმცა, გულის სიღრმეში, ტირილიც კი არ მინდოდა; ნერვიული სიცილი ამივარდა; მარსელს ხომ დენისი სულმდაბალ, აღვირახსნილ, ავხორც, არამზადა და ზნედაცემულ კაცად მიაჩნდა?! „რა სასაცილოა! ო, რა სისულელეა!“ – შევძახე განრისხებულმა.

პასკალი მოიღრუბლა: „ადამიანებს ასე ხელაღებით ნუ ჰკიცხავ, მარგერიტ! ოდესმე მაინც თუ გიცდია, წარმოგედგინა, როგორ იტანჯება ჩვენი მარსელი?! ეს ახალგაზრდა ქალი გრძნობს, რომ სიხარულისა და ბედნიერების წყაროს ვეღარასოდეს დაეწაფება; თითქოს, სამყარომ მკაცრად აქცია ზურგი, ხელი ცივად ჰკრა და მიახალა, ბრწყინვალე მომავალზე არც კი იოცნებებო, შენი ცხოვრება დასრულდაო; ჩემი დის ესოდენ თამამ გადაწყვეტილებას გულდამშვიდებით როდი შევხვდი! როცა მითხრა, დენისს უნდა შევურიგდეო, მოსვენება დავკარგე; აბა, წარბშეუხრელად როგორ ჩავხედო თვალებში ჩემს ბედოვლათ სიძეს?! მიუხედავად ამისა, მარსელისა მესმის და დიდ პატივს ვცემ. ცოდვათა მიტევება მარტოდენ დიდსულოვან, კეთილშობილ და უანგარო ადამიანებს ძალუძთ!

– ახია მასზე!“ – შევძახე ზიზღმორეულმა.

ისეთი გაღიზიანებული და დაძაბული ვიყავი, სადაც იყო, ავტირდებოდი; მთელ სხეულს სიმივით ვჭიმავდი, ვცდილობდი, ზეადამიანური ძალით აღვსილიყავი, თავი ხელში ამეყვანა, ამ ავადმყოფურ, საშინელ ცახცახს როგორმე გავმკლავებოდი და ცრემლი არ წამსკდომოდა. „როდის შერიგდნენ? – ამოვიგმინე სულგამწარებულმა.

– სამი კვირის წინ; მარსელი ორჭოფობდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გადაწყვიტა, მისთვის ყველაფერი ეპატიებინა.“ ვიგრძენი, რომ გათენებამდე ასე ილაყბებდა; უეცრად წამოვდექი და შევძახე: „პასკალ, ყური დამიგდე: კარგია, რომ ეს ამბავი შემატყობინე, მაგრამ თავი საშინლად მტივა და მეძინება... მაპატიე...“ ოკეანესავით ღრმა თვალები შემომანათა, მრავლისმეტყველი, გულში ჩამწვდომი მზერა მომაპყრო და მითხრა: „კარგი. დაისვენე.“

როგორც იქნა, კარი გაიხურა და წავიდა; ფანჯარას მივადექი; ფარდა გადავწიე; მახსენდებოდა დენისის სიმწარენარევი ღიმილი, ჩამესმოდა მისი ხმა; დაუსრულებლად ვიმეორებდი: „მარსელს დაუბრუნდება... ისევ ამ სახლში იცხოვრებენ.“ გაოცებული კი არა, თავზარდაცემული და გაოგნებული ვიყავი. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი და გავქვავდი; დიდხანს ვიყავი ჩაძირული გარინდების მორევში; ფეხსაცმელი, თითქოს, ხელში შემყინვოდა; ღონემიხ-დილს, ხელის აწევაც კი აღარ შემეძლო; დროდადრო თვალწინ გამიელვებდა ხატება გამოგონილი, ნაირფერი ოცნებებით, ფანტაზი-ებითა და საამური სიცრუით შემკული, სასოწარკვეთილი, გულმოკ-ლული არსებისა, რომელმაც ერთ საღამოს თვალი ამარიდა, თავი ჩაქინდრა და მითხრა: „დიდი მადლობა“. წამით, მისი სახე საოცარი ბრწყინვალებით იმოსებოდა, მაგრამ სასიცოცხლო ძალა კვლავ ეცლებოდა, სუსტდებოდა, სანთელივით იღვენთებოდა, კნინდებოდა და საუკუნო განადგურების წყვდიადში ინთქმებოდა, რადგან მისი აღარ მწამდა; მართლა აღარ მწამდა (უფრო სწორად, აღარ შემეძლო, კვლავ მეწამებინა), რომ ის დენისი იყო; როგორც იქნა, მისი ნამდვილი სახე დავინახე; მეგონა, როგორც კი ხელს გავიწვდიდი, ლურჯი მინის მიღმა მოელვარე იმ ლამპიონს შევეხებოდი, ღამეულ აჩრდილს რომ მომაგონებდა, დენისის შემზარავი, ელვასავით მოკაშკაშე, თვალისმომჭრელი, ცეცხლოვანი ხატება კი მიუწვდომელ, შორეულ მწვერვალად და მოუხელთებელ ზმანებად მეჩვენებოდა. უკვალოდ გაქრა და აღიგავა მთელი ჩემი წარსული პირისაგან მიწისა; ჩემს შინაგან სამყაროში დავანებული უჩინარი მხატვარი მშვიდად და დაუბრკოლებლად ხატავდა დენისის აქამდე უხილავ, ჭეშმარიტ სახეს; ფუნჯს ისე ლაღად და მარჯვედ მოიხმარდა, თითქოს, დიდი ხნის წინ მოხაზულ ესკიზს ნელ-ნელა ასხამდა ხორცს; მე ხომ მანამდეც ვგრძნობდი, როგორი იყო სინამდვილეში ეს ახალგაზრდა პოეტი?!

როგორც იქნა, გახევებამ გამიარა, ფეხსაცმელი იატაკზე დავდე და ტანსაცმლის გახდას შევუდექი; მას შემდეგ, რაც დენისმა „გოე-ლანში“ წამიყვანა, ეჭვის ჭია გულს მიღრღნიდა; იმ საზარელ საღამოს

ვერ ვივიწყებდი; ავმა წინათგრძნობამ შემიპყრო; ვგრძნობდი, სულ მალე მიმატოვებდა, მაგრამ ამ სასტიკ სიმართლეს ჯიუტად ვარიდებდი თვალს; ეს მშვენიერი არსება უსაზღვროდ მიყვარდა; სწორედ ამ უნაზესი ტრფობის, სიმამაცის, ქედუხრელობისა და სიჯიუტის წყალობით ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ ის არასოდეს შეიცვლებოდა, გული არ გაუცივდებოდა და სიკვდილამდე მიერთგულებდა; დენისის ჯადოსნური სამყაროს დატევებაზე ფიქრიც კი მზარავდა; თითქოს, დედამიწა მის გარშემო ბრუნავდა, მაგრამ ვგრძნობდი, სიცრუის ბანგით ვბრუვდებოდი და ამ ნეტარ სიმშვიდესაც მალე მოეღებოდა ბოლო... უეცრად (უკვე მერამდენედ!) თითქოს, სამყარო არარაობაში დაინთქა და ცა ჩამომექცა; ცხოვრება თეატრად აღარ მეჩვენებოდა; ეს დრამა სამუდამოდ დასრულდა; ქვეყნიერება უწესრიგოდ მიმოფანტულ საგანთა გროვადღა ქცეულიყო; იმის წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რა მელოდა; ძილი გამიკრთა; საწოლში შლეგივით ვბორგავდი; დიდი ტანჯვა-წამების ფასად ვიძინებდი, მაგრამ მალევე ოფლად გაღვრილი ვიღვიძებდი და შეძრწუნებული ვფიქრობდი: „ცხოვრება როგორ უნდა განვაგრძო?! რა ვიღონო?! ხვალ გულისმომკვლელი სევდა წამიღებს... ო, როგორ არ მინდა, რომ გათენდეს!“

მეგონა, ჯოჯოხეთურად დავიტანჯებოდი, მაგრამ... დღე დღეს მისდევდა, წუთი წუთს, წამი წამს, თუმცა, სიცოცხლის ხალისი დამკარგვოდა; ყოველივე ამაო იყო; საბედნიეროდ, წერითი გამოცდა ჩავაბარე, ამ ბრწყინვალე წარმატებამ შვება მომგვარა, გაუსაძლისი ტკივილი დამიამა და მტანჯველი ფიქრებისაგან მიხსნა; როგორც კი სორბონადან გამოვიდოდი, ჩემში უსახური სიცარიელე ისადგურებდა; გულგასიებულსა და დამწუხრებულს, უქმად ყოფნისა და უმიზნობის მტკივნეული შეგრძნება მოსვენებას არ მაძლევდა. აღარაფრის მეშინოდა, აღარაფერს ველოდი; ჩემი მოგონებებიც კი საუკუნოდ დასამარებულიყო; მარტოოდენ წარსულის აჩრდილებს მივტიროდი; თურმე, არასოდეს უარსებია იმ მშვენიერ აჩრდილს, იმ მამაკაცს, რომლის სიყვარულითაც ვიწვოდი; თურმე, მისი სხივმოსილი ხატება თავად გამომიგონებია; დედა, მარსელი და პასკალი ფიქრობდნენ, რომ დაუსრულებელმა გამოცდებმა გადამქანცა; ჩემ შეწუხებას ვერ ბედავდნენ და კრძალვით მელაპარაკებოდნენ. ოთახში ვიკეტებოდი და დეტექტივებს ვეწაფებოდი, მაგრამ მალე თვალები მელულებოდა და ძილი მერეოდა. უკანასკნელი გამოცდის წინა საღამოს სითამამე მოვიკრიბე და ჩემს უსახურ, უიმედო, უსიხარულო და უფერულ მომავალს თვალი გავუსწორე; ო, რა უკიდეგანო სიცა-

რიელეს დაესადგურებინა! ნაშუადღევს მომქანცველი სიცხე იდგა და ჩამთვლიმა; მიმწუხრის ჟამს სასეირნოდ გავეშურე; ვნატრობდი, მთელი ქალაქი ფეხდაფეხ მომევლო და შინ აღარასოდეს დავბრუნებულიყავი; ო, ვინ იცის, რამდენჯერ მიხეტიალია პარიზის ქუჩებში?! რაწამს სახლის კარი გამოვიხურე, თავი ცუდად ვიგრძენი; რასპაის ბულვარის დასალიერს ვავენის გზაჯვარედინის იისფერი და ვარდისფერი ნათურები ისევ კაშკაშებდა, თუმცა, მათი ოდინდელი, მომნუსხავი ბრწყინვალება გამქრალიყო; აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი, რა გზას დავდგომოდი... ჩემ თვალწინ უზარმაზარი, მთრთოლვარე, უსახური, ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე უფორმო მასა გადაშლილიყო; ალალბედზე გავუყევი ბნელ ქუჩებს; თითქოს, საოცარ თავგადასავალს დანატრებული ჩემი ფიქრებიც გზა-კვალარეული, ბედს მინდობილი მგზავრივით ეხეტებოდა; ამ ღონემიხდილ, ბავშვივით უსუსურ ქარბორბალას სურდა, სადღაც შორს გავექროლებინე, მაგრამ ადგილიდან ვერ მძრავდა და რაწამს რაიმე გაცვეთილ სანახაობას მოვკრავდი თვალს, ყველაფერი მავიწყდებოდა.

ძალიან დიდხანს დავეხეტებოდი; ანაზდად, ბარბეს ბულვარში აღმოვჩნდი; ვიღაც დოინჯშემოყრილ მეძავს შევეჩეხე; ეს ღამის ქალღმერთი, ცალი ხელი გავაზე რომ შემოედო, ვნებიანად უხმოდა მამაკაცებს; მის მკვრივ და დიდ მკერდს ატლასის ლურჯი კორსაჟი ბურთივით გამოებურცა; მაღალქუსლიანი, ღილებშეკრული შავი ჩექმები მუხლამდე სწვდებოდა; მძიმე და უსიცოცხლო ნაკვთები ჰქონდა; მალე კლიენტს იპოვიდა და სულ გაშიშვლდებოდა, მაგრამ ჩექმებს არაფრისდიდებით არ გაიხდიდა; წარმოვიდგინე, რა მრისხანედ შეიკრავდა წარბს, მოიმარჯვებდა მათრახს და მბრძანებლური იერით, უმოწყალოდ დააბიჯებდა ფეხს მის წინაშე მუხლმოყრილი, ავადმყოფურად ფერმკრთალი მამაკაცის სანთელივით გაყვითლებულ ზურგს; ალბათ, საწოლის ყვითელი გადასაფარებელი ფოჩებით იქნებოდა მორთული, რკინის ბადე კი ერთიანად დაჟანგული და აქერცლილი... ამ უსახურმა სანახაობამ გული სიბრალულით ამივსო; რამდენიმე წუთს შევყოვნდი, მინდოდა, მენახა, მიაკითხავდა თუ არა ვინმე, მერე კი გზა განვაგრძე; უეცრად, ვიგრძენი, რომ უნებურად გამეღიმა; გავოგნდი; რა საოცარი იყო! მწველი ცნობისმოყვარეობა და სრული გულგრილობა ერთდროულად დამუფლებოდა! ასეთი უცნაური შეგრძნება ჩემს დღეში არ განმეცადა; სულ რაღაც ერთი კვირის წინ, ეს ქალი მომეჩვენებოდა ხორცშესხმულ უიმედობად, სასოწარკვეთად, განწირული ადამიანის შლეგ, უძლეველ ცდუნებად,

უკანასკნელ გულისწადილად; ყელში ბურთი გამეჩრებოდა და ისე უსიტყვოდ გავეცლებოდი, მისი თმის ფერსაც კი ვერ შევამჩნევდი; ყურს მივუგდებდი, როგორ დაუძახებდა ღამის თვალშეუვალ წყვდიადში შთანთქმული ეს მეძავი დენისს, როგორ მოსწყდებოდა მის ბაგეს ვნებიანი სიტყვები: „ცოტა ხნით მაინც გავექცეთ ამ მოსაწყენ ცხოვრებას, სადღაც შორს გადავიკარგოთ და დავტკბეთ საშინელი, მაგრამ მაინც საოცრად მშვენიერი თავგადასავლით“. თითქოს, მისი ხმა ცხადად ჩამესმოდა; ვგრძნობდი, რომ ჩემში სამუდამოდ შეცვლილიყო რაღაც.

აღელვებული მივუყვებოდი ლამაზ ქუჩებს; თითქოს, მთელი სამყარო იცვლებოდა; მეჩვენებოდა, რომ გრძნეულის იდუმალმა შელოცვამ, ამ საუკუნო ჯადომ, ოდინდელი მაგიური ძალა დაკარგა, დილის ნამივით აორთქლდა და როგორც იქნა, სიმართლეს თვალი გავუსწორე; ცრუ დეკორაცია ელვის უსწრაფესად, ყურისწამღები ზათქით და გრგვინვით ჩამოინგრა და ნათლად დავინახე ჩემ თვალწინ ნიაღვრად მომსკდარი ნამდვილი საგნები, რომელთა შექმნაშიც ღვთის ხელი არ ერია; ამ თვითნაბად, ხელთუქმნელ მშვენიერებას არარადქცევა არ ეწერა! ეს რეალური სამყარო იყო, ჭეშმარიტი, ნანატრი ცხოვრება... ტროტუარების გასწვრივ, თითქოს, თანდათან ჩნდებოდა პატარა კაფეები, სადაც დენისს ფეხი არასოდეს დაედგა; ჩემს თვალწინ საარაკო სილამაზე იბადებოდა. შევცქეროდი კინოთეატრებსა და ორკესტრის თავაწყვეტილი გუგუნით ათრთოლებულ მეჯლისებს, რომელთა შესახებაც პოეტს თავის დღეში სიტყვა არ დასცდენოდა. სულ მალე, ბოლოს და ბოლოს, შევაღებდი ამ სამყაროს კარს, ყველა კაფეში, თეატრში, კინოში, კაბარესა თუ ბარში თამამად შევაბიჯებდი და განუცდელ სიამეს მივეცემოდი; დენისი აღარ მჭირდებოდა; აღარასოდეს შევთხოვდი, დახმარების ხელი გამოეწვდინა; მის გარეშე დავუგდებდი ყურს ბოჰემური მხურვალეებით გაჟღენთილი ადგილების ჩურჩულს; ვიცოდი, ბევრი რამის თქმა სურდათ ჩემთვის. ერთ-ერთ შენობას მივუახლოვდი; ხალხი ღია კართან შექუჩულიყო; აკორდეონის ჰანგები იღვრებოდა; დიდი, თეთრი, ვერცხლისფრად მოსირმული ღვედით დამშვენებული, საგულდაგულოდ გვერდებგაპრიალებული აკორდეონი და ბავშვთა ორკესტრი დავინახე; პატარა ყავახანის ბოლოში, წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი, თორმეტ-ცამეტიოდე წლის ბიჭები ჯავას (პოპულარული პარიზული ცეკვა ოცდაათიან წლებში. მთარგ.) უკრავდნენ; სცენა მოერთოთ ნარინჯისფერი ჩინური ლამპიონებით, ჭერზე კი გოფრირებული ქაღალდის გირლანდები

დაეკიდებინათ; თვალმოუშორებლად შევცქეროდი ატლასის პიჯაკებს, სპილენძის ინსტრუმენტებს, წყალბადის ზეჟანგით გამოთეთრებულთმიან მეძავს – გრძელ, დამტვრეულ სკამზე რომ ჩამომჯდარიყო და უცნაური სურვილები მეუფლებოდა; მთელი გულით მინდოდა, დამეგემოვნებინა დახლზე ჩამწკრივებული არყით სავსე ჭიქების ფსკერზე მონებივრე ქლიავი, აუმღვრეველი განცხრომით რომ ტკბებოდა; ორკესტრის ახალგაზრდა დირიჟორის გაცნობაზე ვოცნებობდი; მაგნიტივით მიზიდავდა მისი ნაზი ნაკვთები, ეშმაკური გამომეტყველება, ჩამოქნილი პროფილი, წამახული, სუსტი, თუმცა ნატიფი და ლამაზი სახე; ცხადი იყო, ეს ცბიერი და გაქნილი კაცი მიზნის მისაღწევად ყოველგვარ სიმდაბლეს იკადრებდა; მინდოდა, ჯავა მეცეკვა, ქერა მეძავს დავმეგობრებოდი და ბოლოს და ბოლოს, როგორმე მომეხელთებინა ეს სამყარო, რომელიც, თითქოს, დაუღალავად მიხმობდა თავის გულისგულში და მევედრებოდა, მოდი, დამეუფლე, სიხარულით დაგემორჩილები, შენ წინაშე ქედს მოვიდრეკ და ჩემი სილამაზით დაგატკბობო; ამ სანუკვარ საუნჯეს უეცრად შემოეძარცვა ცრურწმენათა და საშინლად ბრიყვულ ფიქრთა ყინულივით ცივი, მოუხეშავი გარსი, რომელშიც ის ოდესღაც ჩემივე ხელით გამოვამწვდიე; მისი ალეგორიული საბურველი ბურთივით გაიბერა, აუტანელი ჭახანით გასკდა, მტვრად იქცა და ცხადად დავინახე სასიცოცხლო ძალითა და ულევი სიმდიდრით აღსავსე, ჭეშმარიტი, თითქოსდა, შიშველი ქვეყნიერება, უშრეტ წყაროდ რომ მოჩქეფდა; თვალის დახამხამებაში განქარდა ცრურწმენები, მზამზარეული, გაცვეთილი ფრაზები, ქვასავით მაგარი, უტყვი და შეუვალი იდეები... თავბრუ მეხვეოდა; დაჟინებით ვუმზერდი ქაღალდის ყვავილებს, იაპონურ ლამპებს, მოელვარე შანდლებსა და გირლანდებს და მათ ჯადოსნურ ფერებს ახლაღა ვამჩნევდი! რა თვალხილული ბრმა ვყოფილვარ! ამ საიდუმლოს შეცნობას ველარასოდეს შევძლებდი! ო, რამდენი დრო დამიკარგავს! გზა ნელა განვაგრძე; ქვეყნიერება ახალმოჭრილ მონეტასავით ბრწყინავდა! თვალს მჭრიდა ეს შეურყვნელი, ბინძურ ფერხთაგან წაუბილწავი ფაფუკი თოვლი; ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მომეხერხებინა მისთვის, მაგრამ თავი ყოვლისშემძლე მეგონა, რადგან ამ საოცნებო საგანთა ოაზისში დავმკვიდრდი; შემზარავმა სიცარიელემ დაისადგურა, როცა მიღალატა და მიმატოვა დენისმა, მაგრამ მისი ადგილი მე დავიჭირე და ავად ხახადაფჩენილმა უფსკრულმაც პირი შეიკრა.

ბედნიერი ვიყავი, რომ თვალისმომჭრელმა სიმართლემ გონება გამინათა; თითქოს, საოცარი ხილვა მეზმანა, მაგრამ მალე მივხვდი,

რომ ამგვარი „ხილვები“ მომყირჭებოდა; თუკი ისევ სულიერების ჭაობში ჩავეფლობოდი და „ჭეშმარიტ“ სარწმუნოებაზე „მოვექცეოდი“, სულიერების ზეობას ვეღარასოდეს დავაღწევდი თავს; ეს ოცნებაც ავიხდინე: ღვთის მეუფება დავამხე, მისი ზეციური ტახტი ნაცარ-ტუტად ვაქციე და წარსულის უდაბნოში დავასამარე; ჩემი ცხოვრება სწორედ მაშინ შეიცვალა, როცა „შინაგანი ცვლილებების“, „სულიერი რევოლუციების“, „ხილვებისა“ და „გონების განათების“ ეპოქა დას-რულდა და პასკალისა და მარსელის გულისამრევ მორალს უშიშრად შევებრძოლე; თითქმის ორ წელიწადს ვცდილობდი, შემეგნო, რომ მათი საოცრად მშვენიერი, პათეტიკური და წარმტაცი ოცნებების მიღმა ამაზრზენი სილაჩრე და ფარისევლობა იმალებოდა; ამ გულ-გამოფიტულ არსებებს სამუდამოდ ვაქციე ზურგი, მაგრამ ამ ამბის მოყოლას არ ვაპირებ; მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ სხივმოსილ სიმართლეს თვალი გავუსწორე, დავივიწყე ის უბირი და ჭკუათხელი ადამიანები, რომლებიც დაუღალავად მარწმუნებდნენ, შეუმცდარი ქმნილება ვარ, ჭეშმარიტებას ვღაღადებ, რამეთუ უფალმა ჩემი საწყალობელი ვედრება შეისმინა, გამომეცხადა და უდიდესი საიდუმ-ლო გამანდოო; მზამზარეულ, სულელურ ნორმებს აბუჩად ვიგდებდი; იძულებული გავხდი, თავადვე შემექმნა პრინციპები და მეპოვნა ცხოვრების აზრი; ეს მეტად მძიმე მოვალეობა, ზოგჯერ, თავგზას მიბნევდა და მაშინებდა კიდეც; მომავალი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული; ვერ გამიგია, რა მელის ხვალ, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ მარსელი, შანტალი და პასკალი კუბოს კარამდე ვერაფერს შეიმეცნებენ და მათ გულებში სიყვარულის ცეცხლი არასოდეს აგიზგიზდება; თითქოს, ადამიანებსა და ამ ლამაზ წუთისოფელს კი არ ეტრფიან, არამედ რაღაც არამიწიერ, უსახო, უჩინარ ქმნილებებსა და ზეციურ, შორეულ, ეფემერულ სამყაროს; უმეცრების წყვდიადში ჩაძირულ მათ გონებას ჭეშმარიტების კაშკაშა სხივები არ მოეფინება და სიცრუის საპყრობილეს თავს ვერასოდეს დააღწევენ. არ მინდა, მათ დავემსგავსო. ღრმად მწამს, რომ არასოდეს შევიცვლები. შანტალი მდიდარ ექიმს მისთხოვდა, მარსელმა ახლახან ლექსების პატარა კრებული გამოაქვეყნა, ერთ-ერთმა არქეოლოგიურმა გამოცემამ კი პასკალის სახელი ქება-დიდებით მოიხსენია... ეს სამი განუყრელი მეგობარი ბედს არ უჩივის.

მკვლელობის სცენა

1929 წლის 25 ნოემბერს, ოცდაორი წლის ელისაბედ ლაკუენი (ზაზა) გარდაიცვალა. როგორც ექიმებმა განაცხადეს, ქალიშვილი მწვავე ენცეფალიტმა იმსხვერპლა. ოცდაათი წლის შემდეგ, სიმონ დე ბოვუარმა თავისი მემუარების პირველი ტომი, „ზრდილი ქალიშვილის მოგონებანი“ ამ სიტყვებით დაასრულა: „ჩვენ მხარდამხარ, მუხლჩაუხრელად ვებრძოდით იმ საზიზღარ ხვედრს, ჩასაფრებული მხეცივით რომ გვითვალთვალებდა. ძალიან დიდხანს მაწამებდა იმაზე ფიქრი, რომ ნანატრი თავისუფლება მისი სიკვდილის ფასად მოვიპოვე.“ მეგობრის გარდაცვალებამ წარუშლელი კვალი დატოვა მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მომხდარმა ტრაგედიამ სიმონი, „ზრდილი ქალიშვილი“ საშინლად განარისხა და მასში გააღვივა ამბოხების ნაპერწკალი, რომელიც აღარასოდეს ჩამქრალა. რამ შეიწირა ეს გოგონა? უკურნებელმა სენმა? საშინელმა დაღლილობამ? ცხადია, ღონემიხდილ ზაზას ენერგია აღარ შერჩენოდა სიკვდილთან გასამკლავებლად, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ ფაქიზმა არსებამ ვეღარ გაუძლო მრავალწლიან ჯოჯოხეთურ ტანჯვას... მაგრამ ვინ იყო ის, ვინც ასე უმოწყალოდ ტანჯავდა? საკუთარი დედ-მამა; ბოვუარს ღრმად სწამდა, რომ გოგონა მოკლეს; ვინ მოუსწრაფა სიცოცხლე მის დობილს? ოჯახმა, გარემოცვამ, ბურჟუაზიულმა აღზრდამ და საშინელმა დედამ, რომელსაც შვილი გულის ამრევი რელიგიისა და ცრურწმენების მტკიცე მარწუხებში მოემწყვდია; ქალიშვილი მოკლა იმ მხდალმა მამაკაცმა, რომელიც ვერა და ვერ გათავისუფლებულიყო ოჯახის წევრთა ტირანიისა და კათოლიკური მორალის ნარჩენებისგან, თუმცა ზაზას მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა.

1979 წელს გამოქვეყნდა „ჟამი სულიერების ზეობისა“; სიმონ დე ბოვუარი წინასიტყვაობაში თამამად აცხადებს ულმობელ, საბოლოო განაჩენს: ზაზა მოკლეს! ის შეიწირა სულიერების ზეობამ! ნაწარმოები მწერალმა 1938 წელს დაასრულა, თუმცა გამომცემლობებმა – „გალიმარმა“ და „გრასემ“ მის გამოქვეყნებაზე უარი თქვეს. ფემინიზმის დედამ „ზრდილი ქალიშვილის მოგონებებში“ მკითხველს გულწრფელად უამბო, როგორ დაიმორჩილა, დააკნინა, დააჩლუნგა და გამოათაყვანა იგი ბავშვობაში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ; გულანთებული გოგონა რელიგიით უსაზღვროდ ტკბებოდა, მაგრამ ერთ საღამოს, მერინიაკში, თვალნათლივ შეიგრძნო მიწიერი მშვენიერება, თითქოს,

ნაირფრად აელვარებულ თვალუწვდენელ სამყაროს იდუმალების საბურველი შემოეძარცვა, ბურჟუაზიის ეს პირმშო თავდავიწყებით გადაეშვა საამური გრძნობებით, სიხარულითა და ნეტარებით აღსავსე წუთისოფლის ოკეანეში და სამუდამოდ დაკარგა რწმენა; მირაჟების გაქრობა, ღმერთის – ამ უდიდესი სიცრუის უარყოფა და მოსპობა მისი ცხოვრების მიზნად, მარადიულ საფიქრალად და შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა; მთელი გულით სურდა, ყველასთვის ეჩვენებინა რელიგიის შემზარავი სიმახინჯე; სარტრიც ამბობდა, ათეიზმი ერთგვარი ბრძოლაა. „ჟამი სულიერების ზეობისა“ იყო ის ერთ-ერთი პირველი, დიდი ბრძოლა, რომელიც ასე უშიშრად წამოიწყო ბოვუარმა „სულიერების“ გასანადგურებლად; მისი აზრით, ქრისტიანობა „ფილოსოფია“ კი არა, მჩაგვრელი, სულშემხუთავი მორალია, რომლის უკვდავების საწინდარიცაა კონფორმიზმითა და შოვინიზმით გაჟღენთილი ტრადიციული აღზრდა-განათლება.

ბავშვობაში ბოვუარს ერთადერთ სანუკვარ სიმდიდრედ შინაგანი სამყარო ესახებოდა, „სულს“ აღმერთებდა, ხორცს, „მატერიას“ და ყოველგვარ „მიწიერს“ კი ამდაბლებდა და თვითგვემით ტკბებოდა. ბოვუარები და ლაკუენები ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ; სიმონი და ზაზა თითქმის ერთნაირ გარემოში გაიზარდნენ, მაგრამ დე ბოვუარები მოკრძალებულად ცხოვრობდნენ, ზაზას მშობლები კი დიდძალ ქონებას ფლობდნენ. ისინი წარმოადგენდნენ მეოცე საუკუნის ოციანი წლების საფრანგეთის სახეს, იმ ევროპული ქვეყნის შვილებს, სადაც ეკლესია მიიჩნეოდა საზოგადოებრივი წესრიგის, სულიერების მეფობის, ტრადიციული, პატრიარქალური ოჯახისა და მორალის გულმხურვალე, შეუდრეკელ დამცველად. ათი წელიც არ შესრულებოდა პატარა სიმონს, როცა კათოლიკურ სასწავლებელში, „კურ-დეზირში“ ზაზა გაიცნო; რაწამს თვალი შეავლო, იგრძნო, რომ ეს „პატარა, შავგვრემანი გოგონა“ მას ძალიან ჰგავდა; მაშინვე დამეგობრდნენ; ზაზა კუბოს კარამდე მისი გულის მესაიდუმლე და დობილი იყო; თითქმის მსგავს ოჯახებში დაიბადნენ, ერთნაირი განათლება მიიღეს და ერთი გზა განვლეს; ორივეს შთააგონებდა ის შინაგანი, შეუცნობელი, არაამქვეყნიური „მგზნებარება“ და „აღ-ტყინება“, რომელმაც დე ბოვუარი „უდიდეს ზეციურ საიდუმლოს“ აზიარა. „მთელი გულით მინდოდა, საოცარი ზმანებებით, ხილვებითა და რელიგიური ექსტაზით დავმტკბარიყავი,“ – წერს „ზრდილი ქალიშვილი“, თუმცა ეს უდიდესი სიცრუე სულ მალე უარყო; სულაც არაა გასაკვირი, რომ „მეორე სქესში“ ასეთი მგზნებარებით აღწერა რწმენით გულანთებულ მისტიკოს ქალთა ცხოვრება; ამ საოცრად

ზუსტ და მომხიბვლელ პორტრეტებს ხომ ჟაკ ლაკანმაც საკადრისი პატივი მიაგო?!

ათი წლის შემდეგ ზაზა უამრავ საშინელ დაბრკოლებას წააწყდა... ერთი ყმაწვილის (სიმონი მემუარებში მას პრადელს უწოდებს, სინამდვილეში კი მორის მერლო-პონტი ერქვა) სიყვარული ჩაუვარდა გულში, მაგრამ უსულგულო და უმოწყალო დედა უკრძალავდა მასთან ყოველგვარ ურთიერთობას (მომოწერასაც კი). თითქოს, ორ განუყრელ მეგობარს შორის უფსკრული გაჩნდა, რადგან ზაზამ ვერა და ვერ უარყო ღმერთი, რომელსაც სიმონმა სამუდამოდ აქცია ზურგი. ნუთუ შეეძლო ბოვუარს მეგობრის დახმარება? ნუთუ ლაჩარი სატრფოსა და საშინლად მკაცრი დედის ამარა მიატოვა საყვარელი ზაზა?! პრადელი გოგონას თავს არიდებდა, მადამ მაბილი კი უმოწყალოდ აწამებდა. „ნუთუ, ზაზას გადასარჩენად არაფერი ვიღონე?“ – ეს მტანჯველი, აკვიატებული და მომნუსხველი შეკითხვა სიცოცხლის ბოლომდე მოსვენებას არ აძლევდა მწერალს. როგორც 1960 წელს გამოქვეყნებულ „ასაკის ძალაში“ ამბობს, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა ნატრობდა, დაეწერა რამდენიმე რომანი, რომლის წყალობითაც სასტიკად გაამათრახებდა და აბუჩად აიგდებდა საზიზღარ ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდებოდა მრისხანების, სიძულვილისა და ბოღმისგან, თუმცა, გადაიფიქრა; 1935-1937 წლებში გადაწყვიტა, უარი ეთქვა ინტრიგებზე, რაც ზოგადად დამახასიათებელია რომანისთვის და ნათლად მოეთხრო ის, რაც საკუთარი თვალით იხილა – „უმნიშვნელო და საშინელ დანაშაულთა უსასრულო ჯაჭვი, რელიგიურ მისტიციზმს და სულიერების ზეობას შეწირული სიცოცხლე“... ზაზა ხომ ყოველივე ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო?! შიშველი სიმართლის თქმა ამჯობინა. „მხოლოდ იმ მოვლენებსა და ადამიანებზე დავწერე, რომელთაც ძალიან კარგად ვიცნობდი; მინდოდა, მკითხველსაც ეგრძნო ის ჭეშმარიტება, მე რომ შევიცანი; სწორედ ეს თვალისმომჭრელი ჭეშმარიტება უნდა ქცეულიყო ჩემი წიგნის, ამ უზარმაზარი ნაგებობის საძირკვლადაც და დედაბოძადაც; რომანს „ჟამი სულიერების ზეობისა“ ვუწოდე, ჟაკ მარიტენის იმ დროისათვის ცნობილი ნაწარმოები კი გახლდათ „სულიერების ზეობა,“ – წერს მწერალი „ასაკის ძალაში“. „გალიმარმა“ და „გრასემ“ არ გამოსცეს წიგნი, რომელსაც ავტორმა ორი წელიწადი შეალია. „გალიმარის“ დირექტორის, ბრის პარენის შეფასებით, წიგნი „უგემოვნო“ იყო. როგორც იქნა, 1979 წელს საზოგადოებას მიეცა მისი წაკითხვის ბედნიერება; ბოვუარმა წინასიტყვაობაში გაიხსენა

ის შორეული დრო, როცა ზაზას ცხოვრების ამბავი რომანად აქცია: „ახალგაზრდობაში დღე-ღამეს წერაში ვასწორებდი, მაგრამ მიმაჩნდა, რომ ჩემი კალმით შედევრი ვერა და ვერ იშვა. ოცდაათი წლის ვიქნებოდი, როცა გავბედე, გამომცემლობებისთვის ხელნაწერი გადამეგზავნა; მწარე ირონიით აღსავსემ ვისარგებლე ჟაკ მარიტენის ცნობილი წიგნის სათაურით და რომანს „ჟამი სულიერების ზეობისა“ ვუწოდე; ამ წიგნში გული ჩავაქსოვე; თითქოს, მთელი არსებით ჩავიძირე მასში; გულგამწყრალს, ამბოხებულსა და განრისხებულს მსურდა, სამარადისოდ დამემხო სულიერების ზეობა, რომელმაც ბავშვობაში დამჩაგრა, დამაბეჩავა და დამაბრმავა; გააფთრებული სიძულვილითა და საშინელი ზიზღით გავჟღინთე ჩემი პერსონაჟების ცხოვრების ამბავი; ამ ახალგაზრდა ქალებს ხუთი თითივით ვიცნობდი და იმასაც ვგრძნობდი, რომ ამ დაბრიყვებულ, საბრალო, დაბრმავებულ არსებებს სურდათ კიდეც, რელიგიას ზვარაკად შესწირვოდნენ და სისხლით მორწყულ სამსხვერპლოზე სიხარულით წვებოდნენ; იცოდნენ, რომ თავს იტყუებდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ სინამდვილის შეცვლა.“

შეიძლება ითქვას, რომ მწერალს არ მოსწონდა ეს ახალგაზრდობისდროინდელი ნაწარმოები. როცა განუცხადეს, თქვენს წიგნს ვერ გამოვაქვეყნებთო, გულაცრუებულმა, ხელნაწერი კარადაში საგულდაგულოდ ჩაკეტა. 1979 წელს ამ დამარხული განძის გამომზეურება მოისურვა ორმა ამერიკელმა ლექტორმა; „გამოუქვეყნებელი ესეების, სტატიებისა და ჩანაწერების გამოცემა შემომთავაზეს. „ჟამი სულიერების ზეობისა“ ამ ნუსხაში უთუოდ უნდა მოხვედრილიყო,“ – წერს ავტორი, რომელსაც ეგონა, წიგნი დიდ ინტერესს არ გამოიწვევდა, მაგრამ ცნობისმოყვარე საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებს, წაიკითხოს საყვარელი მწერლის პირველი ნაწარმოები, რათა უკეთ გაიცნონ ავტორიც და მთელი მისი შემოქმედებაც. მართალია, რომანმა იხილა მზის სინათლე, მაგრამ ფემინიზმის სიმბოლომ იცოდა, რომ 1938 წელს ნაგემებ იმედგაცრუებას და მარცხს ვერაფერი დაავიწყებდა.

დღევანდელი მკითხველი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენს, რომ გამომცემლობებმა მის გამოქვეყნებაზე უარი განაცხადეს... მომნუსხველია ოსტატურად დაწერილი ტექსტი, მწერლის თავისუფალი ტონი, მწარე, ყოვლისმომცველი სატირა, დაუნდობელი, ძლიერი ირონია, კომპოზიციისა და სტილის სირთულე და მრავალფეროვნება, საოცარი იუმორი („აი, ესაა ქრისტიანული აღზრდა-განათლების უპირატესობა! ბიჭი ისე ამხდიდა ნამუსს, აზრადაც არ მომივიდოდა,

რომ ჩემს თავს რაღაც საშინელება ხდებოდა," – ამბობს მარგერიტი), რეალისტური, საოცრად ზუსტი პორტრეტები და ავტორის გამ-ჭრიახობა და სიმკაცრე; სიმონ დე ბოვუარი კალამს ლაღად, დაუბ-რკოლებლად და არხეინად მიაცურებს სიტყვების ოკეანეში და არც თვითირონიას ერიდება; საკუთარ თავს გაფაციცებით აკვირდება; თითქოს, ეს წიგნი მის სარკედ ქცეულა; ერთ წიგნში მოქცეული ეს ხუთიოდე მცირეტანიანი რომანი მისი ერთ-ერთი ყველაზე სრულ-ქმნილი, თვალსაჩინო და ბრწყინვალე ნაწარმოებია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს დიდებული ქალი მას არასოდეს წყალობდა.

ზაზას ტრაგიკულმა სიკვდილმა გაუნელებელი მრისხანებით აავსო და სამუდამოდ შეაძულა მჩაგვრელი, ფარისევლური ბურ-ჟუაზიული მორალი, რომლითაც თავს უჭედავდნენ; რატომღაც, ქალიშვილი თავს დამნაშავედ თვლიდა და ფიქრობდა, რომ ვე-რასოდეს ამოვიდოდა მეგობრის ვალიდან. მართალია, 1958 წელს გამოქვეყნებულ მემუარების პირველ ტომში ეს საზარელი წამება დაწვრილებით, გულდასმით აღწერა, მაგრამ რაწამს ზაზას თავგა-დასავლის წერას შეუდგა, იგრძნო, რომ საშინლად მტკივნეული და ცეცხლივით მწველი დანაშაულის შეგრძნება კვლავ არნახული ძალითა და მგზნებარებით ავსებდა და გულს უშანთავდა; მწერალს საკუთარი თავისთვის ვერა და ვერ ეპატიებინა, რომ მასა და ზაზას შორის უფსკრული გაჩნდა და აღიზიანებდა კიდეც საყვარელი მეგობრის „სულის სიდიადე" და ურყევი რწმენა. „ზაზა ამაოდ, გააფთრებით ებრძოდა მტანჯველ რელიგიას, ხაფანგში გაბმულ, შესაბრალისად აფართხალებულ ნადირს დამსგავსებოდა, მე კი კათოლიკური სარწმუნოება მთელი გულით მძულდა; ჩემი ზიზღის უძირო და თვალუწვდენელი ოკეანე დღითი დღე უფრო იზრდებოდა, გამაყრუებლად გრგვინავდა და ღრიალებდა," – წერს ის. ადამიანები ცდილობენ, მოგვითხრონ, როგორ აგიზგიზდა მათში ამბოხების ცეცხლი, ლამობენ ვალის გასტუმრებას, მაგრამ დანაშაულის გრძნობას, ამ დაუნდობელ მხეცს, ვერასოდეს დაუსხლტებიან. მკითხველი გრძნობს, რომ ოსტატურ ნაწარმოებში გოროზად წამომართულა ამ სამი საზარელი შეგრძნების პირამიდა, მაგრამ მწერალი ყოველთვის ფიქრობდა, რომ წიგნს „რაღაც აკლდა". „დავმარცხდი!" – მისი ეს სიტყვა ულმობელ განაჩენს ჰგავს.

სიმონ დე ბოვუარი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ამ ხუთ ნოველას არნახული წარმატება ხვდებოდა წილად; საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ ცივსისხლიან მკვლელებს ნება დართო, ზაზა მოეკლათ. „რატომ გადავრჩი მე? ზაზა რად დაიღუპა?

ნუთუ დახმარების ხელი არ გავუწოდე?! ნუთუ ჩემი მოვალეობა პირნათლად არ შევასრულე?“ – აი, რა შეკითხვები აწამებდა ამბოხებულ ფემინისტს; ამიტომ, შეეცადა, ამ ნაწარმოებით მაინც ეპასუხა მათთვის; ხელგაწაფულმა ვირტუოზმა შექმნა ერთგვარი სრულყოფილი ტილო გამოუსწორებელი მკვლელობისა და იმ შეცდომებისა, რამაც ზაზას სიცოცხლე მოუსწრაფა... ის მოკლა სულიერების საბურველში გახვეულმა სიცრუემ, აგრეთვე „მორწმუნეებმა“, „ნეტარმა სულებმა“, სასტიკმა დედამ – აი, ამ ულმობელმა ჯალათებმა. ანა-ზაზას მახვილი ჩასცეს თვითკმაყოფილების, ნარცისიზმის, განცხრომისა და ილუზიების ჭაობში ჩაფლულმა დაბრმავებულმა და გაბრუებულმა ქალებმა, რომლებიც ლამაზი, წარმტაცი სიცრუის ბანგს მწყურვალედ ეწაფებიან, საკუთარი თავი აუწერელ ნეტარებას ანიჭებთ და არც კი სურთ, პატრიარქალური მითებით სავსე ამ საპყრობილეს თავი დააღწიონ და თავისუფლება მოიპოვონ; სიმონ დე ბოვუარი ბავშვობაში გრძნობდა, რომ მისი სული ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებულ ზეცას ესწრაფვოდა, მაგრამ ეს ცრუ მისტიკა მალევე უარყო; ზაზას სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ შეუდგა ამ ნაწარმოების წერას; მართალია, მწარე და მტანჯველი ბავშვობის უღლიდან სამუდამოდ გათავისუფლებულიყო, მაგრამ გრძნობდა, რომ მძიმე წარსულს მისთვის სამარადისო დაღი დაესვა.

სიმონი ფიქრობდა, რომ მეგობრის გადარჩენა ვერ შეძლო, მაგრამ შეეძლო კი ვინმეს მისი ხსნა? ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ თავად ზაზას! ანდრეს, ერთერთი პერსონაჟის მეგობარია ახალგაზრდა, პროვინციელი მასწავლებელი, შანტალი; ერთხელ მოწაფემ უთხრა, ჩემი მეგობარი, მონიკი ორსულადაა, ნაყოფის მოშორება უნდა და გთხოვთ, ვინმესთან დაგვაკავშირეთ, ვინც აბორტს გაუკეთებსო, მაგრამ ქედმაღალმა ქალმა გოგონებს უარი სტკიცა და თავზარდაცემულმა შესძახა: „ღმერთო მაღალო! რა ამარზენი სიბილწეა! რა სიბინძურეა! თქვენ და მონიკს ასეთი რამ თავში აზრად როგორ მოგივიდათ?! დაუჯერებელია, ანდრე! ნუთუ, თქვენი ღირსება საბოლოოდ წალეკა უზნეობის მყრალმა სიბინძურემ?!“

„რა ამაზრზენი სიბილეწეა!“ ეს ფრაზა რელიგიური მისტიკის, სულიერების სიმახინჯისა და სიცრუის შესანიშნავი ილუსტრაციაა; შანტალს ეს თამამი და „ამორალური“ გადაწყვეტილება რომ მიეღო, ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვებდა თავისუფლებას და თავს დააღწევდა ნარცისიზმის, ოცნებების, ილუზიებისა და თვითკმაყოფილების გაუვალ ჯურღმულს. ბოვუარი „ასაკის ძალაში“ წერს, რომ შანტალის პერსონაჟი კოლეტ ოდრის პროტოტიპია; ასე რომ, ჩვენი

დიდი ფემინისტის ავტოპორტრეტი სულაც არ გახლავთ შანტალი; პირიქით, ესაა მასწავლებელი, რომელიც, თითქოს, დაუბრმავებია სულიერების ზეობას, ვერ ხედავს სხვათა გასაჭირს და ტანჯვას, საკუთარი თავის, ამაღლებული სულისა და ესოდენ ნატიფი, მშვენიერი, დახვეწილი, მრავალფეროვანი, ღრმა და მდიდარი შინაგანი სამყაროს გარდა არაფერი და არავინ ადარდებს, თუმცა, ანას „საუკეთესო მეგობრის“ როლსაც მშვენივრად ითავსებს. სიმონ დე ბოვუარიც ხომ ზაზას გულის მესაიდუმლე იყო?!... მეგობრისთვის რომ სათანადო პატივი მიეგო, მწერალი იძულებული გახდა, თავად ქცეულიყო რომანის პერსონაჟად, სცენაზე გამოსულიყო და ამ დიდ სპექტაკლში გადაშვებულიყო; მის ნაწარმოებში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ირონიითა და მწარე სარკაზმით აღსავსე ყოვლისმცოდნე მთხრობელის სიშორე და თანამზრახველის, საზარელი დანაშაულის თანამზრახველის თავბრუდამხვევი სიახლოვე.

„ადამიანი მოკლეს!“ – ამ სიტყვებს არც ერთი პერსონაჟი არ წარმოთქვამს, თუმცა ეს ბრალდება უწყვეტ რეფრენად, გამაყრუებელ ბასად გასდევს თითოეულ ფურცელს და ყველა მუსიკალური ინსტრუმენტის გუგუნს ფარავს; აქ ყოველივე ძალზე მძიმე, საშინელი, რთული და შემზარავია; ამიტომაც, თითოეულ ნოველას საოცარი ელფერი დაჰკრავს; მკითხველი გრძნობს, რომ მწერალი საოცარი გამომგონებლობის უნარითაა დაჯილდოებული; გაუხუნარი ფანტაზიით ფრთაშესხმული, შორეული მწვერვალებისკენ მიილტვის; სიმონ დე ბოვუარი ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე იბრძოდა: შესაფერისი დეკორაცია შეურჩია დრამას, შესანიშნავად აღწერა ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური რეალობა და კინოკადრებივით გააცოცხლა გარდასული დღეები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული, გაპარტახებული, გაღარიბებულ-გაღატაკებული საფრანგეთი! ქვეყანა, სადაც „ბურჟუა“ ქალები იძულებულნი იყვნენ, ფრონტის ხაზზე წასული მამაკაცების ნაცვლად ემუშავათ, თუმცა საზოგადოება მათ მკაცრი აკრძალვებით ზღუდავდა; დიდი „პატრიარქები“ ამ ქალებს არასოდეს მისცემდნენ წარმატებისა და დიდების მწვერვალთა დაპყრობის უფლებას; „მეორე სქესი“ სულისშემხუთავ, ვიწრო სფეროებს უნდა დასჯერებოდა; აი, ასე იწყებდნენ ისინი მუშაობას სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებში... დე ბოვუარის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ, სიღრმისეულად წარმოეჩინა ამ უზარმაზარ ოკეანეში ჩაძირულ პერსონაჟთა წამიერი შეგრძნებები და ქვენა აზრები; გვხიბლავს ამ თვალისმომჭრელი ტილოს

ფერთა გამა; გაფაციცებით ვაკვირდებით ყველა ნიუანსს, ფერს, ყველა წერტილს; ზოგი პერსონაჟი უბრალოდ სასაცილოა, ზოგი კი – საშინლად საძულველი. თითქოს მწერლის მოვალეობადაც კი ქცეულა, გააცამტვეროს „შინაგანი მონოლოგის“, „ძვირფასი დღიურისა“ და ცრუ აღსარების იდუმალებით მოცულ კუთხე-კუნჭულში მიმალული „შინაგანი სამყარო“; ერთმანეთშია შერეული მხილება, დაგმობა და აღსარება; თხრობის ამ უჩვეულო მანერის წყალობით მან სრულიად ახალი სტილი და წერის არნახული ტექნიკა აღმოაჩინა; თითქოს, თავის მძიმე ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორიდან უმზერს, მშვიდად; მის ყოველ სიტყვაში იგრძნობა მოქ-ნილობა, სისხარტე და სილაღე (რომანში თხრობის მრავალ ხერხს შეხვდებით: დღიურს, დიალოგს, შინაგან მონოლოგს, მონოლოგს...); მისმა ლიტერატურულმა ფიქციამ ტოლი არ დაუდო ფილოსოფიურ იდეოლოგიას, გმირულად შეებრძოლა მას, სწრაფად დაამარცხა, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ამხილა შემზარავი რელიგიური სიცრუე, რაც არაერთგზის აღწერა „სულიერების ზეობაში“; მხოლოდ ლიტერატურას (ლიტერატურულ თეორიასა და ფიქციას) შეუძლია ჭეშმარიტების აღმოჩენა, შეცნობა და მისი სათანადოდ წარმოჩენა; მხოლოდ მას ხელეწიფება, ჩაუღრმავდეს ფარისეველი ადამიანის სულს და მისი საიდუმლოებანი დღის სინათლეზე გამოიტანოს.

მეოთხე მცირეტანიანი რომანი იწყება ანას (ანუ, ზაზას) დედის ლოცვით, რომელიც მკითხველს ახალისებს და სიმწარენარევ ღიმილს ჰგვრის; ძლიერი, ხელგაწაფული მწერლის სარკაზმი მთელი ძალით ატყდება თავს პერსონაჟს და მისი კომიკური აღწერა-დახასიათება (რომელიც მკითხველში აღშფოთებასა და გულისწყრომას აღძრავს), საავდრო ღრუბლებივით ფარავს ზეცას; მკაცრი ოჯახური დისციპლინა და ბურჟუაზიული ცრურწმენები ფრთებს უკვეცავს მისტიკურ, არაამქვეყნიურ აღტყინებას; „უფალო, ნება მომეცით, მდაბლად შე-მოგწიროთ მადლობა, რადგან ღვთაებრივი შარავანდედით გაცის-კროვნებულ ზეცაში დაბრძანებული ტახტრევნის დატევება და ჩემს სულში გარდამოსვლა ინებეთ; ...ამ ცოდვილ მიწაზე მძიმე ჯვრის ზიდვა მომიხდა და ვიცი, ოდესმე, როცა ზეციური სამსჯავროს ზარი ჩამოჰკრავს, პასუხს მომთხოვთ! ...ცხადია, ის წერილები ბიჭმა გამოუგზავნა... ზნედაცემული სორბონელი სტუდენტის გარდა ასეთ საძრახის საქციელს არავინ იკადრებდა! ო, როგორ მძულს ეს უნივერსიტეტი, ეს გარყვნილების ბუნაგი! არცერთი აქაური ბიჭი თავს უფლებას არ მისცემდა, ჩემი ქალიშვილისთვის წერილი გამოეგზავნა.“

ცხადია, ნაწარმოებს ერთი განსაკუთრებული ღირსება გააჩნია: „ირიბი სტილი“. ამგვარი სტილი საოცარი, თითქოსდა, მომნუსხველი ორაზროვნებითა და ბუნდოვანებით გამოირჩევა, რადგან პესონაჟის „ხმა“ ერწყმის ყოვლისმცოდნე მთხრობელის კომენტარს. აი, ასე იწყება პირველი ნოველა: „მარსელ დრიუფი ნაადრევად შეღერებული და ძალზე მეოცნებე ქალიშვილი გახლდათ; ჯერ კიდევ ათიოდე თვის თითისტოლა ბავშვსაც კი ეტყობოდა, რომ ბრძენ ბუნებას მისთვის საოცრად მგრძნობიარე და სათუთი გული მიემადლებინა.“ საინტერესოა, ვისი „ხმა ისმის“ აქ? ავტორის? მთხრობელის? მარსელის, რომელიც ბავშვობას იგონებს? დედამისის? აი, კიდევ ერთი მონაკვეთი: „მარსელი ერთ წელიწადს მუხლჩაუხრელად შრომობდა მენილმონტანის ქუჩაზე; როგორც იქნა, გაუთენდა ის ნანატრი დღე, როცა იგრძნო, რომ მალე დახარჯავდა იმ უშრეტ სასიცოცხლო ენერგიას, რომელიც ასე გრგვინავდა და ბობოქრობდა მასში; ბოლოს და ბოლოს მთელ სამყაროს უშურველად და უხვად მოჰფენდა გულმოწყალებას, სიკეთესა და აურაცხელ შინაგან სიმდიდრეს – ამ ხელუხლებელ, საგულდაგულოდ დამარხულ სანუკვარ საუნჯეს, რომლითაც აქამდე ძეხორციელი ვერ დამტკბარიყო.“

ამგვარი სტილი აღარც კი „ითხოვს“ ავტორის ირონიულ კომენტარს; მკითხველი მყისვე ცნობს სიტყვებს, რომლის წყალობითაც ტყუილით დაბრმავებული და გონებაარეული ადამიანი ცდილობს, თავის თვალწინვე გამოძერწოს და სამარადისოდ გამოამწყვდიოს ცნობიერების საპყრობილეში საკუთარი ბრწყინვალე ხატება, რომელიც მის თავმოყვარეობას საამოდ ელამუნება; ის გულდაგულ წონის სათქმელს, ფრთხილად, კრძალვით ლაპარაკობს, რათა არაფერი წამოსცდეს და მის სიტყვებს საეჭვო ელფერი არ დაედოს; ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები პერსონაჟს იდუმალების საბურველს ერთიანად ვერ შემოაძარცვავს; „ირიბი სტილი“ – სიცრუის ეს საუკეთესო „აღმომჩენი“ დაუნდობლად ამხელს მთავარ გმირს და თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ იტყუებს იგი თავს.

საშინელი, დაუამებელი ტკივილითაა აღსავსე წიგნი, მაგრამ ეს ტანჯვა, თითქოს, მგზნებარებას და სასიცოცხლო ენერგიასაც კი გვაძლევს; მის ფურცლებზე რისხვის ნიაღვარი მოჩქეფს; სინდისის ქენჯნა ერწყმის დაგმობას და მხილებას; ავტორი სრულად იყენებს ფრანგული ენის მრავალფეროვან რეგისტრს; ხან ყველაზე იდუმალ, ოკეანესავით ღრმა „შინაგან სამყაროს“ გვიჩვენებს, ხან მაღალფარდოვანი, ნატიფი სიტყვებით გვატკბობს, ხან ჟამთააღმწერლის მშრალ, უგემურ, მეცნიერულ ენას შემოგვაგებებს, ხან კი ყოვლისმცოდნე

მთხრობლისთვის ჩვეულ ობიექტურ და გულგრილ ტონს გვთავაზობს. ბოვუარმა უბადლოდ აღწერა ის სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული ვითარება, რომლის ფონზეც ვითარდება დრამა. 1936-38 წლებში დაწერილ რომანს – „ჟამი სულიერების ზეობისა“ მკითხველი გადაჰყავს ოციანი წლების საფრანგეთის ზნე-ჩვეულებათა შემაძრწუნებელ სინამდვილეში, არნახული ნგრევითა და გაუგონარი სისხლისღვრით სავსე წლებში; მსოფლიო ომს მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა; მთელი მგლოვიარე თაობა სასოწარკვეთას და უიმედობას მოეცვა; სწორედ ამ საზარელმა წლებმა შვა დადაისტებისა და სიურრეალისტების დიდი ამბოხება, კოქტოსეული დენდიზმი, ესთეტიზმი (კოქტო ხშირად სტუმრობდა ჟაკ მარიტენს „მეუდონში“) და „ქველმოქმედებისა და უანგარობის“ თეორია (რომელიც საოცარი სარკაზმით, სისასტიკითა და სიმკაცრით აღვსილმა ბოვუარმა ხელმოცარული და არშემდგარი პოეტის, დენის შარვალის პერსონაჟის მეშვეობით გაგვაცნო). ხალხი „საზოგადოებრივი საკითხებით“ დაინტერესდა; 1917 წელი არც ისე შორს იყო; კათოლიკე ახალგაზრდებს არ სურდათ, კომუნიზმის ცდუნება მორეოდათ; ამიტომაც გადაწყვიტეს „მტრული კლასების“ შერიგება; სანგრებში იშვა მათი წმინდათაწმინდა მეგობრობა; ოცნებობდნენ, ხალხიც გამსჭვალულიყო ამ საამო და ამაღლებული გრძნობით. „რელიგიური სიცრუე და სულიერი მისტიკა“ აქაა, რომანის ფურცლებზე და ყველას განადგურებას უქადის; ამ შხამს საზოგადოებრივი მოძრაობაც კი მოუწამლავს; ფრონტის ხაზზე ნანახი საშინელებებით თავზარდაცემული, კეთილი, ხელგაშლილი, გულისხმიერი და გულუხვი ხალხი ამ ენერგიულ ახალგაზრდებს შეუერთდა, თუმცა, ვერავინ ხვდებოდა, რომ ამ საარაკო ურთიერთგაგებას სულ მალე მოეღებოდა ბოლო; მართალია, საზოგადოებისთვის ძვირფასი იყო ომის, სიკვდილისა და სისხლის სუნით გაჟღენთილ ეპოქაში რადიკალურად განსხვავებულ ადამიანთა და ფენათა „სოლიდარობა“ და „ძმობა“, მაგრამ მშვიდობის ჟამს ეს „ერთობა“ უდიდეს სიცრუედ უნდა ქცეულიყო. აი, ასეთი იყო „ერთ მუშტად შეკრული საზოგადოება“, რომლის სულისჩამდგმელიც ქარიზმატული პერსონაჟი, რობერ გარიკი გახლდათ; ამ დაწესებულებამ სიმონ დე ბოვუარს ცნობისმოყვარეობა აღუძრა; ეს გარემო პირველ ნოველაში, „მარსელში“ აღწერა და კიდევ ერთხელ ბრწყინვალედ, ოსტატურად გვითხრა სათქმელი ნისლით მოსილი, იდუმალი, ბუნდოვანი „ირიბი სტილის“ მეშვეობით; თავზარდაცემული და შიშმორეული მარსელი უმზერს „მამაკაცების დაკოჟრილ ხელებსა და ქალების ლამის მიწისფერ სახეებს“ და ფიქ-

რობს, რომ „მათ უმეტყველო თვალებში სამარადჟამოდ ჩამქრალიყო ადამის მოდგმის მაცოცხლებელი დიადი იდეალების საამო ნათება და უსახურ სიცარიელეს დაესადგურებინა“. როცა გულმოკლულმა გოგონამ ეს დაწესებულება აღმოაჩინა, აღტაცება დაეუფლა, რადგან „განათლებული სტუდენტები ახალგაზრდა მუშებს აძლევდნენ იმ მაცოცხლებელ სულიერ საზრდოს, რომელიც ადამიანს განუზომელ შინაგან ღირსებას ანიჭებს; ეს ღარიბ-ღატაკი, უსწავლელი გოგო-ბიჭებიც უზიარებდნენ მათ აურაცხელ შინაგან სიმდიდრეს და მეგ-ზურობდნენ სწავლულთათვის სრულიად უცხო მხარეში, უბრალო, გულმართალი ხალხის სამყაროში; მტვერწაყრილი წიგნების სა-ვანეში გამოკეტილი ინტელექტუალების გულებს სასიცოცხლო მგზნებარებით აღავსებდა სულგრძელობის, თავაზიანობის, ხელ-გაშლილობის, სიკეთის, სიმამაცისა და კეთილგანწყობის ცხოველ-მყოფელი ცეცხლი, რომელიც ამ უწიგნური ადამიანების სულში გიზგიზებდა.“

რობერ გარიკმა, ამ მებრძოლმა და გულანთებულმა ქრისტიანმა თავისი მოძრაობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დააარსა; ლუი ლეპრინს-რინგემ, პიერ-ანრი სიმონმა, ედმონ მიშლემ და სხვა ნაკლებად ცნობილმა ფრანგმა თანამოაზრეებმა ერთგვარი ახალი „სოციალური კათოლიციზმი“ შექმნეს; პროფესორი ივ პულიკენი წერს: „გარიკს მთელი გულით სურდა, შეენარჩუნებინა სანგრებში გაჩენილი მეგობრობა, რომელმაც უხილავი, თუმცა, ურღვევი ძაფით შეაკავშირა ის და მისი თანამებრძოლები; მათ არად მიაჩნდათ ამქვეყნიური წარმატება, სახელის მოხვეჭა, მიწერი სიკეთეები, დამსახურება, კარიერა, საზოგადოებრივი სტატუსი, პროფესია და საუნივერსიტეტო ხარისხი; აი, ასე გაჩნდა „ერთ მუშტად შეკრული საზოგადოების“ ჩამოყალიბების იდეა; მის მესვეურებს სურდათ, შეერიგებინათ ისინი, ვისაც მშვიდობის ჟამს ეწოდათ პროფესორი, მკვლევრი, მრეწველი, დურგალი, მექანიკოსი თუ ხაბაზი.“ რობერ გარიკი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას ჩაუდგა სათავეში და ევროპის დიადი მამები შთაგონებით აღავსო; ჯერ კიდევ ვერ გაგვიცნობიერებია, როგორ დაიპყრო კათოლიკურმა ეკლესიამ ხალხის გონება ოციან წლებში; უიმედო ფრანგები კვლავ მიაწყდნენ ტაძართა გალავანს. თუკი ამ ისტორიულ კონტექსტს გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რატომ უწოდა სიმონ დე ბოვუარმა თავის ნაწარმოებს „ჟამი სულიერების ზეობისა“; მან ხომ ჟაკ მარიტენის ცნობილი ესე, „სულიერების ზეობა“ უმოწყა-ლოდ გაამათრახა და აბუჩად აიგდო! მარიტენის სახელი დავიწყებას

მიეცა, თუმცა, მრავალ თაობაზე დატოვა წარუშლელი კვალი; დღეგრძელმა დე ბოვუარმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ დააჩლუნგა და დააბეჩავა ხალხი ამ კაცის იდეოლოგიამ; 1927 წლის 25 მაისს გამოქვეყნებულ ამ წიგნს დიდი აურზაური მოჰყვა; ისიც აღსანიშნავია, რომ 1926 წელს საფრანგეთმა დიდ კრიზისს გაუძლო; ნეო-თომისტმა ჟაკ მარიტენმა ქება-დიდება შეასხა ვატიკანს, რადგან კათოლიკური ეკლესიის ამ ბურჯმა „აქსიონ ფრანსეზის“ მეთაური, შარლ მორა მხოლოდ იმიტომ შერისხა, რომ ათეისტი იყო; მარიტენი ირწმუნებოდა, რომ „კათოლიკური ფილოსოფიის“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო; მორწმუნე მოაზროვნეთა კავშირიც კი ჩამოაყალიბა თავის ცოლთან, რაისასთან ერთად; ეს უკანასკნელი, ებრაული წარმოშობის რუსი, ქრისტიანობაზე „მოქცეული“ ქალი იყო; მარიტენმა „სულიერების ზეობა“ თავისი პოლიტიკური ფილოსოფიის ღერძად აქცია; ის და მისი თანამეცხედრე თითქმის მონაზვნებივით, საღვთისმსახურო რიტუალებითა და ლოცვებით ცხოვრობდნენ. მალე უბიწობის აღთქმაც კი დადეს.

„სულიერების პრიმატი“ სცილდება პოლიტიკური იდეოლო-გიების საზღვრებს; მას საშინლად სძულს მატერია, მიწიერება, ამქვეყნიური სამყარო, სიამოვნება, ადამიანის სხეული... სიმონ დე ბოვუარის პირველი წიგნი ამ იდეების გულისგულში შეიჭრა და თვალნათლივ გვიჩვენა, რა სავალალო შედეგები მოუტანა საზო-გადოებას ამაზრზენმა დუალიზმმა, ამ უდიდესმა დანაშაულმა; ეს იდეოლოგია აკნინებს სხეულს და აცხადებს, რომ თუ ადამიანი სამაგალითო რწმენით, ქრისტიანული თავდადებითა და სულიერებით არ „გამოისყიდის“ თავის ბიწიერებას, მისი სხეული კუბოს კარამდე დარჩება ხორცისა და ქონის ბინძურ გროვად; „სულიერების ზეობა“, ეს ცრუ, ფარისევლური მორალი მთელ სამყაროს ორ ანტაგონისტურ კატეგორიად ჰყოფს, ქადაგებს თვითგვემასა და ხორცის მოკვდინებას და, თითქოს, ზიზღით ირწმუნება, ხორციელი სიამე ამაზრზენი სიბინძურე და პირუტყვული ავხორცობაა, რომელიც ადამიანს სამარადისო დაცემას უქადისო; ქალები მსხვერპლად ეწირებიან ამ პატრიარქალურ-რელიგიურ დისკურსს, თუმცა, საუბედუროდ, ხშირად ამ ცივსისხლიანი მკვლელის თანამზრახველებად იქცევიან; სულიერება იქცევა მათ ერთადერთ თავშესაფრად, საიმედო საყ-რდენად და ყოველდღიურ სინამდვილედ, რომელიც (ერთი შეხედ-ვით) ნატიფ, თუმცა, სინამდვილეში, ბილწ და საზარელ სიამეს ანიჭებთ; ისინი მხოლოდ ზეადამიანური ძალისხმევით თუ დააღწევენ თავს ამ ტირანიას, თუმცა, მათ არავინ ამხნევებს; ასე ჩაიძირებიან

საშინელი ცრურწმენებისა და მიზოგინიური ტრადიციების მორევში (ბურჟუაზიული ქორწინება და შვილები), ან სხვებს ანაცვალებენ საკუთარ თავსა და ჯან-ღონეს, სიკვდილის წინ კი მიხვდებიან, რა ამაო, უნაყოფო და უსიხარულო ცხოვრება განვლეს (ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ერთგვარი „საერო“ მოწყალების და გახლავთ), ან კიდევ, ზაზასავით სიგიჟესა და სიკვდილში ჰპოვებენ საუკუნო შვებას.

მკითხველს ნუსხავს ბოვუარის საოცარი ფანტაზიის უნარი და ლაღი, მოქნილი სტილი; ანა (ანუ, ზაზა) მთავარი გმირია, თუმცა მწერალმა მისი ცხოვრების ამბავი მეოთხე (ბოლოს წინა) ნოველაში მოგვითხრო; პერსონაჟებს ერთმანეთის თვალთახედვით ვეცნობით; ვგრძნობთ, როგორი თვალით უყურებენ ეს ქალები ერთმანეთს; მეტად კომპლექსური და მრავალფეროვანია რომანის სტრუქტურა; მთავარ გმირთა პროფილი და წერის ამგვარი ტექნიკა ძალზე თანამედროვე და მოდერნისტული გვგონია, რადგან არ ემორჩილება სწორხაზოვანი, თანმიმდევრული, ტრადიციული რომანის მკაცრ ნორმებს. „ჟამი სულიერების ზეობისა“ ოსტატურად მოგვითხრობს ხუთი ქალის ცხოვრებას; ერთი მოთხრობა მეორეს ძალდაუტანებლად, თითქოს, თავისთავად და უდრტვინველად ერწყმის; გმირები ერთმანეთს ენაცვლებიან; სიუჟეტი დაწურული და მრავალშრიანია; მკითხველი გრძნობს, რომ წინა ნოველებში აღწერილ ქალთა ყოველი სიტყვა თუ ქმედება სამუდამო დაღს ასვამს სხვა გმირს; დრო მიქრის; ოდეს-ღაც მარსელი გულუბრყვილო ილუზიების, ოცნებებისა და „სულიერების გულზვიადი და მომთხოვნი ქალღმერთის“ ტყვე იყო, თუმცა, როცა დაქალდა, საშიშ არსებად იქცა და მადამ ვინიონის საბრალო ქალიშვილი, ანა იმსხვერპლა. საყვარელი ქმრის ღალატით გულმოკლულ და გაწბილებულ ქალს არ შეეძლო გაეაზრებინა, რომ ფსევდოინტელექტუალიზმის, სულიერებისა და ცრურწმენის მორევში იხრჩობოდა; როცა დენისმა მიატოვა, ლოგინადაც კი ჩავარდა და სწორედ ამ ავადმყოფობის, უმწეობისა და უსუსურობის წყალობით იმონებს და აშანტაჟებს თავის მხდალ ძმას, პასკალს, რომელიც ამაოდ ებრძვის მარადიულ „სულიერ კრიზისს“. თითქოს, ყველა პერსონაჟი ნახევრად დამნაშავეა და ნახევრად უდანაშაულო; ყველა მათგანი მსხვერპლია, მსხვერპლი, რომელიც, თითქოს, სიხარულითაც კი ეწირება სულიერების ზეობას და თავს აფარებს სიცრუის საამო წყვდიადს, თვალს იბრმავებს და სმენას იხშობს; მკითხველიც მიჰყვება რომანის მდინარებას, ერთი ნოველის კალაპოტიდან მეორეში გადაცურდება... პერსონაჟები, თითქოს,

თეატრის სცენაზე დგანან; მათი „უწყვეტი ჯაჭვი“ დამფრთხალი ნადირივით განდევნის მსწრაფლწარმავალ, მკრთალ სილუეტებს, რომლებიც, თითქოს, თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანებიან სადღაც. ისინი სცენის დეკორაციებს მიღმა იმალებიან, მაგრამ ადრე თუ გვიან მოძრავი პროჟექტორის თვალისმომჭრელი შუქი პოულობს და ამ დიად ბრწყინვალებას ემონებიან; სრული მარტოობის ჟამს ფარდა აეხდება ამ უდიდეს, ძალმოსილ ტყუილს, რომელიც ყველა დაბრკოლებას თვალის დახამხამებაში აცამტვერებს; პერსონაჟი სიცრუეს მაშინაც კი ვერ ამჩნევს, როცა მისი სურვილით ატანილი სხეული პირველად ამბოხდება და ვნებიანი გულისწადილის ახდენას ლამობს; სიმონ დე ბოვუარი თავისი ეპოქის რომანისთვის სრულიად უჩვეულო სითამამით და გამბედაობით აღწერს ამ მოვლენას; საუ-ბედუროდ, ავხორცობის ტკბილ ბანგსაც კი არ ძალუძს, აღგავოს პირისაგან მიწისა სულიერების ზეობა – ეს შემზარავი პარადი. მარსელმა „თავისი ოდესღაც მარადფხიზელი სინდის-ნამუსი დაუ-ნანებლად ჩაძირა ბიწიერების, უკუნი ღამისა და გარყვნილების თვალშეუვალ მორევში“, როცა საყვარელი პოეტის მკლავებში გაინაბა; თავისი სიმორცხვით, თავმდაბლობითა და მოკრძალებულობით გაბეზრებული, არაქათგამოცლილი, თვლემამორეული ლიზა კი გრძნობს, როგორ ეალერსება მის სხეულს პასკალის ხელები. „ლიზამ სიგარეტი საფერფლეზე დააგდო; ხელი აბრეშუმის პიჟამაში შეცურდა; თავის ხელს სულ ვეღარ გრძნობს, თითქოს, სხვას დაესაკუთრებინოს; უცხო, მხურვალე თითების ალერსი გაშმაგებული ქარისგან დევნილი ფოთოლივით ათრთოლებს უნაზეს, ნოტიო ლორწოს.“ გოგონას მთელი გულით სძულს ეს პანსიონი; ფიქრობს, რომ ამ მეტისმეტად რთულ და დამქანცველ ფილოსოფიას ვერასოდეს შეისწავლის, გამოცდებს ვერ ჩააბარებს და საოცნებო კაცს თავს ვერ შეაყვარებს.

ადამიანი მაშინაც კი ვერ ამბობს უარს სიცრუეზე, როცა დიდი უბედურება დაატყდება თავს; პირიქით: სწორედ მაშინ აღწევს სულიერებისა და მისტიციზმის მწვერვალს; ჯოჯოხეთური ტანჯვა, გაუსაძლისი ტკივილი და განსაცდელი ხომ სწორედ იმის ნიშანია, რომ ზეციური, უძლეველი ძალა „მართავს“ ჩვენს ბედისწერას და ჩვენი სულის ხსნისთვის იღვწის?! სიმონ დე ბოვუარის პროზაში გაისმის დაუნდობელი, ულმობელი, ბრაზით აღსავსე ხმა; ანას ცხედარი ჯერ კიდევ არ გაცივებულიყო, როცა გულანთებულმა დედამისმა ლოცვა აღავლინა და ღმერთს მადლობა შესწირა ამ განსაცდელის მოვლინებისთვის! „საშინელი უბედურება დაატყდა თავს, შვილი დაეუღუპა, მაგრამ ეს ღვთის რისხვად და საუკუნო

წყევლა-კრულვად არ მიაჩნდა; პირიქით, ამ შემაძრწუნებელ ტრაგედიაში ზეგარდამო ნიშანსაც კი ხედავდა; უფალმა ამ ქალს იმიტომ მოუვლინა ასეთი განსაცდელი, რომ მისი რჩეული გახლდათ; დიახ, რჩეული! მაცხოვარი თავის ღვთისმოშიშ შვილებს სატანჯველს არასოდეს მოაკლებს, რამეთუ ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება“. ანას სხეული საფლავში გაიხრწნება, მაგრამ სამაგიეროდ, დედამისმა თავი გადაირჩინა; შანტალმა ამ ქალს ტოლი არ დაუდო; საყვარელი მეგობრის სიკვდილით გულმოკლული, ულმობელი ტკივილით განგმირული და განრისხებული მასწავლებელი შეჰყვირებს: „ორი ცივსისხლიანი მკვლელი! ამ საზიზღარმა ადამიანებმა ანას სიცოცხლე მოუსწრაფეს!“ თუმცა, სასწრაფოდ დაიბრუნებს ნეტარ სიმშვიდეს და თავს შეაფარებს თავისი მეხსიერების უძირო ჭაობს, რომელიც ნაირფრად აელვარებულა „ანას ქარვისფერი, თითქოს, ოქროცურვილი თვალების, შემოდგომისფერი სახისა და ხშირი, ბზინვარე თმის“ სხივმოსილი მოგონებით. ამ რომანში მხოლოდ ორი გონებანათელი და გამჭრიახი ქალიშვილი (მოწყენილი, გულდარდიანი და სასოწარკვეთილი ანდრე და მისი მეგობარი მარგერიტი) შეიცნობს სიმართლეს, დიდი ტანჯვის ფასად მოიპოვებს საოცნებო თავისუფლებას და შეგირდობის მწარე ხანას ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინებს. ანდრე შანტალის მოწაფე იყო; თავიდან ამ უცნაურ ქალს აღმერთებდა, თუმცა, ეს უსაზღვრო აღფრთოვანება უკვალოდ გაქრა; საშინლად იმედგაცრუებული გოგონა გულცივად უმზერს, როგორ გაკრთება ხოლმე მის თვალწინ ბედიწერის ხატება; გრძნობს, უნაყოფო, ამაო და უსიხარულო დღეები ელის; თითქოს, იმ გზას უნდა დაადგეს, რომელიც მრავალი საუკუნის წინ დაუხატავს რომელიღაც მხატვარს. „უძლური ვარ... ბედისწერას ვერ გავექცევი... მიუხედავად ყველაფრისა, ოდესმე, ერთ ავბედით დღეს, ჩემი სილამაზე და ახალგაზრდობა უკვალოდ გაქრება,“ – ფიქრობს ის. მარგერიტი ამ სევდიანი არსების ორეულია, მზის სხივებით აელვარებული ქალიშვილი... მასშიც ძალუმად მოჩქეფს ის უძლეველი ენერგია, სითამამე და სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული, რომელიც მწველი სურვილებით აღვსილი სიმონ დე ბოვუარის ყველაზე ერთგული და ძლიერი მოკავშირე, შემწე, მფარველი და მხსნელი იყო მაშინ, როცა ამ ზრდილმა ქალიშვილმა „საზარელი ბედისწერის“, ამ პირსისხლიანი ნადირის კლანჭებს დააღწია თავი; მგრძნობიარე, ვნებიანი, სისხლსავსე მარგერიტი სიცოცხლეს გატაცებით ეტრფის და ოცნებობს, მის ნატიფ სხეულს ავხორცი ტუჩებით დაეწაფოს; ძალიან გამჭრიახი და ჭკვიანია; არ ტკბება ლამაზი ილუზიებით;

იცის, რა ამაზრზენი და გულის ამრევი ადამიანები არიან მისი ოჯახის წევრები; კარგა ხანია, რაც მარსელის, პასკალისა და მადამ დრიუფის სულმდაბლური და მეშჩანური ოინები ამხილა; რომანი კლასიკურ ტრაგედიას ემსგავსება: მთავარი გმირის (ანას) სიკვდილის შემდეგ სხვა პერსონაჟს (მარგერიტს) ეკისრება წიგნის შეჯამებისა და დასრულების მძიმე მოვალეობა. „ჩემი ოჯახის წევრები მუდამ ერთხმად, რიხიანად გაიძახოდნენ: „სულიერება უნდა ზეობდეს!“ ყველაფერი სრულდება; წილი ნაყარია; ლოგინად ჩავარდნილი უფროსი დის, მარსელის ავადმყოფურმა შანტაჟმა, პასკალის სილაჩრემ და სიმხდალემ შეიწირა ანას სიცოცხლე. გულანთებულმა მარგერიტმა და სიმონ დე ბოვუარმა თავისუფლება ახალგაზრდობაში მოიპოვეს. ეს პერსონაჟი თავადაც კი ვერ მიხვდა, რომ არნახული გამბედაობის წყალობით დაამსხვრია მონობის უღელი, მხრებზე რომ დასწოლოდა; მარგერიტი თავს საფრთხეში იგდებს, ღამეული მხურვალებით სავსე ბარებში უცხო ბიჭებსა და მამაკაცებს ეარშიყება, გამომწვევად იქცევა და ცეკვავს, ოპიომანი ლესბოსელის საწოლში აღმოჩნდება და ერთ დღეს იმასაც მიხვდება, რომ ცხოვრება აუტანელი საშინელებაა... საკუთარი სიმამაცით აღფრთოვანებული, ფრთაშესხმული და გულმოცემული ქალიშვილი ვერა და ვერ თავისუფლდება თავნებობა, ვოლუნტარისტი, თუმცა ჯერ კიდეც უმეცარი მოზარდის გულუბრყვილობისგან. ის ძალიან ჰგავს სიმონ დე ბოვუარს; მასაც თავისი შემოქმედივით „მოჰყირჭებოდა, რომ ყველას ანგელოზად, უხორცო ქმნილებად და სპეტაკ სულად მიაჩნდა“; „ხორციელ სიამეზე საუბარი კვლავ აკრძალული მქონდა; ვერა და ვერ ავიღე ეს შეუვალი, პირქუში, უამრავი საიდუმლოებითა და სამარცხვინო ტაბუთი აღსავსე ციხე-სიმაგრე, რომლისთვისაც ეჭვშეუვალი ზნეობისა და სისპეტაკის კლდესავით მყარი გალავანი შემოევლოთ; მერჩივნა, მორფინომანი გავმხდარიყავი ან გავლოთებულიყავი, ვიდრე თავი ამ ნეტარებისათვის მიმეცა და დასაძრახი უზნეობით დავტკბარიყავი. ასეთ ლიბერტარიანულ აღვირახსნილებაზე ფიქრიც კი მზარავდა,“ – წერს „ზრდილი ქალიშვილის მოგონებებში“, მაგრამ ერთ საღამოს ყველაფერი შეიცვალა. ყველაფერი! მარგერიტი დენისმა (მარსელის ყოფილმა ქმარმა, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა) მოატყუა და საშინლად დაამცირა; მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი მამაკაცი ყოფილ თანამეცხედრეს შეურიგდა და საცხოვრებლად მასთან გადავიდა; იმედგაცრუებული და გაცოფებული გოგონა ბარბეს უბანში დაეხეტება, უყურებს ტროტუარზე ჩამომჯდარ, ძვალმსხვილ, ფერხორციან, დოინჯშემორტყმულ მეძავებს; კაბარეების

წინ მიაბიჯებს, მეჯლისებს თვალს ვერ სწყვეტს, თუმცა, ამ ჯადოსნური სამყაროს კარს არ აღებს; შესაბრალის კაფეებს შესქერის; ერთ ღია კარს მიუახლოვდება და დაინახავს ბავშვთა ორკესტრს; ჯავას ჰანგები იღვრება; უეცრად, ყოველივე თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით აელვარდება; მონუსხული უმზერს ამ ხასხასა ფერებს, რომელიც იდუმალი, თითქოს, ველური კივილით უხმობს: „ქვეყნიერება ახალმოჭრილ მონეტასავით ბრწყინავს!“ როცა სიმონ დე ბოვუარი მარგერიტის ისტორიას მოგვითხრობდა, იცოდა, რომ მისი „წარმოსახვების“ ეპოქა სამუდამოდ იყო დასრულებული. „თუკი ისევ სულიერების ჭაობში ჩავეფლობოდი და „ჭეშმარიტ“ სარწმუნოებაზე „მოვექცეოდი“, სულიერების ზეობას ვეღარასოდეს დავაღწევდი თავს; ეს ოცნებაც ავიხდინე: ღვთის მეუფება დავამხე, მისი ზეციური ტახტი ნაცარტუტად ვაქციე და წარსულის უდაბნოში დავასამარე“ – ათქმევინებს მწერალი თავის პერსონაჟს. ამ სიტყვებს მიღმა ისმის სიმონ დე ბოვუარის ხმა. იგი ძალზე მდიდარი გახლდათ სხვა ცხოვრებისეული გამოცდილებითაც (ომი, სიყვარული, პოლიტიკა, ანგაჟირება); ყველაზე მნიშვნელოვანი კი ეს თავბრუდამხვევი შეგრძნება იყო: „შემზარავმა სიცარიელემ დაისადგურა, როცა მიღალატა და მიმატოვა დენისმა, მაგრამ მისი ადგილი მე დავიჭირე და ავად ხახადაფჩენილმა უფსკრულმაც პირი შეიკრა.“ ზაზას სამარადისოდ აეკრძალა ამ გადამწყვეტი და თამამი სიტყვების წარმოთქმა.

დანიელ სალენავი

მთარგმნელისაგან

ამ თარგმანს დიდი სიყვარულით ვუძღვნი
ია მერკვილაძეს, მირანდა გაგუასა და მაია სიმონიშვილს

1949 წლის ივნისში სიმონ დე ბოვუარი თავისი ნაშრომით – „მეორე სქესი“ საავდრო ღრუბლად მოევლინა „ბეიბი-ბუმით“ შეპყრობილ პატრიარქალურ სამყაროს. დემოგრაფიული აღორძინების მესვეურები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ერი გადაშენების წინაშე იდგა და სამშობლოს გმირები სჭირდებოდა. ამგვარი მაჩოისტური დისკურსი ითვალისწინებდა მეორე მსოფლიო ომის „წყალობით“ შრომის ბაზარზე გამოჩენილი ქალების კვლავ სამზარეულოში გამწესებას და ტრადიციული ოჯახის – სადაც მამაკაცი ცოლ-შვილზე ბატონობს – კიდევ უფრო გამყარებას. ანდროცენტრულ სახელმწიფოს სჭირდებოდა არა ძლიერი, დამოუკიდებელი, მდიდარი და ემანსიპირებული ქალები, არამედ მორჩილი ცოლები და დედები. ჰიტლერისეულ ფრაზას – „ბავშვები, ეკლესია, სამზარეულო“ – უთვალავი გულანთებული მომხრე ჰყავდა. აი, ამგვარ ანტიფემინისტურ გარემოში წამოიწყო ერთმა თამამმა ქალმა რადიკალური ფემინისტური რევოლუცია, გამოაცალა ქალთა მჩაგვრელ წყობას მთავარი საყრდენი და გაფანტა ორმოცდაათიანი წლების გაუვალი წყვდიადი და უმეცრება. მანამდე რამდენიმე ადამიანს თუ დაეწერა ასე გაბედულად, ცრუ მითებისა და ზღაპრების გარეშე ქალთა მძიმე ხვედრზე, სექსისტურ იდეოლოგიაზე, ძვალ-რბილში გამჯდარ, ყოველდღიურ სინამდვილედ ქცეულ მიზოგინიაზე (ქალთმოძულეობაზე), გოგონათა დამაჩლუნგებელ აღზრდაზე, ქალწულობის ინსტიტუტზე. მან „გააშიშვლა“ იდუმალების ბინდით მოცული, მამაკაცური მითების ჭაობში ჩაფლული ქალური სექსუალობა და სხვა საჩოთირო საკითხები, რაზეც ვერ ბედავდნენ საუბარს ხმაწართმეული და უუფლებლო დედაკაცები. ვატიკანმა ფემინისტური ნაშრომი შერისხა და მას ადგილი აკრძალულ წიგნთა სიაში მიუჩინა. მრავალი დამფრთხალი მამაკაცი გამოხატავდა უსაზღვრო სიძულვილს იმ ქალისადმი, რომელმაც ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა მამაკაცური მითები ქალსა და ქალურობაზე. დიდი პატრიარქები შიშობდნენ, რომ ქალები სულ მალე აჯანყდებოდნენ, დაამსხვრევდნენ დუმილისა და მორჩილების მძიმე ბორკილებს და „ეჭვშეუვალ“ მამაკაცურ იდეოლოგიასაც წყალი შეუდგებოდა. ამ 1200 გვერდიან ფემინისტურ

თხზულებაზე გულგრილად და მშვიდად ვერავინ ლაპარაკობდა. ეს შედეგრი ან საშინლად სძულდათ, ან მთელი გულით უყვარდათ. „სიმონ დე ბოვუარი, – ქალი, რომელიც თამამად უხმობს ქალებს და უჩვენებს მათ ნანატრი თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას!“ – წერდა აღფრთოვანებული ფრანგული პრესა. ათასობით ქალი უგზავნიდა ავტორს მადლიერებით აღსავსე წერილს: „თქვენ შეცვალეთ ჩემი ცხოვრება. ნათლად დამანახეთ ის, რასაც აქამდე, თითქოს, დაბურული მინის მიღმა ვხედავდი“. ერთ კვირაში დახლებიდან გაქრა და უამრავ ენაზე ითარგმნა „მეორე სქესის“ პირველი ტომის 22000 ეგზემპლარი, რომელშიც ქალების „ხმა ისმოდა“. გამომცემლობა „გალიმარის“ მიერ გამოცემულ წიგნს წილად ხვდა არნახული წარმატება.

„მეორე სქესი“ მიზნად ისახავს მითების დამსხვრევას და დაწვრილებით მიმოიხილავს ბიოლოგიას, ქალის ფიზიოლოგიას, კაცობრიობის ისტორიას, ანთროპოლოგიას, ფსიქოანალიზს, მატერიალიზმს, ბავშვთა აღზრდის პატრიარქალურ სისტემას, სექსუალურ ტაბუებს, ფალოცენტრულ მითებს, რელიგიას, მონტერლანის, კლოდელის, ლოურენსის, ბრეტონისა და სტენდალის შემოქმედებაში ასახულ მითებს. პრეისტორიულ, ანტიკურ, თუ თანამედროვე კულტურებში ქალთა მდგომარეობის მკლევართათვის „მითები›› და „ისტორია›› სერიოზული ანთროპოლოგიური მასალაა. სიმონ დე ბოვუარი ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის „შუქზე“ აანალიზებს ისტორიას და თვალნათლივ გვიჩვენებს, რატომ „იქცა“ ქალი „მეორე›› სქესად.

„როდესაც ქალი აზროვნებს, ამბობენ, რომ ის მამაკაცს ბაძავს,“ – წერს ავტორი. პრეისტორიულ ხანაში, მამაკაცი ბუნებას ქალთან აიგივებდა და სიკვდილის ერთადერთ წყაროდ სწორედ ქალი ესახებოდა. ეს შიშნარევი თაყვანისცემა და მოწიწება გამოვლინდა დიადი დედის, ძლევამოსილი ქალღმერთის კულტში, თუმცა, შემდგომში მამაკაცი აჯანყდა და განიზრახა ბუნების „დამორჩილება›› და მისი ტახტის დამხობა. ამ „აჯანყებას“ მოჰყვა დიადი დედის – მიწის კულტის ხელყოფა და ფემინურობაზე (მატრილინეალურ ხაზზე) მასკულინურობის (პატრილინეალური ხაზის) გამარჯვება. მამაკაცებმა რელიგია თუ ყოველგვარი სამოქალაქო კანონი ქალთა დასამორჩილებელ და „წელში გამწყვეტ“ იარაღად აქციეს. „სუსტი“ სქესის დაბეჩავება და დაბრიყვება „ძლიერის“ სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობის საწინდარი იყო; ქალის სხეული და მისი სექსუალობა საბოლოოდ „დანებდა“ მასკულინურ წეს-კანონებსა და ნორმებს, რომელშიც შეჩვენებული და შერისხულია ქალი, როგორც მაცდური, ბინძური, საშიში, შავბნელ ძალებთან ზიარებული სის-

ხლმდინარე არსება; მამაკაცებმა ქალებისა და ქალურობის შესახებ შეთხზეს სხვადასხვა მითი, რომლებშიც უკვალოდ გაქრნენ ძლიერი ქალები და გამოჩნდნენ მასკულინურ ძალაუფლებას დამორჩილებული მეორეხარისხოვანი მდედრები. ასეთ მითებსა და ზღაპრებში მამაკაცი ბატონია, ქალი კი – მისი მხევალი. ასეთია ერთ-ერთი მითი „ჭეშმარიტ“, „ნამდვილ“, „მარადიულ ქალზე“: ესაა ქედმოხრილი, თავმდაბალი, პასიური ქალი, რომელიც მართალია, ჭკუა-გონებით არ ბრწყინავს, მაგრამ დღედაღამ ქმარშვილზე ზრუნავს; ეს ოჯახის ბურჯი საკუთარი თავისთვის ფულს არასოდეს გაიმეტებს, თავის დღეში არ იტყვის: „მე მინდა“, რადგან არ იცის ამ სიტყვების მნიშვნელობა; მხოლოდ ის იცის, რა სურს მის მბრძანებლებს – თანამეცხედრესა და შვილებს. ღამ-ღამობით მისი სანთელი არ ქრება – ქსოვს, კერავს, სახლს ალაგებს, რეცხავს, ოჯახის წევრებს თავს დაჰკანკალებს, მუდამ მჭმუნვარე იერით დაიარება და რაც მთავარია, თმასა და სახეს თავსაბურავით იფარავს. ამ მომთმენი, თავდახრილი, მორცხვი, ხელშეუხებელი და სპეტაკი ქალისთვის, ამ მუდამ მოფუსფუსე „დედოფალ“-დედა ფუტკრისთვის ქმრის სიტყვა უზენაესი კანონია. „მარადიული ქალის“ მითის გარდა, პატრიარქალურმა სამყარომ კიდევ ერთი მითი შეთითხნა – „ზნედაცემული ქალი.“ იგი „ნამდვილის“ სრული ანტიპოდია: ახირებული, ხარბი, უზნეო, სულსწრაფი, ამპარტავანი, ვნებიანი, ავხორცი და მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი. ანდროცენტრიზმს სჭირდებოდა როგორც წმინდა და სპეტაკი, „ჭეშმარიტი“ ქალი, ასევე, „ბინძური“ და „ზნედაცემული“. ავტორი ამბობს, რომ გოგონებს ოდითგანვე ამ პატრიარქალურ მითებსა და ცრუ იდეებს უჭედავდნენ თავში, ლამაზი ტყუილებით ასულდგმულებდნენ, არწმუნებდნენ, რომ ისინი ნაზი, ფაქიზი, უსუსური და არასრულფასოვანი არსებები იყვნენ და აიძულებდნენ, ქალთა ამ ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული არქეტიპიდან ერთ-ერთს „დამსგავსებოდნენ“. ქალი, როგორც მეორეხარისხოვანი, უნიჭო, „ნაკლოვანი“ არსება და მამაკაცის „დანამატი,“ „ნეკნი“, პატრიარქალური კულტურის მიერ შეთითხნილი მითია და არა – ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური (გნებავთ, ბუნებრივი) უცვლელი მოცემულობა. სწორედ ამ ფრაზით იწყება განუმეორებელი ნაშრომის მეორე, სქელტანიანი ტომი: „ქალებად კი არ იბადებიან, არამედ – ხდებიან. მდედრს აკნინებს არა ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ხვედრი, არამედ – ტრადიციული საზოგადოება; მხოლოდ პატრიარქალური ცივილიზაცია აქცევს მას მამრსა და საჭურისს შორის

გარდამავალ არსებად; შესაბრალისი, მეორეხარისხოვანი ქალის ხატება ანდროცენტრული სიცრუეა“.

ცრურწმენებით გაჟღენთილი ოჯახი და გარემო ბავშვებს აიძულებს, მოირგონ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გენდერული როლები. გოგონა უნდა იყოს პასიური და თვინიერი და სულმოუთქმელად ელოდოს იმ „ბედნიერ“ დღეს, როცა თეთრ რაშზე ამხედრებული უფლისწული მოაკითხავს, ცოლად შეირთავს და მზრუნველ დედად აქცევს; ბიჭი კი უნდა იყოს რაციონალური, კეთილისა და ბოროტის შემცნობი, დიდების მწვერვალთა დამლაშქრავი, სამყაროს შესაცნობად უნდა გაეშუროს სახიფათო მოგზაურობაში, უნდა გახდეს მეცნიერი, მწერალი, ფილოსოფოსი, მხატვარი ან კომპოზიტორი და „ცხოვრება ნახოს“. გამრავლება მისთვის მეორეხარისხოვანი ფუნქციაა, გოგონას კი ყველა ასწავლის, რომ შვილების გაჩენა მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი და წმინდათაწმინდა მოვალეობაა. ყველა ზღაპარი პატრიარქალური მითებითაა სავსე.

„როცა გოგონა მომავალზე ფიქრობს, ეჩვენება, რომ ნარ-ეკლიან, ციცაბო, თვალუწვდენელ სიშორეში ჩაკარგულ გზას უნდა დაადგეს და დაიპყროს ნისლით მოსილი ბუნდოვანი, შორეული მწვერვალი, თუმცა, ყოველდღე იმას უყურებს, რომ დედა სამზარეულოში სულ ჭურჭელს რეცხავს და ერთ ავბედით დღეს, უეცრად, თვალისმომჭრელ სიმართლეს დაინახავს; მიხვდება, რომ წლების წინაც დედას ცხიამიან წყალში ჰქონდა ჩაყოფილი ხელები და თეფშებს უხეში სახეხით რეცხავდა, მისი ცხოვრებაც ამ მოსაწყენ და ქანცგამწყვეტ შრომაში გაილევა; ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს; თითქოს, რაღაცნაირად მარადიულ, უიმედო, უსიხარულო, უნაყოფო აწმყოს ტალღებში შთანთქმულა“; „ყოველივე, რასაც ბიჭები ჩაიდენენ, მყისვე მამაკაცურ ტრანსცენდენციად იქცევა. კაცები მხატვრები, მწერლები, მეცნიერები და შემოქმედები არიან, თამამად იღებენ სახიფათო გადაწყვეტილებებს, გეგმებს აწყობენ, ქალს კი ასწავლიან ფრთხილად „ყოფნას.“ გოგონას ბუნებრივი მისწრაფებაც „შექმნაა“, მაგრამ მას არწმუნებენ, რომ უნდა იქცეს პასიურ ობიექტად, უნდა დასჯერდეს მის უცვლელ „არსად“ მიჩნეულ, მეტად ვიწრო სფეროს და საკუთარი ნებით შეაბიჯოს გაუვალ მასკულინურ ჯოჯოხეთში. საზოგადოებამ, თითქოს, მრავალი საუკუნის წინ ჩაწერა უხილავ წიგნში ქალის ხვედრი, მისი დანიშნულება და უმთავრესი მოვალეობები და „სუსტი“ სქესი იძულებულია, განუსჯელად, უშფოთველად და წარბშეუხრელად დაემორჩილოს ამ უსამართლო განაჩენს; კაცებს უფლება აქვთ, იყვნენ თავიანთი ბედის მჭედელნი; ბიჭს ყველა

დაუღალავად უმეორებს, რომ უნდა იმოქმედოს, რაღაც შექმნას, გახდეს მეზღვაური ან ინჟინერი, ფერმაში დარჩეს ან ქალაქში წავიდეს, მსოფლიო შემოიაროს და გამდიდრდეს. იგი სრული თავისუფლებით ტკბება, უფლება აქვს, მოულოდნელობებით აღსავსე მომავალს დაუპირისპირდეს, გოგონა კი გათხოვდება, ბავშვებს გააჩენს და შემდეგ ბებიაც გახდება, დედამისივით მოუვლის სახლს და ქმარ-შვილზე იზრუნებს. თოთხმეტიოდე წლისაა, მაგრამ თითქოს, ზეცაშია დაწერილი მთელი მისი ცხოვრების ისტორია, შემზარავი ისტორია, რომელსაც ყოველდღე წაიკითხავს; ნელ-ნელა ფარდას ახდის ამ სასტიკ სიმართლეს, მაგრამ ვეღარაფერს შეცვლის, თავის „განაჩენს“ ვეღარ „გაასაჩივრებს“, „ღვთის ნებას“ ვერ გარდავა, რადგან თავისი ბედის საკუთარი ხელით „დაწერის“ უფლება მისთვის არავის უწყალობებია.“ „გულნატკენი, შეცბუნებული, დარცხვენილი, შეშფოთებული, დამწუხრებული გოგონა მომავლის გზას მიუყვება და ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს, რაღაც მიუტევებელი დანაშაული ჩაედინოს; ხვდება, რომ ამ სამყაროს მამაკაცები, ეს გულზვიადი ხელმწიფეები მართავენ, ქალები კი, – ეს ყრუ-მუნჯი მონები, მათ უსიტყვოდ ემორჩილებიან,“ – წერს ავტორი.

ამგვარი საზოგადოებრივი ზეწოლა და გაწბილება გოგონას აიძულებს, უსამართლო ბედს შეურიგდეს და აღიაროს, რომ „ნაკლოვანი“, მეორეხარისხოვანი და არასრულფასოვანი არსებაა; ეს სასოწარკვეთილი ადამიანი ხან ნარცისიზმს აფარებს თავს, ხან კი – მაზოხიზმს. ოდესმე ფარ-ხმალს დაყრის, მშობლებსა და საზოგადოებას საბოლოოდ დანებდება, მორჩილ ობიექტად იქცევა და აღასრულებს უმთავრეს მოვალეობას – ვინმეს მისთხოვდება და შვილებს გააჩენს. ფრანგი ათეისტი ფილოსოფოსისათვის ქორწინება არის ამაზრზენი პატრიარქალურ-რელიგიურ-მიზოგინური ინსტიტუცია, რომელიც უფლებააყრილ, ხმაწარმთმეულ ქალს აიძულებს, შეურიგდეს ქმრის მბრძანებლობას, მონასავით მოიხაროს ქედი მის წინაშე და გუნდრუკი უკმიოს მწვალებელს; ეს ადამისჟამინდელი ტრადიცია და ოჯახის მძიმე უღელი ქალს უკლავს თავისუფლების წყურვილს, მისწრაფებებს, ოცნებებსა და მწველ სურვილებს:

„ქალს ოდითგანვე ნივთივით ათხოვებდნენ. პარაზიტსა და შეშლილს უწოდებენ მას, ვინც ამ ძველთაძველი ადათ-წესის უარყოფას გაბედავს;“ „სანამ ეკონომიკური სადავეები მამაკაცებს უპყრიათ ხელთ, ქალი ნანატრ თავისუფლებას ვერ მოიპოვებს. ვიდრე პატრიარქალური წყობა და გოგონათა აღზრდის დამაჩლუნგებელი სისტემა არ დასამარდება, ქალები იფიქრებენ, რომ გათხოვება და

დედობა მათი ერთადერთი მოვალეობაა;“ „ბევრი ქალი მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით ირჩენს თავს და სარჩოს თავისი ოფლით მოიპოვებს, მაგრამ ისინი საზოგადოების არასრულფასოვან წევრებად ითვლებიან. უცილობლად ქორწინების ბეჭედი, ეს მონობის ბორკილი უნდა ჰქონდეთ წამოცმული თითზე, რათა სრულქმნილი, ღირსეული პიროვნება უწოდონ“; პატრიარქალური საზოგადოება გოგონას აკვნიდანვე კვებავს ცრუ მითებით; მამაკაცებს, რომლებიც გაუთავებლად „ენამზეობენ“ მრავალშვილიანობის სიკეთეზე, ბედნიერ დედებზე და ქალის უმთავრეს მოვალეობაზე, სურთ, ქალები მასკულინურ წესრიგს დაუმორჩილონ, თავს მოახვიონ ფარისევლური მორალი, გააბრუონ საამო ტყუილებით და დაარწმუნონ, რომ მონობა თავისუფლებაა, თავისუფლება კი მონობა. ამ მამაკაცთა „ლამაზი“ სიტყვების უკან იმალება ვერაგი პატრიარქალური იდეოლოგია. სინამდვილეში, მათ მხოლოდ თავიანთი უპირატესობის უკვდავყოფა და ქალების გამომწყვდევა სურთ ოჯახური საშინელებებით სავსე საპყრობილეში.

ეგზისტენციალისტი ფემინისტის თანახმად, პატრიარქალური საზოგადოებისაგან გათელილი ქალი სიბერეში მწვავე კრიზისს განიცდის, მას მიუსაფრობისა და განწირულობის შეგრძნება მოსვენებას არ აძლევს და თავს უსარგებლო ნივთად მიიჩნევს; ხვდება, რომ ვერც ერთ მიზანს ვერ მიაღწია, თვალის დახამხამებაში გაილია მისი უფერული ცხოვრების დღეები, ქალთმომძულე კულტურამ მონობის უღელი დაადგა და მან ვერაფერი შექმნა. „ქალიშვილი დღედაღამ ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობს, უიმედო მოხუცი ქალი კი სინანულით იგონებს წარსულს, ხვდება, როგორი უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრება, განუწყვეტლივ იხსენებს, როგორ სულდგმულობდა ნაირფერი ოცნებებით და მგზნებარე სურვილებით, მაგრამ სანუკვარი გულისწადილის ახდენა ვერ შეძლო და ხელი მოეცარა; დღითიდღე იძირება სასოწარკვეთის მორევში,“ – წერს ბოვუარი. „ქალი მთელი ძალით ცდილობს დაკარგული ცხოვრების დაბრუნებას, წყალწაღებულივით ებღაუჭება გარდასულ დღეებს, მაგრამ სულ ამაოდ. ულმობელი დრო შეუჩერებლად მიაქანებს სიკვდილისაკენ. ცდილობს, სიკვდილიც უარყოს და წარმოსახვით სამყაროს აფარებს თავს. ის არის თავზარდაცემული და შეძრწუნებული მსხვერპლი იმ ცხოვრებისა, რომელიც მას არ აურჩევია,“ – ამბობს ფრანგული ფემინიზმის დედა.

„მეორე სქესის“ ბოლო თავი, – „თავისუფლებისაკენ“, ქალის ემანსიპაციას ეხება. ავტორი აცხადებს, რომ სანამ მშობლები გოგონებს

მორჩილ დედებად, დიასახლისებად, პასიურ, დამყოლ, სუსტ, სულელ, კომფორტულ „ნახევარფაბრიკატებად“ „აქცევენ“, ქალი საოცნებო თავისუფლებას ვერ მოიპოვებს. ვერც საარჩევნო ხმის უფლება და ვერც სექსუალური თავისუფლება მისცემს მას სრულ ემანსიპაციას; თავისუფლების საწინდარია ურყევი ეკონომიკური დამოუკიდებლობა. უნდა მოისპოს უთანასწორობა ქალისა და მამაკაცის ხელფასებს შორის (ეს მოთხოვნა დღემდე ვერ შესრულდა. შუაგულ ევროპაში, ქალები მამაკაცებზე 15-დან 25 %-მდე ნაკლებ ხელფასს იღებენ და რაც მთავარია, ერთსა და იმავე თანამდებობაზე), უნდა დაკანონდეს აბორტი, კონტრაცეფცია, ქალებს მიეცეთ უფლება, დაეუფლონ იმ პროფესიებს, ხელობებს, რომლებზე ოცნებაც კი აკრძალული აქვთ, თავად გადაწყვიტონ, გააჩინონ თუ არა ბავშვები და მათი სხეული მხოლოდ მათ უნდა ეკუთვნოდეთ. „როგორ შექმნიდნენ ქალები რაიმე გენიალურს, როცა საუკუნეების მანძილზე მცირეტანიანი ნაწარმოების დაწერის საშუალებაც კი არ ჰქონდათ? გენიოსად კი არ იბადებიან, არამედ-ხდებიან. პატრიარქალურმა წყობამ კი ქალს დღემდე არ მისცა იმის უფლება, გენიოსი გამხდარიყო,“ – ასკვნის ის, თუმცა, დამაიმედებელი დაპირებებითაც გვავსებს: „ყველაფერი წინაა; ადამიანი სამარადჟამოდ ვერასოდეს ვერაფერს დაისაკუთრებს; ყოველივე გამუდმებული, მუხლჩაუხრელი ბრძოლის წყალობით უნდა მოვიპოვოთ“. აი, ასე მთავრდება „მეორე სქესი“, ის დიდი რევოლუცია, რომელიც დღემდე არ დასრულებულა.

1971 წლის 5 აპრილს 343 ქალმა, ბოვუარის მეთაურობით, ხელი მოაწერა მანიფესტს – „მე გავიკეთე აბორტი“. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა მაშინ სისხლის სამართლის დანაშაული გახლდათ, თუმცა, ამ ქალებმა ხმის ამოღება გაბედეს; შეიძლებოდა, მათთვის ციხეშიც კი ეკრათ თავი, მაგრამ სასამართლომ 343 ქალის წინააღმდეგ საქმის აღძვრაზე უარი განაცხადა; პარიზის ქუჩებში ქალთა დიდი რევოლუციის ლაღი სიო დაქროდა; ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საფრანგეთს, – „კეთილგონიერი“ და კონსერვატორი ბურჟუაზიის ამ საუფლოს, სადაც 1943 წელს მარი-ლუიზ ჟირო აბორტის გაკეთების გამო ვიშის რეჟიმმა სიკვდილით დასაჯა, მეამბოხე და განრისხებული ქალები რადიკალური ფემინისტური ლოზუნგებით მოედებოდნენ. „საფრანგეთში ყოველწიურად, მილიონობით ქალი იკეთებს აბორტს საშინლად სახიფათო გარემოში; ამ ბნელ და ჭუჭყიან მიწისქვეშეთს უამრავი ქალი ეწირება, მაგრამ მათზე არავინ არაფერს ამბობს; ვარღვევ დუმილს და ვაცხადებ: მე გავიკეთე აბორტი. ჩვენ მოვითხოვთ აბორტისა და ჩასახვის საწინააღმეგო საშუალებების

ლეგალიზებას," – ეს არის ამონარიდი იმ მანიფესტიდან, რომელსაც ხელს აწერენ სიმონ და ელენ დე ბოვუარები, ფრანსუაზა საგანი, კატრინ დენევი, მარინა ვლადი, ჟიზელ ჰალიმი, ანა ზელენსკი, მარგერიტ დიურასი და სხვა ცნობილი თუ უცნობი ქალები. 1972 წლის ოქტომბერში გახმაურებულმა ბობინის პროცესმა მთელი საფრანგეთი ააფორიაქა. ფემინისტებმა, თექვსმეტი წლის ქალიშვილის, მარი-კლერის დასაცავად და მხარდასაჭერად პარიზის ქუჩებს ტალღასავით გადაუარეს; გოგონა თანაკლასელმა გააუპატიურა და დაორსულა; როცა ნაყოფი მოიშორა, „რატომღაც" მოძალადის ნაცვლად მსხვერ-პლი დააპატიმრეს; იატაკქვეშა, არასათანადო პირობებში ჩატარე-ბულმა აბორტმა გოგონა ლამის იმსხვერპლა. დედამ სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანა, იქ კი ხელბორკილი დაადეს და ციხეში გააქანეს; ფემინისტური ასოციაციის, „choisir"-ის („Choisir" ფრანგ. – „არჩევა") ხელმძღვანელები, ადვოკატი ჟიზელ ჰალიმი და სიმონ დე ბოვუარი, მეორე დღესვე დიდ საპროტესტო მანიფესტაციას ჩაუდგნენ სათავეში; ზღვა ხალხი გამოვიდა ქუჩაში; „ბავშვს მხოლოდ მაშინ გავაჩენ, როცა მომინდება. ვერავითარი მორალური ზეწოლა, ეკლესია, სოციალური ინსტიტუტი თუ ეკონომიკური მდგომარეობა ვერ მაიძულებს, საკუთარი ნება-სურვილი არად ჩავაგდო და სხვის ბრძანებას დავემორჩილო!" – აცხადებდნენ ისინი და მარი-კლერის საპყრობილედან დასახსნელად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. მათმა თავდადებულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო; საბოლოო პროცესს მრავალი ცნობილი პიროვნება დაეწრო: აკადემიკოსი ჟან როსტანი, ნობელის პრემიის ლაურეატი ბიოლოგები (მაგ: ჟაკ მონო და ფრანსუა ჟაკობი), მსახიობები (მაგ. დელფინ სირიგი და ფრანსუაზ ფაბიანი), პოლიტიკოსი მიშელ როკარი, მწერალი ემე სეზარი და სხვები. ქალებმა დაწყებული საქმე ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინეს – გოგონა გაათავისუფლეს; ჯანდაცვის მინისტრის, სიმონ ვეილის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონ-პროექტი აბორტის შესახებ, 1975 წლის 18 ივნისს, დიდი აურზაურის შემდეგ დაამტკიცეს.

სიმონ დე ბოვუარი 1986 წლის 14 აპრილს გარდაიცვალა. ამ დიდებული ქალის დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოვიდა. ემან-სიპაციის ამ სიმბოლოს დედამიწის ოთხივ კუთხიდან პარიზში ჩამოსულმა ქალებმა მიაგეს პატივი; მათ ხომ უკანაკასკნელ გზაზე უნდა გაეცილებინათ ის განუმეორებელი ადამიანი, რომელმაც მათი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა? გულმოკლული და სასოწარკვეთილი ფილოსოფოსი და ფემინისტი ელისაბედ ბადინტერი „Nouvel Obser-vateur"-ში გამოსათხოვარ წერილს აქვეყნებს და ფემინიზმის დედას

სამუდამოდ ემშვიდობება: „ჩვენ თხუთმეტი, თუ თექვსმეტი წლის ზრდილი ქალიშვილები ვიყავით, როცა „მეორე სქესი“, ეს განძი აღმოვაჩინეთ. ჩვენი გული ამ შედევრის სიყვარულით აენთო. მან გულდასმით და დამაჯერებლად მოგვითხრო ქალთა ისტორია და აღწერა, როგორ დაიმონეს, დაიბრიყვეს და დააბეჩავეს მამაკაცებმა ქალები; ამ თამამმა ფემინისტმა ერთი ხელის მოსმით ნაცარტუტად აქცია ის „ქალური ბუნება“, რომელზე საუბრითაც წინაპრებმა ყურები გამოგვიჭედეს; როცა ამ განუმეორებელ წიგნს, ამ ნეტარების უშრეტ წყაროს ხარბად ვეწაფებოდი, მეჩვენებოდა, რომ სადაც იყო, კამარას შევკრავდი და ავფრინდებოდი. მისი სამართლიანი, მეტად ცხადი და ძალზე სასიამოვნო განაჩენი ჩვენი თაობის ყველა ქალმა მოისმინა: „მომბაძეთ! ნუ შეგეშინდებათ! არ შედრკეთ! დაიპყარით ეს სამყარო, რომელიც თქვენს ფერხთითაა განრთხმული! თავდავიწყებით გადაეშვით ამ ბრძოლაში!“ „ამ უშიშარმა და გონებანათელმა ქალმა თავისი განუმეორებელი წიგნით პატრიარქატს ძირი გამოუთხარა. კონსერვატორებს შეუძლიათ, აგვიჯანყდნენ; ვერასოდეს დაგვარწმუნებენ, რომ ოჯახური კერა ქალთა სამეფოა, გათხოვება, ჯოჯოხეთური ცოლქმრული ცხოვრება და დედობა კი – ჩვენი გარდაუვალი ბედისწერა. ბოვუარმა თავისი ნაწარმოებებითა და სამაგალითო ცხოვრებით საპირისპირო დაგვიმტკიცა და გვითხრა, რომ ქალს შეუძლია, ცრურწმენებს დაუსხლტეს და თავისუფლებითა და მრავალფეროვანი ცხოვრებით დატკბეს. სწორედ დე ბოვუარის წყალობით გავაცნობიერეთ, რომ სექსიზმსა და ქალთა ჩაგვრას უთვალავი სახე აქვს. ჩვენ არა მხოლოდ მისი თანამოაზრეები, არამედ – მისი ქალიშვილები ვართ! ეს დიდებული ქალი, რომელსაც შვილი არასოდეს ჰყოლია (და არც სურდა, ეს მძიმე ტვირთი წამოეკიდებინა), თავისი ფემინისტური იდეების წყალობით უთვალავი გოგონას დედა გახდა. ცხადია, ბევრი ხვდება, რომ დღეს ფემინიზმის დაკრძალვაცაა, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ! არ შედრკეთ! მან სამუდამოდ დაგვტოვა, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა წინამძღოლმა ბრწყინვალე წარმატებით დააგვირგვინა ყველა ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც კი ოდესღაც წამოუწყია. მშვიდად განისვენეთ, უცნობი მიწების დამპყრობელო ძვირფასო სიმონ დე ბოვუარ, თქვენი ქალიშვილები არასოდეს დაგივიწყებენ!“

სიმონ დე ბოვუარი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მებრძოლი სულისკვეთებით აღივსო და რადიკალური ფემინიზმის შობამდე თითქმის ორმოცდაათი წლით ადრე წარმოთქვა ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი: „ჩემი

სხეული მე მეკუთვნის“. „როცა წავიკითხე, რომ აბორტი დანაშაული იყო, თავზარი დამეცა; ღრმად მწამდა, რომ ჩემი სხეული მხოლოდ და მხოლოდ მე მეკუთვნოდა და შვილის გაჩენას ქვეყნად ვერავინ მაიძულებდა; ყველანი ცდილობდნენ, „ძლიერი“ და „მახვილგონივრული“ არგუმენტების წყალობით „გონება გაენათებინათ“ ჩემთვის, მაგრამ აზრი ვერა და ვერ შემაცვლევინეს. ჩემს ამ უმთავრეს პრინციპს ყოველთვის თავგამოდებით ვიცავდი“, – ვკითხულობთ ამ ზრდილი და მეამბოხე ქალიშვილის მოგონებებში. ბავშვობის სანუკვარი ოცნება აუხდა: უთვალავი ადამიანის გული მისი სიყვარულით აენთო, ლიტერატურამ მართლაც მიწიერი უკვდავების შარავანდედით შემოსა და დაკაგული მარადისობა დაუბრუნა. გოგონები და ქალები დღესაც კი შენატრიან მის უსაზღვრო თავისუფლებას.

გიორგი ძნელაძე